საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი
მუდმივმოქმედი კომისია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი X

ალბანეთი

ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის
იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში

*ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 100 და
თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 20 წლისთავს*

თბილისი 2022

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი – „ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში)“, იკვლევს საერთაშორისო წრეებში ერთერთ სადავო საკითხს ჩვენი საეკლესიო იურისდიქციის შესახებ. ამჟამად აღიარებული, თუმცა არასწორი მტკიცებით – კახეთის სამხრეთი ნაწილი – გურჯაანი, საინგილო, დავით გარეჯა და თვით ბოდბეც კი, თითქოსდა, ისტორიულად, ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ გადავიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. შესაბამისად, უცხო მხარეს გაუჩნდა პრეტენზია აქაური უძველესი ქართული ეკლესია მონასტრებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ნაშრომში გარკვეულია, რომ სინამდვილეში, თავდაპირველი, ისტორიული ჰერეთი, რომელსაც ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებენ, კახეთს ესაზღვრებოდა მდ. გიშისწყალთან (ზოჯერ კი იქვე გამდინარე მდ. ალიჯანჩაისთან). ჰერეთი დიდი ქვეყანა იყო, გადაშლილი აღნიშნული მდინარეებიდან ვიდრე მდ. აღსუმდე და ძირითადად დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით (ჰერებით). მას ასევე შაქის სამეფოსაც უწოდებენ. მისი (ანუ „შაქის ჰერეთის“) საზღვრები გაიზარდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როცა მისმა მონოფიზიტმა მმართველმა საჰლ სმბატიანმა არანის (რანის) დაპყრობის შემდეგ არაბთა ხელშეწყობით ასევე შეძლო სამხრეთ კახეთის დაპყრობა გავაზის ხაზამდე. მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა ისტორიული კახეთის ამ (სამხრეთ) ნაწილს სახელი – „ჰერეთი“. სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები. მხოლოდ წმ. დედოფალ დინარას დროს (მე-10 ს.) დაუბრუნდა შაქის ჰერეთი მართლმადიდებელ სარწმუნოებას. იმის გამო, რომ ჰერეთი გიშისწყლიდან მდ. აღსუმდე (თეთრწყლამდე) დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, მას უცხოელები ივერიის ნაწილად მოიაზრებდნენ, ამიტომაც მის დედოფალს წმ. დინარას რუსული წყაროები „ივერიის დედოფალს“ უწოდებდნენ.

იბეჭდება პროფესორ ივანე გორგიძის საერთო რედაქციით

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი X

ალბანეთი

ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის
იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში

თბილისი 2022

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი – „ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში)“, იკვლევს საერთაშორისო წრეებში ერთერთ სადავო საკითხს ჩვენი საეკლესიო იურისდიქციის შესახებ. ამჟამად აღიარებული, თუმცა არასწორი მტკიცებით – კახეთის სამხრეთი ნაწილი – გურჯაანი, საინგილო, დავით გარეჯა და თვით ბოდბეც კი, თითქოსდა, ისტორიულად, ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ გადავიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. შესაბამისად, უცხო მხარეს გაუჩნდა პრეტენზია აქაური უძველესი ქართული ეკლესია მონასტრებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ნაშრომში გარკვეულია, რომ სინამდვილეში, თავდაპირველი, ისტორიული ჰერეთი, რომელსაც ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებენ, კახეთს ესაზღვრებოდა მდ. გიშისწყალთან (ზოჯერ კი იქვე გამდინარე მდ. ალიჯანჩაისთან). ჰერეთი დიდი ქვეყანა იყო, გადაშლილი აღნიშნული მდინარეებიდან ვიდრე მდ. აღსუმდე და ძირითადად დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით (ჰერებით). მას ასევე შაქის სამეფოსაც უწოდებენ. მისი (ანუ „შაქის ჰერეთის“) საზღვრები გაიზარდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როცა მისმა მონოფიზიტმა მმართველმა საჰლ სმბატიანმა არანის (რანის) დაპყრობის შემდეგ არაბთა ხელშეწყობით ასევე შეძლო სამხრეთ კახეთის დაპყრობა გავაზის ხაზამდე. მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა ისტორიული კახეთის ამ (სამხრეთ) ნაწილს სახელი – „ჰერეთი“. სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები. მხოლოდ წმ. დედოფალ დინარას დროს (მე-10 ს.) დაუბრუნდა შაქის ჰერეთი მართლმადიდებელ სარწმუნოებას. იმის გამო, რომ ჰერეთი გიშისწყლიდან მდ. აღსუმდე (თეთრწყლამდე) დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, მას უცხოელები ივერიის ნაწილად მოიაზრებდნენ, ამიტომაც მის დედოფალს წმ. დინარას რუსული წყაროები „ივერიის დედოფალს“ უწოდებდნენ.

იბეჭდება პროფესორ ივანე გორგიძის საერთო რედაქციით

შესავალი

IV–VII საუკუნეებში კავკასიაში არსებობდა ალბანეთის საკათალიკოსო. მან მე-8 ს-ის დასაწყისში ეროვნული (ალბანურენოვანი) სახე დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა.

ამჟამად, ჩვენთვის, ამ საკათალიკოსოს ისტორია საინტერესოა იმ კუთხით, რომ ძველი ალბანეთის ისტორიულ და იურიდიულ მემკვიდრედ აზერბაიჯანელი და დაღესტნელი ისტორიკოსების ჯგუფი მიიჩნევს თავის მხარეს, მტკიცებით, რომ ალაბეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა კახეთის უმეტესი ნაწილი. ისინი ამტკიცებენ, რომ კახეთისა და საინგილოს უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრები თითქოსდა არა ქართული, არამედ ალბანური კულტურის ძეგლებია. ამასთანავე მიიჩნევა, რომ ჰერეთი ალბანეთის სინონიმური სახელია, რომ ალბანეთ-ჰერეთის მიწაწყალი და კულტურა აზერბაიჯანელთა ანდა დაღესტნელთა ისტორიული მემეკვიდრეობაა.

ამ საკითხის აქტუალურობას ამძაფრეს ასევე ის ფაქტი, რომ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსების მტკიცებითაც თავდაპირველი კახეთი მცირე ქვეყანა იყო, რომლის საზღვარი გადიოდა თელავათან ახლოს, ისე, რომ თელავი და მის ქვემოთ მდებარე კახეთი ჰერეთში, ანუ ალბანეთში, შედიოდა, შესაბამისად, მიიჩნევა რომ თელავი და მთელი სამხრეთ კახეთი, თითქოსდა, ალაბნეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ შემდგომში გაავრცელა აქ ქართულმა ეკლესიამ თავისი იურისდიქცია.

როგორც აღინიშნა, ჰერებს თელავის ქვემოთ მცხოვრებ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელიც, თითქოსდა, გაქართველდა ქართული პროზელიტური ეკლესიის მიერ და ის, ამ პროცესის შედეგად ჩამოაშორდა ალბანეთის საკათალიკოსოს.

ჩვენი კვლევით კი ჰერები იყო არა ალბანური, არამედ ქართულენოვანი ტომი, რომელიც ალბანეთში ცხოვრობდა.

რაც შეეხება იბერია-ალბანეთის საზღვარს, ის, თადაპირველადვე გადიოდა არა თელავთან, არამედ, როგორც გამოვიკვლიეთ, კავკასიის მთებიდან გამომავალ მდ. ალჯანჩაისა და გიშისწყალზე. შესაბამისად, ისტორიულად, ჰერები ცხოვრობდნენ ამ მდინარეებიდან ვიდრე მდ. თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე (მტკვრის მარცხენა სანაპირო, მტკვარ-არაქსის შესართავის მახლობლად, საქართველოს სახელმწიფოს ძველი საზღვარი).

რადგანაც ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ და ამ საკითხს იყენებენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დასამცრობად (კერძოდ კი, კახეთის ეკლესია-მონასტრების მისათვისებლად), ამიტომაც ვიკვლევთ ჰერეთ-ალბანეთისა და ჰერების საკითხს.

ამ ნაშრომის უმთავრესი მიზანია დაამტკიცოს, რომ ჰერეთის საზღვარი ისტორიულად, თავდაპირველადვე, გადიოდა არა თელავთან, არამედ მდ. ალიჯანჩაისთან და უფრო ხშირად გიშისწყალთან და ის მოქცეული იყო ამ მდინარეებსა და აღსუს (თეთრწყალს) შორის და **მხოლოდ, მე-9 საუკუნეში შეიცვალა ეს საზღვარი სამხრეთ კახეთის ხარჯზე.**

შესაბამისად, თავდაპირველი საზღვარი ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდინარე გიშისწყალზე (ან ალიჯანჩაიზე). აღსანიშნავია, რომ მდ. ალიჯანჩაი წარმოადგენდა შემდეგი დროის კახეთის, შემდეგ კი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარს XVI–XVIII საუკუნეებში.

საკითხი ეხება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დაცვას. შესაბამისად, მას ვიკვლევთ სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტით, ამიტომაც ხშირად ვიმეორებთ, რისთვისაც მკითხველისაგან ვითხოვთ შენდობას.

ამასთანავე, როგორც აღნიშნულია, უცხოეთშიც, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს არასწორად წარმოაჩენენ.

მაგალითად, რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი ამტკიცებს, მე-12 საუკუნეშიც კი საინგილო, თითქოსდა, ალბანურ ეკლესიაში შედიოდა და იქაური ეკლესია-მონასტრები ალბანური კულტურის ძეგლებია (იხ. ქვემოთ). მაშინ, როცა მე-12 საუკუნე ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერის მწვერვალია და ამ დროს საინგილო მხოლოდ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მით უფრო, რომ ამ დროს უკვე აღარ არსებობდა არავითარი ალბანური საკათალიკოსო, რადგანაც ის მე-8 ს-ის დასაწყისში გაქრა.

სამწუხაროდ, ზემოთ მოყვანილი შეხედულებები გაბატონებულია, რადგანაც, ამ კუთხით, ქართული მხარე (მეცნიერები) თითქმის არ აკეთებენ საპასუხო ანალიზს და ეს საკითხი შედარებით უყურადღებოდაა დარჩენილი, შესაბამისად, დაინტერესებული მხარე, საერთაშორისოდ („მეცნიერული არგუმენტებით“) ამტკიცებს, რომ, თითქოსდა, ინგილოები წარმოშობით ალბანელები არიან და არა ქართველები.

არსებობს დაინტერესებული მხარის მისწრაფება, რომ დააარსონ ე.წ. „ალბანეთის აღორძინებული ეკლესია“ და მის მრევლად გამოაცხადონ ინგილოები, უდინები და აზერბაიჯანელი ქრისტიანები, შესაბამისად, იგეგმება ინგილოების გაყვანა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩავთვალე მეკვლია ჰერეთ-ალბანეთის ნამდვილი საზღვრები. როგორც ითქვა, ჰერეთს ალბანეთად მიიჩნევენ, მათ შორის ჩვენშიც (აკაკი შანიძე, მაგალითად, ალბანურ ენას ჰერულ ენას უწოდებდა), საერთაშორისოდ კი მიჩნეულია, რომ თითქოსდა, ალბანაური ანუ „აღვანური“ ენა აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული და შემდგომ ის ქართულმა ენამ გადაფარა (Коряков Ю. Б. Атлас кавказских языков / РАН. Институт языкознания. М., 2006. с. 39; Карта № 15).

ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიაც კი, მიიჩნევს, რომ სახელწოდება „ჰერები“ ერთ-ერთი ალბანური ტომის სახელია და აღნიშნება კიდეც: „**ალბანური ტომები, იმავე წყაროებში, ჰერებადაც იწოდებოდნენ...** ამ სამეფოს სახელწოდება ქართველებმა თავიანთი უახლოესი მეზობლის, ძველი ალბანეთის ერთ-ერთი ტომის, ჰერებისაგან აწარმოეს“ (https://ka.wikipedia.org/wiki/hereTissamefo). ანდა, მაგალითად წერენ „...არსებობდა **ჰერული (ალვანური) მოსახლეობა და სწორედ მათი გაქართველების მისია ეკისრებოდა ბოდბის**

საეკლესიო ცენტრს (საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები 25–27 ოქტომბერი, 2017 წელი)“. https://archive.gov.ge/storage/files/doc/3891.pdf.) და სხვა მრავალი.

ჩვენ ვეძიებთ, თუ რა არის ასეთი შეცდომების წყარო და ვიკვლევთ და რა არის მისი (ისტორიული კახეთის დიდი ნაწილის ალბანეთისადმი მიკუთვნების) საფუძვლები.

პირველ რიგში, ალბათ, საჭიროა თქმა იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში გამრუდდა წარმოდგენა ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ, **ჰერეთი გააიგივეს კავკასიის ალბანეთთან, ხოლო ალბანელები მიიჩნიეს აზერბაიჯანელების წინაპრებად,** ალბანეთის საზღვრებში კი თელავი შეიყვანეს კახეთის დიდ ნაწილთან ერთად.

რადგანაც, წარმოიდგინეს, რომ, თითქოსდა, ალბანეთის ისტორიული საზღვარი ძველთაგანვე თელავთან გადიოდა, შესაბამისად, დაინერგა კიდეც მტკიცება, რომ ისტორიული ალბანეთის მიწა-წყალია თელავი და თელავის ქვემოთ მდებარე კახეთის უმეტესი ნაწილი, ალაზნის ხეობა, სამხრეთ კახეთი, ბოდბის, საინგილოსა და დავითგარეჯას რეგიონები.

ამ ფაქტის ამსახველი რამდენიმე არასწორი უცხოური და ქართული რუკა წარმოდგენილია ქვემოთ. ამ რუკებზე, სამხრეთ კახეთი, თელავის ქვემოთ, ალბანეთსაა მიკუთვნებული:



არასწორი აზერბაიჯანული რუკა, სადაც
კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთშია შეყვანილი.
https://zen.yandex.ru/media/centralasia/pochemu-predki-azerbaidjancev-perestali-

არასწორი ქართული რუკა, სადაც
კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთშია შეყვანილი
https://burusi.files.wordpress.com/2009/07/e183a1e18390e183a5e18390e183a0e18397

ჩვენი მეზობელი ქვეყნის დაინტერესებული მხარე, როგორც აღინიშნა, თავს მიიჩნევს ალბანელების სამართლებრივ მემკვიდრედ, ამიტომ აღნიშნული თეორია, რომ კახეთის უმეტესი ნაწილი ალბანეთში შედიოდა, საფუძველს აძლევს მას, ალაზნის ხეობა და სამხრეთ კახეთი თავის ისტორიულ ტერიტორიად წარმოადგინოს.

საინტერნეტო სივრცესა და სამეცნიერო ასპარეზზე კახეთის დიდი ნაწილი სადავო ხდება, რაც გამოჩნდა კიდეც დავითგარეჯასთან დაკავშირებით, ამიტომ, შესაბამისი სულისკვეთებით ამ ქვეყნებში იწერება უამრავი ნაშრომი.

ჩვენი კვლევით, თეორია, რომ სამხრეთ კახეთი ისტორიულად, თავდაპირველად ალბანეთში შედიოდა, მცდარია, არასწორია.

შეცდომის წყაროა არასწორი ლოკალიზაცია წყაროებში ნახსენები ისტორიული ოლქებისა, ქვეყნებისა, პუნქტებისა თუ მდინარეებისა, მაგალითად, ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ არასწორადაა ლოკალიზებული თავდაპირველი კახეთისა და ჰერეთის, კამბეჩანისა და სხვა ოლქების ადგილმდებარეობა, მათთან ერთად ასევე სხვა ცნობილი პუნქტებისა (მაგ., ტყეტბა-გულგულა) და სხვა.

კამბისენას, სხვა ქალაქებისა და ოლქების ადგილმდებარეობის სწორი განსაზღვრა, ასევე იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრის შესახებ ანტიკურ მწერალთა ცნობების სწორი გააზრება დაგვაახლოებს ჭეშმარიტებასთან, რომელიც სადავოდ აღარ გახდის ქართულ საეკლესიო იურისდიქციას ამ მხარეებში.

ყოველივე ეს საეკლესიო საკითხია.

ისტორიულად, ალბანეთს ჰყავდა საკუთარი კათალიკოსი, არსენ საფარელი ალბანეთის კათალიკოსს „ჰერთა კათალიკოსს“ უწოდებს.

თუკი ბოდბე და მის გასწვრივ საინგილო, მთელ სამხრეთ კახეთთან ერთად ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა, მაშინ ამ მხარეს საკუთარი (ე.ი. ალბანეთის) კათალიკოსები ჰყოლია, რომელნიც შეუნაცვლებია ქართველ კათალიკოსებს. თუ ასე მოხდა, მაშინ საქართველოს ეკლესია პროზელიტური ყოფილა, რომელიც შეიჭრა სხვა საკათალიკოსოს იურისდიქციაში, რაც აკრძალულია საეკლესიო კანონებით, კერძოდ კი, მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონით.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის გადიოდა არა თელავთან, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ მდ. ალიჯანჩაიზე, ანდა მდ. გიშისწყალზე (ქ. შაქის ოლქში), რომელიც ალაზნის უმთავრესი შენაკადია და მასაც ალაზანი ერქვა. ალაზანთან შერთვის შემდგომ მის უხვ წყლებს, შესაძლოა, პლინიუს უფროსი უწოდებდა ოკაზანს. პლინიუსის ცნობით, საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის გადიოდა კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეზე, რომელიც ვაკე ადგილზე მტკვარს უერთდებოდა, ასევე, ასეთია მდ. გიშისწყლის ახლოს გამდინარე ალიჯანჩაი, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ვაკეზე მტკვარს უერთდება. მდ. ალიჯანჩაი, როგორც აღინიშნა, კახეთის სამეფოს საზღვარს წარმოადგენდა საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-19 ს.-მდე. უფრო ადრე, ეს მდინარე არაბების მიერ დაარსებული გურჯისტანისა („არმინიია1“) და „არმინიია მეორის“ საზღვარს ანუ საქართველოს საზღვარს წარმოადგენდა არაბობის დროსაც.

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის საზღვრად ალიჯანჩაის უახლოეს მდინარეს, **გიშისწყალს** ასახელებს ვახუშტიც (ქ.ც. ტ. 4. გვ.539).

წყაროთა შეჯერება მიუთითებს, რომ ეს საუკუნოვანი საზღვარი მდ. გიშისწყალზე (ანდა მდ. ალიჯანჩაიზე) მხოლოდ მე-9 საუკუნეში შეცვალეს არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ და არაბთა მოკავშირემ შაქ-არცახ-არანის მმართველმა, მონოფიზიტმა საჰლ სმბატიანმა, იგივე „საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანმა“, ე.წ. „ჰერეთის მეფემ“.

საჰლ სმბატიანმა ხალიფასაგან 839 წელს მიიღო „არანის მეფის“ წოდება. პარალელურად, იმავე, 840-იანი წლების დასაწყისში, არაბი სარდალი ხალილ იზიდის ძე ლაშქრით შეიჭრა სამხრეთ კახეთში. ამ ლაშქრობის შემდეგ, ჩვენი კვლევით, რომელიც ქვემოთაა მოცემული, კახეთმა დაკარგა თავისი სამხრეთი ნაწილი, ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე ე.წ. თელავ-გავაზის ხაზამდე და ეს მიწა-წყალი არაბებმა მიუერთეს მათ მოკავშირე საჰლ სმბატიანის შაქის ჰერეთს, ეს იყო მე-9 საუკუნეში კახეთის დამცრობისა და ჰერეთის გაფართოების ხანა.

არაბული მხარის სურვილი იყო სრული კახეთის დაპყრობა, მაგრამ ქართველებმა ის გავაზთან დაამარცხეს, ამიტომაც მას მხოლოდ უკვე დაპყრობილ, ანუ გავაზამდე მდებარე სამხრეთ კახეთის ტერიტორიებზე გააჩნდა უფლება.

როგორც ითქვა, დაპყრობილი კახეთის მიწა-წყალი, გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე შაქ-არცახ-არანის მეფეს საჰლს გადაეცა, რომელსაც, ქართველი ისტორიკოსები „ჰერეთის მმართველს“ უწოდებენ.

საჰლ სმბატიანს, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, რამდენიმე ხნით ადრე ხალიფისაგან ნება მიეცა, რათა **„სამეფო უფლებით ემართა არმანია, იბერია და ალუანქი (ალბანეთი)“** http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm.

როგორც ითქვა, ამ უფლების განსახორციელებლად, იმავე, დაახლოებით 841–842 წლებში, მას დამხმარედ მიუვიდა დიდი არაბული ლაშქარი ხალილ იზიდის ძე არაბიელის სარდლობით, მათ გადალახეს კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო მდინარე გიშისწყალი და დაიპყრეს სამხრეთ კახეთი ვიდრე გავაზამდე, აქ მათი წინსვლა შეაფერხა კახეთის ქორეპისკოპოსმა გარდაბნელთა და წანართა ლაშქრით – „**შეებნენ გარდაბნელნი გავაზში და გააქციეს ხალილ**“ (ქ.ც.1. 1955, გვ. 254).

მართალია, მტერმა (ხალილ იზიდის ძემ) გავაზთან მარცხის შემდეგ ვეღარ შეძლო კახეთის სხვა ნაწილების დაპყრობა. მაგრამ მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა კახეთის მიწა-წყალი გიშისწყლიდან გავაზამდე, სადაც გაივლო კიდეც კახეთის ახალი საზღვარი ჰერეთთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, არცახ-რანშაქის სამთავროსთან.

ამ ომის შემდეგ შეიცვალა კახეთის ისტორიული, ათასწლოვანი საზღვარი, ნაცვლად გიშისწყლისა მან ახლა, მე-9 საუკუნისათვის, გადაინაცვლა უფრო ჩრდილოეთით, კერძოდ, კი ამის შემდეგ ჰერეთის საზღვარმა გიშისწყლიდან გადმოიწია თელავის მიმართულებით.

კახეთმა თავისი საზღვარი გიშისწყალთან მალევე დაიბრუნა საჰლ სმბატიანის შემდეგ (შაქ-არცახ-არანის შედარებით სუსტი მმართველის დროს), მაგრამ მისმა შემდგომმა მმართველმა გრიგოლ ჰამამმა და შემდეგ იოანე სენექერიმმა, როცა ის შეიჭრა კახეთში, საზღვარი გიშისწყლიდან კვლავ გადმოსწია გავაზის მიმართულებით.

არაბები კახეთს „სანარიას“ სახელით იცნობდნენ (წანარების მებრძოლი ტომის სახელის მიხედვით), ამიტომაც სამხრეთ კახეთის (ე.ი. გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე) დაპყრობის შემდეგ იოანე სენექერიმს „წანართა მეფე“ უწოდეს და გულისხმობდნენ მის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობას (ამჟამად, არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა მან თანამედროვე ყაზბეგის რაიონი დაიპყრო).

ამჟამად ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი არასწორად მიჩნევს, რომ საჰლ სმბატიანი, გრიგოლ ჰამამი და იოანე სენექერიმი ჰერეთის ქართველი მმართველები იყვნენ, მაგრამ სხვაგვარია რეალობა, საჰლ სმბატიანზე უკვე ითქვა, რომ ის იყო არცახ-არანის სომეხი მმართველი და ჰერეთი ანუ შაქი (იგივე შექის ოლქი) მისი ვრცელი სახელმწიფოს ერთ მცირე ნაწილს შეადგენდა. ხოლო, რეალურად, გრიგოლ ჰამამი იყო სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ხოლო იოანე სენექერიმი ფარისოსის სომეხი მეფე იყო. ისინი შაქ-არცახ-არანის მეფეები იყვნენ, რომელსაც ქართველები, ე. წ. ჰერეთს უწოდებდნენ. სინამდვილეში, როგორც ითქვა, ისტორიული **ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი, მათი ვრცელი სამფლობელოს მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ნაწილი იყო.**

ისინი არაბთა შემწეობით იბრძოდნენ კახეთის დასაპყრობად და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, როცა მათ შეძლეს სამხრეთ კახეთის მიტაცება ე.წ. გავაზის ხაზამდე.

მე-9 საუკუნეში წარმოქმნილი კახეთ-ჰერეთის საზღვრის შესახებ მოგონება უნდა იყოს ასახული ვახუშტის მე-18 საუკუნის ცნობაში გავაზთან და თურდოს ხევთან გამავალ ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით.

ეს იმას ნიშნავს, როგორც წერს ივანე ჯავახიშვილი, რომ ვახუშტის კახეთისა და ჰერეთის თავდაპირველი, ისტორიული საზღვრების შესახებ ცნობები არ ჰქონია და ამიტომ მან კახეთსა და ჰერეთს შორის მე-9 საუკუნეში წარმოქმნილი საზღვარი მიიჩნია ჰერეთის უძველეს, ისტორიულ საზღვრად.

კახეთის შიგნით, მე-9 ს-ში წარმოქმნილი ახალი საზღვარი ჰერეთთან იყო დროებითი მოვლენა, რადგანაც მხნე წანარებმა კვლავ აღადგინეს კახეთის ძველი საზღვარი გიშისწყალზე, თუმცა დროებით.

როგორც აღინიშნა, მართალია, ჩვენი თანამედროვე ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი მე-9 საუკუნის დასასრულის მოღვაწე გრიგოლ ჰამამს (გარდ. 897 წ.) უწოდებს „ჰერეთის ქართული სამეფოს დამაარსებელ პირველ მეფეს“ (პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VII-XI სს.), თბ., 1982), მაგრამ, სინამდვილეში, ის იყო „ხაჩენის მთავარი გრიგორ ამამი“, როგორც მას უწოდებენ ამჟამად უცხოეთში (армянский князь Хачена во второй половине IX века, учёный, поэт).

გრიგოლ ჰამამი იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ჰყავდა 5 შვილი. მისი სამთავრო (ხაჩენი) შაქთან ერთად მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ე.ი. რანს, საკუთრივ ხაჩენს და მტკვრისგაღმა კამბეჩანს (ეს კამბეჩანი არ იყო ქიზიყი, არამედ მტკვრის ხეობის მომცველი ქვეყანა, მტკვარ-ალაზნის შესართავის ქვემოთ).

გრიგოლ ჰამამს აღუდგენია ე.წ. „ალბანეთის სამეფო“, თუმცა მცირე ხნით, იგულისხმება მის მიერ რანის ანუ ალბანეთისა და ასევე შაქის ფლობა. მისი, როგორც სომეხი მოღვაწის, სამშენებლო წარწერები შემორჩა არცახში.

გრიგოლ ჰამამმა, ვითარცა სომეხმა პოეტმა, სომხურ ენაზე შექმნა მნიშვნელოვანი პოეტურ-საღვთისმეტყველო ქმნილებები. როგორც ითქვა, ჰერეთი მისი ვრცელი სამთავროს მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ნაწილი იყო და სწორედ გრიგორ ჰამამის სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდა ჰერეთი არცახის სომხური სამთავროს ბატონობისაგან.

შაქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის ხალხისათვის, ანუ ქართულენოვანი მკვიდრი მოსახლეობისათვის, არცახი და სხვა სომხური ერთეულები უცხო ქვეყნები იყო, დასახლებულნი სხვადასხვა ეთნოსით.

შაქის ოლქი წარსულში ალბანეთის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, რომელიც არაბობის დროს ტარონელი სომხური წარმომავლობის მთავართა ხელში მოექცა, რომელნიც მონოფიზიტობას აღიარებდნენ

შესაბამისად, საჰლ სმბატიანის დროს შაქელები ანუ შაქის ოლქის მკვიდრი ქართულენოვანი მოსახლეობა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, ისევე, როგორც მთელი ალბანეთი, გუგარქი და ტაო, სადაც მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ სპარსელებმა მე-6 საუკუნეში, შემდეგ კი არაბებმა მე-7 საუკუნიდან სომხურ ეკლესიას დაუქვემდებარეს (აღსანიშნავია, რომ ალბანეთმა ვერ შეძლო სომხური ეკლესიისაგან

გათავისუფლება, ამიტომ ეროვნული სახე დაკარგა, გუგარქმა (გოგარეთმა) კირიონ კათალიკოსის შემწეობით შეძლო სომხური საეკლესიო უღელისაგან გათავისუფლება VI საუკუნეში, ხოლო ტაომ – VIII საუკუნეში და ისინი დაუბრუნდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს).

ამ მიზეზის გამო გრიგოლ ჰამამის შემდეგ შაქის გათავისუფლება, ჯერ პოლიტიკურად (გრიგოლის შვილების, კერძოდ კი ადერნესე II-ის დროს), შემდეგ კი ეკლესიურად (**დინარა დედოფლის დროს**) უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა, განმანთავისუფლებელ მომენტს, შაქის ოლქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის მოსახლეობისათვის.

გრიგორ ჰამამის შვილებმა მისი სიკვდილის შემდეგ მისი, ანუ ხაჩენის სამთავრო, ერთმანეთში გაინაწილეს, კერძოდ, 890-იანი წლების შემდეგ მისი შვილის სმბატის შთამომავლები დაეუფლნენ მიწა-წყალს განძასარის ირგვლივ, ანუ საკუთრივ ხაჩენს, მეორე შვილი ადერნესე II, იგივე ატრნერსეჰი, დაეუფლა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შაქსა და ასევე ამავე, მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე კამბისენას ნაწილს (კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ კამბისენა არაა ქიზიყი). არაბი ავტორი მასუდიც აღნიშნავდა, რომ მის დროს „შაქელების მეფეა ადერნესე-იბნ-ხამიმი“.

გრიგოლ ჰამამის შემდეგ დაახლოებით 915 წელს მის მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად კახთა ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან ერთად იბრძოლა კახეთის ციხე-სიმაგრეების დასაბრუნებლად გავაზთან, არიშთან და ორჭობთან.

ვახუშტი წერს – „უხმო კვირიკე ქორიკოზმან კოსტანტინეს აფხაზთა მეფესა, მივიდნენ ჰერეთს და მოადგნენ ვეჯინს, ამისად მივიდა ადარნასე პატრიკი, მიუპყრა ჯვარი, მოსცა კოსტანტინეს არიში, გავაზი და კვირიკეს ბოჭორმა, დაეზავნენ და წარმოვიდა კოსტანტინე“ (ქ.ც. 4, გვ.133).

915 წლის ამ ომში ქართულმა მხარემ გაიმარჯვა და ეს ციხეები გაათავისუფლა, კახეთმა დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწა-წყალი გავაზის ხაზიდან გიშისწყლამდე, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა.

აფხაზეთსა და კახეთში შიდაომების გამო ჰერეთის სამეფომ (რეალურად კი ხაჩენის სამთავრომ) კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები. მაგრამ, ამავე დროს, დიდი რეფორმები და პოლიტიკურ-ეკლესიური ცვლილებები მიმდინარეობდა შაქის ოლქში, ანუ საკუთრივ ჰერეთში, ამ პერიოდში ჰერეთის, ანუ შაქის სამეფოს ხალხმა დაიწყო მოძრაობა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის აღდგენისათვის, კერძოდ კი, სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისაგან გათავისუფლებისათვის.

ჰერეთმა, დინარა დედოფლის დროს, დაიბრუნა ქალკედონური აღმსარებლობა. ამით შაქის (ჰერეთის) ეკლესია გათავისუფლდა მონოფიზიტური უღლისაგან და დაუბრუნდა ეროვნულ-ქართული ეკლესიის წიაღს.

ამ უდიდესი მოვლენის ინიციატორები იყვნენ ადარნასე მეფის (იგივე ადარნესე პატრიკის) ძის მეუღლე, იმჟამად ქვრივი **დედოფალი დინარა და მისი ძე იშხანიკი** (ჰერეთის მეფე, დაახლ. 943–951 წწ.).

დინარა დედოფალი ყოფილა არა მეფე ადარნასეს მეუღლე, არამედ მისი ძისა, რომლის სახელი უცნობია, ამას მიუთითებს გენეალოგია, რომელიც 1826

წელს შეუდგენია დავით თუმანიშვილს („მეფე ერეკლე“, 2021). შესაბამისად, იშხანიკი, დინარ დედოფლის ვაჟი, ადარნასეს შვილიშვილი იყო. როგორც აღინიშნა, ადარნასე იყო შაქის მეფე და მის სამეფოს ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ. მას ასევე მე-10ს-ის არაბი ისტორიკოსი მასუდი „შაქელთა მეფეს“ უწოდებს („ატრნერსეხ იბნ ჰამიმ“). დავით თუმანიშვილის გენეალოგიით **ადარნასეს შვილიშვილის იშხანიკის შთამომავალი ყოფილა გაგიკი, რომელიც იშვილა კახეთ-კუხეთის მეფე კვირიკემ** და ამის შედეგად გაერთიანებულა ორი ქვეყანა, ანუ **ასე წარმოქმნილა კახეთ-ჰერეთის სამეფო.**

აღსანიშნავია, რომ ამჟამად გაგიკს მიიჩნევენ არა ჰერეთის მეფის იშხანიკის, არამედ – ტაშირ ძორაკერტის მეფის, დავით უმიწაწყლოს ძედ, რაც შეცდომა უნდა იყოს.

შაქის ჰერეთის მეფე ატრნერსეხი, ანუ ადარნასე ყოფილა გრიგოლ ჰამამის ძე და უმცროსი ძმა სააკ სევედასი. ის შაქი-კამბეჩანის მეფე გახდა 910 წელს, მას მოვსეს კალანკატუაცი ალბანეთის მეფეს უწოდებს.

თავისთავად, ადარნასეს ბიზანტიური წოდება „პატრიკი“ მიუთითებს, რომ მისთვის ბიზანტიური ეკლესიური და პოლიტიკური ორიენტაცია მიმზიდველი გახდა და მისი ეს მიმართულება მისი ძის ქვრივის დროს რეალიზდა, როცა შაქელებმა, ანუ ისტორიული ჰერეთის მოსახლეობამ გადაწყვიტა დაბრუნებოდა ქართულ საეკლესიო წიაღს.

ადარნასე პატრიკის შთამომავალი კვლავ შეჭრილა კახეთში და კვლავ აუღია კვირიკე ქორეპისკოპოსისა და აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მიერ გათავისუფლებული კახეთის ციხეები – არიში, გავაზი და ბოჭორმა. მაშასადამე, ადარნასე პატრიკის ძის დროს ჰერეთმა კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთი, მაგრამ, მისი გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთის ქვეყანა მისი ქვრივის დინარას მმართველობაში მოექცა და ორი ქვეყნის ურთიერთობამ სრულიად სხვა სახე მიიღო.

ადარნასე პატრიკის ძის ქვრივის, წმ. დინარას და მისი შვილის იშხანიკის დროს ვითარება კარდინალურად შეცვლილა.

ვახუშტი წერს – „**ხოლო იშხანიკის ჟამამდე ჰერეთი მწვალებელი იყო, არამედ იშხანიკ დისწული იყო გუარამ ერისთავთ ერისთავისა და დედოფალმან დინარ, დამან გუარამისამან, მოაქცივნა მართლმადიდებლად**“ (ქ.ც.4. გვ.134).

მაგრამ შაქის მფლობელობისათვის ომები გრძელდებოდა. იშხანიკის შემდეგ 958 წლიდან ტახტზე ავიდა ფარისოსის მეფე იოანე სენექერიმი (примерно с 958 г. – 1003) – царь Парисоса (Северный Арцах, горный Утик) Сын Саака Севады) http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/primtext3.phtml.

იოანე სენექერიმს ამჟამად ქართველები იშხანიკის ძედ მიიჩნევენ, მაგრამ ის ყოფილა არა იშხანიკის ძე, არამედ საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანის ანუ **საჰლ სმბატიანის სხვა შტოს წარმომადგენელი,** საჰაკ სევადის ძე. მან თავისი ენერგიული ქმედებით შეძლო კვლავ მოქცეოდა სათავეში ხაჩენის ზემო ნაწილის სამთავროს დაახლ. 958 წლიდან. მან ის გააერთიანა ფარისოსთან და დააარსა ფარისოსის სამთავრო.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით მისი (იოანე სენექერიმის) სამეფო უფლება უცვნია ბიზანტიასა და სპარსეთის სამეფო კარს. ებრძოდა განძის ამირას ფადლონს, აქედან გამომდინარე, მის ხელში იყო მოქცეული შაქის, ანუ ჰერეთის მმართველობაც. ის (იოანე სენექერიმი) იყო არა ჰერეთის მეფე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ ფარისოსის სომხური სამეფოს მეფე, რომელიც იმჟამად იპყრობდა ასევე შაქს ანუ ქართულ ჰერეთს.

იოანე სენექერიმს თავისი აგრესიული პოლიტიკა გაუგრძელებია კახეთის მიმართაც და დაუპყრია სამხრეთ კახეთი. ამიტომაც მას ასევე უწოდეს „წანართა მეფე“ (სამხრეთ კახეთის (სანარიის) პყრობის გამო).

ასე რომ, სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის აღნიშნულ ხაზამდე კვლავ ჰერეთის, ანუ ამ შემთხვევაში ფარისოსის სომხური სამეფოს მიერ იქნა დაპყრობილი.

იოანე სენექერიმს, რომელმაც შეძლო ორი სომხური ოლქის (ფარისოსისა და კოგტის (ზემო ხაჩენი) ოლქის გაერთიანება და ერთიანი სამეფოს დაარსება მოვსეს კალანკატუაცი „**ალბანეთის სამეფოს აღმდგენელს**“ უწოდებს, თუმცა ამ დროს ალბანეთი, როგორც ეთნიკური ერთეული, დიდ ხნის გამქრალი იყო და აღნიშნულო ოლქები სომხეთის ნაწილებად მიიჩნეოდა. შესაბამისად, ამ სამეფოს (ფარისოსის) მიერ შაქის ოლქის დამორჩილება ნიშნავდა ისტორიულ ჰერეთში კვლავ მონოფიზიტობის გაძლიერებას.

შაქის ოლქს არცახ-ფარისოსის სამთავროს უღელი იოანე სენექერიმის სიკვდილისთანავე მოუშორებია და მან (ისტორიულმა ჰერეთმა, ანუ შაქის ოლქმა) კვლავ აღიდგინა თავისუფლება დინარა დედოფლის დროს.

ჰერეთის დედოფალი დინარა, როგორც ეს კარგად ჩანს მის შესახებ რუსული თქმულებებიდან, იყო მართლმადიდებლობისათვის მხნე მეომარი, იმჟამინდელი მრევლისათვის სახელოვანი ხელმწიფე. ის რუსულ წყაროებში იხსენიება, როგორც ივერიის დედოფალი. ჩემი სტატია, რომ რუსული წყაროების დინარა დედოფალი იგივე ჰერეთის მე-10 საუკუნის დინარა დედოფალია დაიბეჭდა წიგნში „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი“ (2004) წელს, ჩემი (ანუ ამ წიგნში ჩემს მიერ დაწერილი პარაგრაფის) თვალსაზრისი ამ საკითხის ირგვლივ გაზიარებულ იქნა უცხოეთის მკვლევართა მიერ, რაც რუსული საინტერნეტო გვერდებიდან ჩანს.

დინარა დედოფალი მეათე საუკუნის მოღვაწე წმიდანია, აღსანიშნავია, რომ ვახუშტი მის შესახებ უთითებს 917 წელს – „**ხოლო 917 მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა დინარს დედოფლის ქმრისა და ძისა მათისა იშხანიკისა**“ (ქ.ც.4. გვ. 557).

მაშასადამე, ვახუშტის მიხედვით დინარ დედოფალი ყოფილა არა ადარნასე პატრიკის მეუღლე, არამედ მისი ძის მეუღლე.

მაშასადამე, დინარ დედოფალი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყოფილა ადარნასე პატრიკის რძალი – „ხოლო ადარნასე პატრიკმან მოგვარა ცოლი ძესა თვისსა ასული ადარნასესი და დაი გურგენ ერისთავთერისთავისა ძის ძისა აშოტ კურაპალატისა სახელით დინარ და ამის ძის იშხანიკისამდე იყო ჰერეთი მწვალებელი ქასრეს ჟამითგან აქამომდე. ხოლო ამან დინარ დედო-

ფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წვალებისაგან მართლმადიდებლობისა აღმსაარებლად“ (ქ.ც. 4. გვ.559).

მასასადამე, ჰერეთი, „ქასრეს ჟამიდან“, ანუ მე-6 საუკუნედან წმ. დინარამდე მწვალებლობაში ყოფილა. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-6 საუკუნემდე, ანუ IV–V საუკუნეებში ის მართლამადიდებელი ყოფილა, რაშიც იგულისხმება, რომ ჰერეთი, მე-6 საუკუნემდე საქართველოს ეკლესიის ნაწილი ყოფილა, ეს ერთობა დედა ეკლესიასთან კვლავ აღადგინა დინარა დედოფალმა.

მე-6 საუკუნეში მართლამადიდებეელ ბიზანტიასთან სამკვდრო სასიცოცხლოდ მებრძოლმა სასანიდების ირანმა მკვეთრდ დაუჭირა მხარი სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას, რაც ნიშნავდა პოლიტიკურ პროცესს ალბანეთისა და ქართლის მაღთლმადიდებელ მრევლზე სომხური ეკლესიის გაბატონების მხარდაჭერისა.

კირიონ კათალიკოსის ქალკედონურ პოზიციას სომხური ეკლესია ანტისპარსულ ქმედებად განიხილავდა, რაც „ეპისტოლეთა წიგნშია“ ასახული.

ანტიბიზანტიური საეკლესიო პოლიტიკა მე-7 საუკუნიდან გააგრძელა არაბთა სახალიფომ, ისიც მხარს უჭერდა სომხურ ეკლესიას, ვითარცა ანტიბიზანტიური საეკლესიო მიმართულების მქონე ეკლესიას და ამიტომ, მკვეთრი, ძალისმიერი მეთოდით დაუმორჩილა ალბანეთის ეკლესია სომხურს, შესაბამისი იყო პოზიცია ჰერეთის მიმართ. ასე გაგრძელებულა ჰერეთის პოლიტიკურ გათავისუფლებამდე, რასაც ეკლესიური თავისუფლებაც მოჰყვა, რაც ასახა წმ. დინარას სარწმუნოებრივმა რეფორმამ.

მიუხედავად წმ. დინარას უდიდესი ავტორიტეტისა, ის ჰერეთში შესულ მეფე ბაგრატისათვის პოლიტიკური ფიგურა იყო, და ამიტომ, როგორც ვახუშტი წერს, დინარა დედოფალი საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ განარიდა ჰერეთს, როდესაც მან შეძლო შაქის ოლქის, ანუ საკუთრივ ჰერეთის გაერთიანება თავის სამეფოში. ეს მომხდარა დავით ქორეპისკოპოსის (976–1010) შემდეგ, კვირიკე III-ის (1010–1037) დროს.

ვახუშტი წერს – „ხოლო შემდგომად მოკვდა დავით ქორიკოზი, მაშინ გამოვიდა კუალად მეფე ბაგრატ და აღიღო ჰერეთი და დაიჭირა დედოფალი დინარ და ორ წელ აღიღო კახეთიცა და შეაწყვდია კვირიკე ბოჭორმას“ (ქ.ც. 4. გვ. 140).

თუ შევაჯამებთ, ვახუშტის ცნობით ჯერ კიდევ სპარსეთის ქასრე მეფის (ხოსრო I ანუშირვანის 496–579) შემდეგ ეს მხარე (შაქის ჰერეთი ანუ ტერიტორია გიშისწყალ-ალიჯანჩაიდან თეთრწყლამდე) მონოფიზიტური გამხდარა, რაც საჰლ სმბატიანის დროს დაკანონდებოდა, ხოლო წმიდა დინარა დედოფალმა თავის შვილ იშხანიკთან ერთად თავის ხალხს მართლმადიდებლობა დაუბრუნა მე-10 საუკუნის შუა წლებში.

თავი I

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა იბერიისა და ალბანეთის საზღვრებთან დაკავშირებით

პლინიუს უფროსის, ელიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ცნობები იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრების შესახებ

როგორც აღინიშნა, ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას (ალბანეთს) შორის გადიოდა რუსთავის ქვემოთ, კვეთდა ცივგომბორის ქედს, ისე, რომ ალბანეთში შედიოდა – ბოდბე, გურჯაანი, დავითგარეჯას მონასტრები და ამჟამინდელი საინგილოს ეკლესიები, ამის შესაბამისად ამტკიცებს, რომ ბოდბის, გურჯაანისა და სხვა ეკლესიები მე-7, მე-9 საუკუნეებამდე არა ქართული, არამედ ალბანური ეკლესიები იყო. მიიჩნევა, რომ დავითგარეჯას მონასტრები, საინგილოს ეკლესიები და სხვა, ალბანური წარმოშობის ეკლესია-მონასტრები იყო.

ასე მიიჩნევენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ რუსი და ცხადია, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები. ეს არასწორი მტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე, ასე ვთქვათ, დააკანონა ავტორიტეტულმა „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“, ამ მტკიცებით ბოდბეც კი, სადაც ივერთა განმანათლებელი წმიდა ნინო განისვენებს, ალბანეთსაა მიკუთვნებული!

იგივე არასწორი მტკიცებაა, როგორც აღინიშნა, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდზე – http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს, ისინი საერთოდ ალაზნის მთელ ხეობას ისტორიულ ალბანეთად, ანუ აზერბაიჯანელთა ისტორიულ მემკვიდრეობად მიიჩნევენ.

ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ განსაზღვრებას, რადგანაც არ ეყრდნობა წყაროთა ცნობებს ალბანეთ-ქართლის (იბერიის) საზღვრების შესახებ, ასევე არასწორია ოფიციალურად გავრცელებული რუკა ალბანიისა.

საერთოდ, ალბანეთი ძალზე არამდგრადი ეროვნულ-პოლიტიკური ერთეული იყო და ის გაქრა მე-7 საუკუნის ბოლოსათვის, ამიტომაც შემდეგი ავტორების ცნობები მის შესახებ, გარკვეულწილად, საეჭვოა, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს ეეჭვებოდა არა თუ ვახუშტის, არამედ ლეონტი მროველის ცნობები ჰერეთ-კახეთის საზღვრების შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).

განვიხილოთ წყაროები:

წყაროები იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

სულ ოთხი ძირითადი წყარო არსებობს იბერიისა და ალბანიის საზღვრის შესახებ.

ინფორმაციას ქართლის, ანუ იბერიისა და ალბანეთს შორის საზღვრის შესახებ გვაძლევს ოთხი ცნობილი ავტორი, ესენია –

1. პლინიუს უფროსი (23-79 წწ.)
2. ეღიშე (მე-5 ს.) და
3. მოვსეს კალანკატუაცი (VII ს. ან X ს.)
4. ლეონტი მროველი (VIII ს.), იძლევა ცნობას ქართლსა და ჰერეთს შორის საზღვრის შესახებ.

ამ ავტორების დროს ალბანეთი (ანდა მოგონება მის შესახებ) ჯერ კიდევ არსებობდა, ამიტომ მათი ცნობები მნიშვნელოვანია.

განვიხილოთ თითოეული წყარო:

I. პლინიუს უფროსი (23–79 წწ.) იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

პლინიუს უფროსი წერდა – **„მდინარე მტკვრის იქეთ მთელი ვაკე დასახლებულია ალბანთა ტომით და, შემდეგ, იბერებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან მდინარე ოკაზანით, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ჩაედინება მდ. კირში**“ (პლინიუს უფროსი, ბუნების ისტორია, 6, 28–29).

„Теперь будут перечислены жители пограничных с Армением областей: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28–29).

პლინიუს უფროსი გვაძლევს რამდენიმე მინიშნებას იბერიასა და ალბანიას (ალბანეთს) შორის საზღვრის შესახებ – 1. საზღვარი გადიოდა მტკვრისპირა ვაკეზე, 2. ეს ვაკე დასახლებული იყო იბერებითა და ალბანელებით, 3. მათ ერთმანეთისაგან ყოფდა სასაზღვრო მდინარე ოკაზანი, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა, 4. ამასთანავე, ეს ვაკე მტკვრის სანაპიროზე იწყებოდა.

„всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“.

(ე.ი. მინიშნებებია – 1. მტკვრისპირა ვაკე; 2. სასაზღვრო მდინარე ოკაზანი; 3. კავკასიის მთები, სადაც ამ მდინარის სათავეა; 4. ეს მდინარე მტკვარს ერთვის)

მიუხედავად იმისა, რომ პლინიუსი გვაძლევს ზუსტ მინიშნებას, რომ იბერია-ალბანიის საზღვარი გადიოდა ვაკეზე, მაინც, ამ ცნობის სრული იგნორირებით, თანამედროვე ისტორიოგრაფია სრულიად უმართებულოდ ამ საზღვარს ავლებს ხაზზე, რომელიც კვეთს დიდი მდინარეების იორისა და ალაზნის დახრამულ ხეობებს, ასევე, გომბორის ქედს და ბოდბე – ყვარლის გავლით უერთდება კავკასიის მაღალ მთებს.

ანუ ამჟამიდელი ისტორიკოსები საზღვარს არ ავლებენ ვაკეზე.

მაშასადამე, 1 – უგულებელყოფილია წყაროს პირველი მინიშნება „ვაკესთან“ დაკავშირებით. ამიტომაც გავაანალიზოთ პლინიუსის მიერ ნახსენები ტერმინი „ვაკე“ .

პლინიუსის მიერ ნახსენები ვაკე იწყება მტკვრის სანაპიროდანვე – равнина, начиная от реки, ამასთანავე, მეორე მინიშნებით ამ ვაკეზე მთიდან გამომავალი მდინარე „ოკაზანი“ (ალაზანი) უერთდება მტკვარს.

მოვძებნოთ, თუ რომელი ვაკე იწყება ალაზან-მტკვრის შესართავის რეგიონში მტკვრის სანაპიროსთან.

ასეთი აქ არის მხოლოდ ერთი ვაკე, რომელსაც კარგად იცნობდნენ ქართული წყაროები და მას ძალზე ხშირად ახსენებენ რანთან ერთად.

ესაა, აჯინოურის ვაკე, ნაწილი ცნობილი „მოვაკანისა“ ანუ ვრცელი ვაკისა მტკვრის ნაპირზე.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით მოვაკანი იწყებოდა მტკვარ-იორის შესართავთან და გრძელდებოდა ვიდრე კასპიის ზღვამდე.

„მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე“

(ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია“, 1904 წ., გვ. 131–132).

მოვაკანი და რანი ქართულ წყაროებში მუდამ ერთად იხსენიებიან, მაშასადამე, ის რანთანაა, ანუ ისაა შირვანის ვრცელი ვაკის დასაწყისი მონაკვეთი.

შირვანის დიდი ვაკის დასაწყისში, მტკვარ-ალაზნის შესართავიდან აჯინოურის ვრცელი ვაკე, ანუ დაბლობია, ის ისტორიული მოვაკანის ერთი ნაწილია (ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს), საერთოდ მოვაკანს ვახუშტის რუკაზე ეწოდება შირვანი. ვაკე „მოვაკანისა-რომელ არს შირვანი“.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენ თუ გვსურს წყაროს მიხედვით ვეძიოთ საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის, ის მოვაკანის (აჯინოურის – შირვანის) ვაკეზე უნდა ვეძიოთ.

მართლაც, აქ, საქართველოსთან ახლოს, ამ ვაკეზე გაედინება რამდენიმე მდინარე, რომლებიც კავკასიის მთებიდან გამოედინება, გაივლის ამ ვაკეს და მტკვარს უერთდება. ვნახოთ, რომელი მათგანი ეთანადება პლინიუსის მინიშნებას.

ასეთი მდინარე აქ, ამ მტკვრისპირა ვაკეზე რამდენიმეა.

იბერია-ალბანეთს შორის საზღვართან დაკავშირებით, როგორც ითქვა, პლინიუსის პირველი მინიშნება, არის ის, რომ ეს საზღვარი მტკკვრისირა ვაკეზე გადიოდა, ანუ სწორი ზედაპირის მქონე მონაკვეთზე, მეორე მინიშნება

კი ისაა, რომ საზღვარი მდინარე ოკაზანს მიუყვებოდა, რომელიც კავკასიის მთებში გამოედინება და ამ ვაკეზე მტკვარს უერთდება.

მაშასადამე, 2 – ამჟამად უგულებელყოფილია წყაროს ეს მეორე მინიშნებაც.

კერძოდ, პლინიუსის ცნობა, რომ **საზღვარი მიუყვებოდა მდინარეს.**

მაშასადამე, **იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი მდინარეს უნდა მიუყვებოდეს,** ეს არის წყაროს, ანუ პლინიუსის ცნობის მინიშნება, ის ამჟამად უარყოფილია.

ამჟამინდელი ისტორიკოსები იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარს არ ავლებენ მდინარეზე, პირიქით, მათ მიერ გავლებული საზღვარი არათუ მიუყვება რომელიმე მდინარეს, არამედ პირიქით, ჰორიზონტალურად კვეთს სამი დიდი მდინარის – მტკვრის, იორისა და ალაზნის ხეობათა შუაწელს. რაც ეწინააღმდეგება წყაროთა მინიშნებებს, თუნდაც პუნქტ ხალხალასთან დაკავშირებით, რომელიც სასაზღვრო წერტილი იყო წყაროთა ცნობით.

მაშასადამე, 3 – ამჟამად უარყოფილია წყაროს მე-3 მინიშნებაც, კავკასიის მთების შესახებ, რომ იბერია-ალბანეთის საზღვარი მიუყვებოდა მდინარეს, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და ვაკეზე უერთდებოდა მტკვარს.

ოკაზანი **„კავკასიის მთებიდან“** გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა.

„отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“.

საერთოდ, პლინიუსი საუბრობს იბერიასა და ალბანეთს შორის მოქცეულ სასაზღვრო რეგიონზე, სადაც მტკვარს უერთდება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე. ამ რეგიონში ასეთი მდინარე უპირველესად არის **მდ. ალიჯანჩაი,** რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინება და ვაკეზე მტკვარს უერთდება მინგეჩაურის წყალსაცავთან. ასევე, ასეთივეა, შაქის მახლობელი კავკასიის მთებიდან გამომდინარე ალაზნის მარცხენა უმთავრესი შენაკადი – გაიჩაი, (ჩვენ მას გიშისწყლის სახელით მოვიხსენიებთ) რომელსაც, ჩანს, ასევე ალაზანი ერქვა, ისევე, როგორც აქ გამავალ მრავალ მდინარეს, მაგალითად, იორსაც, ალაზნის მთავარ ძარღვთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ალიჯანჩაი კახეთის მუდმივი აღმოსავლეთის საზღვარი იყო, როგორც კახეთის პირველი სამეფოს დროს, ანუ მე-11 საუკუნემდე (В состав королевства входили территории от **Ксани** (западная граница) до реки **Алиджанчай (восточная граница**) и от **дидойцев** (северная граница) к югу вдоль **реки Мтквари** (южная граница).

https://www.wikiwand.com/ru/Первое_кахетинское_царство. ასევე მეორე სამეფოს დროს, ანუ მე-18 საუკუნეშიც. ამ მხრივ მდ. ალიჯანჩაი სრული სიზუსტით ემთხვევა პლინიუსის ცნობას ოკაზანის შესახებ.

ამ ნიშნით, აქ ყველაზე დიდი მდინარე, რომელიც მტკვარს უერთდება არის ალაზანი, მისი სათავე ასეულობით კილომეტრითაა დაშორებული მტკვართან შესართავს, მაგრამ, რადგანაც ამ მტკვრისპირა რეგიონის მახლობ-

ლად, სულ რამდენიმე კილომეტრში კავკასიის დიდი ქედის მთებია, რომ-ლიდანაც გამომავალი მდინარეები აქვე ვაკეზე ერთვიან მტკვარს, ამიტომ შევეხოთ მათ.

ვნახოთ ამ რეგიონს (მტკვარ-ალაზნის შესართავის ოლქს) ესაზღვრება თუ არა კავკასიის მთები.

ანუ **ვეძიოთ მესამე მინიშნება – 3. კავკასიის მთების ის მონაკვეთი, საიდანაც გამოედინება მდინარე, რომელიც აქ მტკვარს უერთდება.**

დიახ, არის აქ, ამ ვაკესთან ახლოს კავკასიის მთების მონაკვეთი (ეს ვაკე, როგორც ითქვა მტკვარ-ალაზნის შესართავთან ახლოს მდებარე აჯინოურის ვაკეა, ნაწილი ზემოთ აღნიშნული სხვა ვაკეებისა).

კავკასიის მთები უშუალოდ ესაზღვრება ამ ვაკეს, ამ ადგილებში მტკვრიდან კავკასიის მთებამდე სულ რაღაც 30–40 კილომეტრია.

კავკასიონის მთაგრეხილი 1500 კილომეტრ სიგრძეზე გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე მაგრამ, აღნიშნულ ადგილებში ის მტკარს ყველაზე მეტად უახლოვდება., რაც მეტადაა აღსანიშნავი.

ამ ვაკე-დაბლობზე მტკვარს უერთდება რამდენიმე მდინარე, რომელთა სათავეები არის დაბლობის მახლობელი კავკასიონის მთებში (ესაა ამჟამინ-დელი შაქის რეგიონი, სადაც მდ. ალიჯანჩაიზე ისტორიულად საუკუნეთა მანძილზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარები).

ხოლო რაც შეეხება ალაზანს, მართალია, ის ამ ადგილებში ერთვის მტკვარს, მაგრამ მისი სათავე ამ შესართავს ძალზეა დაშორებული, დაახლოე-ბით, 400 კილომეტრით.

მაშასადამე , 4 – უარყოფილია წყაროს მე-4 მინიშნებაც.

აქ, დაბლობში ალაზნის პირველი რიგის შენაკადია გიშისწყალი, ანუ აგრიჩაი, რომელიც აქ, აქვე, კავკასიის მთებში იღებს სათავეს.

გიშისწყალ-აგრიჩაი (გაიჩაი) თავისი წყალუხვობის გამო და ასევე, რად-განაც ის ალაზნის უმთავრესი შენაკადია, შესაძლოა მასაც უწოდებდნენ ალა-ზანს, მით უფრო, რომ ალაზანი აქ უამრავ მდინარეს ეწოდება.

აგრიჩაი-გიშისწყალი ამჟამად ძალზე ვრცელი რეგიონის მოსარწყავ სისტემებშია მოქცეული, მაგრამ პლინიუსის დროს ის გაცილებით წყალუხვი იქნებოდა, რადგანაც სათავეს იღებს კავკასიის მთის სოფელ ხილხალასთან ახლოს, საიდანაც იკვებება მისი მრავალი შენაკადი.

სახელი „ალაზანი“ კი ამ რეგიონში მრავალ მდინარეს ერქვა („პირიქითა ალაზანი“, „თუშეთის ალაზანი“, „მცირე ალაზანი“ – იორი (ქართული წყა-როები იორს „მცირე ალაზანს“ უწოდებენ) და სხვა.

მდინარე ალაზნის მთავარი ძარღვის ყველა შენაკადი „ალაზნად“ იწოდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩანს, ერთ დროს გიშისწალს, ანუ აგრიჩაის ასევე ალაზანი ერქვა.

პლინიუსი შესაძლოა ოკაზანს უწოდებს ალაზნის უმთავრეს წყალუხვ შენაკადს გიშისწყალს (აგრიჩაი – გეტარუ) და აგრეთვე მის წყალს ალაზანთან შერთვის შემდეგ ვიდრე მტკვრამდე.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ალბანიასთან მიმართებაში სწორედ ეს მდინარეც (გიშისწყალი, ანუ აგრიჩაი) შესაძლოა წოდებულიყო ალაზნად, რადგანაც მდინარის ეს უმთავრესი ძარღვი (აგრიჩაი) ალბანიასთან ყველაზე ახლოს იყო.

მაშასადამე, ოკაზანი, ჩვენი აზრით, გიშისწყალ-ალაზანია.

გიშისწყლის სათავე აქვე, კავკასიის მთებშია, ერთვის ალაზნის მთავარ ტოტს და მათი გაერთიანებული წყლები აქვე, ვაკეზე უერთდება მტკვარს, მაშასადამე, შესაძლოა, პლინიუსი ოკაზანს უწოდებდა გიშისწყლისა და ალაზნის გაერთიანებული წყლებით შედგენილ მდინარეს, რომელიც აქვე, ვაკეზე უერთდებოდა მტკვარს.

ის ახლოა სასაზღვრო პუნქტად მიჩნეულ „ხალხალთან“.

როგორც აღინიშნა, პლინიუსის გარდა, არსებობს ასევე სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ცნობები იბერიისა და ალბანიის სასაზღვრო პუნქტების შესახებ, ეღიშესა, მოვსეს კალანკატუაცისა და სხვათა ცნობები, კერძოდ, ისინი იძლევიან ინფორმაციას, რომ იბერიისა და ალბანიის საზღვარზე მდებარეობდა პუნქტი „ხალხალა“.

II. ეღიშეს ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვარო პუნქტ ხალხალას შესახებ

ცნობილია ორი პუნქტი, რომელნიც ატარებენ სახელს „ხალხალა“, ორივე ახლოა სასაზღვრო მდინარე გიშისწყალთან.

ეღიშე, სომეხი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მე-5 ან მე-6 საუკუნისა, წერს – „შეხვდა მათ **იბერიის საზღვართან, ქალაქ ხალხალში,** სადაც ალბანთა მეფეებს ჰქონდათ თავისი ზამთრის რეზიდენცია“.

„Это он написал и посвятил в это мазпана, имя которого было Себухт. А тот, когда услышал все эти ободряющие вести от Васака и, проверив, и утвердился в мысли, что с малосильным полком идет на него спарапет Армении, не стал выжидать в краях Чора, а сосредоточил все множество своих войск и поспешно перешел большую реку, именуемую Кур, и встретился с ним близ границ Иверии, против города Халхала, который был зимней ставкой царей – Албанских“ (Егише. О Вардане и войне армянской / К.Н.Юзбашян. – Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1971. – с. 77).

III. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტ „ხალხალას“ შესახებ

მოსე კალანკატუაცი მე-7 ს-ის სომეხი ისტორიკოსი, „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორი მსგავსადვე წერს – „და შეხვდა მათ **იბერიის საზღვარზე, ხალხალას** პირისპირ, ალბანთა სამეფოს საზამთრო რეზიდენციასთან“ .

Моисей Каланкатуйский передает: «…и встретился с ним на границах Иберии, напротив Халхала, зимней резиденции царства Албанского» (Политическая история и историческая география кавказской албании (III в. до н. э. – VIII в. н. э.) Баку «Элм» 1986).

ამჟამინდელი აგრიჩაის მახლობელ რეგიონში მართლაც ორი ისტორიული „ხალხალა“ არსებობდა, ერთი (ამჟამინდელ აზერბაიჯანში, ქალაქ ყაზახთან) ახლოს იყო „ხორანთასთან“ (იორ-ალაზნის შესართავთან), ხოლო მეორე ხალხალა დღესაც არსებობს ოგუზის რაიონში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასთან ახლოს კავკასიის მთებშია სათავე მდ. ალიჯანჩაისა (გალაჩაი), რომელიც აქვე ახლოს, დაბლობში მტკვარს უერთდება აჯინოურის ველთან.

შეჯამება: მაშასადამე, **ცნობა პლინიუსისა,** რომ იბერიასა და ალბანეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე, რომლიც კავკასიის მთებში იღებდა სათავეს და ბარში მტკვარს უერთდებოდა, საჩინო ხდება იორ-ალაზნის შესათავისა და ამჟამინდელ სოფელ ხილხილას (ხალხალას) შორის მოქცეულ რეგიონში (მათ შუა მდებარე ქ. შექის ოლქში), აქ ცნობა პლინიუსისა თვალნათელი ხდება, კერძოდ:

გიშისწყლის მახლობლად, სოფელ ხალხალასთან კავკასიის მთებში სათავეს იღებს ორი მდინარე: ესენია, ალიჯანჩაი და ტურიანჩაი, რომელნიც აქვე ახლოს მტკვარს უერთდებიან. 2. ამ ხალხალასთან ძალზე ახლოსაა სოფელი ამავე ეტიმოლოგიის სახელის მქონე – ძველი ციხე, ამჟამად კი სოფელი ფილფილა. რომ **მოვსეს კალანკატუაცის ცნობით** იბერიის საზღვარზე ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდა ჯარი ალბანეთის დასარბევად. ფილფილა იმითაა შესანიშნავი, რომ მასზე გადის ჩრდილო კავკასიასთან მტკვრის ხეობის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ამჟამადც მოქმედია, ხოლო ძველად კასპიისპირა ქალაქ ჩორს აკავშირებდა მტკვრის ხეობასთან და ბარდასთან.

როგორც ითქვა, ამ სოფელთან კავკასიის მთებში სათავეს იღებს მდინარე ტურიანჩაი, რომელიც, ალიჯანჩაის მსგავსად, აქვე, დაბლობზე მტკვარს უერთდება, რაც პლინიუსის მოთხოვნის შესაბამისია. სოფელი ახლოა გიშისწყლის სათავესთან. ასევე სახელ ფილფილას ეტიმოლოგია ჩვენ გვაგონებს **ლეონტი მროველის** სახელს გულგულა.

ამ შემთხვევაში, სამი წყარო ერთმანეთს ეთანადება – როგორც ითქვა, ხალხალა ამჟამინდელი სოფელია ამ რეგიონში კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეებთან (გიშისწყალ – აგრიჩაისთან და ალიჯანჩაისთან, გალაჩაისთან) ახლოს, ოგუზის რაიონში, ყოფილ ვართაშენთან.



IV. ლეონტი მროველის ცნობა ჰერეთ-კახეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გოლგოლას შესახებ

ამ თემასთან დაკავშირეით, ალბათ პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ტერმინი „გულგულა“ თელავთან გააიგივა არა ლეონტი მროველმა, არამედ ვახუშტიმ.

შესაბამისად, უნდა ვეძიოთ მეოთხე წყაროს – ლეონტი მროველის მიერ დასახელაბული გულგულას ადგილმდებარეობა.

ლეონტი წერს – **„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა“** (ქ.ც. 1. 1955, გვ.17).

მაშასადამე, ლეონტის მინიშნებები ასეთია –

– „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა

1. მტკურისა ჩრდილოთ,

2. მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა.

3. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა“.

მაშასადამე, **ჰერეთი არის ქვეყანა „მტკვრისა ჩრდილოთ“.**

ჰერეთი მტკვრის მიმდებარე, მახლობელი ქვეყანა ყოფილა, მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, როგორც ლეონტი ამბობს „მტკურისა ჩრდი-

ლოთ“, ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა „შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზნისათა“, ანუ იორ-ალაზნის შესართავთან მიმდებარედ.

ასეთია მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შაქის ოლქი, რომელსაც ქართულ წყაროებშიც ჰერეთი ერქვა, საარიშიანო.

ლეონტის თქმით – ჰერეთი იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე „ტყეტბამდე, რომელსაც აწ ჰქვია გულგულა“.



ეღიშესა და კალანკატუაცის მიერ იბერიასა და ალბანიას შორის საზღვრად დასახელებული პუნქტი „ხალხალა“ უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტყეტბა–გულგულა, რომელსაც ასახელებს ლეონტი. არა თელავთან მდებარე პუნქტი გულგულა, არამედ ხალხალა, ოგუზის (ვართაშენის) რაიონში. მასზე შუა საუკუნეებშიც გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი.

ოთხი წყაროს შეჯერება

იბერია-ალბანეთისა (და შემდგომ კახეთისა და ჰერეთის) საზღვრის შესახებ ოთხი წყაროს – **პლინიუს უფროსის, მოვსეს კალანკატუაცის, ეღიშესა და ლეონტი მროველის** ცნობების ურთიერთშეჯერებით აღმოჩნდა, რომ ისტორიულად იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარი თავდაპირველადვე გადიოდა შექის ოლქში, ემთხვეოდა ან მდ. ალიჯანჩაის, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ვაკეზე მტკვარს უერთდება,

ანდა მდინარე გიშისწყალ-ალაზნის გაერთიანებულ ნაკადს, რომელსაც, ჩანს, ერქვა კიდეც ოკაზანი.

მართალია, შემდგომ, მე-9 საუკუნიდან, ორიოდე საუკუნით, ჰერეთის საზღვარი კახეთის ხარჯზე შეიცვალა, მაგრამ, თავდაპირველი ანუ ისტორიული საზღავრი იორ-ალაზნის შესართავის ოლქში უნდა ვეძიოთ.

შესაბამისად, შეცდომაა იბერია-ალბანეთისა (და შემდგომ კახეთისა და ჰერეთის) ისტორიული სასაზღვრო ხაზის გავლება ამჟამინდელი კახეთის სიღრმეში (თელავთან ახლოს), რადგანაც ეს ეწინააღმდეგება წყაროებს, რაც შეეხება სასაზღვრო პუნქტ „ტყეტბა-გოლგოლას“, ის უნდა ვეძიოთ აღნიშნული მდინარეების სათავეებთან და არა თელავთან.

ვახუშტი ბატონიშვილის ორი ცნობა ჰერეთის გეოგრაფიის შესახებ

ვახუშტის I ცნობა

ვახუშტის ცნობით ჰერეთი ეწოდება გიშისწყლის მარცხენა სანაპიროს მხარეს, მარჯვენა სანაპიროს მხარეს ერქვა „კულმუხი“, კულმუხის ქვეყანასა და ჰერეთს შორის საზღვარზე გადიოდა მდინარე **გიშისწყალი**.

„ხორანთას „ქუეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელიც გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის... და მოდის გიშამდეს“ (ქ.ც.IV. გვ. 539).

აქ „კულმუხი“ ეწოდება ქურმუხს, ანუ ქურმუხის ოლქს, ანუ დღევანდელ საინგილოს.

მაშასადამე გიშისწყალი (აგრიჩაი) ერთმანეთისაგან ყოფდა ქურმუხის ქვეყანას (საინგილოსა) და ჰერეთს, როგორც ითქვა, **ქურმუხის ქვეყანას დღეს ეწოდება საინგილო,** ხოლო ვახუშტი მას უწოდებს „**კულმუხს**“.

კულმუხის ქვეყანა კახეთის ნაწილი იყო წმ. არჩილის დროსაც.

წყაროს ცნობით, არჩილის მიერ აგებული ნუხპატის ციხე-ქალაქი კახეთში მდებარეობდა, მდ. გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, შაქთან ახლოს (შაქი გიშისწყლის მარცხენა სანაპიროზე უნდა ყოფილიყო). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, ნუხპატსა და შაქს, ერთმანეთის მომიჯნავე ქალაქებს, ყოფდა გიშისწყალი, რომელიც ამავე დროს საზღვარი იყო კახეთსა და ჰერეთს შორის.

მ. ჯანაშვილი წერს **შაქის ოლქზე – „ძველთაგან ადგილი ესე კახეთის სამეფოს ნაწილი ყოფილა“** (მ. ჯანაშვილი, საინგილო, 1910, გვ.14).

შესაბამისად, თუკი მ.ჯანაშვილს შაქის ოლქი კახეთის ნაწილად მიაჩნდა, მით უმეტეს, **ის საინგილოსაც კახეთის ნაწილად მიიჩნევდა.**

მაშასადამე, ამჟამინდელი გაბატონებული თვალსაზრისი, რომ ამჟამინდელი საინგილოს მიწაწყალი ისტორიულად შედიოდა ჰერეთში, არის შეცდომა, პირიქით, **საინგილოს მიწაწყალი ისტორიულად შედიოდა „შიგნით**

კახეთის“ ოლქში, რომელსაც ჰერეთი ესაზღვრებოდა სამხრეთის მხრიდან და მათ ერთმანეთისაგან ყოფდა გიშისწყალი (აგრიჩაი).

როგორც ითქვა, მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როდესაც რან-არცახ-შაქის სამეფომ, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, დაიპყრო სამხრეთ კახეთი (შესაბამისად, შემდგომი საინგილოს მიწაწყალიც), მხოლოდ ამის შემდეგ სამხრეთ კახეთი გახდა ჰერეთის ნაწილი ორიოდე საუკუნის მანძილზე.

მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა სამხრეთ კახეთს ჰერეთი, ხოლო ისტორიულად, უძველესი ხანიდანვე, გიშისწყალი იყო საზღვარი კახეთისა, ამიტომაც წერდა ვახუშტი:

„დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“.

შესაბამისად, ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია ასეთი განსაზღვრება: „შიდა და გარე კახეთის მხარეებად დაყოფილი ჰერეთის ტერიტორია“,

როგორც ითქვა, სამხრეთ კახეთი დღევანდელ საინგილოსთან ერთად მიიტაცა შაქის მმართველმა საჰლ სმბატიანმა.

არაბებთან გმირულმა ომმა კახეთი ძალზე დაასუსტა, ამიტომაც შეძლო მან (საჰლმა) არაბი სარდლისა და მისი ჯარის დახმარებით მიეტაცებინა კახეთის ეს მიწები. მან არაბთა წინააღმდეგ გმირული აჯანყებების მეთაური ბაბეკიც დააპატიმრა და ხალიფას დასასჯელად გაუგზავნა. სანაცვლო ჯილდოდ, არაბებისაგან ბატრაკის, ანუ მეფის ტიტული მიიღო 1 მილიონ დირჰემთან ერთად. ეს ნიშნავდა, რომ მას უფლება მიეცა ნებისაებრ ემართა დაპყრობილი რანი (არანი) და სამხრეთ კახეთი.

აღსანიშნავია, რომ იმის შემდეგ, რაც მან მზაკვრულად ამოხოცა რანის ძველი დინასტია, ამჟამინდელი მთიანი ყარაბაღიც მის ხელში აღმოჩნდა.

ითქვა, რომ საჰლ სმბატიანს, ანუ საჰლ იბნსუნბატ ალ-არმანს არაბები ძალზე უჭერდნენ მხარს, რადგანაც მათთან თანამშრომლობდა, განსაკუთრებით შეიყვარეს და ბატრაკის ანუ მეფის წოდებით დააჯილდოვეს მას შემდეგ, რაც მან მზაკვრულად შეპყრობილი ბაბეკი გადასცა ხალიფას. ამის შემდეგ მისი ძალაუფლება გაიზარდა.

მაშასადამე, ისტორიული ანუ თავდაპირველი საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის იყო მდინარე გიშისწალი. ჩანს ამის შესახებ შესაბამისი ცნობა ჰქონია ვახუშტის, და წერს კიდეც ჰერეთის საზღვრის შესახებ – **„დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“.**

მაგრამ, იმის გამო, რომ ივ. ჯავახიშვილის კვლევით, მას არ ჰქონია ჰერეთის საზღვრების შესახებ უფრო დიდი ინფორმაცია, უფრო სანდოდ მიუჩნევია თავისი ვარაუდის გამოთქმა თელავის ახლო მდებარე პუნქტ გულგულასთან დაკავშირებით და ეს პუნქტი მიუჩნევია ძველ წყაროებში დასახელებულ ჰერეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბად. მაგრამ, მართლდება ვახუშის **პირველი ცნობა, რომ ჰერეთის სასაზღვრო მდინარე იყო გიშისწყალი.** შესაბამისად, **სასაზღვრო პუნქტი ტყეტბა-გულგულაც ამ მდინარის – გიშისწყლის მახლობლად უნდა ვეძიოთ**.

ვახუშტის II ცნობა

ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც აღინიშნა, ჰერეთ-კახეთის საზღვრის შესახებ აქვს ორი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული მოსაზრება, პირველის მიხედვით ჰერეთის საზღვარი გადიოდა მდ. გიშისწყალზე, ანუ შაქთან, ხოლო მეორის მიხედვით ჰერეთის საზღვარი გადიოდა თურდოსხევზე, ანუ თელავთან.

რომელი მათგანია საფუძვლიანი.

უნდა ითქვას, რომ თელავთან, ანუ გულგულასთან საზღვრის შესახებ ვახუშტიმ ცნობა აიღო ლეონტი მროველისაგან, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, თვითონ ლეონტი კი თავის დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე მომხდარ ამბავს გადმოსცემდა, როცა ლეგენდარულმა თარგამოსმა საზღვრები გაუყო თავის შვილებს, მათ შორის ჰეროსის ქვეყნის, ანუ ჰერეთის ერთ-ერთ სასაზღვრო წერტილად დასახელდა „ტყეტბა“.

ლეონტის დროს ამ სახელის (ტყეტბა) მქონე პუნქტი უკვე აღარ არსებობდა, ამიტომ ლეონტიმ გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს პუნქტი, ანუ ტყეტბა ყოფილიყო თელავთან ახლოს გულგულა (ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რაც მოცემულია).

რატომ უნდა მიეჩნია ლეონტის თელავთან ახლოს პუნქტი ჰერეთის საზღვრად?

იმ მიზეზის გამო, რომ **ლეონტის ეპოქაში (დაახლოებით IX-X სს.-ში) სამხრეთ კახეთი რეალურად უკვე იყო მიტაცებული შაქ-არცახ-რან-ხაჩენის სამეფოს, ანუ ჰერეთის** მიერ და სამხრეთ კახეთსა, ანუ მიწა-წყალს გიშისწყლიდან თელავამდე ჰერეთს უწოდებდნენ,

კახეთის ქორეპისკოპოსები და ზოგადად, საქართველოს ხელისუფლება აფხაზთა მეფეების სახით, არ ურიგდებოდა ამ ვითარებას დ ცდილობდნენ სამხრეთ კახეთის გათავისუფლებას, ანუ სამხრეთ კახეთის იმ მიწა-წყლის გათავისუფლებას, რომელიც მოქცეული იყო გიშისწყლიდან ვიდრე გავაზ-თურდოს ხევამდე. ამიტომაც აფხაზთა მეფეები იბრძოდნენ სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად. რაც ასახულია მატიანეებში.

იმის შემდგ კი, რაც შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო – „რანთა და კახთა სამეფო“, ჰერეთის უკვე არსებული შესაბამისი ტერმინები დარჩა სამხრეთ კახეთის ტოპონიმიკაში.

მაშასადამე, ვახუშტის ცნობა თელავთან ჰერეთის საზღვრის შესახებ შედეგია ლეგენდარული ცნობებისა და მე-9 საუკუნის შემდგომი რეალური ფაქტების აღრევისა.

რაც შეეხება ვახუშტის მეორე ცნობას, რომელშიც ჰერეთის საზღვრად დასახელებულია გიშისწყალი, ეს ცნობა ვახუშტის უნდა აეღო რომელიღაც ისტორიული დოკუმენტიდან, რომელიც ჯერჯერობთ შესაძლოა არა არის გამოვლენილი, ანდა დაიკარგა.

ამიტომაც მეორე ცნობა ჰერეთის საზღვრის შესახებ გიშისწყალზე ასახავს რეალურ ისტორიულ სურათს და მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა პირველ ცნობასთან შედარებით.

ამდენად, კახეთისა და ჰერეთის ისტორიული საზღვარი გიშისწყალია.

ვახუშტი წერს – „ქრისტესა ჩუ̈ᲒᲕ (1466), ქართული რნდ (154), მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მხარს, ელისენსა, შიგნით კახეთს, ქისიყს და გარეთ კახეთს“.

აღსანიშნავია,რომ სამხრეთ კახეთის ნაწილს ჰერეთი ეწოდა მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ, ანუ ვახუშის მიერ დასახელებული კახეთის ისტორიულ მხარეებს – გაღმა მხარს, ელისენს, შიგნით კახეთსა და ქიზიყს ჰერეთი ეწოდა მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ ანუ არაბი სარდლის ხალილ ისიდის ძის ლაშქრობის შემდეგ. მან დაპყრობილი სამხრეთ კახეთის აღნიშნული მხარეები შეიყვანა სახალიფოს მიერ გაძლიერებულ შაქის (ჰერეთის) მეფის საჰლ ალ არმანის სამეფოში.

იქამდე, უძველესი ხანიდან ვიდრე მე-9 საუკუნემდე საზღვარი ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდ. გიშისწყალზე (ზოგჯერ ალიჯანჩაიზე), რის შესახებაც ცნობა ჰქონია ვახუშტის და მან ეს ცნობა ჩართო თავის წიგნში.

მართალია, მან მიუთითა ჰერეთის ისტორიული საზღვარ მდ. გიშისწყალის შესახებ, მაგრამ ბოლომდე არ იყო დარწმუნებული და ზუსტად არ იცოდა ჰერეთის ისტორიული საზღვარი, წყარო (ლეონტი) სხვა საზღვარს აჩვენებდა, ამიტომ ვახუშტიმ ივარაუდა, რომ ისტორიულადაც უძველესი ხანიდან ჰერეთში შედიოდა აღნიშნული მხარეები.

როგორც აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ვახუშტის არ ჰქონია ცნობები ამ საზღვრების შესახებ.მას ცნობები ძირითადად ლეონტისაგან აუღია, მაგრამ ისინი გადამწერთა მიერ ყოფილა დამახინჯებული.

ივანე ჯავახიშვილი წერს – **„ამ საკითხის გამოსარკვევად იმაზე მეტი მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება, არც ვახუშტის ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული“** (ივ. ჯავახიშვილი, ტ. 1,1983, გვ. 41).

ჩვენი კვლევით, ვახუშტის ცნობები ასახავს იმ ფაქტს, რომელიც მე-9 საუკუნის შემდეგ შეიქმნა შაქის (ჰერეთის) სამეფოს მიერ სამხრეთ კახეთის მიწების მიტაცების გამო.

ლეონტის ცნობით, **„კახეთის მთასა და კავკასს შორის“,** ანუ გომბორსა და კავკასიონის ქედს შორის ტერიტორია ეკუთვნოდა კახოსს, რაც შეეხება კუხოსის კერძ მიწა-წყალს ის მდებარეობდა გომბორსა და მტკვარს შორის, ანუ **„კახეთის მთასა და მტკვარს შუა“.**

(ტერმინი „კახეთის მთა“, ბოლო დრომდეც კი, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის შრომებში, ერქვა გომბორის ქედს, მხოლოდ, მე-20 ს.-ში შეცვალეს ძველ საქართველოში დამკვიდრებული ტერმინოლოგია და „კახეთის მთა“ უწოდეს ქედს თიანეთთან ახლოს, რაც შეცდომათა ერთერთი სათავეა).

შესაბამისად, კახოსისა და კუხოსის საერთო ტერიტორია მოქცეული იყო კავკასიის ქედსა და მტკვარს შორის.

რაც შეეხება იმჟამინდელ ჰერეთს, მისი საზღვარი მიუყვებოდა იმ მდინარეს, რომელიც კავკასიის მთებში იღებდა სათავეს და მტკვარს უერთდებოდა, ასეთი მდინარეებია ალიჯანჩაი და გიშისწყალი, მათი სათავეები ერთმანეთის ახლოსაა, იქ, სადაცაა სოფლები ხალხალა და ფილფილა, აქ უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის სასაზღვრო სოფელი ტყეტბა-გულგულა, ვუწოდოთ მას კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პირველი წერტილი.

მეორე წერტილი კი იყო **იორ-ალაზნის შესართავი,** მტკვარ-ალაზნის შესართავათან ახლოს.

ამ წერტილების შემაერთებელი ხაზი იყო საზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ჰერეთსა და კახოს-კუხოსის ქვეყნებს.

ესაა ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობილი მოსაზრება.

საზღვარი კახეთ-ჰერეთისა, როგორც ითქვა, შეიცვალა მე-9 საუკუნის შემდეგ, რაც უკვე ასახულია ვახუშტის ცნობაში საზღვრებთან დაკავშირებით.

კერძოდ, მხოლოდ, მე-9 ს.-ში, კახეთ-ჰერეთის საზღვარმა მდინარე ალიჯანჩაიდან (ან გიშისწყლიდან) ჩრდილოეთით გადაიწია და ჰერეთის ხელში აღმოჩნდა კახეთის მიწები.

კერძოდ, ახლა ალიჯანჩაის (ან გიშისწყლის) ნაცვლად საზღვარმა ჩრდილოეთით გადაიწია და დაიდო ვახუშტის მიერ ნახსენებ „თურდო-შტორის ხევზე“.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩემს მიერ გადმოცემული მოსაზრების **პირველი ავტორია ვახუშტი ბატონიშვილი,** რადგანაც ის ჰერეთის თავდაპირველ საზღვრად მიიჩნევდა მდინარე გიშისწყალს. ის, როგორც აღინიშნა, წერდა –

„სად არს ხორანთა, მას ქუეით დიდ ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს...“ (ქ.ც.IV. გვ. 539).

ჰერეთის თავდაპირველი საზღვრის გაგებისათვს ვახუშტის ეს ცნობა არის უპირველესი, მას უნდა მიენიჭოს უმთავრესი მნიშვნელობა, ეს ცნობა ასახავს ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ცოდნას ჰერეთის თავდაპირველი, ანუ თარგამოსის ეპოქის ეთნარქების დროინდელი საზღვრის შესახებ კახეთსა და ჰერეთს შორის. ეს საზღვარი გადიოდა გიშისწყალზე, ანუ თავდაპირველად, ანუ მე-9 საუკუნემდე, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრად მიიჩნეოდა მდ. გიშისწყალი, შემდეგ კი ეს საზღვარი შეიცვალა და თურდოს ხევზე იქნა გადატანილი შაქის მეფეების, ანუ არაბთა ხელისფლების აგრესიის შედეგად. კულმუხი არის ქურმუხის ქვეყანა, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ. ამ მიმართულებით ჰერეთის ძველი საზღვარი გიშისწყალი იყო. ესაა ჩვენი თეორია, რომელიც **ეყრდნობა ვახუშტის** ამ ძვირფას ცნობას.

მაშასადამე, ვახუშტიმ თავის ნაშრომში შეიტანა უძველესი ცოდნა მდ. გიშისწყალზე ისტორიული ჰერეთის საზღვრის შესახებ.

ამის მიუხედავად, მას, როგორც ცნობილია, ჰერეთის საზღვარი არა გიშისწყალზე, არამედ უფრო ჩრდილოეთით, ე.წ. „თურდო-შტორის ხევზე გაყავდა“, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

ჩანს, მას მხედველობიდან გამორჩა უფრო ძველი ცოდნა მდ. გიშისწყალზე ისტორიული ჰერეთის საზღვრის შესახებ და ამის ნაცვლად დაეყრდნო ლეონტი მროველის ცნობას ტყეტბა-გულგულაზე. ვახუშტი ენდო იმ ფაქტსაც, რომ მართლაც თელავთან ახლოს მდებარეობდა იმავე დასახელების სოფლის – გულგულა, ამიტომაც დაასკვნა, რომ ეს იყო ლეონტის მიერ ნახსენები საზღვარი ჰერეთისა, ამავე დროს, რადგანაც ძველ დროს საზღვარი მდინარეს, ანდა რომელიმე ქედს უნდა გაჰყოლოდა, იფიქრა, რომ გულგულასთან მდებარე თურდო-შტორის ხევი იყო საზღვარი ჰერეთისა და ასევე შეიტანა კიდეც ის თავის თხზულებაში.

ტოპონიმი „გულგულა“ მსგავსია, მახლობელ თურქულენ სამყაროში გავრცელებული ტერმინისა – „გოლგოლ“

თურქულენოვან სამყარში გულგულა ნიშნავს „ლამაზ ტბას“, ანდა ლურჯ ტბას, ფაქტობრივად იგივეა, რაც ქართული ტერმინი „ტყეტბა“.

ამჟამინდელ აზერბაიჯანში რამდენიმე ასეთი დასახელების პუნქტი და ტბებიცაა (გოლ-გოლ), სხვათა შორის, ლეონტი მროველიც წერდა არა გულგულას, არამედ „გოლ-გოლას“.

Гёйгёль (азерб. *Göygöl – голубое озеро*) – озеро в западной части Азербайджана, расположенное на территории Гёйгёльского района, ეს ნიშნავს, რომ ტოპონიმი „გულგულ – გოლგოლ“, შესაძლოა ვეძიოთ მდ. გიშისწყლის არეალშიც. აღსანიშნავია, რომ ქართული ტერმინი „ტყეტბა“ ეთანადება კიდეც ამ ტოპონიმს, მისი თარგმანს სახე აქვს.

აქაურ ტოპონიმიკაში გაჩენილი თათრულ-თურქული სიტყვა „გოი-გოლ“ (აქედან – „გოლგოლა“) , ანუ ლურჯი, ლამაზი ტბა უნდა იყოს თარგმანი ქართული სიტყვისა „ტყე-ტბა“, მაგრამ ასეთი ტყე-ტბა და ლამაზი საკურორტო ადგილი უამრავი იყო კავკასიის ქედზე, ამიტომაც, როგორც ითქვა, ასეთი ტერმინი უამრავია აზერბაიჯანში, ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო გიშისწყლის სათავეში მდებარე ამჟამინდელი შესანიშნავი ტყიან-ტბიანი კურორტი სოფელ ხალხალთან და იქვე ფილფილასთან.

На севере села Халхал, овраги, названные Кордере, склоны гор, горячие минеральные источники, маленькие горные реки, долины; 3. На северо-востоке села Фильфилли лесные, овражные, родниковые склоны гор.

Рядом с селом находится природный водопад Хал-Хал.

https://ru.wikipedia.org/wiki/Халхал_(Огузский_район)#/media/Файл:Khalkhal,_Oghuz_(P1090343).

მაშასადამე, ჩვენი აზრთ, რასაც ეთანადება ვახუშტის ცნობა, რომ ჰერეთის საზღვარი მდ. გიშისწყალზე გადიოდა, სასაზღვრო ცნობილი პუნქტი „ტყე-ტბა გულგულა“ უნდა იყოს პუნქტი, რომელიც ამჟამად გიშისწყლის სათავეში მდებარეობს სოფლებ ხალხალთან და ფილფილთან, აქვეა შესა-

ნიშნავი ტყე-ტბები, რაც ფოტოზეც ჩანს, როგორც ეს ქვემოთაცაა რამდენჯერმე აღნიშნული.

შესაბამისად, ვახუშტის ცნობა, რომ გიშისწყალი იყო ჰერეთის საზღვარი – ასახავს თავდაპირველ, ისტორიულ ფაქტს.

სხვა ცნობები, რომელნიც კახეთ-ჰერეთის საზღვრებთანაა დაკავშირებული, როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, არის საეჭვო, რადგანაც ლეონტი მროველის იმ ცნობებზეა დამყარებული, რომელნიც გადამწერთა მიერ ძლიერ იყო დამახინჯებული და ვახუშტის დროისათვის გაუგებარი იყო.

„და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ჴევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგჳ, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჴევს, პანკისის ჴეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწურივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგჳ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჴევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ჰურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ), კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჴევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეითს, სამჴრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად კჳრიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი.

ხოლო შემდგომად განდგომილებისა ქ{რისტე}სა ჩუჲვ, ქარ{თულსა} რნდ, მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მჴარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჴრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მწარე წყალს ქუეით, მტკუარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარებს ქუეყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქუეყნისა ამის საშუალს არს მთა, რომელი გამოჴდების ფშავ-ღლიღვისსა-შორისის კავკასიდამ და გამოვლის მახჳლის ჴევსა და

ფშავს შორის, კუალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩდილოდამ სამჴრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამჴრით ქისიყი, დასავლით გარეთკახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კუერნაქადცა უწოდებენ თჳნიერ განკუეთისა არაგჳსაგან, ამისთჳს უწოდებენ გომბორის მთასაცა ქისიყამდე კუერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკასს შორისი ქუეყანა არს ტყიანი შაქამდე და მცირე-ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი, საგარეჯოს ქუეით უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო. თჳნიერ იორის მდინარისა, და მცირე-წყაროიანი. ხოლო ჰავითა არიან მშუენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყინვო, ვინაჲთგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისნი ქუემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.

„ლოპოტის წყლის შესართავის ზეით ალაზანს მოერთვის თურდოსხევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ ხევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყე-ტბა. ეს ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“ **(ვახუშტი, აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა, გეოგრაფია, 1904.გვ.162).**

ვახუშტი ცდებოდა, თურდოს ხევზედ მდებარე გულგულას არ უწოდებდა ლეონტი ტყე-ტბას, არამედ შაქის მთებში, კავკასიის ქედზე, იბერია-ალბანეთის სასაზღვრო სოფელ ხალხალასთან მდებარე ადგილს (ამჟამინდელ ფილ-ფილასთან), თუმცა აღსანიშნავია, რომ ვახუშტის ცნობა ასახავს იმ საზღვარს, რომელიც დაფიქსირდა იმის შემდეგ, რაც შაქის ჰერეთმა მიიტაცა სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი, მაშასადამე, ვახუშტის ცნობა უფრო მე-9 ს-ის შემდეგ ვითარებას ასახავს, ამ ადგილის ტოპონიმიკა შეცვლილა ამ მიტაცების გამო.

საინტერნეტო გვერდი წერს – „სახელწოდება ხალხალაში მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე კითხულობს გულგულას. გულგულას ადგილსამყოფელი უცნობი ყოფილა ჯერ კიდევ ლეონტი მროველის დროს, მით უმეტეს, მისი ადგილსამყოფელი დაზუსტებით არ სცოდნია ვახუშტისაც – ივ. ჯავახიშვილის კვლევით. ივ. ჯავახიშვილი გულგულას თელავთან არსებობის მოსაზრებას არ იზიარებდა და წერდა:

„ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი, უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცთება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი“. მოვსეს კალანკატუაცის

ცნობა აჩვენებს, რომ ქართველთა ქვეყნის საზღვარი მდებარეობდა პუნქტ ხალხალამდე. „ქართველთა საზღვრები მახლობლად ქალაქ ხალხალისა“. „მეორე რაზმი ჩააბარა ზორავარ ვარდანს, რათა ქართველთა საზღვრებთან შებრძოლებოდა ჩორის მარზპანს, რომელიც წამოსული იყო ალვანთა ეკლესიების დასარბევად“. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე საქართველოსა და ალვანეთს შორის საზღვარზე მართლაც აღნიშნულია პუნქტი სახელწოდებით ხილხალა. პუნქტი ხილხალა საქართველოსა და ალბანეთს შორის საზღვარზე იდო. აღნიშნული პუნქტი შაქსა და კაბალას შორისაა. დღესდღეობით შემორჩენილია სოფელი სახელწოდებით ფილფილა. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ალბანეთის დროინდელ საზღვარ ხილხილას უკავშირებს ქართლოსის დროინდელ ტყეტბა-გულგულას და მიაჩნია, რომ გულგულა-გოლგოლა-ხალხალა-ფილფილა ეტიმოლოგიურად ერთი და იგივე ძირის მატარებელნი არიან. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს ისტორია“, I ნაწილი, გვ. 111–13 .

ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია აღნიშნულ საზღვრებს რომ აღიარებდა XX ს-მდე, ეს ჩანს თვით იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან, რომელშიც ყმაწვილებს უხსნიდა – „ცივ-გომბორის მთა კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა, აღმოსავლეთის ნაწილს, „შიგნით კახეთი“ ჰქვია, აქეთას – დასავლეთისას – „გარეთ კახეთი“, უწინდელს დროში პირველს „საკუთრივ კახეთს“ უწოდებდნენ, მეორეს „კუხეთს“ ეძახდნენ. შიგნით კახეთს ალაზანი რწყავს, გარეთ კახეთს იორი“, – წერდა გოგებაშვილი, რომელიც იმეორებდა ძველი ქართული საისტორიო ისტორიოგრაფიის ათასწლოვან თვალსაზრისს.

როგორც ითქვა, XXს-ის საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ არ ცნო ეს საზღვარები, მან კახეთის მიწა-წყალი თელავამდე – ჰერეთში შეიყვანა, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით – „კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრები ზოგჯერ ერთმანეთში ირევა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

კახეთ-ჰერეთის საზღვრები ისაზღვრებოდა „იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუთხე ჰეგემონობდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში და თავის საზღვრებს აფართოებდა, მაგალითად, ერთ პერიოდში (IX–X სს.) ჰერეთი – კახეთსაც მოიცავდა, და პირიქით, კახეთში ჰერეთის ნაწილიც შედიოდა“ (იქვე, გვ. 41).

ასეთი მიზეზების გამო „ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

გიშისწყალი და ალიჯანჩაი – საზღვარი ისტორიულ კახეთსა და სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს შორის

ლეონტის ცნობით ტყეტბა – გულგულა **„მტკვრის ჩრდილოთ“,** ანუ მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, ასეთი მაგალიად, ყოფილა ეღიშეს მიერ დასახელებული ხალხალა, რაც შეეხება თელავის გულგულას, ის გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულია მტკვარს, თითქმის 300 კილომეტრით.

თელავის გულგულას დაკავშირება მტკვართან შეუძლებელია, გეოგრაფიული შეუსაბამობის გამო. მტკვარსა და თელავს შორის სხვა დიდ მდინარეთა ხეობებია.

თუკი, იბერია-ალბანიის საზღვარი არ გადიოდა თელავის გულგულასთან, მაშ სად გადიოდა ის?

ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ საეჭვოა გულგულას ლოკალიზება თელავთან, რომ ამ პუნქტის შესახებ ვახუშტისაც, მე-18 ს.-ში, უკვე აღარ ჰქონია ცნობები. **ტყეტბა-გულგულას მდებარეობა თელავთან ახლოს, ეეჭვებოდა ივ. ჯავახიშვილს.**

ამის მიუხედვად, ამჟამად მტკიცედაა მიჩნეული, რომ ის თელავთან, მის ოდნავ ჩრდილოეთით, თურდოს ხევთან მდებარეობდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს – **„ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).**

ივ. ჯავახიშვილი წერს –

„ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).

თუ თვით ლეონტი მროველის დროს უკვე აღარ იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა ტყეტბა-გოლგოლა, მით უმეტეს მე-18 საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ხოლო ივ. ჯავახიშვილს, როგორც ითქვა, ძალზე ეეჭვებოდა ამჟამად აღიარებული მოსაზრება, რომ ეს პუნქტი თელავთან მდებარეობდა.

მასაშადამე, თელავთან ახლოს მდებარე პუნქტი გულგულა არაა ლეონტის მიერ ნახსენები „გოლგოლა“ (გულგულა), ლეონტი, ჩანს, პუნქტ „ხალხალას“ გულისხმობდა.

ჩვენ, ქვემოთ, ვცდილობთ სხვადასხვა მეთოდით დავამტკიცოთ, რომ იბერია-ალბანეთის სასაზღვრო მდინარეების აგრიჩაის (გიშისწყლის), ალიჯანჩაისა და ტურიანჩაის სათავეებთან ახლოს, კავკასიის მთებში ამჟამადაც მდებარე სოფლები ხალხალა(იგივე ხილხილი) და ფილფილის არეალში მდებრეობდა ლეონტი მროველის მიერ ნახსენები ტყეტბა-გულგულა.

აღსანიშნავია, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვები „ხალხალა“ და „გოლგოლა“ თითქმის იდენტურია, გოლგოლა „მტკვრის ჩრდილოეთ“, ანუ მის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, ასეთია ვართაშენთან ახლოს მდებარე ხალხალა. მას უნდა ახსენებდნენ წყაროები.

ლეონტის ცნობის შესატყვისად, ამჟამინდელი ხალხალა „მტკვრის ჩრდილოთ“ მდებარეობს და საზღვარი ხალხალაზე გადიოდა ეღიშესა და კალანკატუაცის ცნობებით, ასეთია ოგუზის, ანუ ვართაშენის რაიონის პუნქტი ხალხალა.

ხალხალა იმით იყო ცნობილი, რომ მასზე გადიოდა და ამჟამადაც გადის გზა, რომელიც მტკვრის ამ რეგიონს აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ისტორიულად, ეს ხალხალაზე გამავალი გზა აკავშირებდა ალბანეთის ქალაქ ბარდას კასპიისპირეთის ქალაქ ჩორდთან (ჩორთან). ამ გზით შემოდიოდნენ არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ დამპყრობლებიც. თუმცა, რამდენიმე ათეულ კილომეტრში, ამავე რეგიონში, ვაკეზე, ასევე არსებობდა მეორე ქალაქი ამავე სახელით „ხალხალა“. ისიც სასაზღვრო ქალაქი იყო.

რადგანაც ჩვენ ვეძებთ საზღვარს იბერიასა და ალბანეთს შორის, საჭიროა დაზუსტება, კავკასიის მთებში მდებარე ხალხალას პირობითად ვუწოდოთ „ვართაშენის“ ან „ოგუზის ხალხალა“. ის უნდა ყოფილიყო საზღვრის მნიშვნელოვანი წერტილი, ჩანს, მას უწოდებს ლეონტი ტყე-ტბა გოლგოლას, მართლაც, აქ შესანიშნავი ტყეები და ტბებია, როგორც ეს მის ფოტოზეც ჩანს.

ნამდვილი ტყე-ტბაა სოფლებს ხალხალასა და ფილფილას შორის. ოგუზის რაიონი შეფენილია კავკასიის სამხრეთ ფერდზე და იმდენად მშვენიერი ბუნებისაა, რომ უწოდებენ აზერბაიჯანის შვეიცარიას. მისი ტერიტორიის ნახევარი დაფარულია ტყეებით, აქ ბევრია ჩანჩქერი, წყარო, ხაროს ხეხილი, აქ მდებარეობდა ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ტყე-ტბა-გულგულა, აქ ერთ-ერთ ქედს ეწოდება გურჯი-დაღი, ადგილობრივების გადმოცემით ამ ქედზე გადიოდა საზღვარი საქართველოსთან. (სახელი „ოგუზი“ დაარქვეს ყოფილ ვართაშენის რაიონს).

ოგუზის ხალხალადან გავლებული სასაზღვრო ხაზი, რომელიც უერთდებოდა იორ-ალაზნის შესართავთან მდებარე ჰერების ქალაქს ხორანთას – უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის, ეს ხაზი გაჰყვება კავკასიის მთებიდან გამომავალ ალაზნის მთავარ შენაკად გიშისწყალს, რომელიც ხორანთასთან ახლოს, უკვე ალაზნად სახელდებული, ერთვის მტკვარს.

ეს მდინარე (ალაზანი გიშისწყალთან ერთად, ანდა ახლოს ასევე კავკასიის მთიდან ჩამომავალი რომელიმე მდინარე, მაგალითად, ალიჯანჩაი), რომელიც დაბლობზე, ამ რეგიონში, მტკვარს ერთვის, უნდა იყოს საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ოკაზანი არის კავკასიის მთებიდან გამომდინარე მთავარი შენაკადი ალაზნისა (ყველაზე წყალუხვი სხვა შენაკადთა შორის), რომელიც ალაზანს ერთვის და უკვე ალაზნად სახელდებული აქვე, დაბლობზე, უერთდება მტკვარს, ის უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერებსა და ალაბანელეს შორის ამ მტკვრისპირა დაბლობზე.

მრავალი საუკუნის მანძილზე გიშისწყლის სათავე (იქ, სადაც ოდესღაც არსებობდა ტყეტბა-გულგულა), ამჟამინდელ სოფლებ ხალახალასა და ფილფილასთან ახლოს, წარმოადგენდა კახეთის სამეფოს სასაზღვრო წერტილს. კახეთის სამეფოს სასაზღვრო ხაზი იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან, გაივლიდა აჯინოურის ტბას და უერთდებოდა სოფელ ფილფილას. ეს იყო კახეთის ტრადიციული საზღვარი და ლეონტი მროველიც ამ საზღვარს აღწერს ჰეროსის წილხვედრი ქვეყნის საზღვრის გადმოცემისას, კერძოდ კი, ეს ხაზი ერთმანეთისაგან ყოფდა ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს. **„XVII**

საუკუნის დასაწყისამდე კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც იორ-ალაზანი მდ. მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის (გიშჩაი) გაყოლებით კავკასიონის ქედამდე გადიოდა“.
https://ka.wikipedia.org/wiki/kaxeTis_samefo.



ამ რუკაზე კახეთის სამეფოს საზღვარს წარმოადგენს მდ. გიშისწყლის შენაკადი Kingdom – of – Georgia – after – dissolution – as – a – unified – state, – 1490 – AD.svg.png

ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის, რომ სწორედ ამ ხაზზე გადიოდა არაბობის დროს გურზანისა (გურჯისტანის) და ალ-რანს (რანს) შორის საზღვარი, აქ გადიოდა შუა საუკუნეებში კახეთის სამეფოს საზღვარი, აქ ახლაც გადის საზღვარი აზერბაიჯანის ორ ეკონომიკურ რაიონს შორის (ზაქათალა-შექის ეკონომიკური რაიონი აქ ესაზღვრება შირვანის ეკონომიკურ რაიონს).

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ დაცულია პლინიუსის ყველა მინიშნება იბერია-ალბანიის საზღვართან დაკავშირებით, კერძოდ, საზღვარი გადის დაბლობზე, მდინარეზე, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და უერთდება მტკვარს.

ოკაზანი მდინარე ალიჯანჩაია ანდა გიშისწყალია (აგრიჩაი), რომელიც ალაზანთან შერევის შემდეგ უკვე თვითონაც ალაზნად იწოდება.

როგორც აღინიშნა, იბერია-ალბანიის საზღვარზე პუნქტ ხალხალას შესახებ აღნიშნავენ ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი.

მდინარე გიშისწყალთან ახლოს მდებარეობს ორი პუნქტი „ხალხალა“, ერთი ალაზნის მტკავრთან შესართავის ახლოს, მეორე მის შენაკად გიშის-წყლის სათავეში.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ხალხალა სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ალაზან – მტკვრის შესართავს, ხოლო მარცხენა სანაპიროზე მდებარე ხალხალა არის გიშისწყლის სათავეში, მთაში (გიშის-წყალს აღნიშნულ რუკაზე „გეტარუ“ ეწოდება).

ორივე ხალხალა საზღვარზე იყო იბერიასა და ალბანეთს შორის, სხვათაშორის, მთის ხალხალასთან ახლოს, სოფელ ფილფილასთან მე-20 საუკუნეშიც კი ადგილობრივები ერთ-ერთ იქაურ ქედს უწოდებდნენ „გურჯი დაღს“ და აღნიშნავდნენ, რომ ის იყო საზღვარი ძველი საქართველოსი. „Село **Филь-Филли**, Самое высокогорное село Огузского района р.Азербайджан. 1160 метров над уровнем моря. Расположена на правом берегу реки Галачай, у южного склона Кавказских гор, в 10 км. на север от деревни Хачмаз. Так же граничит с лезгинскими сёлами: Мухас, **Халхал**. На севере граничит с Селом Фий Ахтынского района р. Дагестан“ https://vk.com/wall-42106541_925

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ან ფილფილა, ანდა ხალხალი იყო ის ტყე-ტბა-გოლგოლა, რომელიც ლეონტი მროველის სიტყვით ერთმანეთისაგან საზღვ-რავდა ჰერეთსა და კახეთს.

ამიტომ, ალბათ, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, ფილფილასთან ახლოს კავ-კასიის მთებიდან გამომავალი მდინარე გალაჩაი, რომელიც აქვე, დაბლობში მტკვარს უერთდება, იწოდებოდა კიდეც ოკაზანად პლინიუსის დროს.

მაშასადამე, ოთხი წყაროს – პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალან-კატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშეჯერებით მივედით დასკვ-ნამდე, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის ერთმანეთს აერთებდა ხორანთასა და ხალხალას (ოგუზ-ვართაშენთან).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ხაზზე გადიოდა საზღვარი მე-8 საუკუ-ნეში არაბების მიერ დაპყრობილ გურზანსა (გურჯისტანსა) და ალბანეთს (რანს) შორის (არაბებმა დაპყრობილ ალბანეთს „ალ-არმინიია 1“ უწოდეს, ხოლო გურზანს „ალ-არმინიია 2“, მათ შორის საზღვარი მოცემულია რუკაზე), ასევე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისა თუ სახელმწიფო წარმონაქ-მნებისა საუკუნეთა მანძილზე, რაც მოცემულია ქვემოთ.

ამ რუკაზე, საზღვარი გურჯისტანსა და არანს (ალ-არმინიია 1) შორის გადის მდ. ალიჯანჩაისთან
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Emirate_of_Armenia_750-885.png

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ხალხალასა და ფილფილასთან კავკასის მთებიდან გამომდინარე აგრიჩაისა და გალაჩაის შორის, მიწის ძალზე მცირე მონაკვეთში გაედინება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე ალიჯანჩაი (Алиджанчай).

ეს სამი მდინარე – აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი მთიდან გამოედინებიან ერთმანეთთან ძალზე ახლოს, შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. როგორც ითქვა, დიდი ვაკის გავლის შემდეგ ალიჯანჩაი და გალაჩაი უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი, აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყაროს მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

მდ. აგრიჩაი გაედინება დიდ ველზე, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან – აგრიჩაის ვაკე“, ხოლო გალაჩაი და მდ. ალიჯანჩაი მტკვარს უერთდებიან „შირვანის ვაკეზე“. ეს ორი ვაკე ერთმანეთს უერთდება იმ რეგიონში, სადაც უნდა ყოფილიყო საძიებელი საზღვარი.

აქვე, იორ-ალაზნის შესართავთანაა აჯინოურის დიდი ვაკე თავისი ტბით, რომელსაც ასევე აჯინოური ეწოდება. აქ, ამ ტბასთან გადიოდა კახეთის

სამეფოს საზღვარი საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-17 საუკუნემდე, და შემდეგაც, რომელიც იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან და ამ ტბის გავლით მიემართებოდა გიშისწყლის სათავისაკენ. ასეთი იყო სასაზღვრო ხაზი კახეთის სამეფოსი ამ რეგიონში.

იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი, წყაროს შესაბამისად, უნდა ვეძიოთ სწორედ აქ, კავკასიის მთებიდან გამომავალ აღნიშნულ მდინარეებთან, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი დიდი მტკვრისპირა ვაკე, ამჟამადაც აქ გადის საზღვარი „შექი-ზაქათალას ეკონომიკური რაიონსა“, ხოლო წინა საუკუნეებში აქ გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალბანეთს, მე-8 საუკუნისათვის კახეთსა და ჰერეთს შორის.

ამჟამადაც კი, 21-ე საუკუნეში, საზღვარი შაქი-ზაქათალასა და შირვანის ოლქებს შორის გადის იქ, სადაც ჩვენ ოთხი წყაროს ურთიერთშეჯერებით დავადგინეთ საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის.
http://www.azerbaijan.az/portal/Society/Tourism/tourism_r.html?tourism_04https

საბოლოოდ, პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშჯერებით, უნდა დავასკვნათ:

დასკვნა:

იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრად დასახელებული მდინარე ოკაზანი შესაძლოა იყოს იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეთაგან რომელიმე, ესენია – გიშისწყალი (აგრიჩაი), გალაჩაი და ალიჯანჩაი.

გიშისწყალი ალაზანთან შერთვის შემდეგ მალევე უერთდება მტკვარს დაბლობზე, მას, ვახუშტი მიიჩნევდა ჰერეთის საზღვრად.

ალიჯანჩაი, რომელიც პლინიუსის ცნობის შესაბამისად კავკასიის მთებიდან გამოედინება და დაბლობში მტკვარს უერთდება, რეალურად მრავალი საუკუნის მანძილზე იყო საზღვარი კახეთის სამეფოსი, ასევე, არაბობის დროს ეს მდინარე საზღვარავდა ერთამანეთისაგან გურზან-გურჯისტანის ოლქს (ალ-არმინიია II) და რანის ოლქს (ალ-არმინიია I), შემდეგ კი ამ მდინარეზე გადიოდა სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ოლქების საზღვრები. ჩვენი მტკიცებით უფრო ამ მდინარე ალიჯანჩაიზე გადიოდა იბერია-ალბანეთის საზღვარი პლინიუსის ეპოქაში.

ეს სამი მდინარე – აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი კავკასიის მთებიდან გამოედინებიან ამჟამინდელ სოფელ ხალხალასთან და სოფ. ფილფილთან ახლოს შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. ამ სოფლებთან ახლოს, ჩვენი შეხედულებით, ეგულებოდა ლეონტო მროველს კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პუნქტი „ტყეტბა გულგულა“. ხალხალი ისტორიულად იბერიის სასაზღვრო წერტილი იყო.

როგორც ითქვა, ალიჯანჩაი და გალაჩაი დიდი ვაკის გავლის შემდეგ უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი, აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყაროს (პლინიუსის) მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

შესაბამისად, რომელიმე ამ მდინარეთაგანი (აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი) ერთმანეთისაგან ყოფდა იბერებსა და ალბნელებს ხორანთასთან ახლოს.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეხედულება ჰერეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

საბჭოური ისტორიოგრაფიის თანახმად, ჰერები ალბანელები იყვნენ, რომელნიც შემდგომში გაქართველდნენ და თანაც, თითქოსდა, ალბანელები კახეთის თავდაპირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

ეს საკითხი ასევეა მოცემული 2012 წ. გამოცემულ, „საქართველოს ისტორიის“ II ტომში, რომლის მიხედვითაც ჰერები მიიჩნევა არა ქართველებად, არამედ ალბანელებად, კერძოდ, იქ ნათქვამია: „**ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია**“ (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180).

ამასთანავე მიიჩნევა, თითქოსდა, ისტორიულად **ჰერეთს ეკუთვნოდა ამჟამინდელი კახეთის მიწა-წყალის დიდი ნაწილი – ბოდბე, დავითგარეჯის მონასტრების ტერიტორია.**

იქვე აღნიშნულია, თითქოსდა, ჰერეთში მოღვაწეობდნენ სირიელი მამები: „**ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი**“ (იქვე, გვ. 181), – წერს II ტომის ავტორი. ჰერეთი კი გაქართველებულ ალბანელებად მიაჩნიათ. ჰერ-ალბანელებს აკუთვნებენ ბოდბე-გურჯაანის რეგიონში მცხოვრებთაც, რომელთა ქართიზაცია თითქოსდა მოხდა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე. მაშასადამე, ამ II ტომის ავტორის წარმოდგენით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ჰერეთში შედიოდა, სადაც სირიელი მამები – დავითი, იოსები, აბიბოსი და სტეფანე მოღვაწეობდნენ, თუკი **„ჰერები ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევა“** (როგორც ის წერს), მაშინ დავით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა (აღნიშნული ავტორის ლოგიკით) ალბანელების ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა (ამჟამად, დავით გარეჯას ალბანელების სახელის გამოყენებით გვედავებიან კიდეც).

აღნიშნული ავტორის მოსაზრება, რომ ჰერეთი არ იყო ქართული ქვეყანა და ჰერები ისტორიულად არ იყო ქართული ტომი, არაა ორიგინალური, რადგანაც 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიაში გამეორებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თეორია კახეთის დიდი ნაწილის ე.წ. ქართიზაციის შესახებ.

2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილ იქნა მოხსენება – **„ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია** შუა საუკუნეებში, სადაც ნათქვამია: **„ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი** წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ [დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24–26 ნოემბერი, 2005].

ქართველი მეცნიერი წერს:

– მეფე მირიანის დროს ბოდბე ახლად შემოერთებული იყო, აქ **„ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო“** –

და განაგრძობს –

„ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც“ (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ ჰერეთ-ალბანეთი ერქვა კახეთის მიწა-წყალს ვიდრე თელავის სოფელ გულგულამდე, რომელიც ისტორიულ პუნქტ „ტყეტბა-გოლგოლად“ მიაჩნიათ,

შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ სამხრეთ კახეთის მოსახლეობა, თითქოსდა, გაქართველებული ალბანელები და სომხები იყვნენ და წმიდა ნინო მათ აქართველებდა.

ეს თეორია ეწინააღმდეგება საეკლესიო წყაროებს, არა მხოლოდ ქართულს, სომხურსაც კი.

მაგალითად, ამ თეორიის საწინააღმდეგოა მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ **წმიდა ნინო ქადაგებდა ქართველთა შორის ვიდრე მასქუთეგამდე** (ამჟამინდელ შუაგულ აზერბაიჯანამდე).

მოვსეს ხორენაცი, მეხუთე საუკუნის მოღვაწე, შეიძლება ითქვას, თითქმის წმიდა ნინოს თანამედროვე იყო, მის დროს შეიძლება ჯერ კიდევ ცოცხალი იყო წმიდა ნინოს მომსწრე რომელიმე პიროვნება, ამიტომაც მოვსეს ხორენაცის ცნობა გაცილებით სანდოა, ვიდრე მე-20 საუკუნის მკვლევართა მტკიცებანი.

მოვსეს ხორენაცს მოსახლეობა „კლარჯეთიდან მასქუთეგამდე“ (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთეგამდე) ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (აქამდე, „ქართველთა ქვეყანაში“ , იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ.

სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს:

„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით **ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა.** გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან **იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს“** (მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, 1984, გვ. 172).

მცხეთიდან ვიდრე მასქუთეგამდე მდებარე ვრცელი ოლქები მ. ხორენაცის „**ქართველთა ქვეყნის კუთხეებად**“ მიაჩნია.

წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით, იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, **საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას – კლარჯეთიდან ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. კასპიის ზღვამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე – ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ.**

ასე რომ, ხორენაცის აზრით, დარიალამდე (ალანთა კარამდე) მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები კი არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ ქართველები.

ასევე, მასქუთების ქვეყნამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე, მცხოვრები **ჰერები მოვსეს ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად**.

ხორენაცისაგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს „პროზელიტიზმის **სიმბოლო“ აღუმართავს ახლად შემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში** (უჯარმა – ბოდბეში) და წერს – „**მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი – ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო – „აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ“** (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

ბოდბესთან ჩამოყალიბდა, ჩვენი მეცნიერის სიტყვით, **„ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად“** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა.

მათ მიერ ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ჰერეთ-ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება.

წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, როგორც ისტორიკოსი წერს. საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების „ასიმილაცია – გაქართველების“ მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

ეს არაა ერთეული ისტორიკოსების კერძო მოსაზრება, არამედ არის საბჭოური ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი თვალსაზრისი, რომელიც აისახა კიდეც ეპოქის ოფიციალურ გამოცემებში.

იგივე ითქმის წმიდა ასურელი მამების მიმართაც, ისინი ქართლში ქადაგებდნენ და არა ალბანეთში, როგორც ამჟამად მიიჩნევა.

ასურელი მამებისათვის კახეთი ქართლის ნაწილი იყო, ქართულენოვანი ხალხით დასახლებული, ამიტომაც, წყაროს ცნობით – მათ უფლის მიერ მიენიჭათ ქართული ენის ცოდნა, რათა ამ ენით ექადაგათ, მათ შორის ქართლის ერთერთ ნაწილ – კახეთში.

ასურელი მამის დავით გარეჯელის „ცხოვრება“, ისევე, როგორც სხვა ასურელი მამებისა, გვამცნობს, რომ მათ, როცა ისინი ჯერ კიდევ სირიაში იყვნენ, თვით უფალმა **ღმერთმა უბრძანა, რომ სირიიდან წასულიყვნენ „ქართლის ქვეყანაში“** და იქ ექადაგათ, ანუ ასურელი მამები უფლის ბრძანებით ჩამოვიდნენ ქართლში (ქართლში და არა ჰერეთ-ალბანეთში).

შესაბამისად, ასურელი მამები ქადაგებდნენ ქართლში და არა ჰერეთ-ალბანეთში, ასე წერს წყარო.

ამიტომ 2012 წელს ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსების მტკიცება, რომ ასურელი მამები ჰერეთში მოღვაწეობდნენ, არის წყაროს გამრუდება, მით

უფრო, რომ მათ ჰერეთი არაქართულ, ალბანურ, ქვეყნად მიაჩნიათ, რომელიც გარკვეულ ეტაპზე თითქოსდა გაქართველდა.

მაშასადამე, არასწორია ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსი, როცა წერს – **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი**“ (იქვე, გვ. 181).

როგორც ითქვა, დავითგარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ისტორიულად კახეთის პუნქტები იყო და არა ჰერეთისა, რადგანაც ჰერეთი მოქცეული იყო მდ. გიშისწყალსა და აღსუს (თეთრწყალს შორის), საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა მდ. გიშიწყალთან, კერძოდ, იორ-ალაზნის შესართავიდან სასაზღვრო ხაზი გაივლიდა იქვე მდებარე აჯინოურის ტბასთან და უერთდებოდა ამჟამინდელ პუნქტებს, სოფ. ხალხალასა და ფილფილს, რომელსაც ლეონტი მროველამდე ტყეტბა-გულგულა ერქვა, რის მტკიცებაც მოცემულია ქვემოთ.

(კვლავ შევნიშნავთ, ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ ჰერები, თითქოსდა, თარგამოსის ეპოქიდან, ანუ თავდაპირველადვე იყვნენ მკვიდრები კახეთისა და შემდგომში აქ მოხდა მათი ე.წ. ქართიზაცია. **ჰერებს არა თუ აზერბაიჯანელები, ქართველი მეცნიერებიც (იხ. ქვემოთ) ალბანელებად მიიჩნევენ,** რომელნიც თურმე შემდგომში ქართიზებულნი იყვნენ. იგივეს წერს, მაგალითად, არათუ ჩვენი ყველაზე ოფიციალური გამოცემები (მაგალითად, ოთხტომეული „საქართველოს ისტორია“, 2012), არამედ საინტერნეტო გვერდებიც, მაგალითად, საჯარო ქართული საიტი წერს:

– „...ისტორიკოსთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ჰერეთში სახლობდნენ საქართველოს აღმოსავლეთით მცხოვრებ ალბანელებთა ნაწილი, რომელმაც შემდგომ ქართლიზაცია განიცადა“.
https://ka.wikipedia.org/wiki/kaxeTis_istoria 18.01.2021.

მაშასადამე, ამჟამად ბავშვებს ასწავლიან, რომ კახეთის დიდ ნაწილს მოიცავდა ჰერეთი, ხოლო ჰერეთში ცხოვრობდნენ ალბანელები!

ქართველი მეცნიერების შეცდომითი მტკიცებანი, რომ კახეთი ისტორიული ალაბანელების ქვეყანაა, რომელიც გაქართველდა, მყისიერად გამოიყენა უცხოელი მეცნიერების ნაწილმა და ისინი უკვე წერენ იმის შესახებ, რომ კახეთი, თელავის ჩათვლით, ისტორიული ალბანეთია. მაგალითები უამრავია.

ზოგიერთი რუსი მკვლევრის შეხედულება კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

კახეთს ალბანეთ-აზერბაიჯანის ნაწილად ასევე აცხადებს ზოგიერთი უცხოელი ავტორი.

ისინი გურჯაანისა და ბოდბის ეკლესიებს ალბანური არქიტექტურის ძეგლებად მიიჩნევენ და ამ სიცრუეს არავინ აპროტესტებს! კერძოდ, ეს მეცნიერები ბოდბესა და გურჯაანის ეკლესიებს ალბანური არქიტექტურის ძეგ-

ლებს უწოდებენ გამოკვლევაში „Архитектурное наследие Албанской Церкви“ და წერენ –

„В качестве **архитектурных памятников Албанской Церкви** логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической **области Камбисена**, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в **Гурджаане и Бодбе** к эпохе VII-IX веков, до включения области в царство кахов и ранов“

http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/. Бакинское епархиальное управление Азербайджанская Республика, г. Баку, ул .Ш.Азизбекова, 205 тел.(+99412) 440-43-52

მაშასადამე, აზერბაიჯანის რუსული ეპარქია მიიჩნევს, რომ, მაგალითად ბოდბის ეკლესია ალბანური არქიტექტურის ძეგლია. ხოლო, ალბანეთის საეკლესიო ცხოვრების ცენტრი, მე-12 საუკუნეშიც კი, თითქოსდა იყო კახი-ზაქათალას ოლქი. ანუ საინგილო, თითქოსდა მე-12 საუკუნეში ალბანური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. აქ აღნიშნულია –

„центрами церковной жизни были Арцах (XI век) и Кахи-Закаталы (XII век)“.

სიცრუითაა გადმოცემული ალბანეთის საეკლესიო ისტორია მოსკოვის სასულიერო აკადემიაში

МОСКОВСКАЯ ДУХОВНАЯ АКАДЕМИЯ

Кафедра Истории Древней Церкви

Иеромонах Алексий (Никоноров)

История христианства в кавказской Албании, Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия, Научный руководитель: профессор Б.А.Нелюбов

Сергиев Посад, Троице-Сергиева Лавра, 2004 г., План диссертации: Введение Актуальность темы 2. Значение работы для Церковной науки 3. Метод работы 4. Краткий анализ и оценка используемых источников 5. Обзор литературы по данной теме Основная часть 1. Географическое положение Кавказской Албании в истории 2. Население и язык Кавказской Албании 3. Государственное устройство 4. Первоначальная религия албанов до принятия христианства 5. Иудейские общины в ветхозаветный и новозаветный периоды

I. Апостольский период 1. Проповедь апостола Варфоломея 2. Святой Елисей

II. Римско-Византийский период 1. Политическая история Кавказской Албании в IV веке 2. Принятие Христианства. Царь Урнайр и равноапостольный Григорий Просветитель 3. Святитель ригорис,архиепископ Албанский 4. Вопрос юрисдикции

III. Христианство в Албании при Аршакидах в V веке 1. Политическая история Кавказской Албании в V веке 2. Царь Есваген и Месроб Маштоц

3. Албанские мученики за веру в V столетии 4. Албанский царь Вече II 5. Вачаган III Благочестивый и Агуэнский Собор 6. Внешние связи Албанской Церкви

IV. VI век в истории народов Закавказья 1. Политическая история Албании в VI столетии 2. Соборы Закавказских Церквей и отношение к Соборам Вселенским 3. Локализация армянских епархий

V. Христианство в Албании при Михранидах в VII веке 1. Политическая ситуация в Албании в VII веке 2. Албанский католикос Виро 3. Хазарская миссия католикоса Елиазара и епископа Исраиля

VI. VII. Последующая судьба Албанской Церкви

VIII. Архитектурное наследие Албанской Церкви IX. Предстоятели Албанской Церкви ЗАКЛЮЧЕНИЕ

აღნიშნულ დისერტაციაზე დაყრდნობით, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი არასწორად წერს, თითქოსდა – **„ალბანეთის საეკლესიო ცხოვრების ცენტრი მე-12 საუკუნეში იყო კახი-ზაქათალა**“, მაგრამ, მათ ავიწყდებათ, რომ მე-12 საუკუნეში ალბანეთი საერთოდ აღარ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება ქალაქებს კახსა და ზაქათალას, ისინი ამ საუკუნეში და შემდგომში, დიდხანს, კახეთის ცენტრებს წარმოადგენდენ ერთიან დიდ საქართველოს სახელმწიფოში.

რუსული ეპარქია იმეორებს ზემოთაღნიშნული დისერტაციის ერთერთ დასკვნას – „VII. Последующая судьба Албанской Церкви...центрами церковной жизни были Арцах (XI век) и **Кахи-Закаталы (XII век).** http://baku.eparhia.ru/history/albania/after_viii_centure/.

ეს დისეტრაცია კი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაშია დაცული, შესაბამისად ის წარმოადგენს სახელმძღვანელს ყველა რუსული ეპარქიისათვის, და ასევე უცხოეთის საპატრიარქოებიათვის.

სიცრუის ერთ-ერთი საფუძველია საბჭოთა ეპოქაში ისტორიული კამბისენას ადგილმდებარეობის არასწორი განსაზღვრა, კერძოდ, როგორც აღინიშნა, მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფია კამბისენას ათავსებს მტკვრის ხეობაში.

ჩვენი კვლევით, რომელიც მოცემულია ქვემოთ, კამბისენა, იგივე კამბეჩანი მდებარეობდა არა ქიზიყში, არამედ მის მეზობლად, მტკვრის ხეობაში და მის სამხრეთით, კერძოდ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით, სადაც მტკვრის, ალაზნისა და იორის წყლები იკრიბება.

მტკვრის ეს ხეობა, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, თავის დროს იყო კლდეებითა და გორებით შემოსაზღვრული ვრცელი რეგიონი, სადაც მრავალი ქალაქი და სოფელი საზრდოობდა იქაური სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ასევე აქ გადიოდა ალბანეთ-იბერიის დამაკავშირებელი გზა, რაც ასევე ხელს უწყობდა აქ სავაჭრო ქალაქების წარმოქმნას.

თუმცა აქვე, მტკვრის პირზე, იყო ჭაობები, სადაც ბუნებრივად მრავლდებოდნენ კამეჩები, რომლის სახელიც დარქმევია ამ ოლქს – კამბეჩიანი, კამბეჩანი, კამბისენა.

სტრაბონი ახსენებს აქაურ კლდეებსა და ჭაობებს იბერია-ალბანეთის დამაკავშირებელ გზაზე.

კამბეჩანი თავდაპირველად იბერიაში შედიოდა, იქამდე, სანამ არმენიამ იბერიას არ წაართვა ვრცელი ოლქები ძვ.წ. მე-2 საუკუნეში – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა „მტკვრის იქით“, როგორც წერს სტრაბონი.

380-იანი წლების ბოლოს, სასანიდების მიერ ე.წ. „არმენიისა და იბერიის დანაწილების“ დროს, ეს ოლქი ალბანიას გადაეცა და ის ალბანეთის ნაწილად იქცა, სხვა მიწებთან ერთად.

რაც შეეხება ასევე ალბანიაში იმ დროისათვის შემავალ ჰერეთს, ის მდებარეობდა უშუალოდ კამბისენას გვერდით და, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოიცავდა ტერიტორიას გიშისწყლიდან ვიდრე აღსუმდე. ჰერეთს, აღნიშნულ საზღვრებში, სტრაბონი „გოგარენას“ უწოდებს „მტკვრის იქით“ (გუგარქი და გოგარენა სხვადასხვა ოლქები იყო).

სტრაბონის მტკიცებით, გოგარენა ქართული, ანუ იბერიული ქვეყანა იყო, ის შემდეგ არმენიისა და ალბანეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მაგრამ მას თავისი ქართული სახე არ დაუკარგავს მე-5 საუკუნეშიც კი, რაზეც მიუთითებს მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ქართველთა შორის ვიდრე მასქუთების ქვეყნამდე. მასქუთების ქვეყანა ისტორიულ გოგარენას, ანუ შაქი-გაბალას ოლქს ესაზღვრებოდა მდ. აღსუს, ანუ თეთრწყლის მხარეს.

ამ ოლქმა ალბანური ელფერი უფრო მეტად მიიღო მე-6 საუკუნიდან, რაც მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ალბანეთის კათალიკოსების ტახტი 552 წელს გადმოიტანილ იქნა კასპიისპირა ქალაქ ჩორიდან ბარდავში. ამ დროს ჩანს ბარდავის ოლქში გადმოსახლდა ალბანური საეკლესიო და პოლიტიკური ელიტაც. იმჟამინდელმა ჰერეთმა ანუ შაქი-გაბალას ოლქმა, მართალია, მე-6 საუკუნის შემდეგ მიიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება და შესაბამისად, მონოფიზიტური ორიენტაცია, მაგრამ მე-10 საუკუნეში მან შეძლო დაბრუნებოდა მშობლიურ, ანუ ქართულენოვან ღვთისმსახურებას და ქალკედონიტობას.

ჩორიდან ბარდავში ალბანეთის საპატრიარქო ტახტის გადატანის შესახებ (551 -552 წლებში) მოვსეს კალანკატუაცი წერს –

„когда было положено начало армянскому летосчислению, в том самом году **патриарший престол Алуанка был перенесен из города Чола в столицу Партав** из-за разбойничьих набегов врагов креста Христова“.

http://ru.hayazg.info/Мовсес_Каланкатуаци._История_страны_Алуанк/Книга_2_гл._1-28

მოსაზრებანი კახეთ-კუხეთის საზღვრებთან დაკავშირებით

ეპოქაში, როცა უცხოელი შემფასებლებიც კი წერენ, რომ ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციისა და „ერის ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც დაუსრულებელია“, ასეთ დროს ქართველი ისტორიკოსების მტკიცება, რომ მაგალითად, კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი (მათ შორის ინგილოების ჩათვლით) ქართიზებული ალბანელებია, არის უპასუხისმგებლობა. მით უმეტეს იმ დროს, როცა ისინი არ ეყრდნობიან ანდა ამახინჯებენ ქართულ წყაროებს, ანდა მის ცნობებს მიაწერენ და ანიჭებენ სულ სხვა დატვირთვას, მაგალითად, სრულიად თითიდანაა გამოწოვილი აზრი, თითქოსდა წმიდა ნინოს დროს ბოდბე ალბანელების ქალაქი იყო და წმიდა ნინო ალბანელებს აქართველებდა, ესაა თეორია წარსული ისტორიის დამახინჯებისა, რომელიც ზეობობს საქართველოში უკანასკნელი სამეცნიერო სიტყვის სახით.

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია თავის დასკვნაში წერს – „საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთაგანაც თითოეულს ჰქონდა საკუთარი ტრადიციები, ჩვეები და დიალექტები; მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში ცალკე ენაც კი, რომლებიც ქართულის მსგავსია. **ეთნიკური კონსოლიდაციისა და ერის ჩამოყალიბების პროცესი არ იყო დასრულებული**“.
https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf

კახეთისა და კუხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი წყარო გაგვაჩნია, ეს არის ქართლის ცხოვრების შესავალი, ის ლეონტი მროველს მიეწერება და მასში საუბარია, თუ რა ტერიტორიები გადასცეს ეთ-ნარქებმა თარგამოსმა და ქართლოსმა ჰეროსს, კახოსსა და კუხოსს, იგულის-ხმება ქრისტეშობამდე ათასწლეულით ადრე.

ლეონტი მროველის ამ ცნობით სარგებლობდა ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, დროთა ვითარებისა და გადამწერთა შეცდომების გამო ეს ცნობები არაზუსტი ანდა საერთოდ უვარგისი იყო საზღვრების დასადგენად, ამიტომაც ივანე ჯავახიშვილს აეჭვებდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ამ ქვეყნების საზღვრებთან დაკავშირებით.

ლეონტის გარდა ამ ქვეყნების საზღვრების გაგება შეიძლება ასევე სხვა მემატიანისა და ზოგიერთი სიგელ-გუჯარით, მაგრამ არც ისინი აკმაყოფი-ლებდა ივანე ჯავახიშვილს, რის შესახებაც ზემოთაცაა საუბარი.

მე-20 საუკუნეში ამ თემას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ ცოდნას ერთგვარად აჯამებს ისტორიკოსი დავით მერკვილაძე თავის ნაშრომში „დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული კუთვნილებისათვის (მოკლე მიმოხილვა)“ http://eprints.tsu.ge/619/1.

ამ მშვენიერ ნაშრომში, როგორც ითქვა, ერთგვარად შეჯამებულია მე-20 ს-ის ისტორიკოსთა ცოდნა კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ, ამიტომაც განვიხილოთ ის ამ კუთხით.

ჩემი აზრით, მე-20 ს-ის საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა მთავარ შეცდომას წარმოადგენს არასწორი განსაზღვრა ლეონტის მიერ სასაზღვო ხაზად მოხსენიებული „კახეთის მთისა“.

ძველ საქართველოში „კახეთის მთა“ ეწოდებოდა გომბორის ქედს (რასაც ასახულია იაკობ გოგებშვილის ნაშრომებში), ხოლო ტერმინით „თავი კახეთის მთისა“ აღინიშნებოდა გომბორის ქედის საწყისი გორები იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს, როგორც ეს მრავალჯერაა გამეორებული ქვემოთ.

ლეონტი ნათლად წერს, რომ კახოსსა და კუხოსს მიეცათ ქვეყანები მტკვრიდან ვიდრე კავკასიონამდე, რომელთა შორის საზღვარი იყო კახეთის ქედი, ანუ გომბორის ქედი („კახეთის მთა“).

შესაბამისად, კუხოსის ქვეყანა მოქცეული იყო კახეთის მთასა და მტკვარს შორის, ანუ გომბორის ქედსა და მტკვარს შორის, ხოლო კახოსის ქვეყანა – კახეთის მთასა (ანუ გომბორის ქედსა) და კავკასიონს შორის.

მაგრამ, ბატონი დავით მერკვილაძე კახეთის მთას უწოდებს არა გომბორის ქედს, არამედ ე.წ. **„იანლო-საგურამოს“** ქედს.

ის წერს – **„გამოკვლეულია, რომ ლეონტი მროველის“ კახეთის მთა“ დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედია**“. ამის შედეგად მისთვის ისტორიული კახეთი მცირე ქვეყანაა არაგვიდან საგურამოს ქედამდე, შესაბამისად, კუხეთისა და კამბისენას ანუ კამბეჩანის ლოკალიზაციაც არასწორია.

მაგალითად, ის თავის შესანიშნავ ნაშრომში – „დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული კუთვნილებისათვის (მოკლე მიმოხილვა)“ იზიარებს მიღებულ აზრს, რომ კუხეთს **აღმოსავლეთიდან** ესაზღვრებოდა კამბეჩოვანი (ქიზიყი).

ის წერს – „კუხეთს აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა კამბეჩოვანი, მოგვიანებით ქიზიყად სახელდებული ქვეყანა“.

ამ შემთხვევაში ის ცდება, კუხეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არა კამბეჩოვანი, არამედ გომბორის ქედი, ხოლო კამბეჩოვანი – **კამბეჩანი, მდებარეობდა მტკვარზე.**

კუხეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არა კამბეჩოვანი, არამედ ისტორიული კახეთი.

კუხეთის ეპოქაში შედგენილი ცნობილი წყარო მე-7 ს. სომხური გეოგრაფია მას არ დაეთანხმებოდა. რადგანაც კამბეჩანი არა ქიზიყს მოიცავდა, არამედ, სხვაგან, მტკვარზე მდებარეობდა.

ასე წერს მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფია. კერძოდ, ის ტერიტორია მტკვარზე, რომელიც ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით, ოდესღაც კამბეჩანად (კამბისენად) იწოდებოდა, აქვე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მოიცავდა საკასენა.

არასწორი ლოკალიზაციის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია წყაროში სასაზღვრო ხაზად დასახელებულ „კახეთის მთის“ არასწორი განსაზღვრება, რაც უნდა იყოს ფუძე უამრავი ქართველი მეცნიერის შეცდომისა, რამაც კახეთი ალბანეთად წარმოსახა.

როგორც აღინიშნა, ის ავითარებს აზრს – **„გამოკვლეულია, რომ ლეონტი მროველის“ კახეთის მთა“ დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედია**“.

მაგრამ, რადგანაც ქართული წყაროების „კახეთის მთა“ არის, როგორც ითქვა, არის არა საგურამო-იანლოს, არამედ გომბორის ქედი, შესაბამისად, კუხოსის წილი ქვეყანა მოქცეული იყო გომბორის ქედსა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსის ქვეყანა მოიცავდა ტერიტორიას გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის, რაც შეეხება ჰერეთს, ის მოქცეული იყო იორ-ალაზნის შესართავის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს, რომელსაც **შექის ოლქს** უწოდებდნენ.

ასევე ესმის ეს საკითხი „მოქცევაი ქართლისაისა“ და სუმბატ დავითის ძეს. ისინი ერთხმად, **ჰერეთს უწოდებენ შაქს,** მაგალითად, როცა მეფე გიორგი I-ს მიუვიდა დამხმარედ კახთა და **ჰერთა ლაშქარი**, სუმბატ დავითის ძე მათ უწოდებს „წანართა და **შაქის ლაშქარს“.**

აქ, წანარეთის ქვეშ კახეთი იგულისხმება, ხოლო, **„შაქის ლაშქარი“ ჰერეთის ლაშქარია,** ანუ, სუმბატ დავითის ძე ჰერეთს უწოდებს შაქის ოლქს.

მემატიანისათვის, ჰერეთი არის შაქის ოლქი, ამიტომ, მისთვის, შაქის ლაშქარი ჰერეთის ლაშქარია.

შაქი ანუ ჰერეთი კახეთსა და კუხეთს სამხრეთის ანუ შაქის (შექის) მხრიდან ესაზღვრებოდა. ანუ, კახეთი და კუხეთი ჰერეთს ანუ შაქის ოლქს, იორ-ალაზნის შესათავის ოლქში ესაზღვრებოდა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან (როგორც ეს ჩანს ჩვენს რუკაზე), აქვე, ახლოს მდებარეობდა გომბორის ქედის საწყისი გორები, ანუ „თავი კახეთის მთისა“, ეს ქედი კი, როგორც ითქვა, ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთსა და ჰერეთს. აქვე, ამავე მდინარეების მტკვართან შესართავის რეგიონში, შაქის ოლქის მოსაზღვრედ, მდებარეობდა კამბეჩანი.

მაგრამ, სრულიად განსხვავებულია მტკიცება ქართველი მეცნიერებისა, რომელნიც არასწორად **მიიჩნევენ, თითქოსდა, კუხეთს აღმოსავლეთიდან ალბანეთი (ჰერეთი) ესაზღვრებოდა**.

დავით მერკვილაძეც მსგავსად მიიჩნევს, რომ კუხეთს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ალბანეთი, ხოლო, კუხეთს (კახეთი) მხოლოდ ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა.

ასევე ესმის ზოგიერთ ისტორიკოსს მემატიანის ნათქვამი, რომ მეფე ფარნავაზმა **კახეთის ერისთავს მისცა ტერიტორია „არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“**, მათ მიაჩნიათ, რომ ჰერეთია შემდეგდრონდელი კახეთი და კუხეთი, სინამდვეილეში კი, წყარო ამბობს, რომ კახეთი და კუხეთი მდებარეობდა არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე და ეს ქვეყნები (**კახეთი და კუხეთი),** მდებარენი ჰერეთამდე, მიეცა კახეთის ერისთავს.

წყაროს ცნობა, რომ ქართლის მეფე მირიანმა **„მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“**, ნიშნავს, რომ რევის საუფლისწულოა მიწა-წყალი კავკასიონის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე (ანუ კავკასიის ქედიდან გომბორის ქედამდე, და ამ ქედიდან ვიდრე

მტკვრამდე) იყო განფენილი, ამიტომ მეცნიერის გამონათქვამს, რომ **„კუხეთის აღმოსავლეთი საზღვრის პირდაპირ მითითებას მემატიანეებთან ვერ ვხვდებით“,** არ შეიძლება დავეთანხმოთ, როგორც ითქვა, კუხეთს აღმოსავ-ლეთიდან კახეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჰერეთი სულ სხვაგან, რანის მიმარ-თულებით მდებარეობდა.

კუხეთს, როგორც ითქვა, აღმოსავლეთიდან ე.წ. „კახეთის მთა“, ანუ გომბორის ქედი ესაზღვრებოდა.

ბოდბე შედიოდა კუხეთში და არა კამბისენაში, **რაც სწორად აქვს გამოკვლეული მეცნიერს**. ის წერს – „ამ წყაროებში არაერთგან ფიქსირდება, რომ ამ დროს კუხეთის (// კოხეთის // კხოეთის) ტერიტორიაზე მოიაზრება დაბა ბოდბე (// ბოდი // ბოდისი). ვინაიდან ამ ხანაში კუხეთი აღმოსავლეთით ბოდბესაც მოიცავს, უდავოა, მის საზღვრებში გარეჯის მხარეც თავისთავად იგულისხმება“.

მე-4 საუკუნეში, მირინის ძის, ბაქარ მეფის სამეფო ტახტი შეარყიეს მისმა ძმისწულებმა, რომელთაც გადაწყვიტეს მოღალატეობრივად დაკავში-რებოდნენ უცხო სახელმწიფოს, რათა ბიძა ტახტიდან ჩამოეგდოთ. აჯანყება დამარცხდა. გამარჯვებულმა მეფე ბაქარმა ძმისწულები იმით დასაჯა, რომ მათ თავიანთი საუფლისწულოს უკეთესი ნაწილი – კახეთი ჩამოართვა და შედარებით ხრიოკი კუხეთი დაუტოვა.

ამ ცნობიდანაც კი ჩანს, რომ კახეთი მათი წილი სუფლისწულოს საუკე-თესო ნაწილი იყო, რადგანაც კახეთი, როგორც ითქვა, მოიცავდა ტერიტორიას გომბორიდან კავკასიონამდე.

ამჟამად ამ ჩვენი მოსაზრების საპირისპიროდ მიიჩნევა, რომ კახეთი, თითქოსდა, ერქვა მიწა-წყალს არაგვიდან ვიდრე იანლოს მთამდე (მარტყო-ფამდე).

ჩემი მსჯელობა ასეთია – თუკი იმჟამინდელი კახეთი მოიცავდა მცირე, მთა-ხევებიან ტერიტორიას არაგვიდან ვიდრე იანლოს მთამდე, მაშინ მისი ჩამორთმევა სასჯელი არ იქნებოდა სახელმწიფოს მოღალატეებისათვის, სი-ნამდვილეში, მეფემ რევის ძეებს ჩამოართვა უვრცელესი ნაყოფიერი ქვეყანა კახეთი, მოქცეული კავკასიონის ქედიდან ვიდრე გომბორამდე. აი, ამიტომ იყო მისი ჩამორთმევა სასჯელი.

ასეთი მთლიანობა კახეთ-კუხეთისა, რომელსაც დიდი მხარე – გარდა-ბანი დაემატა, სერიოზული საფრთხე გახდა არაბებისათვის, ცნობილი კახე-თის საქორეპისკოპოსოს სახით.

ჩემთვის ცხადია, რომ პატარა სამთავრო, მოქცეული იანლოს მთიდან არაგვამდე, ვერ შეძლებდა თავის წიაღში კონსოლიდაციას მასთან შედარებით, ისეთი დიდი ქვეყნებისა, როგორიც იყო იმჟამად გარადაბანი და კუხეთი.

სინამდვილეში, კახეთი იყო **არა პატარა სამთავრო** მოქცეული იანლოს ქედსა და არაგვს შორის, როგორც წარმოუდგენიათ ჩვენ ზოგიერთ ისტო-რიკოსს, არამედ უმსხვილესი ერთეული მოქცეული გომბორის ქედსა და კავკასიონს ქედს შორის, ამიტომაც არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ გავაზთან დამარცხების შემეგ, მართალია ვეღარ შეძლო კაახეთის სრული

დაპყრობა, მაგრამ, რადგანაც უკვე დაპყრობილი ჰქონდა გავაზის ქვემოთ მდე-ბარე კახეთის მიწაწყალი, ის ჩამოართვა კახეთის საქორეპისკოპოსოს და გადასცა არაბთა ერთგულ შაქის ჰერეთს.

მან, დაახლოებით 840 წელს გავაზთან ომის შემდეგ, კახეთის საქო-რეპისკოპოსოს ჩამოართვა მიწა-წყალი გავაზის ქვემოთ ვიდრე გიშისწყლამდე და ის გადასცა მის მომხრე შაქის, ანუ ჰერეთის იმჟამინდელ მეფეს საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანს. მას დიდად წყალობდა ხალიფა და მოვსეს კალანკატუაცის ცნობით – „არმენიის, ივერიისა და ალუანქის **მეფის**“ წოდება მიანიჭა.

ისტორიული სამხრეთ კახეთის (ანუ გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშის-წყლამდე) ტერიტორიის დაპყრობით საჰლ ალ-არმანი იბერიის ერთი ნაწილის მფლობელად იქცა, ანუ მან ხალიფას ნება აღასრულა.

ამ მიტაცებულ კახურ მიწებს ჰერეთი დაერქვა, ანუ ისტორიული სამხრეთ კახეთი ჰერეთის ნაწილად ჩაითვალა.

მას (საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანს) ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რომ არ გადაედგა არაბთა შემწეობით, ანუ სამხრეთ კახეთი რომ არ დაეპყრო გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე, ვერ შეძლებდა პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას და შემდგომ რანის შემომტკიცებას.

სამხრეთ კახეთს ჰერეთი დაერქვა ამ დროიდან, ვიდრე მე-11 საუკუ-ნემდე, თითქმის ორი საუკუნე, რამაც შესაძლოა შესაბამისი ტოპონიმიკაც ჩამოაყალიბა, რომელიც შენარჩუნდება შემდეგაც.

აღსანიშნავია, რომ შემდგომ, კახთა და რანთა გაერთიანებულ სამეფოს ერქვა არა კახეთ-ჰერეთის სამეფო, როგორც მას უწოდეს მე-20 საუკუნეში, არამედ აღნიშნული სახელი – **„რანთა და კახთა სამეფო“.**

მის მეფეს ერქვა არა კახეთ-ჰერეთის მეფე, არამედ „რანთა და კახთა მეფე“, ასეა ეს წოდება გადმოცემული წერილობით წყაროებში და მათ შორის საფლავის ეპიტაფიაზე.

რატომ უნდა მივაქციოთ ამ სახელებს ყურადღება?

ეს სახელები გვიხსნის, თუ რომელ ქვეყანას ერქვა სინამდვილეში ქართულ წყაროებში ჰერეთი.

აღნიშნული ოფიციალური სახელიდან (რანთა და კახთა სამეფო) ჩანს, რომ **ჰერეთი ერქვა რანს, ანუ შაქისა და ბარდავის მხარეებს** და არა თელავის ახლო მდებარე მიწა-წყალს, როგორც ახლა წარმოუდგენიათ.

მაშასადამე, **ჰერეთი ერქვა რანს,** საინგილო კი არასოდეს ყოფილა რანის ნაწილი, ის მუდამ ქართლის სამეფოში ან კახეთის ოლქებში შედიოდა.

რამ გამოიწვია ჰერეთის სახელის მიმართ განუსაზღვრელობა?

ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჰერეთის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა ათასი წლის წინ.

ჰერეთის სახელი უკვე გაქრა მეორე ათასწლეულის დასწყისშივე და ცვლად გეოგრაფიულ სახელად იქცა. გეოგრაფოსები მასზე ნაკლებ ინფორ-მაციას ფლობდნენ და მისი ადგილმდებარეობის შესახებ მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამდნენ. მოგვიანებით, სრულიად დავიწყებული ჰერეთი მე-18 საუ-კუნეში ვახუშტი ბატონიშვილმა გაიხსენა მაშინ, როცა შესაბამისი ცნობები

უკვე დაკარგული იყო. ივანე ჯავახიშვილის კვლევით, ვახუშტის ვარაუდები ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ არაა სანდო, რადგანაც მას იმაზე მეტი ცნობები ჰერეთის შესახებ არ გააჩნდა, რაც ჩვენ გაგვაჩნიაო, წერდა ის.

ჰერეთზე უფრო ადრე გაქრა სახელი პოლიტიკური ალბანეთისა (მე-7 საუკუნის ბოლოსათვის), გაქრა თვით ალბანელი ხალხი არაბებისა და თურქ-სელჯუკების შემოსევათა შედეგად, საქართველოს სახელმწიფო კი გაძლიერ-და და მისი პოლიტიკური საზღვარი ისტორიული ჰერეთის ბოლოში, მდი-ნარე თეთრწყალზე (აღსუზე) დაიდო.

როგორც ითქვა, ჰერეთის გაქრობიდან მხოლოდ 700–800 წლის შემდეგ დაინტერესდა ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი ვახუშტი მისი საკითხებით. ის, იმჟამად არსებული აშლილი და არეული ცნობებით სარგებლობდა და ამიტომაც შეცდა ჰერეთის ისტორიული საზღვრების დადგენისას, კერძოდ კ,ი მან ჰერეთის უძველეს ისტორიულ საზღვრად მიიჩნია მე-9 საუკუნისათვის ხალილ ისიდის ძისა და საჰლ სმბატიანის დროს (ანუ, შაქის ჰერეთის განვრცობის დროისათვის), არსებული საზღვარი კახეთის სიღრმეში.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევრის თვალსაზრისი კახეთთან დაკავშირებით

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი არასწორად მიიჩნევს და წერს, რომ „ინგილოები არიან ალბანელები და ქართული ეკლესია მათ აქართვე-ლებს (საინგილოს კახის რაიონში), რადგანაც იქ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზეა“. აზერბაიჯანელები ინგილოების შესახებ წერენ, რომ ამჟამად მიმდი-ნარეობს მათი **„გაქართველება ქართული ეკლესიის მიერ**“ (მათი ტექსტები მოგვყავს რუსულად, ხოლო ჩვენ მიერი თარგმანი – ქართულად).

„Грузинская церковь. Имеет как теологический, так и политический отрицательные аспекты. Церковная служба и язык в церкви на основе грузинского языка. Исход – в дальнейшем все **население грузинифицируется**. Пример, удины с. Октембери и **ингилойцы-христиане Кахского района**. Политический аспект – территориальные притязании под воззванием западной и восточной Кахетии, опять же под прикрытием единой конфессии. Пример СВ часть Азербайджана для Грузии (Белокани-Закатали-Кахи-Алазани-Шеки). Албанская церковь: история, реальность и перспективы; его место в церковной иерархии и в политической жизни Азербайджана. Р. Мобили 24.01.2012 от udi.az. http://udi.az/articles/0013.html

ისინი წერენ – **„კეშიკჩი – დავითგარეჯა – ალბანური წარმოშობის სამონასტრო კომპლექსია, ალბანელების ისტორიული მემკვიდრე აზერ-ბაიჯანია, ამიტომ ალბანური მონასტერი მას ეკუთვნის. მისი ქარ-თველებისათვის გადაცემა იქნება აზერბაიჯანელი მეცნიერების მრავალწლიანი შრომის წყალში ჩაყრა“.**

ისინი წერენ:

„Вопрос о принадлежности храмового комплекса Давид Гареджи («Кешикчи» по-азербайджански). Он расположен в 80 километрах от Тбилиси на границе Грузии и Азербайджана. Часть комплекса находится на территории Азербайджана. по версии азербайджанской стороны, монастырский комплекс – албанского происхождения Баку, заявляющий себя историческим наследником христианской Кавказской Албании, считает монастырь своим.

https://noev-kovcheg.ru/mag/2019-05/6554.html

Интервью с директором института истории имени А. Бакиханова Национальной Академии Наук Азербайджана, **членом-корреспондентом Академии** Ягубом Махмудовым.

აზერბაიჯანის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იაკუბ მახმუდოვი ამტკიცებს, რომ საქართველომ მიიტაცა აზერბაიჯანული ტერიტორიები საინგილოში და დავითგარეჯას რეგიონში, რომ წითელწყარო-გურჯაანის რეგიონი ისტორიული აზერბაიჯანია, შეხედეთ რუკას, როგორ არიან ქართველები შემოჭრილი აზერბაიჯანის მიწაზეო, რომ თბილისის საამიროს გაუქმებამდე ეს იყო მუსულმანების ტერიტორიები, მაგრამ აქ ქართველებმა გააჩანაგეს მეჩეთები და მედრესებიო.

http://www.kavkazoved.info/news/2012/10/24/territoria-gruzii-iskusstvenno-uvelichivalas-za-schet-azerbajdzhana.html

Одной из важнейших культурных и религиозных достопримечательностей Южного Кавказа – средневекового албанского монастырского комплекса «Кешикчи» (грузинская сторона называет его церковью Давида Гареджа), расположенного на горе Чобандаг.Читать далее: აზერბაიჯანის კულტურული და რელიგიური ღირსშესანიშნაობა შუა საუკუნეთა სამონასტრო კომპლექსი „კეშიკჩი“ https://az.sputniknews.ru/politics/20101208/43596350.html

«При этом азербайджанские историки утверждают, что **памятники монастырского комплекса Давид Гареджи («Кешикчи») в основном имеют албанское происхождение**, и так как **азербайджанская сторона является наследником албанской культуры**, **Давид Гареджи («Кешикчи») принадлежит им**», – отмечено в сообщении.

„აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ დავითგ არეჯის სამონასტრო კომპლექსი კეშიკჩი ძირითადად ალბანური წარმოშობისაა. აზერბაიჯანის მხარე კი არის მემკვიდრე ალბანური კულტურისა, ამიტომ დავითგარეჯი მათ ეკუთვნით“.

Читать далее: https://az.sputniknews.ru/politics/20101208/43596350.html

Среди спорных отрезков границы присутствует небольшая территория в 25 кв. км, на которой находится монастырь Кешикчи (по грузинской терминологии – монастырь Давида Гареджи). Грузины настаивают на передаче им всей горы, на которой находится этот христианский монастырь VI века. Наши, естественно, отдать соседям стратегически важную возвышенность в Агстафинском районе, **с вершины которой можно видеть Тбилиси**, на расстоянии 60 км, принципиально не хотят. В этом есть и историческая

подоплека. Как считает заместитель директора Института археологии и этнографии АН Азербайджана Наджаф Мусейбли, участок комплекса, вокруг которого вновь разгорелся территориальный спор, исторически принадлежит Азербайджану. «На означенной территории ещё с IV в. до нашего летоисчисления по VIII в. нашей эры находилось **Албанское царство**, и грузины там не жили. С течением времени на этом месте расселились кивчаги, принявшие христианство, а Албанское царство прекратило существование».

ქართული თარგმანი ასეთია – „საზღვრის სადავო მონაკვეთებს შორისაა მცირე ტერიტორია 25 კვ. კმ., რომელზეც მდებარეობს მონასტერი კეშიკჩი – დავითგარეჯა.

ქართველები ითხოვენ ამ მთის მთლიანად გადაცემას, მაგრამ ჩვენები პრინციპულად არ აპირებენ გადასცენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე, **რომლის წვერიდანაც შეიძლება თბილისის დანახვა, თბილისიდან 60 კილომეტრში.**

მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნაჯაფ მუსეიბლის სიტყვით, ის ეკუთვნის აზერბაიჯანს – „აღნიშნულ ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან ჩვენი ერის მე-8 საუკუნემდე მდებარეობდა ალბანეთის სამეფო და ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ, შემდგომში აქ ჩასახლდნენ გაქრისტიანებული ყივჩაღები და ალბანეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა“.

Читать далее: https://az.sputniknews.ru/expert/20090629/42926065.html

მსგავსადვე წერს და ამ ქართულ მონასტრებს აზერბაიჯანელთა ისტორიულ მემკვიდრეობად მიიჩნევს – «Новости-Азербайджан», Салим Балаев. „В ближайшем будущем все **албанские монастыри**, находящиеся на территории Азербайджана, в том числе **«Кешикчи»**, будут отреставрированы. Об этом в эксклюзивном интервью «Новости-Азербайджан» сообщила ректор Азербайджанского государственного университета архитектуры и строительства (АГУАС) Гюльчохра Мамедова. По ее словам, Азербайджан бережно относится к своей истории, и поэтому реставрационные работы исторических памятников ведутся постепенно“.

თარგმანი ასეთია – „ნოვოსტი-აზერბაიჯან“, სალიმ ბალაევ. „უახლოეს მომავალში ყველა ალბანური მონასტერი, მათ შორის „კეშიკჩი“ რესტავრირდება. აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნორვეგიის საელჩოს ურთიერთთანამშრომლობით. ნორვეგიის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით რესტავრირდა ალბანური ძეგლები – გიში-შექის რაიონში და სოფელ ნიჯში გაბალის რაიონში“ .

«Как известно, при сотрудничестве АГУАС и посольства Норвегии в Азербайджане, за счет средств, выделенных норвежским правительством, уже отреставрированы два албанских памятника – в селе Киш Шекинского района и в селе Нидж Габалинскиго района.

ასევე აზერბაიჯანის სხვა საელჩოების პირადი თანხებით რესტავრირდა კახის რაიონის სოფელ ყუმის ალბანური ეკლესია (სინამდვილეში კი, ყუმის

ბაზილიკა ქართული ეკლესიაა, სადაც თვით საქართველოს პატრიარქი ლოცულობდა თემურ-ლენგის შემოსევის წინ, და ეს ქართული რეგიონი მხოლოდ შაჰ-აბასის შემდეგ დაიპყრეს).

„Кроме этого, за счет личных средств бывшего посла США в Азербайджане Рино Харниша, в селе **Гум Кахского района** завершилась реставрация другого албанского базилика. Базилика – это специальный вид архитектуры религиозных зданий. Это албанская базилика принадлежит к историческим памятникам V века. Мы за год завершили реставрацию этого исторического памятника. В настоящий момент идут работы по благоустройству территории вокруг монастыря. В начале лета состоится официальное открытие отреставрированного памятника, на котором ожидается участие самого Рино Харниша», **отметила ректор**".

«Я не знаю, почему некоторые СМИ называют «Кешикчи» церковью. Это неправда.

ისინი წერენ, „რაც შეეხება კეშიკჩის – დავითგარეჯას – ეს სუფთად ალბანური ეკლესიაა, ეს ჩვენი ისტორიაა, ის აზერბაიჯანის მიწაზეა, ჩვენი ისტორიის ძეგლია", ამას ამბობს რექტორი.

«Кешикчи» – чисто албаский монастырь, это наша история. Никто не имеет права притязать на этот исторический албанский памятник, который расположен на территории Азербайджана. И мы будем охранять его, как один из памятников нашей истории», отметила ректор.

Читать далее: https://az.sputniknews.ru/culture/20070514/41741806.html

(მაგ.: ერთ-ერთი ავტორი, როგორც თავის თავს უწოდებს, „ფილოსოფიურ და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ალეკპერ ალეკპეროვი" გულმოდგინედ უმტკიცებს მკითხველს, რომ კახეთის ქალაქის „თელევის" სახელი ეტიმოლოგიურად თურქულია, ასევე, რომ თითქოსდა, კასპიც ძველი თურქების საცხოვრისია, შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ კახეთსა და შიდა ქართლში აბორიგენები თურქები არიან და ქართველები აქ შემდგომში მივიდნენ. ის თავის რუსულენოვან მკითხველს გვერდზე „Мир Турецкой Коалиции" ათეულობით წყაროზე დაყრდნობით უმტკიცებს, რომ ალბანელები კახეთის მკვიდრი თურქულენოვანი ხალხი იყო და სხვა).

№ 97


ᲙᲘᲠᲩᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
(ᲛᲐᲚᲐᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ)
ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲥᲝᲡᲝ

№ 98


ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ
ᲑᲝᲚᲓᲔᲗᲘ
ᲮᲘᲠᲡᲐ
ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ
ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ
ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲥᲝᲡᲝ

ზოგიერთი დაღესტნელი მეცნიერის არგუმენტი
კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით

ლეკების, ავარებისა და მათი ენის მქონე დაღესტნელების რიცხვი თითქმის მილიონს აღწევს.

ზოგიერთი გავლენიანი დაღესტნელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ალბანეთი იყო ლეკების ისტორიული სახელმწიფო და ის მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს.

მათი მტკიცების თანახმად, **„ძველი ლეკური სახელმწიფო – ალბანეთი“** მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოსაც. https://alpan365.ru/kavkazskaya-albaniya/

ისინი წერენ – „Кавказская Албания (лезг. -Алпан, Аран, Алупан; греч. – Албания; арм. – Алуанк, Агванк; перс.–Арран) – древнее **лезгинское государство**, возникшее в IV в. до н.э. в восточном Закавказье, занимавшее часть территории современных Азербайджана, **Восточной Грузии** и Южного Дагестана. Столицами Кавказской Албании в разное время были Кабала (Кабалака, Кабалак, Кьвепелек) и Партав (Барда)“. https://alpan365.ru/kavkazskaya-albaniya/

მოსკოვის საპატრიარქოს მახაჩკალა-გროზნოს ეპარქიამ ჩაატარა სრულიად რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კავკასიის ალბანეთის გაქრისტიანების 1700 წლითავი“

რომელმაც განიხილა კავკასიის ალბანეთის საკითხები.

„Всероссийская научно-практическая конференция «1700-летие принятия христианства в Дербенте как государственной религии Кавказской Албании» прошла в Дербенте, сообщили РИА «Дагестан» в министерстве печати информации республики. Организаторами конференции выступили администрация городского округа «город Дербент», Махачкалинская и **Грозненская епархия**, а также Дербентский филиал Дагестанского государственного университета.В конференции приняли участие **епископ Махачкалинский и Грозненский** Варлаам... Одной из важнейших вех в истории Дербента, **служившего северным форпостом Кавказской Албании, стало принятие христианства как государственной религии в 313 году“**.

https://riadagestan.ru/news/society/konferentsiya_1700_letie_prinyatiya_khristianstva_v_derbente_kak_gosudarstvennoy_religii_kavkazskoy_albanii_proshla_v_derbente/

კონფერენციაზე განიხილეს ალბანეთის საკათალიკოსოს ისტორია, გამოირკვა, რომ **„ალბანეთის მოსახლეობა საუბრობდა დაღესტნურ და ნახურ ენათა ლეკურ დიალექტზე“.**

Кавка́зские албáны (др.-греч. Ἀλβανοί) или **Кавка́зские албáны** – племена, говорившие на языках лезгинской ветви нахско-дагестанской семьи языков, население древнего царства Кавказской Албании.

https://ru.wikipedia.org/wiki/Кавказские_албаны#Фальсификация_истории_в_Азербайджане

გამოჩნდა საინტერნეტო გვერდები, სადაც „ლეკიანობა“ ქართველთა მიერ კონტრიბუციის გადახდაა წარმოდგენილი, რადგანაც მიიჩნევა, რომ აღმოსავლეთ საქართველო ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც დასახლებული იყო დაღესტნურ ენაზე მოლაპარაკე ხალხით, შესაბამისად, ამ მიწაზე მათ ისტორიული უფლება გააჩნდათ.

Лекианоба – термин, который использовали грузины для обозначения спорадических набегов горцев Дагестана в Грузию с XVI по XIX вв. Термин происходит от слова леки, так грузины изначально называли народов Южного Дагестана составлявших одно из 26- племён древнего государства Кавказская Албания, генеалогически являющимися предками современным лезгинам, но затем позже ошибочно обозначал всех горцев Дагестана, с суффиксом аноба, который обозначает контрибуцию.
https://ru.freejournal.info/4878925/1/lekianoba.html



საკითხი იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ

თემა იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ მხოლოდ საეკლესიო საკითხია და კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან.

საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა არასწორი შეხედულება, რომ აღმოსავ-ლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, კერძოდ კი, სამხრეთ კახეთი (მათ შორის, თვით ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე, გურჯაანი, საინგილო, დავით-გარეჯა და სხვა), თითქოსდა, ისტორიულად,

უძველესი ხანიდანვე, შედიოდა ალაბანეთის საკათალიკოსოში და საქართველოს ეკლესიამ მე-10 საუკუნის შემდეგ ის თავის იურისდიქციაში შეიყვანა და, ამასთანავე, თითქოსდა, აქ მცხოვრები ალბანელებიც „გააქართველა“ („ქართიზაციის“ ამ თეორიის მიმდევრებს კი ავიწყდებათ, რომ ალბანეთის საკათალიკოსო მე-7 საუკუნის ბოლოსათვის უკვე აღარ არსებობდა).

ამის გამო, ამჟამად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი უცხოური საეკლესიო ცენტრი უძველეს ქართულ ეკლესია-მონასტრებს ალბანურ ეკლესიებს უწოდებს, მათ შორის ბოდბის, გურჯაანის, დავითგარეჯას, საინგილოს და სხვა საეკლესიო ნაგებობებს.

2019 წლის გაზაფხულზე ზოგიერთმა ცნობილმა მეცნიერმა სადავოდ მიიჩნია დავითგარეჯას მონასტრების ქართულობა და ისინი ალბანური კულტურის ძეგლებად გამოაცხადა. უფრო მეტიც, 2007 წელს საქართველოს ჩამოაშორა ჩიჩხატურის, ხოლო 2019 წელს უდაბნოს მოქმედი მონასტრები, ამ მონასტრების მიწა-წყალი უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო თვით მონასტრები მათ ალბანური კულტურისა და ისტორიის ძეგლებად გამოცხადეს, შესაბამისად, იქ ქართული წირვა-ლოცვაც შეწყდა.

ზოგიერთი მეცნიერი, კულტურისა და ისტორიის მკვლევარი ამტკიცებს (იხ. ქვემოთ), რომ ეს ეკლესიები და მონასტრები ალბანეთის ისტორიულ მიწა-წყალზე არიან განლაგებულნი და, შესაბამისად, ისინი არა ქართულ, არამედ ალბანური კულტურის ძეგლებად მიაჩნიათ.

უცხოეთის მეცნიერთა ერთი გავლენიანი ნაწილის მიერ ალბანელები სხვა ერის წინაპრებად იქნა გამოცხადებული. ისინი, ამ თემასთან დაკავშირებით, თავიანთ კვლევებში ქართველ მეცნიერთა ნაშრომებსაც ციტირებენ, რადგანაც თვით ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საერთოდ სამხრეთ კახეთი, ალაზნის ხეობასა და საინგილოსთან ერთად, თითქოსდა, ისტორიულ ჰერეთში, ანუ ალბანეთში შედიოდა.

მრავალი საინტერნეტო საიტი და რუკაც იმავეს გადმოცემს.

ამ საკითხს, აღნიშნული კუთხით, საქართველოში ყურადღება არ ექცევა, პირიქით, მტკიცება, რომ მაგალითად, ბოდბეში ან საინგილოში ისტორიულად ჰერ-ალბანელები ცხოვრობდნენ, ფაქტად მიიჩნევა.

ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა ავიწყდებათ, რომ ტერმინ „ალბანეთს“ ძველი ქართული წყაროები არ იყენებდნენ და მის ნაცვლად სარგებლობდნენ სიტყვით „ჰერეთი“, მაგალითად, არსენ საფარელი თავის წიგნში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“, ალბანეთის კათალიკოსს უწოდებს „ჰერთა კათალიკოსს“, შესაბამისად ის ალბანეთს უწოდებს ჰერეთს და ა.შ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუკი სამხრეთ კახეთი, საინგილოს ჩათვლით, ისტორიული ჰერეთი იყო, მაშინ ის ალბანეთი ყოფილა თავისი საკუთარი ალბანეთის საკათალიკოსოთი, ალბანეთს კი ამჟამინდელი აზერბაიჯანელების მემკვიდრეობად მიიჩნევენ, ამის გათვალისწინებით სამხრეთ კახეთის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ეს ფაქტი მიაგავს ქართველი ისტორიკოსების მიდგომას მე-20 ს. 30–40-იან წლებში, როცა მათ დასავლეთ საქართველო ადიღე-ჩერქეზების უძველეს

ისტორიულ სამშობლოდ გამოაცხადეს „ყვა“ და „ფსა“ ფუძე-ძირებიანი ტოპონიმების ადიღეური ენის ელემენტებად წარმოჩენით.

იმჟამად ისინი არავითარ საფრთხეს არ გრძნობდნენ, მაგრამ ამ უსაფუძვლო თეორიამ, რომელიც ამჟამად მტკიცე ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, საფუძველი დაუდო აფსუთა იდეოლოგიურ გამარჯვებას ამჟამინდელი აფხაზეთის ოკუპირების წინ.

ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ალბანელებს ასევე დაღესტნის ხალხების ერთი ნაწილი თავიანთ წინაპრებად თვლის. ამის გათვალისწინებით, საინტერნეტო საიტებიდანაც კი ჩანს, რომ ისინი სამხრეთ კახეთს საკუთარ ისტორიულ სამშობლოდ მიჩნევენ, რადგანაც სამხრეთ კახეთი და ალაზნის მთელი ხეობა ისტორიულ ალბანეთად მიაჩნიათ. შესაბამისად, ქართველები იქ შემდგომ მისულებად.

2019 წელს, როცა დავთგარეჯას მონასტრის სხვის ხელში გადასვლის საკითხზე ყველა მსჯელობდა, მხოლოდ გავლენიანი ქართველი ისტორიკოსები არაფერს ამბობდნენ, თუ რომელი ძველი ხალხის მიწა-წყალზე იდგა ეს მონასტრები – ალბანელებისა თუ ქართველებისა.

რადგანაც სადავოა არა თვითონ მონასტრების ბერების ვინაობა, არამედ საქმე ეხება ამ მონასტრების მიწა-წყლის ისტორიულ კუთვნილებას.

ერთი სიტყვით, დავითგარეჯას რეგიონი ისტორიული კახეთია თუ ისტორიული ალბანეთი?!

ამ კითხვას კი ჩვენში თავს არიდებენ, საუბრობენ უშუალოდ მონასტერთა წარსულის შესახებ, მაგრამ არა მისი კონკრეტული რეგიონისა.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსები წარსულ წლებში მუდამ იგივეს ამტკიცებდნენ, რასაც ახლა იმეორებს მეზობელი ქვეყნის ზოგიერთი მეცნიერი, რომ დავით-გარეჯა ალბანეთის მიწა-წყალზე მდებარეობდა, ამის დასტურია უამრავი ლიტერატურა და თუნდაც ოფიციალური ისტორიკოსების სამეცნიერო ნაშრომი „საქართველოს ისტორია, ოთხტომეული, 2012 წ.“ და სხვა.

„საქართველოს ისტორია, ოთხტომეული (2012 წ.)“ წერს:

„ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია“ (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180). მაშასადამე, ოფიციალური ისტორიოგრაფია ჰერებს – ალბანურ ტომად მიიჩნევს.

ეს მოსაზრება, რომ ჰერები კახეთში მოსახლე ალბანური ტომია, რომელიც თითქოსდა, გაქართველდა, შედეგია საბჭოთა ეპოქაში აღიარებული „ქართიზაციის თეორიისა“.

იქვე (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II) აღნიშნულია, თითქოსდა, ჰერეთში მოღვაწეობდნენ ასურელი მამები: **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი“** (იქვე, გვ. 181).

თვით ასურელი მამების „ცხოვრებათა“ მიხედვით კი ეს მამები მოღვაწეობდნენ არა ალბანეთ-ჰერეთში, არამედ კახეთში, რაც ქვემოთაცაა აღნიშნული.

ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გულსატკენი იყო, როცა ვნახე სასულიერო ორგანოში, რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის საინტერნეტო გვერდზე გამოქვეყნებული მტკიცება, რომ ბოდბის ეკლესიაც კი, სადაც ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინოა დაკრძალული, თითქოსდა, ალბანური ეკლესიაა!

მაგრამ, რაც უფრო გასაოცარია, ბოდბის შესახებ თვით უპირველესი ქართველი ისტორიკოსიც კი იგივეს წერს –

„მეფე მირიანის დროს ბოდბე ახლადშემოერთებული იყო, აქ „ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო“ – და განაგრძობს – „ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც“ (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

იგივე ითქვა 2005 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებაში, „ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“ –

„ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური **პროზელიტიზმი** წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ [დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24–26 ნოემბერი, 2005.].

ესაა საქართველოს ეკლესიის დადანაშაულება საეკლესიო პროზელიტიზმში, რაც მიუღებელი და აკრძალულია საეკლესიო კანონებით (III მს. კრების მე-8 კანონი).

ქართული ეკლესია არასდროს ყოფილა პროზელიტური, რადგანაც მუდამ მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი იყო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დავითგარეჯასთან დაკავშირებით 2019 წლის გაზაფხულზე აღნიშნული პროტესტის დროს, ჩანს, ცოტა ვინმემ თუ მოიძია ამავე დროს (ე.ი. 2019 წელს) ქართულ (ქართულ!) საინტერნეტო სივრცეში გამოქვეყნებული ალბანეთის რუკა, რომელის მიხედვით ისტორიკოსებს ალბანეთში აქვთ შეყვანილი არა თუ დავთგარეჯა, არამედ ბოდბე და გურჯაანიც კი, საინგილოსთან ერთად.

ალბანეთის რუკა ქართული ვიკიპედიით (2019 წ.), ამ რუკაზე ალბანეთში შედის გურჯაანი, ბოდბე, დავითგარეჯა და საინგილო. upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/c/c9/Aghuank.jpg/1024px-Aghuank.jpg


კავკასიის ალბანეთი
ნეკრესი
ეუჯარმა
ტფილისი
(მტკვარი)
ხუნანი
ხალხალი
ტბა გელაქუნი
(ალაზანი)
ბორნაბუჯი
(ბამური)
(ნუხეთ)
(ნუხეთ)
(ბამური)
(ბამური)
(ბამური

სიახლე ისტორიული კახეთისა და ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით

კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გულგულას ადგილმდებარეობის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰერეთის საზღვრის გარკვევისათვის, ამიტომ ქვემოთ ხშირად ვეხებით ამ საკითხს.

სასაზღვრო წერტილ გულგულა – გოლგოლას ახსენებს ასევე ლეონტი მროველი ჰერეთთან დაკავშირებით –

„ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა, ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა ორთავე ალაზნისათა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი...და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ (ქ.ც. 1. 1955, გვ. 5).

მაშასადამე, გულგულა ჰერეთის სასაზღვრო პუნქტია, მისი ადგილმდებარეობის გაგებით ჩვენ დავადგენთ ჰერეთის რეალურ საზღვარს.

მართალია, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ვახუშტის არ ჰქონია საკმარისი ცნობები ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით, მაგრამ სახელების მსგავსების გამო მიუჩნევია, რომ თელავთან მდებარე სოფელი გულგულა შესაძლოა არის ჰერეთის ცნობილი სასაზღვრო პუნქტი „ტყეტბა-გულგულა“.

თუ ტყეტბა გოლგოლა არის თელავის სოფელ გულგულასთან, მაშინ ფაქტობრივად, მთელი თანამედროვე კახეთი ჰერეთად, ანუ ისტორიულ ალბნეთად უნდა მივიჩნიოთ,

მაგრამ ასე არ იყო, ტყეტბა-გულგულა იყო პუნქტი არა თელავთან, არამედ მდებარეობდა გიშისწყლის სათავეში, ცნობილ ხალხალასთან ახლოს, ამჟამინდელ სოფელ ფილფილთან, თანამედროვე ოგუზის (ვართაშენის) რაიონში, შექის ახლოს, კავკასიის მთებში.

აქ შემდგომ საუკუნეებშიც, ვიდრე მე-17 საუკუნემდე და შემდგომაც გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი, **ჯერ მდ. ალიჯანჩაიზე, და შემდგომ, იქვე, გიშისწყალზე.**

წარსულში სახელი „აზერბაიჯანი“ ერქვა სხვა რეგიონში, ჩრდილოეთ ირანში, არაქსთან, მდებარე ქვეყანას, მაგრამ XXI საუკუნეში მან სხვა რეალობა ასახა და უკვე დიდი მნიშვნელობა მიეცა

ამასთანავე, ისტორიკოსთა გავლენიანმა ნაწილმა, ალბანეთის ისტორიულ, კულტურულ და სამართლებრივ მემკვიდრედ აზერბაიჯანი გამოაცხადა, და, თუკი ალბანეთი კახეთის დიდ ნაწილს მოიცავდა, შესაბამისად, პრეტენზია გაჩნდა ალაზნის ხეობისა და საერთოდ კახეთის მიმართ, ამ ფარგლებშია წარმოდგენილი საეკლესიო რუკებზე ალბანეთის საკათალიკოსო. მაგალითად, „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ შესაბამის ტომში. ამიტომაც „ტყეტბა-გულგულას“ ადგილმდებარეობის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ვახუშტი ორჭოფობდა და არ იყო დარწმუნებული, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი თელავის გულგუ-

ლასთან მდებარეობდა, რადგანაც ის პირდაპირ წერს, რომ ჰერეთის საზღვარი მდინარე გიშისწყალზე გადიოდა.

კერძოდ, ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით ვახუშტი წერს – **„ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის“** (ქ.ც. ტ. 4. გვ.539).

მისი ამ ცნობიდან ჩანს, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰერეთის საზღვრად მიაჩნდა **გიშისწყალი**, კერძოდ, მისი სიტყვით, გიშისწყალი იყო საზღვარი ჰერეთსა და კახეთის ოლქ კულმუხს (ანუ ქურმუხს) შორის (ქურმუხის ქვეყანა ერქვა ამჟამინდელ საინგილოს).

მაშასადამე, ისტორიული კახეთის საზღვარი ჰერეთთან გიშისწყალი ყოფილა, ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროს მხარეს კახეთი, ხოლო მარცხნივ - ჰერეთი მდებარეობდა.

შესაბამისად, ისტორიული კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და გიშისწყალს შორის, ხოლო ჰერეთი – გიშისწყალსა (აგრიჩაისა) და თეთრწყალს (აღსუს) შორის, ამჟამინდელ აზერბაიჯანში.

ისტორიულ კახეთსა და ისტორიულ ჰერეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე გიშისწყალი, ალაზნის ყველაზე დიდი შენაკადი, ამიტომაც მასაც ალაზანს უწოდებდნენ.

როგორც ქვემოთაა გარკვეული, გიშისწყალს, რომელიც შექთან ახლოს, კავკასიის მთებში გამოედინება და ალაზანთან გაერთიანების შემედეგ აქვე, დაბლობზე მტკვარს უერთდება, ჩანს, პლინიუს უფროსი უწოდებდა **ოკაზანს** და მიიჩნევდა იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრად. აქვე გაედინება მდინარე ალიჯანჩაი, რომელიც კიდევ უფრო ზუსტად შეესაბამება პლინიუსის ცნობას, რომ სასაზღვრო მდინარეს სათავე კავკასიის მთებში ჰქონდა და ბარში მტკვარს უერთდებოდა. აღსანიშნავია, რომ მდ. ალიჯანჩაი კახეთის სამეფოს საზღვარს საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა.

ვახუშტი ბატონიშვილს ეს ძალზე ძვირფასი ცნობა, რომ ჰერეთის საზღვარი გიშისწყაზე გადიოდა, ჩანს, აუღია რომელიღაც ძველი საბუთიდან,

შემდგომ ვახუშტიმ ეს თვალსაზრისი გიშისწყალთან დაკავშირებით თავის შრომაში აღარ გააღრმავა და დაეყრდნო ლეონტი მროველის ცნობებს, რომელნიც მის დროს უკვე გარყვნილი ყოფილა გადამწერების შეცდომების გამო, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენ ამ შრომაში ვავითარებთ ვახუშტი ბატონიშვილის აზრს, რომ ჰერეთის საზღვარი გიშისწყალზე (ანდა მახლობელ მდ. ალიჯანჩაიზე) გადიოდა.

ვახუშტის ასეთი დახასიათება გიშისწყლისა, რომ ის ჰერეთის სასაზღვრო მდინარეა, გვაგონებს პლინიუს უფროსის ცნობას, რომლის მიხედვით ალბანეთსა და იბერისა ერთმანეთისაგან საზღვრავდა ველზე გამავალი მდინარე ოკაზანი, რომელიც კავკასიიის მთებში გამოედინებოდა და ველზე ერთვოდა მტკვარს.

პლინიუსი წერს – „**всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с**

Кавказских гор в реку Кир“ … (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28–29).

ალაზანთან მიერთებული გიშისწყალი, რომელსაც სათავე კავკასიის მთებში აქვს, მსგავსადვე, დაბლობში, აჯინოურის ველზე ერთვის მდ. მტკვარს.

შესაბამისად, ჩვენ ოკაზანად მიგვაჩნია გიშისწყალი ალაზანთან შეერთებული, ანდა აქვე, ამავე მახასიათებლების მქონე მეორე მდინარე ალჯანჩაი, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ველზე მტკვარს უერთდება.

ეს არის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე ალბანეთ-იბერიის, ანუ კახეთ-ჰერეთის საზღვრის გარკვევის საკითხში, რასაც ჩვენ ქვემოთ ძალზე ხშირად ვიმეორებთ.

ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად ვიხილავთ უამრავ წყაროს, როგორც ქართულს, ისე უცხოურს.

ნაშრომში გამოყენებული ტერმინოლოგია
(ისტორიული ოლქებისა და პუნქტების ლოკალიზაცია)

წყროებზე დაყრდნობით, რომელიც ქვემოთაა განხილული, დასტურდება, რომ

1. **ისტორიული კახეთი** მოქცეული იყო გომბორის ქედსა (წყაროებში ეწოდება „კახეთის მთა“) და კავკასიის ქედს შორის;

2. **კუხეთი მოქცეული იყო** გომბორის ქედსა და მტკვარს შორის;

3. ხოლო **კამბისენა (კამბეჩანი)** მდებარეობდა მტკვრის ხეობაში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული და გრძელდებოდა მის ქვემოთ, აღმოსავლეთის მიმართულებით;

4. **საკასენა** მდებარეობდა აღნიშნულ საზღვრებში მოქცეულ კამბისენას მეზობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე;

5. რაც შეეხება **გარდაბნ**ის ძლიერ ოლქს, ის ისტორიული საკასენას ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კუხეთის მეზობლად მდებარეობდა, ხოლო კუხეთი, როგორც ითქვა, – მარცხენა ნაპირზე;

კახეთი აღნიშნულ საზღვრებში (გომბორისა და კავკასიის ქედებს შუა) მოქცეული იყო უძველესი ხანიდან ვიდრე 840-იან წლებამდე, არაბთა სარდალ ხალილ იზიდის ძის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობამდე, როდესაც კახეთის საზღვარმა გიშისწყლიდან გავაზ-ილტოს ხევამდე გადმოინაცვლა.

როგორც აღინიშნა, ამ წლებში, მე-9 საუკუნის 40-იან წლებში, არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ გავაზთან მარცხის შემდეგ კახეთის საქორეპისკოპოსოს ჩამოაჭრა მიწა-წყალი გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე და გადასცა ის შაქის მეფეს საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს, არანისა და არცახ-ხაჩენის მთავარს. ამის შემდეგ სამხრეთ კახეთს (გავაზის ხაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე) დაეუფლა ჰერეთის სამეფო.

კახეთის საქორეპისკოპოსო ძლიერი პოლიტიკური და ასევე საეკლესიო ერთეული იყო და ის კახეთთან ერთად ასევე მოიცავდა კუხეთსა და გარდაბანს.

როგორც ითქვა, უძველესი ხანიდან ვიდრე 840-იან წლებამდე, ჰერეთსა და კახეთს შორის საზღვარი გიშისწალზე გადიოდა. ეს მდინარე სათავეს იღებს კავკასიის მთებში შექთან ახლოს და ალაზანთან შერთვის შემდეგ მისი წყალი გაერთიანებული ნაკადის სახით უერთდება მტკვარს აჯინოურის ველზე.

აღნიშნულ საზღვრებში (გიშისწყლიდან ვიდრე მდ. არაგვამდე) მოქცეული კახეთის საქორეპისკოპოსო ძალზე დაასუსტა არაბებთან თავდადებულმა ომმა მე-8 საუკუნეში.

არაბებთან მუდმივად მებრძოლ კახეთისაგან განსხვავებით, ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი, მშვიდობიანად ცხოვრობდა და გაძლიერებულიც იყო ამ ეპოქაში, ის ასევე მოიცავდა რანსა და არცახს.

არაბთა ხალიფა ამ წლებში დიდად ემადლიერებოდა შაქის მეფეს საჰლ იბნ სნბატ ალ არმანს, არანისა და არცახ-ხაჩენის მთავარს და მას მიანიჭა მაღალი ტიტული – „არმენიის, ივერიისა და ალუანქის (რან-შაქის) მეფის“ წოდება მოვსეს კალანკატუაცის ცნობით.

დიდი ჰერეთი

შექ(შაქ)-არან-არცახის გაერთიანებულ სამეფოსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ.

საკუთრივ ჰერეთი

ჩვენ ქვემოთ ხშირად ვიმეორებთ აზრს, რომ საკუთრივ ჰერეთის ისტორიული მიწა-წყალი მოიცავდა შექისა (შაქისა) და ამჟამინდელი კაბალას და ოგუზის ოლქის ტერიტორიებს მდინარე გიშისწყლიდან, ვიდრე მდინარე თეთრწყლამდე (აღსუმდე), ხოლო კახეთის საზღვარი ამ მიმართულებით გადიოდა მდ. გიშისწყალზე და უფრო მეტად იქვე გამდინარე ალიჯანჩაიზე, რაც გამოკვლეულია ქვემოთ.

ისტორიული კახეთი

ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისოდ დამკვიდრებულია არასწორი მოსაზრება, რომ თითქოსდა, ისტორიული კახეთი მოქცეული იყო მდინარე **არაგვსა და იანლოს ქედს** შორის, რომლის კალთაზეც მარტყოფის მონასტერი მდებარეობს, და თითქოსდა, ასეთმა პატარა სამთავრომ ჰერეთისაგან მიიტაცა ტერიტორია თელავის ჩათვლით, ამისგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, ჩვენ ვავითარებთ აზრს, რომ უძველესი ხანიდანვე კახეთი მოქცეული იყო გომბორის ქედსა და კავკასიის მთავარ ქედს შორის, მდ. ალიჯანჩაიმდე ანდა იქვე გამდინარე გიშისწყლამდე.

როგორც ითქვა, ამჟამინდელი მტკიცებით, კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და იანლოს ქედს შორის. ხოლო დანარჩენი ტერიტორია, იანლოს ქედის აღმოსავლეთით, თითქოსდა, იყო ჰერეთი ანუ ალბანეთი.

არგვიდან იანლოს ქედამდე სულ რამდენიმე კილომეტრია, ანუ ამჟამინდელი აზრით, კახეთი თავდაპირველად იყო ძალზე პატარა სამთავრო, რომელმაც ვითომდა, გაცილებით დიდი ჰერეთი დაიპყრო.

წყაროს მიხედვით, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი აზრი, როგორც ითქვა, კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და გიშისწყალს შუა, აღნიშნულ გომბორსა და კავკასიონის ქედს შორის, შესაბამისად, ის იყო ძლიერი სამთავრო. ხოლო ჰერეთი კახეთს აღნიშნულ გიშისწყალთან ესაზღვრებოდა, კონკრეტულად კი, იორ-ალაზნის შესართავთან და პუნქტ ტყე-ტბა გოლგოლასთან, რომელიც აქვე უნდა ვეძიოთ, არა თელავთან, კერძოდ კი გიშისწყლის სათავესთან, შაქის რეგიონში. საერთოდ ჰერეთი შაქის, ანუ შექის რეგიონს ერქვა.

ჩელეთი (ჩალეთი), დედა-ციხე, კახეთის მთა, „კახეთის მთის თავი“

იორ-ალაზნის შეასართავის რეგიონშივე უნდა ვეძიოთ ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ძის, კახოსის მიერ აშენებული ქალაქი **ჩელეთი** და არა ჟალეთთან (ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან).

აქვე, იორ-ალაზნის შესართავთან უნდა ვეძიოთ წყაროში ნახსენები **„დედა-ციხე“**, რადგანაც თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოძიებული ცნობებით აქ, იორ-ალაზნის შესართავთან ყოფილა ქართველთა ნაშენები თავდაპირველი გრანდიოზული ნაგებობები, მართალაც, არქეოლოგებმაც აქ, ადგილ დიდნაურის ველზე აღმოაჩინეს გრანდიოზული ციხე-ქალაქების ნაშთები, აქ ახლოს იყო კუხოსის წილი ქვეყანა, ამიტომაც ციხე-ქალქ ბერის, იგივე, ჩელეთის შენებისას კახოსს „შეეწია კუხოს“, ანუ დაეხმარა მშენებლობისას. ამ დახმარების სანაცვლოდ კუხოსს კახოსისაგან საჩუქრად ერგო „დედა-ციხე“. მართალაც, ისტორიულ კუხეთთან ახლოა არქეოლოგთა მიერ ახლახანს აღმოჩენილი დიდნაურის გრანდიოზული ნაქალაქარი, გრანდიოზული ციტადელებითა და სიმაგრეებით. ეს უძველესი ციხე-ქალაქი ჩვენ მიგვაჩნია წყაროში ნახსენებ „დედა-ციხედ“, როგორც აღინიშნა.

დიდნაურის ნაქალაქარი, რომელიც ჩვენ ქართლის ცხოვრებაში ნახსენებ „დედა-ციხედ“ მიგვაჩნია, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 2014 წელს ადგილ დიდნაურზე, დედოფლისწყაროსთან, ანუ იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს. ესაა მაშსტაბური დასახლება ანუ ციხე-ქალაქი. მას ათარიღებენ ძვ. წ. მე-12 საუკუნით, ალბათ, უფრო უნდა დავუკავშიროთ ლეგენდარული კახოსისა და კუხოსის ეპოქას.

შეიძლება ითქვას, რომ დიდნაურთან ახლოსაა გომბორის ქედის საწყისი, ანუ წყაროში ნახსენები „კახეთის მთის თავი“, აქვე ახლოა იორ-ალაზნის შესართავი, ანუ აქ იწყებოდა ჰერეთი და, რაც მთავარია, ის მდებარეობდა ზედ საზღვარზე კუხოსის ქვეყნისა.

როგორც ითქვა, კუხოსის ქვეყანა მოქცეული იყო მტკვარსა და გომბორის ქედს შუა, ანუ დიდნაური ზედ კუხეთის საზღვარზეა, გომბორის ქედის საწყისთან, ანუ „კახეთის მთის თავთან“.

წყაროს მიხედვით „დედა-ციხე“ ანუ, სავარაუდოდ, დიდნაურის ციხე-ქალაქი კახოსს ეკუთვნოდა, მაგრამ მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა აგება ახალი ციხე-ქალაქის ჩელეთისა. ის მდებარეობდა, ჩვენი კვლევით, შექის ოლქში, გიშისწყლის სათავის რაიონში, რომელიც მოცემულია შესაბამის წიგნში.

აქვე, ამავე რეგიონთან (ანუ იორ-ალაზნის შესართავთან, ანუ ჰერეთის საზღვართან) ახლოს უნდა ვეძიოთ ცნობილი პუნქტი „ტყე-ტბა“, ის იყო სა-

საზღვრო პუნქტი ჰერეთთან, რომელსაც ლეონტი მროველის დროს „გოლგოლა“ ერქვა.

ამასთანავე, ამ რეგიონში ამჟამადაცაა ადგილი (სოფელი) სახელწოდებით „ჩალეთი“ (ამჟამინდელ აზერბაიჯანში, შაქთან ახლოს ქალაქ ოგუზთან) ვართაშენთან.

როგორც ქვემოთაა გარკვეული, ჩვენი მეცნიერების შეცდომის საფუძველია ის, რომ წყაროში ნახსენები „კახეთის მთა“ მიიჩნიეს თიანეთთან მიმდებარე მთად, სინამდვილეში კი, „კახეთის მთა“ ერქვა გომბორის ქედს მთელს მის სიგრძეზე. ხოლო ამ ქედის დასაწყისად მიიჩნევდნენ მის ბორცვს იორ-ალაზნის შესართავთან და მას უწოდებდნენ ასე: – „თავი კახეთის მთისა“. და ის მიაჩნდათ ათვლის წერტილად.

შესაბამისად, წყაროში ნახსენები „კახეთის მთის თავი“ ერქვა გომბორის ქედის დასაწყისს იორ-ალაზნის შესართავთან. აღსანიშნავია, რომ აქედანვე იწყებოდა „ჰეროსის წილი“ ქვეყანა. –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შუა, არაგვითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი. კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედაციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოს შეწევნისათვის, და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“.

http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1002.htm

„მისცა კახოს შეწევნისათვის“, ნიშნავს: **„მისცა კახოსმა (კუხოსს) შეწევნისათვის“.**

ამჟამად წყაროს თვითნებურად ასხვაფერებენ, ამატებენ წყაროში მითითებას, რაც სინამდვილეში წყაროში არ წერია –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [.....შესარ] **თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.“**

მაშინ, როცა წყროში არაა ასეთი ფორმა **„[.....შესარ] თავადმდე** და არის მხოლოდ სიტყვა **„თავადმდე**“ და იქვეა – „**მთასა კახეთისასა**“, მაშასადამე, კახეთის მთის თავამდე და არა „შესართავამდე“.

მაშასადამე, სწორია მოცემული ტექსტი, გარეშე ყოველგვარი მე-20 საუკუნის ჩამატებისა – **[.....შესარ].**

მართლაც, მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ასეთი ჩამატება არ გვხვდება.

მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში ასეთი ტექსტია –

„ხოლო კახოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა ეგრითგან **ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა,** ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა.

(მარიამისეული – ქართლის – ცხოვრება, (თაყაიშვილის გამოცემა).

მაშასადამე, ძველ ტექსტებში გვაქვს სწორი ფორმა – **„თავადმდე მთასა კახეთისასა“,** ამიტომ შეიძლება, რომ თვითნებობა ტექსტის მიმართ და მასში რაიმეს ჩამატება მიუღებელია, რადგანაც **ცვლის წყაროს ცნობას.**

ამიტომ აღნიშნული ჩამატება [**... შესარ**], არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

ამ შემთხვევაში ტექსტი მიიღებს სახეს – „ხოლო **კუხოსს მისცა** ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა **არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, *თავადმდე მთასა კახეთისასა*** **და** მტკუარსა შუა“.

მაშასადამე, კახეთი მოქცეული იყო არაგვიდან ვიდრე კახეთის მთის თავამდე, ანუ გომბორის „თავამდე“, ხოლო კუხეთი – გომბორის მთასა (ანუ გომბორის ქედსა) და მტკვარს შუა. გომბორის „თავი“ კი იორ-ალაზნის შესართავთანაა, რადგანაც აქ იღებს სათავეს გომბორის ქედი. იორ-ალაზნის შესართავთან კი ჰერეთი იწყებოდა, აქ ააგო ჰეროსმა თავისი ქალაქი.

გომბორის მთა მართალაც ჰერეთის საზღვართან იწყებოდა, ანუ აქ, იორ-ალაზნის შესართავთან.

იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე არაგვამდე იყო განვრცობილი ისტორიული კახეთი, ეს იყო მისი სიგრძე, ხოლო, რაც შეეხება ძველი კახეთის სიგანეს, ის თავსდებოდა კავკასიის ქედიდან ვიდრე კახეთის მთამდე (ანუ გომბორის ქედამდე). გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე კუხეთი მდებარეობდა.

მაშასადამე, კუხეთი ერქვა ქვეყანას გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე.



რაც შეეხება კამბეჩანს, ის მდებარეობდა მტკვარზე იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი. ასევე მტკვარზე ათავსებს კამბეჩანს მე-7ს-ის სომხური გეოგრაფია, რაც ქვემოთაა აღნიშნული.

თუ ჩვენ მივიღებთ ამ განსაზღვრებებს, რაც უცვლელად იმეორებს რო-გორც ქართული (ქართლის ცხოვრება), ისე სომხური წყაროს (მე-7ს-ის „გეოგ-რაფია“) ცნობებს, მაშინ არასწორი აღმოჩნდება ჩვენი ამჟამინდელი მეცნიერების მტკიცება, რომ თელავი ჰერეთის, ანუ ალბანეთის ქალაქი იყო, რომელიც შემდეგ კახეთის ფარგლებში მოექცა.

სწორედ ასე მიიჩნევა ამჟამად, რაც მოცემულია თავისუფალ საინტერ-ნეტო ენციკლოპედია ვიკიპედიაშიც კი, მაგალითად, მის სტატიაში „კახეთი“. (https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთი 4.03. 2012).

ჩვენი აზრით, ამ სტატიაში გადმოცემულია მე-20 საუკუნეში შეთხზუ-ლი ახალი ქართული ლეგენდა ისტორიული კახეთის შესახებ, რომ თით-ქოსდა, კახეთის დედაქალაქი იყო ჟალეთი („დედაციხედ“ მიაჩნიათ), რომ ისტორიული კახეთი მთებში მდებარეობდა, ხოლო თელავი ჰერეთის ქალაქი იყო, რომ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავ-ლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. ეს არის არასწორი თეორია, რომელიც საყოველთაოდაა დანერგილი, სინამდვილეში, ქართულ წყაროთა მიხედვით, ისტორიული კახეთი განვრცობილი იყო იორ-ალაზნის შესართავიდან და მდ, გიშისწყლიდან ვიდრე მდ. არაგვამდე და მხოლოდ მე-9 საუკუნეში შემცირდა ისტორიული კახეთის საზღვარი და გიშისწყლიდან გადმოტანილ იქნა ვეჯინ-თელავის ხაზამდე.

თელავთან საზღვარი მხოლოდ მე-9 საუკუნეში გაივლო სარდალ ხალილ არაბიელის ლაშქრობის შემდეგ (რისი მტკიცებაც ქვემოთაა მოცემული), იქამდე კი საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შუა გიშისწყალზე გადიოდა.

წყაროს მიხედვით, სად მდებარეობდა ჰერეთი? წყარო ამბობს –

„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჯან **გულგულა**. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი **შესაკრებელთა შორის ორთავე *ალაზანთასა.*** და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჯან ჰერეთსა **ჰერეთი**. და აწ მას ადგილსა ჰქჯან **ხორანთა**.“

ლეონტი მროველი – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ – (1955) თავი პირ-ველი: ამბავი რვათა ძმათა.

მაშასადამე, ჰერეთ-კახეთის საზღვარი იორ-ალაზნის შესაკრებელიდა-ნაა, ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე (გოლგოლამდე).

კახეთისა და ჰერეთის, ასევე იორ-არაგვის შესარავთთან ახლოს (ამჟა-მინდელ დიდნაურთან) უძველესი დიდი ციხე-ქალაქების მშენებლთა შესახებ წერს თეიმურაზ ბატონიშვილი თავის წიგნში „**ისტორია დაწყებითგან ივე-რიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა...**“ (სპბ.1848). http://meufeanania.ge/admin/upload/img/288f8b1635ddef4da42d12c01525d694.pdf

თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, მდ. ალაზანი „**შთამოვლის საშუალ შიგნით კახეთისა. იორი შთამოვლის საშუალი გარე კახეთისა**“ (გვ.14), ანუ

„შიგნით კახეთი“ ერქვა მდ. ალაზნის ორივე სანაპიროს ქვეყანას. შესაბამისად, ამჟამინდელი **საინგილო „შიგნით კახეთის“ ქვეყანა იყო და არა ჰერეთისა**. ამიტომ მდ. ალაზანი „საშუალ შიგნით კახეთისა“ მიედინებოდა, ხოლო იორის ქვეყანას „გარე კახეთი“ ერქვა. მაშასადამე, კახეთი მოიცავდა ალაზნის ორივე სანაპიროს მხარეს, ჯერ კიდევ კახოსის ეპოქიდანვე, ალაზნის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებისმომცველ ვრცელ ოლქებს ერთად ერქვა „შიგნით კახეთი“, ხოლო მდინარე იორის მომცველ ორივე სანაპიროს ოლქებს ერთად ერქვა „გარე კახეთი“, შესაბამისად, ამჟამინდელი **საინგილო, ანუ ალაზნის მარცხენა სანაპიროს ოლქი ეკუთვნოდა „შიგნით კახეთს“ და არა ჰერეთს,** როგორც ამჟამად მიიჩნევა არასწორად. საინგილოს მხარე მხოლოდ მე-9 საუკუნეში მიიტაცა შაქის ოლქის მმართველმა საჰლ იბნ სნბატ ალ არმანიმ არაბული ჯარის დახმარებით კახეთის სხვა მიწებთან ერთად და მის შემდეგ ზოგიერთებმა მას უწოდეს ჰერეთი. თუმცაკი, ის ისტორიულად იყო „შიგნით“ კახეთის ქვეყანა.

თეიმურაზ ბატონიშვილს მიაჩნია, რომ ამ ორი მდინარის, იორისა და ალაზნის შეერთების ადგილი იყო ქართველთა ეთნარქების, ანუ ქართველთა პირველწინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი, იგულისხმება ის ტერიტორია იორ-ალაზნის შესართავის ადგილას, სადაც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავის დასაწყისია. აქ აგებულა თავდაპირველი ქართული ქალაქები და ციხესიმაგრეები.



მაშასადამე,როგორც ითქვა, თეიმურაზ ბატონიშვილი წერს – მდ. ალაზანი „შთამოვლის საშუალ შიგნით კახეთისა. იორი შთამოვლის საშუალი გარე კახეთისა“ (გვ.14), ანუ „შიგნით კახეთი“ ერქვა მდ. ალაზნის ორივე სანაპიროს

ქვეყანას, გარეკახეთი კი – ივრისა, ამის დაზუსტება საჭიროა წყაროში ნახსენები „კახეთს მთის“ ლოკალიზაციისათვის, გომბორის ქედი ერთმანეთისაგან საზღვრავდა შიგნით და გარე კახეთს, ალაზნისა და იორის ხეობებს, მაშასადამე, „კახეთის მთა“ გომბორის სასაზღვრო ქედს ერქვა. კახეთსა და ჰერეთს ერთმანეთისაგან აშორებდა ალაზნის უმთავრესი შენაკადი გიშისწყალი, რომლის სათავე შექთან ახლოს იყო კავკასიის მთებში, ან მასაც ალაზანი ერქვა, რადგანაც იორსაც კი პატარა ალაზანი ერქვა და სხვა მდინარეებსაც.

ჰერეთის საზღვარი გიშისწყალზე

ანუ ჰერეთის ქვეყანა იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან და შემდეგ კი მიუყვებოდა ალაზნის გზით გიშისწყალს. აქაც, მთებში აუგია კახოსს თავისი სხვა ციხე-ქალაქი ჩალეთი, აქვე ახლოს იყო კუხოსის წილი ქვეყანა და ამ მდინარის (გიშისწყლის) იქით კი ჰერეთი.

ამ ორი მდინარის (იორისა და ალაზნის) შეერთების ადგილას, მისი სიტყვებით, იდგა ხორანთა, ანუ ხორნაბუჯი.

რადგანაც ჩვენი ნაშრომის მიზანი ისტორიული პუნქტების სწორი ლოკალიზაციაა, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამს –

იორ-ალაზნის შესართავთან ერთმანეთს კვეთდა კახოსის, კუხოსისა და ჰეროსის ქვეყნების საზღვრები.

კუხეთი

კუხოსის წილი იყო ტერიტორია მტკვრიდან ვიდრე გომბორის ქედამდე, რომლის მთა-ბორცვები თითქმის იორ-ალაზნის შესართავამდე აღწევს.

გომბორის ქედი – კახეთის მთა

გომბორის გრძელი ქედი (მას წყაროში ეწოდება „კახეთის მთა“) წარმოადგენდა საზღვარს კახოსისა და კუხოსის ქვეყნებისა .

კახეთის ქვეყანა

კახეთის ქვეყანა, ანუ კახოსის წილი ქვეყანა გადაჭიმული იყო კავკასიის მაღალი ქედიდან ვიდრე გომბორის ქედამდე (რომლის თავი, როგორც ითქვა) იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს.

ეს წერტილი, ანუ იორ-ალაზნის შესართავი, ასევე სასაზღვრო წერტილი იყო ჰეროსის ქვეყნისა, სადაც მასაც აუგია ქალაქი.

კახოსის წილ ქვეყანაში იდგა ე.წ. „დედა ციხე“ და სხვა გრანდიოზული ციხე-ქალაქი, **„რომელიცა უძველეს დროთა შინა იყო ქალაქი დიდი, ციხითა დიდითვე, და ამის აღშენებასა იტყვიან უწინარეს ყოველთა შენობათა და მოსახლეებათა სრულად ივერიისა ქვეყნისა, ქალაქთა და დაბათა**“ (გვ.14).

დედა-ციხე

ქართლის ცხოვრების ცნობა მიგვანიშნებს, რომ უძველეს ქართულ ტომს „კახოსს“ იორ-ალაზნის შესათავთან ახლოს აუგია გრანდიოზული ციხე-ქალაქი და მისთვის ამიტომაც უწოდებიათ **„დედა ციხე“. ეს უნდა იყოს გრანდიოზული ნაგებობა დიდნაურისა,** რომელსაც 2020 წელს, როგორც აღინიშნა, ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მაშასადამე, სხვა ქალაქი იყო ხორანთა და სხვა ციხე-ქალაქი იყო „დედა-ციხე“ დიდნაურის ველზე. ამავე არეალთან ახლოს უნდა ვეძიოთ ასევე კახოსის მიერ ნაგები ქალაქი ჩალეთი.

თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, ეს ნაგებობანი **„უძველეს დროთა შინა იყო ქალაქი დიდი, ციხითა დიდითვე, და ამის აღშენებასა იტყვიან უწინარეს ყოველთა შენობათა და მოსახლეებათა სრულად ივერიისა ქვეყნისა, ქალაქთა და დაბათა**“ (გვ.14), ანუ დედაციხე, ჩალეთი და ხორანთა ქართველთა მიერ ნაგები ერთ-ერთი პირველი გრანდიოზული ნაგებობანი ყოფილა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ისინი (ანუ დიდნაურისა და სხვა ნაგებობანი) ქართველთა წინაპრებს აუგიათ და არა, ვთქვათ, ხეთებს, როგორც ამჟამად მიიჩნევა.

მთავრობის დადგენილებაში მასზე ნათქვამია – „საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებს: დიდნაურს, ნაქალაქარსა და ხვამლის ციხე-ქვაბულს განესაზღვროთ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4937023?publication=0

ექსპედიციის წევრები ვარაუდობენ, რომ ის უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, **რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული არ არის.** სპეციალისტებს ეჭვის საფუძველს სასახლის მასშტაბები, ინფრასტრუქტურა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები და სამარხები აძლევს.

გათხრის მონაწილეს ჟურნალისტმა დაუსვა ასეთი კითხვა – „ისტორიულად, თუ გქონდათ მანამდე ინფორმაცია ამ ადგილის შესახებ? მან კი უპასუხა –

– არა, ისტორიული ინფორმაცია არ არსებობდა“. http://kvira.ge/227832

ამასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ **არსებობს ისტორიული ინფორმაცია დიდნაურის ამ ციხე-ნაქალაქარების შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომში. ის წყაროებში ნახსენები დედა-ციხე უნდა იყოს. დედა-ციხე კუხეთის საზღვართან იდგა, მაგრამ კახოსს ეკუთვნოდა. ამის გამო მან გადაწყვიტა ეს მნიშვნელოვანი ციხე დაეთმო თავის ძმისათვის, კუხოსისათვის. ამის საკომპენსაციოდ კუხოსი დაეხმარა კახოსს სხვა ციხე-ქალაქის, ჩალეთის მშენებლობისას. ჩალეთიც ამავე რეგიონში მდებარეობდა, კუხეთთან არცთუ, მოშორებით.**

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ არეალში ნაგები მესამე ქალაქი ხორანთა ჰეროსმა ააშენა.

ჩალეთი ანუ „ბერი“ სოფელ ჩალიათთან

„დედა-ციხე“ კახოსის „ხვედრი“ ყოფილა, მაგრამ ზედ კუხეთის საზღვართან იდგა, ამიტომაც კახოსმა ის თავის ძმას კუხოსს დაუთმო.

კახოსმა ასევე ააშენა მეორე გრანდიოზული ციხე-ქალაქი ჩალეთი, ანუ ბერი, **„კახოსმან აღაშენა ქალაქი ჩალეთი, რომელსა ბერ ერქვა (პირველ შენებულსა ქალაქსა კახეთისასა), შეეწეოდა კუხოსიცა“** (გვ.31).

როგორც ითქვა, დედა-ციხე კახოსმა კუხოსს დაუთმო, ამ დიდი წყალობის სამაგიეროდ კუხოსი დაეხმარა კახოსს, როცა მან ახალი ქალაქის (ჩალეთის) მშენებლობა დაიწყო.

რადგანაც, წყაროს ცნობით, ჩალეთის, იგივე ჩელეთის მშენებლობაში კახოსს ეხმარებოდა კუხოსი, ამიტომაც, როგორც აღინიშნა, უნდა ვიფიქროთ, რომ ის კუხეთის საზღვართან შედარებით ახლოს ყოფილა.

ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ ჩელეთი (ჩალეთი) არის ამჟამინდელი ჟალეთი, თიანეთის რაიონში, სიონის წყალსაცავთან, ჩვენი კვლევა განსხვავებულია, ის უნდა ვეძიოთ ამჟამად არსებულ სოფელ ჩალიათთან.

მართალია, ამჟამად სხვაგვარად მიიჩნევა, მაგრამ, ჩვენი კვლევით, ჩელეთს ახლა „ჩალიათი“ ჰქვია. ის ახლოა ვართაშენთან, ამჟამინდელ აზერბაიჯანში (ოგუზის რაიონი), რუსულად Джалуд-ს უწოდებენ, აზერბაიჯანულად – ცალუტ, ადრე ჩალიათს, ვართაშენიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული. ვართაშენს სახელი შეუცვალეს და ოგუზი დაარქვეს, ასევე აქ ყველა პუნქტს სახელი შეეცვალა. რადგანაც აქ ააგო კახოსმა თავისი უპირატესი ციხე-სიმაგრე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გადიოდა ისტორიული კახეთის საზღვარი, ეს მოსაზრება უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქვე, მდინარე ალიჯანჩაიზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი ვიდრე თითქმის მე-18 საუკუნემდე. ეს სოფელი (ჩალეთი, ჩალუთი) შაქიდან დაშორებულია 18 კილომეტრით, ანუ ისტორიულად, თავდაპირველად, შაქის ოლქიც კახეთში შედიოდა, ამიტომაც გადასცა ის საკუთრებაში არჩილ მეფემ მე-8 საუკუნეში ტარონელ ბაგრატიონებს. ჩალუტი ასევე ძალზე ახლოა იორ-ალაზნის შესართავთან, ანუ მინგეჩაურის წყალსაცავთან, სულ რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული, ეს ნიშნავს, რომ კუხოსის ქვეყანასთანაც ახლოს იყო, ამიტომ კუხოსს ნამდვილად შეეძლო აქ დახმარებოდა კახოსს ჩალეთის ციხე-ქალაქის მშენებლობისას.

ტყეტბა-გულგულა, აგრიჩაი (გიშისწყალი), ოკაზანი, იბერია-ალბანეთის საზღვარი

იქვეა ახლოს თანამედროვე სოფელი ფილფილა (და ხალხალა), რომელიც უნდა იყოს ტყეტბა-გულგულა, სასაზღვრო მდინარე გიშისწყლის შენაკადების სათავეში. აქ, მთებში იღებს სათავეს მდინარეები, რომელნიც ერთვიან გიშისწყალს, ისაა ალაზნის უმთავრესი შენაკადი,მას აგრიჩაისაც უწოდებენ.

აგრიჩაი (გიშისწყალი) – ალაზნის ეს დიდი შენაკადი ამჟამინდელ აზერბაიჯანშია. ის უნდა იყოს პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები ოკაზანი , რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ალბანეთსა და იბერიას. ანუ, ამ შემთხვევაში, ჰერეთსა და კახეთს.

ალაზანი და იორი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, შეკრების შემდეგ ერთ მდინარედ იქცეოდა და ასეთი სახით უერთდებოდა მდ. მტკვარს ადგილზე, რომელსაც ერქვა „სამუხი.“

თეიმურაზის თვალსაზრისით, ჰერეთი კასპიის ზღვამდე აღწევდა და ის, ზოგადად, ივერიაში შედიოდა. ამიტომაც, მისი თქმით, ივერიის, ანუ გიორგიის საზღვრები იწყებოდა კასპიის ზღვიდან ვიდრე შავ ზღვამდე (გვ.15).

თუ ასე იყო, მაშინ ჩელეთი, ჩალეთი, თიანეთთან მდებარე პუნქტი ჟალეთი კი არაა, როგორც ამჟამად მიიჩნევა (ქსე,11,1987. გვ. 94), არამედ არის გიშისწყლის ხეობაში მდებარე სოფელი ჩალიათი, მდებარე ისტორიულ სოფელ ვართაშენთან (ამჟამად ქ. ოგუზთან, აზერბაიჯანში) ახლოს. ჩელეთი/ჩალეთი უნდა იყოს ამჟამინდელი სოფელი „ჩალიათი“.

ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ ჩელეთის საეპისკოპოსოს ცენტრი უნდა ვეძიოთ არა ივრის ხეობის სათავეებში, არამედ გიშისწყლის სათავესთან, აღნიშნულ ჩალიათთან ახლოს.

ჩელეთის საეპისკოპოსოს შემდგომი სახელი უნდა იყო „გიშის საეპისკოპოსო“, გიშისწყალთან, შაქთან ახლოს. გიშის საეპისკოპოსო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

გისი და არა გიში

თავის მხრივ, ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ გიშის საეპიკოპოსო, თითქოსდა, ალბანეთის სასულიერო ცენტრი იყო, რაც არასწორია, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ასეთი იყო არა შაქთან ახლოს მდებარე გიში, არამედ უტის გავარში მდებარე ადგილი სახელწოდებით **„გისი“** მოვსეს კალანკატუაცის ცნობით.

ალბანეთის განმანათლებელი ელიშე დაკავშირებული იყო უტის გავარში მდებარე **გისთან** (და არა გიშთან). გისში ინახებოდა ქრისტიანული სიწმიდეები.

გისი, როგორც თვით მოვსესი მიუთითებს ,მდებარეობდა ერთ ჭაობიან ადგილას უტის გავარში. – „святой иерей возжелал обрести желанный крест, сокрытый святым Маштоцем в селе **Гис, что в гаваре Ути**.
http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext22.htm

მაშასადამე, **გისი** (და არა გიში) მდებარეობდა არა შაქის, არამედ უტის ოლქში, როგორც წერს მოვსეს კალანკატუაცი თავისი ნაშრომის რამდენიმე ადგილას, პირველად, მან პირდაპირ მიუთითა, რომ გისი მდებარეობდა უტის გავარში, მეორეჯერ აღნიშნა, რომ ალბანეთის იმჟამინდელ ცენტრიდან – ჩოლადან ის გაემართა უტის გავარში, მივიდა გისში, ააშენა ეკლესია, რომელიც სასულიერო ცენტრი გახადა ალბანელებისა.

святой Елиша, ... стал проповедовать в [стране] **Чола** [***] Оттуда с тремя учениками он прибыл в гавар **Ути**, в город Сахарн [***], Святой же епископ, прибыв в **Гис**, построил там церковь и отслужил обедню. На этом месте была основана наша, Восточного края, церковь. И стало [то место] духовной столицей и местом просвещения жителей Востока.
http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm

გიშის ადგილმდებარეობა არ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილ გისის ადგილმდებარეობას, იგივეს წერს სომეხი მკვლევარიც – „По мнению армянского историка архитектуры Самвела Карапетяна, географи-

ческое положение Киша не соответствует описанному Каганкатваци“. https://livepcwiki.ru/wiki/Church_of_Kish

მაშასადამე, არა შაქის ოლქში მდებარე გიში წარმოადგენდა ალბანეთის სასულიერო ცენტრს, არამედ უტის გავარში მდებარე პუნქტი სახელწოდებით „გისი“.

რაც შეეხება გიშს, მისი ეპისკოპოსი არა ალბანური ეკლესიის, არამედ ქართული ეკლესიის იერარქიაში შედიოდა, რასაც უამრავი წერილობითი წყარო ამოწმებს. „გისი“ კი წარმოადგენდა ალაბანური ეკლესიის სიწმიდეს.

ტყეტბა-გოლგოლა აგრიჩაის (გიშისწყლის) სათავესთან

ტყეტბა გულგულა მდებარეობდა გიშისწყლისა და აქვე გამდინარე ალიჯანჩაის სათავეების არეალში, დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს შექის რაიონის სოფლები ხალხალა (Халхал. Огузский район) და ფილფილი (ფილფილი (აზერ. Filfilli) – სოფელი აზერბაიჯანში, ოღუზის რაიონში), აქვე, ამ პუნქტებთან გადის ჩრდილოკავკასიაში შემავალი ე.წ. „გზა ლეკეთისა“, რომელიც ალბანეთის დედაქალაქ ბარდავს სამურის ხეობასთან და კასპიისპირა დედაქალაქ ჩორთან აკავშირებდა. შესაბამისად, თელავთან მდებარე სოფელ გულგულას ჩვენი წყარო არ მიიჩნევს ჰერეთთან სასაზღვრო პუნქტად და არც თელავი ყოფილა ალბანური ქალაქი.

არასწორმა მტკიცებამ, რომ თელავი თავდაპირველად ალბანური ქალაქი იყო, წარმოქმნა უამრავი პრობლება, შექმნა შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ალბანეთი, რომელსაც ქართული წყაროები ჰერეთს უწოდებენ, მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს თელავის ჩათვლით, რომელიც, თითქოსდა, მიიტაცა კახეთმა და მოახდინა იქ მკვიდრი ალაბანელების ე. წ. ქართიზაცია.

კახეთის ისტორიის წარმოდგენა ასეთი სახით ამჟამინდელი ქართული ისტორიული გეოგრაფიის სკოლის დიდი შეცდომაა, რამაც მნიშვნელოვნად ავნო და კვლავ ავნებს ქვეყანას იმ მუდმივ იდეოლოგიურ ომში, რომელიც გაჩაღებულია საქართველოს მიწა-წყლის მისაკუთრების მიზნით.

ასეთი შეცდომები უკვე იქნა დაშვებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარსულის კვლევისას, რამაც 1990-იან წლებში იდეოლოგიურ ომში დამარცხება განაპირობა, როცა ქართული მხარის სიმართლე საეჭვო გახდა. ამჟამად ასეთივე შეცდომების წყაროა ალბანელების ქართიზაციის თეორია, რომელნიც თითქოსდა, კახეთის მკვიდრი აბორიგენები იყვნენ.

„კახეთის მთა“ გომბორის ქედია

ერთ-ერთი შეცდომის საფუძველია წყაროში ნახსენები სასაზღვრო ქედის არასწორი ლოკალიზაცია, კერძოდ, წყაროში ნახსენებია „კახეთის მთა“, რომელსაც ამჟამად გომბორის ქედი ეწოდება, ჩვენმა გეოგრაფებმა კი „კახეთის მთა“ უწოდეს თიანეთთან და მარტყოფთან მდებარე იანლოსა და სხვა ქედებს.

წყაროს ცნობით, კახეთი მდებარეობდა მდ. არაგვსა და „კახეთის მთას“ შორის, თუკი „კახეთის მთა“ არის ქედი მარტყოფთან ანდა თიანეთთან, ისტორიული კახეთი მოქცეული ყოფილა მდ. არგვსა და მარტყოფს (ან თიანეთს)

შუა, ძალზე მცირე მიწის მონაკვეთზე, ხოლო დანარჩენი ტერიტორია ე.ი. ყოფილა ჰერეთი-ალბანეთი, ძალზე ვრცელი მიწა-წყლით.

კახეთის ასეთმა ლოკალიზაციამ, როგორც ითქვა, მკვეთრად შეამცირა ისტორიული კახეთის საზღვრები და გაზარდა ჰერეთისა.

სინამდვილლეში, როგორც აღინიშნა, კახეთი მოქცეული იყო გიშისწყალსა და არაგვს, კავკასიის ქედსა და გომბორის ქედს შორის, ხოლო კუხეთი – მდინარე მტკვარსა და გომბორის ქედს შორის, ამ უკანასკნელის (კუხეთის) სამხრეთი საზღვარი იორ-ალაზნის შესართავთან მიდიოდა, ხოლო კახეთისა, როგორც აღინიშნა, იდო მდინარე გიშისწყალზე. რაც შეეხება ჰერეთს, ის მოქცეული იყო გიშისწყალსა და მდ. აღსუს (თეთრწყალს) შუა.

კახეთს ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. არაგვი საზღვრავდა.

ასეთი ყოფილა საზღვრები ლეგენდარული კახოსისა და კუხოსის ეპოქიდან ვიდრე არაბობის ეპოქამდე.

არაბებმა მოშალეს ძველი ქართლის სამეფოსა და მისი რეგიონების საზღვრები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ საქართველოს შუაგულში თბილისის 400-წლოვანი საამირო დააარსეს და გააუქმეს ქართლის ძველ ფარნავაზიან-ხოსროიანთა სამეფო ტახტი, მეფეების, მირისა და არჩილის დროს.

არაბების წინააღმდეგ განსაკუთრებით გმირული თავგამოდებით იბრძოდა ამ დროს (მე-8 ს-ის ბოლო მეოთხედიდან) წარმოქმნილი კახეთის სამთავრო.

კახი წანარები და გარდაბნელები – კახეთის საჯარისო ნაწილების მთავარი საომარი ძალები – მტკიცედ ებრძოდნენ მტერს.

ჰერეთის მიერ კახეთის საქორეპისკოპოსის დასუსტება

არაბებმა საგანგებო ღონისძიებები დასახეს კახეთის სამთავროს დასასუსტებლად და მისი საზღვრების დასამცრობად, ამისათვის მათ გამოიყენეს თავიანთი ერთგული მომხრე – ჰერეთის მეფედ ცნობილი საჰლ იმბნ სუმბატ ალ არმანი, ეს იყო სომხური სარწმუნოების მქონე, ანუ მონოფიზიტი მმართველი, რომელსაც ხალფამ, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, **„არმენიის, ივერიისა და ალბანეთის მეფის“** წოდებაც კი მიანიჭა.

ისლამურ იმპერიაში ასეთი მაღალი წოდების მინიჭება არამუსლიმისათვის უჩვეულო იყო, მაგარამ ამ შემთხვევაში ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „ჰერეთის მეფე“ საჰლ სმბატიანმა სახალიფოს უდიდესი მტერი ბაბეკი ღალატით დააპატიმრებინა და არაბებს გადასცა.

სანაცვლოდ, მადლიერების ნიშნად, არაბთა უზარმაზარი იმპერიის ხალიფამ მას მეფის წოდება მიანიჭა, საჩუქრად გაუგზავნა სამეფო სამოსელი და ასევე 1 მილიონი დირჰემი.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ალ-არმანს (საჰლ სმბატიანს) ამ დროს ასევე მიენიჭა „ივერიის მეფის“ წოდება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ იურიდიული ტიტული, რომლის განსახორციელებლად მას ივერია რეალურად უნდა დაეპყრო.

ივერიად, პირველ რიგში, მისი მეზობელი კახეთი მიიჩნეოდა.

კახეთის დასაპყრობად ჰერეთში მივიდა არაბული ჯარი აღნიშნული ხალილ იზიდისძე არაბიელის სარდლობით. მან გადალახა **კახეთის საზღვარი გიშისწყალზე** და მიაღწია გავაზამდე, სადაც მას დიდი ომი გაუმართეს კახეთის ჯარებმა. მართალია, ის კახელებმა დახლოებით 840-იან წლებში გავაზთან დაამარცხეს, მაგრამ ამ დროს მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა კახეთის ტერიტორია გიშისწყლიდან გავაზამდე.

გავაზთან მარცხმა მისი (ხალილ ისიდის ძის) წინსვლა შეანელა, მაგრამ ამ ომის წინ ხალილ არაბიელის მიერ უკვე დაპყრობილი იყო კახეთის მიწა-წყალი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე.

მარცხის შემდეგ ის გავაზიდან უკან გაბრუნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვეღარ გააგრძელა გზა კახეთის ჩრდილოეთ მხარეებისაკენ, მაგრამ, რადგანაც გავაზამდე მას მიწა-წყალი უკვე დაპყრობილი ჰქონდა, ამიტომაც ახალი სასაზღვრო ხაზი გავაზთან დაფიქსირდა.

ხალილ ისიდის ძემ კახეთის ტერიტრია, რომელიც უკვე დაპყრობილი იყო გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე მოწყვიტა კახეთის სამთავროს, შესაბამისად, ის შეიყვანა ჰერეთის შემადგენლობაში.

კახეთის ეს დაპყრობილი მიწა-წყალი გადაეცა საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს, ანუ შაქის სამეფოს, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ.

ამის შედეგად, შესაბამისად, შეიცვალა კახეთის ისტორიული საზღვარი, ის შემცირდა და გიშისწყლიდან გავაზამდე იქნა გადატანილი.

მართალია, ამის შემდეგ კახელები მუდამ იბრძოდნენ ამ მიწების უკან დასაბრუნებლად, გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე მოქცეული მიწების გასათავისუფლებლად და შემდგომში დასახმარებლად აფხაზთა მეფე კონსტანტინეც კი მოიწვიეს, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი ისტორიკოსების განსაზღვრებით, ამ ეპოქისათვის კახეთის საზღვარი „თურდო-შტორი-სამების ხევებს“ მიუყვებოდა.

ხალილ იზიდიძე არაბიელის მე-2 ლაშქრობის შემდეგ, ანუ 840-იანი წლებიდან, კახეთის საზღვარი გიშისწყლიდან გადატანილა გავაზ-თურდო-შტორი-სამების ხევებამდე. კახეთის ამ დაპყრობილ მიწას ეწოდა ახალი სახელი „ჰერეთი“, რადგანაც ის ჰერეთის, ანუ შაქის სამეფოს მიუერთეს.

კახეთის ეს ტერიტორია ჰერეთად იწოდა.

ამგვარად, ჰერეთის სამეფოდან სახელწოდება „ჰერეთი“ თავდაპირველად გადავიდა ჰერეთის სამეფოს მიერ დაპყრობილ სამხრეთ კახეთზე. ანუ, ამ დაპყრობის გამო კახეთის სამხრეთ ნაწილს გიშისწყლიდან გავაზ-თურდო-შტორი-სამების ხევებამდე ჰერეთი ეწოდა.

დაპყრობის დროს ეს სახელი გავრცელდა აღმოსავლეთ კახეთზეც (ყვარლისა და გავაზის ჩათვლით), ანუ ჰერეთის მეფეების მიერ დაპყრობილ სამხრეთ კახეთს გიშისწყლის ზემოთ ჰერეთი მხოლოდ დროებით ეწოდა, რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

საზღვრების ამ ცვლილებამ, ანუ ისტორიული საზღვრების მოშლამ, წერილობით წყაროებში ასევე არია ცნობები კახეთ- ჰერეთის თავდაპირველი საზღვრების შესახებ.

ამის გამო, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევით, თვით ვახუშტი ბატონიშვილს არ ჰქონია საკმარისი ცნობები კახეთისა და ჰერეთის შესახებ, რაც ნიშნავს, რომ მას არ ჰქონია მასალები კახეთისა და ჰერეთის ისტორიული საზღვრების შესახებ – „**ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია,** – წერს თვით ივანე ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 41).

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ისტორიული ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია?

ამის მიზეზი იყო ის, რომ ალბანეთი, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთეული უკვე გამქრალი იყო ვახუშტი ბატონიშვილამდე ათასი წლით ადრე, ჰერების ტომიც გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, ამის გამო ვახუშტი ბატონიშვილს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, არ გააჩნდა სათანადო ცნობები ალაბნეთისა და ჰერეთის შესახებ, ის მხოლოდ ლეონტი მროველის ცნობებით სარგებლობდა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ გადამწერთა მიერ ეს ცნობებიც ძალზე დამახინჯებული ყოფილა.

ივანე ჯავახიშვილი არ ეთანხმებოდა ვახუშტი ბაგრატიონს ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით, ის წერს – **„როგორც ეტყობა, ამ საკითხის გამოსარკვევად იმაზე მეტი მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება, არც ვახუშტის ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული**“ (ივ ჯავახიშვილი. ტომი II, 1983, გვ. 41).

მას იქვე გარკვეული აქვს, რომ არც ლეონტი მროველის ჩვენამდე მოღწეული ცნობებია სანდო ჰერეთის საზღვრების შესახებ, რადგანაც გადამწერებმა შეცდომები დაუშვეს, ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს – **„დედანი გადამწერისაგან დამახინჯებული უნდა იყოს და ამის გამო საზღვრები არეულია**“ (იქვე, გვ. 39).

ივანე ჯავახიშვილი წერს –

„კახეთ-კუხეთის საზღვრებიც, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაში მოიპოვება – არეულია ... აქ საკუთარი სახელებიც და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ.2. გვ. 40).

ასევე, ივანე ჯავახვიშილი სხვაგანაც აღნიშნავს კახეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების მიმართ – **„აქაც შეცდომებია შერჩენილი და ზოგან კიდევ დედანი სწორად ვერ არის გასწორებული“** (იქვე, გვ. 40).

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ლეონტი მროველისა და სხვა წყაროთა მიერ, მაგალითად, ჰერეთისადმი მიკუთვნებული ვეჯინის ციხეს დავით აღმაშენებლის ისორიკოსი კახეთის ციხეს უწოდებს (იქვე, გვ. 41), ანდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კამბეჩანს მიკუთვნებული ბოდბე სხვა უფრო ძველ წყაროებში კახეთსაა მიკუთვნებული – **„წმიდა ნინოს ცხოვრებაში დაბა ბოდი ანუ ბოდინი შატბერდისეულ ხელნაწერისდა მიხედვით იყო „ქვეყანა კახეთისა“, შატბერდისეულისდა მიხედვით კი „ქვეყანა კოხეთისა“, – წერს ივანე ჯავახიშვილი,** „ნეკრესი კახეთში იყო...“ და სხვა (იქვე, გვ. 41).

წმიდა ნინო კუხეთ – კხოეთში

„მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდული თუ ჭელიშური რედაქციები გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ლეონტი მროველის ცნობები, მით უმეტეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, ამიტომ უპირატესობა „მოქცევაის“ ცნობებს უნდა მიენიჭოთ, დასკვნით, რომ წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე (ქიზიყი) ეკუთვნოდა არა **კამბეჩანს, როგორც ამჟამად მიაჩნიათ, არამედ კახეთს (კუხეთს, კხოეთს).**

შეცდომის წყარო ამჟამინდელი არასწორი მტკიცება კამბეჩანის ადგილ-მდებარეობის შესახებ, კამბეჩანი უფრო სამხრეთით, ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას მდებარეიბდა (რაც გამოკვლეულია ქვემოთ და სხვა ჩვენს ნაშრომებში), შესაბამისად, ბოდბე (ბოდინი) მდებარეობდა არა კამბეჩანში, არამედ კახეთში.

მსგავსადვე, არასწორია მრავალი სხვა პუნქტის ლოკალიზაცია.

ამ მიზეზის გამო ივანე ჯავახიშვილს ვახუშტის ცნობები კახეთის შიგნით ჰერეთის საერისთავოების არსებობის შესახებ არ მიაჩნდა სანდოდ. ვახუშტი, ივ. ჯავახიშვილის კვლევით, ლეონტი მროველის ხელნაწერების გადამწერების მიერ აშლილი ცნობებით სარგებლობდა, რამაც მისი ცნობები კახეთ-ჰერეთის საზღვრებისა და პუნქტების (კერძოდ ტყეტბა-გულგულას და სხვა) შესახებ საეჭვოდ აქცია.

ივ. ჯავახიშვილის გაფრთხილების მიუხედავად, საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები არა მხოლოდ აშლილ ცნობებს დაეყრდნენ, არამედ კიდევ უფრო გააფართოვეს ალბანეთის საზღვრები კახეთის ხარჯზე, მაგალითად, ვახუშტისაგან განსხვავებით ალავერდთან მდებარე სოფელი ალვანიც კი ალბანეთად გამოაცხადეს, თითქოსდა ამას აჩვენებდა ამ სახელის ეტიმოლოგია (**ალ-ვანი-ალბანი**), მაგრამ სხვა კუთხით თუ შევხედავთ ამ საკითხს – „ალვანი“ იქნებ ნიშნავს ალვებიან ანუ ალვის ხეებით მოფენილ ადგილს, მსგავსად, მაგალითად, რკონისა, წაბლიანისა, თხილიანისა, ანდა თხინვალისა (თხილოვანი). ასევე ვახუშტისაგან განსხვავებით, პანკისის ქვეყანაც კი ზოგიერთმა ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსმა ალბანეთს მიაკუთვნა, სრულიად უსაფუძვლოდ (იხ. ქვემოთ).

შეცდომები ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით

როგორც ითქვა, არა თუ ვახუშტის დროს, ივანე ჯავახიშვილის კვლევით, ლეონტი მროველის დროსაც კი, ჰერეთის საზღვრის შესახებ საკმარისი ცნობები უკვე აღარ არსებობდა, ამიტომაც, ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ შესაძლოა ლეონტი მროველი ცდებოდა ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით ცნობის მოცემისას –

ივ. ჯავახიშვილი წერს – „ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს...“

მნიშვნელოვანი შეცდომის წყარო ასევე ის უნდა იყოს, რომ ვახუშტის ასევე არ ჰქონია სრული ცნობები შექის (შაქის) ცნობილი სამეფოს შესახებ, რადგანაც ისიც მალევე გაქრა ისტორიიის ასპარეზიდან.

სწორედ შექის სამეფოს მიწაწყალს უწოდებდნენ ქართველები ჰერეთს.

შენიშვნა: აღნიშნული ტერმინოლოგია ასახავს ძველქართულ წყაროთა ჩვენებებს ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების ადგილმდებარეობის შესახებ და ამ მხრივ წარმოადგენს სიახლეს, რადგანაც არ ეთანადება ამჟამად დამკვიდრებულს.

ამის გამო, რათა მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები იყოს ჩვენი მოსაზრება, იძულებული ვართ ერთი და იგივე მტკიცება მრავალჯერ გავიმეოროთ, რის გამოც ვითხოვთ შენდობას.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოსაზრება გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, სრულიად ეყრდნობა ძველ ქართულ და სხვა საისტორიო წყაროებს, ხოლო ამჟამად დამკვიდრებული მტკიცებანი, ძირითადად, ძველ ქართულ წყაროებს არ ეთანადებიან.

ჩვენთვის ეს საკითხი ძალზე დიდმნიშვნელოვანია, რადგანაც ეხება ამჟამად გამწვავებულ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს, არა მხოლოდ ალბანეთის საზღვრეთან დაკავშირებით, არამედ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მიმართაც, რაც განხილულია ჩვენს სხვა წიგნებში.



თავის დასკვნა:

რუსი და უცხოელი გავლენიანი მეცნიერების ნაწილი იმეორებს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მცდარ მოსაზრებას, თითქოსდა, კახეთის უდიდეს ნაწილს (თელავის, ბოდბის, დავითგარეჯისა და საინგილოს ჩათვლით) მოიცავდა ალბანეთის (ჰერეთის) სამეფო.

ამასთანავე, ამტკიცებენ, რომ მისი მკვიდრი ალბანური მოსახლეობა, თითქოსდა, „გაქართველდა“.

ამ შეცდომამ სათავე დაუდო პრეტენზიებს ისტორიული კახეთის მიწა-წყალზე, რადგანაც ზოგიერთი მეზობელი ხალხი ალბანელებს თავიანთ წინაპრებად მიიჩნევს და მიაჩნიათ, რომ ისინი არიან ალბანეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეები.

ამასთანავე, ეს თეორია, საქართველოს ეკლესიას წარმოადგენს პროზელიტურ ეკლესიად, რომელიც, თითქოსდა, შეიჭრა ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში და მისგან მიიტაცა მიწა-წყალი (გულისხმობენ თელავის, ბოდბის, დავითგარეჯისა და საინგილოს რაიონებს), ხოლო სამხრეთ კახეთის ეკლესია – მონასტრებს წარმოაჩენენ ალბანური კულტურის ძეგლებად.

თავი II

ჰერეთი



ჰერეთ-ალბანეთთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება

პირველ თავში მოცემული იყო კახეთ-ჰერეთთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება, მათვე, ოღონდ ერთგვარი დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ მე-2 თავის დასაწყისში, რათა მკითხველისათვის უფრო ნათელი იყოს დასმული საკითხების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება.

ასეთი გამეორების საჭიროება წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ მე-20 საუკუნის ისტორიოგრაფიამ სრულად შეუცვალა სახე და დაამახინჯა ძველი ქართული წყაროების ცნობები საქართველოს ამ ისტორიული რეგიონისა, იმდენად დააკნინა ის, რომ ეროვნული საეკლესიო იურისდიქციაც კი სადავო გახდა კახეთის მიმართ და ამჟამად, კახეთის ეკლესია-მონასტრების დიდ ნაწილს საერთაშორისო ასპარეზზეც კი ალბანურად მიიჩნევენ (იხ. ქვემოთ), ამასთნავე, ხალხსაც კი აჩვევენ ამ არასწორ თვალსაზრისს.

კახეთის მიკუთვნება ალბანეთისადმი არ მიიჩნევა მნიშვნელოვან მომენტად, ამავე დროს, დავიწყებულია, რომ ალბანელები არ იყვნენ ქართველები, არამედ მათ გააჩნდათ საკუთარი ეკლესია, ჰყავდათ საკუთრი კათალიკოსები, გააჩნდათ საკუთარი ენა და საკუთარ ენაზე თარგმნილი წმიდა წერილი, საკუთარი ეკლესია-მონასტრები, სახელმწიფო და სხვა.

უცხოურ საეკლესიო წრეებში თანდათანობით სადავო ხდება საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ოფიციალური საიტიდან ჩანს, რომ მათ მიერ კახეთი მიიჩნევა არა ქართულ, არამედ ალბანეთის საკათალიკოსოს ისტორიულ იურისდიქციაში შემავალ ქვეყნად. იმავეს, თავისი რუკით, აქვეყნებს მართლმადიდებლურ მსოფლიოში ძალზე ავტორიტეტული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, აქ კახეთი, თვით წმიდა ნინოს განსასვენებელ ბოდბის ჩათვლით, ალბანეთის ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნევა.

ასეთმა მტკიცებამ თავისი პრაქტიკული შედეგი მოიტანა იმით, რომ ჩვენს თვალწინ (21-ე საუკუნის დასაწყისში) უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებში ბერებს შეაწყვეტინეს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ამ მონასტრების ალბანურობის მომიზეზებით და ეს მონასტრები უცხო საზღვრებში აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, როგორც ჩვენი კვლევაც აჩვენებს, ყოველივე ამას თავისი თეორიული საფუძველი შემზადებული ჰქონია საისტორიო წრეებში ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, რომლის თანამედროვე ანარეკლი ჩანს საინტერნეტო გვერდებზეც, ჩვენ ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მასალებიც ვიკიპედიიდან, რათა ვაჩვენოთ, რომ ასეთი არასწორი მტკიცება არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ სახალხო გვერდებზეცაა ასახული. მაგალითად, ერთი ასეთი ვებგვერდია – https://ka.wikipedia.org/wiki/# კახეთი#ისტორიული_კახეთი

აქ, თუ მას სათანადოდ წავიკითხავთ, ნათქვამია, რომ კახეთი, თითქოსდა, თავდაპირველად პატარა ქვეყანა იყო, რომლის დედაქალაქი თიანეთთან მდებარეობდა და მას ესაზღვრებოდა ჰერეთი (ალბანეთი), რომლის ქალაქი იყო თელავი.

ჰერეთი, უცხოელების მიერ ალბანეთად იწოდება და არა მხოლოდ უცხოელთა მიერ.

მაგალითად, არსენ საფარელი, მცხეთელი კათალიკოსი დაახლოებით მე-9 საუკუნეში, თავის თხზულებაში „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980), ალბანეთის კათალიკოსებს „ჰერთა კათალიკოსებს“ უწოდებს, ხოლო ალბანეთის ეკლესიას – ჰერების საკათალიკოსოს.. მსგავსადვეა, სხვა წყაროებშიც.

ამიტომაც, რადგანაც ჰერეთს ალბანეთად მიიჩნევენ, მით უფრო ეკლესიურად, ჰერეთისადმი კახეთის მიკუთვნება, რომელიც ამჟამად კარგ ტონად მიიჩნევა, საქართველოს ისტორიის გასამრუდებლადაა გამოყენებული (და არა მხოლოდ უცხოეთში). თუმცა ვერ გავექცევით ფაქტს, რომ ჰერეთი ალბანეთის ნაწილი იყო, მაგრამ მისი ისტორიული საზღვარი კახეთთან გიშისწყალზე

გადიოდა და ის მოცავდა შექის, ოგუზისა და გაბალას რაიონებს, დასახლებული ქართველურენოვანი ხალხით, ანუ ჰერები ალბანეთის ქართულენოვანი ტომი იყო.

პლინიუსის ცნობით, ალბანეთის საზღვარი იბერიასთან, გადიოდა კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარეზე, რომელიც გავაკების შემდეგ მტკვარს უერთდებოდა. ასეთი მდინარეა თანამედროვე შაქის ოლქში მდ. ალიჯანჩაი, თუმცა სხვა წყაროს ცნობით, აქ სასაზღვრო მდინარე იყო გიშისწალი (აგრიჩაი).

ჩვენ ამ ნაშრომში ვავითარებთ აზრს, რომ ჰერები იყო ალბანეთში მცხოვრები ქართულენოვანი ტომი შემავალი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომ მისი ისტორია ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

სტრაბონის ცნობით, ალბანეთში 26 სხვადასხვაენოვანი ტომი ცხოვრობდა, მათ შორის ალბანეთში ქართულ (ქართველურ) ენოვანი ტომებიც ცხოვრობდნენ, ერთ-ერთი ასეთი ქართულენოვანი ტომი ალბანეთისა იყო ჰერები, ხოლო მათი ქვეყანა – ამჟამინდელი შაქის მიმდებარე ოლქი, ცნობილი „შაქის სამეფო“, რომელიც კახეთს ძირითადად, მდ. ალიჯაჩაიზე ესაზღვრებოდა.

არაბთა შემოსევების შემდეგ ალაბნეთის სხვა ტომები ასიმილირდნენ სხვადასხვა ხალხში, ხოლო ჰერებმა შეინარჩუნეს ქართული იდენტობა, მაგრამ ქვეყნის სამმართველო სისტემები ხელში ჩაიგდეს მონოფიზიტმა მმართველებმა, ერთ-ერთი იყო „საჰლ სმბატიანი“, მას ხალიფამ განსაკუთრებული ერთგულებისათვის მიანიჭა „ არმენიის,რანისა და ივერიის“ მეფის წოდება (მოვსეს კალანკატუაცის ცნობით), მან გადალახა თავისი ქვეყნის, ჰერეთის ანუ შაქის ოლქის საზღვრები, უკანონოდ შეიჭრა რანის მიწა-წყალზე, ამოხოცა იქაური მმართველი დინასტია და რანი თავის ქვეყანას მიუერთა. შემდგეგ კი მას, 840-იან წლებში, არაბული ლაშქრის მეთაურმა ხალხილ ისიდისძემ სამართავად გადასცა მის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი გავაზიდან გიშისწყლამდე.

მართალია, ხალილი დამარცხდა ქართველების მიერ გავაზთან და, ამის გამო, ვეღარ შეძლო კახეთის სხვა ნაწილების დაპყრობა, მაგარამ მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა მთელი სამხრეთ კახეთი გავაზამდე, უკან დაბრუნების შემდეგ კი, როგორც შემდეგი მოვლენებიდან ჩანს, დაპყრობილი სამხრეთ კახეთი გადაუცია შაქის ჰერეთის მმართველ საჰლ სმბატიანისათვის, იმჟამად არაბული სახალიფოს ერთ-ერთი საყრდენისათვის.

840-იან წლებში არაბთა წინააღმდეგ მუდამ აჯანყებული კახეთის სამხრეთი ნაწილი გადაეცა არაბთა ერთგულებით განთქმულ შაქის აღნიშნულ მმართველს. იქამდე ისტორიული კახეთის საზღვარი ჰერეთთან გადიოდა მდინარე გიშისწყალზე, ანდა მახლობელ მდინარე ალჯანჩაიზე. მხოლოდ **მე-9 ს-ის 40-იან წლებში** შეიცვალა ეს საზღვარი და მარტივად თუ ვიტყვით, **ჰერეთმა ანუ შაქის ოლქმა დაიპყრო სამხრეთ კახეთი ვიდრე ილტო-გავაზის ხაზამდე.**

ამჟამად ითვლება, თითქოსდა, კახეთმა დაიპყრო ჰერეთი (იხ. ქვემოთ) მაშინ, როცა კვლევა სხვა სურათს გვიჩვენებს, კერძოდ, **მე-9 ს-ში, არაბთა**

ნებით, შაქის მმართველმა საჰლ სმბატიანმა დაიპყრო რანიც (ისტორიული ალბანეთი) და სამხრეთ კახეთიც.

ამჟამადაც ჰერეთი ეწოდება შაქის ოლქს **Шекинское царство** (также **царство Эрети** или **царство Албании**, **Гаргарское царство**).

ჰერთი, ანუ შაქის ოლქი, როგორც ითქვა, დასახლებული იყო ქართულ-ენოვანი ხალხით – ჰერებით. სამხრეთ კახეთის დაპყრობის შემდეგ ეს ორი ქართულენოვანი ტომი გაერთიანდა და ქართული სულისკვეთება უფრო გამოცოცხლდა. ეს გამოჩნდა მალევე, მე-10 საუკუნეში, როცა თავისი ხალხის რელიგიური მისწრაფების გათვალისწინებით ჰერეთის დედოფალმა დინარამ აღადგინა წმიდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, ანუ ჰერეთი დაუბრუნა ქართული ეკლესიის წიაღს.

მემატიანე მიიჩნევს, რომ ჰერეთში (შაქის ოლქში) იქამდე გავრცელე-ბული იყო მწვალებლობა, ანუ სომხურ-მონოფიზიტური ქრისტიანობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ, როგორც აღინიშნა, არაბთა შემოსევების შემდეგ ჰერეთს მონოფიზიტი მმართველები განაგებდნენ.

ჰერეთის დედოფალ დინარას რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებენ, ამის მიზეზი ჩვენ ავხსენით წიგნში „ქართველი წმიდანები“, საბედნიეროდ, ჩვენი ეს მოსაზრება. როგორც წმ. დინარას შესახებ რუსული საინტერნეტო გვერდები აჩვენებს, ამჟამად, გაზიარებულია.

რუსულ წყაროებში დინარას ეწოდებოდა „ივერიის დედოფალი“, რადგანაც, როგორც ითქვა, ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო და მათი ქვე-ყანაც „ივერიად“ აღიქმებოდა იმ რუსი მეომარ-მეკობრეების მიერ, რომელთაც მე-10 საუკუნეში, 944 წელს, კასპიის ზღვიდან ნავებით ამოცურეს ქალაქ ბარდამდე და იქ შეიტყვეს ივერიელი ხალხის ამ დედოფლის შესახებ (მათ მიერ ბარდის დაპყრობას ეწოდება – „Набег русов на Бердаа“).

მაშასადამე, ჩვენი მტკიცებით, შაქის ქვეყანამ, ანუ ჰერეთმა, დაიპყრო სამხრეთ კახეთი მონოფიზიტი მმართველების დროს მე-9 საუკუნეში, ხოლო იქამდე საზღვარი ისტორიული კახეთისა ჰერეთთან გადიოდა მდ. გიშის-წყალზე ანდა ალიჯანჩაიზე.

ამ მოსაზრებას ჩვენ ძალზე ხშირად ვიმეორებთ ამ ნაშრომში იმ მიზეზის გამო, რომ ეს აზრი სიახლეა, მთლიანად განსხვავდებული ამჟამად აღიარე-ბულისაგან, რომელიც თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე მუშავდებოდა სხვადასხვა ინსტიტუტსა და კათედრებზე, ამიტომ ამ გამყარებული მტკი-ცების უარსაყოფად ერთი და იგივეს გამეორება, ოღონდ სხვადასხვა კუთხით, კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ხშირად მიწევს.

ერთ მაგალითად მოვიყვანე ზემოთ მოცემული მტკიცება, თითქოსდა, ისტორიულად თელავი ჰერეთის (ალბანეთის) ქალაქი იყო და მხოლოდ შემდეგ დაიპყრო ის მანამდე პატარა კახეთმა.

მათი მტკიცებით, „ჰერეთის ქალაქი თელავი“ შემდგომში კახეთის დედაქალაქი გახდა, ანუ კახეთმა დაიპყრო ჰერეთი და ამის შედეგად მიიღო კახეთმა თანამედროვე საზღვრები. სწორედ ასეთი თეორიების შედეგია იმ ქვეყნის პრეტენზიები კახეთისა და მისი ეკლესია-მონასტრების მიმართ,

რომელიც ამჟამად თავის თავს ალბანეთის ისტორიულ და პოლიტიკურ მემ-კვიდრედ მიიჩნევს.

კერძოდ, აღნიშნულ გვერდზე ნათქვამია – *„ისტორიული კახეთი თავისი არსებობის მანძილზე დღევანდელისაგან განსხვავებულ ტერიტორიას მოიცავ-და. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით თავდაპირველად კახეთი წარმოად-გენდა მდინარეების – არაგვის, იორისა და ალაზნის ხეობების მაღალმთიან რე-გიონს, რომლის დედაქალაქი ქართლოსის ცოლის მიერ დაარსებული ქალაქი – დედაციხე იყო. იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძმების, კახოსსა და კუხოსს შორის მიწების გადანაწილების შედეგად კუხოსს კახეთის ახალი დედაქალაქის – ჟალეთის აშენების სანაცვლოდ, დაეთმო მიწების გარკვეული ნაწილი (ალაზნისა და ივრის ხეობები). აღნიშნულის შემდეგ კახეთის შემდ-გომი ლოკალიზაცია უკვე წარმოადგენდა ივრის პირას მდებარე ჟალეთიდან მდინარეების – არაგვისა (ჭართალი, მთიულეთი, გუდამაყარი, ფხოვი) და თერგის (წანარეთი) ზემო ხეობები. შემდგომ, IV საუკუნეში კახეთ-კუხეთის საერისთავოს დედაქალაქმა უჯარმაში გადმოინაცვლა. აღნიშნული საერისთა-ვოს შექმნა პირველი მცდელობა იყო კახეთ-კუხეთ-ჰერეთის მიწების გაერ-თიანებისა. მოგვიანებით* ***დედაქალაქის ისტორიული ჰერეთის ქალაქ თელავში გადატანით*** *მოხდა აღნიშნული სამი რეგიონის მიწების გაერთიანება საერთო სახელწოდებით – კახეთი“.* https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთი#ისტორიული – კახეთი

ჩვენ არ ვიზიარებთ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და მის მიმდევათა მიერ დანერგილ და ამჟამად აღიარებულ ამ მტკიცებას, რომ, თითქოსდა, ისტორიული ალბანეთის საზღვარი თიანეთთან და თბილისთან ახლოს გადიოდა, რომ ისტორიული კახეთი იყო მცირე ქვეყანა, რომლის დედაქა-ლაქი იყო თიანეთთან (ჟალეთი), ხოლო **ჰერეთის ქალაქი იყო თელავი** (მით უფრო, რომ ალბანეთსა და ჰერეთს ამჟამად ერთმანეთთან აიგივებენ).

ასეთი ცნობა არ მოიპოვება“ ქართლის ცხოვრებაში“, შეცდომის წყაროა ის, რომ არასწორადაა ლოკალიზებული ძველი ქართული ქალაქები „დედა-ციხე“ და „ჩელეთი“ (ბერი). ასევე, არასწორად ლოკალიზდება ქედი, რომელ-საც წყაროში „კახეთის მთა“ ეწოდება, „კახეთის მთად“ კი, არასწორად დღე-ვანდელი იალნო-საგურამოს ქედი მიიჩნევა,

ჩვენი კვლევით (იხ. ქვემოთ) კი, წყაროს „კახეთის მთა“ გომბორის ქე-დია. ამ წყაროშივე ნახსენები მისი „თავი“ ანუ მისი საწყისი, მდებრეობდა იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს.

მართლაც, გომბორის ქედი იწყება იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს, მართალია, მცირე ბორცვების სახით, მაგრამ ის „ქართლის ცხოვრების“ ავტო-რებისათვის „კახეთის მთის თავად“ მიიჩნეოდა.

ეს ბორცვები ჩრდილოეთის მიმართულებით გაწოლილი გომბორის ქედს უდებდა სათავეს, თავის მხრივ კი ეს ქედი ერთმანეთისაგან საზღვრავდა ისტორიულ კახეთსა და კუხეთს.

ასეთი განსაზღვრა მთლიანად ცვლის წარმოდგენას ისტორიული კახეთის შესახებ, რადგანაც ამ შემთხვევაში ისტორიული კახეთის საწყისი იორ-ალაზანთან იქნებოდა საძიები.

იმის გამო, რომ ჩვენი აღნიშნული მეცნიერები თავიანთ არასწორ მტკიცებას საფუძვლად უდებენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, განვიხილოთ ისინი.

კახოსი იყო ძე ქართლოსისა, ანუ მას მიეცა ქვეყანა ქართლოსის წილხვედრი ქვეყნის საზღვრებში, ქართლოსის ქვეყანას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჰერეთი, მაშასადამე, კახოსის ქვეყანას აღმოსავლეთიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. ხოლო, თავის მხრივ ჰეროსის ქვეყანა მდებარებდა „მტკვრისა ჩრდილოთ“.

სამწუხაროდ, ამ წინადადებას („მტკვრისა ჩრდილოთ“), არ ექცევა სათანადო ყურადღება და ამჟამად ჰერეთს მიაკუთვნებენ არა მტკვრის, არამედ ალაზნისა და ივრის ხეობებს.

ამ შეცდომის წყაროა სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გულგულას არასწორი განსაზღვარა.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია, რომ ვახუშტი ბატონიშვილს სათანადო ცნობები არ ჰქონია კახეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ, თუმცა კი ის (ვახუშტი) თავის შრომის ერთ ადგილას (იხ. ქვემოთ) წერს, რომ კახეთსა და ჰერეთს ერთმანეთისაგან საზღვრავდა მდ. გიშისწყალი, ანუ ალაზნის უმთავრესი შენაკადი. თუმცა სხვაგან ვარაუდობს, რომ წყაროში ნახსენები ტყეტბა-გულგულა შესაძლოა იყოს თელავთან ახლოს მდებარე პუნქტი.

ჩვენი კვლევით კი ვახუშტი მართალი იყო პირველ შემთხვევაში, როცა ის საზღვრად კახეთსა და ჰერეთს შორის ასახელებდა მდინარე გიშისწყალს (იხ. ქვემოთ).

თუ საზღვარი მიუყვებოდა მდ. გიშისწყალს, მაშინ მართალი აღმოჩნდებოდა წყაროს მეორე მინიშნება, რომ ჰერეთი „მტკვრის ჩრდილოთ“ მდებარეობდა, ანუ თუკი საზღვარი კახეთისა ჰერეთთან იყო მდ. გიშისწყალი, მაშინ ისტორიული ჰერეთი ერქვა „მტკვრის ჩრდილოთ“ მდებარე ქვეყანას, ანუ შაქის რეგიონს. და მართლაც, ამჟამადაც ის, რაც ქართულ სივრცეში ჰერეთადაა ცნობილი, უცხოურ მეცნიერთა მიერ შაქის სამეფოდ იწოდება.

რომელია მდინარე გიშისწყალი? ის გაედინება შაქის ოლქში და სათავე აქვს ვართაშენის (ოგუზის) რაიონში, ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრებით, „**მდ. აგრიჩაისაც (მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი, Агричай) გიშისწყალი რქმევია**“.

რადგანაც წყაროს ცნობა შეცვლილია, ამიტომაც იძულებული ვართ ხშირად მოვიყვანოთ შესაბამისი მტკიცება – ქართლის ცხოვრების ყველაზე ძველი ანასეული ხელნაწერი რამდენჯერმე ახსენებს ტერმინს „კახეთის მთა“, მისი აღდგენილი ტექსტი ასეთია –

„ხოლო (კუხოსს) მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ვიდრე **თავადმდე მთასა კახეთისასა** და მტკუარსა შუა: ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთისა მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბადმდე,

რომელი არს საზღუარი ჰერეთისა; და **მან კახოს აღაშენა ჩელეთი; (კუხოსი) შეეწია შენებასა მისსა, რამეთუ დედა-ციხე კახოს ხუედრი იყო, და მისცა კახოს (მა კუხოსს) შეწევნისათუის“**
http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/4924/8/kartlis%20cxovreba%20anaseuli.pdf

შესაბამისი უნდა იყოს ქართლის ცხოვრების ტექსტიც –

„მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი...ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჯან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჯან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჯან ხორანთა...ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, **თავადმდე მთასა კახეთისასა** და მტკუარსა შუა. ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგჳთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“.
http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html

წყაროებში ნახსენები ციხე-ქალაქი – „დედაციხე“, უნდა ვეძიოთ შირაქის ველზე, ალაზან-იორის შესართავთან, იქ სადაც ამჟამად „დიდნაურის“ გრანდიოზული ნაქალაქარი (ციხე-ქალაქი) აღმოჩნდა ძვ. წ. XII–IX საუკუნეებისა.

ჩვენი კვლევით, რომელიც ქვემოთაა მოცემული, ქალაქი „ბერი“ (ჩელეთი) უნდა იყოს არა ჟალეთი, თიანეთთან, არამედ პუნქტი (სოფელი) „ჯალეთი“ (Джалуд) ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანშია, ისევე, როგორც აზერბაიჯანშია ლეონტის მიერ ნახსენები ტყეტბა, ის, როგორც ამას ჩვენ ძალზე ხშირად აღვნიშნავთ, უნდა იყოს არა თელავთან მდებარე გულგულა, არამედ მდინარეების, გიშისწყლისა და ალიჯანჩაის სათავეებთან მდებარე პუნქტი, მდებარე თანამედროვე სოფლებთან – ხილხალთან და ფილფილთან.

ასევე, ხშირად აღვნიშნავთ, რომ აქ, მდ. ალიჯანჩაიზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი საუკუნეთა მანძილზე, ამჟამადაც კი აქ გადის საზღვარი აზერბაიჯანის შიდა რეგიონებს შორის.

ეს საკითხები მოცემულია ამავე პარაგრაფსა და სხვა მრავალ თავში ამ ნაშრომისა.

ვართაშენის ანუ ამჟამინდელ ოგუზის რაიონშია რამდენიმე სოფელი, რომელნიც ოდესღაც კახეთის სამეფოს საზღვარზე მდებარეობდნენ, მათ შორისაა ყოფილი ჩელეთი, რომელიც ჩვენს წყაროებშია მოხსენიებული, მას ამჟამად ჯალეთი ანუ ჯალუდი ეწოდება, აქ ამჟამადაც მიუთითებენ გრანდიოზული ციხე-ქალაქის ნაშთებს, ამავე რაიონშია ჩვენს წყაროებში მოხსენიებული ტყეტბა-გულგულა, ახლა აქ არის მნიშვნელოვანი ტურისტული პუნქტი.

აქ, სოფელ ფილფილთან მდებარე სოფელი ხალხალი (филфилли, Халхал, ანდა ადგილი ამ სოფელთა არეალში) უნდა ყოფილიყო ის ტყეტბა-გულგულა, რომელიც კახეთის სამეფოს საზღვარზე მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ეს ხალხალი მიაჩნდა მოსე ჯანაშვილსაც საქართველოს უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად მემატიანე ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცზე დაყრდნობით (ჯანაშვილი მ. „საინგილო“, „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913).

ვართაშენის ანუ ოგუზის რაიონში მდებარე ეს პუნქტები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში კახეთის სამეფოში შედიოდა, რადგან აქვე ახლოს გამავალ მდინარე ალიჯანჩაიზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი, ხოლო უფრო ადრე ,1310 წელს ამ რეგიონის ეკლესია-მონასტრების ინსპექტირება პირადად ინება საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა.

ეს რეგიონი, წყაროთა ცნობით, ქართველთა განსახლების მიწა-წყალი იყო.

ქართლის ცხოვრება წერს – „შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქჯან სამშჯლდე. და კუალად აღაშენა მტუერის-ციხე, რომელსა აწ ჰქჯან ხუნანი. ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, **ხუნანითგან** ვიდრე ზღუამდე სპერისა.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით **მდინარე ბერდუჯისი**, დასავლით ქალაქი **გაჩიანი**, და სამჯრით მთა პირველ ჴსენებული, და ჩრდილოთ **მტკვარი**.



როგორც ითქვა, ქართლის ცხოვრება წერს – „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგჳთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან **კახოს აღაშენა ჩელეთი;** კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს (ჩანს, ეწერა – „მისცა კუხოსს“) შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა.
http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_2.html

ეს ნიშნავს, რომ კახეთი მოქცეული იყო კავკასიის მთავარ ქედსა და გომბორის ქედს შორის, სამხრეთით მის საზღვარს წარმოადგენდა ხაზი იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეტბა-გოლგოლა, ანუ გულგულმდე (ანუ **ხალხალა-ფილფილამდე**).

სოფელი ხალხალი წინა წლებში შედიოდა ქალაქ ნუხის „უეზდის“ შემადგენლობაში, ამჟამად, ქალაქების სახელების შეცვლის გამო, ოგუზის (ვართაშენის) რაიონში შედის, კავკასიის მთის ძირშია. ამავე რაიონშია სოფელი ფილფილი, ის იმ გზაზეა, რომელიც მტკვრის ხეობას აკავშირებდა ჩრდილო კავკასიასთან, კერძოდ, ხამჩაზის უღელტეხილთან, მდ. გალაჩაის ნაპირზე, ეს პატარა მდინარე კვებავს აგრიჩაის. აქვე უნდა ყოფილიყო ქართულ წყაროებში ნახსენები „ტყეტბა“, რომელსაც შემდგომში ლეონტი მროველი **„გლგულას“** უწოდებს.

როგორც ითქვა, ამ სოფელ ფილფილთან ამჟამადაც არსებობს სახელმწიფო კურორტის მნიშვნელობის ტყე-პარკი, რომელიც ცნობილია თავისი შესანიშნავი ტბით, ადგილობრივ ენაზე (თათრულ-აზერბაიჯანულად) ტბას ლამაზ ტბას – „გოლ“, „გელ“ ეწოდება, ამიტომაც ტერმინი „**გულ-გულა**“ შეიძლება ლამაზ ტბასაც **„gёль – gёль“ ნიშნავს.**

სახელი „გულგულ“ შეიძლება ქართული სიტყვა ტყეტბის თათრული თარგმანიც იყოს. ლეონტის დროს უკვე დაწყებული იყო დიდი თურქობა და მათი ჩასახლება ქართულ რეგიონებში, მათ შორის შაქის ოლქშიც და შესაძლებელია მე-11 საუკუნეში ეს ტერმინი უკვე არსებობდა. შუა საუკუნეთა საქართველოს საზღვარ მდ. აღსუს ხეობაში აჟამადაც არის ტბა მსგავსი სახელით Гёйгёль – озеро в западной части Азербайджана, расположенное на территории Гёйгёльского района, на северном склоне хребта Муровдаг, у подножия горы Кяпаз, в ущелье реки Ахсу. Является одним из крупнейших озёр в Азербайджане.

ასევე, ლორეს ოლქში (ყოფილ საქართველოში), ამჟამადაც არის ტბა მსგავსი სახელით Эттик-Гёль – небольшое озеро в Армении, в Лорийской области, на северо-западе Лорийской котловины.

აღსანიშნავია, როგორც ითქვა, ვახუშტი კახეთ-ჰერეთის საზღვრად გიშისწყალს ასახელებს (იხ.ქვემოთ). აღნიშნული სასაზღვრო სოფლები ფილფილი და ხალხალი გიშისწყლის სათავეებთანაა, ხოლო მდ. ალიჯანჩაი კახეთის სამეფოს საზღავრი იყო საუკუნეთა მანძილზე.

ისტორიული კახეთი იმთავითვე მოქცეული იყო კავკასიონის მთავარ ქედსა და გომბორს შორის, ხოლო მისი სამხრეთი საზღვარი, ანუ საზღვარი ჰერეთთან ძირითადად იყო მდ, ალიჯაჩაი, ანდა გიშისწყალი.

ასეთი მოსაზრება სრულებით ეთანადება პლინიუსის ცნობას, რომ იბერიისა და ალბანეთის საზღვარი გადიოდა მდინარეზე, რომელიც სათავეს იღებდა კავკასიის მთებში და ვაკე ადგილას უერთდებოდა მტკვარს, ასეთია მდ. ალიჯანჩაი, ის უნდა იყოს პლინიუსის მიერ ნახსენები მდ. ოკაზანი. ეს ცნობა ასევე ეთანადება ალიჯანჩაის მახლობელ მდინარე გიშისწყალს. ასეთი ტერიტორია მოქცეული კავკასიონსა და გომბორს, ასევე მდ.ალიჯანჩაის შორის უნდა ყოფილიყო კახოსის წილი ქვეყანა.

ხოლო კუხოსის წილი იყო მიწა-წყალი მტკვრიდან ვიდრე გომბორის ქედამდე.

ჰეროსის წილი იყო მიწა-წყალი იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. ხოლო კახეთთან ჰერეთს საზღვრავდა აღნიშნული ხაზი იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეტბამდე, ანუ ამჟამინდელ ხილხალა-ფილფილამდე.

წყაროს ცნობით, კახოსმა დაიწყო ქალაქ ჩელეთის შენება, ასეთ ფარგ-ლებში ჩელეთი კუხეთთან ახლოს მდებარეობდა, ამიტომაც კუხოსი დაეხმარა კახოსს ამ ქალაქის აშენებისას. სანაცვლოდ კახოსმა კუხოსს დაუთმო თავისი ქალქი „დედაციხე“.

როგორც ითქვა, დედაციხედ ჩვენ მივიჩნიეთ დიდნაურის ველზე აღმო-ჩენილი გრანდიოზული ნაქალაქარი ძველი წელთაღრიცხვის II–I ათასწლეუ-ლებისა. ამ შემთხვევაში ეს ქალაქი (დედაციხე) ზედ კუხოსის ქვეყნის საზღვრის მახლობლად მდებარეობდა და ის გადაუცია კიდეც კუხოსისათვის კახოსს. http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html

ასეთი ლოკალიზაციის შემთხვევაში არასწორი აღმოჩნდება ისტორიუ-ლი კახეთის, ჰერეთისა და კუხეთის შესახებ ამჟამად აღიარებული მტკიცე-ბანი, კერძოდ, ისიც, რომ თითქოსდა, ქართლის ცხოვრების ცნობით თელავი ჰერეთის ქალაქს წარმოადგენდა.

ჩვენ ქვემოთ ხშირად ვიმეორებთ აზრს, რომ საკუთრივ ჰერეთის ისტორიული მიწა-წყალი მოიცავდა შექისა (შაქისა) და ამჟამინდელი კაბალას ოლქის ტერიტორიას მდინარე გიშისწყლიდან ვიდრე მდინარე თეთრწყლამდე (აღსუმდე), ხოლო კახეთის საზღვარი ამ მიმართულებით გადიოდა მდ. გიშისწყალზე და უფრო ხშირად, იქვე გამდინარე ალიჯანჩაიზე, რაც გამოკვ-ლეულია ქვემოთ.

ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისოდ დამკვიდრებულია არასწორი მოსაზრება, რომ თითქოსდა, ისტორიული კახეთი მოქცეული იყო მდინარე **არაგვსა და იანლოს ქედს** შორის, რომლის კალთაზეც მარტყოფის მონასტერი დგას, და ასეთმა პატარა სამთავრომ, თითქოსდა, ჰერეთისაგან მიიტაცა ტერიტორია თელავის ჩათვლით (ამისაგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, ჩვენ ვავითარებთ აზრს, რომ უძველესი ხანიდანვე კახეთი მოქცეუ-ლი იყო გომბორის ქედსა და კავკასიის მთავარ ქედს შორის). საბჭოთა მეც-

ნიერი წერს – *„ჰერეთში სახლობდნენ საქართველოს აღმოსავლეთით მცხოვ-რებ ალბანელთა ნაწილი, რომელმაც შემდგომ* ***ქართლიზაცია*** *განიცადა“.* https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთის_ისტორია

აქ ნახსენები ტერმინი **„ქართლიზაცია**“ არა მხოლოდ არასწორია, ვფიქრობ, უპასუხისმგებლოცაა.

ჰერეთ-კახეთის სასაზღვრო ხაზი, როგორც აღინიშნა, იორ-ალაზნის შესართავიდან მიუყვებოდა მდ. ალაზანს და შემდეგ მის შენაკად გიშისწყალს (აგრიჩაის) სათავემდე, რომლის მახლობლადაც მთებში მდებარეობდა პუნქტი ტყე-ტბა გულგულა (და არა თელავთან).

ასევე, აღინიშნა, რომ იორ-ალაზნის შესართავის რეგიონშივე უნდა ვეძიოთ ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძის კახოსის მიერ აშენებული ქალაქი **ჩელეთი** და არა ჟალეთთან (ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან).

აქვე, იორ-ალაზნის შესართავთან უნდა ვეძიოთ წყაროში ნახსენები **„დედა-ციხე“**, რადგანაც თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოძიებული ცნო-ბებით აქ, იორ-ალაზნის შესართავთან ყოფილა ქართველთა ნაშენები თავდაპირველი გრანდიოზული ნაგებობები. მართალაც, არქეოლოგებმაც აქ, ადგილ დიდნაურის ველზე აღმოაჩინეს გრანდიოზული ციხე-ქალაქების ნაშთები, აქ ახლოს იყო კუხოსის წილი ქვეყანა, ამიტომაც ციხე-ქალქ ბერის, იგივე ჩელეთის შენებისას კახოსს „შეეწია კუხოს“, ანუ დაეხმარა მშენებლო-ბისას. ამ დახმარების სანაცვლოდ კუხოსს კახოსისაგან საჩუქრად ერგო „დედა-ციხე“. მართალაც, დიდნაური ახლოა ისტორიულ კუხეთთან.

დიდნაურის ნაქალაქარი, რომელიც ქართლის ცხოვრებაში ნახსენები „დედა ციხე“ უნდა იყოს, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 2014 წელს, ადგილ დიდნაურზე, დედოფლისწყაროსთან ახლოს. ესაა მასშტაბური დასახლება, ანუ ციხე-ქალაქი თითქმის 2 კმ სიგრძის გალავნით, ხოლო გალავნის კედლის სისქე არის 12 მეტრი. მას ათარიღებენ ძვ. წ. მე-12 საუკუნით, რაც ალბათ, ეთანადება ლეგენდარული კახოსისა და კუხოსის ეპოქას.

შეიძლება ითქვას, რომ დიდნაურთან ახლოს იწყება გომბორის ქედი, ანუ წყაროში ნახსენები „კახეთის მთის თავი“, აქვე ახლოა იორ-ალაზნის შესართავი, იორ-ალაზნის შესართავთან კი ჰერეთი იწყებოდა წყაროს ცნობით. მაშასადამე, ეს ციხე მდებარეობდა ზედ საზღვარზე კუხოსის ქვეყნისა.

როგორც ითქვა, კუხოსის ქვეყანა მოქცეული იყო მტკვარსა და გომ-ბორის ქედს შუა, ანუ დიდნაური ზედ კუხეთის საზღვარზეა, გომბორის ქე-დის საწყისთან. აქ სამი რეგიონი – კახეთი, კუხეთი და ჰერეთი ემიჯნებოდა ერთმანეთს.

წყაროს მიხედვით, „დედა-ციხე“ ანუ, სავარაუდოდ, დიდნაურის ციხე-ქალაქი კახოსს ეკუთვნოდა, მაგრამ მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა აგება ახალი ციხე-ქალაქისა, ჩელეთისა. ის მდებარეობდა, ჩვენი კვლევით, შექის ოლქში, გიშისწყლის სათავის რაიონში. ამ რეგიონში ამჟამადაცაა ადგი-ლი (სოფელი) სახელწოდებით „ჩალეთი“ (ამჟამინდელ აზერბაიჯანში, შაქთან ახლოს, ქალაქ ოგუზთან) ვართაშენთან, ჭალეთი.

აქვე, ამავე რეგიონთან (ანუ იორ-ალაზნის შესართავთან, ანუ ჰერეთის საზღვართან) ახლოს უნდა ვეძიოთ ცნობილი პუნქტი „ტყე-ტბა“, ის იყო სა-საზღვრო პუნქტი კახეთისა ჰერეთთან, რომელსაც ლეონტი მროველის დროს „გოლგოლა“ ერქვა.

როგრც ქვემოთაა გარკვეული, ჩვენი ზოგიერთი მეცნიერის შეცდომის საფუძველია ის, რომ წყაროში ნახსენები „კახეთის მთა“ მიიჩნიეს იანლოსა და თიანეთთან მიმდებარე მთებად, სინამდვილეში კი, **კახეთის მთა ერქვა გომბორის ქედს მთელს მის სიგრძეზე.** ამ ქედის დასაწყისად მიიჩნევდნენ მის ბორცვს იორ-ალაზნის შესართავთან. მას ასე ეწოდებოდა : **„თავი კახეთის მთისა“.** ის, ძველ საქრთველოში, მიაჩნდათ ათვლის წერტილად, აქედანვე იწყებოდა „ჰეროსის წილი“ ქვეყანა –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შუა, არაგვითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი. კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედაციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოს შეწევნისათვის, და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“.

http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm?kcx1002.htm

„მისცა კახოს შეწევნისათვის“, ნიშნავს: „მისცა კახოსმა (კუხოსს) შეწევნისათვის“.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ უკვე აღნიშნული ფაქტის შესახებ, რომ კახეთის საზღვრებთან დაკავშირებით წაროს გამომცემელმა რედაქტორმა ერთერთი სიტყვის შეცვლით, ფაქტიურად, სულ სხვა თავალსაზრისი დაამკვიდრა.

მაგალითად ე.წ. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ასეთი ტექსტია –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა ეგრითგან **ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა,** ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყეტ-ბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“.

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/1/18/1906_-_ქართლის_ცხოვრება_მარიამისეული_%28თაყაიშვილი%29.pdf

მაშასადამე, ძველ ტექსტებში გვაქვს სწორი ფორმა – **„თავადმდე მთასა კახეთისასა“.**

სამწუხაროდ, ამჟამად წყაროს თვითნებურად ასხვაფერებენ, ამატებენ მითითებას, რაც სინამდვილეში წყაროში არ წერია –

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [.....შესარ] თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.“

მაშინ, როცა წყაროში არაა ასეთი ფორმა **„[.....შესარ] თავადმდე“** და არის მხოლოდ სიტყვა **„თავადმდე“**, და იქვეა – **„მთასა კახეთისასა“,** მაშასადამე, კახეთის მთის თავამდე და არა „შესართავამდე“.

ამდენად, სწორია ძველი ტექსტი- **„თავადმდე მთასა კახეთისასა“**, ხოლო, მე-20 საუკუნის ჩამატება – **„[*.....შესარ*] თავადმდე, მთასა კახეთისასა“** – არასწორია.

ასეთი თვითნებური ჩამატება წყაროში კარდინალურად ცვლის წყაროს ცნობას.

როგორც ითქვა, მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ასეთი ჩამატება არ გვხვდება.

ამ შემთხვევაში ტექსტი მიიღებს სახეს – „ხოლო **კუხოსს მისცა** ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან რუსთავი, მისცა **არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, *თავადმდე მთასა კახეთისასა* და მტკუარსა შუა**“.

მაშასადამე, კახეთი მოქცეული იყო არაგვიდან ვიდრე „კახეთის მთის თავამდე“, ანუ გომბორის „თავამდე“, ხოლო კუხეთი – კახეთის ანუ გომბორის მთასა (ანუ გომბორის ქედსა) და მტკვარს შუა. წყაროში ნახსენები „ეგრითგან“, გადამწერის შცდომაა და ***იგულისხმება – არაგვიდან*** **ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა.**

წყაროს კახეთის მთის ანუ გომბორის ქედის „თავი“ იორ-ალაზნის შესართავთანაა, რადგანაც აქ იღებს სათავეს გომბორის ქედი, რომელსაც წყარო „კახეთის მთას“ უწოდებს. იორ-ალაზნის შესართავთანვე იწყებოდა ჰერეთი, აქ ააგო ჰეროსმა თავისი ქალაქი.

შესაბამისად, გომბორის ქედი ანუ „კახეთის მთა“ ჰერეთის საზღვართან, ანუ იორ-ალაზნის შესართავთან იწყებოდა.

ისტორიული კახეთი განვრცობილი იყო იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე არაგვამდე. ეს იყო მისი სიგრძე, ხოლო, რაც შეეხება ძველი კახეთის სიგანეს, ის თავსდებოდა კავკასიის ქედიდან ვიდრე კახეთის მთამდე (ანუ გომბორის ქედამდე). რაც შეეხება კუხეთს, ის მდებარეობდა გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრამდე.

მაშასადამე, კუხეთი ერქვა ქვეყანას გომბორის ქედიდან ვიდრე მტკვრა-მდე.

რაც შეეხება კამბეჩანს, ის მდებარეობდა მტკვარზე იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი. მტკვარზე ათავსებს კამბეჩანს მე-7 ს-ის სომ-ხური გეოგრაფია, რაც ქვემოთაა აღნიშნული.

თუ ჩვენ მივიღებთ ამ განსაზღვრებებს, რაც უცვლელად იმეორებს როგორც ქართული („ქართლის ცხოვრება“), ისე სომხური წყაროს (მე-7 ს. „გეოგრაფია“) ცნობებს, მაშინ არასწორი აღმოჩნდება ჩვენი ამჟამინდელი მეცნიერების მტკიცება, რომ თელავი ჰერეთის, ანუ ალბანეთის ქალაქი იყო, რომელიც შემდეგ კახეთის ფარგლებში მოექცა.

სწორედ ასე მიიჩნევა ამჟამად, რაც მოცემულია თავისუფალ საინ-ტერნეტო ენციკლოპედიაშიც კი, მაგალითად, მის სტატიაში „კახეთი“/4.03. 2012.

ჩვენი აზრით „ამ საინტერნეტო ენციკლოპედიის ამ სტატიაში გად-მოცემულია მე-20 საუკუნეში შეთხზული ახალი ქართული ლეგენდა ისტო-რიული კახეთის შესახებ, რომ თითქოსდა, კახეთის დედაქალაქი იყო ჟალეთი

(„დედაციხედ“ მიაჩნიათ), რომ ისტორიული კახეთი მთებში მდებარეობდა, ხოლო თელავი ჰერეთის ქალაქი იყო, რომ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. ეს არის არასწორი თეორია, რომელიც საყოველთაოდაა დანერგილი, სინამდვილეში, ქართულ წყაროთა მიხედვით, ისტორიული კახეთი განვრცობილი იყო იორ-ალაზნის შესართავიდან და მდ. გიშისწყლიდან ვიდრე მდ. არაგვამდე, მაგრამ მართალია ისიც, რომ ისტორიის ერთ პერიოდში კახეთის საზღვარი დაემცრო და ჰერეთის საზღვარმა ვიდრე თელავამდე მოაღწია, ეს მოხდა მე-9 საუკუნეში, არაბული ძალების მეშვეობით.

მხოლოდ მე-9 საუკუნეში შემცირდა ისტორიული კახეთის საზღვარი და გიშისწყლიდან გადმოტანილ იქნა ვეჯინ-თელავის ხაზამდე.

თელავთან საზღვარი მე-9 საუკუნეში გაივლო სარდალ ხალილ არაბიელს ლაშქრობის შემდეგ (რისი მტკიცებაც ქვემოთაა მოცემული), იქამდე კი საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შუა გიშისწყალზე გადიოდა.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ საკითხს ჰერეთის ისტორიული საზღვრის შესახებ – წყაროს მიხედვით, სად მდებარეობდა ჰერეთი? წყარო ამბობს –

„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან **გულგულა**. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი **შესაკრებელთა შორის ორთავე *ალაზანთასა.*** და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა **ჰერეთი**. და აწ მას ადგილსა ჰქჳან **ხორანთა**.

„https://wikisource.org/wiki ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (1955) #თავი პირველი: ამბავი რვათა ძმათა.

მაშასადამე, ჰერეთ-კახეთის საზღვარი იორ-ალაზნის შესაკრებელიდანაა, ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე (გოლგოლამდე).

იორ-ალაზნის შეასართავი ცნობილია, ხოლო ტყეტბა გულგულა, როგორც გამოკვლეულია, მდებარეობდა არა თელავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ გიშისწყლის სათავესთან ახლოს, დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს შექის რაიონში სოფლები ხალხალა (Халхал. Огузский район) და ფილფილი (ფილფილი (აზერ. Filfilli), აქვე, ამ პუნქტებთან გადის ჩრდილოკავკასიაში შემავალი გზა, რომელიც ალბანეთის დედაქალაქ ბარდავს სამურის ხეობასთან, და კასპიისპირა ქალაქ დერბენდთან (ჩორთან) აკავშირებდა. შესაბამისად, თელავთან მდებარე სოფელ გულგულას ჩვენი წყარო არ მიიჩნევს ჰერეთთან სასაზღვრო პუნქტად და არც თელავი ყოფილა ალბანური ქალაქი.

ზოგიერთი ცნობა ჰერეთის ისტორიიდან

სახელ „ჰერეთს“ სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა სხვადასხვა ეპოქაში.

ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკური ერთეულები იყვნენ ე.წ. **„ისტორიული ჰერეთი“** IX საუკუნემდე და **„შუა საუკუნეთა ჰერეთი“** IX საუკუნის შემდეგ, რადგანაც მათ სხვადასხვა საზღვარი ჰქონდათ. განვიხილოთ ისინი –

ისტორიული ჰერეთი მოქცეული იყო საზღვრებში მდინარე აგრიჩაისა (გიშისწყალსა) და მდ. აღსუს (თეთრწყალს) შორის, ამჟამინდელ აზერბაიჯანში (უფრო მეტად, გიშისწლის მახლობელ მდ. ალიჯანჩაისა და მდ. აღსუს შორის), ანუ ისტორიული ჰერეთი მოიცავდა ამჟამინდელ შაქის ოლქს, გაბალასა და ვართაშენ (ოგუზის) რაიონებს.

ხოლო, რაც შეეხება ისტორიულ ალბანეთს, მისი დიდი ნაწილი კასპიის ზღვის პირზე მდებარეობდა, მისი ძველი დედაქალაქი იყო ჩორი, დერბენტთან, იქვე (სამურის ხეობის მიმართულებით, კავკასიონის მთებისაკენ) ცხოვრობდნენ ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები.

დაახლოებით IV–VI საუკუნეებში მკვეთრად შეიცვალა ალბანური პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრების ადგილმდებარეობა, დედაქალაქი და საკათალიკოსო ცენტრი ჩორიდან გადმოტანილ იქნა რანში (ბარდავ-განძის) რეგიონში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა **ისტორიული ჰერეთი,** ანუ შაქის აღნიშნული რეგიონი).

მე-9 საუკუნე უდიდესი მოსაბრუნია ისტორიულ ჰერეთს, ანუ შაქის ოლქსა და შუა საუკუნეთა ჰერეთს შორის. ამ საუკუნეში მისი საზღვრები მკვეთრად შეიცვალა, კერძოდ, შაქის გაძლიერებულმა მმართველმა დაიპყრო რამდენიმე ოლქი, მათ შორის არანი და სამხრეთ კახეთის დიდი ნაწილი და ასევე არცახ-ხაჩენი.

IX საუკუნე არის გამყოფი **ისტორიულ ჰერეთსა** და **შუა საუკუნეთა ჰერეთს** შორის, ეს სახელები პირობითა, მაგრამ ასახავს პროცესს ჰერეთის ისტორიისა, რადგანაც მე-9 საუკუნეში შაქის მმართველმა, რომელსაც არაბები **საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანის** უწოდებენ, დაიპყრო არანი, ანუ რანი, მალევე მისი ოჯახის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა ძალზე დიდი ტერიტორია – არცახი (ხაჩენი), ანუ ამჟამინდელი მთიანი ყარაბაღი. მას (საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანს) არაბები სომხად მიიჩნევდნენ, ხოლო სომხები უწოდებენ „საჰლ სმბატიანს“.

მან დააარსა შაქის სამეფოს მმართველთა დინასტია. მათ დიდ სამეფოს ქართველები ჰერეთს უწოდებენ, რაც შეცდომაა, მას „შექის სამეფო“ ეწოდება და ისტორიული ჰერეთი მხოლოდ მისი ერთი ნაწილი იყო.

შაქის მმართველთა ხელში აღმოჩნდა მტკვრის ორივე სანაპიროს ტერიტორია: მარჯვენა სანაპიროზე რანი, არცახი და შაქის შერეთი, მის მოპირდაპირედ, მტკვრის მარცხენა მხარეს. ესაა – ისტორიული ჰერეთი (შაქის ოლქი).

მათ ამ ტერიტორიებს, როგორც ფაქტები აჩვენებს, მალევე დაუმატეს მათ მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი.

აი, სწორედ ამ დროს, მე-9 საუკუნეში დაიპყრო შაქის ამ სახელმწიფომ კახეთის მიწა-წყალი ვიდრე გავაზამდე, მხოლოდ ამის შემდეგ ეწოდა კახეთის მიტაცებულ ნაწილს ჰერეთი.

მე-9 საუკუნიდან შექის სამეფოს მიერ მიტაცებულ სამხრეთ კახეთის მხარეს ეწოდა ჰერეთი, ასეთი სახით გაფართოებულ ჰერეთს ჩვენ ვუწოდებთ „შუა საუკუნეთა ჰერეთს“.

მაშასადამე, როგორც ითქვა, სხვადასხვა ფართობის მიწა-წყალს მოიცავ-და ე.წ. ისტორიული ჰერეთი და შუა საუკუნეთა ჰერეთი (მე-9 საუკუნის შემდეგ შექმნილი).

ორივე ერთეულს ქართველები ერთი და იგივე სახელ „ჰერეთს“ უწოდებდნენ.

მიზეზი იმისა, რომ ქართველები შაქ-არან-არცახის გაერთიანებულ სამე-ფოსაც ძველებურად კვლავ ჰერეთს უწოდებდნენ იყო ის, რომ იქამდე, საუკუნეთა მანძილზე, კახეთსა და ჰერეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდ. გიშისწყალი, რომელიც ისტორიულად ჰერეთის საზღვარი იყო კახეთთან მდ. ალიჯანჩაისთან ერთად. შექის სამეფოსაც კახეთთან მდ. გიშისწყალი საზ-ღვრავდა, ამ საზღვრის გადაღმა ტერიტორია კი ქართველებისათვის ჰერეთი იყო. მაგრამ ეს საზღვარი დაირღვა იმის შემდეგ, რაც შაქის სამეფომ მიიტაცა კახეთის ნაწილი.

არაბებმა შაქის მმართველს საჰლ სმბატიანს ხელი შუწყვეს და, შესაბამისად, დაეხმარნენ, რათა მის ხელში აღმოჩენილიყო უვრცელესი მიწა-წყალი ბარდას ოლქისა მთიანი ყარბაღის ჩათვლით.

ამ კაცმა, ანუ საჰლ იბნ სნბატმა მეფის წოდებაც კი მიიღო პირადად ხალიფასაგან, ამავე დროს, არაბთა ხელისუფლებამ მას საჩურად გადასცა 1000000 (ერთი მილიონი) დირჰემი, მის შვილს კი – ასი ათასი. ამასთანავე, ხალიფამ მას გაუგზავნა მეფედ წოდების უმთავრესი ნიშანი, სამეფო გვირ-გვინი და ძვირფასი ქვებით მოჭედილი სარტყელი. ამ პერიოდში, თავისი დიდების წლებში, მან ისარგებლა კახეთის უკიდურესი დასუსტებით არა-ბებთან ხანგრძლივი ომის გამო – არაბებმა წანარების ქვეყანა სანარიაც დაიქ-ვემდებარეს, უკვე მეფედ წოდებულმა შაქის მმართველმა თავისი მეზობელი კახეთისაგან მიიტაცა ტერიტორიები, ანუ კახეთის მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი, კერძოდ, ამჟამინდელი საინგილო, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი „კულმუხს“, ანუ ქურმუხის ქვეყანას უწოდებს, ასევე ამჟამინდელი ქიზიყის ნაწილი (ისტორიული კუხეთი, იგივე „კხოეთი“, წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით), საერთოდ, სამხრეთ კახეთი ვიდრე გავაზამდე.

ანუ სამხრეთ კახეთის მიწები მიიტაცა შექის მეფემ საჰლ სმბატიანმა, რომელმაც ასევე მზაკვრული ხერხებით დაიპყრო არანი, ანუ რანი იმით, რომ მმართველი სამთავრო დინასტია ამოწყვიტა, აგრეთვე, მის ხელში იყო უფრო ვრცელი ოლქი არცახი. ამ მიწა-წყლისაგან მან შექმნა სახელმწიფო, რომელსაც უცხოელები შექის სამეფოს უწოდებენ, ხოლო ქართველები, ვფიქრობ შეც-

დომით, „ჰერეთის სამეფოს“, მისი ნამდვილი სახელია შაქის სამეფო, ზოგჯერ მას უწოდებენ ხაჩენის სამთავროს.

ბუნებრივია, აქ ქართული მოსახლეობა მრავლად იყო, ამ სამეფოში შემავალი ისტორიული ჰერეთი (აგრიჩაიდან აღსუმდე) საერთოდ ქართული იყო, ოღონდ ეს ქართველები სომხური ეკლსიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ, ანუ მონოფიზიტები იყვნენ, შემდგომში ჰერეთის დედოფალმა წმ. დინარამ ჰერეთის ხალხი დაუბრუნა მართლმადიდებლურ წიაღს.

როგორც აღინიშნა, შექის სამეფოს მიერ იყო დაახლოებით 840-850-იან წლებში დაპყრობილი სამხრეთ კახეთი, რანთან (დაიპყრო 820-იან წლებში) და არცახთან ერთად.

ამ სამეფოს მოსახლეობა ჭრელი იყო, შედგებოდა ქართველებისაგან, არმენიზებული ალბანელებისა და უშუალოდ სომხებისაგან, ამ სამეფოს მხოლოდ ერთ შედარებით მცირე ნაწილს შეადგენდა ისტორიული ჰერეთი.

ვახუშტი ბატონიშვილი იძლევა ცნობას მდ. გიშისწყალზე ჰერეთის საზღვრის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ ისტორიული ჰერეთის საზღვარი ისტორიულ კახეთთან თავდაპირველად მდ. გიშისწყალზე გადიოდა.

კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი გიშისწყლისა და ჰერეთის შესახებ წერს –

„ხოლო აწ ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ, სად არს ხორანთა, მის ქუეით დიდ ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის (ქ.ც. ტომი IV, 1973, გვ.439).



ისტორიული ჰერეთის შესახებ

ისტორიული ჰერეთი, როგორც აღინიშნა, მე-9 საუკუნემდე მოიცავდა ტერიტორიას გიშისწყლიდან (**აგრიჩაი**) ვიდრე აღსუმდე.

იმის შესახებ, რომ ისტორიული ჰერეთი მდებარეობდა გიშისწყლის მარცხენა სანაპიროს მხარეს წერდა თვითონ ვახუშტი.

კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი გიშისწყლისა და ჰერეთის შესახებ წერს –

„ხოლო აწ ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ, სად არს ხორანთა, მის ქუეით დიდ ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის (ქ.ც. ტომი IV, 1973, გვ.439).

მაშასადამე, ჰერეთის ერთ-ერთი საზღვარია გიშისწყალი, ის მიედინება ჰერეთსა და კულმუხს შუა.

რას ნიშნავს კულმუხი, სად მდებარეობდა ის?

კულმუხი იგივე ქურმუხია, ხოლო ამ შემთხვევაში კულმუხი ეწოდება ქურმუხის ქვეყანას. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს დაბეჭდილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მონიშნულია პუნქტი ამ სახელწოდებით – „კულმუხი, კურმუხი, მგორი“. აქვე, პუნქტ კურმუხთან გაედინება მდინარე „კურმუხისწყალი“.

სხვათა შორის ამავე, ივ.ჯავახიშვილის 1923 წლის რუკაზე მდ. გიშის-წყალზე გადის „საქართველოს პოლიტიკური საზღვარი I საუკუნის ქრ.წ.“, ანუ ივანე ჯავახიშვილს მოაჩნდა, რომ საქართველოს, ანუ იბერიის საზღვარი ქრისტეშობამდე პირველ საუკუნეში გადიოდა მდინარე გიშისწყალზე.

ამ დროს ჰერეთი ალბანეთის ნაწილად მიიჩნეოდა, შესაბამისად, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი იყო მდინარე გიშისწყალი.

წინა საუკუნეებში ისტორიული ჰერეთი, ამ საზღვრებში, გიშისწყლიდან (აგრიჩაიდან ვიდრე აღსუმდე), პლინიუსის დროს, ნაწილი ყოფილა კავკასიის ალბანეთისა.

კავკასიის ალბანეთი არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო, სპარ-სეთმა ის რამდენჯერმე გააუქმა, თუმცა კვლავ აღდგა, საბოლოოდ, როგორც აღიარებულია, ის საბოლოოდ გააუქმეს არაბებმა 705 წელს, ანუ მე-8 საუკუნის დასაწყისში. როგორც ითქვა, ისტორიული ჰერეთი (გიშისწყლიდან თეთრ-წყლამდე) მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ალბანეთისა და ის ძალზე დააკნინა არაბების სადამსჯელო ექსპედიციებმა. ამ დროისათვის უმკვიდროდ ანუ დიდებულების გარეშე დარჩენილ ამ ჰერეთში ჩამოსახლდნენ ტარონელი დიდებულები, მათ შეძლეს ჰერეთში გაბატონება, ამავე საუკუნეში მათ ხელში აღმოჩნდა ციხე-ქალაქი შაკიხი ანუ შაქი, იგივე შექი.

როგორც ითქვა, ისტორიულ ჰერეთს მე-8 საუკუნეში დაემატა ციხე-ქალაქი ნუხპატი – შაქიც, ამ ქვეყანის მმართველი ტარონელი ბაგრატიონები სომხური აღმსარებლობისანი იყვნენ. მათ თავიანთი ენერგიული პოლიტიკით მე-9 საუკუნეში თავის მიწა-წყალს შემატეს ახალი ტერიტორიები, კერძოდ,

შეძლეს არანის, ანუ რანის დაპყრობა და შეუერთეს თავიანთ სახელმწიფოს, რაც მთავარია, მათ ხელში იყო არცახი (ხაჩენი), ანუ თანამედროვე მთიანი ყარაბახი.

ზოგჯერ ჰერეთსა და ალბანეთს ერთმანეთთან აიგივებენ, სინამდვილეში, ჰერეთი ალბანეთის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. კავკასიის ალბანეთში 26 ტომი ცხოვრობდა იბერიიდან კასპიის ზღვამდე, ამ ტომთა შორის ერთ-ერთი იყო ჰერების ტომი, რომელიც, როგორც ითქვა, ცხოვრობდა გიშისწყლიდან თეთრწყლამდე.

ალბანეთის ტომები სხვადასხვა წარმოშობისანი იყვნენ და განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობდნენ. მათ შორის, ქართულენოვანი ჰერების ტომი საქართველოს (იბერიის) საზღვართან ცხოვრობდა.

ისტორიული ჰერების ქართულენოვნებას (აღნიშნულ საზღვრებში – აგრიჩაიდან მტკვრის შენაკად აღსუმდე) მიუთითებს მ. ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ ***„იქადაგა ქართველთა ქვეყანაში ვიდრე მასქუთებამდე“,*** *ანუ მტკვარ-არაქსისა და მტკვარ-აღსუს შესართავამდე. მ. ხორენაცის ამ ცნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ჰერეთს ქართველთა ქვეყნად მიიჩნევდა.*

ოფიციალური ქართველი ისტორიკოსების ნაწილი ჰერებს ალბანურ ტომად მიიჩნევს *(древнеалванского племени эров), მაგრამ მათ ქართულენოვნებას ამტკიცებს ფაქტი იმისა, რომ დინარა დედოფალმა ჰერეთი ქართულენოვან ქრისტიანულ სამყაროს დაუბრუნა, ხოლო სტრაბონი, როგორც ჩანს, ამ მხარეებს უწოდებდა „გოგარენას“, მისი სიტყვით – „მტკვარს იქით გოგარენა“ ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნისათვის იბერებს ეკუთვნოდა,* например равнина Аракса, по которой река Аракс течет до границ Албании, впадая в Каспийское море. За этой равниной идет **Сакасена**, тоже граничащая с **Албанией** и с рекой **Киром**; ещё далее идет Гогарена. **Страбон**. **География**, XI, XIV.

გამოკვლეულია, რომ ისტორიკოსი ვარდან ვართაპეტი მიიჩნევდა, რომ ალბანეთის ანუ ჰერეთის სამეფო წარმოიქმნა ***გარგარების*** *ტომის განსახლების ტერიტორიაზე და მას „****გარგარელების*** *სამეფო“ ეწოდება.*

ისტორიულ ჰერეთს და რანს ერთად კავკასიის ალბანეთად მიჩნევენ.

ასევე მიჩნეულია, რომ კავკასიის ალბანეთი სპარსელებმა გააუქმეს 461 წელს, შემდეგ ის აღდგა და 510 წელს კვლავ გააუქმეს, კვლავ აღდგა 630 წელს და საბოლოოდ გაანადგურეს არაბებმა 705 წელს.

Кавказская Албания было ликвидирована персами в 461 году, затем было восстановлена и вновь ликвидирована в 510 году, вновь восстановилась в 630 году и было окончательно уничтожена арабами в 705 году.

ეკლესიურად, მართალია, დაარსდა ალბანეთის საკათალიკოსო, მაგრამ მან ვერ შეძლო ალბანეთის ტომების ერთიან ხალხად კონსოლიდაცია და ვერ შეძლო წინ აღდგომოდა სომხურ-მონოფიზიტურ ექსპანსიას.

ალბანეთის ეკლესიებში სომხურენოვნება დაინერგა ძირითადად მე-6 საუკუნეში, ხოლო მე-7 საუკუნეში ალაბანეთის ეროვნული ეკლესია საერთოდ გაქრა, ის სომხურმა ეკლესიამ მიიერთა, როგორც ერთ-ერთი სომხური სამიტროპოლიტო ოლქი, ალბანეთის საკათალიკოსოს სახელით.

აღნიშნულ საზღვრებში (აგრიჩაიდან აღსუმდე) მცხოვრები ჰერებიც მონოფიზიტურ სომხურენოვან საეკლესიო მსახურების ქვეშ აღმოჩნდნენ, დანარჩენი ალბანური ტომებისაგან განსხვავებით მათ შეძლეს საოჯახო ქართულენოვნების შენარჩუნება, ხოლო როდესაც ჰერეთის დედოფალი გახდა წმ. დინარა, შეძლეს სომხური ენის ნაცვლად ეკლესიებში ქართულენოვნების აღორძინება ქალკედონიზმის საფარქვეშ.

აღნიშნულ საზღვრებში (აგრიჩაიდან აღსუმდე) ჩვენ ამ ოლქს ვუწოდებთ „ისტორიულ ჰერეთს“. როგორც ითქვა, მას უცხოელები ალბანეთს უწოდებენ. პლინიუსი გვაძლევს ცნობას ალბანეთსა და იბერიას შორის საზღვრის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა სამხრეთ კახეთის მიწებს და არც საინგილოს, მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვალა მე-9 საუკუნის შემდეგ, როდესაც შაქის მმართველებმა, რომელთაც მეფის ტიტულის ტარების უფლებაც მიიღეს არაბთა მიერ, შეძლეს შაქის გარშემო დიდ ისტორიულ ოლქებზე თავიანთი ძალაუფლების გავრცელება, მათ სახელმწიფოში, რომელსაც უცხოელები „შექის სამეფოს“ უწოდებენ, შედიოდა არანი (რანი), არცახის დიდი ოლქი, ასევე ისტორიული ჰერეთი და დაპყრობილი კახეთის ერთი ნაწილი.

შექის მეფეების მიერ დაპყრობილი მეზობელი კახეთი მიწებს, კერძოდ კი, სამხრეთ კახეთს ამჟამინდელ საინგილოსთან ერთად, ვახუშტი ჰერეთს უწოდებს, თუმცა მას ზუსტი ცნობები ჰერეთის საზღვრების (და ასევე კახეთის) შესახებ არ ჰქონია ივ. ჯავახიშვილის კვლევით.

შუა საუკუნეთა ანუ შაქის ჰერეთის შესახებ

ისტორიული ჰერეთისაგან განსხვავდებოდა „შუა საუკუნეთა ჰერეთი“, რომელიც მე-9 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ დროს ის იყო ნაწილი დიდი სახელმწიფოსი, რომელიც არაბთა ხელშეწყობით შექმნეს შაქის მმართველებმა. როგორც ითქვა, ამ სახელმწიფოს უცხოელები **„შექის სამეფოს“** უწოდებენ, ხოლო ქართველები – „ჰერეთის სამეფოს“. ეს გარკვეულწილად შეცდომაა, რადგანაც ამ სახელმწიფოს ადმინისტრაციული ცენტრები და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები არცახში (ამჟამინდელ მთიან ყარაბაღში) იყო განლაგებული.

მაშასადამე, მე-9 საუკუნეში შეიცვალა ტერმინ ჰერეთის მნიშვნელობა, რაც პოლიტიკურ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

არაბობის ეპოქაში, მე-8 ს-ში არაბთა მიერ გაჩანაგებულ ისტორიულ ჰერეთში (გიშისწყლიდან თეთრწყლამდე) გადმოსახლდნენ სომხეთში მდებარე ოლქის, ტარონის დიდებულების ოჯახები და თავიანთი ძალაუფლება გაავრცელეს ისტორიულ ჰერეთში, ამასთანავე, პარალელურად, მათ ციხე-ქალაქი შაკიხი (შაქი) სამუდამო მფლობელობაში (სამკვიდროდ) გადასცა ქართლის მეფე არჩილმა.

ჯუანშერი წერს – **„მოვიდა არჩილ კახეთად...დაჯდა წუქეთს...და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა...განძლიერებულ იყვნენ სარკინოზნი ქვეყანასა რანისას, დაეპყრათ გაზირი და სომხითი...წარმოვიდნენ ტარონით შაკიხად სამნი ძმან და დაემკვიდრეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვიდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრეს სამნივე მუნ იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის**“ (ქ.ც. 1.1955, გვ. 244).

ლეონტი მროველი კი წერს – „ **ვითარ გარდახდეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კვალად მოვიდა ჭიჭმაუმ, ძე მოჰამედისი, მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოხრა ...ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თვისსა, სმხნითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს და ითხო მისგან მშვიდობა ქვეყნისა...“** (იქვე, გვ.245).

არაბთა ეპოქაში, ქართლის სამეფო ტახტის უკანასკნელმა წარმომადგენლებმა ძმებმა, მეფე მირმა და წმ. არჩილმა სამეფო ოჯახით თავი შეაფარეს ეგრისს, მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილმა გადაწყვიტა თავისი სამეფოს სხვა კუთხეში გადასვლა. თბილისში არაბებმა საკუთარი საამირო დააარსეს, რომელიც შიდა ქართლს მოიცავდა, ამიტომ არჩილმა თავი შეაფარა მის სამეფოში შემავალ კახეთის უკიდურეს მხარეს, ახლოს კახეთის მთიულეთთან, სასაზღვრო მდინარე გიშისწყალთან, აქ მან ააშენა ციხე-ქალაქი ნუხპატი, იქვე ახლოს რამდენიმე კილომეტრში იყო ქ. შაკიხი. ასევე კახეთსა და ჰერეთს შორის სასაზღვრო ქალაქი შაკიხი, ანუ შემდგომდროინდელი შაქი (შექი). ეს ქალაქი სამკვიდროდ, ანუ მუდმივ მლობელობაში გადასცა ტარონელ ბაგრატიონებს.

ქართლის ცხოვრების თანახმად, მე-8 საუკუნისათვის, არჩილ მეფის დროს ქალაქი შაკიხი (შაქი) ქართლის სამეფოში შედიოდა, კერძოდ კი, კახეთის რეგიონს მიეკუთვნებოდა. ჰერეთი მის მოსაზღვრედ (სამხრეთ-აღმოსავლეთით) მდებარეობდა. როგორც ითქვა, ისტორიული ჰერეთი მოქცეული იყო ალაზნის მთავარ შენაკად აგრიჩაისა (გიშისწყალსა) და მდინარე აღსუს (თეთრწყალს) შორის.

ამავეს წერდა პლინიუსი მდინარე ოკაზანის შესახებ, რომელიც მისი ცნობით, სათავეს იღებდა კავკასიის მთებში და ვაკეზე უერთდებოდა მტკვარს, მსგავსად გიშისწყალისა, ის ალაზნის უმთავრესი შენაკადი იყო, ალაზანთან შერთვის შემდეგ ერთიანი ნაკადის სახით აქვე, კერძოდ აჯინოურის ვაკეზე (ველზე) უერთება მტკვარს.

Вскоре после убийства Вараз-Трдата (821 или 822), владыка Шеки Сахл Смбатян распространил свою власть на весь Арран и провозгласил свою независимость от **Халифата**. Годы спустя, Сахл помирился с арабами, пленив и доставив к ним мятежника **Бабека** (ок. 837 г.). За это он получил вознаграждение в один миллион дирхамов, титул **батрика** с прилагающейся к нему тиарой, а также пояс, украшенный драгоценными камнями. Кроме того, ещё сто тысяч дирхамов получил его сын и наследник Муавия.
https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское_царство

მან დააარსა სამეფო, რომელსაც ოფიციალურად ამჟამად საყოველთაოდ „შექის სამეფო“ ეწოდება, ხოლო ქართველები ამ სამეფოს ძველად და ამჟამადაც ჰერეთის სამეფოს უწოდებენ.სინამდვილეში, ისტორიული ჰერეთი ამ სამეფოს მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე გიშისწყლიდან თეთრწყლამდე. რადგანაც შექის სამეფოში შედიოდა არანი ანუ რანი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარე, ამჟამინდელ მთიან ყარაბაღთან ერთად, სამეფოს დედაქალაქები უფრო მეტად ამჟამინდელ მთიან ყარაბაღში მდებარეობდა. ჰერეთთან ერთად შექის სამეფომ (ანუ ე.წ. ჰერეთმა) მხოლოდ მე-9 ს-ის შემდეგ თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია სამხრეთ კახეთი რამდენიმე საუკუნით.

იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები „ჰერეთს“ უწოდებენ, უცხოეთში ეწოდება „ხაჩენის სამთავრო“ – იგივე არცახი. ეს ფაქტი იქიდანაც ჩანს, რომ იმ მმართველებს, რომელთაც ქართველები „ჰერეთის მეფე-მთავრებს“ უწოდებენ, უცხოეთში „ხაჩენის მეფე-მთვარებ“-ად მიიჩნევენ.

ხაჩენის მთავრები ყოფილან – 1. სახლ სმატიანი საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი შექელი (გარდ. 855 შემდეგ), 2. ოვანესი; 3. ატრნერსეჰ (გარდ. 870-ის შემდეგ), **ადარნერსე I შექელი;** 4. გრიგოლ-ამამი, **გრიგოლ ჰამამი შექელი;** 5. მბატი, სმბატის ძმა საჰაკსევადა იყო **გარდმანის** მთავარი; 6. გრიგოლ დიდი, მისმა ძმამ, ოვანეს-სენექერიმმა დააარსა **პარისოსის სამთავრო არცახის ჩრდილოეთით;** 7. **იოანე სენექერიმი**, **რანის მეფე, შექელი; 8.** სენექერიმი; 9.გრიგოლი (მე-11 ს.); 10. ვახტანგ საკარი (მე-12 ს.); 11. ჰასან კრონავორიალ (მე-12 ს.); 12. ვახტანგ თაგავორი (1182-1214); 13. ჰასან მე-2 (1214-1216).

სწორედ ამ ჩამოთვლილ **ხაჩენის** მმართველებს აღნიშნული ქართველი ისტორიკოსები უწოდებენ „ჰერეთის (რანთა) მეფეებს“.

В X веке на территории Арцаха образовалось армянское княжество **Хачен**. После утраты единого армянского государства княжество **Хачен** стало центром армянской политической самостоятельности, сохраняя по меньшей мере автономию при монгольском, туркоманском и сефевидском владычестве.

Robert H. Hewsen. The Geography of Ananias of Širak: Ašxarhac'oyc', the Long and the Short Recensions. – Reichert, 1992. – p. 194.

ჰერეთის საერისთავოები შაქის ოლქში

საქართველოს სახელმწიფოში „ჰერეთის ერისთავების“ ტიტული ენიჭებოდათ შაქის ოლქის (და არა კახეთის) მხარეების დიდებულებს, მაგალითად, ჰერეთის ერისთავი ვარდან კოლონკელის ძე შაქის ოლქის მომიჯნავე გაგის ოლქის განმანთავისუფლებელ ომში იმყოფებოდა მეფე გიორგი მე-3-ის დროს 1163 წელს.

მაგალითად, **სამადავლა** (XIII ს-ის მიწურული) შაქისის ერისთავია;

სამადავლა იყო ჰერეთის ერისთავი მე-13 ს-ის ბოლოს. მას ფარსადან გორგიჯანიძე (1925 წ. გვ. 301) უწოდებს არა ჰერეთის არამედ „შაქისის ერისთავს“, ანუ ის ყოფილა შაქის ერისთავი.

ვარდან კოლონკელისძე – ჰერეთის ერისთავი 1150-1160-იან წწ-ში. დაკავშირებულია გაგის ოლქთან, რომელიც მდინარე დებედას ქვემოწელზე მდებარეობდა, შაქის ოლქთან ახლოს;

ასათ გრიგოლისძე – ჰერეთის ერისთავი 1184/1185, რეალურად იყო ახლანდელი **აზერბაიჯანის** დასავლეთ ნაწილის (**X საუკუნის** შაქისა და ყაბალას სამეფოთა ტერიტორია), ე.წ. **საარიშიანოს** მფლობელი, ის დაკავ-შირებულია შაქის უახლოეს მხარეებში განძასა და რახსისისპირეთში ლაშქრობასთან;

გრიგოლ ასათისძე – ასათ გრიგოლისძის შვილი, **ჰერეთის ერისთავი** დაახლ. 1191 წ-დან XIII ს-ის პირველ მესამედამდე. მისი სამფლობელო შაქს რომ მოიცავდა, იქიდანაც ჩანს, რომ ის შარვანშასთან ერთად იყო საზეიმო შეხვედრაზე.

ასე რომ, ქართულ წყაროებში ცნობილი ჰერეთის ერისთავები შაქთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ფორმით.

საერთოდ, ვახუშტიმდე ცნობილი მემატიანეები ჰერეთის ძირითად ნაწილს – შაქის ოლქს უკავშირებდნენ. მაგალითად, „ჟამთააღმწერლის“ სიტ-ყვით, ჰერეთია – დარუბანდის მიმართულებით მდებარე ქვეყანა, ის წერს, რომ თათრები არბევდნენ „ჰერეთს დარუბანდამდე“ (იქვე, გვ. 191).

„ჟამთააღმწერლის“ ცნობით, ჰერეთი მდებარეობდა კაბალას გვერდით, უფრო ზუსტად კი, ის მოქცეული იყო კაბალასა და კახეთს შორის. გეოგ-რაფიულად კი, კაბალასა და კახეთს შორის მოქცეულია შაქის ოლქი.

მისი სიტყვით, თათარ -მონღოლების მოლაშქრეებმა – „იწყეს რბევად და ოხრებად საქართველოსა – იწყეს დარუბანდის აღმომართ, ქვეყანასა შარვანსას და კაბალას, ჰერეთს, კახეთს...“ (ქ.ც. მე-2. გვ. 186).

მონღოლებმა ეგარსლან ბაკურციხელს „ხელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩანისა, ტფილისითგან აღმართ, ვითარ მთამდე შამახიისა“ (იქვე, გვ.208).

მაშასადამე, **ჰერეთი ვიდრე „შამახიის მთამდე“ გრძელდებოდა,** მის შემადგენლობაში თათარ-მონღოლებს შეუყვანიათ კაბალაც, ცხადია, შაქის ოლქთან ერთად.

როგორც წინა საუკუნეებში, მონღოლების დროსაც ჰერეთი ერქვა შაქის ოლქს, ამას მიუთითებს ის, რომ მე-13 საუკუნეში „შაქისის ერისთავი“ სამა-დავლა ატარებდა „ჰერეთის ერისთავის“ ტიტულს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მონღოლებმა საქართველო დაყვეს ე. წ. დუმნებად, ერთ-ერთი იყო კახეთ-ჰერეთის დუმანი, მისი საზღვარი იდო ჩვენს მიერ აღნიშნულ მდინარე თეთრწყალზე (აღსუზე), ამიტომაც აქ მონ-ღოლებმა დააწესეს ე. წ. სიბა, საფორტიფიკაციო სიმაგრეთა სისტემა.

შამახიასთან ახლოს გამდინარე თეთრწყალზე აგებულ საქართველოს (ჰერეთის) სასაზღვრო სიმაგრეთა დაცვა მონღოლებმა დაავალდებულეს ქარ-

თველ მეფეებს პირადი ხელმძღვანელობით. როგორც აღინიშნა, ამ საფორ-ტიფიკაციო ნაგებობეს სასაზღვრო მდინარეზე ერქვა სიბა.

XIII საუკუნის 70-იან წლებში სიბაზე გაჩენილა მუცლის ავადმყოფობა. ამ ავადმყოფობას ჟამთააღმწერელი „მუცლის სალმობას“ უწოდებს. მეფე ულუ დავითი და მისი შვილი **გიორგი** ამ ავადმყოფობის მსხვერპლნი გამხდარან.

სიბა, სასაზღვრო კედელი, ჯებირი, რომლის დაცვა ევალებოდათ ქართველთა მეფეებს.

ულუ-დავითი, რომელიც სიბაზე (საქართველოს საზღვარი მდ. აღსუზე) გარდიცვალა, სურათი მარკო პოლოს მოგზაურობის წიგნიდან.
King David VII of Georgia ("David Melic) on a hunt. The Travels of Marco Polo.https://ka.wikipedia.org/wiki/დავით_VII_ულუ#/media/ფაილი:King_David_VII_of_Georgia._Bibliotheque_Nationale_MS_Fr._2810.jpg

თეთრწყალი ანუ აღსუ, რომელიც იქამდე ჰერეთის საზღვარს წარ-მოადგენდა, გაერთიანების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად გადაიქცა, რაც ცნეს მონღოლებმა, სწორედ, და ამიტომ დაავალდებულეს მონ-

ღოლებმა ქართველი მეფეები, რომ ის დაეცვათ. ჰერეთის ყველა ერისთავი ამ საზღვრებში (თეთრწყლიდან ვიდრე გიშისწყლამდე) განაგებდა ქვეყანას.

საერთოდ, ჰერეთის ერისთავების ხსენება გაქრა ჰერეთის ერისთავ შოთა კუპარის შემდეგ,ანუ მე-13 საუკუნის შუა ხანიდან.

ცნობილია, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ვიდრე ვახტანგ მეექვსის დრომდე მატიანეები არ იწერებოდა ანდა ისინი დაიკარგა.

ამის გამო ვახტანგ მეექვსის ეპოქაში უკვე აღარ იცოდნენ ჰერეთის რეალური საზღვრები, მათ შორის ის არ იცოდა არც ვახუშტი ბატონიშვილმა, როგორც ეს გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა.

მისი თქმით, ვახუშტიმ არ იცოდა არა თუ ჰერეთის,არამედ კახეთის რეალური საზღვრები.

კიდევ ერთი წყაროს – „მატიანე ქართლისას“ გაყალბება ჰერეთთან დაკავშირებით

ქართველმა ისტორიკოსებმა, ვფიქრობ უნებლიეთ, დაამახინჯეს შესანიშნავი წყაროს „მატიანე ქართლისაის“ პირდაპირი ცნობა და იქ მოხსენიებულ **კახელ დიდებულებს „ჰერი დიდებულები“** უწოდეს. ამით კი ხელოვნურად შეამცირეს ისტორიული კახეთის საზღვრები და გაზარდეს ალბანეთისა.

კერძოდ, „მატიანე ქართლისაისაში“ სახელდებით მოხსენიებული **კახელი დიდებულები** პანკისის ერისთავი სტეფანოზ ვარჯანის-ძე, ხორნაბუჯის ერისთავი ვაჩე და შტორის (მაჭის) ერისთავი ჯედი **არასწორად გამოაცხადეს „ჰერეთის ერისთავებად“.**

როგორც ითქვა, წყარო – „მატიანე ქართლისა“ მათ არა ჰერ, არამედ კახელ (კახეთის) დიდებულებს („დიდებულნი კახეთისანი“) უწოდებს.

თვალსაჩინოებისათვის ვიხილოთ წყაროდან ამონარიდი – „მატიანე ქართლისაი“ წერს –

„გაილაშქრა აფხაზთა მეფემან **კახეთს**, შეება და შეუჴდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: **სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა.** გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კჳრიკე მეფისა აგებული. და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერღარა ჩავიდეს **კახეთს** და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა... და ისნის ველსა მოვიდეს **კახთა** მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი **კახეთისანი** დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშჳდობისა ძებნად. მაშინ განვიდა ბაგრატ მეფე ველსა ისნისასა, მოიყვანნა **კახნი** და ითაყვანნა, მისცა მშჳდობა და განუტევნა.

და იყო სიხარული და მშვდობა და საურავი დღითიდღე შემატებისა. „მატიანე ქართლისა“ (1955).

სრულიად თვალნათლივ ჩანს, რომ წყაროში მხოლოდ კახეთზეა საუბარი და არა ჰერეთზე!

ნათელია, რომ მემატიანე ამ თხრობაში ახსენებს მხოლოდ კახეთის ქვეყანას, კერძოდ, წყაროში ამ ამბის გადმოცემისას **ოთხჯერაა (4-ჯერ) ნახსენები სიტყვა „კახი (კახეთი)“ და არც ერთხელ სიტვა „ჰერეთი“** („გაილაშქრა აფხაზთა მეფემან **კახეთს**... ჩავიდეს **კახეთს... კახთა** მეფე...**მოიყვანნა კახნი“).** ამბავი ეძღვნება კახი დიდებულების საქმეს, მათ, როგორც აღინიშნა, წყარო კახეთის დიდებულებად მოიხსენიებს **(„დიდებულნი კახეთისანი)** და წყარო ამ ამბის გადმოცემისას საერთოდ **არ ახსენებს სიტყვა ჰერეთს.**

წყარო წერს – **„დიდებულნი კახეთისანი“,** ანუ კახი დიდებულები და არა დიდებულნი ჰერეთისანი, **ამის მიუხედავად ჩვენი ისტორიკოსები ამტკიცებენ, თითქოსდა, წყაროში ჰერი ერისთავები იხსენიება და ისინი უსაფუძვლოდ წერენ შემდეგს:**

„მატიანე ქართლისაჲ“ სახელდებით გვაცნობს ბაგრატ IV-ის თანამედროვე ჰერეთის ერისთავებს: პანკისის ერისთავ სტეფანოზ ვარჯანის-ძეს, ხორნაბუჯის ერისთავ ვაჩე გურგენის ძეს, შტორისა და მაჭელის ერისთავ ჯედის, გოდერძის დისწულს და ვეჟინის ერისთავ წირქუალელს“. *http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ჰერეთის_ერისთავი*

ეს მაშინ, როცა ამ წყაროში („მატიანე ქართლისა“ (1955) **ასეთი რამ არ წერია, აქ არა „ჰერეთის დიდებულებზეა“ საუბარი არამედ კახეთისა.**

ანუ წყარო გაყალბდა.

აღნიშნულმა ისტორიკოსებმა თავიანთი არასწორი მტკიცება წარმოადგინეს, ვითარცა წყაროს ჩვენება, ასევე ასახეს საიტებზე (ვიკიპედიაში) და მოაქციეს სამეცნიერო ბრუნვაში.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, „მატიანე ქართლისაისას“ ამ **ცნობაში დასახელებული დიდებულები კახელებია** და ქმედებაც კახეთში ხდება.

აღნიშნულის გამო არაა მართალი ბატონი დავით მუსხელიშვილი, როცა წერს – **„მატიანე ქართლისაჲ“ სახელდებით გვაცნობს ბაგრატ IV-ის თანამედროვე ჰერეთის ერისთავებს: პანკისის ერისთვ სტეფანოზ ვარჯანის-ძეს, ხორნაბუჯის ერისთავ ვაჩე გურგენის ძეს, შტორისა და მაჭელის ერისთავ ჯედის, გოდერძის დისწულს და ვეჟინის ერისთავ წირქუალელს.** ***http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php***/ჰერეთის_ერისთავი

წყარო – „მატიანე ქართლისაიდან“ კი სრულიად ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ***სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა“,*** **იყვნენ „დიდებულნი კახეთისანი“ და არა „ჰერეთის ერისთავები“.**

მაშასადამე, ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი ამრუდებს წყაროს პირდაპირ ცნობას და ამით კახეთის უდიდეს ნაწილს, მათ შორის პანკისის ხეობასაც კი ჰერეთის, ანუ ალბანეთის ნაწილად წარმოადგენს, შესაბამისად,

საზრდოს აძლევს მეზობელი, ე. წ. **„ალაბანეთის მემკვიდრე ხალხებს“ მთელ ისტორიულ კახეთზე პრეტენზიები განაცხადონ.**

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ „მატიანის“ შესაბამის ამონარიდში საერთოდ **არ იხსენიება სიტყვა ჰერეთი და, როგორც ითქვა, რამდენჯერმე იხსენიება კახეთი და კახნი.** ამ ფაქტის მიუხედავად ისტორიკოსები, სამწუხაროდ, ამრუდებენ წყაროს ცნობას და წერენ, რომ აღნიშნული კახი დიდებულები, თითქოსდა, ჰერეთის ერისთავები იყვნენ ამ წყაროს ცნობით.

ეს მომენტი ჩემთვის გამოცანაა, ამჟამინდელი უმართებულო მტკიცების ფონზე, როცა თითქმის მთელ კახეთს ისტორიულ ალბანეთად, ალბანეთს ჰერეთად, ხოლო ალბანელებს აზერბაიჯანელთა წინაპრებად მიიჩნევენ. ასეთ დროს ქართველები ეხმარებიან მოდავე მხარეს და უდასტურებენ, რომ პანკისის მხარეც კი, თითქოსდა, ალბანეთი იყო ხორნაბუჯთან და სხვა ოლქებთან ერთად, ესაა გასაოცარი!!!

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, სინამდვილეში, „მატიანის“ აღნიშნულ ეპიზოდში ლაპარაკია არა ჰერ, არამედ კახელ დიდებულებზე.



ბრძოლა კახეთსა და ჰერეთს შორის

787–827 წლებში, მთავარ გრიგოლის დროს, კახეთის სამთავრო, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა, ისე გაძლიერდა, რომ გრიგოლმა დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. პირველ რიგში, გადაწყვიტა საქართველოს გულის, ქართლის შეყვანა თავის

სამთავროში. ამ დროისათვის კახეთი, კუხეთი და გარდაბანი უკვე გაერთიანებული იყო.

გარდაბანი მოიცავდა მიწა -წყალს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, დებედასა და შამქორს შორის, კუხეთი – ტერიტორიას გომბორის ქედსა და მტკვარს შორის, ხოლო კახეთი – გომბორის ქედსა და კავკასიონის ქედს შორის. მათი გაერთიანებული სამთავრო აკონტროლებდა დარიალის ხეობას. ის შიდა ქართლსაც დაეუფლა ვიდრე ქსნამდე, ეს იყო საქართველოს გაერთიანებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამავე ეპოქაში საქართველოს გაერთიანებისათვის (ოღონდ თავიანთი ჰეგემონობით) იბრძოდნენ ასევე აფხაზთა და „ქართველთა“ (ტაო-კლარჯეთის) მეფეები.

ასეთი სიძლიერის დროს საზღვარი კახეთსა და ჰერეთს (შაქს) შორის კვლავინდებურად გადიოდა გიშისწყალზე, ჰერეთთან სასაზღვრო პუნქტები იყო იორ-ალაზნის შესართავი და ტყეტბა-გულგულა, რომელიც მდებარეობდა არა თელავთან (როგორც შეცდომით ამჟამადაა მიჩნეული), არამედ გიშისწყლის სათავესთან, კავკასიის მთებში, ანუ შექის (შაქის) რეგიონში.

კახეთ-ჰერეთის ეს საზღვარი მხოლოდ არაბი სარდლის ხალილ იზიდის ძის დროს შეიცვალა. კახეთის ძლიერებას მალე მოუწყო გამოცდა არაბთა დიდმა ლაშქარმა.

როგორც აღინიშნა, ხალილ ისიდის ძის არაბული ჯარი ჰერეთ-რან-არცახის მეფე საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანის დასახმარებლად შემოიჭრა კახეთში 839-841 წლებში.

საქმე ის იყო, რომ საჰლ სმბატიანს 839 წელს არაბთა ხალიფამ მიანიჭა „არმენიის, ივერიისა და არანის მეფის“ წოდება მოვსეს კალანკატუაცის ცნობით. ამ დროისათვის ის უკვე ფლობდა არცახსა და არანს, მაგრამ არ ფლობდა ივერიას.

მისთვის ივერიას წარმოადგენდა მეზობელი კახეთის სამთავრო.

კახეთის დაპყრობის შემთხვევაში მისი იურიდიული ტიტული „ივერიის მეფე“ რეალობად იქცეოდა.

მის დასახმარებლად ხალილ იზიდის ძის ლაშქარი შეიჭრა კახეთში, მაგრამ არაბთა ამ დიდმა ლაშქარმა ვერ შეძლო კახეთის სრული დაპყრობა, მან მხოლოდ გავაზამდე მიაღწია და დაიპყრო კახეთის მიწები გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე. გავაზთან არაბული ლაშქრის წინსვლა ქართულმა ჯარმა შეაჩერა – „შეებნეს გარდაბანელნი გავაზს; და გააქციეს ხალილ“ – წერს მატიანე ქართლისა. http://www.amsi.ge/istoria/qc/matiane1.html.

მტრის დიდი ლაშქრის დამარცხება იმჟამად გაძლიერებულმა კახეთმა შეძლო გავაზის ომში, მტერმა წინსვლა ვეღარ შეძლო, მაგრამ, როგორც ითქვა, მიწა-წყალი გავაზის ქვემოთ ვიდრე გიშისწყლამდე მტრის ხელში აღმოჩნდა და ის შეუერთდა ჰერეთის სამეფოს, ანუ აღმოჩნდა საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანისა და მისი შთამომავლების ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ, სამხრეთ კახეთი, ანუ მიწა-წყალი გიშისწლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე ჰერეთის მეფის, სინამდვილეში კი, არცახის სომხური სამთავროს ხელში

გადავიდა ამ დროს, ანუ ხალილ ისიდის ძის საქართველოში მეორე ლაშქ-რობის დროს, 840-იანი წლების დასაწყისში.

პირველად ის, ანუ „ხალილ არაბი“ საქართველოში შემოიჭრა უფრო ადრე, 820-იანი წლების შემდგომ, აშოტ კურაპალატის დროს.

„მატიანე ქართლისაი“ წერს – „განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო... გრიგოლი მთავრობდა კახეთს ... მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი. ხოლო კუალადცა ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა. და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე. მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს ქორ ეპისკოპოსად სამოელ დონაური. კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი“. https://wikisource.org/wiki/მატიანე_ქართლისა_(1955)

840–842 წლებში ხალიდ იბნ იაზიდი, ანუ ხალილ ისიდის ძე ორჯერ შემოესია საქართველოს.

ხალილის მეორედ მოსვლის დროს მან, ბუნებრივია, დაიჭირა ხალიფას მიერ განდიდებული საჰლ სმბატიანის მხარე და შეებრძოლა კახეთს. ის, ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის გავლით შევიდა კახეთში. თუმცა ვერ შეძლო კახეთის სრული დაპყრობა და, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ნაწილი ჩამოაჭრა გავაზამდე, ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა ჰერეთის შემდგომი ისტორია.

შაქის ჰერეთი ამ დროს სახალიფოს უერთგულესი მოკავშირე იყო, ამიტომ ხალიდის ლაშქრობა კახეთში ჰერეთის გავლით ნიშნავს არაბებისა და ჰერების გაერთიანებულ ლაშქრობას კახეთში, როგორც ითქვა, მართალია, ქართველები ამ ქვეყანას „ჰერეთს“ უწოდებდნენ, მაგრამ , სინამდვილეში, ის იყო მხოლოდ ერთი ნაწილი ვრცელი ხაჩენის სომხური სამთავროსი.

„შეებნეს გარდაბანელნი გავაზს; და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი. კუალად დაჯდა ამირად ტფილისს საჰაკ ისმაელის ძე. ხოლო ხალილ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჯავახეთს და ძე მისი მოჰამედ მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მას ქართლი. https://wikisource.org/wiki/“მატიანე_ქართლისა“_(1955)

ეს ბრძოლა შედგა კახეთის ქორეპისკოპოს სამუელის დროს, ხალიდ იბნ-იაზიდმა, როგოც ითქვა, ამ დროს მეორეჯერ ილაშქრა 840–842 წლებში და, ჩვენი მოსაზრებით, კახეთს ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი მიწა-წყალი გიშის-წყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე.

ეს ლაშქრობა მან განახორციელა, ცხადია, ხალიფას დავალებით და, ნა-თელია, რომ ის განხორციელდა შაქის მეფედ წოდებული საჰლ იბნ სუმბატის დასახმარებლად, რათა ხალიფას გეგმა განეხორციელებინა და რეალობად ექცია მის მიერ გაცემული ტიტული **„არმენიის, ივერიისა და ალუანქის მეფე“,** ანუ უკვე არმენიისა და ისტორიული ალბანეთის (არცახისა და რანის)

მფლობელი საჰლ სმბატიანი, ივერიის ანუ კახეთის მიწა-წყლის რეალური გამგე ყოფილიყო.

საბოლოოდ, ხალილის გეგმა იყო კახეთის დაპყრობა თბილისის საამიროს დასუსტების მიზნით.

ამით მოისპობოდა კავკასიაში ხალიფატის მოწინააღმდეგე ორი ბუდე – თბილისის საამირო და კახეთის საქორეპისკოპოსო.

კახეთი ამ დროს ძლიერ იყო დასუსტებული არაბებთან მუდმივი ომების გამო, ხოლო შექის სამეფო, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, პირიქით, გაძლიერებული იყო არაბებთან თანამშრომლობის გამო.

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ჩვენი მეცნიერები სვამენ კითხვას – **„რითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში ტერმინები „კახეთი“, „კუხეთი“ და „ჰერეთი“ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება?. ამ გარემოებას პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ ქართულ წყაროებში კახეთ-კუხეთ-ჰერეთის მნიშვნელობა „არეულია“ ერთმანეთში და ძნელია გაგება იმისა, თუ რომელი პუნქტი სადაა, კახეთში, კუხეთსა თუ ჰერეთში... ქართველი ისტორიკოსი წერს, რომ ბაგრატ III კახეთში შევიდა და „აღიღო ქვეყანა ჰერეთისა“, იგივე ისტორიკოსი საკუთრივ ჰერეთის ციხე ვეჟინს ხან ჰერეთის ციხეს უწოდებს, ხან კახეთისას. ბაგრატ III რომ კახეთში შევიდა, მან ამ კახეთში შემავალი ჰერეთი აიღო. ვეჟინი, მართალია, საკუთრივ ჰერეთის ციხეა, მაგრამ როდესაც „ჰერეთი“ „კახეთად“ იქცა (ე.ი. კახეთის მიერ ჰერეთის დაპყრობისა და შემოერთების შემდეგ), ვეჟინის ციხეც კახეთის ციხედ იწოდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2).**

ვფიქრობ ძლიერ ცდებიან, როდესაც წერენ, მაგალითად – „კახეთის მიერ ჰერეთის დაპყრობისა და შემოერთების“ შესახებ. სინამდვილეში, საქმე პირიქით იყო, კახეთმა კი არ დაიპყრო ჰერეთი, არამედ ჰერეთის მეფემ საჰლ სმბატიანმა ხალილთან ერთად დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე, ეს დაპყრობა გაგრძელდა თითქმის მე-11 საუკუნემდე, ამიტომაც სამხრეთ კახეთი „ჰერეთის ქვეყნად“ იწოდა, ამ დაპყრობის გამო ვეჟინის კახური ციხე ჰერების ხელში მოექცა და , შესაბამისად, „ჰერეთის ციხე“ ეწოდა, ანუ სამხრეთ კახეთი ვეჯინამდე და გავაზამდე ჰერეთად გადაიქცა , რასაც არ ურიგდებოდდნენ ქართველი მეფე-მთავრები და იბრძოდნენ კახეთის გასათავისუფლებლად.

ჩვენი მეცნიერების კითხვას „რითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში ტერმინები „კახეთი“, „კუხეთი“ და „ჰერეთი“ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება?

შეიძლება ასე ვუპასუხოთ –

გარემოება ლაგდება და ნათელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ სწორად წარმოვადგენთ ისტორიულ სურათს, მაგალითად, მემატიანის ნათქვამი, რომ ბაგრატ III კახეთში შევიდა და „აღიღო ქვეყანა ჰერეთისა“ ნიშნავს იმას, რომ ბაგრატი შევიდა ჰერეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ კახეთში და გაათავისუფლა ისტორიული კახეთის ის მიწა-წყალი, რომელსაც, „ქვეყანა ჰერეთისა“ ეწოდა წინა საუკუნეში, აღნიშნული დაპყრობის შემდეგ.

ვეჟინის ციხეს მემეტიანე ხან „კახეთის ციხეს“ და ხანაც „ჰერეთის ციხეს“ იმიტომ უწოდებს, რომ კახეთის ეს ციხე ჰერეთის, ანუ შაქის სამეფომ მე-9 ს-ში დაისაკუთრა და ამის გამო ის, წყაროს ცნობით, ჰერეთის ციხედ გადაიქცა, თუმცა კი წყაროს სხვა ცნობით ის კახეთშია, ანუ კახეთის მიწა-წყალზეა. ეს მიუთითებს არა წყაროთა შეცდომას, არამედ ფაქტს იმისა, რომ ვეჟინის ციხე დაპყრობის შემდეგ პოლიტიკურად ჰერეთის ციხედ გადაიქცა, თუმცა კი გეოგრაფიულად კახეთში მდებარეობდა. ჩვენი კვლევით, კახეთის ვეჟინის ციხე ჰერეთის მეციხოვნეების ხელში აღმოჩნდა არაბი სარდლის ლაშქრობის შემდეგ სამუელ ქორეპისკოპოსის დროს.

ქართული სამყარო არ ურიგდებოდა მონოფიზიტური ჰერეთის („შაქის სამეფოს“, სინამდვილეში კი, არცახ-ხაჩენის მონოფიზიტური სამთავროს) აგ-რესიას მე-9 საუკუნეში კახეთის მიმართ და ამ ფაქტს არც ხაჩენ-არცახის მიერ დამორჩილებული ამ სამეფოს მკვიდრი მოსახლეობა – ჰერები ურიგდებოდ-ნენ.

ჰერები, როგორც ითქვა, წარმოშობით, ისტორიული ალბანეთის დასავ-ლეთ ნაწილში, ანუ შექის ოლქში მცხოვრები ქართულენოვანი, ტომი იყო. მე-8 საუკუნიდან ის მონოფიზიტი სომეხი მმართველების ძალაუფლების ქვეშ მოექცა, რომლებიც შაქთან ერთად ასევე ფლობდნენ რანსა და ხაჩენ-არცახს.

ამიტომ ჰერეთის ,ანუ შაქის ხალხი ელოდა ხელსაყრელ მომენტს ამ მონოფიზიტური მძლავრობისაგან გასათავისუფლებლად, რათა დაბრუნე-ბოდა მართლმადიდებლური, ანუ ქალკედონური სარწმუნოების აღმსარებელ საკუთარ, ანუ ქართველ ერს.

მათ ასეთი მომენტი დაუდგათ, როცა ჰერეთის სახელმწიფო მმართვე-ლობა აღმოჩნდა დინარა დედოფლის ხელში. ის წარმოშობით იყო „ქარ-თველთა სამეფოდან“, ანუ ტაო-კლარჯეთიდან. მისთვის ჰერეთში ნათელი გახდა, რომ მისი ხალხი ქართულენოვანი იყო, თუმცა სომხური საეკლესიო უღლის ქვეშ, და ამიტომ შაქის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა თავის ქართულ-ენოვნებას მხოლოდ ვიწრო წრეში და საკუთარ ოჯახში იცავდა, დინარა დედოფალმა ხალხზე დაყრდნობით გაბედა და ჰერეთი განაშორა სომხურ-მონოფიზიტურ საეკლესიო უღელს.

ჰერეთში ასე ესმოდა ეს საკითხი მის შვილ იშხანიკსა და ადგილობრივ დიდებულთა წრეს.



შეჯამება

მე-9 ს-ის 40-იან წლებამდე ქართველები სახელ „ჰერეთს“ უწოდებდნენ შაქის სამთავროს, რომელიც კახეთს ესაზღვრებოდა მდ. გიშისწყალთან (აგრიჩაი).

ის, იმჟამად, მხოლოდ ერთი ნაწილი იყო არცახ-ხაჩენ-რან-კამბეჩანის დიდი სამთავროსი, რომელიც გაძლიერდა არაბთა ერთგულ მონოფიზიტ საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანის მმართველობის დროს.

ამ მთავარმა, აღნიშნულ წლებში, დაიპყრო რანი და შემდეგ, არაბთა შემწეობით, სამხრეთ კახეთი.

ამის შემდეგ დაპყრობილ სამხრეთ კახეთსაც, პოლიტიკური მნიშვნელობით, ჰერეთსაც უწოდებდნენ, ამითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში ტერმინები „კახეთი“ და „ჰერეთი“ ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება.

ამჟამად, არასწორად, პირიქითაა მიჩნეული, თითქოსდა, კახეთმა დაიპყრო ჰერეთის მიწა-წყალი თელავის ქვემოთ და ტერმინმა „კახეთმა“ „ჰერეთი“ გადაფარა“.

რეალური ფაქტი კი ისაა, რომ კახეთი მე-8 და მე-9 საუკუნეებში მუდმივად ებრძოდა დამპყრობელ არაბებს, რამაც ის ძალზე დაასუსტა და შეამცირა, ხოლო ჰერეთი, პირიქით, თანამშრომლობდა არაბებთან. ხალიფამ ჰერეთის მმართველ საჰლ სმატიანს მადლიერების ნიშნად, ჯილდოდ, მნიშვნელოვანი თანხა – ერთი მილიონი დირჰემი გადასცა და მიანიჭა არანის მეფის წოდება. მადლიერება კი იმით იყო გამოწვეული, რომ ჰერეთის მმართ-

ველმა ხალიფას დასასჯელად გადასცა ირანის დიდი აჯანყების მეთაური ბაბეკი. ჰერეთის ეს მეფე საჰლ სმბატიანი, ამავე დროს, იყო მთავარი არანისა და არცახისა, მას სახალიფომ გადასცა ასევე დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მიწები გავაზ-თურდოსხევის ხაზამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ხალილ იზიდის ძე, რომელიც გავაზთან ქართველებმა დაამარცხეს, არის არაბი გენერალი ხალიდ იბნ ალ-შაიბანი. მას ორჯერ ეჭირა არმინიის გუბერნატორის (ოსტიკანის) პოსტი. გამოირჩეოდა სისასტიკით, 841 წელსაც ეს პოსტი ეჭირა, როცა მის წინააღმდეგ ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა აჯანყდა, ამიტომაც სახალიფომ ის უკან გაიწვია, თუმცა შემდეგმა ხალიფამ კვლავ უკან დააბრუნა, ამის შემდეგ ის კვლავ აჯანყებებს ახშობდა. ამ წლებში უნდა შებრძოლებოდა ის აჯანყებულ კახელებს, თუმცა ვერ შეძლო კახეთის სრული დაპყრობა, მაგრამ შეინარჩუნა გავაზის ხაზს ქვემოთ მდებარე დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი და ის სამართავად გადასცა არაბთა ერთგულ საჰლ სმბატიანს, არცახ-ხაჩენ-რან-შაქ-კამბეჩანის მმართველს, ანუ ქართულად, „ჰერეთის მმართველს“.

კახეთი, ჰერეთი და ალბანეთი

თვალსაზრისი, რომ „ადრეანტიკურ პერიოდში კახეთი შედიოდა ალბანეთის შემადგენლობაში“

ამჟამად საყოველთადაა გავრცელებული არასწორი თვალსაზრისი, თითქოსდა, ადრეანტიკურ პერიოდში კახეთი შედიოდა ალბანეთის შემადგენლობაში.

Известно, что уже в раннеантичный период Кахетия была в составе Кавказской Албании. https://feelgeorgia.com/ru/русский-кахетия/

ამის მიზეზია ის, რომ ჰერეთად არასწორად მიიჩნევენ სამხრეთ კახეთს, სინამდვილეში კი, ისტორიულ ჰერეთს მე-9 საუკუნემდე უწოდებდნენ მიწა-წყალს მდ. ალიჯანჩაიდან ვიდრე მდ. აღსუმდე, ანუ ჰერეთი ერქვა შემდგომდოინდელ შაქის სამეფოს. მე-9 საუკუნის 40-იან წლების შემდეგ მან არაბული ლაშქრის შემწეობით მიიერთა სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი, შემდეგ სამეფოს სახითაც ჩამოყალიბდა მთლიან კახეთთან ერთად. ამ სამეფოს ერქვა „რანთა და კახთა სამეფო“.

რანი ერქვა ძირითადად განჯის ოლქის მხარეს, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა, მის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა ნაპირზეა შაქი. საქმე ისაა, რომ მე-9 ს-ში შაქის მმართველ საჰლ სმბატიანს ხალიფამ მიანიჭა რანის ბატრაკის, ანუ რანის მეფის ტიტული, ამის გამო შაქის მმართველები მას შემდეგ თავის ტიტულატურაში თავს „რანთა მეფეებსაც“ უწოდებდნენ,

ამიტომ კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების დროს გაერთიანდა მისი მმართველი მეფეების ტიტულებიც და გაერთიანებული სამეფოს მეფეს „რანთა და კახთა მეფე“ ეწოდა. მაშასადამე, ისტორიული ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალიჯანჩაიდან მდ. აღსუმდე, შესაბამისად, **ანტიკური პერიოდიდან კახეთი მოიცავდა ტერიტორიას ვიდრე მდ. ალიჯანჩაიმდე** ან გიშისწყლამდე. აქ, მდ. ალიჯანჩაიზე ანუ ოკაზანზე გაავლო საზღვარი პლინიუსმა იბერიასა და ალბანეთს შორის.

კახეთის საზღვრის არასწორი წარმოჩენის გამო ისტორიულ კახეთს მიიჩნევენ მცირე ქვეყნად ვიდრე თელავამდე, ხოლო მის ქვემოთ მდებარე ისტორიული კახეთის ტერიტორიას ალბანეთში ათავსებენ, რაც შეცდომაა, რაც ჩანს მემატიანის ცნობებით.

თავდაპირველი საზღვრები მემატიანის ცნობებით

მემატიანე წერს – „და უჩინა ქართლოსს **საზღვარი** ***აღმოსავლით*** – **ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი** (შეცდომაა ,ბერდრუჯის მიჩნევა დებედად. ბერდუჯი არის მდინარე ძეგამჩაი და არა დებედა. ძეგამჩაი **მტკვრის** მარჯვენა შენაკადია **აზერბაიჯანის შამქორის** რაიონში).

დასავლით – **ზღუა პონტოსი**;

სამხრით – მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძოდა მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და **ტაოს** ვიდრე ზღუამდის (იგულისხმება ე.წ. „მცირე კავკასიის“ მთათა სისტემა, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს მტკვრის, არაქსისა და ჭოროხის ხეობებს);

და ***ჩრდილოთ*** – საზღვარი **ღადო**, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქჯან **ლიხი**. და ამათსა ზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს...

... და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების **არმაზი**. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა **ქართლი**, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა.

შემდგომად ამისსა ამან-ვე ქართლოს აღაშენა **ციხე ორბისა**, რომელსა აწ ჰქჯან **სამშვილდე**. და კუალად აღაშენა **მტუერის-ციხე**, რომელსა აწ ჰქჯან **ხუნანი**.

ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს:

პირველსა **მცხეთოსი**,

მეორესა **გარდაბოსი**,
მესამესა **კახოსი**,
მეოთხესა **კუხოსი**,
მეხუთესა **გაჩიოსი**.

ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხუათა მათ. მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების **არმაზი**. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა **დედა-ციხე (სავარაუდოდ, დედა-ციხე ერქვა საფორტიფიკაციო, სამხედრო-საინჟინრო ნაგებობათა და სიმაგრეთა სისტემას დიდნაურის ნაქალაქარში, შირაქის ველზე, ამჟამინდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, რომელიც ახლოა იორ-ალაზნის შესართავთან, სადაც კახეთსა და კუხეთს ემიჯნებოდა ჰერეთი, მას ათარიღებენ ძვ. წ. მე-2 ათასწლეულით).**

და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჯან **რუსთავი**, და განყვნა ცოლმან ქართლოსისმან ხუთნი-ვე იგი გმირნი, შვილნი მისნი," – წერს „ქართლის ცხოვრება.

მოგვიანებით, ძვ. წ. 180 წლისათვის ჩამოყალიბდა „დიდი არმენია". მის-მა მეფეებმა დაიპყრეს იბერიელთა ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა – სტრაბონის ცნობით. ამ დროს ქართული ოლქები, რომელთაც გუგარქს და გარდმანს უწოდებენ, ან მათი ნაწილი სომხების ხელში უნდა გადასულიყო.

ამ შთანთქმის ანუ დაპყრობის შემდეგაც ამ მხარეების ხალხი კვლავ ქართული იყო, ოღონდ არმენიზაციის უღელქვეშ, ერთ პერიოდში კი – ალბანიზაცის ქვეშ.

აქედან კარგად ჩანს, რომ ქართველთა ეთნოგენეზი გარდაბნის საერის-თავოს ტერიტორიაზე (შემდგომში ქართველთა ველად წოდებული ტერიტო-რია) მიმდინარეობდა.

საეკლესიო იურისდიქცია შაქის ჰერეთში

მე-9 საუკუნის 40-იან წლებიდან, მხედართმთავარ ხალილ ისიდის ძე არაბიელის ლაშქრობის შედეგად, სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე შევიდა არაბების უერთგულესი მომხრე შაქის სამეფოს, ანუ ჰერეთის შემადგენლობაში, ასევე დარჩა ვიდრე თითქმის თბილისის არაბთაგან გათავისუფლებამდე, ანუ ორი საუკუნე.

ეს ფაქტი, ანუ კახეთის საზღვრის დამცრობა, სამხრეთ კახეთის მიწების მიტაცება ჰერეთის, უფრო ზუსტად კი, არცახისა და შემდგომ ფარისოსის სომხური ერთეულების მიერ, იმთავითვე მიუღებელი იყო ქართული სამყა-როსათვის, აფხაზთა მეფეებიც კი იბრძოდნენ კახეთის ისტორიული მიწების დასაბრუნებლად.

ამის შემდეგ თანდათანობით კახეთმა დაიბრუნა თავისი ისტორიული საზღვარი გიშისწყალზე და ალიჯანჩაიზე. საბოლოოდ, როგორც ითქვა, კახეთის სამეფოს ძველი საზღვარი აღდგა.

საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-17 საუკუნემდე, კახეთის სამეფოს საზღვარი გიშისწყალთან ახლოს მდ. ალიჯანჩაიზე გადიოდა.

სამხრეთ კახეთის დაპყრობის მიუხედავად საქართველოს ეკლესიამ შეძლო თავისი იურისდიქციის შენარჩუნება მთელ ისტორიულ კახეთზე, ხოლო მე-10 საუკუნეში, იმის შემდეგ, რაც შაქის ოლქის, ანუ ჰერეთის მოსახლეობა გათავისუფლდა სომხურ-მონოფიზიტური საეკლესიო უღლისაგან, ჰერეთი დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, ანუ დედა-ქართული ეკლესიის წიაღს წმიდა დინარა დედოფლის დროს (იხ.ქვემოთ).

რაც შეეხება ალბანეთის საკათალიკოსოს, ხალილ ისიდის ძესთან ომების ეპოქაში, ანუ სამხრეთ კახეთის მიტაცების დროს, ის უკვე დიდი ხნის გაუქმებული იყო სომხური ეკლესიის მიერ არაბთა ხელშეწყობით, რაზეც გამოწვლილვით წერს მოვსეს კალანკატუაცი, ხოლო მის ადგილზე შექმნილი სომხური სამიტროპოლიტო ოლქი, იგივე „ალბანეთის საკათალიკოსო“, მხოლოდ სომხური საპატრიარქოს ნაწილი იყო.

ალბანეთის ეროვნული საკათალიკოსო უკვე გაუქმებული იყო მე-7 საუკუნის ბოლოდან (სხვა ცნობით, მე-8 ს-ის დასაწყისში).

მისი ავტოკეფალია სომხურმა ეკლესიამ, მოვსეს კალანკატუაცის თქმით, გააუქმა 699 წელს და უშუალოდ მიუერთა სომხურ ეკლესიას. ამავე დროს, გაუქმდა ალბანურენოვანი ღვთისმსახურება, ხოლო ალბანეთის ბოლო ავტოკეფალური კათალიკოს ნერესის ალბანურენოვანი წიგნები მდინარე ტრტუში (ტერტერში) გადაყარეს მოვსეს კალანკათუაცის ცნობით –

„А все книги гнусного Нерсэса, полные ереси, собрав в сундуки, [велел] бросить в реку Трту, в местности, называемой Бердакур, там, где он проводил лето“. http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/text31.phtml?id

საერთოდ, ალბანეთის საკათალიკოსომ ძალზე მცირე ხნით იარსება, სულ ორიოდე საუკუნე, თუმცა ალბანელების ენაზე თარგმნილი იყო წმიდა წერილი, მაგრამ არა საერთო სალიტერატურო ენაზე, არამედ დიალექტეზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ ალბანეთის 26-მა ტომმა გაქრისტიანების მიუხედავად ვერ შეძლო ერთიანი საეკლესიო-სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ამიტომ მიჩნეულია, რომ წმიდა წერილი ჯერ გარგარელთა ენაზე ითარგმნა, შემდეგ კი უტიელთა ენაზე, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგანაც ალბანური ენა მკვდარი ენაა, მის დიალექტებთან ერთად.

ყოველ შემთხვევაში, ალბანური ენის გამოყენება საეკლესიო მსახურებისათვის, მოვსეს კალანკატუაცის სიტყვით, შეწყდა 699 წლის შემდეგ, როცა ის მიიერთა სომხურმა ეკლესიამ.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა 699–705 წლებში, როდესაც სომხურმა ეკლესიამ არაბთა დახმარებით ის უკანონოდ გააუქმა ბარდავის საეკლესიო კრების განჩინებით.

შესაბამისად, ხალილ ისიდის ძის დროს, მე-9 საუკუნეში, ანუ კახეთ-ჰერეთის საზღვრების ცვლილების ეპოქაში, ალბანეთის საკათალიკოსო უკვე აღარ არსებობდა და მისი გაუქმების დროიდან თითქმის ორი საუკუნე იყო გასული.

ამასთან დაკავშირებით, თუკი ალბანური ეკლესია მე-8 საუკუნის დასაწყისიდან უკვე აღარ არსებობდა, რატომ მიიჩნევა, საყოველთაოდ რომ, თითქოსდა, ალბანური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი მიწა-წყალი ბოდბე-გურჯაან-საინგილოს ჩათვლით, მაგალითად, „პრავასლავნაია ენციკლოპედიის“ ამ რუკის მიხედვით, სადაც ალბანეთის საზღვარი თბილი-სამდეა მოტანილი, ხოლო ბოდბე, დავითგარეჯა და გურჯაანი მის შემადგენ-ლობაშია?



https://www.pravenc.ru/text/64030.html

უფრო მეტიც, არის საერთაშორისო თვალსაზრისი, რომ თითქოსდა, მე-12 საუკუნეში, საქართველოს სამეფოს აყვავების პერიოდშიც კი, ალბანური საეკლესიო ცხოვრების ცენტრი იყო კახი-ზაქათალას ოლქი, ანუ საინგილო. მაგალითად, ამის შესახებ დისერტაცია დაიცვა მოსკოვის სასულიერო აკადე-

მიაში ერთ-ერთმა მეცნიერმა. მისი ნაშრომი ალაბანეთის საკათალიკოსოს შესახებ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ბაქოს რუსულმა ეპარქიამ, აქ ნათქვამია ალბანეთის ეკლესიის შესახებ შემდეგი – „центрами церковной жизни были Арцах (XI век) и Кахи-Закаталы (XII век)“.
http://baku.eparhia.ru/history/albania/after_viii_centure/.

ესაა არასწორი მტკიცება, საერთოდ შეუძლებელია კახეთის ეს ისტორიული ოლქი, ანუ კახი-ზაქათალა, ალბანური ეკლესიის იურისდიქციაში ყოფილიყო მე-12 და შემდგომ საუკუნეებში, თუნდაც იმის გამო, რომ ალბანეთის ავტოკეფალური ეკლესია, როგორც აღინიშნა, გაუქმდა მე-7 ს-ის ბოლოსა და მე-8 საუკუნის პირველ წლებში, ის შეიერთა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, ვითარცა სომხური ეკლესიის ერთ-ერთი სამიტროპოლიტო ოლქი, რომელშიც ღვთისმსხურებისას გამოიყენებდა მხოლოდ სომხური ენა. მაშასადამე, თუკი კახი-ზაქათალას ოლქს ალბანური ეკლესია მოიცავდა, ეს ნიშნავს, რომ კახი-ზაქათალა ყოფილა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში და შესაბამისად, ის ამ ოლქში ემსახურებოდა მონოფიზიტურ მრევლს. მაგრამ, ცხადია, რომ თუნდაც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, მე-12 საუკუნეში და შემდგომ, ამ ოლქში ცხოვრებდნენ მართლმადიდებლები. ამჟამინდელი საინგილოს მოსახლეობა (ანუ ე. წ. აჟამინდელი ინგილოები) კახელებად იწოდებოდა, საინგილო ანუ კახეთის „გაღმა მხარი“ შედიოდა კახეთის შემადგენლობაში, ვიდრე მე-17 საუკუნემდე, როცა ის შაჰ აბასმა მიიტაცა და სამართავად გადასცა დაღესტნელ მუსლიმანებს.

VIII–IX საუკუნეებში კახეთი მართლმადიდებლობისათვის, ანუ დიოფიზიტური სარწმუნოების დასაცავად ებრძოდა არაბებს ქორეპისკოპოსების, სასულიერო პირების მეთაურობით, ქორეპისკოპოსები, თავდაპირველად, ვითარცა სასულიერო პირები მცხეთის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

ანუ მტკიცება იმისა, რომ კახი-ზაქათალას მოსახლეობა მე-12 საუკუნეში იყო „ალბანეთის“, ანუ მონოფიზიტური სომხური ეკლსიის იურისდიქციაში, ნიშნავს, რომ თითქოსდა, აქაური ხალხი და იქ არსებული დიდებული ეკლესია-მონასტრები მონოფიზიტურ-სომხური იყო, რაც არის სიცრუე.

აღსანიშნავია, რომ თვით საქართველოს შიდა საეკლესიო-სამართლის საბუთების თანახმად, არა თუ კახეთი, არამედ შაქის ოლქი, მთელი ალბანეთი და მასთან ერთად ჩრდილო კავკასიაც საქართველოს ეკლესიის კანონიკური იურისდიქციის ქვეშ ტერიტორიად მიიჩნია მსოფლიო საეკლესიო კრებამ მე-7 საუკუნის ბოლოს. ქართული საბუთების სისწორეს მიუთითებენ მოღწეული არქეოლოგიური ნაშთები. მართლაც, კავკასიაში, მის სამხრეთ და ჩრდილო ნაწილში, ამჟამინდელი დაღესტნის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის ჩათვლით უამრავი ქართული საეკლესიო არქეოლოგიური ნაშთებია ამ საუკუნეებისა.

ამ უვრცელეს მიწა-წყალზე (ამჟამინდელი დაღესტნის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სასაზღვრო თურქეთიში) ქართული ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების დაარსების უფლებას იძლეოდა მსოფლიო საეკლესიო სამართა-

ლი, რის შესახებაც მიუთითებენ მოღწეული წყაროები. ერთ-ერთი საეკლესიო სამართლის საბუთი წერს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის საპატრიარქო ღირსება მიუნიჭებია მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრებას და მთელი მართლ-მადიდებლური კავკასია მიუთვლია მის იურისდიქციაში –

„მეექვსე კრებაში (კონსტანტინე პოგონატისა და კიდევ კონსტანტინეს და სხვათა, ანტიოქიის კრებაშიც), მიუციათ სამწყსოდ და ხელქვეშ ტფილისი, ზემო და ქვემო ქართლი, კახეთი, ალვანია, შაქისი, შირვანი დარუბანდის ზღვამდე... ჩილდირი, რომელ არს პალაკაციო და იმისი გარეშამო ანისი, იმისი გარეშამო ...არზრუმისა და საქართველოს სამზღვარს იქით...“
https://ru.scribd.com/document/386787164/1524

როგორც აღინიშნა, VII–VIII საუკუნეებში საქართველომ შეძლო თავისი ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვა, მაშინ, როცა ამ ეპოქაში არაბთა მიერ ალბანეთის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და ის სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა.

ამჟამად, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე ალბანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის საკითხი იდეოლოგიური ბრძოლის იარაღადაა ქცეული და ამ იდეოლოგიურ ომში ქართული მხარე საკუთარ ისტორიას არასწორად წარმოადგენს, საჭიროა ძიებანი რეალური და ობიექტური ისტო-რიის დასადგენად. საფრთხე ემუქრება საქართველოსა და მისი ეკლესიის მთლიანობას, ამასთანავე, კახეთ-საინგილოში მცხოვრებთ ეჭვი უჩნდებათ თავიანთი ეთნოწარსულის მიმართ, რაც საყურადღებოა.



რამდენიმე ცნობა საჰლ სმბატიანის ანუ საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანის შესახებ

საქართველოში ჰერეთის მეფედ წოდებული საჰლ სმბატიანი, რომელსაც არაბები საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს უწოდებდნენ, მიიჩნევა სომეხ დიდებულად, რომელიც შაქთან ერთად თავის ძალაუფლებას ავრცელებდა რანსა და არცახზე. ის მართავდა 821–854 წლებში. მან 840-იან წლებში დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე და მიუერთა თავის სამეფოს.

შექის სამეფო, ისტორიულ ჰერეთთან ერთად, მოიცავდა ასევე, ვრცელ მიწებს ამჟამინდელი ყარაბაღიდან ამჟამინდელი ბარდა-განჯის რეგიონის ჩათვლით, ანუ რანსა და არცახს, რომელთაც შემდეგ, როგორც ითქვა, სამხრეთ კახეთი დაემატა.

შექის სამეფოს, ტრაფარეტის შესაბამისად, ტრადიციულად, უწოდებდნენ ალბანეთს, თუმცა ეთნიკური ალბანეთი შექის სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის უკვე გამქრალი იყო ისტორიიდან.

ქართველები ტერმინს „ალბანეთი“ არც ხმარობდნენ და მის ნაცვლად სახელ „ჰერეთს“ იყენებდნენ.

საქმე ისაა, რომ შექის სამეფოს მკვიდრებად (გიშისწყლიდან აღსუმდე) ქართულ სამყაროს მიაჩნდა ჰერების ქართული ტომი. ისტორიულად, ჰერების ქართული ტომი ცხოვრობდა ალბანეთის დასავლეთ ნაწილში გიშისწყლიდან ვიდრე თეთრწყლამდე (აღსუმდე), ამიტომ მათ ქვეყანას ჰერეთს უწოდებდნენ.

ასევე, რადგანაც ჰერეთი ალბანეთის ნაწილი იყო, მისი სახელის მიხედვით, ქართველები მთელ ალბანეთს (ტერიტორიას გიშისწყლდან კასპიის ზღვამდე) ჰერეთს უწოდებდნენ.

როგორც ითქვა, ალბანეთი, როცა ის არსებობდა, მოიცავდა მიწა-წყალს გიშისწყლიდან (ანდა მდ. ალიჯანჩაიდან) ვიდრე კასპიის ზღვამდე. ის დასახლებული იყო სხვადასხვაენოვანი 26 განსხვავებული ტომით, მათ შორის ასევე იყვნენ ალბანეთში მცხოვრები ქართულენოვანი ტომები, რომელთაც ქართველები ჰერებს უწოდებდნენ.

ალბანეთში მცხოვრები ქართული „ჰერების“ ტომი იბერიის საზღვართან (შემდგომ შაქის ოლქში) ცხოვრობდა, თუმცა მის ხელისუფლებში უცხოელები ბატონობდნენ, კერძოდ, ის (შაქის ოლქი) ჯერ კიდევ არჩილ მეფეს გადაუცია არმენიიდან ჩამოსული დიდებულებისათვის, რომელნიც იყვნენ მონოფიზიტები, ანუ სომხური ქრისტიანობის აღმსარებლები.

აღნიშნული მდინარე გიშისწყალი ერთმანეთისაგან საზღვრავდა იბერიასა და ალბანეთს, შემდეგ კი შაქის (შექის) სამეფოსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს.

ჩვენ სხვა შრომაში, როგორც აღვნიშნეთ, გამოკვლეული გვაქვს, რომ ის მდინარე, რომელიც პლინიუსის ცნობით ერთმანეთისაგან ყოფდა იბერიასა და ალბანეთს, იყო არა ალაზნის მთავარი ტოტი მთელს მის სიგრძეზე, არამედ ალაზნის ყველაზე უმთავრესი შენაკადი გიშისწყალი, რომელიც იერთებს ალაზნის მთავარ ტოტს და იქვე, ვაკეზე უერთდება მდინარე მტკვარს.

ამ მდინარეს, გიშისწყალს, რომელსაც სათავე აქვს კავკასიის მთებში, შექთან ახლოს, ალაზანთან გაერთიანების შემდეგ, პლინიუს უფროსი უწოდებდა ოკაზანს.

იქვე, ძალზე ახლოს, გაედინება ალიჯანჩაი, რომელიც ასევე შექის მთებში იღებს სათავეს და იორ-ალაზნის შესართავთან ახლოს ვაკეზე მტკვარს უერთდება, აღსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნემდეც კი ალიჯანჩაისა და გიშისწყალზე გადიოდა კახეთის სამეფოს საზღვარი.

რაც შეეხება ჰერებს, მათი სამკვიდრებელი მიწა-წყალი მოქცეული იყო ქალაქ შექსა (შაქსა) და მდინარე თეთრწყალს (აღსუს) შორის. ამ ჰერებზე გაბატონდა მე-8 საუკუნეში სომხეთიდან გადმოსული დიდებული, მისმა შთამომავლებმა შექმნეს შექის სამეფო, მათ, მე-9 საუკუნეში, არაბების დახმარებით, მიიტაცეს არანისა და არცახის მიწები და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საჰლ იბნ სუნბატ არმანმა, არაბი სარდლის ხალილ ისიდის ძე არაბიელის შემწეობით 840-იანი წლებისათვის დაიპყრეო სამხრეთ კახეთის მიწებიც. აი, ამის გამო მე-9 ს-ის შემდეგ ერთ პერიოდში, დაპყრობილ სამხრეთ კახეთს ჰერეთი დაერქვა.

ჰერების ძველ ისტორიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ითქვა, ეს ქართული (ქართულენოვანი) ტომი ცხოვრობდა ალბანეთში, გიშისწყლიდან ვიდრე აღსუმდე, თვითონ ალბანეთი გაცილებით ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა, ვიდრე კასპიის ზღვამდე.

ალბანეთის სამეფო დაეცა და გაქრა მე-7 საუკუნისათვის, მისი ტომებიც გაქრნენ, გარდა ჰერებისა.

ჰერები აღმოჩნდა მხნე ტომი, მათ ამ უმძიმეს დროს შეძლეს ქართული იდენტობის შენარჩუნება, რაც მე-10 საუკუნეში დინარა დედოფლისა და მისი შვილის იშხანიკის დროს გამოჩნდა, მაგრამ იქამდე, არაბების დროს, ჰერები სომხურენოვანი საეკლესიო და საერო ადმინისტრაციის უღელქვეშ იმყოფებოდნენ.

მიუხედავად სომხურ ეკლესიურ-მონოფიზიტური უღელქვეშ ყოფნისა, ჰერებმა მაინც შეძლეს საოჯახო (საშინაო) ქართულენოვნების შენარჩუნება, ეს კი მყარი საფუძველი გახდა იმისა, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე ჰერეთის დედოფალ დინარას დროს თავი დაიხსნეს სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისაგან და დაუბრუნდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს.

მაგრამ ეს მოხდა მე-10 საუკუნეში.

იქამდე, მე-9 საუკუნეში კი, პირიქით, შაქის სომეხი მეფეების აგრესიის შედეგად მიტაცებული იქნა კახეთის ერთი ნაწილი, ვიდრე გავაზამდე.

კერძოდ, კახეთის სამეფოს სამხრეთი ნაწილი, ვიდრე გავაზამდე შაქის ჰერეთის სამეფოს ხელში აღმოჩნდა

შაქის სამეფოს კი ქართველები, როგორც აღინიშნა, ჰერეთს უწოდებდნენ. შაქისა ანუ შექის სამეფო, როგორც ითქვა, იმ დროს ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო, როგორც ითქვა, მოიცავდა რანსა და არცახს, ანუ ამჟამინდელ მთიან ყარაბაღსა და განჯა-ბარდას ოლქს.

მაშასადამე, თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას, თუ რატომ ეწოდებოდა სამხრეთ კახეთს გარკვეულ ეპოქაში ჰერეთი? განმეორებით ვუპასუხებთ, იმის გამო, რომ სამხრეთ კახეთი დაიპყრო არაბთაგან გაძლიერებულმა ჰერეთის სამეფომ.

როგორც ითქვა, 840-იანი წლების დასაწყისში არაბთა სარდალმა ხალილ იზიდის ძემ ჰერეთის გავლით გადალახა კახეთის სასაზღვრო მდინარე გიშისწყალი და შეიჭრა კახეთში. მან სოფელ გავაზამდე დაიპყრო სამხრეთ კახეთი და აქ მისი წინსვლა შეაჩერა კახთა ქორეპისკოპოსმა. კახ-წანარების, ანუ გარდაბნელების ლაშქარი შეებრძოლა მტერს და დაამარცხა.

არაბთა ჯარმა წინსვლა შეწყვიტა, მაგრამ კახეთს ჩამოაშორეს გავაზის სამხრეთით მიწა-წყალი და ის არაბებმა სამართავად გადასცეს შაქის, ანუ ჰერეთის მმართველს საჰლ სუმბატის ძეს, ანუ საჰლ სმბატიანს.

მას იმ წლებში დიდად აფასებდნენ არაბები, მან ერთი-ორი წლით ადრე, 838 წელს დაატყვევა არაბების უდიდესი მტერი ბაბეკი, ირანის აჯანყების მეთაური და ის დასასჯელად ხალიფას გადასცა, რისთვისაც ჯილდოდ მიიიღო „არანის მეფის“, ანუ ალბანეთის მეფის ტიტული და 1 მილიონი დინარი. ასევე სამართავად დიდი ტერიტორიები, მათ შორის სამხრეთ კახეთი, გავაზი, ორჭობი და სხვა. ეს ჩანს მოვსეს კალანკატუაცის ცნობიდან, რომ საჰლ ალ-არმანს იბნ სუმბატს ანუ საჰლ სმბატიანს არაბებმა უბოძეს არა მხოლოდ ალანთა მეფის ტიტული, არამედ ასევე უფლება, რომ „სამეფო ძალაუფლებით ემართა არმენია, ივერია და ალუანქი (ალბანეთი)“
http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm

არაბების თვალსაზრისით, საჰლ სმბატიანს კანონიერად გადაეცა კახეთის მიწები, რადგანაც ხალიფამ მიანიჭა უფლება ივერიის მართვისა, კახეთს ივერია ეწოდებოდა დანარჩენ ქართულ მიწებთან ერთად. ივერიის დაპყრობის უფლება საჰლ სმბატიანმა, ანუ შაქის მეფემ მიიღო ხალიფასაგან ბაბეკის ღალატის **სანაცვლოდ.**

რადგანაც, მოვსეს კალანკატუაცი წერს: „ამის სანაცვლოდ არაბთა წინაშე დამსახურებისათვის სახალიფოს კარიდან მიიღო დიდი ჯილდო; უფლება სამეფო ძალაუფლებით ემართა არმენია, ივერია და ალუანქი (ალბანეთი)“. და, როგორც ითქვა, ერთი მილიონი დირჰემი.
http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm

ბაბეკის დაპატიმრება ასე მოხდა, ირანისა და მიმდებარე ქვეყნების საერთო-სახალხო აჯანყების მეთაური, დამარცხების შემდეგ ცდილობდა ბიზანტიისაგან დახმარების მიღებას და ამისათვის თავისი ოჯახით (ძმით, დედითა და ცოლით) გაემგზავრა ბიზანტიაში, გზად მას არმენია უნდა გაევლო, შევიდა არცახში, რომლის მთავარი იყო ჰერეთის გამგებელი საჰლ სმბატიანი ანუ „საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი“, მოტყუებით მიენდო მას, რომელმაც ის ღალატით დააპატიმრა მეგობრული გართობა-ნადირობის დროს და გადასცა არაბ ხელისუფალს.

არაბთა ხელისუფლებისათვის ეს იყო უდიდესი გამარჯვება. იქამდე, ბაბეკის მოჯანყეთა გამო, სახალიფო იდგა რეალური საშიშროების წინაშე, რომ

დაკარგავდა ირანსა და აღმოსავლეთს. ეს საშიშროება სახალიფოს აარიდა საჰლ ალ-არმენმა, ჰერეთ-რან-არცახის გამგებელმა. მადლიერმა ხალიფამ მას არმენია-ივერია-არანის მეფის წოდება მიანიჭა.

როგორც აღინიშნა, მოვსეს კალანკატუაცი წერს: «И в том же году тот же князь Сахли, сын Смбата, взял в плен истребляющего людей и опустошителя стран смутьяна Бабана, зверя кровожадного, и отдал его в руки амирмумина. А за услуги он получил от двора доброе вознаграждение: право царской властью управлять Арменией, Иверией и Алуанком».

http://www.vostlit.info/Texts/rus5/Kalank/frametext11.htm

მართალია, მადლიერმა სახალიფომ საჰლ სმბატიანს (საჰლ ალ-არმანს) მიანიჭა მათ შორის ივერიის მეფის წოდება (ის იწოდა არმენიის, რანისა და ივერიის მეფედ), მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, 839 წელს, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ბრძანებას ესაჭიროებოდა განხორციელება, ანუ რეალურად ივერიის ერთი ნაწილი მაინც შაქის მმართველის ხელში უნდა აღმოჩენილიყო, შაქის ოლქთან (ჰერეთთან) ყველაზე ახლოს იყო ივერიის ქვეყანა ანუ კახეთი, რომელსაც ჰერეთისაგან ყოფდა გიშისწყალი. მის დასაპყრობად საჰლ სმბატიანს შექში მიუვიდა დიდი არაბული ლაშქარი ხალილ იაზიდის ძე არაბიელის მეთაურობით იმავე 839–841 წელს. ამ ლაშქარმა გადალახა კახეთის საზღვარი გიშისწყლზე, შეიჭრა სამხრეთ კახეთში ვიდრე გავაზამდე, სადაც მისი წინსვლა შეჩერდა.

აქ, გავაზთან, მტრის ლაშქარს დახვდა კახელთა ჯარი ქორეპისკოპოსის სამოელ დონაურის მეთაურობით, ამ ჯარის შემტევ ძალას წარმოადგენდა გარდაბნელთა და წანართა ლაშქარი. გავზთან დიდ ომში გაიმარჯვეს ქართველებმა დაახლოებით 840-იანი წლების დასაწყისში, მტერი გააქციეს.

მაშასადამე, მტერმა გავაზთან ამ ომის შემდეგ ვეღარ შეძლო გავაზის ზემოთ კახეთის დაპყრობა, მაგრამ გავაზის ქვემოთ, სამხრეთ კახეთი, მათ შორის სტრატეგიული პუნქტები ორჭობი და არეში (არიში, მთისძირი ყვარელთან) შემდგომდროინდელ საინგილოსთან ერთად დროებით მოწყვიტეს კახეთს, ეს მიწა-წყალი, თავისი ციხეებით, დარჩა მტრის გამგებლობაში და გადავიდა ე.წ. შექის ანუ ჰერეთის სამეფოს შემადგენლობაში 200–300 წლის მანძილზე, ამ კახურ მიწებს შემდგომში ჰერეთი უწოდეს, რაც დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ თავისი კვალი დატოვა ისტორიულ გეოგრაფიაში. 1962 წელს მთისძირში აღმოჩენილი არქეოლოგიური არაბული მონეტების განძი ადასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არაბთა ხელისუფლება კახეთის მიწების დაპყრობას.

გავაზი, სადაც 839 წელს მოხდა დიდი ომი ხალილ იაზიდის ძე არაბიელთან, ამჟამად ახალსოფლის სახელითაა ცნობილი, ყვარელთან, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე.

ამ დროს გავაზთან ომის შესახებ მემატიანე წერს – **„შეებნენ გარდაბნელნი გავაზს და გააქციეს ხალილ“** (მატიანე ქართლისა,1955).

გავაზის ჩრდილოეთით მდებარე კახეთი გადაურჩა დაპყრობას, სამხრეთ კახეთი კი მტრის ხელში გადავიდა. შესაბამისად, კახეთმა ხალიდისა და

საჰლ ალ-არმანის დროს დროებით დაკარგა ტერიტორია გავაზიდან გიშის-წყლამდე. ამის მიუხედავად კახეთი უწყვეტად იბრძოდა დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად.

ეს აღნიშნული ნაწილი ისტორიული კახეთისა გავაზიდან გიშის-წყლამდე არაბებმა გადასცეს ჰერეთის მეფეს ალ არმანს ანუ საჰლ სმბატიანს და მასაც შესაბამისად, ეწოდა ჰერეთი.

ამის შემდეგ 2–3 საუკუნის მანძილზე საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის უკვე გადიოდა არა გიშისწყალზე, არამედ ე. წ. თურდოს ხევზე ვიდრე გავაზამდე.

მას შემდეგ, რაც შაქ-ჰერეთის მეფეს თავისი დიდი ლაშქრით დაეხმარა სარდალი ხალილ იზიდის ძე არაბიელი 840-იანი წლების დასაწყისში, დაიპყრო გავაზის ქვემოთ სამხრეთ კახეთის მიწები და გადასცა შაქის (ჰერეთის) მონოფიზიტ მეფეს კახეთის საზღვრები დაემცრო, მაგრამ ამ დიდ დანაკარგს არ ურიგდებოდა ქართული სამყარო და თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დაიწყო განმანთავისუფლებელი ომი შაქის სამეფოსაგან კახეთის მიწების გასათავისუფლებლად.

მე-10 საუკუნეში კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა დახმარება თხოვა აფხაზთა მეფეს კონსტანტინე III-ს, მათმა გაერთიანებულმა ლაშქარმა არიშთან, გავაზთან და ვეჯინთან შეუტია შაქის მეფეს ადარნასე პატრიკს (არაბულად ბატრაკი, ანუ მეფე), კახეთმა დაიბრუნა დაკარგული მიწები და აღნიშნულ ციხეებს უკვე ისინი აკონტროლებდნენ, მაგრამ მალე გაუარესდა კახეთის სამთავროს საგარეო მდგომარეობა და კახეთმა კვლავ დაკარგა აღნიშული ციხეები. ისინი გვაზიდან ვიდრე გიშისწყლამდე ტერიტორიასთან ერთად კვლავ აღმოჩნდა შაქის, ანუ ქართულად ჰერეთის მეფეების ხელში.

ისტორიული გეოგრაფიისათვის ეს ნიშნავს, რომ სამხრეთ კახეთს კვლავ ჰერეთს უწოდებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კახეთი შაქის მონოფიზიტი მეფეების ხელში იყო, მოღწეული წყაროების თანახმად, აქ კვლავ მცხეთის საკათალიკოსო ახორციელებდა თავის იურისდიქციას, მაგალითად, მე-9 საუკუნეში, აღნიშნული აგრესიის მიუხედავად არაბული ძალების მხრიდან, გავაზი კვლავ საქართველოს ეკლესიას განეკუთვნებოდა, რასაც მიუთითებს დიდებულ ფავნელის სიგელი, რომლითაც მან გავაზი მიჰყიდა შიომღვიმის მონასტერს. ამ სიგელს შემდგომაც ადასტურებდნენ საქართველოს მეფეები.

არაბი ისტორიკოსი ტაბარის ცნობით – ბაბეკის დატყვევების შემდეგ არაბმა სარდალმა აფშინმა საჰლ იბნ სუმბატს ხალიფასაგან გადასცა ერთი მილიონი დინარი თანხა, ძვირფასქვებიანი სარტყელი და ასევე პატრიკის (მეფის) გვირგვინი – „поручил Сахли ибн Сумбату миллион дирхам денег, пояс украшенный драгоценными камнями, а также корону патрика“.

https://alpan365.ru/biblioteka/istoriya-online/istoriya-lezginskogo-naroda/politicheskaya-istoriya-lezginoyazychnyx-narodov-ix-v-n-e/

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ხალიფამ საჰლ სმბატიანს მიანჭა უფლება მეფის წოდებით ემართა **არმენია, ივერია და ალბანეთი,** ალბანეთს

უწოდებდნენ რანსა და შაქის რეგიონს, ქართველები კი – ჰერეთს, ასევე ის უკვე იყო არცახის მთავარი, ანუ ალბანეთად წოდებული მიწა-წყალი უკვე იყო მის ხელში, ამიტომაც ოცნებობდა როგორმე განეხორციელებინა არაბებისაგან მისთვის მინიჭებული უფლება, რომ ივერია რეალურად ემართა, ამისათვის მას ესაჭიროებოდა არაბთა დახმარება.

მართალაც, მეფის წოდების მიღებიდან მალევე მას დაეხმარა არბთა სარდალი ხალილ იზაიდის ძე არაბიელი (Халид ибн Язид аль-Шайбани), რომელიც ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის გავლით შეიჭრა კახეთში ანუ ივერიაში,

კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრის (გიშისწყლის) გადალახვის შემდეგ, როგორც ითქვა, ხალილ იაზიდის ძემ და, ცხადია, მასთან ერთად საჰლ ალ-არმანმა სმბატიანმა შეძლეს გავაზამდე მიღწევა. სადაც (გავაზთან) ქართველებმა (ანუ კახეთის მთავარმა გრიგოლმა, მთიულთა და წანართა ლაშქარმა) ის დაამარცხა.

ამ მარცხის შემდეგ მისი წინსვლა კახეთის სიღრმეში ვეღარ მოხერხდა, მაგრამ არაბებისა და საჰლ სამბატიანის ხელქვეშ, ანუ ჰერეთის სამეფოში მოექცა გავაზის ქვემოთ მდებარე სამხრეთ კახეთი გიშისწყლამდე. არაბ სარდალებს რამდენჯერმე დასჭირდათ კახეთში ბრძოლა საჰლ სმბატიანის მხარდასაჭერად.

საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია VII ს-ში კახეთ-ჰერეთის მიმართულებით

მატიანე წერს – „ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680–681]... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსთვის რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი საპატრიარქონი. და იყოს კათოლიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს... სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წარმოვლით მთისა ადგილისათა სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულად ოვსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა და სამცხე-საათაბაგოსა“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 233).

[ე.ი. იურისდიქციაში შედის ქართლი, **გამოღმა-გაღმა კახეთი, შაქი, შირვანი და მიდგმით-წარმოვლით მთისა ადგილნი (ჩეჩნეთ-დაღესტანი)** სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრებამდე, სრულიად ოვსეთი (ჩრდილოკავკასია) და ყოველი ზემო ქართლი სამცხე-საათაბაგო (ე.ი. მიწა-წყალი ტრაპეზუნტამდე ვალაშკერტის ჩათვლით)].

ჰერეთი

ჰერეთია – **„ქვეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავითგან, ვიდრე ტყეტბამდინ, რომელსაც აწ ჰქვიან გოლგოლა“** (ქ.ც., ტ. I, გვ. 5).

ჰეროსმა – **„აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთა და უწოდა სახელი თვისი – ჰერეთი და აწ ჰქვიან ხორანთა“** (ქ.ც., ტ. I, გვ. 5).

„მცირე ალაზნის თავი“ უნდა იყოს **„შესაკრებელი ორთავე ალაზანთა“,** ანუ იორ-ალაზნის შესართავი, აქედან ტყეტბამდე, რომელსაც, როგორც ითქვა, ამჟამად ფილფილა ეწოდება, ხოლო ძველად გოლგოლა ერქვა, გადიოდა ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი, ჰერეთის სამხრეთ საზღვრის შესახებ წყარო წერს – **„მტკვრისა ჩრდილოთ“,** ანუ ჰერეთის სამხრეთი საზღვარია მტკვარი.

მაშასადამე, ჰერეთი ერქვა შემდგომდროინდელ შაქ-ყაბალას რეგიონს მტკვარ-ალაზნის შესართავიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე. აქ მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდება მდინარე **„თეთრწყლები“**, რომელსაც ამჟამად „აღსუ“ ჰქვია, იქ ამჟამადაცაა ქალაქი აღსუ, აქ გადიოდა ჰერეთის აღმოსავ-ლეთი საზღვარი.

შაქ-ყაბალას რეგიონი და რანი შემდგომ საუკუნეებშიც ხშირად ერთიან-დებოდნენ და ერთ პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდნენ. ჩანს, ასევე ყოფილა რანი და შაქი გაერთიანებული V საუკუნეშიც, როცა ქალაქი ცურტავი ჰერეთის ქალაქად ითვლებოდა. როგორც რანი, ისე შაქი – ისტორიული საქართველოს ქვეყნები იყვნენ ზოგჯერ ალბანეთის სახელმწიფოში შემავალნი. მტკვრის იქით, მის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია თეთრწყლამდე – ახსუმდე – ქართველთა ისტორიული ტერიტორია რომ იყო ეს ჩანს სტრაბონი-დანაც. სტრაბონი წერს – **„არმენიელებმა იბერებს წაართვეს შემდეგი რეგიონები – პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა – მტკვრის იქით“** (სტრაბონი, XI, 14, 5), ანუ გოგარენა – მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იყო. ესაა შემდგომი შაქი-კაბალა ვიდრე შამახიის მთებამდე (მდ. აღსუმდე). აქედან გამომდინარე, სხვა ქვეყანა იყო გუგარქი და სხვა გოგარენა.



ტყე-ტბა გულგულა-ხილხალა, როგორც ჩვენ თეორიული გამოკვლევიდან ვაჩვენეთ, მდებარეობდა არა თელავთან, არამედ, ქ. ნუხპატოს აღმოსავლეთით, რომელსაც 1923 წელს ივ. ჯავხიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე „ხილხალა“ ეწოდება – ამჟამად მის ადგილზე იმავე ეტიმოლოგიის სახელის მქონე სოფელი – ფილფილა მდებარეობს აზერბაიჯანის ოგუზის (ვართაშენის) რაიონში, ქ. კაბალა-ყაბალას დასავლეთით.

X საუკუნისათვის ჰერეთი (შემდგომი შაქი და ყაბალას რეგიონი) ძლიერ სამეფოდ გადაიქცა და, შესაბამისად, თავისი საზღვრებიც გააფართოვა, ჰერეთის სამეფოს ისტორიული კახეთის საქორეპისკოპოსოსათვის წაურთმევია ნეკრესის აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთი ადგილი, მათ შორის ვეჟინის ციხე (ამიტომაც შემდგომში მის გათავისუფლებას ცდილობდნენ კახელები აფხაზთა მეფეებთან ერთად), ასევე, კატეხის ეკლესია, კაკი და გიში. იქამდე, ეს იქიდან ჩანს, რომ VIII ს-ში, წმ. არჩილ მეფის ცხოვრების მიხედვით, ეს ადგილები კახეთში შედიოდა.

(შაქი-ყაბალას ხილხალას გარდა, მეორე ხილხალა, უფრო პატარა პუნქტი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეც იყო).



კახეთი

მატიანეთა მიხედვით კახეთი ქართლის სამეფოში შედიოდა და მისი აღმოსავლეთის რეგიონი იყო. ამ რეგიონის (და შესაბამისად, ქართლის სამეფოს) მოსაზღვრედ ჰერეთი მდებარეობდა – ჰერეთი „ქართლის“ მოსაზღვრე იყო.

აქედან გამომდინარე, კახეთი მდებარეობდა ჰერეთსა და შიდა ქართლს შორის, არაგვიდან ჰერეთამდე იყო კახეთის ქვეყანა. ჰერეთის ჩრდილო საზღვარი, როგორც ითქვა, ეწოდებოდა ხაზს გავლებულს იორ-ალაზნის შესართავიდან გოლგოლმდე, ანუ ხილხალამდე (ფილფილამდე).

კახეთში შედიოდა ნეკრესი – **„კახეთს ქალაქსა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრეს“** (ქ.ც. I, გვ. 24).

კახეთში იყო **„ავჭალა“** და **„ლოჭინი“**, კახეთის ქალაქი იყო რუსთავი – **„რუსთავის ქალაქი“** (საეპისკოპოსო), უჯარმა – ნინოწმიდის საეპისკოპოსო.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით – **„ლეონტის წიგნში კახეთის საზღვრები არეულია“** (ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 38). მაგრამ, თუ ზემოაღნიშნულ საზღვრებს გავითვალისწინებთ, მაშინ გამართლდება ლეონტის ცნობა –

„კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავამდე მთისა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“ (ქ.ც. I, გვ. 24).

ჩვენ ვთქვით, რომ საზღვარი ჰერეთისა გადიოდა შაქი-ყაბალას ხილხა-ლა-ფილფილასთან, ეს იყო გოლგოლა, ამ პუნქტიდან იორ-ალაზნის შესართა-ვამდე იდო საზღვარი ჰერეთსა და კახეთის შუა.

შაქი-ყაბალას ხილხალა-გოლგოლადან არაგვამდე მიწა იყო კახოსისა, ანუ ისტორიული კახეთი.

კახოსსა და კუხოსს შორის, ანუ კახეთსა და კუხეთს შორის საზღვრები ასე გადანაწილდა – მათ შუა იდო გომბორის ქედი, რომელსაც ლეონტი **„კახეთის მთას“** უწოდებს. ამ მთის სამხრეთ მწვერვალს ლეონტისთან ჰქვია **„თავი კახეთისა“.** ანუ კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ყოფდა გომბორის ქედი. ორივეს სამხრეთით იდო ჰერეთი.

კახეთის საზღვარი გადიოდა კავკასიის ქედზე. კახეთიცა და კუხეთიც არაგვიდან იწყებოდა. მდ. იორი კუხეთის მდინარე იყო, ალაზანი – კახეთისა. სამხრეთი საზღვარი, როგორც ითქვა, იდო გოლგოლა-ტყეტბასა და იორ-ალაზნის შესართავიდან გავლებულ ხაზზე. ანუ შაქის ხილხალადან – იორ-ალაზნის შესართავამდე.

„კახეთის მთა“ გომბორის ქედს უწოდებდნენ, ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ყოფდა.

ამ საზღვრებში კახეთსა და კუხეთს აღიარებდა ძველი ქართული საის-ტორიო გეოგრაფია ვიდრე XX საუკუნემდე, ვიდრე პატკანოვ-მარის ქართი-ზაციის თეორიის მომხრეებმა არ შეიტანეს ეჭვი ამ საზღვრებში და ჰერეთის საზღვარი თელავამდე მოიტანეს.

ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია აღნიშნულ საზღვრებს რომ აღიარებდა XX ს-მდე, ეს ჩანს თვით იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან, რომელ-შიც ყმაწვილებს უხსნიდა – **„ცივ-გომბორის მთა კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა, აღმოსავლეთის ნაწილს, „შიგნით კახეთი“ ჰქვია, აქეთას – დასავ-ლეთისას – „გარეთ კახეთი“, უწინდელს დროში პირველს „საკუთრივ კახეთს“ უწოდებდნენ, მეორეს „კუხეთს“ეძახდნენ. შიგნით კახეთს ალაზანი რწყავს,**

გარეთ კახეთს იორი,“ – წერდა გოგებაშვილი, რომელიც იმეორებდა ძველი ქართული საისტორიო ისტორიოგრაფიის ათასწლოვან თვალსაზრისს.

როგორც ითქვა, XX ს-ის საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ არ ცნო ეს საზღვრები, მან კახეთის მიწა-წყალი თელავამდე ჰერეთში შეიყვანა, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, – **„კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრები ზოგჯერ ერთმანეთში ირევა“** (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

კახეთ-ჰერეთის საზღვრები ისაზღვრებოდა **„იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუთხე ჰეგემონობდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში და თავის საზღვრებს აფართოებდა, მაგალითად, ერთ პერიოდში (IX–X სს.) ჰერეთი – კახეთსაც მოიცავდა, და პირიქით, კახეთში ჰერეთის ნაწილიც შედიოდა“** (იქვე, გვ. 41).

ასეთი მიზეზების გამო **„ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია“** (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე, რომელსაც ძველად ბოდი (ბოდინი) ერქვა საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის მიხედვით ალბანეთში, ანუ ჰერეთში შედიოდა, რადგანაც გულგულას თელავთან ათავსებდნენ.

ამ თვალსაზრისითაა მიღებული ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრების რუკა მოსკოვში დასტამბულ – „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“. აულიქ ალბანეთის საზღვრებში შედის ბოდბე, მაშინ, როცა წმიდა ნინოს ცხოვრებისა და „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით, ბოდბე იყო „ქვეყანა კახეთისა“, ხოლო მეორე ხელნაწერით „ქვეყანა კუხეთისა“ (კოხეთისა, კხოეთისა) და არა ჰერეთისა. ნეკრესი არაა ჰერეთის ქალაქი, არამედ კახეთისა, ამიტომაც გულგულა, რომელიც მის ჩრდილოეთითაა, ცხადია, კახეთს ეკუთვნოდა.

როგორც ითქვა, ჰერეთის სამეფოს X საუკუნისათვის თავისი საზღვრების გაფართოების დროს კახეთის ზოგიერთი მოსაზღვრე სოფელ-ქალაქი მიუერთებია – ლაგოეთი, კატეხის ეკლესია, კაკი და ზიარი (მელქისედეკის სიგელით). პირიქითაც ხდებოდა, როდესაც კახეთი ფართოვდებოდა მისი საზღვრებიც იზრდებოდა – **„კახეთი თავის საზღვრებში ზოგჯერ ქსანსაც კი აქცევდა – მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი ამ დროს კახეთად ითვლებოდა (ლეონ აფხაზთა მეფის ეპოქაში). ასევე კახეთში იყო ლოპოტი, ხოლო დიდოეთი – კახეთის მთიულეთში შედიოდა“** (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 44).

საერთოდ, რადგანაც ჯუანშერის ცნობით, კახეთი **„კლდეებით მოზღუდული ქვეყანა იყო“** – ის, მართლაც კავკასიასა და გომბორის ქედთა შორის იდო.

კავკასიის“კლდეებით“ მოზღუდული თანამედროვე საინგილოც კახეთში შედიოდა და არა ჰერეთში, რადგანაც წმ. არჩილის ცხოვრების მიხედვით, საინგილო კახეთს ეკუთვნოდა VIII ს-ში:

არჩილ მეფე VIII ს-ში არაბობის გამო საცხოვრებლად გადავიდა კახეთში – **„მოვიდა არჩილ კახეთად... აღაშენა ეკლესია სამძორს... დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და აღაშენა ციხე-ქალაქი**

ერთი ნუხპატს – ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი... იძულებით მონათლნა არჩილ“, – წერს ჯუანშერი (ქ.ც., ტ. I, გვ. 244).

ე.ი. ქართლის მეფის, არჩილის საბრძანებელში შედიოდა კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე თუშეთიდან ნუხპატამდე. ამასთან ერთად, წუქეთი – ხუნძეთით მისი გავლენის სფეროში შედიოდა ჯუანშერის თხრობით (იქვე, ქ.ც., ტ. I, გვ. 244). ნუხპატი, შაქის რეგიონის აღმოსავლეთით, ციხე-ქალაქად უქცევია ქართლის მეფეს. ამის გადმოცემისას ნახსენებია პუნქტი – **„ორთა წყალთა შუა“** – ე.ი. იორ-ალაზნის ურთიერთშერთვის ადგილი და ასევე გულგულა, ანუ შემდგომი შაქისა და კაბალას რეგიონში მდებარე პუნქტი ხილხალა. აქამდე აღწევდა ქართლის სამეფოს საზღვარი.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საინგილო შედიოდა არა ჰერეთში (ალბანეთში), არამედ კახეთში, ე.წ. **„შიგნით კახეთში“**. ასე მიიჩნევდა ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია საბჭოურ პერიოდამდე.

კამბეჩანი, ხორნაბუჯი და შაკიხი (შაქი)

კამბეჩანი მდებარეობდა არა იორის ვაკეზე, არამედ იქ, სადაც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავია, რადგანაც ქართლის ცხოვრების მიხედვით, კამბეჩანის **„შიგნით მინდორნი ყოფილა გორებით შემოზღუდული“** (ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 43), ამასთანავე, კამბეჩანი **„კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი იყო“**(იქვე, გვ. 43). რადგანაც ჩვენი გამოკვლევით კახეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა იორ-ალაზნის შესართავიდან შაქის ხილხალა-გულგულამდე, ამიტომაც მის **„სამხრეთ-აღმოსავლეთით“** სწორედ გორებით შემოზღუდული ვრცელი ვაკე-მინდვრიანი ადგილი იყო, რომელიც ამ გორებით შემოზღუდულობის გამო კარგი საშუალება აღმოჩნდა დიდი წყალსაცავის (მინგეჩაურის“ზღვის“) შესაქმნელად. ათეულ (70) კილომეტრზე გადაჭიმული მინგეჩაურის ამჟამინდელი წყალსაცავი გორათა შუა დაგუბებული წყალია, ხოლო იორის ვაკე არ არის გორებით მოზღუდული. მინგეჩაურის წყალსაცავის სიგრძე 70 კილომეტრია, ხოლო სიგანე – 18 კმ. მის მიერ დაკავებულ ფართობში შესაძლებელია მიმდებარე ორი რაიონის მოთავსება, რადგანაც ერთი რაიონის სიგრძე დაახლოებით 30–35 კილომეტრია. მაშასადამე, მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილზე მდებარე კამბეჩანი დიდი რეგიონი ყოფილა თავისი ქალაქებითა და სოფლებით.

ჯუანშერის ცნობით **„ქალაქი კამბეჩანისა არის ხორნაბუჯი“** იორ-ალაზნის შესართავთან. არსებულა **„ქალაქნი კამბეჩანისანი“** და ის, სომხური გეოგრაფიით, **„მტკვრის სანახებთან“** ყოფილა (იქვე, გვ. 44). ასეთი ადგილია აღნიშნული მინგეჩაურის წყალსაცავი, რომელიც ბუნებრივი შესაკრებელია იორ-ალაზნის და მტკვრის წყლებისა. როგორც ითქვა, იორ-ალაზნის შესართავთან მდებარე **„ქალაქი კამბეჩანისა არის ხორნაბუჯი“.**

ლეონტის ცნობითაც, ხორნაბუჯი ყოფილა **„შესაკრებელთა ორთავე ალაზანისა“**, ხოლო ვახუშტი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, არ ჰქონია ზუსტი ცნობები ჰერეთის საზღვრების შესახებ, წერს –„ **ყარაღაჯის**

სამხრით, სადაც დასტყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორ-ნაბუჯი“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 48).

ლეონტის **„კახეთის მთა“** – ვახუშტის **„ჰერეთის მთაა“** – ესაა ცივ-გომბორის ქედი. ასე რომ, კამბეჩანი და მისი ქალაქები, ჩანს, მინგეჩაურის წყალსაცავის მიერაა დაფარული და მისი შემოგარენია.

შაკიხში, ანუ შაქში ბაგრატიონების ჩასახლების შესახებ მოგვითხრობს ჯუანშერი, რომ ეს ტერიტორია (შაქი) არჩილ მეფის გავლენის სფეროში შედიოდა და მან იქ მამულები მისცა ტარონიდან შემოსულ სამ ბაგრატიონ ძმას, ადარნასე ბრმის ნათესავებს.

შაქში დამკვიდრებული ბაგრატიონების ტერიტორიის საზღვარი გა-დიოდა – შაქის გულგულა-ხილხალა-ფილფილასთან, რომელზეც უკვე ქართ-ლის სამეფოში შემავალი კახეთი იდო.

შემდგომ ტარონიდან ჩამოსულმა ამ ბაგრატიონებმა შაქისა და კაბალას რეგიონში თავიანთი გავლენის გავრცელება შეძლეს, რადგანაც კავკასიის მთისწინეთი ვიდრე რანამდე გაუკაცრიელებული იყო. არჩილთან მისული ტარონელი ძმები შემდგომ, ჩანს, იწოდნენ ჰერეთის ბაგრატიონებად, რომელ-თაც თავიანთი გავლენა განავრცეს ვიდრე შემახიის მთებამდე. ჰერეთი, შესაბამისად, დინარა დედოფლამდე მონოფიზიტური ყოფილა, ანუ VIII ს-დან X ს-მდე.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, მემატიანის მიერ ნახსენები გულგულა მდებარეობდა შაქ-კაბალას რეგიონში, ხოლო ჰერეთი გულგულა-ფილფილას მარჯვნივ მდებარეობდა.

კავკასიის მთისწინეთის მიწა-წყალი ჰერეთის ბაგრატიონებს ეკუთვ-ნოდათ უკვე VIII ს-დან. როგორც ითქვა, ჰერეთის ფილფილა-გულგულას მარცხნივ იდო კახეთი, შაქის რეგიონი ტარონელი ბაგრატიონების თავდაპირ-ველი მამული იყო არჩილის დროიდან.

ბაგრატიონების მეთაურობით ჰერეთი გაძლიერდა, ჩამოყალიბდა და-მოუკიდებელ სამეფოდ და შეძლო კახეთის სხვა ზოგიერთი პუნქტის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა, მათ შორის, როგორც ითქვა, შედიოდა ლაგოდეხი (ლაგოეთი) და სხვა პუნქტები.

ჰერეთის სამეფოს მიერ მიტაცებულ კახურ მიწებს დროებით ჰერეთი ეწოდათ ამ მპყრობელობის გამო. ვითარება კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ შეიცვალა და ეს ადგილები კვლავ კახეთს დაუბრუნდა. ისინი მალევე კვლავ კახეთად იქცა.

უნდა ითქვას, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვები კახეთი, შაკიხი, კუხეთი თუ კხოეთი ერთი წარმოშობისაა.

მაგალითად,“შაკიხი“ შეიძლება ასე დაიყოს „შა-კიხი“. „შა“ – შეიძლება იყოს სადაურობის აღმნიშვნელი პრეფიქსი „სა“, მაშინ „შაკიხი“ იქნება „სა-კიხი“, ანუ „სა-კახო“, ან „სა-კუხო“. ასეთი ეტიმოლოგიური თანხვედრობა აჩვენებს, რომ შაკიხის (შაქის) და კახეთის მოსახლეობა ერთი ეთნიკური სფეროს ნაწილები იყვნენ.

შაკიხში (შაქში) ბაგრატიონების ერთი შტოს დამკვიდრების შესახებ მემატიანე წერს – „ხოლო ძმისწული ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემ-კვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვიდრო ქმნილ იყო... დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“ (ქ.ც., I, გვ.244).

აქედანაც ჩანს, რომ გულგულა არ შეიძლება იყოს პუნქტი თელავთან, რადგანაც შაკიხელი ბაგრატიონები არჩილ მეფემ დაასახლა კახეთის ერთ-ერთ კუთხეში და თუკი ისინი დაეპატრონენ კახეთის ტერიტორიას ვიდრე თელა-ვამდე, მაშინ გამოდის, რომ მათთვის არჩილს თავისი სამეფოს ძირითადი და უმეტესი ტერიტორია მიუცია, მაგრამ ეს ასე რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ არჩილ მეფე ნუხპატის ციხე-ქალაქში დამკვიდრდა.

შაკიხი (შაქი) იქცა ნაწილად ჰერეთისა, რომელიც იქამდე ხილხალა-გულგულადან აღმოსავლეთით, ვიდრე შამახიის მთებამდე ვრცელდებოდა.

შაკიხიც და კახეთიც იმ დროს (VIII ს-ში) ჭალა-ტყეებით ყოფილა დაფარული.

კახეთის ქორეპისკოპოსი წანარეთიდან ყოფილა წარმომავლობით და ალბათ, ამიტომ, ჩანს, კახეთის სამმართველო ხელისუფლება წანარების ხელში ყოფილა, შესაბამისად, კახეთის ჯარებსაც წანარებს უწოდებდნენ ხოლმე.

შაქელებისა და ამ წანარების ლაშქარი საქართველოს მეფის გვერდით იდგნენ განსაკუთრებული კრიზისების დროს, მაგალითად, ბასილი II-ის შემოჭრისას – გიორგი I-ს ამ დროს „მოუვიდნენ მეშველნი წანარნი და შაქნი“. რაც ერთიან ეროვნულ თვითშემეცნებაზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, ჰერეთისა და კახეთის საზღვარი გადიოდა იორ-ალაზ-ნის შესართავთან შაქის გულგულა-ხილხალამდე. ჰერეთი ამ ხაზიდან ვიდრე შემახიის მთებამდე (მდ. თეთრწლამდე) ვრცელდებოდა. მისი დასავლეთი ნაწილები იყო კამბეჩანი (მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას) და შაკიხი (მის ჩრდილოეთით).

ჩანს, VIII საუკუნიდან იქ დამკვიდრებული ტარონელი ბაგრატიონების ხელშეწყობით სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ დათრგუნა ჰერეთის ქალკედონიტური ქრისტიანობა და სპარს და არაბ დამპყრობელთა ნებით, რომელნიც სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას უჭერდნენ მხარს – ჰერეთი, ალბანეთთან ერთად, სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში შეიყვანა, ვიდრე დინარა დედოფლამდე (X ს.).

ამ ეპოქაში, ჰერეთს ალბანეთის ნაწილადაც მიიჩნევდნენ და ამ ეპოქის აღმწერი ზოგიერთი ქართული წყარო ალბანეთს – ჰერეთს უწოდებს. მაგალითად, არსენ საფარელი თავის თხზულებაში – „**განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“.**

ჩვენს მიერ ჰერეთად სახელდებულ ქვეყანას, სხვა ტერიტორიებთან ერთად, ჩანს, სომხური გეოგრაფია ალბანიას უწოდებს – ივ. ჯავახიშვილი წერს – „სომხური უსახელო გეოგრაფია ალბანიას მდ. მტკვარსა და კავკასიის

მთებს შუა ათავსებს და კამბეჩანისათვის მტკვრის სანახები აქვს მიკუთვნებული“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ.44).

კამბეჩანი, სომხური გეოგრაფიით, მტკვრის სანაპიროზე ყოფილა, რასაც ჩვენი გამოკვლევაც ადასტურებს. ამიტომაც არ მართლდებიან XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც კამბეჩანს უფრო ჩრდილოეთით, იორის ხეობაში ათავსებენ.

სამშვილდის ქვეყანა

სამშვილდის საერისთავო თბილისის მდ. ვერედან ტაშირ-აბოცამდე იყო გადაჭიმული – **„სკორეთისა მდინარითგან ვიდრე მთადმდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“**.

სკორეთის მდინარე – **„აწ წოდებული ვერედ“** (ვახუშტი).

სამშვილდის საერისთავოში შედიოდა გარდაბნის, ანუ გაჩიანის ქვეყნის ნაწილი.

გარდაბნის ქვეყანა

გარდაბანის ქვეყანა გარდაბოსის წილი იყო, რომელიც მას ქართლოსმა მისცა სამართავად – **„გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვრად აღმოსავლით მდინარე ბერდრუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი და სამხრით – მთა პირველ ხსენებული (ქართლის სამეფოს საზღვარი) და ჩრდილოთ მტკვარი“.**

თითქმის იმავე საზღვრებში მისცა ფარნავაზმა რეგიონი ხუნანის ერისთავს სამართავად – **„ერთი გაგზავნა ხუნანის ერისთავად და მისცა ბერდრუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი“** – ორთავე შემთხვევაში ერთი და იგივე საზღვრებია დასახელებული (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ.31).

„ხუნანის ანუ გარდაბნის საერისთავო ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკვრითა და თბილისით, სამხრეთით სომხითის მთებით, აღმოსავლეთით მტკვრითა და ბერდრუჯის, ხოლო დასავლეთით ქალაქ გაჩიანით“ (იქვე, გვ.31).

„გაჩიანი მტკვრის პირზე ყოფილა ...სადღაც სომხითს, ბარდავასა და ივრისპირს შუა... გაჩიანის მდებარეობა არც ვახუშტის სცოდნია“ (იქვე, გვ.31).

„გაჩანის ანუ გაჩიანის ქვეყანას ეკუთვნოდა სამშვილდის საერისთავო“, – წერს ივ. ჯავახიშვილი, ნაწილი გაჩიანისა ასევე სამშვილდის საერისთავოში შედიოდა.

გარდაბნის რეგიონი, ანუ ხუნანის საერისთავო ისტორიულად ქართველების ქვეყანა ყოფილა, რადგანაც ძველქართული ცნობიერებით, ის ქართლოსის წილია, ანუ ქართლის ქვეყნის ნაწილია, ის ქართველების თავდაპირველ ქვეყანათაგანად მიიჩნეოდა.

სამწუხაროდ, ალბანეთის მსგავსად, სომხურმა ეკლესიამ შეძლო გარდაბნელი, ანუ ხუნანის ყოფილი საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების ერთი ნაწილის ასიმილირება – გასომხება, როგორც მან ეს შეძლო გარდაბნის მეზობელ ალბანელების მიმართ. ქართველთა დასჯის მიზნით

სპარსეთის ხელისუფლება მუდამ აჯანყებულ ამ რეგიონს ზოგჯერ მის მიმართ მორჩილი ალბანეთის საზღვრებში ათავსებდა.

აქაური (გარდაბნელი) ალბანელებად წოდებული მმართველები ყოფილი ადგილობრივი ქართული სახელისუფლებო დინასტიაა, რომელიც არმენიზებულ იქნა, შემდეგ კი ალაბანელ მთავართა სიაში ჩაწერა სპარსულმა ხელისუფლებამ.

არჩილ მეფე კახეთში

არჩილ მეფე დასავლეთ საქართელოდან გადავიდა სამეფო დომენში – კახეთში, აქ შეირთო ცოლი და რეზიდენცია ჰქონდა **წუქეთში**. ააშენა ქალაქი კასრი და ლაკუასტის ხევში ააშენა ციხესიმაგრე. ამის შემდგომ მან ააშენა ციხე-ქალაქი **ნუხპატში.**

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთაA ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა. და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატსორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“

(ქართლის ცხოვრება, გვ. 244). [წუქეთი და ნუხპატო კახეთში შედიოდა].

მეფე მირის საუხუცესო ტერიტორია, ანუ სამეფო დომენი იყო „ეგრისი, სვანეთი, არგვეთი და გურია“, მირის სიკვდილის შემდეგ აქ დარჩნენ მისი სამეფო ოჯახის წევრები, შემდეგ ეს მიწა-წყალი, მზითვის სახით, გადაეცა მირის ქალიშვილს გურანდუხტსა და შესაბამისად, მისი ქმრის – ლეონის – ოჯახს, ხოლო არჩილი გადასახლდა სამეფო დომენის სხვა ნაწილში, უკვე საკუთარ საუხუცესოში – კახეთში, აქ შეირთო მეუღლე და აქ იზრდებოდნენ მისი შვილები, კერძოდ, ციხე-ქალაქ ნუხპატში.

შემდეგ მან თავის ვასალებს გადაუნაწილა კახეთის ოლქები, მათ შორის ტარონიდან მოსულ ბაგრატიონებს – საჰაკს, ასამსა და ვარაზვარდს კახეთსა და კამბეჩოანში.



წყაროს თანახმად, ბაგარატიონები, მეფე დავით მეფსალმუნის შთამომავალნი, იერუსალიმიდან ჯერ სომხეთში მივიდნენ, შემდეგ კი მათი ნაწილი, ოთხი ძმა, ქართლში გადმოსახლდა.

ამ ოთხი ძმიდან სამი (საჰაკი, ასამი და ვარზავარდი) კახეთსა და კამბეჩოანში ჩასახლდა.

იქამდე კახეთის ერისთავი იყო ნერსე ნერსიანი, მისი ძის, ბაკურის დაი შეირთო საჰაკმა, ამით ის კახეთის ერისთავთა ოჯახის წევრი გახდა.

ასამი და ვარაზვარდი შეიდნენ კამბეჩოანში, ააჯანყეს მისი მოსახლეობა, კაბბეჩოანის სპარსი მმართველი **ვეზანი** ჩამოაგდეს და მიისაკუთრეს კამბეჩოანის მმართველობა.

მაშასადამე, კამბეჩოანი შედიოდა არა არჩილის სამეფოში, არამედ იყო ნაწილი სპარსული მმართველობისა, შესაძლოა, აქედანაც ჩანდეს, რომ **კამბეჩოანი არ ერქვა თანამედროვე ქიზიყს,** არამედ, ჩვენი რკვევით, ერქვა იმ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული და ახლოა ნუხპატთან, ანუ კახეთში არჩილ მეფის სატახტო ციხე- ქალაქთან.

წყარო წერს – **„ოთხნი ესე ძმანი – გუარამ, საჰაკ, ასამ და ვარზავარად წარმოემართნეს ქართლს... ხოლო სამნი იგი ძმანი ამის გუარამისანი წარვიდეს კახეთს (და საჰაკ დაემზახა ბაკურს, ძესა ნერსესისა), ხოლო ასამ და ვარზავარდ წარვიდეს კამბეჩოანს, გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა სპარსთასა და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“** (სუმბატის ქრონიკიდან. ქ.ც., ტ. I, გვ. 220).

როგორც აღინიშნა, ეს ოთხი ბაგრატიონი ძმა, რადგანაც „ქართლში წარმოემართნეს“, ქართლის ბაგრატიონებად განიხილებოდნენ, შესაბამისად,

მათ ხელში მოქცეული კახეთი და ასევე კამბეჩოანი ქართლის ნაწილად ითვლებოდა. თუმცა კი იმჟამად კამბეჩოანი გასული ყოფილა პოლიტიკური ქართლის საზღვრებიდან და სპარსელების ხელში ყოფილ. შესაბამისად, რადგანაც კამბეჩოანი ქართლის ნაწილად ითვლებოდა, ხოლო მას სპარსი მმართველი ვეზანი მართავდა, მისი მმართველობა უკანონო იყო. არაკანონიერი ხელისუფალი განიდევნა და უკანონობა აღმოფხვრეს ასამ და ვარზავარდ ბაგრატიონებმა – „ქართლის ბაგრატიონებმა“.

არაბობის მძლავრობის გამო მეფე მირმა და შემდეგ მისმა ძმამ არჩილმა ქართლის სამეფო დაშლილად გამოაცხადეს და ის გაუნაწილეს მეფე მირის ქალიშვილებს, მაგრამ მათმა ოჯახმა შეინარჩუნა საკუთრებაში სამეფო დომენები, საოჯახო საკუთრებაში შემავალი სამფლობელოები, სადაც ეწეოდნენ საკუთარ მეურნეობას.

სამეფო დომენები ქართლის სამეფოს სხვადასხვა მხარესა და შესაბამისად, სხვადასხვა ოლქში მდებარეობდა, შეიცავდნენ დასახლებულ პუნქტებს, სახნავ-სათეს სავარგულებსა თუ ციხე-ქალაქებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

კერძოდ, ხოსროიან მეფეთა სამეფო დომენი („საუხუცესო“) ყოფილა დასავლეთ საქართველო და კახეთი.

დასავლეთ საქართველოდან მეფე არჩილი მეორე დომენში – კახეთში გადავიდა. აქ თავისი მიწა-წყლის ნაწილი დაურიგა ვასალებს, მაგალითად, შაკიხი (შაქი) თავის ნათესავ ტარონელ ბაგრატიონებს გადასცა, კახეთის დიდი ნაწილი – თავის ტაძრეულს, ანუ მისი საკუთარი მცველი გვარდიის წევრებს დაუნაწილა, კახეთის მთიულეთიც ასევე თავის ვასალს გადასცა და სხვა.

შაქი (შაკიხი)

ქართული წყარო, შაკიხის მფლობელებსაც ბაგრატიონებთან აკავშირებს, ოღონდ სომხეთიდან მეორე ტალღის სახით 750-იან წლებში მოსულებთან.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, სომხეთში ერისთავად ბერძენთა მიერ დადგენილი იყო ადარნასე ბაგრატიონი.

შემდეგ ამ ოჯახის ერთი ჯგუფი, კერძოდ კი, ადარნასე ბრმის ძმისწულები, ტარონიდან მისულან შაქის ქვეყანაში.

შაქის ქვეყანა ეკუთვნოდა არჩილ მეფეს, ამიტომ ამ ძმებმა სთხოვეს არჩილ მეფეს, რომ მათ მიეღოთ სამკვიდროდ შაქი.

არჩილს მათთვის გადაუცია შაქი ვიდრე გულგულამდე.

გულგულა, როგორც ითქვა, ჩვენი კვლევით ხალხალასთან მდებარეობდა და არა თელავთან.

იმ ფრაზიდან, რომელიც ამ ცნობაშია დაცული, ჩანს, რომ გულგულა არ მდებარეობდა თელავთან. კერძოდ, მემატიანე წერს, **„ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი“**, ანუ კახეთი უკვე გაცემული იყო, ხოლო „რანის კერძი“, ანუ რანის მხარეს, რანის მიმდებარე კახეთი და ჰერეთი „უმკვიდრო“ იყო, ანუ ისინი გადანაწილებული არ იყო. ამ უმკვიდ-

რობის მიზეზი ყოფილა რანის მიმდებარე კავკასიის მხარის გატყევება – უპატრონობა, აი, ასეთი მხარე **შაკიხიდან ვიდრე გულგულამდე** გადასცა მეფე არჩილმა თავის ახალ ვასალებს, ტარონელ ბაგრატიონებს. „ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“.

გულგულა იყო სასაზღვრო პუნქტი კახეთსა და ჰერეთს შორის. როგორც აღინიშნა, ჩვენი კვლევით, ტყეტბა-გულგულა ერქვა პუნქტს გიშისწყლის სათავეში, ამჟამინდელ სოფლებთან ხალხალთან და ფილიფილისთან ახლოს. ამ პუნქტამდე შაკიხიდან რამდენიმე ათეული კილომეტრია. შესაბამისად, შაკიხელი ბაგრატიონების მიწა-წყალი შაქის გარშემო რამდენიმე ასეული კვადრტული კილომეტრი მაინც იქნებოდა, რაც დიდი საჩუქარი იყო ახალ-მოსული ვასალისათავის.

ამასთანავე, შაქიდან თელავამდე მდებარე ქვეყანა ვაკე-ბარია, ანუ ალაზნისპირა დაბლობია, ხოლო წყაროს გულგულა მდებრეობდა **„კავკასიის პირზე,“** ანუ კავკასიის მთის ფერდზე.

მემატიანის სიტყვით – „ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო“, აი, ასეთ კავკასიის ქედის ფერდზე, ანუ „კავკასიის პირზე“ , ტყიან ადგილას, ანუ კავკასიის მთებში, როგორც ითქვა, „კავკასიის პირზე“ მდებარეობდა გულგულა და არა ალაზნის ვაკეზე, თელავთან ახლოს.

იორ-ალაზნის შესართავიდან თელავამდე მოქცეული იყო კახეთის დიდი ნაწილი, რომელიც არჩილმა თავის ტაძრეულს გადასცა სამემკვიდ-რეოდ (**„ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი“**), ანუ კახეთი უკვე უმკვიდრო არ იყო (როგორც შაქი და რანი, არამედ საკუთარი მკვიდრები ჰყავდა კახეთის აზნაურების სახით). როგორც ითქვა, **„ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო“**, ამიტომაც არჩილმა შაქში დაამკვიდრა ტარონიდან მოსული ბაგრატიონები:

„განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა, დაეპყრათ გაზირი და სომხითი, ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა. ხოლო ძმისწულნი ადარ-ნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარო-ნით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემ-კვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 244).

როგორც ითქვა, ტარონელ ბაგრატიონებს არჩილმა სამკვიდროდ **შაქი** გადასცა – ე.ი. ქვეყანა იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე გულგულამდე, ანუ ხალხალამე, ამ პუნქტთანაა ამჟამად“ფილფილა“ ერთ-ერთი სოფელი აზერბაიჯანის ვართაშენის (ოგუზის) რაიონში. **1310 წლის ცნობით**, ეს რეგიონი (შაქი, ვართაშენი, კაბალა) ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. მასუდის ცნობით, აქ, შაქის გარშემო რეგიონები მე-10 საუკუნეშიც

ქრისტიანული იყო და ჰერეთის დედოფლის დინარას წყალობით – მართლ-მადიდებელი, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მეფე არჩილმა თავის ვასალებს კახეთის სხვა მიწა-წყალიც გადასცა, მათ შორის ყოფილან არაბთა შიშით გარდმან-გუგარქიდან ლტოლვილი ე.წ. პიტიახშები.

მურვან ყრუს შემოსევისას, როგორც სხვებმა, პიტიახშებმა (ჩანს, გუგარ-ქისა და გარდმანის ერისთავებმა, რომელთაც ასევე ქართლის ერისთავები ერქვათ) გადაწყვიტეს თავი შეეფარებინათ კლარჯეთში, მაგრამ ისინი იქ არ შეუშვეს, ამიტომაც მათი ერთი ნაწილი გადასულა ტაოში და იქ, კალმახში, ციხესიმაგრე აუშენებიათ, ხოლო მეორე ნაწილი გადასულა კახეთში. მათ არჩილ მეფემ უბოძა **წუქეთის** რეგიონი და ქალაქი **კასრი** (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 244).

ჰერეთის საზღვრის შეცვლა საჰლ სმბატიანის შემდეგ

არასწორია საინტერნეტო სივრცეში გავრცელებული რუკა „ჰერეთის სამეფო“ https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის_სამეფო#/media/ფაილი: Kingdom_of_Hereti_(second_half_of_X_century).svg.19.07.2021.

ჰერეთის სამეფოს ჩრდილოეთის ასეთი საზღვრები ჩამოყალიბდა მხოლოდ საჰლ სმბატიანის შემდეგ.

საჰლ სმბატიანის მეფის წოდებით აღჭურვის შემდეგ, როგორც მრავალ-ჯერ აღინიშნა, დაახლოებით 840 წელს კახეთს შემოესია არაბთა ჯარი, არაბთა მოკავშირე იყო ჰერეთის მეფე საჰლ სმბატიანი. არაბთა ჯარი თავისი მომხრე შაქის გავლით შევიდა კახეთში სასაზღვრო მდინარის, გიშისწყლის გადალახ-ვის შემდეგ. არაბებმა დაიპყრეს კახეთის ტერიტორიები გავაზამდე. აქ მტერს დახვდა ქართველთა ჯარი და გაიმარჯვა, მტერი შეჩერდა, მაგრამ მის ხელში იყო უკვე დაპყრობილი კახეთის ტერიტორიები. ამ მიწა-წყლის ბედი მტერმა განსაზღვრა, ის ჰერეთს გადაეცა, ეს იყო მადლიერების ნიშანი საჰლ სმბა-ტიანის მიმართ.

მართალია, გავაზთან ქართველებმა არაბები დაამარცხეს, ამის გამო მათ წინ ვეღარ წაიწიეს, მაგრამ საბოლოოდ არაბების ხელში აღმოჩნდა სამხრეთ კახეთი, ანუ მიწა-წყალი გავაზის ქვემოთ, ის, როგორც ითქვა, სამართავად გადაეცა საჰლ სმბატიანს.

ამ დანაკარგს ქართველები არ ურიგდებოდნენ და აფხაზთა მეფე კონსტანტინეც კი იბრძოდა გავაზისა და სხვა ციხეების დასაბრუნებლად. ამის მიუხედავად სამხრეთ კახეთი გავაზის ქვემოთ დაახლოებით 840 წლიდან ვიდრე დავით აღმაშენებლამდე, წყვეტილებით,ჰერეთის , ანუ შაქის სამეფოს ხელში მოექცა.

ამის შემდეგ მიიჩნიეს სამხრეთ კახეთი ისტორიულ ჰერეთად, სინამდ-ვილეში, სამხრეთ კახეთი მუდამ ერთიანი კახეთის ნაწილი იყო და ისტო-

რიული საზღვარი ჰერეთსა და კახეთს შორის მდ. გიშისწყალზე გადიოდა ვიდრე აღნიშნულ 840-იან წლამდე, როცა ის აღმოჩნდა შაქის ჰერეთის ხელში.

როგორც ითქვა, კახელებთან ომი გაუძნელდა არაბ სარდალს, რომელიც 840–841 წლებში სოფელ გავაზთან დამარცხდა.

ეს სათაკილო მარცხი ერთგვარად გადაფარა 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობამ თავისი ურიცხვი ჯარით. როგორც ადრე, ახლაც, კახელები თბილისის ამირასთან ერთად ებრძოდნენ მტერს.

853 წელს ბუღა თურქმა სასტიკად დაარბია თბილისი და 50 ათასი თბილისელი ერთ დღეში დახოცა. История СССР...Том I. М. Наука, 1966. თბილისში არაბების მიერ დახოცილი 50000 (50 ათასი) ადამიანი ჩვენ გვა-გონებს ხვარზმშას მიერ ასევე თბილისში დახოცილ 100000 (100 ათას) ადა-მიანს. ეს შედარება დაგვჭირდა ამჟამად გავრცელებული იმ მოსაზრების უარსაყოფად, რომ ასეთი ოდენობის ადამიანი თბილისში, თითქოსდა, არ ცხოვრობდა. ეს ნიშნავს, რომ მახლობელი პროვინციებიდანაც შეკრიბეს დასახოცად ადამიანები.

854 წელს ბუღას უზარმაზარი ლაშქარი ორჯერ მოიგერია კახეთმა თავდადებული ომით, ამ დროს ჰერეთი, ანუ ალბანეთი, არაბებთან თანამშ-რომლობდა და მშვიდობიანად ცხოვრობდა, ამის მიუხედავად, ბუღას დაუპატიმრებია შაქის ჰერეთის, ანუ ალბანეთის მეფე საჰლ სმბატიანი. მას, **შეიძლება, ღალატში ედებოდა ბრალი.** მიჩნეულია, რომ წინა სარდლის, ხალიდ იაზიდის ძის კახეთში ლაშქრობის დროს საჰლ სმბატიანი სათანადოდ არ დაეხმარა არაბ სარდალს და ამიტომაც დამარცხდა ის გავზათან.

861–881 წლებში კახეთის ქორეპისკოპოსია გაბრიელ დონაური, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საამროს კახეთი მუდამ ეხმარებოდა ხალიფატის წინააღმდეგ ომისას, ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ თბილისის საამირო უკვე ხალიფატის ნებას გამოხატავდა, შესაბამისად, უკვე კახეთს მტრობდა. ხალიფატს განსაკუთრებით აშფოთებდა გარდაბნის ქართული ოლქი, რომელიც იქამდე სათავეში ედგა კახეთის ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამის გამო თბილისის საამირომ გაბრიელის დროს კახეთს ჩამოაშორა გარდაბანი.

დასავლეთის მხრიდან გარდაბნის ოლქს ესაზღვრებოდა სივნიეთი, ეს ოლქიც მე-4 საუკუნისათვის მეფე მირიანის სამეფოში შედიოდა და, ჩანს, ისიც ქართველებით იყო დასახლებული. ამ მხარეებს, გარდაბნის ოლქთან ერთად, სომხები „ვრაც დაშტს“, ანუ „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ, სივნიეთი მე-15 საუკუნის დასაწყისშიც კი, მეფე ალექსანდრე დიდის დროს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

საერთოდ, სიტყვა გარდაბანი ეტიმოლოგიურად კავშირშია სიტყვასთან „ქართაბანი“, ანუ ქართავანი – ქართველთა სავანე, ქართველთა სამყოფელი. იგივეა, რაც სომხური „ვრაც დაშტი“, ანუ ქართველთა ველი, ასე ერქვა ამ მხარეს, გუგარქთან ერთად, სომხურად.

გარდაბნის ოლქთან უშუალოდ არის დაკავშირებული წანარების მეომარი ტომი. წანარების ქართულენოვნების შესახებ ჩვენ გვაქვს პირველხარისხოვანი სომხური წყაროს მითითება, რომ მათი ენა ივერიული იყო.

ამჟამად მიიჩნევა, რომ ერთ-ერთი ქართული ტომი – წანარები „უძველესი ხანიდან ბინადრობდა დარიალის ხეობაში, გაძლიერდნენ მე-8 და მე-9 საუკუნეებში.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც და მათ ქართულობას საეჭვოდ მიიჩნევენ, განსაკუთრებით ამჟამინდელი ჩრდილოკავკასიელი მკვლევრები, მაგრამ წანარების ქართულობას ეჭვის ქვეშ არ აყენებდა თითქმის მათი ეპოქის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი, ის მათ პირდაპირ უწოდებს ქართულენოვან ხალხს. მათი ენა ქართული იყო.

XIII საუკუნის ცნობილი სომეხი მოღვაწე და ისტორიკოსი ვარდან დიდი (ვარდან არეველცი) თავის წიგნში „მსოფლიო ისტორია“ წერს, რომ ცნობილი წანარები, რომელნიც კახეთში სახელოვნად ებრძოდნენ არაბ დამპყრობლებს, ქართულენოვანი ხალხი იყო. ის წერს **„ისინი ლაპარაკობდნენ ივერიულ ენაზე“.**

http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan_2/obzor1.htm. მათ თავიანთ ძველ სამშობლოდ, ვარდანის ცნობით, მიაჩნდათ მიწა-წყალი მოქცეული მცხეთასა და დარიალის ხეობას შორის, მაგრამ ისინი გარდმანში შესულან სამხრეთის გზით, ქალდიადან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მებრძოლთა დიდმა ანდა რაღაც ჯგუფმა დატოვა დარიალის მხარე და საბრძოლველად მივიდა ქალდიაში, იქიდან კი უკან დაბრუნდა გარდმანის გზით.

მისი სიტყვით, წანარების ქართულენოვანი ტომი თავდაპირველად ქალდეას ქვეყნიდან მისულა გარდმანში, ანუ გარდაბნის ოლქში. სიტყვები გარდამანი-ქარდმანი და ქალდეა – ქარდეა თითქმის იდენტურია (**ქარდ**ამნი **ქარდ**ეა) და ეტიმოლოგიურად დადის ქართველთა ეთნოფუძემდე – „ქარდ-ქართ-ქართუ-ქალდუ). იმ საუკუნეებში, როდესაც წანარი-ქალდების მისვლა იგულისხმება გარდმანში, ტრაპეზუნტთან ახლოს მდებარეობდა ბიზანტიური თემი, ანუ ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – ქალდეა-ხალდეა.

საერთოდ, გარდმანი იგივე გუგარქია, ანუ ქართველთა მხარე, უფრო ზუსტად, გუგარქის აღმოსავლეთი ნაწილი.

ამჟამად მიინევა, რომ გარდმანი არის სტრაბონის მიერ ნახსენები გოგარენა.

ჩვენი კვლევით კი გარდმანი არაა გოგარენა, როგორც ვთქვით, გოგარენა მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე,მას, ჩანს, ასევე გუგარს უწოდებდნენ, გუგარი კი შაქის ოლქია, Гугарацик есть Шаки, – წერს ვარდანი. http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan_2/obzor1.htm.

მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, ვარდან არეველცი გუგარს, ანუ გოგარენას უწოდებს.

კერძოდ კი, ის შაქის ოლქს უწოდებს გოგარენას (გუგარს) – «Гугарацик есть Шаки»). https://docplayer.com/38151545-A-a-akopyan-albaniya-aluank-v-greko-latinskih-i-drevnearmyanskih-istochnikah-erevan-izd-vo-an-armssr-1987-302-s.html

Вардана Аревелци: «Гаргарацикʹ (**Гугарацикʹ**, **Гавга**рацикʹ, **Гога**- рацикʹ, Гумарацик. – А. А.) **есть Шаки**» (см.: «Ашхарʒацуйц» Вардана. Критич. изд. А. Перперян.

ეტიმოლოგიურად, „**გოგ**არენა“ იგივე „გუგარენაა“, სადც „გოგარ“, „გუგარ“ ფუძე-ძირია, ხოლო „ენა“ არის სუფიქსი. შესაბამისად, „გოგარენა იგივე „გუგარენაა“ და იგივეა, რაც „გუგარი“, როგორც აღინიშნა, „გუგარი“ ერქვა შაქის ოლქს, ანუ ის იგივე გოგარენაა. ამასთანავე, ქართველები შაქის ოლქს უწოდებდნენ „ჰერეთს“. ე.ი. ჩვენი ფიქრით, ჰერეთის სახელი სტრაბონის დროს იყო „გოგარენა“, წერდა კიდეც სტრაბონი, რომ გოგარენა „იქით’ „იმ მხარეს“ მდებარეობდა, საკასენას იქით.

საკასენა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და მას აქ ესაზღვრებოდა მდ. მტკვარი. Сакасена *«граничит с Албанией и рекой Киро“, ანუ მტკვრის იქით, ანუ მტკვრის მარცხენა ნაპირზე.*

ჩვენი კვლევით, საკასენა – შაკაშანი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ხოლო, მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა შაქი და შირვანი, რაც შეეეხება კამბისენას, ის მდებარეობდა მტკვრის ხეობაში, ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილზე. სომხური გეოგრაფია მიუთითებს კიდეც, რომ კამბისენა მტკვარზე მდებარეობდა. ანუ მტკვარ-ალაზნის შესართავზე. ამჟამადაც მინგეჩაურის წყალსაცავს, ანუ ძველ კამბისენას, ერთდროულად ესაზღვრება სომხური, ქართული და აზერბაიჯანული მხარეები, მსგავსად, როგორც წერდა სტრაბონი – „Камбисене, где армяне граничат одновременно с иберийцами и албанцами“ **(11, 4, 1).**

მინგეჩაურის წყალსაცავის დაგვალული ადგილი წყლის დაგუბებამდე, განსაკუთრებით ალაზანისა და ივრის მხარეს, იყო უწყლო და კლდოვანი, ძნელად გასავლელი, მაგრამ აქ გზა გადიოდა, მსგავსად იმისა, როგორც წერს სტრაბონი – **Проход из Иберии в Албанию идет через безводную и каменистую область Камбисену к реке Алазонию** (11, 4,4).

ჩრდილოკავკასიიდან შაქში (ნუხში) მიმავალი გზა

საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დასადგენად საჭიროა განხილვა საკითხისა, თუ სად გადიოდა კახეთის ისტორიული საზღვარი, თელავთან თუ გიშისწყალთან?

ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებულია მატიანეებში ნახსენები ცნობები ამ საზღვრთან ახლოს ჩრდილოკავკასიიდან მტკვრის ხეობაში შემავალი გზის შესახებ.

მაგალითად, ამ გზით მე-8 საუკუნეში ჩრდილოკავკასიიდან ნუხპატის ციხე-ქალაქში შესულა ხაზართა ლაშქარი კახეთის მეფეთა ოჯახის დასატ-ყვევებლად, ხოლო უფრო ადრე, აქვე, ქალაქ ხალხალთან გადიოდა საზღვარი იბერიისა.

თუკი ჰერეთის ისტორიული საზღვრი თელავთან გადიოდა, მაშინ თელავის ქვემოთ მთელი ალაზნისა და ივრის ხეობების ტერიტორია ალბა-ნეთის საკათალიკოსოს ნაწილი ყოფილა, ვინაიდან, ამჟამად, ჰერეთს ასევე ალბანეთსაც უწოდებენ.

კითხვის საპასუხოდ განვიხილოთ წყაროები აღნიშნულ საზღვართან დაკავშირებული ცნობები გზის შესახებ –

„ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ არჩილ მეფემ (არჩილ სტეფანოზის ძემ – ქართლის ერისმთავარმა მე-8 ს.-ში) კახეთში, კავკასიის ქედის ძირში, შედარებით უფრო დაცულ ადგილას ააშენა ციხე-ქალაქი ნუხპატი. აქ ცხოვრობდა ცოლშვილით და მართავდა ქვეყანას არაბებისაგან დევნილობის დროს.

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ-ყვნა იგინი, და აღაშენა ... ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს, ორთა წყალთა შუა“.

ნუხპატის ციხე-ქალაქს ზურგს უმაგრებდა დაღესტნის მთიანეთი, რომ-ლის დასავლეთი ნაწილი ქართლის სამეფოს გავლენის სფეროს წარმოად-გენდა, ანუ არჩილს კავკასიის მთიანეთი იცავდა.

შემდგომ, მემატიანის სიტყვით, მეფე არჩილმა გადაწყვიტა თავი დაედო ქვეყნის გადასარჩენად და პირადად გაემგზავრა მძვინვარე მტერთან მოსა-ლაპარაკებლად.

ეს იყო სასიკვდილო საფრთხე, ამიტომაც ორ ნაწილად გაიყო მისი ოჯახი, ერთმა თავი შეაფარა დასავლეთ საქართველოს, მეორე ნაწილი კი დარჩა ნუხპატის ციხე-ქალაქში. აქ დარჩა მისი უმშვენიერესი ქალიშვილი, რომელის სილამაზის შესახებ შეიტყო ხაზარების ხაკანმა და გადაწყვიტა, მეფის ასულის ცოლად მოყვანა. ხაზარების ხაკანი უარით ძალზე განაწყენდა, მიზნის მიღწევა ძალადობით გადაწყვტა და თავისი სპასალარი გამოაგზავნა, რათა ხელში ჩაეგდოთ მეფის ქალიშვილი. ხაზარების სარდალი ორი-სამი წელი ეძებდა შეუმჩნევლად მისასვლელ გზას, საბოლოოდ, ე.წ. ლეკეთის გზით ადვილად მივიდა ნუხპატში და გაიტაცა მეფის ასული. მატიანე წერს, რომ ხაზართა ლაშქარმა – **„გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად“;** მაშასადამე, კახეთის საზღვარი ლეკეთის გზასთანაა. აქ ეს ლაშქარი – **„მოადგა ციხესა“, მეფის ოჯახის ციხე-ქალაქი კი აღნიშნული ნუხპატი იყო.**

აქ ჩვენთვის საინტერესოა, რომ მემატიანეს სიტყვით, ნუხპატი კახეთში მდებარეობდა, ის იყო ქალაქი შაქთან ახლოს, შაქსა და ნუხპატს ერთმანე-თისაგან აშორებდა მთის მდინარე გიშისწყალი.

საფიქრებელია, რომ, შემდგომში, როცა შაქი გაიზარდა და გადაფარა ნუხპატი, შაქსაც ნუხა (იგივე ნუხპატი) უწოდეს.

რადგანაც **ნუხპატი კახეთის ქალაქი იყო,** ეს ნიშნავს, რომ კახეთის საზღვარი მეფე არჩილის დროს შაქამდე აღწევდა. გიშისწყალი ერთმანეთისაგან საზღვრავდა კახეთსა და ჰერეთს, ანუ შაქის ოლქს ყოფდა კახეთისაგან.

ჩვენ თუ დავამტკიცებთ, რომ შაქის რეგიონში მდებარეობდა აღნიშნული **„ლეკეთის გზა“,** რომლის გავლითაც ხაზარების სარდალი მივიდა ნუხპატის ციხესიმაგრეში, მაშინ მართალი აღმოჩნდება ჩვენი მემატიანე, რომ უძველესი დროიდანვე (და ასევე მეფე არჩილის დროსაც) კახეთის საზღვარი შაქთან გადიოდა (და არა თელავთან).

ამით მტკიცდება, რომ ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები ცდებიან ისტორიული კახეთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა, უძველესი ხანიდან კახეთის საზღვარი მხოლოდ თელავამდე აღწევდა.

მემატიანე წერს –

„შემდგომად ამისსა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა. არამედ უმრწემესი დაჲ მისი იყო სახითა შუენიერ. და მიესმა სიშუენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს; მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად, და უქადა შუელად სარკინოზთა ზედა...და შუშან-ცა აგინა ხაზართა მეფესა... შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან; **გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი;** შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა“. http://www.amsi.ge/istoria/qc/matiane1.html

მატიანეს ამ ცნობის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კახეთის ადგილმდებარეობა, რომელიც არასწორადაა წარმოჩენილი ამჟამად, როდესაც წერენ – „თავდაპირველად კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა და იგი მდინარე ივრის ზემო წელით შემოისაზღვრებოდა. ადრე შუა საუკუნეების ხანაში კახეთის ცენტრს უჯარმა წარმოადგენდა. კახეთის ეთნოგრაფიული საზღვრები შემდეგ თანდათანობით აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოვდა. **VIII საუკუნისათვის მან ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კუხეთი გადაფარა“.** http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კახეთი2.03.2021.

არასწორია მტკიცება იმისა, რომ მე-8 საუკუნისათვის კახეთმა, თითქოსდა, ჰერეთი გადაფარა, რადგანაც სწორედ VIII-IX საუკუნეებში არაბთა შემოსევები ანადგურებდა კახეთს, ის აოხრებული და დახარკული იყო, ხოლო ჰერეთი, რომელსაც მონოფიზიტი მმართველები ჰყავდა, განდიდებული იყო არაბული ხელისუფლების მიერ მტერთან თანამშრომლობის, კოლაბორაციონიზმის გამო, განსაკუთრებით საჰლ იბნ სუნბატ ალარმანის შემდეგ. 735 წელს არაბთა ხალიფამ მურვან ყრუ შემოასია საქართველოს 120 000-იანი ჯარით. ქართველთა სამეფო ოჯახმა თავი შეაფარა დასავლეთ საქართველოს, შემდეგ კი კახეთის მთიულეთს, ანუ დასავლეთ დაღესტანს. ამის მიუხედავად არაბთა ხელისუფლებამ ქართლის მეფე წმ. მოწამე არჩილი სიკვდილით

დასაჯა. ქართლის სამეფო ამ საუკუნეში უკიდურესად დასუსტდა და დაიშალა. ასეთ დროს მტკიცება იმისა, რომ კახეთმა ჰერეთი „გადაფარა“ არასწორია. მით უმეტეს, რომ ჰერეთს ალბანეთადაც მიიჩნევენ, ანუ კახეთს „ალბანეთი“ გადაუფარავს, რაც არასწორია, რადგანაც ასეთი მტკიცება არ ეფუძნება წყაროს რაიმე ცნობას, ამიტომაც ჩვენ შიძლება ამ საკთხის გასარკვევად მივმართოთ ჯუანშერ ჯუანშერიანის მე-8 ს-ის თხზულებას. „დღეისათვის ყველაზე უფრო დასაბუთებული თვალსაზრისია ჯუანშერის VIII საუკუნისადმი მიკუთვნება https://qim.ge/juansher%20juansheriani.html

ჯუანშერი მე-8 საუკუნეში შესაძლოა თვითმხილველი იყო და წერდა, რომ ეგრისიდან მეფე არჩილი გადასახლდა კახეთში და აქ „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს“, აქვე, ახლოს მდებარეობდა შაკიხი, ჩანს, იგულისხმება შაქის ოლქი, სადაც არჩილის ნებით დამკვიდრდა სომხეთის ტარონიდან მოსული სამი ძმა. ჩანს, ისინი არჩილთან მივიდნენ ციხე-ქალაქ ნუხპატში და თხოვეს თანხმობა შაკიხში დასამკვიდრებლად, მემატიანე კვლავ იქვე მიუთითებს, რომ ამ დროს არჩილი კახეთის მიწაზე იმყოფება, კერძოდ, მასთან ნუხპატში (ანუ კახეთში) კიდევ სხვა დიდებულებიც მივიდნენ, „ვინმე პიტიახშები“, მსგავსი თხოვნით – ისინი „მოვიდეს კახეთს არჩილის თანა“.

მემატიანე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ნუხპატი კახეთში (და არა ჰერეთში) მდებარეობდა, ამიტომ წერს – „მოვიდეს კახეთს არჩილის თანა“. აქედან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰერეთი არჩილის საბრძანებლის გარეთ მდებარეობდა, ჩანს, მდ. აღსუს (ანუ თეთრიწყლის) მიმართულებით. იმ დროს კახეთიცა და ჰერეთიც გაუდაბურებული, უკაცური და გატყევებული იყო და აღნიშნული ჰერეთი, წყაროს მინიშნებით, რანის მხარეს მდებარეობდა, რანის კერძი იყო. „ყოველი პირი კავკასიისაჲ რანით კერძო უმკჳდრო ქმნულ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთე დარჩომილ იყო“. ჯუანშერი ასე აღწერს არჩილ მეფის ცხოვრებას კახეთში – „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წარღებად წუქეთი, აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს, ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჴეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმძლავრე მათი, და იძულებით მონათლნა იგინი. განძლიერებულ იყვნეს იგინი ქუეყანასა რანისასა და ეპყრა გაზირი და სომხითი, და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა. ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამისძმასა თუალნი, წარ-მოვიდეს ტარონით შაკისად, სამნი ძმანი, და დაემკჳდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისაჲ რანით კერძო უმკჳდროქმნულ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთე დარჩომილ იყო, და დაემკჳდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის. მასვე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო რომელნი-იგი მოვიდეს კახეთს

არჩილის თანა, მისცა ერთსა მათგანსა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროჲსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი ჟამთა მათ“.

აქედან ჩანს, რომ კახეთი და წუქეთი ერთიან ადმინისტრაციულ სისტემას წარმოადგენდნენ, ერთი მეთაურით, ეს იყო არჩილ მეფე, ამიტომაც ის ნიშნავდა ანდა ცვლიდა წუქეთის პატრონებს. ეს ნიშნავს, რომ წუქეთსა და კახეთს ერთიანი საზღვარი ჰქონდათ, ანუ კახეთი უშუალოდ ემეზობლებოდა წუქეთს. წუქეთი ლოკალიზებულია გვიანდელი წახურის ადგილას, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ედილი, 1997). შემდგომში წუქეთს დაერქვა წახური, ესაა რუტულის რაიონი დაღესტანში, რომელიც კახისა და ზაქათალას რაიონებს ესაზღვრება. კახისა და ზაქათალას რაიონები შედიოდა არჩილისდროინდელ კახეთში, ხოლო მათ კავკასიონის ქედი ყოფდა წუქეთისაგან, ანუ წახურისაგან. არჩილის დროს ისიც კახეთის მთიულეთის ერთ ნაწილს შეადგენდა. ხოლო რაც შეეხება ჰერეთს, იმჟამად ის არც არჩილის ცხოვრებაში იხსენიებოდა, რადგანაც არჩილის დროისათვის ჰერეთად შესაძლოა ჩაეთვალათ შაქის ოლქის მხარე თეთრწყლის (აღსუს) მიმართულება. მაგრამ „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით კახეთში ჩრდილოკავკასიიდან შედიოდა ე.წ. „გზა ლეკეთისა“. ამ წყაროს ცნობით, „ლეკეთის გზით“ მტერი შემოვიდა კახეთში იმ ციხე-სიმაგრის ასაღებად, სადაც წმ. არჩილ მეფის ცოლშვილი ცხოვრობდა. ცხოვრობდა, რომელიც კახეთში ააგო არჩილმა, ეს იყო ნუხპატი. როგორც აღინიშნა, მემატიანე აღნიშნავს, რომ არჩილ მეფე მივიდა კახეთში და იქ ააგო ციხე-ქალაქი ნუხპატი, სადაც მისი გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდნენ არჩილის შვილები ჯუანშერი, მირანდუხტი და შუშანი. ნუხპატის ადგილსამყოფელი უნდა განისაზღვროს მდ. გიშისწყალთან. ეს მდინარე ერთმანეთისაგან ყოფდა ორ ქალაქს – ნუხპატსა და შაქს. ამიტომ, შაქის გაზრდის შემდეგ, მან მოიცვა ნუხპატიც და ამიტომაც თვითონ მას ეწოდა სახელი ნუხა (რაც იგივე ნუხპატია). „ ნოხპატო ახლანდელი ნუხია და მდ. გიშისწყალზე მდებარეობს (ვახუშტი, 1904წ. გვ. 147, შენ). ნოხპატო მდებარეობდა დაღესტანსა და საინგილოს შორის, შაქის ანუ ნუხის მიდამოებში (ომარაშვილი, 1999: 129).262; 150, შენ. 274; ბერძენიშვილი, 1953: 68; 1965: 254)“. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=985

ნუხპატის ციხე-ქალაქში ცხოვრობდა ქართლის მეფის მშვენიერი ასული შუშანი, რომლის მოტაცებაც დაავალა ხაზართა ხაკანმა თავის სპასალარს. ის სამი წელი ეძებდა გზას კახეთის ამ ციხესთან (ნუხპატთან) მისასვლელად, რათა მოეტაცებინა შუშანი და ხაზარეთში წაეყვანა. მაშასადამე, ის ეძებდა გზას ჩრდილოკავკასიიდან უშუალოდ ნუხპატში მისასვლელად, რადგანაც ნუხპატი იგივე ნუხაა, ამჟამინდელ შაქთან, მასთან მისასვლელი გზა მართალაც არსებობდა ჩრდილოკავკასიიდან და ის უშუალოდ ნუხაში (შაქში) მიდიოდა, ამ გზის მეორე ბოლო უკავშირდებოდა სოფელ ახტს ჩრდილოკავკასიაში, ლეკების ქვეყანაში, ამიტომაც ერქვა „გზა ლეკეთისა“. ამ გზას მე-19 საუკუნეში ეწოდა „Военно-Ахтинская дорога“ – ახტის სამხედრო გზა. ახტი არის სოფელი დაღესტანში, ახტის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. ახტი ახლოა შექის რაიონთან და მას ამ რაიონისაგან კავკასიონის ქედი ყოფს.

ახტის სამხედრო გზა ერთმანეთთან აერთებდა ქალაქ ნუხას (ამჟამინდელ შექს) დაღესტნის სოფელ ახტთან ძირითადად „შინის“ და სხვა უღელტეხილებზე გამავალი გზით, რომელსაც ქართველები „ლეკეთის გზას“ უწოდებდნენ. ახტის ოლქი ლეკების ქვეყანაში მდებარეობს. რუსებმა კავკასიაში სამი სამხედრო გზა ააგეს – „საქართველოს სამხედრო გაზა“, „ოსეთის სამხედრო გზა“ და „ახტის სამხედრო გზა“. აქედანაც ჩანს, რომ ახტის , ანუ ლეკეთის გზას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლეკეთის ანუ ახტის გზა, როგორც ითქვა, აერთებდა ალაზნის ხეობასა (შექის ოლქს) და, ასევე, შირვანის საზამთრო საძოვრებს დაღესტნის სამურის ხეობასთან, რომელიც ამჟამადაც ლეკებითა და რუტულებითაა დასახლებული. შინისა და სალავატის უღელტეხილით ეს გაზა გაივლიდა პუნქტებს – კაზიკუმუხი-კურახი-ახტი-ხნოვი-ნუხა (Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха) და შედიოდა შექში, აქედან კი დაბლობზე უერთდებოდა შირვანს. როგორც ითქვა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნუხა ანუ ნუხპატი მდებარეობდა მდინარე გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო მარცხენა სანაპიროზე, მის გასწვრივ, მდებარეობდა შექი ანუ შაქი, იქვე ახლოს იყო, როგორც ითქვა, გიშის საეპისკოპოსო ქართული კათედრა. შაქის ოლქის მწყემსი გიშელი ეპისკოპოსი იყო. კახეთი ერქვა გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ხოლო შექის ოლქი იყო ჰერეთი. ანუ ლეკეთის გზა შედიოდა ნუხპატშიც და შაქშიც, კახეთსა და ჰერეთშიც. კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ნუხა და შექი ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო მდინარე გიშისწყლით, გიშის ქართული საეპისკოპოსო ცენტრი მდებარეობდა შექის ახლოს, მის ჩრდილოეთით, გიშელი ეპისკოპოსი შედიოდა ქართულ იერარქიაში და შინაგან დიპტიხში ქართველ ეპისკოპოსთა შორის 35-ე ადგილზე, დმანელის შემდეგ იდგა. შექის მთავარი მდინარეებია აღნიშნული გიშისწყალი და მდინარე გურჯანა. როგორც აღინიშნა, გიშისწყალი ერთმანეთისაგან საზღვრავდა კახეთსა და ჰერეთს, ანუ მის მარჯვენა ნაპირზე გურჯისტანი, ანუ კახეთი მდებარეობდა, მარცხენა ნაპირზე – შექის ოლქი ანუ ჰერეთი. მდინარე გურჯანა გურჯისტანის მხარედან უერთდებოდა მთავარ მდინარეს. ვიდრე მე-16 საუკუნემდე შექის ოლქი მდინარე გიშისწყლის მარჯვენა მხარეს ქართველების ქვეყნად, კახეთად, გურჯისტანად ითვლებოდა, ხოლო ორივე მხარე ქართველებითა და საქართველოს ეკლესიის გიშის ქართული საეპისკოპოსოს მრევლით იყო დასახლებული შუა საუკუნეებშიც. შექის ოლქიდან ქართველები ლეკებს გაუყრიათ მე-16 საუკუნეში, კერძოდ კი, 1555 წელს. ამის შესახებ გადმოცემები ამჟამადაცაა დაცული ისტორიული ცნობების სახით რუტულის რაიონის ლეკთა შორის. ამის შესახებ წერს დაღესტნური საიტი https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov.

სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული გზით შაქის ოლქში შესულა გაერთიანებული ლეკების ჯარი და მათ ქართველები 1555 წელს შაქის ოლქიდან, ანუ გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროდან (ანუ კახეთიდან) აუყრიათ და გაუძევებიათ (გადაუსახლებიათ) „ალაზნის იქით“, **В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань.** ანუ იქამდე ისინი, ანუ ქართველები

ცხოვრობდნენ გიშისწყლამდეე და მხოლოდ 1555 წლის შემდეგ გადაუსახ-ლებიათ ალაზნის იქით. https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

Исторически Хнов имел важное стратегическое значение, поскольку через него проходила дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха. Связь с Ширваном осуществлялась через Салаватский перевал (2829 м). Согласно местной эпиграфии, во второй четверти XIII века в селе велось капитальное строительство. В 1401 году впервые упоминается о существовании крестьянского мулка (частного землевладения) в селении Хнов. Некий Герги подарил свой мулк селению Киш алХнов. В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань. https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

შირვანიდან ჩრდილოკავკასიაში გადასასვლელი გზა შექის გავლით სალავატის უღელტეხილით გადადიოდა დაღესტანში და აქედან შედიოდა დერბენდში და სხვა დაღესტნურ პუნქტებში. მაგალითად, შირვანშაჰის ლაშქარი შაქიდან (ნუხადან) აღნიშნული „ლეკეთის გზით“ შესულა დაღეს-ტნის სოფელ ხნოვში მის დასარბევად, რადგანაც უფრო ადრე ხნოველები ჩრდილოკავკასიიდან ამავე გზით შესულან შაქის ოლქში და კაბალაში და იქ ხალხი დაუხოცავთ. ლეკეთის გზა, ანუ კაზიკუმუხ-ახტი-ხნოვ-ნუხას შემაერთებელი გზა იყო დაღესტნიდან შაქის ოლქში და ისტორიულ კახეთში შემავალი გზა (კახეთი გიშისწყალთან, ანუ შაქის მდინარესთან იწყებოდა).

В XI веке ширваншах Фарибурз I совершил поход против жителей селения Хнов, которые когда-то вблизи крепости Кабала убили его двоюродного брата...Исторически Хнов имел важное стратегическое значение, поскольку через него проходила дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха. Связь с Ширваном осуществлялась через Салаватский перевал (2829 м). Оно расположено на очень важном в прошлом торгово-караванном пути в Азербайджан (Ахты-Хнов-Нуха, Шеки через Салаватский ...). Хнов расположен на самом юге Республики Дагестан. На юге Ахтынского района, между отрогами Главного Кавказского и Гельмец-Ахтынского хребтов (იქვე).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ჩრდილოკავკასია ჰერთს, უფრო ადრე ალბა-ნეთს უკავშირდებოდა იმ გზით, რომელსაც მე-19 საუკუნეში „Военно-Ахтинская дорога“ დაერქვა, ხოლო უფრო ადრე მას ქართველები „ლეკეთის გზას“ უწოდებდნენ. „ლეკეთის გზა“ ანუ „Военно-Ахтинская дорога“ ნუხას (შექს) აერთებდა დაღესტნის სოფელ ახტთან, სინისა და სალავატის უღელტეხი-ლების გავლით. ეს გზა შირვანს აკავშირებდა სამურის ხეობასთან. ამ გზას ახსენებს კალანკატუაცი, როდესაც წერს, ჩრდილოკავკასიელების ლაშქრობის შესახებ ალბანეთში, ამავე გზით ალბანელი ეპისკოპოსები გადადიოდნენ ჩრდილო კავკასიაში, ეს გზა ბარდავსა და შაქს აერთებდა დერბენდთან, ანუ ქალაქ ჩირთან, რომლის მახლობლადაც მთიანეთში ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ (ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ არა ყაზბეგის რაიონში, როგორც მიაჩნია ზოგიერთ ისტორიკოსს, არამედ ჩორთან, დერბენდთან, კავკასიის მთისწინეთში, ამ ალბანურ ტომებს ბარდა-

ვის ალბანელები ე.წ. ლეკეთის გზით უკავშირდებოდნენ, ეს იყო შირვანის ბარიდან ჩრდილოკავკასიის მთიანეთში შემავალი რთული გზა, ძნელად სავალი). ამ გზაზე იდგა ქარავნების მოსასვენებელი სავანეები და ციხესი-მაგრეები, ამ გზისპირას იყო ცნობილი სოფლები ხალხალა და ფილფილი, რომლებიც ჩვენ მიგვაჩნია ტყეტბა-გულგულად. ეს გზა, ამ ადგილებში აგრიჩაი-გიშისწყალს მიუყვება, მისი მთავარი ძარღვის სათავეებში კი უახლოვდება აღნიშნულ პუნქტებს. ეს მდინარე, გიშისწყალი, ერთმანეთს აშორებდა ალბანეთსა და იბერიას, შემდეგ კი კახეთსა და ჰერეთს. არჩილის დროსაც კი ჰერეთი უკვე დავიწყებული ტერმინი იყო, ის გამოაცოცხლა არჩილის მიერ შაქში დამკვიდრებულმა ადარნასე ბრმის ძმისწულებმა და საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანმა, როცა მან ხალიფასაგან მოიპოვა „რანთა მეფის“ წოდება. საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანი რანთან ერთად შაქსა და არცახსაც ფლობდა, ის დიდად პატივცემული იყო არაბთა ხალიფას მიერ, ბაბეკის დაპატიმრებისათვის მისგან ჯილდოდ მიიღო ერთი მილიონი დირჰემი და ასევე „მეფის“ წოდება. ასეთი განდიდების შემდეგ მან კახეთის ხარჯზეც გადაწყვიტა თავისი სამეფოს გაფართოება, რომლის საზღვარი კახეთთან გიშისწყალზე გადიოდა. ისტორიული კახეთი იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან, შემდგომ მიუყვებოდა ალაზანსა და მის შენაკად გიშისწყალს ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე. ეს უკანასკნელი (ანუ ტყეტბა-გულგულა) მდებარეობდა არა თელავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ, აგრიჩაის სათავეებთან (აგრიჩაის უერთდება გიშისწყალი, ამიტომაც ზოგჯერ აგრიჩაისაც გიშისწყალს უწოდებენ). როგორც ითქვა, ეს პუნქტი (ტყეტბა-გულგულა) გიშისწყლის სათავეში მდებარეობდა, სადაც ამჟამადაა აზერბაიჯანის სოფლები ფილფილი და ხალხალა და არა თელავთან. თელავისკენ ჰერეთის საზღვარმა მხოლოდ მე-9 საუკუნეში გადმოიწია, როდესაც ხსენებულმა ჰერეთ-არანის მეფემ საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანმა გადაწყვიტა თავისი 12 ვრცელი სამეფოს კიდევ უფრო გაფართოება, ამიტომ მან გადალახა კახეთის საზღვარი გიშისწყალზე და მიაღწია ვიდრე თელავამდე, სადაც გავაზ-თურდოს ხევზე გაივლო კიდეც კახეთ-ჰერეთის ახალი საზღვარი. სწორედ კახეთის ეს ახალი საზღვარი შეცდომით მიიჩნია ვახუშტიმ კახეთის ისტორიულ საზღვარად. შეცდომა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, გამოიწვია იმან, რომ ვახუშტის ხელთ არ ჰქონია კახეთისა და ჰერეთის შესახებ სანდო წყაროები. ივ. ჯავახიშვილის მიერ გარკვეული ეს საკითხი განხილულია ქვემოთ. მაშასადამე, ჰერეთსა და კახეთს ერთმანეთისაგან ისტორიულად საზღვრავდა გიშისწყალი და, ამიტომ, სხვა ადგილას, თავის ნაშრომში, ვახუშტი ბაგრატიონი გიშისწყალს ასახელებს ჰერეთის საზღვრად. როგორც ითქვა, საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანის (მე-9 ს.) შემდეგ გაცოცხლდა ამ დროისათვის უკვე მივიწყებული ჰერეთის სახელი რამდენიმე საუკუნით (წმ. არჩილის ცხოვრებაში ჰერეთი თითქმის აღარც კი იხსენიება), შემდგომ (მე-15 საუკუნისათვის) ეს სახელი კვლავინდებურად გაქრა, ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. მივიწყებული ჰერეთის შესახებ ინფორმაცია წიგნებისა და ხელნაწერების მეშვეობით გაიცნეს ქართველმა მეცნიერება, ისინი გაჰყვნენ ვახუშტის ვარაუდს ჰერეთის თელავთან საზღვრის შესახებ, და, შეცდომით,

ისტორიულ ჰერეთად გამოაცხადეს სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი. ჩვენი კვლევით, შაქის სამეფომ, ანუ ჰერეთმა სამხრეთ კახეთი (გიშისწყლიდან თურდოს ხევამდე) დაიპყრო მე-9 საუკუნის შემდგომ და მხოლოდ ამის შემდეგ ჰერეთის სახელი განუმკვიდრდა სამხრეთ კახეთს, მხოლოდ რამდენიმე საუკუნის მანძილზე. გიშისწყლის ორივე ნაპირზე ქართველობა საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა. ამ მდინარის პირის მარჯვენა მხარეს მცხოვრები ქართველები, როგორც აღინიშნა, მხოლოდ 1555 წელს გაუძევებიათ ლეკებს ალაზნისაკენ. ზემოთაა მოყვანილი ცნობა ამის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ე.წ. ლეკეთის გზით აქ შემოსული ლეკები, ანუ რუტულელები და წახურები სხვებთან ერთად, 1555 წელს თავს დაესხნენ შაქს, ანუ მათივე შეფასებით კახეთს, დაამარცხეს აქ ქართველები, ანუ ადგილობრივი შაქის ოლქის ქართველობა და ,თავიანთი სიტყვითვე, აიძულეს ისინი, რომ ალაზნის იქით გადასახლებულიყვნენ. აღნიშნული ლეკების ლაშქარი შაქში შესულა ე.წ. ლეკეთის გზით, რომელიც შაქის ოლქს უშუალოდ აკავშირებდა ჩრდილოკავკასიის სამურის ოლქთან, სადაც რუტულები და წახურები ცხოვრობდნენ. ეს გზა უმოკლესი იყო დერბენდამდე, ანუ ძველ ქალაქ ჩოლამდე, რომელიც მე-6 საუკუნემდე იყო ალბანეთის კათალიკოსების ქალქი. შაქის ოლქიდან ჩრდილოკავკასიაში გადასასვლელი „ლეკეთის გზა“ კაპიტალურად შეაკეთა რუსულმა ხელისუფლებამ და მას უწოდა „სამხედრო გზა“, дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха. 14 Автор: File:Caucasus topographic_map-fr.svg, CC BY-SA 3.0.

ამ რუკიდანაც ჩანს, რომ ლეკეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა შაქის ოლქს, ხოლო წახური და ხუნძახი – დანარჩენ კახეთს. როგორც აღინიშნა, ამ გზით 1555 წელს შემოსული ლეკები (წახურები და რუტულები) თავს დაესხნენ შაქს, ანუ მათივე შეფასებით, კახეთს, დაამარცხეს აქ ქართველები, ანუ ადგილობრივი შაქის ოლქის ქართველობა და, თავიანთი სიტყვითვე, აიძულეს ისინი, რომ ალაზნის იქით გადასახლებულიყვნენ. ამ შემთხვევაში ალაზანს ისინი უწოდებენ გიშისწყალს და, რადგანაც გიშისწყალი ალაზნის უმთავრესი შენაკადია მასაც ალაზანი ერქვა.

В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань.

Офиц.сайт ДГУ – Этнические процессы и проблемы малочисленных и государственноразделенных народов Дагестана

ამ შემთხვევაში ისინი ალაზანს უწოდებდნენ გიშისწყალს. იმ დროისათვის დღევანდელი საინგილო კახეთის ნაწილი იყო და ჯერ კიდევ იცავდა თავის ქართველობას, შესაბამისად, ლეკების მიერ დაპყრობილ კახეთს (ანუ შაქის ოლქსა) და იმჟამად ქართულ (კახურ) საინგილოს შორის საზღვარი ძველებურადვე იყო ალაზანი, ანუ გიშისწყალი. შაქის ოლქი კახეთის სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ნაწილს რომ შეადგენდა იქიდანაც ჩანს, რომ კახეთის სამეფომ შაქელი პიროვნება „ხოზემაურემი“კახეთის სამეფოს ელჩად წარადგინა რუსეთის მეფის კარზე. კერძოდ, კახეთის მეფე ალექსანდრე პირველმა 1483 წელს თავისი ელჩობა გააგზავნა მოსკოვში, რუსეთის ხელმწიფესთან,

კახეთის ელჩი იყო შაქელი ხოზემაურემი, ნარიმანთან და დამიანესთან ერთად. თუმცა, მალევე, კახეთმა დაკარგა შაქი, 1524 წელს კახეთის მეფე წარუმატებლად შეეცადა შაქის უკან, თავის სამეფოში დაბრუნებას. ირანს შაქისა და ასევე შირვანის დაპყრობა სურდა იმ მიზნით, რათა შეეჩერებინა კახეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერება და უშუალო საზღვარი ჰქონოდა მასთან. ირანს განსაკუთრებით აშფოთებდა კახეთის სამეფოს რეალური სამხედრო კავშირი რუსეთთან, მით უფრო, რომ კახეთის სასაზღვრო ციხეებში რუსი მეთოფეები გამოჩნდნენ. ყიზილბაშური ირანის გაძლიერების კვალ-დაკვალ შაქი და ასევე შირვანი თანდათანობით გადიოდა კახეთის გავლენის სფეროდან, კერძოდ, თუკი 1483 წლისათვის შაქი კახეთის პოლიტიკურ სფეროში შედიოდა, 1551 წლისათვის ირანმა უშუალოდ დაიპყრო შაქი და ის გადააქცია მისი მომიჯნავე ლეკეთის სარბიელად. ამით უნდა აიხსნას 1555 წლისათვის ხნოელი ლეკებისა და რუტულების მიერ შაქში ბრძოლა მკვიდრი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, მათი „გაყრა ალაზნის იქით“, როგორც ამის შესახებ გადმოცემა დღემდეა დაცული. ირანის მიერ შაქის დაპყრობის შემდეგ კახეთის მეფეები უკვე ვეღარ აკონტროლებდნენ შაქიდან დაღესტანში შემავალ „ლეკეთის გზას“, ეს იმას ნიშნავს, რომ დაღესტნის ლეკებს უკვე თავისუფლად გაეხსნათ გზა კახეთის ბარისაკენ შაქის მხრიდან. ამის გამო განსაკუთრებით დაუცველი აღმოჩნდა შემდეგ ელისუს სასულთნოდ წოდე-ბული კახეთის მიწა-წყალი, ასევე შემდგომდროინდელი საინგილო. კახეთის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი ოლქი, გაღმამხარი. ის დაფარული იყო კახური სოფლებითა და ქალაქებით, აქ იდგა უძველესი ქართული ეკლესიები, ნაგებნი წმიდა ნინოსა და წმ. არჩილის დროიდან, ამიტომაც მათი სახელობის ეკლესიები იდგა ლექითსა და განუხში, აქვე, გაღმამხარეში, შემდგომდროიონდელ საინგილოში მდებარეობდა კახეთის სამეფოს პირველი დედაქალაქები – ძეგამი და ბაზარქალაქი, ასევე ბოეთნში იდგა სამეფო რეზიდენცია, ამჟამინდელი საინგილოს ამ ქალაქებში მიიღო კახეთის მეფემ რუსი ელჩები და აქვე, მათ თვალწინ გათამაშდა ტრაგედია, როცა შვილმა ალექსანდრე მეფე მოკლა. შაქის დაპყრობის შემდეგ ელისუ და გაღმამხარი თანდათანობით ლეკების სათარეშოდ გადაიქცა ჩრდილოკავ-კასიის უღელტეხილების უკონტროლობის გამო. ამიტომაც ამ უღელტეხილებ-ზე გამავალ ლეკეთის გზას კახეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/0/01/Sheki_Khanate_Map_823.jpg 17

მე-19 საუკუნეში რუსებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს შაქთან ჩრდი-ლოკავკასიის დამაკავშირებელ ლეკეთის გზას და შეეცადნენ მის აღდგინას – В 1846 году близ Хнова русскими войсками в горной породе был пробит тоннель для налаживания Военно-Ахтынской дороги.
https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov.

ლეკეთის გზა, ანუ ახტინის სამხედრო გზა, რადგანაც მაღალ უღელტე-ხილებზე გადიოდა, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მას გააჩნდა რამდენიმე განშტოება, თუ ერთი გადასასველი ჩაიკეტებოდა, მგზავრებს შეეძლოთ სხვა, პარალელური გზის არჩევა, რომელნიც ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდა.

მათ შორის ლეკეთის გზის უფრო მოსახერხებელი უღელტეხილი იყო სალა-ვატისა. აქვე იყო გდიმის, ფიისა, დევიანის, ნოურის და სხვა უღელტეხილები https://flnka.ru/glav_lenta/9354-salavatskie-vratadagestana.html. ერთ-ერთი ამ გზის განშტოება გიდატლიდან, ჩოხის გავლით, გაივლიდა კუმუხს, ახტს, ხნოვს და ბორჩს და შექის გავლით შედიოდა შირვანში. ამ გზის განტოტებათა შორის ახტი-შექის გზა უფრო ხალხმრავალი იყო, ის დაღესტანს შირვანთან აერთებდა. ეს გზა იყო სავაჭრო, რომელიც საბოლოო ჯამში, კაბალას, ბარ-დავსა და შექს აერთებდა დერბენტთან. ამასთანავე ამ გზით დაღესტნის სამურის ველის მთიელებს თავიანთ საქონელი და ცხვრის ფარები გადაჰყავ-დათ შირვანის ზამთრის საძოვრებზე https://flnka.ru/glav_lenta/9354-salavatskie-vrata-dagestana.html აქ ნახსენები იყო სოფლების, ჩოხის, ბორჩისა და სხვა სახელები. იყო დრო, როცა ამ სოფლელებს წარსულში ქართული თვითშე-მეცნება გააჩნდათ და საქართველოს ეკლესიის სამრევლოს ქმნიდნენ არა ერთი და ორი, არამედ მრავალი საუკუნის მანძილზე (ძირითადად თემურ ლენგის შემოსევამდე). შესაძლოა, წარმოშობით აქაურები ყოფილიყვნენ, მაგალითად, ჩოხელები, სოფელ ჩოხიდან, ანდა ბორჩაშვილები, ბორჩიდან და სხვა. დაღეს-ტანი ამჟამადაც სავსეა ქართული წარსულის ამსახველი არქეოლოგიური ნაშთებით, ქართულენოვანი წარწერების ფრაგმენტებითა და სხვა. ასევე, მოსახლეობა ვიდრე შირვანამდე საქართველოს ეკლესიის სამრევლოს წარ-მოადგენდა, რაც ასახულია საქართველოს საკლესიო სამართლის ძეგლებში. ყოველივე აღნიშნულის გამო უნდა დავასკვნათ, რომ ნუხპატის ციხესიმაგ-რეში მცხოვრები არჩილ მეფის ქალიშვილის მოსატაცებლად ხაზართა სარდალი შევიდა ლეკეთის გზით, რომელსაც მე-19 საუკუნეში „ახტის სამხედრო გზა“ დაერქვა. შესაბამისად, კახეთის ისტორიული საზღვარი იდო გიშისწყალთან და არა თელავთან. რაც იმას ნიშნავს, რომ თელავის ქვემოთ ალაზნისა და ივრის ხეობები მუდამ შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში და არა ალაბანეთის საკათალიკოსოში, როგორც ამჟამად არასწორად მიიჩნევა.



კიდევ ერთხელ კახეთში შემავალი ე.წ. „ლეკეთის გზის“ შესახებ

საქართველო-აზერბაიჯანს საზღვართან მდებარე ცნობილ ქალაქ შექს (შაქს) დაღესტნის სოფელ ახტთან აერთებს ე.წ. ახტის სამხედრო გზა, როგორც აღინიშნა წინა თავში.

ეს გზა მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვნად განაახლეს და გააუმჯობესეს რუსებმა, რადგანაც ძველი გზა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო როგორც შექის მიმდებარე შირვანის დაბლობისათვის (და ქალაქ ბარდასათვის), ასევე ჩრდილოკავკასიის მომიჯნავე რეგიონებისათვის.

შექს გარს აკრავს მაღალი მთები კავკასიისა, რომლის იქით უკვე დაღესტნის ის ოლქია, რომელსაც ქართველები „ლეკეთს“ უწოდებდნენ, შესაბამისად, ეს გზა უნდა იყოს წყაროში ნახსენები „გზა ლეკეთისა“.

ახტის სამხედრო გზა კავკასიის მთავარ ქედზე გადადის ე.წ. შინის ხეობით.

როგორც ითქვა, ის აერთებს ქალაქ ნუხას (ამჟამად შექი) დაღესტნის სამურის ხეობასთან სალავატის უღელტეხილით, იქედან კი გზა მიემართება მრავალი მიმართულებით, ერთ-ერთია კასპიის ზღვისპირეთი, დერბენდი, ძველი დედაქალაქი ალბანეთისა ჩოლა (ჩოლი), რომელიც ალბანთა საკათა-ლიკოსო ცენტრი იყო მე-6 საუკუნის შუახანებამდე, 552 წლამდე.

ეს გზა დაღესტანს შირვანთან აერთებდა. ეს იყო სავაჭრო და სამხედრო მნიშვნელობის გზა, რომელიც კაბალას, ბარდავსა და შექს აერთებდა დერ-ბენტთან.

ამ გზით უერთდება შექს სოფელი ახტი,რომელიც, როგორც ითქვა, ლეკეთში მდებარეობს, შესაბამისად, ახტელების სასაუბრო ენა არის ლეკური ენის ადგილობრივი დიალექტი.

ამ გზის გასწვრივ ნაპოვნი არტეფაქტები მკვლევრების აზრით მიუთი-თებს, რომ ამ გზით სარგებლობდნენ სკვითეთიდან კავკასიასა და ირანში სათარეშოდ დაძრული სკვითები და ინდოარიელები, შემდეგ კი ჩრდი-ლოკავკასიელები შირვანის ვაკეში მოსახვედრად. ისტორიული ალბანეთი-სათვის ამ გზას უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის ალბანეთის ძველ დედაქალაქ ჩორს, ანუ დერბენტს აერთებდა ახალ დედაქალაქ პარ-ტავთან. ეკლესიისათვისაც მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ალბა-ნეთის საკათალიკოსო ცენტრი მე-6 საუკუნეში გადატანილი იქნა პარტავში. ამ გზის ერთ ბოლოში, კასპის ზღვასა და კავკასიის მთებს შორის, დერბენდის რეგიონში, ცხოვრობდნენ ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები, ხოლო მეორე ბოლოში – შაქსა და შირვანში ,ალბანეთში შემავალი სხვადასხვაენოვანი ტომები. ეს გზა ამ ტომების ურთიერთობის საშუალება იყო. http://lraber.asj-oa.am/4623/1/

აღსანიშნავია, რომ დაღესტნელი მკვლევრებიც ამ გზას უწოდებენ – „ლეკეთის გზას“, ისინი აღნიშნავენ, რომ მისით სარგებლობდნენ კიმერიე-ლებისა და სკვითების ეპოქიდანვე – „киммерийцы и скифы знали о **Лекетской дороге** и не раз проходили по ней, особенно скифы, – на юг и обратно. Поэтому в хосрехском святилище у Кокмадагских перевалов между Сулакским и Самурским бассейнами рек обнаружены не только киммерийские символики, но и археологические находки, свойственные скифскому стилю. Культовое сооружение это использовалось местным населением до прихода ислама, да и позже.Другой ассирийский разведчик того же времени Ашурисуа в своей информации тому же Саргону II пишет: «…Между Урарту и страной Гамир лежит **страна Гуриани (Грузия)».** Но прежде всего: что представляла собой в те времена так называемая **Лекетская дорога?** Дороги в те времена проходили не по ущельям и долинам, как сейчас, а по склонам гор и горных плато, чтобы избежать строительства мостов, а реки переходили по возможности там, где было меньше каньонов, других пересеченных мест. А что касается перехода Главного Кавказского хребта, имеется несколько перевалов в Закавказье, наиболее известным из которых являлся **Салаватский.** В 1845-1851 годах этот юждаговский участок был капитально обновлен для военных целей, руководили работами русские инженеры, которые продлили его до Ахтов, стали называть Военно-Ахтынской дорогой. По данным источников, «эта дорога сокращала путь из Тифлиса в Дагестан на 400 верст и шла от Мучалинской переправы по Шекинскому ущелью через Салават, аулы Борч, Хнов до укрепления Ахты. В 1851 году Военно-Ахтынская дорога имела протяженность

в 126 верст… На всем пространстве дорога была колесная и достигала в ширину до 3 саженей, а местами и более для разъезда повозок… По подсчетам, каждая сажень Военно-Ахтынской дороги была в десять раз дешевле, чем Военно-Грузинской. По строгой своей обдуманности и по удобствам, приспособленным для движения войск, превосходила ее». Как видим, маршруты Закавказье – Дагестан и обратно одни и те же, что во времена древние, что в недавние. По этим же маршрутам участков **Лекетской дороги** поддерживались связи и с Кавказской Албанией в свое время, и с другими странами, в том числе с Ираном. http://lraber.asj-oa.am/4623/1/

ქართლის ცხოვრებაში „ლეკეთის გზა“ მოხსენიებულია არჩილ მეფის ოჯახთან დაკავშირებით. ეს გზა ჩრდილოკავკასიას აკავშირებდა შაქის ოლქსა და ბარდას ჩრდილოკავკასიასთან, ჩვენი კვლევით, ამასთანავე ეს გზა არჩილ მეფის მიერ აგებულ ციხექალაქთანაც გადიოდა, არჩილ მეფის ცხოვრება, შესანიშნავი წყარო ხაზგასმით რამდენჯერმე მიუთითებს, რომ ეს ქალაქი კახეტში მდებარეობდა და არა ჰერეთში. კერძოდ, მან ეს ქალაქი ააშენა კახეთში მოსვლისა და თავისი გვარდიის (ტაძრეულის) წევრების კახეთში დამკვიდრების შემდეგ – „…**მიუბოძა კახეთი და აზნაურ-ყვნა იგინი, და აღაშენა … ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს, ორთა წყალთა შუა“.**

ამავე დროს არჩილ მეფემ კახეთის მთიულეთის საქმეებც გაარიგა. კახეთის მთიულეთი კი დასავლეთ დაღესტნის მთიანეთია, აღნიშნული „ლეკეთის გზა“ ნუხპატს (ანუ არჩილის სატახტოს კახეთში) აკავშირებდა დასავლეთ დაღესტანტან.

როდესაც მეფემ გადაწყვიტა თავის დადება ქვეყნის გადასარჩენსად და ჩაბარდა არაბულ ხელისუფლებას, წინასწარ თავისი ოჯახის ერთი ნაწილი ნუხპატის ციხექალაქში დატოვა და მეორე ნაწილი დასავლეთ საქართველოს შეაფარა.

ნუხპატის ანუ ნუხის ციხექალაქის ოლქი, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოადგენს ნაწილის დაღესტნის მთიანეთისა, რადგანაც ის კავკასიონის ქედის მთისწინეთში მდებარეობდა,

თავდაპირველად ნუხპატის ანუ ნუხის ციხექალაქსა და შაკიხს ანუ შაქს ერთმანეთისაგან მდინარე გიშისწყალი ყოფდა.

შექი გიშისწყლის ხეობის უფრო ქვემო ნაწილში მდებარეობდა. აქ გაედინება ასევე მდინარე გურჯანა. თვით სახელი ამ მდინარისა („გურჯანა“), როგორც უკვე აღინიშნა, გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც, ამ ადგილას, ეს მდინარე იყო საზღვარი ქართველთა ქვეყნისა ანუ ამ შემთხვევაში კახეთისა.

ნუხა (ნუხპატი) გიშისწყალს დაშორებული იყო სულ ასიოდე მეტრით.

საბოლოოდ ნუხა და მის მახლობლად მდებარე შაქი ერთ ქალაქად იქცა, რომელსაც ზემოდან დაჰყურებს კავკასიონის მაღალი მთები 3000 მ. სიმაღლის მქონე მწვერვალებით.

კავკასიონის ქედის მეორე მხრიდან ანუ დაღესტნიდან ნუხისაკენ მოემართებოდა ჩვენი „გზა ლეკეთისა“.

ამ გზით, როგორც ითქვა, ჩრდილოკავკასიდან ნუხპატის ციხექალაქში მივიდა ხაზართა ლაშქარი, ხაზარებმა იცოდნენ რომ არჩილის ოჯახი ნუხპატის ციხე-ქალაქს აფარებდა თავს. მემატიანე წერს – „გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი“; კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ნუხპატი კახეთში მდებარეობდა და არა ჰერეთში. მთელ ამ თხრობისას მემატიანე სიტყვა ჰერეთს არც კი ახსენებს.

ეს მიუთითებს, რომ კახეთის საზღვარი თავდაპირველადვე და მე-8 საუკუნეშიც იყო მდინარე გიშისწყალი ანდა ზემოთ აღნიშნული იქვე გამდინარე მდ.ალიჯანჩაი, რადგანაც ნუხპატის ციხექალაქი გიშისწალთან მდებარეობდა.

ეს მოსაზრება არ ეთანადება ამჟამად დამკვიდრებულ მტკიცებას, რომ-ლის მიხედვითაც კახეთი თავდაპირველად მცირე ქვეყანა იყო ივრის ზემო-წელში.

როგორც ითქვა, ამ მტკიცების თანახმად ივრის ქვემო წელი და ალაზნის ხეობა თითქოსდა შედიოდა ჰერეთში ანუ ალბანეთში და თითქოსდა მან (ამკახეთის მცირე ქვეყანამ) მე-8 საუკუნისათვის „ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კუხეთი გადაფარა“.
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კახეთი2.03.2021.

ჩვენ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ არ მიგვაჩნია ამჟამად გავრ-ცელებული მტკიცება, რომ თითქოსდა მე-8 საუკუნეში ივრის ზემოწელამდე აღწევდა ალბანეთი (ჰერეთი) და რომ ალაზნის ხეობა ალბანეთის (ჰერეთის) შემადგენლბაში შედიოდა და თითქოსდა მე-8 საუკუნეში „პატარა ქვეყანა კახეთმა“ დაიპყრო თუ დაიმორჩილა ალაზნის ხეობის მომცველი ჰერეთი (ალბანეთი). სწორედ მას ნიშნავს აღნიშნული სიტყვები ჩვენი მეცნიერისა, რომ კახეთმა „ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კუხეთი გადაფარა“, რაც არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც არ ეფუძნება წყაროს რაიმე ცნობას, პირი-ქით, ჩვენი მე-8 საუკუნის მემატიანე ჯუანშერ ჯუანშერიანი, აღწერილის თვითმხილველი სულ სხვა ინფორმაციას გაწვდის.

მისი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ვრცელი ტერიტორია გიშისწყლა-მდე იმთავითვე არჩილ მეფის სამეფოში ანუ ქართლის სამეფოში შედიოდა.

როდესაც მან (არჩილმა) და მისმა ძმამ მეფე მირმა არაბთა მძლავრობის გამო გადაწყვიტეს ერთიანი სამეფოს დანაწილება უფრო მცირე ერთეულებად, არჩილი კახეთში გადავიდა, და კახეთშივე გიშისწყალთან ციხექალაქი ნუხპატი ააგო, აქედან ის, მატიანის ცნობით, განაგებდა დასავლეთ დაღესტნის საქმეებს. შეიძლება ითქვას, რომ მან არაბთა შიშიანობის გამო, თავი შეაფარა ამ ტერიტორიას, ანუ კახეთის მთიულეთს. აქედანვე (ნუხპატიდან) ის განაგებდა ალაზნის მთელი ხეობის მომცველი კახეთის საქმეებს და იქ (კახეთში) აზნაურებად დასვა თავისი პირადი გვარდიის წევრები (თავისი ტაძრეული).

ამასთან დაკავშირებით შიძლება დაისვას კითხვა, თუკი თავდაპირ-ველადვე კახეთი მოიცავდა ალაზნის მთელ ხეობას ვიდრე მდ. გიშისწყლამდე, მაშინ სად მდებარეობდა თავდაპირველი ჰერეთი?

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, თავდაპირველი ჰერეთი მოიცავდა მიწაწყალს გიშისწყლიდან (ანდა ალიჯანჩაიდან) ვიდრე თეთრწყლამდე. მაშასადამე თავდაპირველი ჰერეთი იყო შაქის ოლქის ის მიწაწყალი, რომელსაც უცხოეთში შაქის სამეფოს უწოდებენ, ხოლო ქართველები – ჰერეთს. ამ პოლიტიკურმა ერთეულმა მე-9 საუკუნეში გაავრცელა თავისი ძალაუფლება სამხრეთ კახეთის მიწაწყალზე, ანუ ჰერთმა „გადაფარა“ სამხრეთ კახეთი მე-9 საუკუნის შემდეგ, და არა პირიქით.

აღნიშნულმა საჰლ სბატიანმა, შაქის ცნობილმა მმართველმა (საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანმა) თავისი ძალაუფლება სამხრეთ კახეთის მიწაწყალზე გაავრცელა 840-იან წლებში, ის ცნობილი იყო თავისი დამპყრობლური ბუნებით, რადგანაც იქამდე თავისი ძალაუფლება გავრცელა არანის მთელ ოლქზე.

საჰლ სბატიანი, არაბთა ხალიფის ერთგული თანამშრომელი იყო, რის სანაცვლოდაც მას უფლება მისცეს დაუფლებოდა სამხრეთ კახეთს გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე. ამავე დროისათვის კახეთს სასტიკად ებრძოდა სახალიფოს ლაშქარი (ხალილ ისიდის ძის ლაშქრობა კახეთში), გავაზთან მარცხის შემდეგ, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, არაბებმა მთლიანი კახეთის დაპყრობა ვეღარ შეძლეს, მაგრამ გავაზამდე უკვე დაპყრობილ სამხრეთ კახეთზე უფლება მისცეს შექის ოლქის ანუ ჰერეთის მმართველს საჰლ სმბატიანს.

ნუხპატთან ანუ ნუხთან ახლოს შაკიხში დაამკვიდრა არჩილ მეფემ ტარონიდან ჩამოსული ბაგრატიონი ძმები. ანუ ნუხპატი კახეთი მდებარეობდა და მასთან ახლოს კი იყო ჰერეთის ქალაქი შაკიხი. ანუ ნუხა და შაქი ერთმანეთან ახლოს მდებარეობდნენ, თუმცა პირველი კახეთში იყო, მეორე კი ჰერეთში. მათ შუა გიშისწყალი გაედინებოდა. წყაროც წერს, რომ ეს სამი ძმა აჩილ მეფესთან მივიდნენ კახეთის ქალაქ ნუხპატში „მოვიდეს კახეთს არჩილის თანა“ და თხოვეს თანხმობა **შაკიხში** დასამკვიდრებლად..

აქედან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰერეთი არჩილის საბრძანებლის საზღვრის (გიშისწყლის) გარეთ მდებარეობდა, ჩანს, მდ. აღსუს (ანუ თეთრიწყლის) მიმართულებით.

იმ დროს კახეთიცა და ჰერეთიც გაუდაბურებული, უკაცური და გატყევებული იყო და აღნიშნული ჰერეთი, წყაროს მინიშნებით, რანის მხარეს მდებარეობდა, რანის კერძი იყო. „ყოველი პირი კავკასიისაჲ რანით კერძო უმკჳდროქმნულ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთე დარჩომილ იყო და დაემკჳდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

გულგულა ანუ ხალხალი (ფილფილი), როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მდებარეობდა გიშისწყლის (აგრიჩაის) სათავეებში ანუ ჰერეთის ჩრდილოეთი საზღვარი შაქი გულგულას (ფილფილ-ხალხალის) ხაზზე გადიოდა. აღსანიშნავია, რომ სოფლებ ფილფილტან და ხალხალთან ახლოს გადიოდა აღნიშნული გზა, რომელიც ჩრდილოკავკასიიდან გადმოდის შაქის ოლქში. ამ გზას, ქართული წყარო, როგორც აღნიიშნა ლეკეთის გზას უწოდებს.

მართლაც გარკვეულია, რომ ქალაქი შაქი თავდაპირველად მდებარეობდა ნუხასთან ახლოს, ისინი სხვადასხა ქალაქები იყვნენ.

მე-19 საუკუნეში ადიდებულმა გიშისწყალმა წალეკა ძველი ქალაქი შაქი. ამის გამო მისი მცხოვრებლები გადასახლდნენ მახლობელ ქალაქ ნუხაში, საბოლოოდ კი მე-20 საუკუნეში ნუხას უწოდეს შაქი (შექი). ეს ნიშნავს, რომ, თავდაპირველად, გიშისწყალი ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთის ქალაქ ნუხას (ნუხპატსა) და ჰერეთის ქალაქ შაქს (შაკიხს).

არაბობს დროს შაქის ოლქმა მე-9 საუკუნეში დაიწყო თანამშრომლობა დამპყრობლებთან, ხოლო კახეთი ძლიერ ებრძოდა მათ, რამაც საბოლოოდ გამოიღო ის შედეგი, რომ შაქის სამეფომ ანუ ჰერეთმა თავისი ძალაუფლება გაავრცელა სამხრეთ კახეთის მიწაწყალზე დამპყრობლის ნებით. ჰერეთის ეს განვრცობა მართალია მხოლოდ ორიოდ საუკუნე გავრცელდა, მაგრამ დიდ-ხანს შემორჩა ისტორიულ მეხსიერებას. ჩანს ამის გამო თვით ვახუშტი ბაგრატიონიც ფიქრობდა, რომ ჰერეთი სამხრეთ კახეთსაც ერქვა.

მაშასადამე, ნახსენებმა საჰლ სმბატიანმა თავის სამთავროს შემატა დიდი ტერიტორიები, სამხრეთ კახეთისა და არანის გარდა, ასევე კამბეჩანი და არცახი.

მისი ნაშიერის გრიგოლ ჰამამის სიკვდილის შემდეგ (მე-9 ს. ბოლოს) აღნიშნული ვრცელი მიწაწყალი მისმა შვილებმა ერთმანეთს შორის გადაი-ნაწილეს, შაქის ოლქი აღმოჩნდა ატნერსეხის (არდანასეს) ხელში, დაახლოე-ბით, 950-იან წლებში.

შაქის ოლქის მოსახლეობისათვის ეს იყო თავისი ოლქის პოლიტიკური გათავისუფლებს აქტი. ადარნასეს (ანდა მისი ძის) მეუღლის წმ. დინარა დედოფლის დროს პოლიტიკურ გათავისუფლებას რელიგიური თავისუფლე-ბაც მოყვა (მე-10 ს.-ში), როცა მათ ქალკედონიტური აღმსარებლობა დაიბრუნეს.

საერთოდ, ტერმინ ჰერეთთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ არჩილის დროსაც კი (ტერმინი „ჰერეთი“) უკვე დავიწყებული იყო, ის გამოაცოცხლა არჩილის მიერ შაქში დამკვიდრებულმა საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანმამ, როცა მან აქ დიდი სამთავრო შექმნა.

ამ დროისათვის ქართველებს ახსოვდათ, რომ შაქის ოლქის რეგიონს ჰერეთი ერქვა, ამიტომაც შაქის სამეფოსაც ჰერეთი უწოდეს. ანუ ამ დროი-სათვის (მე-9 ს-ის შემდეგ) გაცოცხლდა ჰერეთის მივიწყებული სახელი, რამდენიმე საუკუნით, შემდგომ ეს სახელი კვლავინდებურად გაქრა (მე-15 საუკუნისათვის), ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. მე-20 ს.-ში მივიწყე-ბული ჰერეთის შესახებ ინფორმაცია წიგნებისა და ხელნაწერების მეშვეობით გაიცნეს ქართველმა მეცნიერებმა, ისინი გაჰყვნენ ვახუშტის გზას და ისტორიულ ჰერეთად გამოაცხადეს სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი, მაგრამ ესაა არასწორი თეორია, რადგანაც ისტორიული კახეთი მოიცავდა ტერიტორიას მატკვარ-ალაზნის (იორ-ალაზნის) შესართავიდან, შემდგომ მიუყვებოდა ალაზანსა და მის შენაკად გიშისწყალს ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე.

ეს პუნქტი კი (ტყეტბა-გულგულა), გიშისწყლის სათავეში მდება-რეობდა, სადაც ამჟამადაა აზერბაიჯანის სოფლები – ფილფილი და ხალხალა (და არა თელავთან). მაშასადამე, ჰერეთსა და კახეთს ერთმანეთისაგან

ისტორიულად საზღვრავდა გიშისწყალი და მას ასახელებს კიდეც ვახუშტი კახეთ-ჰერეთის საზღვრად.,

მაშასადამე, ტერიტორიას გიშისწყლიდან გავაზ-თურდოს ხევამდე, ისტორიულად, მუდამ კახეთი ერქვა, მაგრამ შაქის სამეფომ, ანუ ჰერეთმა ის დაიპყრო მე-9 საუკუნის შემდგომ და მხოლოდ ამის შემდეგ ჰერეთის სახელი დაუმკვიდრდა სამხრეთ კახეთს მხოლოდ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

დავუბრუნდეთ „ლეკეთის გზის“ საკითხს. ეს გზა კახეთში შედიოდა, ამიტომ, მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა დაგვეხმარება კახეთის ისტორიული საზღვრის დადგენაში.

გზა ჩრდილოკავკასიიდან უშუალოდ ნუხპატში იგივე ნუხაში მიდიოდა, ანუ ციხექალაქთან ამჟამინდელ შაქთან ახლოს, ამ გზის მეორე ბოლო მიდიოდა სოფელ ახტთან ჩრდილოკავკასიაში, ლეკების ქვეყანაში, ამიტომაც ერქვა გზა ლეკეთისა. მას მე-19 საუკუნეში ეწოდა „**Военно-Ахтинская дорога“ – ახტის სამხედრო გზა.**

როგორც აღინიშნა, ახტი არის სოფელი დაღესატანში, ახტის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. ახლოა შექის რაიონთან და მას ამ რაიონისაგან კავკასიონის ქედი ყოფს.

ახტის სამხედრო გზა ერთმანეთთან აერთებდა ქალაქ ნუხას (ამჟამინ-დელ შექს) დაღესტნის სოფელ ახტთან შინის უღელტეხილზე გამავალი გზით, რომელსაც ქართველები „ლეკეთის გზას“ უწოდბდნენ.

რუსებმა კავკასიაში სამი სამხედრო გზა ააგეს – საქართველოს სამხედ-რო გაზა, ოსეთის სამხედრო გზა და ახტის სამხედრო გზა.

აქედანაც ჩანს, რომ ახტის, ანუ ლეკეთის გზას ძალზე დიდი მნიშვ-ნელობა ჰქონდა.

ლეკეთის, ანუ ახტის გზა, როგორც ითქვა, აერთებდა ალაზნის ხეობასა ანუ შექის ოლქსა და შირვანის საზამთრო საძოვრებს დაღესტნის სამურის ხეობასთან, რომელიც ამჟამადაც ლეკებითა და რუტულებითაა დასახლებუ-ლი. სალავატის უღელტეხილის გავლით ეს გზა გაივლიდა პუნქტებს: კაზი-კუმუხი-კურახი-ახტი-ხნოვი-ნუხა და შედიოდა შექში, აქედან კი დაბლობის გზა უერთდებოდა შირვანს. შემდეგი მარშრუტით – კაზიკუმუხი-კურახი-ახტი-ნუხა (Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნუხა, ანუ ნუხპატი მდებარეობდა მდინარე გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა შექი, ანუ შაქი, იქვე ახლოს იყო, როგორც ითქვა გიში. კახეთი, ერქვა გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ანუ ნუხა-ნუხპატი, სადაც გზა შედიოდა, კახეთს წარმოადგენდა, ხოლო შექი იყო ჰერეთი, ანუ შექის ოლქი.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ნუხა და შექი ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო მდინარე გიშისწყლით, გიშის ქართული საეპისკოპოსო ცენტრი შექის ახლოს, მის ჩრდილოეთით მდებარეობდა, გიშელი ეპისკოპოსი შედიოდა ქართულ იერარქიაში და შინაგან დიპტიხში ქართველ ეპისკოპოსთა შორის 35-ე ადგილზე, დმანელის შემდეგ იდგა.

მე-16 საუკუნემდე მდინარე გიშისწყლის მარჯვენა მხარე კახეთად, გურჯისტანად ითვლებოდა, ორივე მხარე საქართველოს ეკლესიის გიშის ქართული საეპისკოპოსოს მრევლით იყო დასახლებული შუა საუკუნეებშიც.

შექის ოლქიდან ქართველები ლეკებს გაუყრიათ მე-16 საუკუნეში, კერძოდ კი, 1555 წელს. ამის შესახებ გადმოცემები ამჟამადაცაა დაცული ისტორიული ცნობების სახით რუტულის რაიონის ლეკთა შორის. ამის შესახებ წერს დაღესტნური საიტი https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

ამ დაღესტნურ საიტში ნათქვამია, რომ აღნიშნული გზით, შაქის ოლქში შესულა გაერთიანებული ლეკების ჯარი და მათ ქართველები 1555 წელს შაქის ოლქიდან, ანუ გიშისწყლის მარჯვენა სანაპიროდან, ანუ კახეთიდან აუყრიათ და გაუძევებიათ (გადაუსახლებიათ) „ალაზნის იქით“, В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань. ანუ იქამდე ისინი, ანუ ქართველები ცხოვრობდნენ გიშისწყლამდე და მხოლოდ 1555 წლის შემდეგ გადაუსახლებიათ ალაზნის იქით.
https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

Исторически Хнов имел важное стратегическое значение, поскольку через него проходила дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха. Связь с Ширваном осуществлялась через Салаватский перевал (2829 м). Согласно местной эпиграфии, во второй четверти XIII века в селе велось капитальное строительство.. В 1401 году впервые упоминается о существовании крестьянского мулка (частного землевладения) в селении Хнов. Некий Герги подарил свой мулк селению Киш ал-Хнов. **В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань.** https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

შირვანიდან ჩრდილოკავკასიაში გადასასვლელი გზა შექის გავლით სალავატის უღელტეხილით გადადიოდა დაღესტანში და აქედან შედიოდა დერბენდში და სხვა დაღესტნურ პუნქტებში.

მაგალითად, შირვანშაჰის ლაშქარი შაქიდან (ნუხადან) აღნიშნული „ლეკეთის გზით“ შესულა დაღესტანის სოფელ ხნოვში მის დასარბევად, რადგანაც უფრო ადრე ხნოველები ჩრდილოკავკასიიდან ამავე გზით შესულან შაქის ოლქში და კაბალაში და იქ ხალხი დაუხოცავთ. ლეკეთის გზა, ანუ კაზიკუმუხ-ახტი-ხნოვ-ნუხას შემაერთებელი გზა იყო დაღესტნიდან შაქის ოლქში და ისტორიულ კახეთში შემავალი გზა (კახეთი გიშისწყალთან, ანუ შაქის მდინარესთან იწყებოდა).

В XI веке **ширваншах** Фарибурз I совершил **поход** против жителей селения Хнов, которые когда-то вблизи крепости **Кабала** убили его двоюродного брата...Исторически Хнов имел важное стратегическое значение, **поскольку через него проходила дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха. Связь с Ширваном осуществлялась через Салаватский перевал (2829 м).**

Оно расположено на очень **важном в прошлом торгово-караванном пути в Азербайджан (Ахты-Хнов-Нуха, Шеки через Салаватский ...**

Хнов расположен на самом юге Республики Дагестан. На юге Ахтынского района, между отрогами Главного Кавказского и Гельмец-Ахтынского хребтов (იქვე).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ჩრდილო კავკასია ჰერთს, უფრო ადრე ალბანეთს უკავშირდებოდა იმ გზით, რომელსაც მე-19 საუკუნეში „**Военно-Ахтинская дорога“ დაერქვა, ხოლო უფრო ადრე მას ქართველები „ლეკეთის გზას“ უწოდებდნენ.**

„ლეკეთის გზა“, ანუ „Военно-Ахтинская дорога“ ნუხას (შექს) აერთებდა დაღესტნის სოფელ ახტთან,სინისა და სალავატის უღელტეხილების გავლით.

ეს გზა შირვანს აკავშირებდა სამურის ხეობასთან.

ამ გზას ახსენებს კალანკატუაცი, როდესაც წერს, ჩრდილოკავკასიელების ლაშქრობის შესახებ ალბანეთში, ამავე გზით ალბანელი ეპისკოპოსები გადადიოდნენ ჩრდილოკავკასიაში, ეს გზა ბარდავსა და შაქს აერთებდა დერბენდთან, ანუ ქალაქ ჩირთან, რომლის მახლობლადაც მთიანეთში ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ (ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ არა ყაზეგის რაიონში, როგორც მიაჩნია ზოგიერთ ისტორიკოსს, არამედ ჩორთან, დერბენდთან, კავკასიის მთისწინეთშ, ამ ალბანურ ტომებს ბარდავის ალბანელები ე.წ. ლეკეთის გზით უკავშირდებოდნენ, ეს იყო შირვანის ბარიდან ჩრდილოკავკასიის მთიანეთში შემავალი რთული გზა, ძნელადსავალი).

ამ გზაზე იდგა ქარავნების მოსასვენებელიი სავანეები და ციხესიმაგრეები, ამ გზისპირას იყო ცნობილი სოფლები ხალხალა და ფილფილი, რომლებიც ჩვენ მიგვაჩნია ტყეტბა-გულგულად. ეს გზა ამ ადგილებში აგრიჩაი-გიშისწყალს მიუყვება, მისი მთავარი ძარღვის სათავეებში კი – აღნიშნულ პუნქტებს.

ეს მდინარე ერთმანეთს აშორებდა ალბანეთსა და იბერიას, შემდეგ კი კახეთსა და ჰერეთს.

ამ მდინარის პირის მარჯვენა მხარეს მცხოვრები ქართველები, როგორც აღინიშნა, მხოლოდ 1555 წელს გაუძევებიათ ლეკებს ალაზნისაკენ. ზემოთაა მოყვანილი ცნობა ამის შესახებ.

ეს ნიშნავს, რომ ლეკები, ანუ რუტულელები და წახურები, სხვებთან ერთად, 1555 წელს თავს დაესხნენ შაქს, ანუ მათივე შეფასებით, კახეთს, დაამარცხეს აქ ქართველები, ანუ ადგილობრივი შაქის ოლქის ქართველობა და თავიანთი სიტყვითვე, აიძულეს ისინი, რომ ალაზნის იქით გადასახლებულიყვნენ. აღნიშნული ლეკების ლაშქარი შაქში შესულა ე.წ. ლეკეთის გზით, რომელიც შაქის ოლქს უშუალოდ აკავშირებდა ჩრდილოკავკასიის სამურის ოლქთან, სადაც **რუტულები და წახურები** ცხოვრობდნენ. ეს გზა უმოკლესი იყო დერბენდამდე, ანუ ძველ ქალაქ ჩოლამდე, რომელიც მე-6 საუკუნემდე იყო ალბანეთის კათალიკოსების ქალქი.

შაქის ოლქიდან ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი „ლეკეთის გზა“ კაპიტალურად შეაკეთა რუსულმა ხელისუფლებამ და მას უწოდა „სამხედრო გზა“, дорога Казикумух-Курах-Ахты-Хнов-Нуха.

Автор: File:Caucasus topographic_map-fr.svg, CC BY-SA 3.0, https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=15753039 ამ რუკიდანაც ჩანს, რომ ლეკეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა შაქის ოლქს, ხოლო წახური და ხუნძახი – დანარჩენ კახეთს.

როგორც აღინიშნა, ამ გზით 1555 წელს შემოსული ლეკები (წახურები და რუტულები) თავს დაესხმნენ შაქს, ანუ მათივე შეფასებით, კახეთს, დაამარცხეს აქ ქართველები, ანუ ადგილობრივი შაქის ოლქის ქართველობა და თავიანთი სიტყვითვე, აიძულეს ისინი, რომ ალაზნის იქით გადასახლებულიყვნენ. ამ შემთხვევაში ალაზანს ისინი უწოდებენ გიშისწყალს, შაქის მდინარეს, რადგანაც გიშისწყალი ალაზნის უმთავრესი შენაკადია და მასაც ალაზანი ერქვა. **В 1555 году хновцы, совместно с рутульцами и цахурцами, предприняв поход на Кахетию, принудили грузин переселиться за реку Алазань.** Офиц.сайт ДГУ – Этнические процессы и проблемы малочисленных и государственно-разделенных народов Дагестана.

ამ შემთხვევაში ისინი ალაზანს უწოდებდნენ გიშიწყალს.

იმ დროისათვის დღევანდელი საინგილო კახეთის ნაწილი იყო და ჯერ კიდევ იცავდა თავის ქართველობას,

შესაბამისად, ლეკების მიერ დაპყრობილ კახეთს (ანუ შაქის ოლქსა) და იმჟამად ქართულ (კახურ) საინგილოს შორის საზღვრად დაიდო **ალაზანი ანუ გიშისწყალი.**

შაქის ოლქი კახეთის სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ნაწილს რომ შეადგენდა იქიდანაც ჩანს, რომ კახეთის სამეფომ შაქელი პიროვნება ხოზემაურემი თავის ელჩად წარადგინა რუსეთის მეფის კარზე.

კახეთის მეფე ალექსანდრე პირველმა 1483 წელს თავისი ელჩობა გააგზავნა მოსკოვში, რუსეთის ხელმწიფესთან, კახეთის ელჩი იყო შაქელი ხოზემაურემი, ნარიმანთან და დამიანესთან ერთად.

ამის შემდეგ, მე-16 საუკუნესათვის, კახეთმა დაკარგა შაქი, 1524 წელს კახეთის მეფე ლევანი წარუმატებლად შეეცადა შაქის უკან, თავის სამეფოში დაბრუნებას, ირანის წინააღმდეგობის გამო.

ირანს შაქისა და ასევე შირვანის დაპყრობა სურდა იმ მიზნით, რათა შეეჩერებინა კახეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერება, მას განსაკუთრებით აშფოთებდა კახეთის სამეფოს რეალური სამხედრო კავშირი რუსეთთან, მით უფრო, რომ კახეთის სასაზღვრო ციხეებში რუსი მეთოფეები გამოჩნდნენ.

ყიზილბაშური ირანის გაძლიერების კვალდაკვალ შაქი და ასევე შირვანი თანდათანობით გადიოდა კახეთის გავლენის სფეროდან, კერძოდ, თუკი 1483 წლისათვის შაქი კახეთის პოლიტიკურ სფეროში შედიოდა, 1551 წლისათვის ირანმა უშუალოდ დაიპყრო შაქი, გადააქცია ის ლეკეთის სარბიელად, ამით უნდა აიხსნას 1555 წლისათვის ხნოელი ლეკებისა და რუტულების ბრძოლა შაქში მკვიდრი ქართული მოსახლეობის წინააღმდე, როგორც წერენ „ქართველების „გაყრა ალაზნის იქით“, ამის შესახებ გადმოცემა დღემდეა დაცული მათ შორის.

ირანის მიერ შაქის დაპყრობის შემდეგ კახეთის მეფეები უკვე ვეღარ აკონტროლებდნენ შაქიდან დაღესტანში შემავალ „ლეკეთის გზას“, ეს იმას ნიშნავს, რომ დაღესტნის ლეკებს უკვე თავისუფლად გაეხსნათ გზა კახეთის ბარისაკენ შაქის მხრიდან, ამის გამო განსაკუთრებით დაუცველი აღმოჩნდა შემდეგ ელისუს სასულტნოდ წოდებული კახეთის მიწა-წყალი, ასევე შემდგომდროინდელი საინგილო.

კახეთის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი ოლქი იყო გაღმამხარი, ანუ შემდგომდროინდელი საინგილო, ის დაფარული იყო კახური სოფლებითა და ქალაქებით, აქ იდგა უძველესი ქართული ეკლესიები, ნაგებნი წმიდა ნინოსა და წმ. არჩილის დროიდან, ამიტომაც მათი სახელობის ეკლესიები იდგა სოფელ ლექითსა და განუხში, აქვე, გაღმამხარეში, საინგილოში მდებარეობდა კახეთის სამეფოს პირველი დედაქალაქები – ძეგამი და ბაზარქალაქი, ბოეთანში, ასევე იდგა კახეთის სამეფო რეზიდენცია, საინგილოს ამ ქალაქებში მიიღო კახეთის მეფემ რუსი ელჩები და აქვე, მათ თვალწინ გათამაშდა ტრაგედია, როცა შვილმა ალექსანდრე მეფე მოკლა.

შაქის დაპყრობის შემდეგ ელისუ და გაღმამხარი თანდათანობით ლეკების სათარეშოდ გადაიქცა ჩრდილოკავკასიის უღელტეხილების უკონტროლობის გამო. ამიტომაც ლეკეთის გზას კახეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მე-19 საუკუნეში რუსებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს შაქთან ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელ **ლეკეთის გზას** და შეეცადნენ მის აღდგინას – В 1846 году близ Хнова русскими войсками в горной породе был пробит тоннель для **налаживания Военно-Ахтынской дороги**
https://gradinf.ru/russia/dagestan/ahtynskij/hnov

ლეკეთის გზა ანუ ახტინის სამხედრო გზა მაღალ უღელტეხილებზე გადიოდა, ამიტომ მას გააჩნდა რამდენიმე განშტოება, თუ ერთი გადასასვლელი ჩაიკეტებოდა, მგზავრებს შეეძლოთ სხვა პარალელური გზის არჩევა, რომელნიც ერთმანეთთან ახლოს მდებრეობდა.

მათ შორის ლეკეთის გზის უფრო მოსახერხებელი უღელტეხილი იყო სალავატისა. აქვე იყო გდიმის, ფიისა, დევიანის, ნოურის და სხვა უღელტეხილები https://flnka.ru/glav_lenta/9354-salavatskie-vrata-dagestana.html.

ერთ-ერთი ამ გზის განშტოება გიდატლიდან, ჩოხის გავლით, გაივლიდა კუმუხს, ახტს, ხნოვს და ბორჩს და შექის გავლით შედიოდა შირვანში.

ამ გზის გატოტებათა შორის ახტი-შექის გზა უფრო ხალხმრავალი იყო, **ის დაღესტანს შირვანთან აერთებდა.** ეს გზა იყო სავაჭრო, რომელიც, საბოლოო ჯამში, კაბალას, ბარდავსა და შექს აერთებდა დერბენტთან. ამასთანავე, ამ გზით დაღესტნის სამურის ველის მთიელებს თავიანთ საქონელი და ცხვრის ფარები გადაჰყავდათ შირვანის ზამთრის საძოვრებზე. https://flnka.ru/glav_lenta/9354-salavatskie-vrata-dagestana.html

აქ ნახსენები იყო სოფლების, ჩოხის, ბორჩისა და სხვა სახელები. იყო დრო, როცა ამ სოფლელებს წარსულში ქართული თვითშემეცნება გააჩნდათ და საქართველოს ეკლესიის სამრევლოს ქმნიდნენ არა ერთი და ორი, არამედ

მრავალი საუკუნის მანძილზე (ძირითადად თემურ ლენგის შემოსევამდე). აქაურები შესაძლოა წარმოშობით ყოფილიყვნენ, მაგალითად, ჩოხელები, სოფელ ჩოხიდან ანდა ბორჩაშვილები, ბორჩიდან და სხვა. დაღესტანი ამჟამადაც სავსეა ქართული წარსულის ამსახველი არქეოლოგიური ნაშთებით, ქართულენოვანი წარწერების ფრაგმენტებითა და სხვა. ასევე, მოსახლეობა ვიდრე შირვანამდე საქართველოს ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდა, რაც ასახული საქართველოს საეკლესიო სამართლის ძეგლებში.

ყოველივე აღნიშნულის გამო უნდა დავასკვნათ, რომ ნუხპატის ციხესიმაგრეში მცხოვრები არჩილ მეფის ქალიშვილის მოსატაცებლად ხაზართა სარდალი შევიდა ლეკეთის გზით, რომელსაც მე-19 საუკუნეში „ახტის სამხედრო გზა“ დაერქვა. შესაბამისად, ისტორიული კახეთის საზღვარი გადიოდა არა თიანეთთან და თელავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევს ისტორიოგრაფია, არამედ შექთან, გიშისწყალსა და ალიჯანჩაიზე. შესაბამისად, სამხრეთ კახეთი, ბოდბე, გურჯაანი, საინგილო თუ დავითგარეჯა ისტორიულად, თავდაპირველადვე, შედიოდა არა ალბანეთის საკათალიკოსის იურისდიქციაში, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციაში.

კავკასიის ალბანეთი ვარდან არეველცის მიხედვით და ქართველების არმენიზაცია გოგარენასა და გუგარქში

ამჟამად სხვადასხვა წყაროებით ცნობილი „გოგარენა“ და „გუგარქი“ ერთ ქვეყნადაა მიჩნეული და ითვლება, რომ ბერძნული წყაროების გოგარენა იგივე გუგარქია. მაგრამ ამ მოსაზრებისაგან განსხვავებით, ჩვენი კვლევით, რომელიც ქვემოთაა მოცემული, გოგარენა და გუგარქი სხვადასხა ქვეყნები იყვნენ. ერთი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ხოლო მეორე – გოგარენა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და მოიცავდა იმ ტერი-ტორიას, რომელსაც ჩვენ „ისტორიულ ჰერეთს“ ვუწოდებთ, ანუ შაქის ოლქს. მას, ადგილობრივები მართლაც მოიხსენებდნენ სახელით „გარგარი“. ვარდან არეველცი შაქის ოლქს „გარგართა ქვეყანას“ უწოდებდა. სიტყვა „გარგარი“ უნდა იყოს სიტყვა „გოგარის“ ვარიაცია. სტრაბონსაც იბერების ქვეყანა „გოგარენა“ მტკვრის იქით, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ეგულებოდა, რასაც ქვემოთ ვეხებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ალბანეთის შესახებ საუკეთესო ცნო-ბებს იძლევა ვარდან არეველცი, მე-13ს-ის ისტორიკოსი, რომელიც კახეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ ცნობილ წანარებს ქართულენოვან ტომს უწოდებდა, ანუ ქართველებად მიიჩნევდა.

წანარების მეომრული სულისკვეთების დამსახურება იყო, რომ კახეთმა არაბებთან ომების დროს ქართული სახე შეინარჩუნა, კახეთს უშუალოდ გააჩნდა საზღვარი ისტორიულ ალბანეთთან, ამიტომ საინტერესოა ვარდან

არეველცის ცნობები ალბანეთის შესახებ. ბოლო დროს ისტორიკოსი გურამ გუმბა საინტერესო გამოკვლევით შეეხო ამ საკითხს –
http://lraber.asj-oa.am/4623/1/1986-9(64).pdf

ვარდან არეველცი, ანუ ვარდან აღმოსავლელი (1198-1271), იგივე „ვარ-დან დიდი“ მე-13ს.-ის სომეხი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ფილოსოფოსი და მთარგმნელია. დაწერა ისტორიული კრებული – „მსოფლიო ისტორია“, იძლე-ვა ცნობებს წანარებისა და ალბანეთის შესახებ.

გურამ გუმბა წერს, რომ დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, ვარდანის დროინდელი „შაქი“ ქართული პროვინცია იყო. **„მის (ვარდანის) დროს „შაქი“ წარმოადგენს ჩვეულებრივ აღმოსავლურ ქართულ პროვინციას“.**

ვარდან არეველცის დროს, ანუ მე-12 საუკუნის დროიდან, შაქი შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში (არეველცი წერდა – **„ვრკანების ქვეყანა განფენილია კასპიის ზღვამდე“).** გ. გუმბას კვლევით, მ.ხორენაცი და საერთოდ შესაბამისი სომხური წყაროები **თანამედროვე შირვანის ვაკეს, ისევე როგორც მტკვრის მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროს მხარეს „გარგართა ველს“, „გარგარების სამთავროს“ უწოდებენ, და მას ეთნონიმ „გარგარით“ ნაწარმოებ სახელად მიიჩნევდნენ.**

(«**Гаргарацик это есть «Шаки»**) 5 9 , **то есть современный Шаки (или Албания в 3 списках) это – древняя страна гаргаров – Гаргарацик.**

https://www.academia.edu/37299273/кавказская_албания_по_ашхарацуйцу_в ардана_вардапета_xiii_в

ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემი დასკვნა, რომ „გარგარების ქვეყანა“, ანუ შაქის ოლქი, უნდა იყოს სტრაბონის „გოგარენა“, მდებარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

გოგარენა თავდაპირველად იბერიის ოლქი იყო და მისგან მიიტაცა არმენიამ ძვ.წ. მე-2 საუკუნეში, რის შემდეგაც დაიწყო აქაური გარგარების, ანუ აქაური იბერების – ქართველურენოვანი ტომის არმენიზაცია, შემდეგ ის შეიყვანეს ალბანეთის სახელმწიფოში, საბოლოოდ, ახ.წ. მე-4 საუკუნის შემდ-გომ გარგარების დიდი ნაწილი გადასახლებულან მტკვრის მარჯვენა სანა-პიროს მხარეს, ამ დროს მათი დიალექტი შცვლილა სომხურისა და ალბა-ნურის გავლენით და ჩამოყალიბებულა ახალ ენად. მაშტოცის დროისათვის, ალბათ, ის უკვე ჩამოყალიბებული იყო დამოუკიდებელი სახით. მტკვრის მარჯვენა მხარის გარგარელთა ენა მესროპ მაშტოცის დროს საფუძველი გამხდარა ალბანური სამწერლობო ენისა. მაგრამ შაქის ოლქში დარჩენილ გარგარებს, ქართულენოვნება შეუნარჩუნებით, რაც საფუძველი გახდა წმ. დინარა დედოფლის საეკლესიო-ადმინისტრაციული რეფორმისა, როცა მან ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის საეკლესიო და ადმინისტრაციულ ენად ქართული გამოაცხადა.

მაშასადამე, ვარდან არეველცის ცნობიდან გამომდინარე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე, ანუ შაქის ოლქი არის სტრაბონისეული გოგარენა, იგივე გარგარეთი, გარგარების ქვეყანა, ესაა ჰერეთი.

რაც შეეხება გუგარქს, ის სხვა მხარეს მდებარეობდა. სომხური გეოგრაფიის ცნობით, გუგარქი იყო ქართველთა ქვეყანა, ანუ ქვეყანა ქართველთა მმართველობით და ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა.

ქვეყნებს უტიდან ვიდრე ტაშირის, თრიალეთის, არტაანისა და კლარჯეთის ჩათვლით ქართველთა ქვეყნებად თვლიდნენ. მას ქართველები ფლობდნენ მე-7 ს-ის სომხური გეოგრაფიის მიხედვით.

კერძოდ, სომხური გეოგრაფია წერს – **„Гугарк, к западу от Ути, имеет 9 областей, которыми владеют грузины: 1. Дзоропор, 2. Цобопор, 3. Колбопор, 4. Ташир, 5. Трелы, 6. Кангары, 7. Артаган, 8. Джавахи, 9. Кларджи. В этой провинции встречаются: аналут, дерево хачар, айва и бук.**

Тайк, рядом с Гугарк, богатый крепостями и замками, имеет 9 областей. 1. Ког, 2. Бердац-пор, 3. Партизац-пор, 4. Чакс, 5. Буха, 6. Окаге, 7. Азорд, 8. Ка-пор, 9. Асьяц-пор“. http://vehi.net/istoriya/armenia/geographiya/04.html

სომხური სუფიქსი „პორ“ (ფორი) უდრის ქართულ ტერმინს „ხევი“, ამიტომაც შესაძლოა „ძოროპორი“ ნიშნავს „ჯვრის ხევს“, ის ცოფიხევთან, კოლბიხევთან, ტაშირთან, თრიალეთთან, კანგართან, არტაანთან, ჯავახეთთან და კლარჯეთთან ერთად კვლავ ქართველთა გამგებლობაში ყოფილა უსასტიკეს მე-7 საუკუნეშიც კი, როდესაც მტრები, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლესა და შემდეგ არაბების ჩათვლით, საქართველოს აჭრიდნენ ისტორიულ მიწა-წყალს (შესაძლოა, ეტიმოლოგიურად „პორ“ დაკავშირებული იყოს ქართული სიტყვა ფორესთან, რაც ადგილს, ფართობს ნიშნავს).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მტრები ამ საუკუნეში სომხურ ეკლესიასთან კავშირსა და უნიას ქმნიდნენ. ასეთი იყო ჰერაკლე კეისარი, რომელმაც ზღვისპირა კლარჯეთი – ლაზიკა (შემდგომდროინდელი ლაზისტანი) მიიტაცა, ამ იმპერატორის მსგავსად არაბებიც კი სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებას ცდილობდნენ.

თვით ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა გადასცა სიგელი მფარველობისა სომხურ ეკლესიას, ამ სიგელის არსებობას ადასტურებდნენ სხვა ხალიფები და ლიდერები არაბული სამყაროსი მე-7 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე. ეს სიგელები შემონახულია და ამ სიგელებმა რეალურად დაიცვა სომხური ეკლესია არაბთა ძალადობისაგან, რასაც ,თავის მხრივ, არაბობისას სომხური ეკლსიის იერარქები აქტიურად იყენებდნენ მეზობელი კავკასიური ქალკედონიტური, მათ შორის ალბანური და ქართული ეკლესიების დევნა-შევიწროებისა და მისი მრევლის მისაკუთრებისათვის. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოვსეს კალანკატუაცი კარგად აღწერს, თუ როგორ გაანადგურა სომხურმა ეკლესიამ ალაბანური ეკლესიის ავტოკეფალია მე-7 საუკუნეში არაბული ლაშქრის გამოყენებით. ასეთ დროს ქართული მმართველობის შენარჩუნება ისეთ ოლქებში, რომელნიც გუგარქში შედიოდნენ ძალზე ძნელი იყო, თუმცა შემდგომ, არაბობის დროს გაგრძელდა ამ ქართული ოლქების არმენიზაცია, ისევე, როგორც არმენიზებულ იქნა ალბანელები.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტრაბონისეული **გოგარენა მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს, ხოლო გუგარქი,**

გარდმანი, საკასენა და სხვა ოლქები – მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს. ეს უკანასკნელნი ტაოსთან ერთად შედიოდნენ სტრაბონისეულ ხორძენას ოლქში.

შესაბამისად, ხორძენა გადაჭიმული ოყო ზოლს სახით დაახლოებით ამჟამინდელი არზრუმიდან ვიდრე მტკვრამდე, ხოლო მტკვრის იქით მდებარეობდა გოგარენა.

ყველა ეს ოლქი იბერებს ეკუთვნოდა ძვ. წ. მე-2 საუკუნემდე სტრაბონის ცნობით. ეს ქართული მხარეები მიიტაცა არმენიამ და ყველა ამ ოლქში დაიწყო ქართული მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო, რადგანაც იბერია საკმაოდ ხშირად უკან იბრუ-ნებდა ამ მხარეებს. მოსახლეობის გაქრისტიანების შემდეგ უკვე არმენიაში მცხოვრები მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ანუ იბერები, ქალდები თუ მოსინიკები ძირითადად სომხური ეკლესიის მრევლად იქცა, მაგარამ აქაც მეტ-ნაკლები ხარისხით, მაგალითად, ეპისტოლეთა წიგნის მიხედვით გუგარ-ქის ვრცელი ქვეყანა, თავისი 9 ოლქით (აღნიშნული ძოროხევი (ჯვარის ხევი?), წობოხევი, კოლბოხევი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთი, ანუ მიწა-წყალი გარდმანიდან ვიდრე თითქმის შავ ზღვამდე (Дзоропор, 2. Цобопор, 3. Колбопор, 4. Ташир, 5. Трелы, 6. Кангары, 7. Арта-ган, 8. Джавахи, 9. Кларджи) შედიოდა საქართველოს პატრიარქ კირიონ კათალიკოსის იურისდიქციაში, მე-6 ს-ის ბოლოს. ასეა თვით სომხური წყაროების მითითებით (ეპისტოლეთა წიგნში გუგარქი ერთმნიშვნელოვნად ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაშია). სომხური წყაროები ასევე მიუთითებდნენ, რომ ქართლის კათალიკოსი ასევე იყო ეგრისის არქიეპის-კოპოსი.

რადგანაც გუგარქი შედიოდა ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში, შესაბამისად, იქ ძველთაგანვე იყო ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, რომელიც, თვით ეპისტოლეთა წიგნის ირიბი ცნობით, შეიცვალა სომხურენოვანით დაახლოებით, წმ. შუშანიკის ეპოქაში. თავდაპირველად ცურტავში სომხუ-რენოვნება დანერგილა წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში ეპისტოლეთა წიგნის ცნობით. ქართულენოვნების შეცვალა სომხურენოვნებით შესაძლე-ბელი გახდა მხოლოდ მე-6 საუკუნეში.

გუგარქში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა შეიცვალა სომხურენოვანი ღვთისმსახურებით მას შემდეგ, რაც სპარსეთმა მე-6 საუკუნეში გააუქმა ქარ-თული სახელმწიფოებრიობა და დევნა დაუწყო საქართველოს ქალკედონურ ეკლესიას, ამავე დროს, ის კავკასიის დაპყრობილ ნაწილში ღიად უჭერდა მხარს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას. გუგარქში ქართული ენა იდევ-ნებოდა ისევე, როგორც მეზობელ ალბანეთში – ალბანური ენა.

ალბანეთშიც და ქართლშიც, როგორც სპარსელები, ისე არაბები ხელს უწყობდნენ ეკლესიებში სომხურენოვნების დანერგავს, ამას მიუთითებს ალბანეთთან დაკავშირებით მოვსეს კალანკატუაცი, ხოლო ეპისტოლეთა წიგნი უფრო ადრე მიუთითებდა, რომ კირიონმა აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება გუგარქის ქართველობას მხოლოდ ბიზანტიის საზღვრის

მცხეთასთან მიახლოების შემდეგ, რაც მას საპატრიარქო ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

დამპყრობელმა სპარსეთის იმპერიამ მე-7 ს-ის დასაწყისში კირიონი დასაჯა სომხური მხარის დაბეზღებით, რომ ის მხარს უჭერდა ბიზანტიელებს, შემდეგ, მე-8 ს-ის დასაწყისში, მსგავსადვე, არაბებმა დასაჯეს ბოლო ალბანელი პატრიარქი იმავე მიზეზით, რომ ის მხარს უჭერდა ბიზანტიელებს. შესაბამისად, საბოლოოდ აიკრძალა ალბანურ ეკლესიებში ალბანური ენის გამოყენება, ანუ ალბანეთში მოხდა ის, რაც ერთი საუკუნით ადრე გუგარქში, როცა აქ ქართულენოვნება მე-6 ს.-ში ჩაანაცვლა სომხურენოვნებამ. კირიონი შეეცადა ქართულენოვნების აღდგენას გუგარქში და შეძლო კიდეც, თუმცა, როგორც ითქვა, საპატრიარქო ტახტი დაკარგა.

შედარებით სხვაგვარი იყო ვითარება გარდმანსა და შაქში.

ეკლესიური თვალსაზრისით, გარდმანისა და შაქის ოლქები არმენიზაციას განიცდიდნენ, ხოლო პოლიტიკურად ისინი ალბანიზაციის პროცესში იმყოფებოდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოლქების მრევლზე გაბატონდა ანდა გაბატონებას ცდილობდა სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია, ხოლო პოლიტიკურად ეს ოლქები ალბანეთში შედიოდნენ. შესაბამისად, ზედა ფენა და მოსახლეობაც ალაბნიზაციის პროცესში იყვნენ. ამ დროს გაუქმებულა აქ საქართველოს ეკლესიის აგარაკის ეპარქია. აგარაკი ამჟამად ორი დასახლებაა, ერთი ამჟამინდელი სომხეთის სამხრეთში, გარნისთან, ხოლო მეორე – ჩრდილოეთით, ახტალასთან. მე-8 საუკუნისათვის გაუქმებულა გარნისთან მდებარე აგარაკის ეპარქია, ხოლო ახტალასთან მდებარე აგარაკის ეპარქია მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მე-19 საუკუნეშიც კი.

მე-7 საუკუნიდან გარდმანის ოლქის ქართველობაც ძალზე ცდილობდა ქალკედონიტურ ბიზანტიასთან კავშირს, რასაც მოჰყვა გარდმანის დედოფლისა და ალბანეთის კათალიკოსის დასჯა სომეხი იერარქების დაბეზღებით არაბთა სარდლობის მიერ.

მე-10 საუკუნეში დინარა დედოფალმა აღუდგინა გარდმანის მეზობელი შაქის ოლქს ქართულენოვნება, ანუ ჰერეთის მკვიდრ მოსახლეობას, ამის შედეგად შაქი ეკლესიურად დაუბრუნდა მშობლიურ ქართულენოვან სამყაროს, მაგრამ საბოლოოდ, პოლიტიკურად, გუგარქიცა და შაქის ოლქიც ანუ გარგართა ქვეყანა (გოგარენა) საქართველოს დაუბრუნდა დავით აღმაშენებლის შემდეგ.

კავკასიის ალბანეთი

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კავკასიის – ალბანეთი

კავკასიის ალბანეთი – (ქართ. – რანი; სომხ. – ალუანქ; სირ. – არან; არაბ.-სპარს. – არ-რანი) ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო **კავკასიაში**, რომლის ტერიტორია დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ **აზერბაიჯანისა** და დაღესტნის რესპუბლიკის (რფ) სამხრეთ ნაწილს.

ანტიკური ეპოქის ავტორები (სტრაბონი) ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგენენ კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე მოქცეულ ტერიტორიას. შემდგომ საუკუნეებში წყაროები არ იძლევიან საშუალებას, ერთმნიშვნელოვნად დადგინდეს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც მათი განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I–II სს.). ძვ. წ. II ს-ში ალბანეთის 26 ტომის გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

I–II სს. ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს **სახელმწიფო**, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მათი დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. ამ ადგილამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან რანის ოლქის საზღვრებია.

პლინიუს მცირის მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი – კაპალაკი – კასპიის ზღვასთან ახლოს მდებარეობდა (ეს არ უნდა მივიჩნიოთ ამჟამინდელ ქ. ყაბალად, რომელიც ისტორიული ჰერეთის ოლქში მდებარეობს). ძვ.წ. I ს-ში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი.

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით გადაინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდგომდროინდელი რანი იქცა. ამის შემდეგ ალბანეთად, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია იწოდებოდა, რომელსაც ქართველები რანს უწოდებდნენ. სავარაუდოდ, კასპიისზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები იმის თაობაზე, რომ **ნმ. ნინომ** იქადაგა **ქართველთა** შორის „ვიდრე მასქუთებამდე“: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა **სახარება** კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“, მასქუთებამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდა.

შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით, ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV ს. წმ. ნინოს ქადაგების დროს.

სომხური წყაროებით, ალბანეთად უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა, კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. შემდგომდროინდელი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ, მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში, ანუ კასპიისპირეთში, მასქუთების ჩასახლებამ. ალბანური მოსახლეობა ორად გაიყო: ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი – ჩოლის რეგიონში, კავკასიის მთებისაკენ. მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. ამავე დროს, ეს პოლიეთნიკურობა იქცა იმის მთავარ მიზეზად, რომ ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა ყველასთვის ერთი საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ალბანეთის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი იყო კავკასიაში. ტრადიციით, ქრისტიანობა აქ მოციქულთა მოწაფემ, ელისემ (ელიშემ) იქადაგა. მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა: პირველი გადმოცემის თანახმად, ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ **იერუსალიმიდან** (სომხეთის გვერდის ავლით) განმანათლებელ ელისესგან, რომელიც იყო უფლის ძმის, იაკობის მოწაფე. ეს ვერსია მიუღებელი გახდა VII ს-ში, მას შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. მეორე, ახალი ვერსიით, ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმ. მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს; კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა **ეპისკოპოს** იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის **ციხესიმაგრესთან** ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყია „მასქუთების მხარეში“. მოციქული ელისე, რომელიც წამებით აღსრულებულა, იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ. ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის (VII ან X ს.)„ალვანთა ქვეყნის ისტორია“.

ალბანეთის საკათალიკოსო

№ 106

პირობითი აღნიშვნები

▲ ალბანეთის საკათალიკოსო ცენტრები

- - - ქართლის საკათალიკოსოს ცურტავის ეპარქიის საზღვრები

მასშტაბი 1:2 900 000

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2013

საზღვარზე იბერიასა და ალბანეთს შორის მდებარეობდა პუნქტი ხალხალი (ხილხალა) (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985, გვ. 60). ხილხალი I მდებარეობდა შამქორთან უდაბნოში, ხილხალი II მდებარეობდა შაქთან, ტყეებითა და მდინარეებით ცნობილ რეგიონში, ეთანადება ლეონტი მროველის მიერ ნახსენებ „ტყე-ტბა გულგულას", კალანკატუაცის ცნობით, ის მდებარეობდა გზაზე, რომელიც წორს აერთებდა პარტავთან (იქვე, გვ. 60). ამ გზაზე, ამჟამად, მდებარეობს სოფელი ფილფილა, აზერბაიჯანის ვართაშენის (ოგუზის) რაიონში.



არსენ საფარელი ქართლის კათალიკოსი აღნიშნავს, რომ ქართლის კათალიკოს კირიონ I-ს სომხეთის კათალიკოსმა მოთხოვა, რათა ცურტავის ეპარქია დაეთმო სომხური ეკლესიისათვის, რადგანაც VI ს-ში ცურტავის ქართულ ეპარიის მრევლს წირვა-ლოცვა სპარსეთის ნებით დაენერგა სომხურ ენაზე ბიზანტიის გამარჯვებათა შესაბამისად კირიონმა ქართველ მრევლს ალუდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, რაც სომხურ ეკლესიისათვის მიუღებელი იყო საეკლესიო დავაში მონაწილეობდა ალბანეთის ეკლესიაც, რადგანაც ალბანურ ეკლესიაშიც დვინის საკათალიკოსომ VI ს-ში დანერგა სომხურენოვანი წირვა-ლოცვა

III ს-ში ალბანეთი **ირანის** ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. მას მართავდა ირანის შაჰებს დამორჩილებული ადგილობრივი დინასტია. IV ს. ალბანეთის მეფე ურნაირი განუდგა სპარსელებს, ჩავიდა სომხეთში და საკუთარ დიდებულებთან ერთად მოინათლა. ქრისტიანობა მის სამეფოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამ პერიოდში, სომხური წყაროებით, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში, მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდგომ-დროინდელ შამახიდან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში ქრისტიანობა გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილს, გრიგორისს, უქადაგია და მასქუთთა ხელით მოწამებრივად აღსრულებულა. წყაროებში ეს გრიგორისი მოიხსენიება ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსად.

აღსანიშნავია, რომ იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთ-ერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ შემ-დგომდროინდელი ჰერეთის დედოფალი დინარი რუსულ წყაროებში ივერიის დედოფლად მოიხსენიება (როგორც ჰერეთის დედოფალ დინარს, ასევე მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთში მქადაგებელ გრიგორისს იბერიასთან აკავშირებდნენ). V ს. 10-იან წწ. ალბანეთის დედაქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე). შემდგომში, V ს. შუა წლებში, ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე, ალბანეთის მეფეებმა, კერძოდ, მეფე ვაჩე II-მ (444–463) ახალი დედაქალაქი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო-სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე).

სპარსეთი ცდილობდა, კავკასიელ ქრისტიანებში **ზოროასტრიზმი** დაე-ნერგა. ამ მხრივ სპარსული პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა შაჰ იეზ-დიგერდ II-ის დროს, რასაც მოჰყვა კავკასიელ ხალხთა მძლავრი ანტიირა-ნული **აჯანყება** (450–451). აჯანყების მეორე ეტაპზე ალბანელებმა შეძლეს ჩოლის (ჩორის) გადასასვლელის დაჭერა კასპიისპირზე, მაგრამ მალე სპარსელებმა დაქირავებული ჰუნ-ონოგურების დახმარებით მოახერხეს ალბა-ნელთა წინააღმდეგობის გატეხა და მათი დამარცხება. 462 წ. მათ გააუქმეს ალბანეთის სამეფო და შექმნეს სამარზპანო, რომელშიც შევიდა ალბანეთის კასპიისპირა პროვინციები, ასევე არცახი, უტიკი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით ჰერეთთან (ყაბალის რეგიონი) ერთად.

ალბანეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სპარსი მარზპანებიც 30 წლის განმავლობაში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ. არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს. უსაფუძვლოა ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება, რომლებიც ალბანეთს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ის ნათესავმა, ვაჩაგან III-მ (487–510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო. 551 წ. ალბანეთის ეკლესიის მეთაურმა მიიღო **კათალიკოსის** ტიტული. პირველი კათალიკოსი იყო აბასი, რომლის კათედრა პარტავში მდებარეობდა. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ალბანეთში იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: პარტავის, ჩოლის, კაპალაკის, ამარასის, ხაშუს, ტალაძანკის, შაქისა და სალიანის.

ვაჩაგან III-ის გარდაცვალების შემდეგ ირანელებმა ისევ სამარზპანო შექმნეს, რომელშიც ჰერეთიც შედიოდა. სამარზპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთად მოიხსენიებს. VI ს. ალბანეთი ქართლსა და სომხეთთან ერთად სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი – არაბებისა.

VII ს. ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640–680) ისევე, როგორც მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატი, მართლმადიდებლები იყვნენ, ამის გამო 705 წ. ვარაზ-თრდატი ქრისტიანობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) უშუალოდ ხალიფატის შემადგენლობაში შეიყვანეს. კერძოდ, სახალიფოს იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმენია ერქვა და რომლის ცენტრი იყო ქ. დვინი. დვინის სომხური საკათალიკოსო გაძლიერდა და ახლა ალბანეთის ეკლესიასაც აკონტროლებდა, როგორც არმენიაში შემავალი ერთ-ერთი ოლქის ეკლესიას. არმენიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) თითქმის IX ს. ბოლომდე დარჩა. არაბებმა, რომლებიც ბიზანტიის საპირისპიროდ, სომხეთში **მონოფიზიტობას** მფარველობდნენ, აიძულეს ალბანელები, სომხური აღმსარებლობა გაეზიარებინათ. VII ს. ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური, ანუ ქალკედონური მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია, რასაც მოსახლეობის ნაწილის ისლამიზაცია ერთვოდა.

მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი, გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზ-თრდატის მეუღლე. სომხეთის კათალიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსმა მისწერა: სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება. სომეხთა კათალიკოსმა მოუწოდა **ამირას**, რომ ალბანელი ქალკედონები დაესაჯა, რაც ამირამ სიამოვნებით აღასრულა და სომეხთა კათალიკოსს შეატყობინა, რომ ალბანეთში გაგზავნა დიდძალი **ჯარი**, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია – ამ მეომრებმა

„...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“. იმავე წერილში არაბი ამირა სწერს სომეხთა კათალიკოსს: „ჩვენი მსახური შენ წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა“.

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული კათალიკოსი დაიმალა, მაგრამ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“. სომეხმა მღვდლებმა არაბებთან ერთად ალბანთა კათალიკოს, ნერსესის ქალკედონური ალბანური წიგნები, რომლებითაც სავსე იყო **ზანდუკი**, წყალში ჩაყარეს. დევნის ამ ეპოქაში გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც **ლტოლვილმა** ალბანელმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. **სინას მთის** წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების „ქართიზაცია-გაქართველებას“, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, როგორც **მართლმადიდებლურ** კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათალიკოს ნერსესის მსგავსად მკაცრად დაისჯებოდნენ.

ამ მოვლენების შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათალიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის მიერ. „ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში, ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“, – აღნიშნულია მ. კალანკატუაცისთან. ეს პირობა დაიდო პარტავის კრებაზე, რომელსაც სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა სომხური წელთაღრიცხვით 148 წ. (699) (სხვა ცნობებით, პარტავის კრება გაიმართა 706 წ.).

მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის ეკლესიის მამამთავრებს. ამ და სხვა წყაროებით დგინდება ალბანეთის კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი სომხეთის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში შესვლამდე: აბასი (551–595), ვირო (595–629), ზაქარია (629–644), იოანე (644–671), უხტანესი (671–683), ელიაზარი (683–689), ნერსესი (689–706).

ალბანეთის საკათალიკოსომ, როგორც სომხური ეკლესიის ადმინისტრაციულ-სტრუქტურულმა ერთეულმა, იარსება 1815 წლამდე. XIV ს. ბოლოდან კათალიკოსების რეზიდენცია იმყოფებოდა არცახში არსებულ განძასარის

მონასტერში. ე.წ. ალბანეთის „ივერიის“, ანუ ჰერეთის, მოსახლეობა ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდა. კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა თანამედროვე ქ. ყაბალისა და ვარდაშენის შუა ქედზე, რომელსაც დღესაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დაღი) ეწოდება. *მიტრ. ანანია (ჯაფარიძე)* http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კავკასიის ალბანეთი



გუგარქის ქართულობის შესახებ

სრულიად არასწორია ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული თვალ-საზრისი, თითქოსდა, გუგარქის მოსახლეობა, როცა ის ე. წ. „დიდ არმენიაში“ შედიოდა, იყო მთლიანად სომხური, ასე წერს, მაგალითად, გვერდი – https://wikipedia.tel/Гугарк. 18. 02. 2021.

აქ ნათქვამია – Население Гугарка было полностью армянским во время нахождения области в Великой Армении. Позже армяне продолжали составлять там большинство, и бдешх края был армянским. До **Геноцида_армян** население области неизменно составляли **армяне.** https://wikipedia.tel/Гугарк. 18. 02. 2021.

ამ გვერდის (https://wikipedia.tel/Гугарк. 18. 02. 2021) მიხედვით, გუგარქი მოიცავდა არტაან-კლარჯეთს წუნდას ჩათვლით, ასევე, ქვემო ქართლსა და სხვა ქართულ ოლქებს.

ამჟამად კი ის საერთაშორისოდ ამტკიცებს, რომ ამ ოლქების მოსახლეობა მთლიანად სომხური იყო.

საინტერესოა, რომ ქართული მხარე არც კი აკრიტიკებს ამ არასწორ მოსაზრებას.

რატომ?

მიზეზია, ქართიზაციის თეორია, რომლის მიხედვით, მაგალითად, ზ. ალექსიძისა და არა მხოლოდ მისი მტკიცებით, გუგარქის მოსახლეობა სომხური იყო, რომლის „გაქართველებაც“, თითქოსდა, სურდა კირიონ I კათალიკოსს გუგარქში ქართულენოვანი ღვთისმსახურების დანერგვით.

სინამდვილეში, კი (რაც აღნიშნულია ჩემს სტატიაში „კირიონ I“, რომელიც „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ 34-ე ტომშია გამოქვეყნებული), საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი გუგარქის მრევლისათავის სომხურენოვნება დაინერგა ძირითადად მე-6 საუკუნიდან. ქართლის სამეფოს გაუქმებისა და კავკასიური სახელმწიფოების დაპყრობის შემდეგ. ეს საკითხი მოკლედაა განხილული სტატიაში „კირიონ I“, რომელიც „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“ დაბეჭდა.

КИРИОН I (ПЭ.Т. 34)

[Кирон; груз. კირიონ, კირონ], католикос Картли (Мцхетский) (ок. 599-614/616) Грузинской Православной Церкви (ГПЦ). Имя К. отсутствует в грузинских источниках, содержащих сведения о предстоятелях ГПЦ, в частности в грузинской летописи «Мокцеваи Картлисай» (Обращение Картли), где помимо других данных приведены списки грузинских католикосов. Поэтому долгое время К. не был включен в офиц. списки предстоятелей ГПЦ, где под Кирионом I подразумевался **Кирион II,** под Кирионом II - **Кирион III (Садзаглишвили)**.

Сведения о К. содержатся в основном в арм. источниках (в сочинении арм. историка Ухтанеса «История Армении», «Книге посланий», сочинении Мовсеса Каланкатуаци «История страны Алуанк», сочинении Ованнеса Драсханакертци «История Армении»), а также в антимонофизитском трактате грузинского церковного деятеля Арсения Сапарского (Сапарели) «О разделении Грузии и Армении» и сочинении грузинского царевича Вахушти Багратиони «История царства Грузинского». В последнем К. назван также Симеоном (Вахушти Багратиони. История царства Грузинского // КЦ. 1973. Т. 4. С. 120. Примеч. 2).

Согласно сведениям Ухтанеса, К., по происхождению грузин, был родом из с. Скутри (Сакудрия) (близ совр. Ахалкалаки) южногруз. исторической пров. Джавахети. В юношеские годы он «пришел в страну Ромейскую», т. е. в Византию, и жил в греч. части Армении – в Никополе в пров. Колония близ

Трапезунда, где проживало много грузин (лазы и калды (халибы)). Владея арм. и груз. языками, К. в совершенстве изучил здесь греческий язык и «их злое (халкидонское.- Авт.) учение» (Ухтанес. 1975. С. 21). Грузины также составляли основную часть населения и соседних провинций Тао (арм. Тайк) и Басиани (арм. Басен), поэтому К., как видно, решил остаться в этом регионе и переехал после получения образования в Двин. Тао и Басиани в тот период входили в состав Армении и относились к юрисдикции Армянской Апостольской Церкви (ААЦ); между ней и ГПЦ существовало каноническое общение, и этнические грузины этих областей составляли паству и клир ААЦ. По сведениям Ухтанеса, К. принял хиротонию, занял кафедру Айраратского епископа ААЦ и стал настоятелем кафедрального монастыря в Двине. Через 5 лет он вернулся на родину и был избран католикосом Картли (Там же. с. 21–23). По сведениям арм. историка католикоса Ованнеса Драсханакертци, в кон. VI в. К., «согласно прежним законам», был возведен в сан католикоса «иверов, гугаров и эгров (лазов – в визант. источниках.- Авт.)» (Ованнес Драсханакертци. 1984. С. 55). По мнению груз. историка И. А. Джавахишвили, эта дефиниция позволяет определить границы юрисдикции Картлийской Церкви (древней ГПЦ) не только при К., но и в более раннее время: «Гугарети принадлежала пастве католикоса Картлийского. Упоминание Кириона католикосом Мегрельским означало, что паства Картли, т. е. католикоса Мцхетского, была в Западной Грузии и границы Католикосата были расширены в Лихт-Имерети (т. е. доходили до границ Чёрного м.- Авт.). Политическому объединению Западной и Восточной Грузии предшествовал и готовил почву начавшийся намного раньше процесс объединения Церкви» (Джавахишвили. 1960. с. 341–342).

К. управлял ГПЦ в период обострения борьбы между Ираном и Византией, в церковной сфере это выражалось в противостоянии монофизитства, поддерживаемого персами, и дифизитства. К. выражал приверженность решениям Халкидонского Собора 451 г., проводил национальную религиозную политику и сыграл важную роль в вопросе политической ориентации Грузии на Византию. Взойдя на престол Предстоятеля ГПЦ, К. содействовал возвращению представителей разных конфессий в Православие. Он отправил посла в Иерусалим и Рим, чтобы узнать мнение глав этих Церквей о необходимости повторного крещения несториан, желающих воссоединиться с Православием. Сохранилось ответное письмо папы Римского Григория I (Gregorius I, Papa (Magnus). 1902. с. 24–26, 575–577). Следуя рекомендациям папы, К. принял в Православие покаявшихся сирийцев-несториан и даже хиротонисал некоторых во архиереев. Тесную связь поддерживал К. с Иерусалимом, особенно во время прений с монофизитами.

Политика К. спровоцировала раскол ГПЦ и ААЦ. Эпоха его правления в контексте отделения ААЦ от православных Церквей описана в трактате «О разделении Грузии и Армении». На Двинском Соборе 554–555 гг., созванном арм. католикосом Нерсесом II Багревандци, ААЦ отвергла решения Халки-

донского Собора (подробнее см. в ст. Двинские Соборы Армянской Апостольской Церкви (VI-VIII вв.)). Как указано в источнике, «в связи с этим вся Картли и четвертая часть Армении отделились от рукоположения армянским духовенством. А эры и сивнийцы одно время отделились, но потом опять воссоединились с ними» (Арсений Сапарели. 1980. с. 27). Как считают некоторые историки, под «всей Картли» подразумеваются исторические провинции Тао, Басиани и прилегающие к ним регионы; под «четвертой частью Армении» – пров. Айрарат с окрестными территориями (Анания (Джапаридзе), митр. 2011. с. 122). Они опираются на сведения Арсения Сапарели: «Попросил Авраам у Кириона эту епархию (Цуртавскую.- Авт.), но он не дал, и увеличилась вражда между ними. Созвал Авраам священнослужителей Арарата и сказал им: или отрекитесь от Халкидонского Собора, или изыдите из нашего владычества... Католикос Авраам силой изгнал священослужителей – Иоанна, предстоятеля святой соборной Церкви, а также Ошакана, Эливарда, Арамунта, Гарниса из всех монастырей всего Арарата» (Арсений Сапарели. 1980. с. 22–30). Другие исследователи (Алексидзе и его последователи) понимают под Картли Вост. Грузию. На основании того что Басиани, согласно «Книге посланий», являлась мощным центром монофизитства даже при византийцах (с 591), Тао не входила в состав Картли до 1-й пол. VIII в., а Айрарат с центром в Двине был владением арм. католикоса, под «четвертой частью Армении» они подразумевали Четвертую Армению.

Прения между ААЦ и ГПЦ продолжались неск. десятилетий. Решения Халкидонского Собора поддерживали К., Эретский (Херетский) католикос Абас (551/2-595/6) (глава Церкви в **Албании Кавказской**) и еп. Сюникский. К. сместил с кафедры Цуртавской епархии приверженца решений Двинских Соборов еп. Моисея, которого ранее, взойдя на престол католикоса, сам и хиротонисал. Арм. католикос Авраам I Албатанеци (606/7-610/5) «просил его кафедру» у К., т. е. вел переговоры о передаче Цуртавской епархии в ведение ААЦ. К. ответил отказом, «и углубились распри между ними». Следующий арм. католикос, Комитас I Алцеци (610/5-628), передал в ведение албан. католикоса 7 епархий и т. о. вернул Церковь в Албании Кавказской к монофизитству. Также он пожаловал епископу Сюникскому право ношения креста, возвратив его в лоно ААЦ (Там же. 1980. с. 78).

В «Книге посланий», где также повествуется о церковном разделении в Закавказье, собрана переписка между К. и участниками межцерковного спора. Важное место в тексте отводится еп. Цуртавскому Моисею и истории Цуртавской епархии, расположенной в Квемо-Картли (арм. Гугарк). Убедившись в приверженности К. к решениям Халкидонского Собора, еп. Моисей, названный во 2-м письме «епископом грузин», покинул епархию и перешел в Армению (Книга посланий. 1968. с. 2, 12, 15).

После самовольного ухода еп. Моисея из епархии последовала переписка К. с представителями ААЦ (католикосом Мовсесом II Еливандеци (574–604),

наместником арм. католикоса Вртанесом Кердолом, католикосом Авраамом I) и арм. светских властей (ставленником персид. шаха в вопросах упорядочения церковных дел в Армении Врканским марзпаном Смбатом Багратуни), где К. доказывал правомочность своей внутренней и внешней политики. Оппоненты обвиняли главу ГПЦ в притеснении еп. Моисея, в упразднении армяноязычного богослужения, установленного в Цуртави вмц. Шушаник, а также в приверженности К. к «ромеям (т. е. византийцам.- Авт.), которые приняли Халкидонский Собор» (Там же. с. 67). Особенно непримиримо выступал против позиции К. католикос Авраам I.

Однако К. убедил Смбата Багратуни в своей лояльности к Ирану, а также отверг обвинения в отмене арм. богослужения: «Мы богослужение (на арм. языке.- Авт.) не отменяли, но тот, кто поставлен (нами.- Авт.) епископом, знает и грузинскую, равным образом и армянскую грамоту, и богослужение совершается на обоих языках» (Книга посланий. 1968. с. 70, 78; Ухтанес. 1975. с. 125, 153). Груз. историки считают, что К. ввел груз. богослужение в Цуртавской епархии (Джавахишвили) или лишь в той ее части, к-рая была населена армянами (Алексидзе). Однако, по мнению груз. церковных историков, К. восстановил в регионе древнюю практику богослужения на груз. языке, что было ранее отменено под давлением персид. властей.

После продолжительной переписки с К. разочарованный своей неудачей католикос Авраам I издал окружное послание, обращенное ко всем армянам, в котором сообщил о разрыве с ГПЦ, выразил приверженность к монофизитству и осудил халкидонство, «достигшее Картли и Албании, где его приняли и укоренили. Кирион изгнал епископа Цуртавского из-за православной веры... восстав против нас, изменил армянское богослужение». Он советовал пастве не молиться с грузинами и албанцами, не делиться пищей, не связываться родственными узами: «Только торгуйтесь с ними, как с евреями» (Книга посланий. 1968. С. 120–122).

Предположительно в 614/6 г. проперсид. силы принудили К. оставить предстоятельство в ГПЦ. По мнению Алексидзе, после вынужденного отъезда из Картли К. возглавил Фасисскую митрополию (г. Фасис, ныне Поти), а затем стал патриархом Александрийским.

Совр. груз. историография оценивает деятельность К. как ключевую в сложившейся в данном регионе исторической обстановке: считается, что длительное противостояние К. монофизитству в один из наиболее сложных для правосл. Церкви периодов обусловило сохранение религ. и национальной идентичности груз. паствы региона, не подвергшейся арменизации и не перешедшей в лоно ААЦ, как это произошло с паствой Церкви в Албании Кавказской в VII-VIII вв. Митр. Анания (Джапаридзе).

https://www.pravenc.ru/text/1840497.html



მე-6 საუკუნიდან საპარსეთი აქტიურად უჭერდა მხარს მონოფიზიტურ (ანტიბიზანტიურ) სომხურ ეკლესიას და პირიქით, სასტიკად დევნიდა ქალკედონურ ქართულ და ალბანურ ეკლესიებს, ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მე-7 საუკუნიდანაც, არაბობის დროს.

გუგარქში, ქართლის სამეფოს არსებობის დროს, აღესრულებოდა ქართული ღვთისმსახურება მეოთხე საუკუნიდან ვიდრე მეექვსე საუკუნემდე, როცა სპარსეთის ნებით გუგარქსა და ასევე მეზობელ ალბანეთში ღვთისმსახურებისათვის სომხური ენის დანერგვა დაიწყო იმჟამად სომხური ეკლესიის მომხრე სპარსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით.

ამ პრაქტიკის წინააღმდეგ კირიონმა ისევ აღადგინა გუგარქის ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ამის შესახებ აცნობა სპარსეთის ხელისუფლებას, თავის მართლების მიზნით, კერძოდ, რომ მას არ აუკრძალავს სომხურენოვანი ღვთისმსახურება.

აქედანაც ჩანს, რომ გუგარქში სომხურენოვანი ღვთისმსახურება დაინერგა სპარსეთის იმპერიის ნებით, რომელმაც მე-6 საუკუნეში გააუქმა ქართლის სახელმწიფოებრიობა, დევნიდა საქართველოს ქალკედონურ ეკლესიას და ამიტომ, საქართველოში, მათ შორის გუგარქში მხარს უჭერდა სომხურ მონოფიზიტურ აღმსარებლობას, შესაბამისად, ავიწროებდა ქართულენოვან ღვთისმსახურებას და მის ნაცვლად ნერგავდა სომხურენოვანს არა მხოლოდ ქართლში, არამედ ალბანეთშიც.

ქართველი მეცნიერები კი საბჭოთა კლიშეებიდან ვერ თავისუფლ-დებიან და კვლავ ამტკიცებენ, რომ გუგარქი სომხურენოვანი იყო და კირიონმა მისი ე.წ. „გაქართველების“ მიზნით იქ ქართული წირვა-ლოცვა შემოიღო.

საბჭოთა მეცნიერები საერთოდ არც კი ახსენებენ, ანდა თავს არიდებენ სტრაბონის ღირსშესანიშნავ ცნობას, რომ ისეთი ვრცელი ოლქები, როგორიც იყო ხორძენა, პარიადრე და გოგარენა იბერიას ეკუთვნოდა და მხოლოდ ქრის-ტეშობამდე დაახლოებით 170 წელს ისინი მიიტაცეს არმენიელმა მეფეებმა.

ამასთან დაკავშირებით ისმის კანონიერი კითხვა, თუკი იბერია ისეთი დიდი ქვეყანა იყო, რომ ის მოიცავდა ისეთ შორეულ ოლქებს, როგორიც იყო პარიადრე, ხორძენა და გოგარენა, ნუთუ არ მოიცავდა შემდგომდროინდელ კახეთს, მის ქალაქებს, ბოდბესა და თელავს, რომელთაც ალბანეთს აკუთვნებს ზოგიერთი მეცნიერი.

საბჭოთა გამრუდებულმა ისტორიულმა გეოგრაფიამ ღრმა ჩიხში შეიყვანა ქართული ისტორიოგრაფია.

ამის შედეგად, როგორც **საინტერნეტო გვერდებიდან** ჩანს, ზოგიერთი მეზობელი დაინტერესებული პირი პრეტენზიას აცხადებს საქართველოს მიწა-წყალზე, ოსები შიდა ქართლზე, აფსუები მთელ დასავლეთ საქართ-ველოზე, სხვები კახეთსა და ქვემო ქართლზე, ქვემო ქართლსა და ჯავახეთზე, ინტერნეტგვერდებიდან ჩანს პრეტენზიები მთიანეთზე.

ქართიზაციის თეორიით დაჰიპნოზებული ქართველი მეცნიერების პასუხი არის დუმილი ანდა ნაძალადევი, მეჩხერი, აქა-იქ გამოქვეყნებული სტატიები. ამიტომაც კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ წყაროებს.

„ქართლის ცხოვრებისა“ და „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები კახეთის, კუხეთის, ჰერეთისა და კამბეჩანის შესახებ

„სომხური გეოგრაფია“, წყარო, რომელიც იწერებოდა სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, მე-7 საუკუნეში, წერს, რომ კამბეჩანი მდებარეობდა მდ. მტკვარზე.

წყაროს ეს ცნობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ თითქოსდა კამბეჩანი მდებარეობდა ალაზან-იორ-მტკვრის შუამდინარეთში.

კამბეჩანი მდებარეობდა იქ, სადაც მიუთითებს წყარო, მტკვარზე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, და არა ქიზიყში. ანუ, კამბეჩანი მდებარეობდა თანამედროვე ქიზიყზე უფრო სამხრეთით.

იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად ქიზიყს უწოდებენ, მოქცევაი ქართ-ლისაის ცნობით, კახეთი ანდა კხოეთი ეწოდებოდა და არა კამბეჩანი.

მაშასადამე, მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფია კამბეჩანს ათავსებს მტკვრის სანაპიროებზე და არა ამჟამინდელი ქიზიყის ადგილას – „Согласно

«Армянской географии» VII века, Камбечан область Кавказской Албании, **расположенная на реке Кура**“ http://wiki-org.ru/wiki/Камбисена.

საერთოდ, ამჟამინდელი, ქიზიყი, რომელიც ძველად კხოეთად ანდა კუხეთად იწოდებოდა, კახეთის ანუ ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო, ხოლო, რაც შეეხება კამბეჩანს, უცხოური წყაროებით ის სომხეთის ქვეყნის ნაწილი იყო, ზოგჯერ კი ალბანეთისა და ესაზღვრებოდა იბერიას, აქედანაც ჩანს, რომ ამჟამინდელი ქიზიყი არ იყო ის ქვეყანა, რომელსაც სომხურ წყაროებში კამბეჩანი ერქვა. **სტრაბონს კამბისენა არმენიის ქვეყნად მიაჩნდა, რომელიც შემდეგ ალბანელების ხელში მოექცა.**

ასე რომ, არაფრითაა საინტერესო ქიზიყის კამბეჩანად დანახვა, ასეთი მოსაზრება, როგორც ჩანს, რუსმა მოხელე კ. განმა დანერგა პირველად, შესაძლოა, ერთ-ერთი ხელნაწერის არშიაზე არსებული მინაწერის გავლენით (*Ган К. Ф.* Опыт объяснения кавказских географических названий. – Типография канцелярии Наместника его Императорского Величества на Кавказе., 1909. - с. 70), როცა მან კამბისენეს სახელი ქართულ სიტყვა კამეჩს დაუკავშირა.

სხვათა შორის კამეჩებისათვის უწყლო ქიზიყზე გაცილებით უკეთესი წყლიანი საძოვრები და თხელი ჭაობები იყო მტკვრის ხეობაში, რომელიც, როგორც ვთქვით, მინგეჩაურის წყალსაცავით დაიფარა და რომელსაც ჩვენ მივიჩნევთ ისტორიულ კამბეჩანად, აღნიშნულ წყაროზე, მე-7 ს. სომხური გეოგრაფიის ცნობაზე დაყრდნობით.

В IX веке Камбечан входил в состав армянского княжества Смбатянов, вассалов Багратидской Армении. Население региона к этому периоду было в основном армянским и армяноязычным.
https://amp.info-about.ru/4401629/1/kambisena.html

მე-9 საუკუნეში კამბეჩანი შედიოდა არან-შაქ-არცახის მფლობელ სმბატიანების მფლობელობაში, მისი მოსახლეობა, ამ კვლევით იყვნენ სომხები ანდა სომხურენოვანები.

აქედანაც ჩანს, რომ ეს კამბეჩანი არაა ქიზიყი. არამედ, როგორც ითქვა, ქვეყანაა მტკვარზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული.

როგორც ითქვა, კამბისინე, სტრაბონისა და სხვა ავტორების ცნობებით, არმენიის ქვეყანა იყო, რომელიც შემდეგ ალბანეთის ხელში გადავიდა, იბერია მას მხოლოდ ესაზღვრებოდა, კამბეჩანი იხსენიება ასევე, მე-9 საუკუნის სომხურ ქრონიკებშიც, მაგრამ არა როგორც იბერიის ნაწილი, არამედ როგორც ოლქი არცახ-რან-შაქის სომეხი მმართველებისა.

მაგრამ, რაც შეეხება ქიზიყში მოღვაწე სტეფანე ხირსელის ცხოვრებას, ნათლად ჩანს, რომ ის არა უცხო ქვეყანაში, არამედ ქართლში მოღვაწეობდა. მისი მაგალითი ამ ფაქტს აჩვენებს.

ის ქართლში მოღვაწეობდა, ამიტომ მისი სამოღვაწეო ამჟამინდელი ქიზიყი, მის დროს ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო, ამიტომ ამ წყაროს ცნობით, ქიზიყი არ შეიძლება, რომ კამბისენად, კამბეჩანად მივიჩნიოთ.

ქიზიყი კამბეჩანად მიიჩნიეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ხელნაწერში ნახეს არშიაზე მინაწერი, რომ კამბეჩიანი არის ქიზიყი, მაგრამ სინამდვილეში, კამბეჩანი მდებარეობდა ქიზიყის მეზობლად, როგორც ითქვა იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი.

გარე კახეთი, სადაც დავითგარეჯას მონასტრებია, ჰერეთის ნაწილად მიიჩნევა, რაც შეცდომაა, რომლის გამოკვლევაც მოცემულია ქვემოთ,

გარე კახეთი დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, აქაა უჯარმა, ხაშმის სამება, ნინოწმიდის ეკლესია, რაც მთავარია, დავითგარეჯას მონასტრები, ეს მიწა-წყალი იყო ისტორიული კუხეთი და კახეთი, როგორც, წყაროში, ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია -

კუხეთსა და კახეთს ერთმანეთისაგან ყოფდა გომბორის ქედი (რომელსაც წყაროში „კახეთის მთა“ ეწოდება), შესაბამისად, კუხეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და მტკვარს შორის, ხოლო კახეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, კუხეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და მტკვრს შუა, ხოლო კახეთი მოიცავდა მიწა-წყალს გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის.

ჰერეთი კახეთ-კუხეთის სამხრეთით მდებარეობდა და სასაზღვრო ხაზი მათ შორის მდინარე გიშისწყალთან გადიოდა.

ჰერეთი, წყაროს ცნობით, იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან.

ჰერეთსა და კახეთს შუა გამდინარე გიშისწყალი, იქვე, ახლოს, კავკასიის ქედიდან, ტყეტბა-გულგულასთან გამოედინებოდა და ალაზანს უერთდებოდა.

ამჟამად გიშისწყალს ეწოდება აგრიჩაი, ისაა ალაზნის უმთავრესი შენაკადი, რომელსაც იერთებს ალაზანი და ახლოს ერთვის მტკვარს, დიდ ვაკეზე, რომელსაც პლინიუსიც ახსენებს.

გიშისწყალი ალაზანთან შეერთების შემდეგ უნდა იყოს ის მდინარე ოკაზანი, რომელიც პლინიუსის ცნობით ,კავკასიის ქედზე იღებდა სათავეს, ასევე, გიშისწყალიც შექთან ახლოს კავკასიის ქედზე იღებს სათავეს, ამჟამინდელი აზერბაიჯანის ოგუზის (ვართაშენის) რაიონის სოფლებ ფილფილასთან და ხალხალთან ახლოს. ამ სათავესთან უნდა ვეძიოთ ლეონტის მიერ ნახსენები ტყეტბა-გულგულა, ჰერეთის სასაზღვრო წარტილი,

მაშასადამე ,ჰერეთს ჰქონდა ორი სასაზღვრო წერტილი, იორ-ალაზნის შესართავი, და იქვე, ახლოს, დაახლოებით 60–70 კილომეტრში მდებარე ტყეტბა-გულგულა, ანუ თანამედროვე სოფელი ფილფილი (იქვე, ხალხალი).

ჰერეთის საზღვარს კახეთთან ამ ორი წერტილის შეერთებით მიღებული ხაზი ქმნიდა. მართალაც, შემდეგ საუკუნეებში, როგორც აღინიშნა, კახეთის სამეფოს საზღვარი მე-17 საუკუნემდე, სწორედ ამ ხაზზე გადიოდა, კერძოდ, იორ-ალაზნის შესართავიდან, აჯინოურის ტბის გავლით, ვიდრე ფილფილამდე. სხვათა შორის, სოფელ ფილფილთან მდებარე ქედს იქაური მკვიდრები „გურჯიდაღს“ უწოდებდნენ და საქართველოს ძველ საზღვრად თვლიდნენ, რაც უკვე აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ გიშისწყალთან ახლოს მდებარე მეორე მდინარე ალიჯანჩაიც გიშისწყლის სათავესთან ახლოს გამოედინება კავკასიის მთიდან და იქვე, ახლოს მტკვარს ერთვის დიდ ვაკეზე, სწორედ ისევე, როგორც ამას აღწერს პლინიუსი, მდინარე ოკაზანის დახასიათებისას.

ეს მდინარეც (ალიჯანჩა) კავკასიის მთებში გამოედინებოდა და დაბ-ლობში უერთდებოდა მტკვარს, ის იყო საზღვარი იბერიასა და ალაბანეთს შორის.

მაშასადამე ,ორი ერთმანეთის მოსაზღვრე მდინარე გიშისწყალი და ალიჯანჩაი შეეესაბამება პლინიუსის ცნობას იბერია-ალბანეთის საზღვართან დაკავშირებით.

ალიჯანჩაი, საერთოდ, დიდხანს იყო საზღვარი კახეთის სამეფოსი. „Первое **кахетинское царство**. В состав королевства входили территории от **Ксани** (западная граница) до реки **Алиджанчай** (восточная граница)“

https://ru.wikipedia.org/wiki/Первое_кахетинское_царство

მაშასადამე, VIII-XI საუკუნეებში კახეთის „პირველი სამეფოს“ საზღვარი ჰერეთთან იყო მდინარე ალიჯანჩაი, ახლოს მდ. გიშისწყალთან, ხოლო ჰერეთი იყო იგივე შაქის რეგიონი, რომელიც შაქის სამეფოდ ჩამოყალიბდა. В 822 году армянский **князь Шеки Сахл Смбатян** установил свою власть над всей территорией Аррана.

На территории Арранаа существовали города **Барда, Байлакан, Гянджа и Шамкир**.

Река Аракс являлась границей между Азербайджаном и Арраном.

С IX-X веков под Арраном источники понимали преимущественно степную зону **междуречья Куры и Аракса, то есть Мильскую степь.** https://ru.wikipedia.org/wiki/Арран_(область_в_Закавказье)

ჰერეთის მოხსენიება ქართულ წყაროებში

ქართული წყაროები (რომელთაგან ამონარიდები ქვემოთაა მოცემული), როგორც წესი, ჰერეთსა და რანს მუდამ ერთად იხსენიებს თითქმის მე-10 და მე-11 ს-ის დასაწყისამდე, საქართველოს მეფე გიორგი პირველამდე, ხოლო ამის შემდეგ წყაროებში მუდამ ერთად იხსენიება კახეთი და ჰერეთი.

წყაროებში რანისა და ჰერეთის მუდამ ერთად მოხსენიება მიუთითებს იმაზე, რომ ჰერეთი თავდაპირველად ერქვა რანის უშუალო მეზობლად მდებარე შაქის ოლქს, ხოლო მას შემდეგ, რაც მე-9 ს-დან, არაბთა ხელშეწ-ყობით, ჰერეთმა (ანუ ჰერეთის მონოფიზიტმა მმართველობამ) დაიპყრო სამხრეთ კახეთი, ჰერეთი უკვე კახეთის ნაწილს დაერქვა.

ანუ, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, რანი და ჰერეთი ერთად იხსე-ნიებოდა უფრო ძველად, ხოლო დაახლოებით მე-10 საუკუნიდან უკვე ერთად იხსენიება.

წყაროებში კახეთისა და ჰერეთის ერთად მოხსენიება უფრო მოგვიანებით (მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ), კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ IX–X საუკუნეებისათვის რანის მეზობლად, მტკვრის მარცხენა სანაპროზე მდებარე შაქის ოლქმა, ანუ ჰერეთმა, არაბთა მხარდაჭერით, შეძლო სამხრეთ კახეთის მიწების მიტაცება და ამის გამო სამხრეთ კახეთს ჰერეთი ეწოდა და ისინი მუდამ ერთად იხსენიება. თავის მხრივ, რანი ერქვა მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ბარდავისა და განძისმომცველ ოლქებს.

ლეონტი მროველი

ჰეროსის წილი ქვეყანა

ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამჯრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჯსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ. ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკჳდრა მუნ. ხოლო **ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა.** ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია. ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა...

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკჳრეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა. და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი. ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჳან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [.....შესარ]თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა. ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგჳთგან ვიდრე **ტყეტბადმდე**, **რომელი არს საზღვარი ჰერეთისა.** და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა.

რანი და ჰერეთი

...რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყჳდეს ოვსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო **რანი და ჰერეთი** დარჩა სპარსთა.

ხოლო ამას ადერკის ესხნ ეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა – ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თჳსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა. და მოკუდა ადერკი.

აწ ვაჴსენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არდაშირისი სასანიანისა ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, და შეჰრთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას. და მისცა ქართლი, სომხითი, **რანი, მოვაკანი და ჰერეთი.**და იყო მირიან მაშინ წლისა შჳდისა. და თანა ჰყვა ქასრე მეფესა დედა მირიანისი და არა დაუტევა იგი მი რიანის თანა, რამეთუ უყუარდა დედა იგი მირიანისი ვითარცა თავი თჳსი, არამედ დაუტევა მამამძუძედ და განმ-გებელად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ. და დაუტევა ორმოცი ათასი მჴედარი სპარსი რჩეული, და არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი ფიცისა მისთჳს, რომელ ფიცებულ იყო ქართველთად, არამედ დასხნა **ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს.** ხოლო უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი რჩეული შჳდი ათასი მჴედარი ყოვლადვე ქალაქსა შინა იპყრას მცველად ძისა მისისა. და ესრეთ დამზავა ქართველთა, რათა კარნი და ციხენი და ქალაქნი ყოველნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა: და სხუა სიმ-რავლე სპარსთა არა იყოს ქუეყანასა შინა ქართლისასა თანააღრეულად; „და იყოს შვილი ჩემი ორსა-ვე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლისმსახუ-რებასა და თქუენთა კერპთასა“, რამეთუ პირველვე ამას ზედა მოეცა ფიცი.

და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღჳთგან არსიანთამდე. და **დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი.** მანვე ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზბაქარსვე. და მოკუდა ვარაზ-ბაქარ, და დარჩეს ძენი მისნი სამნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა.

ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთჳს. და ყვეს აღთქმა და ფიცი საში-ნელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა. წარმოვიდა არჩილ და დაემკჳდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე და განაგნა ყო ველნი ციხენი და ქალაქნი, და აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა. და წარჴდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა ჴიდრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას

ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკჳდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი. **ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჴეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.** განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა **რანისასა**; დაეპყრათ გაზირი და სომხითი, და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა. ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით **შაკიხად,** სამნი ძმანი, და **დაემკჳდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა,** რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკჳდრო ქმნილ იყო. ხოლო **ჰერეთი და კახეთი** ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკჳდრნეს სამნივე იგი ძმანი **ვიდრე გულგულამდის.** მასვე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან. და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე, და ასულნი ოთხნი: გუარანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან. ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა.

და ვითარ გარდაჴდეს ამას შინა წელიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს, სახელით ხუასრო; ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოჴრებული ხაზართაგან.

მატიანე ქართლისა, გვ.251

ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს, და მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს.

მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა **გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს** უშუელეს მთიულთა

და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე.

შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და **ჰერეთი**. და მოკლეს აშოტ კურაპალატი **გარდაბანს**, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი.

გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უჴმო **კჳრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და კჳრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავისპირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კჳრიკეს ორჭობი.** ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა.

კახეთი და ჰერეთი

ბაგრატ III

და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და მამა მისი გურგენ, და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივად გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითა მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და წრფელი იყო, და ვერა აღძრა გული მისი ზაკჳთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონის-ძიებითა.

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელთა გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, მამა ამის ბაგრატ მეფისა და ძე ბაგრატ მეფე რეგუნისა, ქორონიკონსა სკᲫ.

... გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული **კახეთს**, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს. მას ჟამსა იყო ქორეპისკოპოსი დავით...

წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჴიდი მცხეთისა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, დაიწყო შემუსრვად **კახეთისა**. ..**აღიღო ქუეყანა ჰერეთისა,** და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა...კუალად მიიქცეს კაცნი **ჰერეთი**სანი დ ამიერთნეს დავითს; აღიღო დავით **ჰერეთი**. შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თჳსითა ბაგრატ, აღიღო მეორედ **ჰერეთი**. **დაიჭირა დინარ დედოფალი თჳსად, იწყო ძებნად კახეთისა,** და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი **კახეთისანი**. შეაწყუდია კჳრიკე **ბოჭორმას**, და დაუყენნა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო **ბოჭორმაცა.** და დაიპყრა სრულიად **ჰერეთი და კახეთი**, წარმოიყვანა კჳრიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ზედა.

შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიაქმან მელქი-სედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; და შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი; ჩოჩეთს უბანი ერთი, მიწა და ვენაჯი სასეფეო; ზეგანთა სოფელი ერთი შიდარი; და კახეთს ახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა (და) ლაგოდეჯი და ჰერეთსვე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი; და ზიარი სოფელი დიდი. ესე ყოველი სოფლები, რომელი მას მოიგო.

შემდგომად ამისა, ვითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უჴმო კჳრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; (ჩავიდეს **ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და კჳრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კჳრიკეს ორჭობი. ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კჳრიკე ქორე-პისკოპოსმან, და წარვიდა ქუეყანად თჳსად.** შემდგომად მცირედთა დღეთა გარდაიცვალა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე. რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა:

ამისსა შემდგომად ბაგრატ მეფემან **მოვლო ყოველი სამეფო თჳსი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჴევთა ტაოსათა,** და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა, წელსა მესამესა. და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ მეფე. მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი მჴცითა შუენიერითა, ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შჴდსა, დღესა პარასკევსა. და იყო 20 დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს და წარმოიღო გუამი მისი ზჴად ერისთავთ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას. შემდგომად მისსა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა სავსე ყოვლითა სიკეთითა. 1–15 სტრ., 284.

გიორგი I

ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თჳსსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა. მას ჟამსა **განუ[ფ]დგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა,** და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანით კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი.

ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმო-ვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დაჴოცნეს ურიცხუნი პირითა მახჴლისათა...და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეახლნეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი **კახეთისა და ჰერეთისა,** გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

რაჟამს წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწმჯდა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეახლნეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი **კახეთისა და ჰერეთისა,**გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

ლაშა გიორგი

მეფემან აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნახჭე ვანამდე და განძას კართამდის, აიღო შანქორი. და შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს **და ჰერეთს,** ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა. შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყჯდნეს გაქცეულნი. მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს და **დადგეს ბარდავის ჭალასა.** შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და **აგარათა** შუა და ვიდრე ზედამისლვადმდე გაექცნეს და გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდისა გზა.

ჰერეთის სამეფო საჰლ სმბატიანის დროს
და კახეთის საქორეპისკოპოსო

შაქის ოლქის, ანუ ჰერეთის მფლობელმა საჰლ სმბატიანმა 822 წელს თავისი ძალაუფლება გაავრცელა რანზე, ანუ არანზე, ანუ მის ხელში აღმოჩნდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა არანი, თავისი ქალაქებით – ბარდა, ბაილაკანი, განჯა და შამქორი.

არანს მე-9 საუკუნისათვის უწოდებდნენ არაქსისა და მტკვრის შუამდინარეთს, ე.წ. მილის ველს.

საჰლ სმბატიანი მართავდა ასევე ამჟამინდელ მთიან ყარაბაღს. როგორც ითქვა, მას არაბებმა მეფის ტიტული მიანიჭეს და ფინანსურად დიდი დახმარება გაუწიეს, ამავე დროს, მისი მეზობელი კახეთი არაბთა დამსჯელი ექსპედიციების მიერ სასტიკად იყო განადგურებული.

კახეთის წინააღმდეგ საჰლ სმბატიანის ბრძოლა ასახული უნდა იყოს აშოტ კურაპალატის ცხოვრებასა და შესაძლოა, სიკვდილშიც.

აშოტ კურაპალატი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკის თანახმად, აგარიანთა ხელმწიფობის გაძლიერებამდე ფლობდა თბილისსა და რანის მთავარ ქალაქ ბარდავსაც.

მატიანე ქართლისაის თანახმად, ის (აშოტ კურაპალატი) მოკლეს გარდაბანში, ჩანს, 826 წელს. ამ დროისათვის (822 წლიდან) არანში გაბატონდა საჰლ სმბატიანი, ამიტომაც შეიძლება ამ ორი უფლის ურთიერთბრძოლას ასახავს წყაროს მიერ გადმოცემული მომენტი, რომ აშოტი მოკლეს გარდმანში (გარდაბანში).

„მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა“.

ამ ეპოქაში გარდაბანი კახეთის ნაწილად მიიჩნეოდა და ის აქტიურად მონაწილეობდა კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რამდენადაა შესაძლებელი, რომ აშოტ კურაპალატი ბარდის ქვეყნის მფლობელი ყოფილიყო ან პრეტენზია ჰქონოდა გარდაბანზე, ანუ გარდმანზე?

საქმე ისაა, რომ აშოტ კურაპალატის მამა ადარნასე ბაგრატიონი (ვასაკის ძე) იყო გარდაბნის ერისთავი, ანუ ხუნანის ოლქის ერისთავი 742–779 წლებში.

ჯუანშერის მიხედვით, ადარნასე იყო შაქის თავდაპირველ მმართველთა ოჯახის შთამომავალი, ცნობილი ადარნასე ბრმის ძმისწული, რომელსაც არჩილ მეფემ გადასცა შაქი.

(მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმის-წული ადარნასე ბრმისა, რომ-ლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთად-ვე, და ბერძენთა მიერ დად-გინებულ იყო ერის-თავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკჯდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი. ჯუანშერი,“ ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

http://www.amsi.ge/istoria/qc/gorgasali3.html)

მაშასადამე, აშოტ კურაპალატს თავისი მამის მემკვიდრეობის შესა-ბამისად კანონიერი უფლება ჰქონდა ემართა ჰერეთი და რანი გარდაბანთან ერთად, ამიტომაც მის ხელში ყოფილა კიდეც ბარდა თბილისთან ერთად.

თუ ასეა, რანისა და ჰერეთის კანონიერი მმართველი აშოტ კურაპალატი იყო კიდეც და **„სახლად მისსა იყო ბარდავი და ტფილისი“,** ის იყო ასევე გარდაბნის მფლობელი.

თუ ასე იყო, მაშინ, შესაძლოა, საჰლ სმბატიანი ჰერეთ-რანის უკანონო მმართველად იყო მიჩნეული.

ალბათ, აღნიშნულ ოლქებში პირველობისათვის ბრძოლებიც გაიმართა და აშოტ კურაპალატი ამის გამო მოკლეს გარდაბანში.

საჰლ სმბატიანმა გაიმარჯვა და 822 წელს მან რანი დაიპყრო, მალევე, 826 წელს, აშოტ კურაპალატი ან მოკლეს გარდაბანში, ანდა მან ეს ოლქი დაკარგა.

თუმცა, წყაროს ცნობით, ეს მომხდარა ხალილ იზიდის ძე არაბიელის დროს, – „შემდგომად მისა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“ (ქ.ც.1,1955, გვ. 253).

ბარდის არაბ სარდალს „ჯარირ იბნ იაზიდა ალ-ბახილს“ (Джарир ибн Йазида ал-Бахили) ჰერები (ანუ შაქელები) 820 წლისათვის აუჯანყდნენ, შესაძლოა, აშოტ კურაპალატის მეთაურობით, მაგრამ დამარცხდნენ.

შაქელებს ხარკი გადახდა დაეკისრათ – 500 ათას დირჰემი.

ამის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. არაბული წყარო წერს –

„Затем грузины (Написано хазран надо читать: * джурзан) возмутились против него; он двинулся на них и сражался **там с санарийцами“** (История Ширвана и Ал-баба о царях Ширвана и баб Ал-абваба. http://www.vostlit.info/Texts/rus13/Sirvan_Derbend/text.phtml).

მან კახელები სასტიკი მეთოდებით დასაჯა – Он разбил их и убил многих из них. Затем он взял заложников и распял (повесил) их.

მაშასადამე, ხალილ იზიდის ძე (ზოგჯერ ამბობენ ხალიდ იაზიდის ძე) აჯანყებული შაქის წინააღმდეგ იღებდა ღონისძიებებს, დაამარცხა შაქელები და მათგან ხარკს იღებდა, მაგრამ შემდეგ ქართველები აჯანყებულან, იგულისხმება კახეთის აჯანყება, ის გაემართა მათ წინააღმდეგ და ებრძოდა წანარებს 820-835 წლებში და დაამარცხა ისინი.

820-იან წლებში კახეთის სამთავროს ქორეპისკოპოსი გრიგოლიც აქტიურობდა, ისე გაძლეიერდა, რომ აშოტ კურაპალატს პირველობისათვის ებრძოდა ქსანზე . „გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა“ (ქ.ც.1, გვ.252). აშოტ კურაპალატს გრიგოლთან ბრძოლისას აფხაზთა მეფე თეოდოსი ლეონის ძე შველოდა, ხოლო გრიგოლს – მთიულები და წანარები.

შესაძლოა, საჰლ სმბატიანმა ისარგებლა გრიგოლ ქორიკოზის დამარცხებით, ასევე არაბების მიერ კახეთის დასუსტებით, მაგრამ კახეთი დაუმარცხებელი იყო და ხალიდ (ხალილ) არაბიელს მეორეჯერ დასჭირდა ბრძოლა კახელების, ანუ წანარების წინააღმდეგ 840-იან წლებში, ჩანს, ამ დროს წაართვა სამხრეთ კახეთს მიწები (გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე) და ის გადასცა მის მეზობელ ჰერეთს, რომლის მეფე საჰლ სმბატიანი არაბებს ერთგულობდა მით უმეტეს მაშინ, როცა ის უზომოდ გაძლიერდა არაბთა ხალიფას მიერ, ანუ 837 წლის შემდეგ.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც არცახის, რანისა და შაქის მფლობელმა საჰლ სმბატიანმა არაბებს გადასცა მათი უმთავრესი მტერი, აჯანყებული **ბაბეკი,** ხალიფამ ის რანის მეფედ ცნო და ეკონომიკურად ძალზე გააძლიერა.

ამის შემდეგ, ანუ 837 წლის შემდეგ, შესაძლოა საჰლ სმბატიანმა დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე ე. წ. გავაზის ხაზამდე.

სამხრეთ კახეთის მიწები ამ დროს შევიდა შაქის ჰერეთის შემადგენლობაში, ეს იქნებოდა დროებითი მოვლენა, რადგანაც მალევე, 10–15 წლის შემდეგ ბუღა თურქმა 853 წლისათვის შეიპყრო საჰლ სმბატიანი, რანთა მეფე, რომელსაც ქართველები ჰერეთის მეფედ თვლიან.

მიიჩნევა, რომ არაბების რისხვის მიზეზი იყო ის, რომ ხალილ არაბიელის კახეთში მარცხი დაბრალდა საჰლ სმბატიანის უმოქმედობას და არაბებმა გავაზთან მარცხი გადააბრალეს მის ნაკლებ მხარდაჭერას.

არაბებს გავაზთან ომისას სრულიად კახეთის დაპყრობა სურდათ, მაგრამ აქ მარცხმა მათი გეგმა ჩაფუშა. ამ დროისათვის, როგორც ითქვა, მათ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან გავაზამდე.

თანდათანობით კახეთმა, ალბათ, შეძლო შაქის ჰერეთის მმართველობისაგან გათავისუფლება.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შაქის სამეფომ კლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები.

სამხრეთ კახეთის შემდეგი დაპყრობა უნდა მომხდარიყო საჰლის შვილიშვილის, გრიგოლ ჰამამის დროს.

მცირე დასკვნის სახით შეიძლება გავიმეოროთ, რომ ქართული წყაროს ცნობით, ჰერეთი მდებარეობდა „მტკვრის ჩრდილოთ“, იგულისხმება მტკვრის მარცხენა სანაპირო მხარე, ამ ქვეყანას შემდეგ „შაქის ჰერეთიც“ ერქვა. მაშასადამე, ის იყო მტკვრისპირა ქვეყანა და არა ალაზნისა და იორის ხეობების ქვეყანა, მტკვრისპირა ქვეყანაა შაქის ოლქი, რომელსაც ერქვა კიდეც ჰერეთი.

ქრისტეშობამდე გაცილებით ადრიდანვე, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ასეთი ყოფილა თავდაპირველი მდგომარეობა, ვიდრე მე-9 სუკუნემდე.

არაბობის დროს ძველი ისტორიული საზღვრები შეიცვალა, განსაკუთრებით კახეთის, რომელიც ქართული და უცხოური წყაროების ცნობებით, თავდადებით იბრძოდა და გმირულად იგერიებდა სახალიფოს შემოსევებს, საბოლოოდ, მე-9 საუკუნეში დაირღვა კახეთ-ჰერეთის ძველი საზღვარი მდ. გიშისწყალზე და მტერმა მას დროებით ჩამოაშორა სამხრეთი მიწა-წყალი გიშისწყლიდან ე.წ. გავაზის ხაზამდე. მაგრამ ეს ტერიტორია მიურთა ისევ ქართველებით დასახლებულ შაქის სამეფოს, ანუ ჰერეთს. მისი მეფე მონოფიზიტი საჰლ სმბატიანი იმჟამად დიდად პატივცემული იყო სახალიფოს მიერ დიდი მოჯანყის, ბაბეკის შეპყრობის გამო.

მე-9 საუკუნეში შეიცვალა რეგიონის პოლიტიკური სურათი და შაქის ჰერეთი გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელმაც თავისი ძალაუფლება გაავრცელა რანსა და არცახზე (მტკვრის მარჯვენა სანაპირო). ამ დროს მას არაბებმა გადასცეს სამართავად, ანუ მან დაიპყრო სამხრეთ კახეთის ტერიტორია ვიდრე გავაზამდე.

მაშასადამე, კახეთის სამთავრომ კი არ დაიპყრო ჰერეთის მიწა-წყალი, არამედ, პირიქით, შაქის ანუ ჰერეთის გაძლიერებულმა სახლმწიფომ დაიპყრო სამხრეთ კახეთის მიწები ვიდრე გავაზამდე, და ეს დაპყრობები გრძელდებოდა საუკუნის მანძილზე, შესაბამისად, არასწორია ჩვენში არსებული სამეცნიერო შეხედულება, თითქოსდა, კახეთი იპყრობდა ჰერეთის მიწა-წყალს.

შესაბამისად, არასწორია გამოთქმული აზრი – *„კახეთის სამთავრო საზღვრების გაფართოებას თავისი მეზობელი ჰერეთის ხარჯზეც ცდილობდა. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა“ https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთის_სამთავრო*

ჰერეთის გათავისუფლება „მწვალებელთა უღლისაგან“, რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნა

ჰერეთში მე-10 საუკუნემდე, წყაროს ცნობით, მწვალებლობა ყოფილა გავრცელებული, იმ მხრივ, რომ მმართველი ზედაფენა მონოფიზიტობას აღიარებდა, ხოლო მოსახლეობა მართლმადიდებლობისაკენ იყო მიდრეკილი, რაც გამოჩნდა წმ. დინარა დედოფლის დროს, მან, თავის შვილთან ერთად, ჰერეთს დაუბრუნა წმიდა სარწმუნოება და აღადგინა მისი კავშირი დედაეკლესიასთან, ანუ მცხეთის საპატრიარქოსთან. ამ პროცესს ვუწოდებთ ჩვენ ჰერეთის გათავისუფლებას.

როგორც ითქვა, თავდაპირველი, ანუ ისტორიული ჰერეთი ერქვა შაქის ოლქს (ამჟამინდელი ოგუზისა და გაბალას ოლქებთან ერთად) და არა მიწაწყალს თელავის ჩათვლით, როგორც ამჟამადაა მიღებული (იხ. მაგ., *https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის სამთავრო, 23.07.2021).*

როგორც აღინიშნა, ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები,

მაგ., В **армянских** и византийских источниках Шекинское царство традиционно представляется как «**царство Албании**», а в грузинских источниках как «**царство Эрети**». *https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинско_царство.*

В арабских источниках царство известно как «**царство Шаки**», https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское царство

მაშასადამე, ქვეყანას, რომელსაც ქართულ წყაროებში ჰერეთი ერქვა, სომხები, ბიზანტიელები და არაბები „ალბანეთს“ და ასევე „შაქის სამეფოს“ უწოდებდნენ.

ქართველი მეცნიერების აღიარებული ნაწილი კახეთის დიდ ნაწილს ჰერეთს უწოდებს, უცხოელები კი ჰერეთს ალბანეთთან აიგივებენ, ამიტომაც მათთვის კახეთი იგივე ალბანეთია.

ამის გამო კახეთი ისტორიულ ალბანეთად მიიჩნევა უცხოელთა მიერ მთელი მისგან გამომდინარე შედეგებით:

ალბანეთს საკუთარი კათალიკოსი ჰყავდა საკუთარი ალბანური ენით, საკუთარი ალბანურენოვანი წირვა-ლოცვით, ალბანურ ენაზე თარგმნილი ბიბლიითა და, თუკი კახეთის დიდი ნაწილი ალბანეთში შედიოდა, მაშინ ის ალბანურენოვანი ყოფილა ალბანეთის კათალიკოსის იურისდიქციაში, ხოლო ქართული ღვთისმსახურება და ენა აქ შემდგომ დანერგილა!

ასეთია შედეგი დაჟინებული მტკიცებისა, რომ სამხრეთ კახეთი, თელავის ჩათვლით, თითქოსდა, თავდაპირველი ჰერეთ-ალბანეთია.

ასეთ მტკიცებას აქვს თავისი პოლიტიკური მდგენელიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთება დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერთა მიერ მიიჩნევა არა საქართველოს გაერთიანების წმინდა პროცესად, არამედ ქართველთა აგრესიად. ამიტომაც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის გაერთიანებას საქართველოსთან უწოდე-

ზენ „დავით აღმაშენებლის ექსპანსიას“ „Экспансия Давида Строителя“ https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинскоецарство.

Экспансия Давида Строителя https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское царство

მტკიცება, რომ კახეთი თავდაპირველად ალაბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა, სრულად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებს და ასევე სხვა წყაროებს, მაგალითად, მე-5 ს-ის ავტორის, მოვსეს ხორენაცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ ქართველთა შორის იქადაგა ვიდრე მასქურებამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე (აქვე გაედინება მდ. აღსუ), მაშასადამე, ამ წყაროს ცნობით, აღსუმდე (თეთრწლამდე), ანუ მასქუთებამდე ქართველები ცხოვრობდნენ, რომელთა შორისაც იქადაგა წმ. ნინომ, შესაბამისად, მოვსეს კალანკატუაცის ცნობის მიხედვით, აქამდე (მასქუთებამდე) ვრცელდებოდა წმ. ნინოს მიერ ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის საზღვრები და არა თელავამდე.

ჩვენ ვწერთ, რომ სამხრეთ კახეთი (ანუ ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე და თურდოს ხევამდე) შაქის ჰერეთის შემადგენლობაში შევიდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში არაბთა და საჰლ სმბატიანის აგრესიის შედეგად.

ისტორიული კახეთის ტერიტორია გიშისწყლიდან გავაზამდე დაახ-ლოებით 840-იან წლებში დაიპყრო შაქ-არცახ-არანის მმართველმა საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანმა, არაბების ხელშეწყობით. სამხრეთ კახეითი ამის შემდეგ აღმოჩნდა შაქის მმართველის ხელში.

როგორც აღინიშნა, ისტორიული, თავდაპირველი კახეთის საზღვარი ჰერეთთან, მდ. გიშისწყალზე გადიოდა. ეს ნიშნავს, რომ კახეთი მოიცავდა ტერიტორიას არაგვიდან გიშისწყლამდე, ხოლო თავდაპირველი ჰერეთი მოქ-ცეული იყო გიშისწყლიდან და შაკიხიდან ვიდრე მდ. აღსუმდე (თეთრწყლა-მდე).

მართალია, არჩილ მეფის მიერ შეწყალებული შაკიხელი ბაგრატიონები იმჟამად სომხური ენისა და კულტურის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, რომელთა გარდა ალბანეთში ცხოვრობდნენ სხვადასხვაენოვანი ხალხები.

როგორც ითქვა, ქართულენოვანი ხალხი „ჰერები“ ცხოვრობდა გიშის-წყლიდან მდ. თეთრწლამდე, ანუ აღსუმდე, ხოლო ალბანეთის სხვა ტომები – კასპიის ზღვის მიმართულებით. ალბანეთის ძველი დედაქალაქი ჩორი შემ-დეგ დერბენდად იწოდა. ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები ცხოვ-რობ-დნენ კასპიის ზღვასთან, კავკასიონის მთის ფერდზე, უფრო სამურის ხეობაში. მე-6 ს-ში სტეპების ტომების შემოტევების გამო ალბანეთის საკათალიკოსო ცენტრი ქალაქ ჩორიდან გადატანილი იქნა ბარდა-განძის ოლქში, ანუ რანში.

ასე რომ, ალბანეთში მრავალი სხვადასხვაენოვანი ტომი ცხოვრობდა, მათ შორის იყო ქართულენოვანი ტომი ჰერები, მცხოვრებნი გიშისწყლიდან ან ალიჯანჩაიდან ვიდრე აღსუმდე, რომელთა მმართველობა მე-9 ს-ში ხელში ჩაიგდო მონოფიზიტმა საჰლ სუნბატ ალ-არმანმა. მან შეძლო რანის დაპყრობა, მართავდა არცახს და ასევე დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე არაბი სარდლის ხალილ ისიდის ძის შემწეობით.

მაშასადამე, თავდაპირველი კახეთის საზღვარი მდ. გიშისწყლიდან თელავის მიმართულებით, გადავიდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში და მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ მოიცვა ჰერეთმა მისი ხელისუფლების მიერ დაპყ-რობილი სამხრეთ კახეთის მიწები. როგორც ვახუშტი უწოდებს, ესენი იყვნენ „გაღმამხარი, საინგილო, შიგნითკახეთი, კამბეჩანი და შაქი“.

ვახუში ბატონიშვილს წყაროთა სიმცირის გამო არ გააჩნდა სათანადო ცნობები ჰერეთის თავდაპირველი საზღვრების შესახებ, როგორც ეს გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, ამიტომაც ვახუშტის თვალსაზრისი ჰერეთის შესახებ ორადაა გაყოფილი და მერყევია, მაგალითად, ის ხან ტყეტბას ასახელებს კახეთ-ჰერეთს საზღვარად, ხან კი ამტკიცებს, რომ კახეთისა და ჰერეთის თავდაპირველი საზღვარი მდ. გიშისწყალზე გადიოდა. თუმცა ის ორივე შემ-თხვევაში მართალია, რადგანაც ტყეტბა გიშისწყლის სათავესთან მდებარეობ-და. შეცდომაა ტყეტბა-გულგულას გაიგივება თანამედროვე თელავის ახლოს, სოფელ გულგულასთან.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ჰერეთს კახეთისაგან საზღვრავდა მდინარე გიშისწყალი (ქ.ც. ტ. 4. გვ.539).

ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ვახუშტის და მივიჩნევთ, რომ ისტორიულ კახეთსა და ჰერეთს ერთმანეთისაგან გიშისწყალი, ზოგჯერ კი მახლობელი მდინარე ალიჯანჩაი აშორებდა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ისტორულად, უძველესი ხანიდანვე, კახეთის საზღვარი იყო მდინარე გიშისწყალი, ზოგჯერ კი მის მახლობლად გამავალი მდ. ალიჯანჩაი.

ქვემოთ გამოკველულია, რომ მხოლოდ მე-9 საუკუნიდან შეიცვალა ჰერეთის ისტორიული საზღვარი და მან გიშისწყლიდან თელავისაკენ გადმოინაცვლა, შემდგომ საუკუნეებში კახეთმა აღიდგინა ძველი საზღვარი ალიჯანჩაისა და გიშისწყალზე.

ამ სასაზღვრო მდინარეების (ალიჯანჩაისა და გიშისწყლის) სათავე კავკასიონის მთებშია, შექის (შაქის) ახლოს, და ორივე ისინი დაბლობზე უერთდებიან მტკვარს უშუალოდ ანდა მდ. ალაზნის მეშვეობით.

ეს მომენტი აღსანიშნავის იმით, რომ ცნობილი რომაელი ავტორი პლინიუს უფროსიც (23–79 წწ.) მსგავსადვე აღნიშნავს, რომ იბერიასა და ალბანეთს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოედინებოდა და დაბლობზე უერთდებოდა მტკვარს. სწორედ ისევე, როგორც აღნიშნული მდინარეები – გიშისწყალი და ალიჯანჩაი გამოედინებიან კავკასიის მთებიდან და უერთდებიან მტკვარს.

იბერიასა და ალბანეთს შორის სასაზღვრო მდინარეს პლინიუსი ოკაზანს უწოდებს, მაშასადამე, ოკაზანი ერქვა ან გიშისწყალს ალაზნის მთავარ ტოტთან შერთვის შემდეგ, ანდა ალიჯანჩაის, რომელიც დაბლობში ერთვის მტკვარს.

შესაბამისად, პლინიუსის დროს ჰერეთი (ანუ შაქის ოლქი) ალბანეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და მას იბერიისაგან ოკაზანი აშორებდა.

ალბანეთი 26 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომით იყო დასახლებული, იგულისხმება თურქულ, სპარსულ და კავკასიურ, მათ შორის, ქართულ და ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომები, ამ სურათისა და ჰერეთის შემდგომი ისტორიის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ ჰერეთი (ანუ ალბანეთის დასავლეთი) ნაწილი ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული, ამიტომაც მას (ანუ შაქის ოლქს) მუდმივი კავშირი ჰქონდა საქართველოსთან და იქ მე-10 საუკუნეში ქართულენოვანი წირვა-ლოცვაც აღდგა სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისაგან გათავისუფლების შემდეგ.

იქამდე ჰერეთი (შაქის ოლქი) იმყოფებოდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულების – არცახის სამთავროსა და ფარისოსის სამეფოს შემადგენლობაში, ის გათავისუფლდა მე-10 საუკუნის ბოლოსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში და მან კახეთთან ერთად ჩამოაყალიბა რანთა და კახთა სამეფო.

სახელები „რანი“ და „ჰერეთი“ მიღებულია ქალაქის სახელისაგან – „ხო**რან**თა“, „**ჰორ**ანთა“.

სახელი **„რანი“** მიღებულია სახელისაგან „ხო-**რან**-თა“.

სახელი ჰერი ასევე ამავე „**ჰორ**-ან-თა“ სიტყვისაგანაა მიღებული („**ჰორ**-ან-თა“ ანუ – **ჰერ**ანთა (აღსანიშნავია, რომ სომხურად **რანს ასევე ჰერანი** ერქვა,

ასევე, ბარდავის არრანს ადგილობრივები **ჰერანს** უწოდებდნენ), **ჰერანი იგივე ჰერეთია.**

ასე რომ, როგორც შაქის ოლქი, ისე რანი (არანი) ადგილობრივებისათვის იყო „ჰერეთი“ ან „ჰერანი“.

„ჰერ“ მიაჩნდათ ამ სიტყვის ფუძედ, ხოლო სუფიქსად „ან“ ანდა „ეთი“, აქედანაა – ჰერანი და ჰერეთი.

„ჰერანი“ იგივე არანი ანუ რანია, ხოლო ჰერეთი ერქვა შაქის ოლქს აგრიჩაიდან (გიშისწყლიდან) აღსუმდე. აქედანვე ერქვა კავკასიის ალბანეთს სპარსულად „არრანი“.

სახელი ჰერეთი უფრო დაუმკვიდრდა შაქის ოლქს, ხოლო რანი – ბარდავის მხარეს.

ისტორიული ჰერეთი, როგორც მრავალჯერ ითქვა, მოიცავდა შაქის ოლქს, ძირითადად ტერიტორიას გიშისწყლიდან ვიდრე მდინარე თეთრწყლამდე (აღსუმდე). ის, რადგანაც ალბანეთის ნაწილს შეადგენდა და, პოლიტიკური თვალსაზრისით, მდებარეობდა ანტიკური ალბანეთის დასავლეთ ნაწილში, მისი ქართულენოვანი მოსახლეობა ალბანიზაციის პროცესში იმყოფებოდა.

ვითარება შეიცვალა ალბანეთის სახელმწიფოებრიობის შერყევისა და სომხური ეკლესიის გაძლიერების შემდეგ მე-6 საუკუნიდან.

VI-VII საუკუნეებიდან, მას შემდეგ, რაც ჯერ დამპყრობელმა სპარსელებმა, შემდეგ კი არაბებმა გამოკვეთილად დაუჭირეს მხარი სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენას ალბანეთსა და ქართლის დაპყრობილ ნაწილში, დაიწყო აქაური მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია.

საბოლოოდ, მე-8 საუკუნიდან ალბანური ეკლესია არაბებმა საერთოდ გააუქმეს და დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, შესაბამისად, ჰერეთის ანუ შაქის ოლქის მოსახლეობა აღმოჩნდა სომხურ იურისდიქციაში, ამას თან დაერთო ისიც, რომ შაქში გაბატონდა ტარონიდან ჩამოსულ სომეხ დიდებულთა ოჯახი. მათი ყველაზე გამოჩენილი პირი, საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი, ანუ საჰლ სმბატიანი, დიდად განადიდა ქვეყნის მპყრობელმა არაბმა ხალიფამ და მას, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, **837** წელს მიანიჭა „სომხეთის, ალბანეთისა და ივერიის“ მეფის წოდება.

რეალურად კი საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი გახდა არცახ-ხაჩენის ძლიერი სომხური სამთავროს მეთაური, მის ხელში იყო რანი (არანი) და შაქი ანუ ჰერეთი. ანუ ისტორიული ჰერეთი აღმოჩნდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულის შემადგენლობაში. არაბულ წყაროებში მას (საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანს) „სომეხ ბატრაკს“ (უფალს) ანდა **„ბატრაკ ალ არანს“**უწოდებენ, რადგანაც ის არანის ანუ რანის დიდ ნაწილს ფლობდა. რანს წინა საუკუნეებში ალბანთი ერქვა, ამ დროისათვის სიტყვა „ალბანეთი“ დაცლილი იყო ეთნიკური ნიშნისაგან და მისი ხსენება მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ მოგონებას წარმოადგენდა.

არაბობის ეპოქაში ამ მხარეების, მათ შორის არცახის, რანისა და ჰერეთის სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ითქვა, გამძაფრებული არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდა.

შესაბამისად, ჰერეთის მკვიდრი მოსახლეობაც, მართალია, არმენიზაციის ამ პროცესის ქვეშ იყო, მაგრამ მას ქართულ იდენტობას უნარჩუნებდა ის, რომ უშუალოდ ემეზობლებოდა ქართულ სამყაროს.

საჰლ სმბატიანის შემდეგაც გრიგოლ ჰამამი (მე-9 ს.) იყო არა ჰერეთის ქართველი მეფე, როგორც ახლა წარმოუდგენიათ საქართველოში, არამედ – ხაჩენის მთავარი, სომეხი პოეტი, და, წინამორბედის მსგავსად, მართავდა შაქის ჰერეთს.

მაშასადამე, ასეთი თვალით თუ შევხედავთ, გრიგოლ ჰამამის დროსაც ჰერეთი დაპყრობილი ქვეყანა იყო.

მსგავსადვე, ოვანეს-სენექერიმი (მე-10 ს.) ჩვენში „ჰერეთის ქართველ მეფედ“არის მიჩნეული. სინამდვილეში, კი ის იყო ფარისოსის (ანუ ჩრდილო არცახისა და უტიკის) მეფე, ძე საჰაკ სევადისა.

ერთი სიტყვით, ძალზე უხეშად თუ ვიტყვით, ისტორიული ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი მე-9 საუკუნის შემდეგ, როგორც აღინიშნა, იმყოფებოდა სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულების, არცახისა და ფარისოსის შემადგენლობაში, ადგილობრივი ხალხისათვის ეს იყო დაპყრობის პროცესი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნამდე ისტორიული ჰერეთი (ანუ შაქის ოლქი) წარმოადგენდა უცხოელთა მმართველობის ქვეშ მოქცეულ ქართულენოვანი ხალხით დასახლებულ ქვეყანას, უცხო სომხურ-მონოფიზიტური რელიგიით.

კახთა სამეფოში ჰერეთი მხოლოდ იმის შემდეგ გაერთიანდა, რაც პოლიტიკურად გათავისუფლდა უცხოელთა (არცახის, ფარისოსის) ბატონობისაგან. ამის შემდეგ მან, თავისი მისწრაფების შესაბამისად, რომელზეც მემატიანეც მიუთითებს, ინება გაერთიანება კახეთის სამეფოსთან.

კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების საფუძველი უნდა ყოფილიყო ეთნიკური ერთგვაროვნება, ასევე, ქართულენოვნება, საერთო ეკლესია და აღმსარებლობა.

შედეგად, ჩამოყალიბდა გაერთიანებული „რანთა და კახთა სამეფო“ ქართული სახელმწიფო ენით, რაზეც, მაგალითად, სხვა უამრავ მასალასთან ერთად მიუთითებს კალაურის ეკლესიაში რანთა და კახთა სამეფო ოჯახის წევრის ქართულენოვანი ეპიტაფია.

რანთა და კახთა სამეფოების გაერთიანების პროცესის დროს ჰერეთის ხალხს დაუბრუნდა ქართულენოვანი ღვთისმსახურება, აქ, ვახუშტის სიტყვით, მწვალებელთა მონოფიზიტური სარწმუნოება შეიცვალა დიოფიზიტურით.

მემატიანე, როგორც ითქვა, ხაზგასმით მიუთითებს, რომ ჰერები თავისი ნებით „მიერთნეს“ ანუ შეუერთდნენ კახეთს, ეს მომხდარა მას შემდეგ, რაც ჰერეთიდან წავიდა ბაგრატ III.

თ. პაპუაშვილი წერს – „1008 წლისათვის ჩვენ უკვე გვაქვს პრეცენდენტი „რანთა და კახთა“ სამეფოს შექმნისა. „მატიანე ქართლისას“ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ავტორის სტილი მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემაში: „მიიქცეს“ და „მიმართეს“ . მატიანეში კარგად არის არეკლილი კახეთისა და ჰერეთის ურთიერთმიზიდულობა – მისწრაფება და მიდრეკილება. თუ აფხაზთა მეფეებს ჰერეთის შემოერთებისათვის სჭირდებოდათ სამხედრო ოპერაციები და, თავის მხრივ, ჰერეთის ფეოდალები არ ცნობდნენ აფხაზათა მეფის ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთში მმართველად დაყენებულ კაცს, დავით ქორეპისკოპოსსა და ჰერეთის ფეოდალებს შორის იგივე ფაქტი სავსებით უმტკივნეულოდ მოხდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო კახებისა და ჰერების კულტურულ-ეთნიკური ერთობა-ერთიანობით. ამ უკანასკნელის წინაპირობა იყო მე-10 საუკუნის შუა ხანებში კახეთისა და ჰერეთის საეკლესიო ორგანიზაციების გაერთიანება (თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ.205).

ჩვენს თემასთან დაკავშირებით, კიდევ უნდა ითქვას, რომ შეცდომაა, როდესაც ქართველი ისტორიკოსები, მაგალითად, გრიგოლ ჰამამს უწოდებენ „ჰერეთის მეფეს“, რადგანაც ის იყო არა ჰერეთის მეფე, არამედ ხაჩენის მთავარი, ამავე დროს, სომხურენოვანი პოეტი.

ხაჩენის სამთავრო რანთან ერთად ასევე მოიცავდა შაქის ოლქს, ანუ ისტორიულ ჰერეთს, ჰერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გადაიქცევის გზას დაადგა მხოლოდ მისი შვილის, ანუ ადერნესე იბნ ამამის ანუ ადარნასე პატრიკის დროს. ამის მიზეზი იყო ის, რომ გრიგოლ ჰამამის მემკვიდრეობა მისმა შვილებმა დაინაწილეს და ადარნასეს ხვდა შაქის მხარე, ანუ ისტორიული ჰერეთი.

მაშასადამე, საკუთრივ ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის გათავისუფლება სომხური სახელმწიფოებრივი ერთეულის, არცახისაგან, გახდა მიზეზი მისი თავისუფლებისაკენ მიმართული გზისა, რაც გრიგოლ ჰამამის სიკვდილის შემდეგ სამთავრო მისმა შვილებმა დაინაწილეს და აღნიშნულ ადერნესეს წილად ხვდა შაქის ოლქი, ანუ ისტორიული ჰერეთი.

იქამდე გრიგოლ ჰამამმა დაიპყრო და ხაჩენის სამთავროს შეუერთა რანი და ასევე სამხრეთ კახეთის მიწები გავაზის ხაზის ქვემოთ, როგორც ახლა უწოდებენ თელავს გულგულამდე, რაც საეჭვოა. ის უფრო გავაზის ხაზის ქვემოთ მართავდა კახეთის მიწა-წყალს გიშისწყლიდან გავაზამდე. კახეთის მიწები მან შეუერთა შაქის, ანუ ჰერეთის ტერიტორიას, სამხრეთ კახეთს ამის შემდეგ დაერქვა ჰერეთი.

უნდა დავაჯამოთ, რომ ისტორიული სამხრეთ კახეთის საზღვარი გიშის-წყლიდან გავაზის ხაზამდე იქნა გადატანილი მხოლოდ საჰლ სბატიანისა (საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანის) და მისი პოლიტიკური მემკვიდრეების – გრიგოლ ჰამამისა და იანე სერექერიმის მიერ. მათ მუდამ ესაჭიროებოდათ ბრძოლა სამხრეთ კახეთის ციხეებისათვის, რადგანაც კახელები მათ იბრუნებდნენ.

საბოლოოდ კი, კახეთმა შეძლო თავისი ისტორიული საზღვრის დაბრუნება გიშისწყალსა და ალიჯანჩაიზე. ამიტომ შეცდომაა ასეთი ხშირი

გამონათქვამი – **„კახეთმა დაიპყრო ჰერეთის მიწა-წყალი გავაზთან“** და სწორია – კახეთმა გაათავისუფლა თავისი ისტორიული მიწა-წყალი გავაზთან ომის დროს, როდესაც მან ჰერეთის ისტორიული სასაზღვრო პუნქტი დააბრუნა გიშისწყალზე.

ამ მომენტთან დაკავშირებით, უკვე აღვნიშნეთ, რომ დაპყრობილი იყო თვით შაქის ოლქის ხალხი გაცილებით ძლიერი არცახისა და ფარისოსის სამეფოსა და სამთავროს მიერ, ამიტომ დინარა დედოფალი ერთგვარი განმანთავისუფლებელი იყო ამ ხალხისა, ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის უდიდესი პოპულარობა ამ მხნე და, ჩანს, მებრძოლ ქალისა, რადგანაც მან მუსლიმანურ და მონოფიზიტურ ყოვლისმომცველ გარემოში შეიტანა იმედის ნაპერწკალი მართლამადიდებლური სარწმუნოების სახით, რაც სიყვარულითა და ენთუზიაზმით მიიღო შაქის ოლქის მკვიდრმა მოსახლეობამ, ანუ ჰერებმა და მოიშორეს მწვალებელთა სარწმუნოება, ვახუტის სიტყვით. ისინი დაუბრუნდნენ საქართველოს ეკლესიის წიაღს.

შაქის ანუ ჰერეთის ხალხი თავისი მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან გამომდინარე, ეძებდა კავშირს მართლმადიდებელ კახეთთან და ბაგრატ მეფის გაერთიანებულ სამეფოსთან. ამ მიზეზის გამო ბაგრატ მეფეს უმჯობესად მიუჩნევია ლაშქრობა ჰერეთში მისი შემომტკიცების მიზნით. ამ დროისათვის, ჩანს, ჰერეთის სამეფო ტახტი თავისუფალი იყო. მართალია, დინარა დედოფალს ახსენებს მემატიანე, მაგრამ მ.ბროსესა და სხვათა მიხედვით აქ უნდა იგულისხმებოდეს წმიდა დედოფალ დინარას ნეშტის გადასვენება სამეფო კარის ეკლესიაში. ასე განმარტავენ მემატიანის ნათქვამს – „ბაგრატ აღიღო მეორედ ჰერეთი და დაიჭირა დინარ დედოფალი“, ასეა თუ ისე, ბაგრატ მეფის ჰერეთში მისვლის დროიდან შაქის, ანუ „რანის მეფეების“ სამეფო ტახტი თავისუფალია.

ეს ჩანს მემატიანის ცნობიდან, რომ მეფე ბაგრატის წასვლის შემდეგ პოლიტიკურ აქტიურობას იჩენენ არა შაქის სამეფო დინასტიის წევრები, არამედ ჰერეთის დიდეებულები – „აზნაურები“. ბაგრატის ძეს საქართველოს მეფეს გიორგი I-ს განუდგა კახეთ-ჰერეთი, **„ღადრობითა აზნაურთათა“** შეიპყრეს მეფის მიერ დადგენილი ერისთავები. შემდგომ ისინი გადაწყვეტენ, რომ ჰერეთი დაუკავშირდეს კახეთის საქორეპისკოპოსოს. მართალაც, ეს კავშირი შედგა, ახლა უკვე ჰერეთში შედის კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე III, უკვე როგორც კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაური. არსდება „რანთა და კახთა სამეფო“ კახელი ქორეპისკოპოსების ხელქვეშ. ამით კახეთი და შაქის ოლქი, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე გაერთიანდა. ჩამოყალიბდა ქართულენოვანი, მართლმადიდებლური სახელმწიფო, რომელსაც კახელი ხელისუფალი მართავდა. ის, თავისი ბუნებით ქართული სახელმწიფო, ქართველი ერის ინტერესების გამომხატველია. ეს გამოჩნდა შემდგომშიც, იმ უდიდესი გასაჭირის დროს, როდესაც ბიზანტიის უზარმაზარი იმპერიის არმია თვით მრისხანე იმპერატორის, ბასილი ბულგართმმუსვრელის მეთაურობით შემოესია საქართველოს 1021 წელს. არისტაკეს ლასტივერტეცი წერს, თუ რა უდიდესი სისასტიკით ხოცავდა ქართული სოფლების

მოსახლეობას მტერი, ქართული არმია დახვდა მტერს, მაგრამ იძლია. ასეთი გასაჭირისას მეფე გიორგი I-ს მიეშველა მისგან განდგომილი კახეთ-ჰერეთის ლაშქარი და ამით გაძლიერდა. ეთნიკური ერთობის გარდა საეკლესიო- კულ-ტურული ერთობა, ანუ წმიდა ნინოს ღვაწლი განამრავლა აქაური წმიდა ილარიონ ქართველის, დავითგარეჯის ეკლესია-მონასტერთა ბერების, არსენ ნინოწმიდელისა თუ არსენ იყალთოელის მადლმა.

ერედვის ეკლესიის წარწერიდანაც ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემით ლოცულობდა აფხაზთა მეფე ალავერდის ტაძარში და განაბრწყინა ის უხვი შესაწირით.

ამის გამო კახეთ-ჰერეთი მუდამ ერთიანი ქართული სამყაროს ნაწილი იყო, რამაც გააერთიანა მთელი ერი დავით აღმაშენებლის დროს, ვითარცა „რანთა და კახთა მეფემ“.

საფიქრებელია, რომ რუის-ურბნისის კრებამ კახეთ-ჰერეთი გადასცა დავით აღმაშენებელს.

რა უფლებები გააჩნდა საქართველოს ეკლესიას კახეთში?

კახეთსა და შემდგომ კახეთ-ჰერეთს მართავდა ხელისუფალი, რომელ-საც გააჩნდა საეკლესიო წოდება – ქორეპისკოპოსი.

თავისთავად სიტყვა ქორეპისკოპოსი ნიშნავს რეგიონში, მხარესა თუ ოლქში წარგზავნილ მთავარი ქალაქის (მეტროპოლიის) ეპისკოპოსის წარმო-მადგენელს.

საეკლესიო წესის თანახმად, ბიზანტიის იმპერიაში ეპისკოპოსი უნდა მჯდარიყო დიდ, ხალხმრავალ ქალაქში, ანუ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ანდა პოლიტიკურ ცენტრში, აქ უნდა ჰქონოდა კათედრა. ქალქის გარშემო სოფლური ადგილების მქონე რეგიონში დიდი ქალაქის ეპისკოპოსი აგზავნიდა თავის სასულიერო წარმომადგენელს ქორეპისკოპოსის ტიტულით, რომელსაც ევალე-ბოდა ზედამხედველობა ოლქის სასულიერო საქმეებისა და, საჭიროების შემ-თხვევაში, საქვეყნო საქმეებისა, მსგავსადვე ყოფილა კახეთიც.

შესაბამისად, კახელი ქორეპისკოპოსები უნდა ყოფილიყვნენ რომელიმე დიდი ქალაქის ეპისკოპოსის წარმომადგენლები, ანუ ისინი შედიოდნენ რომელიმე სასულიერო ცენტრის იურისდიქციაში. უპირველეს ყოვლისა, ისინი სასულიერო პირები, მთავარხუცესები იყვნენ.

ჩვენ ვიცით, რომ კახელი ქორეპისკოპოსები იყვნენ დიოფიზიტები, ანუ ქალკედონიტები, ამასთანავე ქართულენოვანები, რასაც ვარდან არეველციც მიუთითებს, ამიტომაც კახელი ქორეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ მონოფიზიტურ ცენტრს, მაშასადამე, ექვემდებარებონენ კავკასიაში ქალკედო-ნიტობის ბურჯს, ქართლის საკათალიკოსოს, მცხეთის კათალიკოსს ან, უფრო ფართო გაგებით, საქართველოს საეკლესიო კრებას, რომელიც კათალიკოსზე მაღლა იდგა, რადგანაც სწორედ ის ირჩევდა კათალიკოსს.

თუ ასეა, კახეთის ქორეპისკოპოსები იყვნენ მცხეთის ეპისკოპოსის ,ანუ ქართლის კათალიკოსის ქორეპისკოპოსები.

კახეთში ქორეპისკოპოსებმა შეძლეს ქვეყნის საერო და სასულიერო ძალაუფლების გაერთიანება თავიანთ ხელში, ამიტომ შესაძლოა მცხეთის

მიმართ თავიანთ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებდნენ, მაგრამ როდესაც დადგა კრიტიკული მომენტი, როცა ამ ქორეპისკოპოსის ტახტზე ავიდა „ცუნდრუკი“ აღსართან II, უღირსი პიროვნება, რუის-ურბნისის კრებამ 1103 (ანდა 1105) წელს კახეთი, ვითარცა თავისი ქორეპისკოპოსის საზედამხედველო, გადასცა დავით აღმაშენებელს, ანუ ქორეპისკოპოსის უფლება და ტიტული ჩამოართვა თავის ქორეპისკოპოსს – კახეთის მეფე აღსართან II-ს. ამ ქმედებით კრებამ აღსართანი უკანონო მმართველად გამოაცხადა, რითაც ხელ-ფეხი გაუხსნა აზნაურ-დიდებულებს მის შესაპყრობად, ანუ მეფის სამოქმედო არეალი გათავისუფლდა.

საერთოდ, კახეთი, ქართლის ხოსროიან მეფეთა საუხუცესო, ანუ სამეფო დომენი იყო, ამასთანავე ჩანს, მას ასევე მცხეთაც განაგებდა, მაგალითად, ცნობილი მთავარეპისკოპოსი ქართლისა გლონოქორი იყო **„ქართლისა და ჰერეთის ერისთავი“** ჯერ კიდევ კათალიკოსობის დაწესებამდე, 440-იან წლებში მეფე მირდატის დროს. მისი ერისთავობა შაქის ოლქში, ანუ ჰერეთში უცვნია რანის ერისთავს გლონოქორ პიტიახშაც. ჰერეთის ქვეშ აქ შაქის ოლქი რომ იგულისხმება, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ცნობაში რანის ერისთავიცაა ნახსენები, რანი და შაქი კი უახლოესი მეზობლები იყვნენ.

მაშასადამე, მცხეთას კახეთში მე-5 საუკუნეშიც კი გააჩნდა თავისი საერო და სასულიერო მმართველობა, ანუ მმართველობის ის ფორმა, რომელიც შემდგომში, მე-8 საუკუნიდან ქორეპისკოპოსის ინსტიტუტს ჰქონდა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თ. პაპუაშვილის დაკვირვებით კახეთში მცხეთის სასულიერო იერარქიას საეროზე ზედადგომის უფლება ჰქონია მე-16 – მე-17 საუკუნეებშიც, კახეთის სამეფოს არსებობისას. კახეთში ეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ოლქებს, მათ უნდა გამოეცხადებინათ მობილიზაცია და გამოეყვანათ ლაშქარი საომრად, ქართულ ქვეყანათაგან მხოლოდ კახეთში ჰქონდათ ეპისკოპოსებს ასეთი საერო უფლება-მოვალეობა, სხვაგან ეს უცნობია. მაგალითად, სამხედრო ოლქის – სადროშოს მეთაურობა ქართლში თავადებს ჰქონდათ მინდობილი და არა ეპისკოპოსებს.

ასე რომ, კახეთ-ჰერეთში ფუნქცია საერო-სასულიერო მმართველობისა მცხეთის კათალიკოსის ზედამხედველობით არსებობდა წყვეტილებით მე-5 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე. ეს ფუნქცია, ასევე მცხეთის ზედამხედვე-ლობით, დაკისრებული უნდა ჰქონოდა კახეთის ქორეპისკოპოსებსაც VIII–XI საუკუნეების ჩათვლით.

ასეთ ვითარებაში, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას თავისი სასულიერო-საერო სამმართველო ოლქი, კახეთ-ჰერეთი დე იურე გადაეცა საქართველოს მეფისათვის.

ძეგლისწერაში დავით აღმაშენებელს „რანთა და კახთა მეფე“ ეწოდა, ამით კრებამ ქორეპისკოპოს აღასართან მე-2-ის სამეფო უფლება კახეთზე ანულირებულად გამოაცხადა. მხოლოდ ამის შემდეგ კახელმა დიდებულებმა არიშიანმა (შაქიდან), ბარამმა და ქავთარ ტბელის ძემ შეიპყრეს კახეთის მეფე აღსართან II და გადასცეს დავით აღმაშენებელს. კახეთ-ჰერეთის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება მიუღებელი აღმოჩნდა ისტორიული რანის

მუსლიმანი მმაართველისათვის – განძის ათაბაგისათვის. ერწუხის ომში განძის ათაბაგის დიდი ლაშქარი დაამარცხა დავით აღმაშენებელმა, რითაც ფაქტობრივად კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ დაუბრუნა ერთიანი ქვეყნის სამმართველო სისტემას.

ძველი ქართული, ანუ მე-20 საუკუნემდელი ქართული ისტორიოგრაფია, როგორც დავით თუმნიშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ხე უჩვენებს, მიიჩნევდა, რომ კახეთ-ჰერეთის გაერთიანება დინასტიურად მოხდა, კერძოდ, ჰერეთის მეფეთა კანონიერი შთამომავალი გაგიკ ბაგრატიონი იშვილა კახეთის მეფე კვირიკე დიდმა და ამით გაერთიანდა კახეთ-ჰერეთი ერთ სახელმწიფოდ. გაგიკი ყოფილა წმ. დინარას ძის იშხანიკის შთამომავალი, ანუ ადარნასესი, ჰერეთის ცნობილი მეფისა. ხოლო კვირიკე დიდი კახეთის მეფე-ქორეპისკოპოსების ცნობილი შთამომავალი იყო. ამ ორი დინასტიის გაერთიანება ნება-ყოფილობით მომხდარა. ამასთანავე, ორივე ეს დინასტია მართლმადიდებ-ლური იყო, რაც ასეთი გაერთიანებისათვის არსებითი მომენტია.

ამ ცნობის საწინააღმდგოდ, ამჟამად მიიჩნევა, რომ კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა სომეხთა სამეფო დინასტიის წევრი.

თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ 67 წლის მანძილზე კახეთის ქორეპის-კოპოსების ტახტი ეჭირათ სომეხთა სამეფოს, ანუ ტაშირ-ძორაკერტის სამეფო დინასტიიდან გამოსულ წევრებს. როგორც წყარო აჩვენებს, კახეთის ტახტზე ასული კვირიკიანები მხოლოდ მართლმადიდებლები იყვნენ, რასაც მიუთი-თებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა – „კახეთს მეფობდა კვირიკე, **კაცი ჭეშმარიტი ქრისტიანე**“, ეს წინადადება და ასევე მაგალითად, ფაქტი იმისა, რომ კვირიკე IV-ს სამწირველო ჰქონდა შიომღვიმის მონასტერში, მიუთითებს, რომ კახეთის კვირიკიანი ქორეპისკოპოსებიც, წინამორბედ ქორე-პისკოპოსთა დარად, მართლმადიდებლები იყვნენ. „გამონათქვამი **„ჭეშმარიტი ქრისტიანე“**აღნიშნავს იმას, რაც ამჟამად გამოიხატება სიტყვით – „მართლმა-დიდებელი“.

იქამდე, არაბობის ეპოქაში, მტერთან თანამშრომლობის, კოლაბორა-ციონიზმის გამო, ქართულ ოლქებს დაეუფლნენ სომეხი დიდებულები.

ქართველი დიდებულები მუდამ იბრძოდნენ არაბებთან, ანდა მიატოვეს თავიანთი სამმართველო ტერიტორიები და დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, ანდა მთებს შეეხიზნენ. ამის გამო მრავალი ქართული ოლქი, ე. წ. „მკვიდრის“ ანუ მიწების მესაკუთრე დიდებულის გარეშე დარჩა, ამით ძირითადად ისარგებლეს სომხეთიდან გამოსულმა დიდებულებმა, ისინი დამკვიდრდნენ შაქში, გარდმანში, ქვემო ქართლსა და სხვა ქართულ ოლქებში, სადაც მმართველებად იქცნენ.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ ქართული, ძირითადად მართლმადიდებელი იყო, ხოლო მისი ზედა, მმართველი ფენა შედგებოდა სომხური წარმოშობის, ძირითადად მომონოფიზიტი დიდებულე-ბისაგან.

ქვემო ქართლში, ყოფილ სამშვილდის საერისთავოში, მმართველი ზე-დაფენის მონოფიზიტობა განპირობებული იყო იმჟამინდელი პოლიტიკური

ვითარებით, კერძოდ კი, ქვეყნის მპყრობელი არაბთა სახალიფოს უაღრესად მტრული დამოკიდებულებით მართალმადიდებლური ბიზანტიის მიმართ.

არაბები თავიანთ სახალიფოში დევნიდნენ პრობიზანტიურ ქალკედონიტურ აღმსარებლობას და ხელს უწყობდნენ იმჟამად ანტიბიზანტიურ მონოფიზიტობას, რაც უმეტესად მონოფიზიტ ადგილობრივ ხელისუფალთა მიმართ მხარდაჭერით გამოიხატებოდა.

ამის პარალელურად, იდევნებოდნენ, ანდა ისჯებოდნენ ქალკედონიტი მმართველები. რასაც მაგალითად კარგად გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილი ამბები ე.წ. ალბანეთის გარადმანის მიმართ. ალბანეთის კათალიკოსი დააპატიმრეს და გარდმანის ქალკედონიტ დედოფალთან ერთად დამცირებელი, საჯარო სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ ისინი მართლმადიდებლები, ანუ ქალკედონიტები იყვნენ, უფრო მეტიც, ქალკედონიტური მიმართულების გამო საერთოდ გააუქმეს ალბანური ეკლესიის ავტოკეფალია და ის სამართავად გადასცეს მონოფიზიტურ, ანუ ანტიბიზანტიურ სომხურ ეკლესიას, ეკლესიებში ალბანური ენის გამოყენებაც კი აიკრძალა.

ასეთი მიდგომის გამო სახალიფო მხოლოდ მონოფიზიტ მთავრებს ენდობოდა და დევნიდა ქალკედონიტ მთავრებს, მონოფიზიტობა კი უკვე ამ დროისათვის სომეხთა ეროვნულ აღმსარებლობას წარმოადგენდა, ქალკედონიტობა კი – ქართველებისა. შესაბამისად, არაბები მთავრებად ნიშნავდნენ სომხებს, ქართველებს კი ხელისუფლებიდან დევნიდნენ. მაგალითად, ქართლის ხოსროიან მეფეებს, ანუ არჩილსა და მირს და მათ შთამომავლებს არაბები სასტიკად დევნიდნენ, ხოლო თუ შეიპყრობდნენ, ხოცავდნენ. სანაცვლოდ, მაგალითად, განადიდეს შაქისა და არანის მმართველი საჰლ იბნ სუნბატ ალარმანი, მას „არანის ბატრაკის“, ანუ „რანის მეფის“ ტიტული მიანიჭეს.

ასეთ ვითარებაში ქვემო ქართლსაც, არაბების შემწეობით, დაეუფლა სომეხ მონოფიზიტ ბაგრატუნ-კვირიკიანთა ოჯახი,მიუხედავად იმისა, რომ როგორც შაქში, ისე ქვემო ქართლსა და გარდმანშიც მკვიდრი მოსახლეობა ეთნიკურად ქართული იყო, მისწრაფებული მართლმადიდებლობისაკენ, ანუ ქართველთა საერთო-ეროვნული სარწმუნოებისაკენ.

არაბთა ფაქტორის დამცრობა-გაქრობისთანავე ეს პროვინციები დაუბრუნდა ქართულ ეროვნულ სახლს – საქართველოს სახელმწიფოს.

ვითარება სხვაგვარი იყო კახეთში. ამ ქვეყანამ თავისი მხნე ომით აირიდა არაბთა ბატონობა. კახეთის ტახტზე კვირიკიანები აღმოჩნდნენ ქალის მხრიდან ნათესაური კავშირის გამო. ამ ტახტზე ისინი ადიოდნენ როგორც მართლმადიდებლები, ანუ ქალკედონიტები. კახეთის ტახტზე ასასვლელად ისინი ვალდებულნი იყვნენ თავის სარწმუნოებად ქალკედონიტობა ეღიარებინათ, რადგანაც უკვე მტკიცედ მართლმადიდებლურ კახეთის ქვეყანას უნდა ჩადგომოდნენ სათავეში, არაბული ფაქტორი აქ უკვე აღარ არსებობდა, ამიტომ ისინი „ჭეშმარიტი ქრისტიანები“ (ანუ მართლმადიდებლები) უნდა ყოფილიყვნენ, თუკი გავიმეორებთ მემატიანის სიტყვებს.

თავის დასკვნა

გამოირკვა, რომ თავდაპირველი, ანუ ისტორიული ჰერეთი მდებარეობდა მდინარეებს – გიშისწყალსა (ან, ალიჯანჩაისა) და აღსუს (თეთრწყალს) შორის. ქართლის ცხოვრების მიხედვით ის მდებარეობდა „მტკვრის ჩრდილოთ“ ანუ ალაზან-იორის შესართავიდან ვიდრე, აღნიშნულ მდ. აღსუმდე, ანუ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხოლო მის მოპირდაპირე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (ამ შემთხვევაში სამხრეთ მხარეს) რანი მდებარეობდა (შესაბამის რუკაზე ნათლად ჩანს, რომ ამ ადგილას მტკვრის მარცხენა სანაპირო ჩრდილოეთის მხარესაა მიმართული).

რანსა და აღნიშნულ ჰერეთს (ანუ სხვა სიტყვით – „შაქის ჰერეთს“) შორის, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, მდებარეოდა კამბისენა ანუ კამბეჩანი, ის, მე-7 ს. „სომხური გეოგრაფიის“ ცნობით მტკვარზე მდებარეობდა, ცნობილია, რომ იყო გორებით მოზღუდული რეგიონი, აქ კლდეთა და ჭაობთა შორის გადიოდა ალბანეთიდან იბერიაში შემავალი გზა. ამასთანავე, მიმდებარე შაქის ოლქს საზღვარავს კავკასიონის ქედის მაღალი თოვლიანი მთები, როგორც აღწერს სტრაბონი კამბისენას შესახებ. ეს ოლქი (კამბისენა) მოიცავდა ტერიტორიას მინგეჩაურის წყალსაცავის ტერიტორიის ქვემოთაც, ვიდრე იმ ნაყოფიერი ველამდე, რომელსაც სტრაბონი აღწერს მტკვარ-არაქსის შესართავთან.

შესაბამისად, კამბისენა, სტრაბონის სიტყვითვე მდებარეობდა იბერიას, არმენიასა და ალბანეთს შორის. მის მარცხნივ საკასენა მდებარეობდა, ხოლო მარჯვნივ – ისტორიული ჰერეთი. ამ ქვეყნის (ჰერეთის) საზღვარი მხოლოდ მე-9 საუკუნეში გაფართოვდა სამხრეთ კახეთის ხარჯზე.

არაბობის დროს კახეთის საქორეპისკოპოსო მუდამ იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ, ხოლო შაქის ჰერეთის იმჟამინდელი მონოფიზიტი მმართველები ერთგულად ემსახურებოდნენ სახალიფოს, ამის გამო ისტორიული კახეთის მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი (გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე და ილტომდე) არაბთა ნებით შეიერთა იმჟამად პოლიტიურად გაძლიერებულმა შაქის ჰერეთმა (ამ საკითხის კვლევას ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი). მაშასადამე, სამხრეთ კახეთის მიწა-წყალს მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით მე-9 საუკუნის შემდეგ ეწოდა ჰერეთი, შემდგომშიც, მონღოლების ეპოქაშიც, ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ შაქის ოლქის მხარეებს და ტერიტორიას ვიდრე აღსუმდე (ამას მიუთითებს წყროებში ნახსენები ჰერეთის ერისთავების საპატრონო არეალი. ისინი, წყაროს მიხედვით, მართავდნენ შაქის ოლქსა და მიმდებარე მხარეებს მიმართულს რახსისაკენ).

თავი III

დავით-გარეჯის მიწა-წყალი

წყაროები ასურელ მამათა კახეთში მოღვაწეობის შესახებ

ამჟამად გავრცელებულია არასწორი აზრი, თითქოსდა, ასურელი მამების ერთი ნაწილი მოღვაწეობდა ალბანურ ტომთა შორის. შეცდომის საფუძველია ის, რომ ალბანეთს მიაკუთვნებენ დავითგარეჯის მონასტრების მიწა-წყალს, ასევე, ამჟამინდელი ბოდბის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონებსა და საერთოდ, სამხრეთ კახეთს თელავის სამხრეთით. *(მაგ. ,იხ. საიტი https://ka.wikipedia.org/wiki/კამბეჩოვანი 19.01.2021*).

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო წყაროები ასურელ მამათა შესახებ ***(„ცხორებაი შიოსი და ევაგრესი“, 2005, „ხსენებაი საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შიოსი, 2005, „ცხოვრებაი შიო მღვიმელისა მოკლედ ნათქვამი“*** *და სხვა).*

საქართველოს ეკლესიის გამორჩეული წმიდანები, ასურელი მამები, წყაროთა მიხედვით, იყვნენ ეთნიკური ასურელები, მოღვაწეობდნენ სირიის მონასტრებში, სადაც მათ მიიღეს უფლისმიერი ბრძანება, რათა წასულიყვნენ „ქართლის ქვეყანაში“, რათა ქართველთა შორის განემტკიცებინათ სარწმუ-ნოება.

მემატიანე წერს, რომ იქამდე მათ არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ და არც ქართული ენა იცოდნენ, რაც აუცილებლად საჭირო იყო ქადაგებისათვის.

ასეთ გამოუვალ დროს მათ მიეცათ ნუგეში უფლის მიერ, კერძოდ კი, მიენიჭათ მათთვის უცნობი ენის ცოდნა, ვითარცა სულთმოფენობისას წმიდა მოციქულებს მიეცათ მყისიერი ცოდნა მათთვის უცნობი ენებისა.

კერძოდ, ქართლში გამომგზავრების წინ, ქართული ენის ცოდნა თავდაპირველად სულიწმიდის მიერ მიეცა ბერ იოვანეს, რომელსაც შემდგომ ზედაზნელი ეწოდა –

„ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“ („ცხორებაი შიოსი და ევაგრესი“, 2005, გვ.109).

ასურელ მამათა ცხოვრებიდან ნათლად ჩანს, რომ სულიწმიდა, რომელ-მაც ენათა ცოდნის უნარი მიანიჭა წმიდა მოციქულებს, საქართველოს ეკლე-სიის განმანათლებელთა შორისაც იღვწოდა. ამიტომაც, იოანე ზედაზნელის მემატიანის ცნობით, წმიდა იოანეს, გვარტომობით ასირიელს, საქართველოში

გამომგზავრებისას სულიწმიდის მიერ მიენიჭა ქართული ენის ცოდნა – „ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიწმიდისა მიერ“ („ცხორებაი შიოსი და ევაგრესი“, 2005, გვ.109).

სულიწმიდის მიერ ქართული მეტყველების მინიჭება ასურელი მამებისათვის უდიდესი სასწაული იყო იმ დროის მორწმუნეებისათვის. მემატიანე წერს – **„ესე სასწაული, ძმანო, მიმსზგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განოფასა ენათა ცეცხლისათა, ჭეშმარიტად საკვირველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატ.უა სიტყვითა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა და არა თუ ესწავა“ ... „მოეცა იოანეს ენაი ქართულად მეტყველი“** (იქვე, გვ.29).

ასურელ მამათაგან ნახევარი კახეთში მოღვაწეობდა, კახეთის დიდი ნაწილი კი ,ამჟამად არასწორად, ალბანეთად მიიჩნევა, დავითგარეჯასა და ბოდბესაც კი ალბანეთის ნაწილად მიიჩნევენ, ასეთი არასწორი მსჯელობით მიდიან დასკვნამდე, რომ ასურელი მამების ნაწილი ალბანეთში მოღვაწეობდა დავთ გარეჯელის თუ სტეფანე ხირსელის ჩათვლით.

წყაროები მიუთითებს, რომ ასურელნი იყვნენ ქართული ენის (და არა ალბანური ენის!) აღორძინების მამები, მისი უფლისმიერი დამცველ-მეპატრონენი. როცა ვამბობთ, რომ ასურელი მამები იყვნენ ქართული ენის მცოდნე უფლისმიერი, ზეგარდმო ნიშნით აღჭურვილი წმიდანები, გვაქვს შესაბამისი უეჭველი და უძველესი წყაროები, ესაა თვით ამ წმიდანთა ცხოვრებანი.

ვინ იყვნენ ასურელი მამები და რა კავშირი ჰქონდათ მათ ქართულ ენასთან? როგორც ითქვა, წარმოშობის მიხედვით არავითარი, მათ საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა და არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ, როგორც მოგვითხრობენ მათი ცხოვრებანი.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ასურელი მამების მიერ ქართული ენის ცოდნა მიუთეთებს, რომ ისინი არა ალბანეთში, არამედ ქართლში მოღვაწეობდნენ და შესაბამისად დავით გარეჯა თუ სხვა მათი მონასტრები ქართლში მდებარეობდნენ და არა ალბანეთში.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ იოანე ზედაზნელი, რომელიც იყო მეთაური და უაღრესად ავტორიტეტული წინამძღვარი ასურელი მამებისა, ეროვნებით ასურელი იყო, ასურეთში მცხოვრები და იქ დაბადებული. მას გაგონილიც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ არსებობდა ქართული ენა. გამოხდა ხანი, მას მიეცა უფლისმიერი ბრძანება, რომ უნდა ექადაგა ქართველების ქვეყანაში. მართლაც, ის მოწაფეებთან ერთად შემოვიდა ქართლში და ქართული ენით დაიწყო ხალხის დამოძღვრა. როგორ? მან შეისწავლა ქართული ენა? არა, მას საგანგებოდ არ შეუსწავლია ქართული ენა და არც დრო დაუხარჯავს მის შესასწავლად. მოხდა დიდი სასწაული, მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ სასწაულით დიდად შეშინდნენ და ამასთანავე გაკვირდნენ კიდეც, რა მოხდა? წმიდანის ცხოვრების თანახმად, უფალმა ინება, რომ როგორც წმიდა მოციქულებს მიეცათ სულთმოფენობისას ენების ცოდნა (საქმე, 2–14), ასევე, სულიწმიდის მიერ, „ერთწამში“, ანუ ელვისებური სისწ-

რაფით მიეცა წმიდა იოანე ზედაზნელს ქართული ენის ცოდნა, მისი მემატიანე წერს: **„მოეცა იოანეს ენაი ქართულად მეტყუელი... ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფათა ენათასა ცეცხლისასა... სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყვითა ზრახვად. იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არათუ ესწავა... რომელნი მაშინ მუნ იყვნეს ყოველნი ზარგანხდილნი და განკვირვებულნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკვირველებათასა“** (*ცხოვრება და მოქალაქობა ღირსთა მამათა ჩვენთა შიოსი და ევაგრესი, 2005 წ.,* გვ. 29).

მაშასადამე: 1. **სულიწმიდის მიერ** იოანე ზედაზნელი ქართულად ამეტყველდა; 2. მას ქართული ენის ცოდნა მიეცა „წამსა შინა“, ანუ მყისიერად; 3. იოანეს იქამდე არასოდეს უსწავლია ქართული ენა და არც კი სმენოდა მის შესახებ; 4. იოანემ მაშინვე დაიწყო „სიტყვათა ზრახვად“, ანუ ის უკვე ქართული ენით წარმოთქვამდა ფრაზებს და საერთოდ, ის ქართულად სრულყოფილად ამეტყველდა, მაშასადამე, უნარი მიეცა ქართულად ქადაგებისა; 5. ეს უდიდესი სასწაული სხვების თანდასწრებით მოხდა, რამაც მათ შიშის ზარი დასცათ და ამავე დროს, გაუკვირდათ; 6. იქ მყოფმა ადამიანებმა მაშინვე დაიწყეს ღმერთის დიდება, რადგანაც სწორედ ისაა „მოქმედი საკვირველებათა“, ანუ სასწაული მხოლოდ მისგან მომდინარეობდა; 7. სასწაული თავის არსით იდენტური იყო სულთმოფენობისას „ცეცხლის ენათა განყოფისას“ მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლისა და მათი სხვადასხვა ენაზე ამეტყველებისა (*ცხოვრება და მოქალაქობა ღირსთა მამათა ჩვენთა შიოსი და ევაგრესი, 2005 წ.* გვ. 29).

აღსანიშნავია, რომ იოანე ზედაზნელის აღნიშნული სასწაულის დროს მის გვერდით იყო მისი მოწაფე შიო მღვიმელი, სასწაულის მნიშვნელობა გაორკეცდა იმით, რომ შიო მღვიმელზეც გადმოვიდა **მადლი სულიწმიდისა** და ისიც ამეტყველდა ქართულად.

მისი ცხოვრების აღმწერი წერს, რომ შიო მღვიმელი **„იყო ნათესავით ასური... ოდეს იოანე, მოძღვარი მისი, უწყებითა ღმრთისაითა ქვეყანად ქართლისა მიიწია, ესეცა ნეტარი მისთანავე მოგზაურ იქმნა და მისთანავე მოციქულებრივი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყუელი“** (*ხსენებაი საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შიოსი, 2005 წ.,* გვ. 113).

მაშასადამე, შიო მღვიმელი 1. იყო ეთნიკურად ასური; 2. მისი მოძღვარი იოანე „ღმრთის უწყებით“ მოვიდა საქართველოში; 3. იოანემ და შიომ აღასრულეს მოციქულებრივი ქადაგება; 4. მათ ღმერთმა უბოძათ ქართული ენის ცოდნა – **„რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყუელი“.**

აღნიშნულთა გარდა, არსებობს აგრეთვე შიო მღვიმელის მოკლე ცხოვრებაც, რომელშიც კერძოდ ნათქვამია – **„წარმოემართნენ წმიდანი და მოვიდნენ ქართლად... კათალიკოზსა ევლავიოზს გამოეცხადა ანგელოზი უფლისაი და აუწყა მოსვლა მათი და წინა მიეგებოდა... ნეტარმან იოანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“** (*ცხოვრებაი შიო მღვიმელისა მოკლედ ნათქვამი, 2005 წ.,*გვ. 107).

“მოკლე ცხოვრებაც“ იმასვე იმეორებს, რომ იოანე ზედაზნელმა „წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“.

ამ ცხოვრებათა შეჯერებით ნათელი ხდება, რომ იოანე ზედაზნელმა, შიო მღვიმელმა და ჩანს, სხვა მამებმაც, ღმრთის ნებით, სულიწმიდის მიერ მყისიერად მიიღეს ცოდნა ქართული ენისა და ღმერთის უწყებით გამოემართნენ საქართველოში, ხოლო „ანგელოზი უფლისა“ აფრთხილებდა და ამზადებდა სათანადო პირებს მათთან შესახვედრად. მართლაც, ეს გამორჩეული სასწაული ერთგვარი გამეორებაა სულთმოფენობის სასწაულისა, როდესაც აღდგომიდან 50-ე დღეს სულიწმიდის მიერ მოციქულები ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე. ოღონდ ამ შემთხვევაში საუკუნეთა შემდგომ, როგორც მემატიანე წერს, ასურელმა მამებმა სულიწმიდის ძალით შეისწავლეს ქართული ენა. ცხადია, ეს მომენტი ანცვიფრებდა ძველ ქართველ მამებს და უნერგავდა თვალსაზრისს ქართული ენის განსაკუთრებულობის შესახებ. ასურელ მამათა აღნიშნული ცხოვრებანი წარმოადგენდნენ ოფიციალურ საკითხავებს, რომელნიც ეკლესიებში ხმამაღლა იკითხებოდა წირვა-ლოცვების სათანადო მომენტების დროს. მრევლს ოდნავადაც კი ეჭვი არ ეპარებოდა მოსმენილის სინამდვილეში. ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, ასე რომ არ ყოფილიყო, არც აღწერდნენ და არც მიიჩნევდნენ ღმერთის სადიდებელ საკვირველ სასწაულად. საზოგადოდ, ლოცვის ენას ძველ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც „ახალი აღთქმის“ ქადაგებათა ენა ღვთიური ნიშნით იყო აღბეჭდილი. ეს საგანგებოდ ეუწყათ სულთმოფენობისას მოციქულებსა და, შესაბამისად, პირველქრისტიანებს, „აღივსნენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად (საქმე, 2,4).

ამით მოიხსნა ის ენობრივი ბარიერი, რომელიც პირველმქადაგებელ მოწაფეებს შესაძლოა შეხვედროდათ, როცა ისინი წავიდნენ დასამოძღვრად წარმართებისა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ენობრივი ბარიერი ელოდათ ასურელ მამებსაც საქართველოში, მაგრამ, როგორც ითქვა, სულიწმიდის მიერ მიეცათ არა ზოგადად ცოდნა სხვადასხვა ენისა, არამედ კონკრეტულად, მხოლოდ ქართული ენისა. ქართული ენის ასეთი გამორჩევა უფლის მიერ, რაც იყო თვალხილული ფაქტი, ქართველ მრევლს, ცხადია, სიამაყით აღავსებდა. აღიწერება ისეთი მომენტიც, როცა მაგალითად, ქართლის კათალიკოსი შეეგება ასურელ მამებს ასურული ენით, მაგრამ მათ ქართულად უპასუხეს. ასურელი მამები ქართულენოვანი მქადაგებლები იყვნენ, უფრო მეტიც, ქართულენოვანი მწერლებიც კი, მხედველობაში გვაქვს შიო მღვიმელის ქართულენოვანი ლექსები. ჩანს, ეს მომენტიც აძლიერებდა ქართველ მამებს, მათ შორის კირიონ I კათალიკოსს, რომელმაც წამოიწყო დიდი საეკლესიო მოძრაობა გუგარქში ქართული ენის თავის უფლებებში აღსადგენად.

ჩვენში, ბოლო საუკუნეში, დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ასურელი მამების ქართულენოვნება გამოწვეული იყო იმით, რომ თითქოსდა, ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მესოპოტა-

მიაში. ამ არასწორ თვალსაზრისს, როგორც ვთქვით, აბათილებს წყაროები, კერძოდ კი ასურელ მამათა „ცხოვრებანი“.

ასურელი მამები საქართველოში სირიიდან ჩამოვიდნენ, მოღწეულია მათი ცხოვრებანი, საუკეთესო წყაროები საქართველოს ისტორიული გეოგ-რაფიისათვის.

ისინი ლეონტი მროველის თხზულებამდე გაცილებით ადრეა დაწერილი.

„ასურელ მამათა ცხორებანი“ აღმოჩნდა სინას მთის ხელნაწერთა შორისაც ამ ბოლო წლებში. ისინი მე-10 საუკუნემდეა შედგენილი,

ამის აღნიშვნა საჭიროა იმისათვის, რათა გავარკვიოთ ასურელი მამები რომელ ქვეყანაში ჩამოვიდნენ – ქართლში, ჰერეთში, ალბანეთში თუ კამბეჩანში, მათი „ცხოვრების“ მიხედვით.

მათ ცხოვრებებში სრულიად ნათლად წერია, რომ ისინი გამოემგზავრნენ ქართლში იმის შემდეგ, რაც მათ თვით უფალმა ღმერთმა უბრძანა, რომ ქართლში უნდა ჩამოსულიყვნენ და არა სხვა რომელიმე კავკასიურ ქვეყანაში.

საქმე ისაა, რომ ამჟამად, მაგალითად, მიჩნეულია, რომ სტეფანე ხირ-სელი, ანუ სტეფანე ქიზიყელი, თითქოსდა, კამბეჩანში ქადაგებდა, რადგანაც ხირსა კამბეჩანის ნაწილად მიაჩნიათ, ასევე დავით გარეჯელი, თითქოსდა, ჰერეთში, ანუ ალბანეთში ქადაგებდა, რადგანაც გარე კახეთის უდაბნო ამჟამად ჰერეთად (ალბანეთად) მიაჩნიათ, აბიბოს ნეკრესელიც, თითქოსდა, ჰერეთში ქადაგებდა (შესაბამის საიტზეც, ქიზიყის ხირსას, სადაც სტეფანე ხირსელი ჩამოვიდა, კამბეჩანის პუნქტად მიიჩნევენ, ხოლო საგარეჯოს, სადაც დავით გარეჯელი იღწვოდა – ჰერეთად ანდა ალბანეთად).

მსგავსი ფაქტების გამო ისმის კითხვა, მათი ცხოვრების მიხედვით, სად ქადაგებდნენ ასურელი მამები, იბერიაში? ალბანეთში? ან იქნებ კამბეჩანში ანდა ჰერეთში?

პასუხი ასეთია –

მათი ცხოვრება აღწერს, რომ მათ მიიღეს ბრძანება ღვთისაგან ,რათა წასულიყვნენ ქართველთა ქვეყანაში, ქართლში და არა ალბანეთში ანდა კამბეჩან-ჰერეთში. შესაბამისად, ისინი ჩამოვიდნენ ქართლში, კახეთი კი ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო.

არსენ ქართლის კათალიკოსის კვლევაზე დაყრდნობით, ქართლის ცხოვრება წერს – იოანე (ზედაზნელი) ასურეთში უდაბნოში მოღვაწეობდა „მუნ ბრძანება მოიღო ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტი მოწაფითურთ თვისით **წარვიდეს ქართლად**“ (ქ.ც. 1, 1955, გვ.208).

(„იოანემ **ღვთისაგან მიიღო ბრძანება**, რომ თავის მოწაფეთაგან გამოერჩია თორმეტი, **წასულიყვნენ ქართველთა ქვეყანაში, მეუწყა ღვთისაგან: ვნახე ყოვლადწმიდა დედოფალი ღვთისმშობელი, რომელმაც მიბრძანა, რათა თქვენგან გამოვარჩიო თორმეტი და წავიდე ქართველთა ქვეყანაში.** შემდეგ **დაადგნენ ქართლისაკენ მიმავალ გზას“**

შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონში ნათქვამია – „ხოლო ოდეს იოვანე, მოძღვარი მისი, უწყებითა ღმრთისაითა ქუეყანად ქართლისა მოიწია, ესეცა

ნეტარი მის თანავე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულებრი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა **ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი“**

(ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, 2005, გვ. 178).

ამიტომაც ის ტერიტორია, სადაც მათ იქადაგეს, მათ შორის გარეჯა თუ ხირსა, იყო ქართლში შემავალი მიწაწყალი და ალბანეთი.

ამის დაწერა საჭიროა, რადგანაც, მაგალითად, ქართული საიტი „კამ-ბეჩანი“, როგორც აღინიშნა, წერს, რომ **„კამბეჩანი ქიზიყია და ის ალბანურ ტომთა გაერთიანებაში ივარაუდება“,** https://ka.wikipedia.org/wiki/კამბეჩოვანი 19.01.2021, აქ კი სტეფანე ხირსელი და ასურელი მამები ქადაგებდნენ.

არასწორ ცნობას იძლევა საიტი, რომელიც წერს – „ანტიკურ წყაროებში მოხსენებულია სტრაბონთან (ძვ.წ.I-ახ.წ. I სს.) როგორც *კამბისენე.* კამბეჩოვანი ძველი **ჰერეთის** ნაწილი იყო, მოიცავდა უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე დღევანდელი ქიზიყი, კერძოდ, ტერიტორიას *ალაზნის* ქვემო წელსა და *მტკვარს* შორის...ცენტრი *ხორნაბუჯი.* **ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში კამბეჩოვანი ალბანურ ტომთა კავშირის გაერთიანებაში შედიოდა.** აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმოსავლეთ ქართველები), ალბანელები და სომხები... XV საუკუნის დასაწყისიდან კამბეჩოვანი **ქიზიყად** იწოდება, გვიან შუა საუკუნეებში შეერწყა **კახეთს**.
https://ka.wikipedia.org/wiki/კამბეჩოვანი19.01.2021

მსგავს საიტებსა და კვლევებს ეწინააღმდეგება ასურელ მამათა ცხოვ-რებათა ცნობები.

ცნობილ 12 ასურელ მამათაგან 6 კახეთში მოღვაწეობდა – „ზენონ და სტეფანე წარვიდნენ კახეთს და მოვლეს იგიქადაგებითა ღუთისათა“. წმიდა მამა სტეფანემ, წყაროს ცნობით – „აღაშენა სამყოფელი თვისი“ ხირსის სოფლის ახლოს, მრავალს უქადაგნია კახეთში დავით გარეჯელის მსგავსად.

ზენონ იყალთოელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ქიზიყელი ანუ ხირსელი, მუდამ ქართველ და არა ალბანელ წმიდანებად მიიჩნეოდა, რასაც უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ზოგიერთი ისტორიკოსი, მით უმეტეს, როგორც გულისტკი-ვილით აღინიშნა, მათ ბოდბეც კი ალბანელების ქალაქად მიიჩნიეს.

შეცდომაა, როგორც აღინიშნა, გავრცელებული და დაბეჯითებული მტკიცება იმისა, რომ, თითქოსდა, კამბისენე, კამბეჩანი მდებარეობდა დღევან-დელი ქიზიყის ადგილას, კამბეჩანი მდებარეობდა ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას, ხოლო ქიზიყი – მის ჩრდილოეთით, მის მეზობლად. დავით გარეჯელისა და სტეფანე ქიზიყელის, ანუ ხირსელის ცხოვრებანი აჩვენებს, რომ ქიზიყი არ ყოფილა ნაწილი კამბეჩანისა, ანუ კამბისინესი.

მხოლოდ საუკუნეთა შემდეგ, რაც ასურელმა მამებმა კახეთში იღვაწეს, კერძოდ კი, მე-9 საუკუნეში, სამხრეთ კახეთი მიიტაცა შექის სამეფომ (ანუ ჰერეთმა). აი, ამის შემდეგ კახეთის ამ ნაწილს, გარკვეული დროით, ჰერეთსსაც უწოდებდნენ. მაშასადამე, ეს ასურელი მამები კახეთში იღწოდნენ და მტკიცე ბურჯად ედგნენ წმიდა ქალკედონურ სარწმუნოებას.

წმ. ილარიონ ქართველი – დავითგარეჯის მცველი

სამხრეთ კახეთში წმიდა ქალკედონურ სარწმუნოებას საფრთხე მას შემდეგ შეექმნა, რაც მე-9 საუკუნეში არაბთა უძლეველმა ხალიფამ „არმენიის, ივერისა და ალუანქის მეფის“ ტიტული მიანიჭა შაქის, ანუ ჰერეთის მმართველ მონოფიზიტ საჰლ სმბატიანს. მას ხალიფამ დიდი ჯარიც მიაშველა მეზობელი ივერთა ქვეყნის, ანუ კახეთის დასაპყრობად.

ამ დროს დავით-გარეჯი წარმოადგენდა ბურჯს წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა მთელს იმჟამინდელ ქართულ სამყაროში, ამიტომაც კახეთის ქორეპისკოპოსების, დონაურების საგვარეულო მის გაძლიერებას ცდილობდა. ამ მონასტრის საძმოს, დაახლოებით 838–839 წლებში შეემატა ამ საგვარეულოს წევრი, წმიდა ილარიონ ქართველი.

ჰერეთის, ანუ ალბანეთის მეფედ წოდებულმა მონოფიზიტმა საჰლ სმბატიანმა მე-9 საუკუნეში, 840-იან წლებში, მიიტაცა სამხრეთ კახეთი, იორ-ალაზნის შესართავის ზემოთ, ვიდრე გავაზამდე. მიტაცება მიუღებელი იყო ქართული სამყაროსათვის. გავაზისა და სამხრეთ კახეთის მიწების გასათავი-სუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები.

შაქ-ჰერეთის სომეხი მეფეების აგრესიის მიუხედავად, მე-9 საუკუნეში, დავითგარეჯის მონასტრები როგორც იყვნენ, ისეთივე ქართულ-მართლმა-დიდებლურ მონასტრებად დარჩნენ როგორც ითქვა, მათ განსაკუთრებით მფარველობდა გარდაბნის ძლიერი ოლქი და იქაური ძლიერი საგვარეულო დონაურებისა, რომელთა წიაღიდანაც ინიშნებოდნენ წანარ-კახთა ქორეპისკო-პოსები. დონაურების დიდი საგვარეულოდან ერთ-ერთი, წმიდა ილარიონ ქართველი, პირადად დავითგარეჯში დაეყუდა და იცავდა მას მონოფიზი-ტური აგრესიისაგან.

მე-9 საუკუნეში წმიდა ილარიონ ქართველმა უდიდესი ღვაწლი დადო დავითგარეჯის ქართული საეკლესიო სულის გაძლიერებას.

მისი ბიოგრაფის ცნობით, ილარიონ ქართველი დაბადებულა 822 წელს დონაურების მდიდარ კახურ ოჯახში, 12 წლისა აღკვეცილა ბერად, 16 წლისა გადავიდა დავითგარეჯელის ლავრაში, განაახლა და გაამშვენა წმ. დავით გარეჯელის საძვალე. გარეჯის მონასტრები რუსთველის საეპისკოპოსოში შედიოდა და ის აქ მღვდლად აკურთხა რუსთველმა ეპისკოპოსმა.

30 წლის ასაკამდე წინამძღვობდა, შემდეგ კი მსოფლიოს წმიდა ადგი-ლების მოსალოცად გაემგზავრა, იორდანიის უდაბნოში იცხოვრა 17 წელი, დაბრუნდა საქართველოში, თავის მშობლების სახლში მონასტერი დააფუძნა და თვითონ კვლავ დავითგაეჯის ლავრაში დაეყუდა და მას თავისი ქონების ნახევარი შესწირა, შემდეგ კვლავ უცხოეთში გაემგზავრა, ოლიმპზე 5 წელი გაატარა, ესტუმრა კონსტანტინოპოლსა და რომს, თესალონიკში იცხოვრა სამი წელი და გარდაიცვალა 882 წელს. ის წმიდა წერილს თარგმნიდა ქართულ ენაზე, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა საიმპერატორო კარზე. მისი ცხოვრე-ბის ცნობით, მაკედონელთა დინასტიის პირველმა იმპერატორმა ბასილი I-მა

მას თავისი შვილები, ალექსანდრე და ლეონი დაუმოწაფა, იმპერატორმა თხოვა, რათა ილარიონს ამ უფლისწულებისათვის ქართული ენა ესწავლებინა.

იმპერატორ ბასილი I-ის წინაპრები მაკედონიაში გადასახლებულან არმენიდან მე-5 საუკუნეში. არმენიას იმჟამად ასევე უწოდებდნენ მცირე აზიის ნაწილს ტრაპეზუნტის მიმართულებით. ამ მიწა-წყალზე დიდი იყო იბერიული მოსახლეობის წილი.

ბასილი I-ს სურდა, რათა მათ შვილებს, მომავალ იმპერატორებს, ესწავლათ ქართული ენა და ეს საქმე დაუვალებია წმ. ილარიონ ქართველისათვის. ეს უცნაური ფაქტი, რომ ბიზანტიის ეს იმპერატორი თავის შვილებს ქართულ ენას ასწავლიდა იძლევა საფუძველს მოსაზრებისა, რომ მიუხედავად მაკედონიაში ცხოვრებისა, ჩანს, ბასილის წინაპრების ოჯახში იყო მოგონება თავიანთი ქართული წარმოშობისა, ალბათ ამიტომ, ბასილის მშობლიურ გრძნობებს აღუძრავდა ქართული ენის მოსმენა და თუნდაც სიახლოვე ქართველ ბერთან, ამიტომაც მან დიდი პატივი სცა მას და შემდგომ, დიდებულებით დაკრძალა ილარიონ ქართველი.

როგორც ითქვა, ილარიონ ქართველი დონაურთა სახელოვან საგვარეულოს განეკუთვნებოდა. ცნობილია კახეთის ორი ქორეპისკოპოსი დონაურთა გვარიდან, ძმები სამოელი და გაბრიელი. დონაურები გარდაბნელები იყვნენ. გარდაბანი იყო ძველი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია, ნაწილი კახეთისა მოქცეული ამჟამინდელი აზერბაიჯანის ქალაქ განჯიდან ვიდრე სამშვილდემდე. ის იყო ქართველთა ეთნოგენეზის ერთ-ერთი დიდი კერა, რადგანაც მისი სახელი მოდის ქართველთა ეთნარქ ქართლოსის შვილის გარდაბოსის სახელისაგან, რომელსაც ქართლის ცხოვრების ცნობით, წილად ხვდა ეს ქვეყანა. ამ ქვეყანაში დააარსა ქართლოსმა ორი ქალაქი – სამშვილდე და ხუნანი. ზემო გარდაბნის ოლქს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა დავითგარჯის უდაბნოების მონასტრები, სადაც ერთ პერიოდში დაეყუდა წმ. ილარიონ ქართველი. დავითგარეჯის უდაბნოების მიწა-წყალს, ქალაქ ბოდინთან ერთად, ჩანს, მე-4 ქვეყანაში სოჯის, სუჯის ქვეყანა ერქვა და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რომლის პიროვნული გამოხატულება იყო სოჯი დედოფალი, რომელიც მცხეთაში მოინათლა.

დონაურები არა მხოლოდ ამ ვრცელ მხარეს, არამედ მართავდნენ მთელ კახეთს, რომელიც, ზოგადად, ამ ოლქის (გარდაბნის) აღმოსავლეთით მდებარეობდა (იორ-ალაზნის შესართავიდან და გიშისწყლიდან ვიდრე არაგვამდე).

წმიდა ილარიონ ქართველის ხსენების დღეა 19 ნოემბერი ძველი სტილით, მისი ტროპარი ამბობს, რომ მისი მადლით ხარობს **ქართველი ერი**, ხოლო კონდაკი აღნიშნავს, რომ **ქართველი ერი** მას პატივით აქებს.

ტროპარი

„მადლი ჰპოვა სოფელმან შობითა შენითა, ღირსო, და იხარებს ერი ქართველთა მის შორის აღმოცენებისა შენისათვის, რამეთუ ხედვენ შორის მადლსა საღმრთოსა მქონებელად, რომელმან ანგელოზებრ უხორცო აჩუენე ცხორებაჲ, და სასწაულთა მოქმედებითა შეიმკუე მოღუაწეთა შუენიერებაო ილარიონ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის“.

კონდაკი

„სიყრმით შენითგან ღირსო, იწყე აღმოსლვად ხარისხთა სათნოებისათა, და სოფლისა დამტევებელმან არად შერაცხენ სიმდიდრენი მისნი, რომელი აღყუავდი სახლსა შინა ღმრთისასა მსგავსად ფინიკთასა, ილარიონ სამ-გზის სანატრელო, ვინა ყოველნი ერნი ქართველთანი პატივით გაქებთ, ვითარცა მამასა და მეოხსა ჩუენსა“.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის გასაშლელი ხატის მესამე დაფაზე არის წარწერა **„მნათობნი ქართველთანი, პეტრე იბერი, ილარიონ ქართველი და შიო მღვიმელი“,** ამავე დაფაზეა წარწერები – „მაქსიმე აღმსარებელი, საბა. პეტრე. პავლე“.

მეუფე ანანია სინას მთის მონასტერში წმ. ილარიონ ქართველის ხატთან

კახეთის ქორეპისკოპოსები დონაურთა საგვარეულოდან

მექელმა მქადაგებელმა მუჰამედმა ახალი რელიგიით (ისლამით) გააერთიანა არაბები და საფუძველი ჩაუყარა ხალიფატს, სახელმწიფოს, რომელმაც 632 წლიდან ერთ საუკუნეში მოიცვა ვრცელი მიწა-წყალი ესპანეთიდან ინდოეთამდე.

თავისი ძველი სახე დაკარგეს ქრისტიანობის იმჟამინდელმა ცენტრებმა – მათ შორის ეგვიპტემ, ჩრდილოეთ აფრიკამ, სირიამ და სხვა. ისლამი გავრცელდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ირანში, რამაც მისი ისტორია და უძველესი კულტურა შეცვალა. ხალიფატის ძირძველი მოსახლეობა ძირითადად გაარაბდა.

VIII–XII საუკუნეები არის არაბული კულტურის აყვავების პერიოდი. ამ ეპოქაში გაიფურჩქნა არაბული პოეზია, პროზა, დაიწერა ძალზე მნიშვნელოვანი

მხატვრული ნაწარმოებები, იურიდიული კოდექსები და ფილოსოფიური ტრაქტატები. ეს ეპოქა „ისლამის ოქროს საუკუნეა“, დიდად განვითარდა მედიცინა, გეოგრაფია, ისტორია, მათემატიკა, ასტრონომია და სხვა. არაბები თავიანთი სამეცნიერო დარგების წარმატებებს იყენებდნენ ისლამის გავრცელების საშუალებად. ამ დროს ისლამს ავრცელებდნენ ძირითადად განათლებული მოქალაქეები. ეროვნული გადაგვარების თუ რა საფრთხე აიცილა ქართველმა ხალხმა შეიძლება ჩანდეს ერთი მაგალითით –

დიდი ნაწილი მრევლისა, მაგალითად, ანტიოქიის საპატრიარქოსი, რომელიც დააფუძნა პეტრე მოციქულმა და რომელმაც უძღვნა მსოფლიოს იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვა მრავალი წმიდანი, განუდგა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ისლამი აღიარა. თუმცა ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა მრევლის მცირე, მაგრამ თავდადებულმა ნაწილმა, იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოებში. აი, ასეთ გარემოში შეძლო გმირული სულისკვეთების მქონე საქართველოს ეკლესიამ თავისი მრევლის, ანუ ქართველი ერის სარწმუნოების შენარჩუნება.

რუკა კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიის,ანტიოქიისა
და იერუსალიმის საპატრიარქოების იურისდიქციისა.
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/bc/1800_Wilkinson_Map_of_the_4_Eastern_Churches_rectified.jpgg

აქედან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თავის იურისდიქციას ავრცელებდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ის მოიცავდა მხოლოდ ამჟამინდელ ლაზისტანს (თურქეთში). რუკაზე არ არის აღნიშნული, მაგრამ ანტიოქია თავის იურისდიქციას ავრცელებდა სირიაში, არაბეთში, კილიკიასა, ივერიასა და პალესტინაში. ეს ასახულია მის ტიტულატურაში – „პატრიარქი დიდისა ღვთისა ქალაქისა ანტიოქიისა, სირიისა, არაბეთისა, კილიკიისა, ივერიისა, მესოპოტამიისა და მთელი აღმოსავლეთისა“.

ის, რომ ანტიოქიის პატრიარქი თავის თავს „ივერიის“ პატრიარქსაც უწოდებს, გაუგებრობის წყაროა, მაგრამ აქ „ივერიის“ ქვეშ იგულისხმება არა თანამედროვე საქართველო, არამედ ამჟამად თურქეთში მოქცეული ქართველების ისტორიული მიწა-წყალი – არზრუმსა და ვანის ტბას შორის, რომელსაც ძველი ჩვეულების თანახმად, ანტიოქიაში „ივერიას“ უწოდებდნენ. ბიზანტიაში ივერიას ასევე უწოდებდნენ ტაო-ბასიანის ქართულ ქვეყანას, სადაც შემდგომში „ქართველთა სამეფო“ ჩამოყალიბდა.

როგორც ითქვა, ისლამი მიიღო მთელი მისი კულტურით ასევე ისეთმა დიდმა ქვეყნებმა, როგორიც იყო, მაგალითად, ირანი და ეგვიპტე.ასეთ დროს ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ქრისტიანული სარწმუნოება, ამასთანავე, მტკიცედ დაიცვა ქალკედონიტობა, მიუხედავად იმისა, რომ მტერი კავკასიაში მხარს უჭერდა სომხურ მონოფიზიტურ ქრისტიანობას.

მიუხედავად მცდელობისა და ლაშქრობებისა არაბებმა ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და კახეთის დიდი ნაწილის დაპყრობა, თუმცა მათ საქართველოს გული, თბილისი დაიპყრეს ქვემო ქართლთან ერთად და იქ თავისი საამირო დააარსეს.

არაბთა შემოსევის წინ საქართველო სასტიკად იყო დაზარალებული და განადგურებული ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს შემოსევის გამო და ქვეყანამ არაბებს ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა.

პირველად არაბების ლაშქარი საქართველოში 642–643 წლებში გამოჩნდა. როგორც ითქვა, მათ შემოსევამდე სულ რამდენიმე წლით ადრე საქართველოს სახელმწიფოებრიობა ძლიერ შეარყია ჰერაკლე კეისარმა და ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები წაართვა.

ის საქართველოს გზით შევიდა სპარსეთში და სასანიდების სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღო. ჰერაკლეს თბილისში შეუერთდა ხაზართა ლაშქარი და დაიწყეს თბილისის ციხის აღების იერიში.

თბილისის ციხეში კი თავი მოიყარეს სასანიდების მომხრე ქართველმა დიდებულებმა, ამიტომ მტერმა 627 წელს ვერ შეძლო ციხის აღება, მეციხოვნეებმა კი დასცინეს იმპერატორ ჰერაკლეს, რამაც ის განარისხა, იმდენად, რომ მემატიანის სიტყვით, ის ქართველ ქრისტიანებს ეკლესიებშიც კი ხოცავდა, ქართული ხელისუფლება კი დასაჯა.

VII ს-ში ბიზანტიის იმპერატორის ქართლში მოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი წყარო წერს –

ჰერაკლე **„წარმოემართა სპარსეთად, ძებნად ძელისა ცხოვრებისა და მივიდა პირველად ქართლს“** (ქ.ც., გვ. 224). ამ შემთხვევაში ჩვენი თემისათვის

მნიშვნელოვანია ის, რომ მან, ქართლის ცხოვრების ცნობით, სამეფო ტახტი დაუბრუნა ხოსროიანთა დინასტიას.

ჰერაკლემ თბილისში მისვლის შემდეგ ბაგრატიონებს ჩამოართვა მეფობა და დაუბრუნა კახეთში დარჩენილ ფარნავაზიან-ხოსროიანების დინასტიის წევრს – ადარნასე (ბაკურის ძე) ერისთავს, მაგრამ ტრაგედია იყო ის, რომ მან ქართლის სამეფოს საზღვრები დაამცრო, ანუ მას წაართვა ძირძველი მიწა-წყალი – სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი. ეს ქართული მხარეები ჯერ კიდევ იუსტინიანეს დროს იყო მიტაცებული, სადაც მან ბუფერული სახელმწიფოებრივი ერთეული დააარსა, რომელსაც ლაზიკის ბასილევსი ჩაუყენა სათავეში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიტაცებული სპერისა და ზღვისპირა კლარჯეთის ერისთავები ბაგრატიონები იყვნენ, მათ კი კლარჯეთის ზღვისპირა საერისთავო ბიზანტიის იმპერიის სფეროში შეიყვანეს, შემდგომში ეს მიწები დაბრუნებია ქართლს, მაგრამ ჰერაკლეს ისინი „კვალად“ წაუღია.

„მაშინ კვალად წარიღეს ბერძნებმა საზღვარი ქართლის: სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი და შვილნი სტეფანოზისნი (ბაგრატიონისა, გურამის ძისა) დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხვა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემ (ხოსროიან-ფარნავაზიანმა) მთავრობით“ (გვ. 226).

[როგორც ითქვა, იქამდე ქართლის საზღვრებში შედიოდა სპერი და ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი, ეს ტერიტორიები ჰერაკლემ მიიტაცა].

„ხოლო ერეკლე მეფე შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო მეფე და წარიღო ბაღდადი და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა, უკუმოიარა გზა ქართლისავე მეშვიდესა წელსა რაითგან ჩაევლო... მაშინ ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, რომელიც მოცემულ იყვნეს კონსტანტინესაგან მირიანისადა“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 227). **„და აღმოვლო ერეკლე კეისარმან გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად“** (ქ.ც., ტ. I, გვ. 231).

არაბთა შემოსევების შემდეგ იმპერიამ მიატოვა **„შუამდინარეთი და ფილისტიმი“** 632 -641 წლებში ჰერაკლე კეისრის დროს.

იმ სისასტიკით, რაც ჰერაკლე კეისარმა საქართველოში გამოიჩინა, ასევე, არასწორი სარწმუნოებრივი პოლიტიკით, მისი ღრმა კავშირით („უნიით“) სომხურ ეკლესიასთან, ჰერაკლემ მისი ბუნებრივი მოკავშირე – საქართველო სრულიად დაასუსტა და არაბებს გზა გაუხსნა თბილისისაკან. საბოლოოდ, სპარსეთის სახელმწიფოს განადგურებამ ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას.

საერთოდ კი, აღმოსავლეთის ქრისტიანები, მათ შორის სირიაშიც, არაბების შემოსევამდეც მტულად იყვნენ განწყობილი ბიზანტიური საიმპერატორო კარისა და ოფიციალური ეკლესიის მიმართ, ამიტომაც სწრაფად მიიღეს ისლამი.

ბიზანტიის არათანმიმდევრული სარწმუნოებრივი პოლიტიკა ხელს უწყობდა იმპერიის ცენტრში მრავალი მწვალებლობის გავრცელებას, მათ შორის ხატმებრძოლობასა და მონოთელიტობას. ასეთ დროს მისმა იმპერატორმა ჰერეკლემ მართლმადიდებელი ქართველობაც არ დაინდო „როცა მათ ეკლესიებში სისხლის მდინარეები დააყენა“, ხოლო სომხური ეკლესია, შეიძ-

ლება ითქვას, რომ განადიდა, ყურადღების მიპყრობითა და შეთანხმებით და, როგორც ითქვა, მასთან უნია დადო.

ჰერაკლე კეისრის წასვლიდან მალევე 642–643 წლებში არაბები საქართველოში შემოიჭრნენ. მართალია, მალევე უკუიქცნენ, მაგრამ 652 წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ და ქართლი დაიმორჩილეს ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ 654–655 წლებში.

არაბებს ორი წელი უხდიდნენ ხარკს ქართველები, შემდეგ კი შეწყვიტეს. ასპარეზზე კვლავ ბიზანტია გამოჩნდა და მათაც ქართველობა დახარკეს.

685 წლიდან ქართველები ხარკს ორივე დამპყრობელს უყოფდნენ.

ერისმთავარი ნერსე I (დაახლოებით მე-7 ს-ის 80-იან წლებში) სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. ფიქრობენ, რომ ის ატენის სიონის ერთ-ერთი მაშენებელია.

ატენის სიონის კედლის მინაწერებიდან ჩანს, რომ ქართლი და ეგრისი ამ ეპოქაში ერთიანი ხელისუფლის, ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ III-ის მიერ იმართებოდა.

მას ატენის სიონის წარწერაში ეწოდება – „კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავი უფალი“, რაც მიუთითებს ჩვენი ეროვნული წყაროს – „ქართლის ცხოვრების“ ცნობების სისწორის შესახებ, იმის შესახებ, რომ ქართლის სამეფო და, ზოგადად, ქართლის პოლიტიკური ერთეული თავისი საზღვრების შიგნით მოიცავდა ასევე დასავლეთ საქართველოს, როგორც სტეფანოზისა და მისი შვილების, მირისა და არჩილის დროს, ისე წინა საუკუნეებში.

ამიტომაც არასწორი უნდა იყოს ამჟამინდელი თვალსაზრისი, რომ არაბები მე-7 საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოს მართავდნენ სერგი ბარნუკის ძის დროს.

697 წ. ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყებული სერგი ბარნუკის ძე მმართველი იყო არა ეგრისისა, არამედ ამჟამინდელი ლაზისტანისა, რომელსაც ბიზანტიურ წყაროებში ლაზიკა ერქვა.

ლაზიკის მმართველ სერგის ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყების დროს არაბები მოუწვევია და მათ არქეოპოლისი დაუკავებიათ. ამ არქეოპოლისის ქვეშ არ იგულისხმება ციხე-გოჯი. ის ლაზისტანის მხარეს, უფრო ჭოროხის ხეობისაკენ უნდა ვეძიოთ, ხოლო რაც შეეხება ციხე-გოჯს, ის, წყაროს თანახმად, ამ ეპოქაში ქართლის მეფეების, მირისა და არჩილის სატახტო გახდა ქუთაისთან ერთად (თბილისის დაკარგვის შემდეგ). წყარო წერს –

„ხოლო არჩილ ... რქუა „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ... წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 242).

კერძოდ, როგორც აღინიშნა, ატენის სიონის წარწერაში აღნიშნულია, რომ ქართლის ერისმთავარი (710-იანი წლებიდან 740-იან წლებამდე) სტეფანოზ III (მამა ქართლის მეფე მირისა და არჩილისა) იყო – „ღმერთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ- ერისთავი უფალი“.

მართლაც, წყაროს ცნობით, მე-8 ს-ის დასაწყისისათვის ქართლის მეფე მირი სტეფანოზის ძე ფლობდა „საუხუცესო“ მიწებს – ეგრისს, სვანეთს, არგ-ვეთსა და გურიას.

არაბთა შემოსევებით დასუსტების გამო მეფე მირმა თავისი სახელ-მწიფო „ქართლის სამეფო“ დაშლილად გამოაცხადა და თავისი ძმის, არჩილის ხელით გაუნაწილა სუვერენული ოლქების სახით თავის სიძეებს, ანუ მეფე მირის ქალიშვილების ქმრებს.

მეფე მირის ძმა, წმიდა მეფე არჩილი (დაახლოებით, 670 -იანიდან 730-იანი წლების ჩათვლით) ერთხანს სამეფო საუხუცესო მიწაზე, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, შემდეგ კი კახეთში გადავიდა, აქ მმართველობის დროს მან მიიღო წმიდა მოწამის გვირგვინი.

738 წელს, მისი სიკვდილით, ქართლის სამეფო ფაქტობრივად გაუქმდა, ქართული წყაროების ცნობით, ქართლის სამეფო აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს.

საქართველოს გული, როგორც ითქვა, მე-8 საუკუნიდან თბილისის საამირომ დაიკავა.

მურვან ყრუმ 735–736 წლებში საქართველოს სრულად დაპყრობა სცადა თავისი დიდი ლაშქრით.

აღნიშნული ქართველი მეფეების, მირისა და არჩილის შეპყრობა და დაპატიმრება მისი უმთავრესი სამიზნე ყოფილა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. საქართველოს განაპირა მხარეები მტერმა ვერ დაიპყრო, მათ შორის ეგრისი და კახეთი.

აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის სამეფოს საერისთავოთა (III–IV სს.) ჩამონათვალში შედის კახეთისა და ხუნანის საერისთავოები.

„ამაზასპ უწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერის-თავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსვლამდე დასავლეთისა ერისთავისა მოვიდეს ოვსნი“ (ქ.ც., I, გვ. 55). დასავლეთის ერისთავები ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ერისთავებს, ისინიც ქართ-ლის ერისთავთა წრეს განეკუთვნებოდნენ.

ქართლის „ზემო ერისთავები“ არიან აღნიშნული „აღმოსავლეთის ერის-თავები“ – ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვილ-დისა, ხოლო „ქვემო ერისთავები“ არიან „დასავლეთის ერისთავები“ – ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნ-დისა. ისტორიულად, „ზემო ქვეყანა“ ერქვა აღმოსავლეთ საქართველოს, ხო-ლო „ქვემო ქვეყანა“ – დასავლეთს, შესაბამისად, „ზემო ივერია“ – აღმოსავ-ლეთს, „ქვემო ივერია“ – დასავლეთს.

ქართლის სამეფოს საერისთავოებში ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) შედიან კახეთ-კუხეთის, ჰერეთისა და ხუნანის საერისთავოები, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ერისთავებია:

1. ჯუანშერ სპასპეტი მპყრობელი შიდა ქართლისა,
2. დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა,

3. გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა,
4. ნერსარან, ერისთავი ხუნანისა,
5. ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა,
6. სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა,
7. ბაკურ, ერისთავი მარგვისა და თაკვერისა,
8. არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა,
9. ნასარ, ერისთავი წუნდისა,
10. ბივრიტიან, ერისთავი ოძრხისა,
11. საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი (ქ. ც. I. 185).

ვახტანგ გორგასლის დროის თორმეტ ეპისკოპოსს შორის ხორნაბუჯის ეპისკოპოსი კახეთს მწყსიდა, ხოლო ჩელეთის საეპისკოპოსო – ამჟამინდელი შაქის ოლქის ჩრდილოეთ მხარეს, რადგანაც, ჩვენი კვლევით, ქალაქი ჩელეთი ეკუთვნოდა კახეთს და ის მდებარეობდა ამჟამინდელი შექის ოლქის მთიანეთში, ახლოს ამჟამინდელ სოფლებთან, ხალხალი და ფილფილი, რომელთა ახლოსაც, მდინარე გიშისწყლის სათავესთან მდებარეობდა ჰერეთთან სასაზღვრო პუნქტი ტყეტბა-გულგულა (შესაბამისად, ტყეტბა-გულგულა არ მდებარეობდა თელავთან, ხოლო ჩელეთი – თიანეთთან).

1. „და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსა ;
2. დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისასა;
3. ერთი არტანს, ერუშეთს;
4. ერთი ჯავახეთს, წუნდას;
5. ერთი მანგლისს;
6. ერთი ბოლნისს;
7. ერთი რუსთავს;
8. ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარს;
9. ერთი ჭერემს;
10. ერთი ჩელეთს;
11. ერთი ხორნაბუჯს;
12. ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით“ (ქ.ც.გვ. 199).

ქართლის ცხოვრების (VI ს.) ჩამონათვალში „ზემონი და ქვემონი ერისთავნი“ შედიან კახეთისა და ხუნანის (შემდეგი გარდაბნის ოლქის) ერისთავები –

„შეითქუნეს ყოველი ერისთავნი ქართლისანი – ზემონი და ქვემონი“ (ქ.ც. გვ. 218).

ქართლის **„ზემო ერისთავები“** არიან აღნიშნული **„აღმოსავლეთის ერისთავები“ – ერისთავი კახეთისა**, **ერისთავი ხუნანისა** და ერისთავი სამშვილდისა,

ქართლის სამეფოს ერისთავები მეფეების, მირისა და წმ. არჩილის დროს *(VIII ს.)*

ერისთავები, რომელთაც შერთეს მირ მეფის ქალიშვილები:

1) „ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმის-წულნი მისნი: ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურა-პალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი.

2) „მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელ მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ – ესაა გარდაბნის ოლქის ჩრდილოეთი მხარის ნაწილი.

3) მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა.

(მან, ჩანს, დაიმკვიდრა კახეთი)

4) მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა და ორთავე ამათ განეყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი.

5) მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდისხევამდე. იყო ესე ვარაზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელ იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა.

(გარდაბნის ოლქის სამხრეთი ნაწილის შემდგომი ერისთავი უნდა იყოს)

6) მეექვსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელ იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისათა, და მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და თბილისი.

ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგადებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ხევთაგან... ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა.

7) ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და რქუა „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ... აწ უწყიეს შენება კლისურითგან აღმართ, წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს.

(დასავლეთ საქართველო და მისი ცენტრები კი, ციხე-გოჯი და ქუთათისი არჩილის სამკვიდროს ნაწილად იქცა)

ე.ი. **„კლისურიდან აღმართი“** ქვეყანა – **ლიხის მთიდან კლისურამდე** – ქართლის მეფეთა ოჯახის **„საუხუცესო“** მიწა-წყალი იყო, ამიტომ არაბთა შესუსტების შემდეგ აქ, ციხე-გოჯსა და ქუთაისში, ტახტი დაიდო არჩილმა აფხაზეთიდან უკან დაბრუნების შემდეგ. ეს ქვეყანა მეფის ქალიშვილ გურანდუხტსა და არჩილს ხვდათ წილად (დანარჩენ ქალიშვილებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო ერგოთ).

არჩილი დაემკვიდრა კახეთში. ამჟამად მიჩნეულია, რომ „ყოველი მთიულეთი“ იყო თავდაპირველი კახეთი“
(https://ka.wikipedia.org/wiki/კახეთი).

არასწორადაა მიჩნეული, რომ „უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა, მხოლოდ **ერწო-თიანეთსა** (მდ. ივრის ზემო-წელი) და **ფხოვს** (მდ. არაგვის მარცხენა ნაპირი).

მაგრამ, წყაროს ცნობიდან გამომდინარე,ეს მოსაზრება არასწორია, რადგანაც ერწო-თიანეთი შედიოდა „ყოველ მთიულეთში“, რომელსაც უკვე ჰყავდა თავისი მფლობელი, ამიტომაც არჩილს აღარ გააჩნდა მის მიწაზე

უფლება, კერძოდ, „ჯვარი, ხერკი და ყოველი მთიულეთი“ უკვე ეკუთვნოდა ჯუანშერ-ჯუანშერუანს.

წყარო წერს – **„ჯუანშერს ჯუანშერიანსა...მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და თბილისი“.**

მაშასადამე, ის კახეთი, სადაც დაემკვიდრა არჩილი, არ იყო „ყოველი მთიულეთი“, შესაბამისად, არც ერწო-თიანეთი.

რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ არაბები ქართველ დიდებულთაგან განსაკუთრებით დევნიდნენ ხოსროიანი მეფეების შთამომავლებს, ანუ ქართლის სამეფოს დინასტიას, ვახტანგ გორგასლის შთამომავლებს.

ერწო-თიანეთი ძალზე ახლოს იყო თბილისის საამიროსთან და ამიტომ არჩილს ხელში ადვილად ჩაიგდებდნენ, ამიტომაც შეაფარა მან თავი ჯერ შორეულ ანაკოფიას, შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებს, დაბოლოს, გადავიდა კახეთის უკიდურეს ნაწილში, კახეთის მთიულეთში და ასევე მთის ოლქ შაკიხში, ამჟამინდელ შაქთან, რადგანაც ისინი იმჟამად ითვლებოდა კახეთის ნაწილებად და მათზე სუვერენული უფლება ჰქონდა არჩილს.

ის იყო ამ მიწების მფლობელი და არაბების მიერ გამოწვეული კრიზისის გამო იძულებული გახდა, საკუთარი მიწები გადაეცა თავისი ვასალებისათვის, მან კახეთის დიდი ნაწილი გადასცა თავის ტაძრეულს, ანუ სამეფო გვარდიის წევრებს. ისინი, ალბათ, რამდენიმე ასეული მაინც იქნებოდა, ამიტომაც მათ დიდ ფართობს გადასცემდა, შემდეგ კახეთის მთიულეთის (ანუ დასავლეთ დაღესტნის) ნაწილი გადასცა თავის ვასალს, ხოლო შემდეგ თავის ნათესავ-მოგვარე ბაგრატიონებს, რომლებმიც მასთან მივიდნენ სომხეთის ოლქ ტარონიდან. მათ გადასცა ციხე-ქალაქი შაკიხი ანუ შაქი.

იქვე აღნიშნულია, რომ მათ გადასცა შაკიხი „ვიდრე გულგულამდე“. როგორც ქვემოთ მრავალჯერაა მითითებული გულგულა ერქვა კავკასიის ქედთან, ანუ ბუნებრივ სასაზღვრო ხაზთან მდებარე პუნქტს გიშისწყლის სათავეში. ყველა ეს ოლქი კახეთის ნაწილად ითვლებოდა.

კახეთი ერქვა მიწა-წყალს მდინარე არაგვიდან ვიდრე იორ-ალაზნის შესართავამდე, ვიდრე სასაზღვრო მდინარე გიშისწყლამდე და ვიდრე კავკასიონის მთაგრეხილამდე, რომელიც კახეთის ბუნებრივი საზღვარი იყო.

კიდევ ერთხელ შევეხოთ საკითხს კახეთსა და ჰერეთს შორის ისტორიული საზღვრის დასადგენად. ამ სასაზღვრო ხაზზე მდებრეობდა ცნობილი პუნქტი – „ტყეტბა-გულგულა“.

ხალხალი და ტყეტბა-გულგულა (გოლგოლა) – სასაზღვრო პუნქტები

გულგულას ადგილსამყოფელი უცნობი ყოფილა უკვე ლეონტი მროველის დროს, მით უმეტეს, მისი ადგილსამყოფელი დაზუსტებით არ სცოდნია ვახუშტისაც – ივ. ჯავახიშვილის კვლევით.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ტყეტბა-გულგულა მდებარეობდა თელავთან ახლოს, რაც ეეჭვებოდა ივ. ჯავახიშვილს.

ის წერს – **„ტყეტბა, როგორც საგეოგრაფო სახელი უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს „აწ ჰქვიან გოლგოლა“, ახლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა? გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი“** (ივ. ჯავახიშვილი, ტ.II, 1983, გვ.46).

თუ თვით ლეონტი მროველის დროს უკვე აღარ იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა ტყეტბა-გოლგოლა, მით უმეტეს, ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ხოლო ივ. ჯავახიშვილს, როგორც ითქვა, ძალზე ეეჭვებოდა ამჟამად აღიარებული მოსაზრება, რომ ეს პუნქტი თელავთან მდებარეობდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თელავის ახლოს (მის ჩრდილოეთით) მდებარე პუნქტი – გულგულა – არ შეიძლებოდა ყოფილიყო საზღვარი ჰერეთისა, რადგანაც მატიანეები კახეთის ქალაქებად აცხადებდნენ მის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მრავალ ქალაქს – ნეკრესს, კუხეთის სოფელ ბოდინს (**„ბოდინი – სოფელი კოხეთისა“,** – წერდა მატიანე ქართლისა). კახეთში შედიოდა, წმ. არჩილ მეფის ცხოვრების მიხედვით, დღევანდელი საინგილოს ტერიტორია VIII საუკუნეში და სხვა. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა აჩვენებს, რომ ქართველთა ქვეყნის საზღვარი მდებარეობდა პუნქტ ხალხალასთან (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985, გვ. 60).

ლეონტის სიტყვა **„გოლგოლა“** და მოვსეს **„ხალხალა“** ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოა ერთმანეთთან. რომელ საზღვართან მდებარეობდა პუნქტი ასეთი სახელის მქონე? ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ ძველი საქართველოს ისტორიულ რუკაზე საქართველოსა და ალბანეთს შორის საზღვარზე მართლაც აღნიშნულია პუნქტი სახელწოდებით ხილხალა. პუნქტი ხილხალა საქართველოსა და ალბანეთს შორის საზღვარზე იდო. აქედან იწყებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია. ეს პუნქტი შაქსა და კაბალას შორისაა. ისტორიულ შაქს ამჟამად **„ნუხა“** ეწოდება და ქმნის აზერბაიჯანის ნუხის რაიონს. ისტორიულ კაბალას ამჟამად **„გაბალა“** ეწოდება და ქმნის აზერბაიჯანის გაბალის რაიონს. ამ ორ რაიონს შორის მდებარეობს ისტორიული ვარდთაშენის რაიონი, სადაც, აღნიშნული რუკის მიხედვით, გადიოდა საქართველო – ალბანეთის საზღვარი, ამ რუკაზე აღნიშნულია **„ხილხალა“**. ქალაქ ვართაშენს ამჟამად **„ოგუზი“** ეწოდება და ქმნის აზერბაი-

ჯანის ოგუზის რაიონს. მართლაც, ამ ყოფილ ვართაშენის რაიონში ამჟამადაცაა სოფელი აღნიშნული სახელის მქონე – **„ფილფილა“**. ეტიმოლოგიურად სიტყვები გოლგოლა-გულგულა-ხილხალა-ფილფილა ერთი წარმომავლობისაა. ის ფაქტი, რომ ყოფილ სასაზღვრო ოლქში ამჟამადაც არსებობს სოფელი ფილფილას სახელწოდებით მნიშვნელოვანი მომენტია გულგულას რეალური ადგილმდებარეობის დადგენისას და უფლებას იძლევა ის ისტორიულ ტყეტბა გოლგოლად მივიჩნიოთ.

„ტყეტბა-გოლგოლა“ იყო არა თელავთან მდებარე **„გულგულა“**, არამედ ნუხპატოსთან მდებარე პუნქტი – **„ხილხალა“**, რომელიც ასევე ახლოს იყო პუნქტ ყაბალასთან – ვარდთაშენის რეგიონში, რომელთანაც (ქართლის სამეფოს დაშლამდე) მუდამ ქართველთა ქვეყნის საზღვარი გადიოდა. როგორც ითქვა, ეს ხილხალა ვარდთაშენის რეგიონში, კარგად ჩანს 1923 წელის ივ. ჯავახიშვილის რუკაზე.

ეტიმოლოგიურად სიტყვა ხალხალ-ხილხალიდან შესაძლებელია სიტყვა ხულხულას და ასევე ფილფილას, იგივე გულგულას მიღება.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ხალხალი იყო **„ქართველთა საზღვრები“** ალბანეთსა და ჩორის რეგიონს შორის.

მას აქვს ორი ცნობა ამის შესახებ –

მოვსეს კალანკატუაცი წერს:

ა.**„ქართველთა საზღვრები მახლობლად ქალაქ ხალხალისა“** (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985, გვ. 60);

ბ. **„მეორე რაზმი ჩააბარა ზორავარ ვარდანს, რათა ქართველთა საზღვრებთან შებრძოლებოდა ჩორის მარზპანს, რომელიც წამოსული იყო ალვანთა ეკლესიების დასანგრევად“** (იქვე, გვ. 60).

მაშასადამე, ქართველთა საზღვრებთან მდებარე ხალხალა მდებარეობდა ალბანეთისა და ჩორის შემაერთებელ გზაზე. ჩორი – კასპიის ზღვისპირას მდებარე დერბენდის მახლობელ რეგიონს ერქვა. მოვსეს კალანკატუაცის დროს სპარსელები და არაბები ალბანეთს **„არანს“** უწოდებდნენ, არანი ქართული წყაროების რანია – შემდგომში განძის ოლქად სახელდებული. სპარსულ და არაბულ წყაროებში, როგორც ითქვა, ალბანეთი არანად იწოდება, მხოლოდ სომხურ გეოგრაფიაში მტკვარსა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდება ალბანეთი. ამ ტერიტორიას ქართულ წყაროებში ჰერეთი ეწოდება. ჰერეთი და ალბანეთი კი სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ, ერთმანეთის მეზობლად მდებარენი, თუმცა ისინი ზოგჯერ ერთიანდებოდნენ კიდეც. დაახლოებით ამავე ეპოქის ქართულ წყაროში (არსენ საფარელის **„განყოფისათვის“**) ჰერეთს ალბანეთი ეწოდება. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ მის დროს ალბანეთი და ჰერეთი გაერთიანებულნი იყვნენ, ალბათ, ამიტომვე ამავე ეპოქის სომხური გეოგრაფია, როგორც ითქვა, ალბანეთს უწოდებს ტერიტორიას მტკვარსა და კავკასიის ქედს შორის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი წყაროს ავტორი… – მოვსეს კალანკატუაცი ალბანეთს რანს, ანუ არანს უწოდებს. ალბანეთსა და ჩორის შემაერთებელ გზაზე ხალხალი მდებარეობდა. ის, როგორც ითქვა, ჩორისა და ალბანეთის

შემაერთებელ გზაზე უნდა ყოფილიყო, შექთან და კაბალასთან იქ, სადაც აღნიშნულ რუკაზე პუნქტი **„ხილხალა-ფილფილა“** მდებარეობს, იგულისხმება დარუბანდისა და განძის შემაერთებელი კავკასიის ქედზე გამავალი ხაზი.

მოვსეს კალანკატუაცი ხალხილას მიიჩნევდა საზღვრად ქართველთა და ალბანელების ქვეყნებს შორის, ქართულ წყაროში კი – ამ საზღვარზე მდებარე პუნქტს, ჩანს, გულგულა ეწოდება. მაშასადამე, ხილხილა (ხალხალა) და გულგულა ერთი და იგივე პუნქტია. ხოლო ხალხალას ადგილსამყოფელი ცნობილია, ის თანამედროვე სოფელი ფილფილაა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანულ-თურქულენოვან სამყაროში საკმაოდ ხშირია ტოპონიმი (ჰიდრონიმი) გოლგოლა, გოლ-გოლ ნიშნავს ამ ენაზე ლურჯ, ლამაზ ტბას – Гёйгёль (азерб. Göygöl – голубое озеро), ქართული ყურისათვის სიტყვა „გეიგელ“ შეიძლება ისმოდა, როგორც „გოლგოლა“, ასეთი სახელი ჰქვია ტბას გიშისწყლის სათავესთან ახლოს, კავკასიის მთის ძირში, სოფლებთან, ფილლფილთან და ხალხალასთან ახლოს. ასე რომ, სახელების მსგავსების გამო თელავის გულგულასა და გიშისწყლის გოლგოლას სახელები, ჩანს, ერთმანეთში აირია.

გარდაბნელი დონაურები და წანარები

გარდაბანი ვრცელი ოლქი იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

„გარდაბოსი“ – ეპომენი გარდაბნისა, იყო ძე ქართლოსისა. ამ გენეალოგიით ძველი ქართველი ისტორიკოსები მიუთითებდნენ, რომ გარდაბნელები – ეთნიკური ქართველები იყვნენ. ზოგადად, გარდაბანი ერქვა ვრცელ ქართულ ოლქს.

ქართლის ცხოვრება გვამცნობს – „...ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქჯან სამშჯლდე. და კუალად აღაშენა მტუერის-ციხე, რომელსა აწ ჰქჯან **ხუნანი...**ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, **მეორესა გარდაბოს,** მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთნი-ვე იყვნეს გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირეს იყო სხუათა მათ.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამჴრით მთა პირველ ჴსენებული, და ჩრდილოთ მტკუარი“.

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_2.html

ამ საზღვრებში არსებობდა ქართლის გარდაბნის ოლქი. ეს იყო მდინარე ბერდუჯიდან (მდ. ძეგამჩაი ან დებედა) ვიდრე ხუნანამდე (თითქმის რუსთავ-თბილისამდე).

მაგრამ, შესაძლოა, არსებობდა ასევე მეორე ოლქი ამავე სახელით – გარდაბანი უფრო აღმოსავლეთით, მას ეწოდებოდა „ალაზნის გაღმართ ჩაყოლება“.

„როგორც აღინიშნა, გარდაბანი ერქვა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებს. კერძოდ, უძველესი ხანიდან ტერიტორია „ბერდრუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე“ გარდაბანი იყო. მაგრამ VIII-IX საუკუნეებში გარდაბანი ასევე ერქვა „**ალაზანს გაღმართ ჩაყოლებას**“. ეს მიწა კახელებით იყო დასახლებული ქართლის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობებით, შემდეგ – ბუღათურქის დროს – ეს გარდაბანი ჰერეთს გადაეცა. საქართველოს გაერთიანების შემდეგ კვლავ კახეთის პროვინციაში მოექცა. საქართველოს დაშლის შემდეგ კი – კახეთის სამეფოში XVIIს-მდე. შაჰ-აბასმა ის ჩამოაჭრა კახეთის სამეფოს, რამაც იქამდე მცხეთის პატრიარქის სამრევლო ამ მხარეებისა გაამაჰმადიანა, ნაწილი მართლმადიდებლებისა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, თუმცა მცირე ნაწილმა შეძლო თავისი ვინაობის შენარჩუნება.
https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli_1_2013.pdf

827 წელს კახეთის მთავრის გრიგოლის შემდეგ კახეთმა თავის ქორეპისკოპოსის ტახტი ჩააბარა გარდაბნელ დონაურებს.

კახელმა დიდებულებმა გარდაბნის მხარიდან (დონაურთა საგვარეულოდან) შეძლო კახეთის ხელისუფლების თავის ხელში მოქცევა, ისინი კახეთ-კუხეთ-გარდაბანს მართავდნენ ქორეპისკოპოსის ტიტულით.

„**მას ჟამს შეითქვნეს გარდაბნელნი (გარდაბანი ალაზნის გაღმართ ჩაყოლება) და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი (მე იოანე ქუაბულის ძისა) და შემდგომად ამისა დასვეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური**“ (ქ.ც., 1955, ტ. I, გვ. 254).

კახეთ-კუხეთ-გარდაბნის მთავარი ვაჩე (დაჩი) დონაური სათავეში ჩაუდგა აჯანყებას 827–839 წლებში არაბების წინააღმდეგ. მის დროს თბილისის საამიროც ეურჩებოდა სახალიფოს, ამიტომაც აჯანყებული კახეთი (მას არაბები „სანარიას“ – წანარეთს უწოდებდნენ), თბილისის ამირას მოკავშირედ იქცა.

იმჟამად კახეთის დიდმა ოლქმა – გარადაბანმა ახალი სიცოცხლე შეიძინა დონაურების საგვარეულოს მმართველობის წლებში. დონაურების გვარიდანაა მე-9 საუკუნის ცნობილი პირები, წმიდა ილარიონ ქართველი, კახეთის ქორეპისკოპოსები – ვაჩე, ასევე, სამოელი და მისი ძმა გაბრიელი.

იმჟამად გარდაბანი არაბებისაგან თავისუფალ ქართულ სამყაროს ქმნიდა კახეთთან და კუხეთთან ერთად.

829–832 წლებში კახეთს, ანუ „სანარიას“ ებრძოდა არაბი სარდალი ხალიდ იბნ იაზიდი. რამაც კახეთი ძალზე დაასუსტა.

კახეთის ქორეპისკოპოს სამუელ დონაურის დროს ჰერეთის გზით ხალიდ იაზიდის ძე უკვე მეორეჯერ შემოესია კახეთს 840–842 წლებში. ჩანს, ამ დროს არაბი სარდლის მიზანი იყო დახმარებოდა ჰერეთის მეფეს საჰლ ალ-არმანს, რათა მას ივერია, ანუ ამ შემთხვევაში კახეთი, დაეპყრო და რეალურად მიეღო „ივერიის მეფის“ ტიტული.

იქამდე, 839 წლისათვის, ხალიფამ ტიტული „არმენიის, ივერიისა და ალუანქის მეფე“ მიანიჭა ჰერეთის მმართველს საჰლ ალ-არმანს. ამ ტიტულის

რეალურობად გადაქცევისათვის ხალიფას სარდალი ხალიდ ისიდის ძე მეორედ შემოიჭრა კახეთში. იმჟამად ქორეპისკოპოსი იყო სამოელ დონაური (839–861).

არაბებმა **ჰერეთის** გავლით შეაღწიეს კახეთში, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს კახეთის ლაშქართან ბრძოლაში, რომელიც სოფ. **გავაზთან** გაიმართა. აი, ამ ომის შემდეგ, ჩანს, მიიტაცა სამხრეთ კახეთი საჰლ სმბატიანმა არაბების მხარდაჭერით, ანუ დაახლოებით, 841 წელს.

არაბთა ხალიფამ სახალიფოს ერთგულ სახელმწიფო მოხელედ მიჩნია ჰერეთის მმართველი საჰლ სმბატიანი ბაბეკის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. ბაბეკი სიკვდილით დასაჯეს 838 წლის 7 იანვარს. ეს იყო საჰლ სმბატიანის დამსახურება და ამის სანაცვლოდ, როგორც ითქვა, საჰლ სმბატიანმა მიიღო არმენია-ივერია-ალუანქის მეფის ტიტული,ამ ფაქტმა ის არაბთა მეგობრად და მხარდამჭერად აქცია ქართველთა წინააღმდეგ ომში.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი (ვარდან არეველი), მე-13 საუკუნეში ქორეპისკოპოსს საეკლესიო ტიტულად მიიჩნევდა. მისი ცნობით, რომელიც განხილულია ქვემოთ, გარდაბნის, ანუ „ქართველთა ქვეყნის“ მთავარმა, დაახლოებით მე-7 საუკუნისათვის, თავის სამთავროში მიიღო ქართულენოვანი ტომი წანარებისა. ისინი ქალდეას ქვეყნიდან მოსულან აქ. იმჟამად სახელი „ქალდეა“ ერქვა ჭანებით დასახლებულ ბიზანტიურ ადმინისტრაციულ ოლქს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ანუ ჭანეთში. როგორც ითქვა, ისინი არა მხოლოდ ქართულენოვანნი ყოფილან, არამედ ძალზე მტკიცე და მოშურნე ქრისტიანები. მათი უპირველესი სურვილი, ვარდანის სიტყვით, გარდაბანში მისვლისას, ყოფილა მიეღოთ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, რომელიც გარდაბნის მთავართან ინახებოდა.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, გარდმანში ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი ჩამოუსვენებიათ მთავარ ჯუანშერის დროს, ის მას მე-8 საუკუნის ბოლოს გადასცა იმპერატორმა კონსტანტინე VI, კეისარ ჰერაკლეს შვილიშვილმა. წმიდა ნაწილი საკმაოდ დიდი ზომისა ყოფილა, ცხოველსმყოფელი ჯვრის ჩამონატეხი.

თბილისის სამხრეთით, თითქმის ბარდავამდე მდებარე მიწა-წყალი, ქართული წყაროების მიხედვით, იწოდებოდა გარდაბნად. ამ ოლქის თავდაპირველი მოსახლეობა ქართველი ხალხი რომ იყო, ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიდან. ამ წყაროს მიხედვით, ქართველი ხალხის პირველწინაპარი იყო ქართლოსი და მისი ძეები, მათ შორის ერთ-ერთი იყო „გარდაბოსი“.

ოლქ გარდაბნის ხალხის ეპონიმი გარდაბოსია, მათი დიდი პირველწინაპარი, რომლის პატივსაცემად ამ გეოგრაფიულ ობიექტს დაერქვა სახელი „გარდაბანი“, შესაბამისად, მიიჩნეოდა, რომ ზოგადად, გარდაბნელები ქართლოსის შთამომავლები, ანუ ქართველები იყვნენ.

გარდაბნელებს გააჩნდათ თვითშემეცნება, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

ეს თვითშემეცნება გარკვეული დონით კვლავ დარჩა მას შემდეგ, რაც გარდაბან-გარდმანის და საერთოდ, ქვემო ქართლის კიდევ უფრო სამხრეთით მიმდებარე ქართული ოლქების ალბანიზაცია და არმენიზაცია დაიწყო.

თუმცა ალბანიზაცია, ამავე დროს, არმენიზაციასაც ნიშნავდა. ალბანიზაცია უფრო პოლიტიკური მომენტი იყო, რადგანაც სასანიდების ანტიქალკედონური პოლიტიკა გააგრძელეს არაბებმა. ხალიფატმა ეს ოლქი მიაკუთნა ე.წ. „პირველ არმინიიას“, რომელშიც არანი და თბილისიც შედიოდა, ჩვენს ოლქთან ერთად, მაგრამ ამ დროს, კულტურის თვალსაზრისით, მიმდინარეობდა აქაური მოსახლეობის არმენიზაცია ეკლესიებში სომხურენოვნების დანერგვით და ასევე ადმინისტრაციულ სფეროში. ერთგვარი გამონაკლისი იყო მე-7 საუკუნე, როცა გარდმანის მთავრებმა აირჩიეს ქალკედონიტური მიმართულება. თავისთავად, ეს ქართული ფესვებისაკენ, მისი კუტურისაკენ მიბრუნებას ნიშნავდა.

ამ ოლქის არმენიზაციას თავისი ღრმა წარსული და ისტორია ჰქონდა, არმენიზაცია ამ მხარეებისა დაიწყო ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე.

ეს მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც გარდაბნის ოლქის სამხრეთი ნაწილი, გუგარქთან ერთად არმენიიამ მიტაცა ძვ.წ. მე-2 საუკუნეში არმენიის მეფეების არტაქსიასა და ზარიადრეს დროს, ხორძენასა და გოგარენასთან ერთად.

სტრაბონის ცნობით, ხორძენა დიდი ოლქი იყო გადაჭიმული მტკვრამდე (და ის არ იყო, როგორც ამჟამად მიაჩნიათ, პატარა ოლქი მხოლოდ კლარჯეთისა), შესაბამისად, ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნემდე გარდაბანი იბერიის ნაწილი იყო.

შემდგომში გარდაბნის სამხრეთი ნაწილი, რომელსაც ასევე გარდმანს უწოდებდნენ, ალბანეთის ნაწილად აქცია სასანიდების იმპერიამ.

განსაკუთრებით დაზარალდა გარდაბნის მოსახლეობა, ანუ ქართველობა სომხურ-მონოფიზიტური სარწმუნოების გაბატონების კვალდაკვალ მე-6 საუკუნედან.

საქმე ისაა, რომ ორივე დამპყრობელი იმპერია, თავდაპირველად სასანიდური სპარსეთი, შემდეგ კი ისლამური არაბული ხალიფატი კავკასიაში ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას და თავგამოდებით დევნიდნენ ალბანურ და ქართულ ქალკედონიტურ ეკლესიებს.

თავისი პოლიტიკის შესაბამისად (ქალკედონურ ბიზანტიასთან საუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამო), დამპყრობლები მხარს უჭერდნენ სომხურ ეკლესიას, რათა მას მონოფიზიტობა (შეასაბამისად, სომხურენოვანი ღვთისმსახურება) გაევრცელებინა ქართლისა და ალბანეთის დაპყრობილ ნაწილებში.

კერძოდ, მოვსეს კალანკატუაცი კარგად აღწერს, თუ როგორ გაანადგურა არაბულმა ხელისუფლებამ ალაბანეთის ეკლესიის ავტოკეფალია და ალბანეთში კი ალბანური ენის ნაცვლად დანერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება.

ალბანური წიგნები მდინარე „ტრტში“ (ტერტერში) გადაყარეს, დაიწყო ალბანური ენის დასამარების პერიოდი, ზუსტად იგივე პროცესები მიმდინა-

რეობდა ჯერ სპარსელების და შემდეგ არაბების მიერ დაპყრობილ გუგარქსა და გარდაბან-გარდმანში.

ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, რომ გუგარქში, ანუ დიდ ქართულ ოლქში, ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება ჩანაცვლებულ იქნა სომხურენოვანი ღვთისმსახურებით მე-6 საუკუნეში სპარსეთის ბატონობის დროს (გამოკვლევა, იხ. ჩემი „საქ. სამოციქ. ეკლ. ისტ.), რომლის სიმძიმის აღმოფხვა, ანუ ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღდგენა სურდა ქართლის დიდ კათალიკოს კირიონს, რაც მას ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

კიდევ უფრო მძიმე იყო გარდაბნის დიდი ოლქის ბედი, რადგანაც ის ხან ალბანეთში და ხანაც არმინიიაში შეიყვანეს.

ამ პროცესმა, ჩანს, გარკვეულწილად შეარყია გარდაბნის ოლქის სამხრეთ ნაწილის – გარდმანის ქართველობის თვითშემეცნება, ამის მიუხედავად მისი მთავრების სახელებიდანაც (მაგალითად, ბაკური, ჯუანშერი, ვახტანგი და სხვა) კი ჩანს, მათი ქართული ფესვები.

მათი ქართული თვითშემეცნება განსაკუთრებით გამოამჟღავნა მათმა სარწმუნოებრივმა ორიენტაციამ – ქალკედონიტობისადმი მიდრეკილებამ ურთულეს არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარეაბაში.

ამ ეპოქაში, ზოგადად, ქართველობა მხარს უჭერდა ქალკედონიტურ აღმსარებლობას, ხოლო სომხები – მონოფიზიტობას. ეს აღმსარებლობანი ფაქტობრივად მათი ეთნიკური თვთშემეცნების ნიშნად იქცა.

ასეთ ფონზე გარდმანის მთავრები (ჯუანშერისა და სხვა) თავდადებული ლტოლვა დიოფიზიტური ბიზანტიისა და ქართველი ერისაკენ, მიუთითებდა მათ ეროვნულ-ქართულ ფუძესაც.

გარდაბნის ჩრდილოეთ ნაწილმა, თავის ქართული ვინაობის შენარჩუნება კარგად შეძლო არაბობის დროს, უფრო მეტიც, გარდაბანი, ვითარცა იმჟამად კახეთის სამთავროს ერთი ნაწილი, გადაიქცა ანტიარაბული წინააღმდეგობის უმთავრეს კერად, აქ წანარების ქართულენოვან ტომს მიეცა დიდი ქალკედონური და ქართული სულისკვეთება, გმირული შემართებით ებრძოლათ არაბების წინააღმდეგ, რასაც უამრავი არაბი და სომეხი ავტორი აღწერს, ქართველებტთან ერთად.

გარდაბანი და გარდმანი ერთად მოიცავდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწილებს ხუნანიდან, მდინარეების, ძეგამის (ძეგამჩაის), აღსტაფის (აღსტაფჩაის, ხეობების ჩათვლით, რასაც ემატებოდა შამქორის ხეობა, შემდგომში საქართველოს დიდმოხელის, ვარამ გაგელის გამგეობაში. გარდმანი ეტიმოლოგიურად იგივე ქართმანი, ანუ ქართველთა ქვეყანაა, ამაზე მიუთითებს ვარამ გაგელის დროს დამოწმებული მეორე სახელწოდება გარდმანისა – „ქართმანიკი“, ანუ ქართველთა ქვეყანა.

გარდმანთან დაკავშირებით ჩემს სტატიაში „კავკასიის ალბანეთი“ ზემოთ უკვე ვწერდი.
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კავკასიის_ალბანეთი

არაბი ისტორიკოსის ცნობა და ერედვის ეკლესიის წარწერა

არაბმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა **აბულ-ჰასან-ალი-იბნ-ალ-ჰუსაინ-ალ-მასუდიმ** 915–945 წლებში იმოგზაურა სამხრეთ კავკასიაში და აღწერა ნანახი და გაგონილ. მას უწოდებდნენ არაბ ჰეროდოტეს, „ყველა ისტორიკოსის მამას“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი ცნობები გაცილებით უფრო ზედაპირულია მისი თანამედროვე ქართველი მემატიანეების ცნობებთან შედარებით.

მასუდის ნაშრომები საისტორიო წყაროა შაქისა და კახეთის ისტორიისათვის, თუმცა ის ტერმინ **ჰერეთს** არ იცნობს.

ისმის კითხვა, რატომ არ ხმარობს მასუდი ტერმინს „ჰერეთი“ მაშინ, როცა მისი მეფეების ცხოვრების წვრილმანებსაც კი აღწერს? ფაქტი იმისა, რომ ჰერეთის უდიდესი სიძლიერის წლებში, ანუ მე-10 საუკუნის შუა წლებში იქ მყოფი თვითმხილველი ისტორიკოსი მასუდი სიტყვა ჰერეთს არ ახსენებს, მიუთითებს, რომ ამ ტერმინს – „ჰერეთს“, მასუდის დროსაც კი არ იხსენიებდნენ. მას იმ დროსაც მხოლოდ ქართველი მწიგნობრები მოიხმარდნენ. რეალურად, ქართველთა მიერ ჰერეთის მეფეებად მიჩნეული პირები იყნენ არა „ჰერეთის“, არამედ არცახ-რან- შაქის სამთავროს მმართველი ხელმწიფეები.

უპირველეს ყოვლისა, მასუდი დაწვრილებით აღწერს ჩვენთვის საინტერესო მხარეს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ჰერეთს უწოდებენ, თანაც ჰერეთის სამეფოს ყველაზე დიდი ძლიერების პერიოდში, მაგრამ, როგორც ითქვა, მასუდი სიტყვა „ჰერეთს“ არ ხმარობს და ამ სამეფოს „ჰერეთს“ არ უწოდებს, თუმცაკი უამრავ ტოპონიმს, ადგილისა და ქვეყნის სახელს მოიხსენიებს.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ჰერეთს უწოდებენ, 1310 წელს მოილოცა საქართველოს პატრიარქმა და, მასუდის მსგავსად, არც ის უწოდებს ამ ქვეყანას „ჰერეთს“. ის მივიდა უამრავ სოფელსა და ეკლესიაში, მისი მოგზაურობის აღწერაში ჩამოთვლილია ამჟამინდელი საინგილოსა და შაქის მომიჯნავე ადგილები შირვანამდე, ასევე, საინგილოს მოსაზღვრე დაღესტანი და კახეთის მომიჯნავე რეგიონი, ნახსენებია უამრავი ადგილის სახელი, მაგრამ აქ ნახსენებიც კი არ არის სიტყვა „ჰერეთი“, რადგანაც ასეთი ოლქი, ანდა ქვეყანა მისთვის ამ ადგილებში უცნობი იყო.

როგორც ითქვა, მე-10 საუკუნეში ეს ქვეყნები მოიხილა არაბმა ისტორიკოსმა მასუდიმ და არც ის ახსენებს სიტყვა ჰერეთს, თუმცა ახსენებს შაქსა და მიმდებარე ქვეყნებს, მასუდი ახსენებს კიდეც მისი მეფის სახელს, ეს ყოფილა **„ადერნესე-იბნ-ჰამიმი“**. ქართველები მას „ჰერეთის მეფეს“ უწოდებენ, მასუდისათვის ის „შაქის მეფეა“.

კარაულოვი, მასუდის რუსულ ენაზე მთარგმნელი, ამასთან დაკავშირებით წერს – „Шекины или шеккины, – обитатели города Шакки и его окрестностей. Упоминаемый здесь царь шеккинов – это грузинский царь **Адарнасе II** (881–928 г. п. Р.Х.)“.

მასუდის წიგნის წერის დროს ეს ადარნასე ჰამამის ძე ყოფილა შექის მეფე.

მამამისი იყო ცნობილი **გრიგოლ ჰამამი,** მისი სამეფო (სამთავრო) **მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში** მოიცავდა მტკვრის ორივე სანაპიროს, ანუ არანს, ქალაქ ბარდასთან ერთად და ასევე ხაჩენ-არცახს (ამჟამინდელ მთიან ყარაბახს). გრიგოლ ჰამამის ხელში იყო მტკვრის მოპირდაპირე მარცხენა სანაპიროს შაქის ოლქიც, ანუ ჰერეთი, ასევე მათ შუა მტკვარზე მდებარე კამბისენა (ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით), ამიტომაც გრიგოლ ჰამამს „ალბანეთის სამეფოს“ აღმდგენელსაც უწოდებენ, მისმა სამეფომ მცირე ხანს იარსება.

გრიგოლ ჰამამის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო არა თელავი, როგორც წარმოუდგენიათ ქართველ ისტორიკოსებს, არამედ არცახის ციხე-ქალაქი გეგარქუნიკი, სადაც აღმოჩნდა კიდეც მისი სახელით შესრულებული წარწერები. გეგარქუნიკის წარწერა თარიღდება 881 წლით.

მისი სიკვდილის შემდეგ, ანუ დაახლოებით **890-იანი წლიდან,**მისმა შვილებმა მისი დიდი სამეფო დაშალეს და ერთმანეთს შორის გაინაწილეს,

გრიგოლ ჰამამის შვილი სმბატი იყო განძასარის ოლქის, ქვემო ხაჩენის უფალი.

მეორე შვილი ვასაკი ზემო ხაჩენს მართავდა.

სხვა შვილი ატრნერსეხი (ატრნერსეხ II, ანუ მასუდის მიერ ნახსენები **ადარნასე**) დაახლ. 890 წლის შემდეგ გახდა მპყრობელი მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყნებისა, შაქისა და კამბეჩანისა, ეს **კამბეჩანი მდებარეობდა უშუალოდ შაქის ოლქის მეზობლად, მტკვრის ხეობაში და ეს არ იყო ქიზიყი, როგორც წარმოუდგენიათ ქართველ მეცნიერებს, არამედ უშუალოდ მტკვრის ხეობის ქვეყანა** (ე.ი. კამბეჩანი არ იყო იორისა და, მით უმეტეს, ალაზნის ქვეყანა), მისი ადგილი, როგორც უამრავჯერ ითქვა, ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით.

არაბი ავტორი მასუდი აღნიშნავს – **„შაქელების მეფე, ამ ჩემი წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე-იბნ-ჰამამი, როგორც მას უწოდებენ“.**

ცხადია, გრიგოლ ჰამამი და მათი შვილები სომხებად და სომხეთის მეფის ხელდებულებად ითვლებოდნენ.

გრიგოლ ჰამამს მიიჩნევენ სომხეხ ცნობილ პოეტად და სომხური საგრამატიკო შრომის ავტორად.

მხოლოდ შაქის ჰერეთში, ანუ მასუდის მიერ ნახსენები მეფე ადარნასეს შვილების დროს, შეიცვალა ზედა ფენისა და საეკლესიო ხელისუფლების სომხურენოვნება ქართული ენით, რადგანაც მთელ ამ ქვეყანათაგან, შაქის რეგიონი, ანუ ჰერეთი უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ქართულენოვანი ხალხით – ჰერებით, რომელთაც მე-8 საუკუნიდან სომხურენოვანი მმართველები ჰყავდა პოლიტიკური მიზეზების გამო.

მე-10 საუკუნიდან, დინარ დედოფლის შემდეგ, შაქ-ჰერეთი დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, საქართველოს წმიდა ეკლესიის წიაღს, შესაბამისად, შაქ-გაბალას ოლქის, ანუ ჰერეთის ეკლესია ქართულენოვანი გახდა. ამის მიზეზი იყო შაქელების ეთნიკური წარმომავლობა, ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ, თავდაპირველად ალბანეთის სახელმწიფოს შიგნით

მცხოვრებნი, გიშისწყალსა და აღსუს შორის, შემდეგ კი მოექცნენ სომხური ადმინისტრაციის ქვეშ, მაგრამ საბოლოოდ, ისინი მე-10 საუკუნეში დაუბრუნ-დნენ ქართულენოვან წიაღს.

გრიგოლ ჰამამის მამა, ანუ ბაბუა ატრნერსეხისა (ადარნასე II -სი) ამავე სახელს ატარებდა – **ატრნესეხ I.**

ისიც (**ატრნერსეხ I, გარდ. დაახლ. 80-იანი წწ. შემდეგ**) ფლობდა შაქს, ანუ შაქის ჰერეთს, მაგრამ მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო არა თელავი, როგორც ახლა მიიჩნევა, არამედ ზემო ხაჩენის ოლქი, რომელსაც ერქვა „ცარი“, კერძოდ, ამ ოლქში მდებარე ციხესიმაგრე ანდაბერდი (სომხურად ტყის ციხე). როდესაც ის, 854 წლის შემდეგ, ბუღა თურქმა გადაასახლა სახალიფოში (ამჟა-მინდელი ერაყის ქალაქ სამარაში), ამ დროს მის სამეფოს მართავდა მისი ცო-ლი, დედოფალი სპრამი, რომელიც ხელს უწყობდა აქ (ხაჩენში) სომხური კულტურის აყვავებას.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა **ატრნესეხმა (ადარნასე I-მა) თავის რეზიდენციად გამოაცხადა ვაიკუნიკი, ამჟამინდელ მთიან ყარაბაღში, კელბაჯარის რაიონში (და არა თელავი!).**

რაც შეეხება მათ უდიდეს წინაპარს, საგვარეულოს ჩამომყალიბებელ **საჰლ სმბატიანს (საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი, გარდ. 855 წ. შემდეგ),**ის იყო არცახისა და ხაჩენის მმართველი და თავის ძალაუფლებას ავრცელებდა მთელ არანის ოლქზე, ასევე შაქის ოლქზე, მისი ძირითადი რეზიდენციაც არცახში მდებარეობდა.

837 წლის ხურამიტების აჯანყების შემდეგ, **ბაბეკი,** აჯანყების მეთაური, სახალიფოს უდიდესი მტერი, ცდილობდა თავი შეეფარებინა საჰლ სმბა-ტიანის ოლქისათვის, მაგრამ ღალატით შეიპყრო საჰლმა და ხალიფას გადასცა.

ამ უდიდესი მოვლენის სანაცვლოდ ხალიფამ საჰლ სმბატიანი არანის (ალბანეთის) მეფედ („ბატრიკად“) გამოაცხადა და ერთი მილიონი დირჰემი გადასცა საჩუქრად.

ამ დროს, 837 წლის შემდეგ გაძლიერებულმა საჰლ სმბატიანმა, შესაძ-ლოა, დაიპყრო იმჟამად არაბთა სამხედრო სადამსჯელო ექსპედიციებით დასუსტებული კახეთის სამხრეთი მიწები, ვიდრე გავაზამდე.

მაგრამ დაახლოებით ასი წლის შემდეგ, მე-10 ს-ის პირველ ნახევარში, მასუდის ცნობიდან ჩანს, რომ შაქი-კამბეჩანის მმართველი ადარნასე უკვე აღარ ფლობდა სამხრეთ კახეთს, თუმცა შესაძლოა, პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და შაქმა კვლავ ჩაიგდო ხელში მიწები შაქის რომელიმე მომდევნო მეფის დროს.

კერძოდ, მასუდი წერს შემდეგს –

„თბილისსა და ალანთა სიმაგრეს შორის მდებარებს სამეფო, რომელსაც ეწოდება სანარია (წანარეთი), ხოლო მათ მეფეს უწოდებენ კურისკუსს (ქორიკოზი, ქორეპისკოპოსი). ეს ხალხი აღიარებს ქრისტიანობას...სანარიის სამეფოსთან ახლოს ცხოვრობენ შექელები, ქრისტიანი ხალხი, მათ შორის მრავალი მუსულმანი ვაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს, შაქელების მეფე, ამ წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე ჰამამის ძე (Адернерсэ-ибн-Хамам), მის

შემდეგ არის კილხის სამეფო (კაბალას სამეფო), მისი დედაქალაქი დასახ-ლებულია მუსულმნებით, მის ირგვლივ სოფლები ქრისტიანებითაა დასახლებული, მათ მეფეს ეწოდება ანბასა“.

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm

მასუდის ამ ცნობიდან ჩანს, რომ შაქის სამეფოს უშუალოდ ესაზღვრება სანარია, ანუ წანარების მიწები, წანარები ამ ეპოქაში გარდაბანთან (გარდმან-თან) იყვნენ კავშირში, მასუდი არ ახსენებს სიტყვა ჰერეთს, ის მხოლოდ შაქსა და სანარიას (წანარეთს) ახსენებს, ანუ ის კახეთის საქორეპისკოპოსოს უწო-დებს სანარიას. მასუდი ამბობს, რომ წანარების მეფის ტიტულია ქორეპისკო-პოსი მაშინ, როცა ეს იყო კახეთის მმართველების ტიტული, შესაბამისად, მასუდის სანარია არის კახეთი და უშუალოდ ამ სანარიის შემდეგ მდებარეობს შაქის სამეფო, მისი მოსაზღვრეა ასევე, მოვაკანი და კაბალა. ანუ შაქის სამეფოს ესაზღვრებიან სანარია, მოვაკანი და კაბალა (კილხის სამეფო).

„კილხის სამეფოს“მასუდი უწოდებს კაბალას სამეფოს, მის დროს ამ სამეფოს მთავარ ქალაქს არ ერქვა ეს სახელი კაბალა, არამედ „კილხი“. ეს ტერმინი „კილხი“ შეიძლება იყოს ამ რეგიონის მთვარი პუნქტ „ხილხალას“ სახელი , ანუ „ხილხი“, აქედან „კილხი“.

ხილხალა → ხილხი →კილხი

„სანარიას“ შესახებ მასუდის ცნობასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მისი ამ ცნობიდან გამომდინარე, სამხრეთ კახეთს, მასუდის აღწერით, შაქის მეფე არ ფლობდა.

მასუდის ცნობას ეთანადება ერედვის ეკლესიის შესანიშნავი წარწერა, რომ სამხრეთ კახეთის მიწები გაათავისუფლა აფხაზთა მეფე კონსტანტინემ დაახლოებით 915 წლისათვის (დაახლოებით მასუდის დროს), თუმცა ეს მიწები ადარნასეს შვილმა იოანე სენექერიმმა შემდგომში კვლავ დაიპყრო.

ერედვის ეკლესია მდებარეობს ქართლის გულში, ცხინვალიდან 7 კი-ლომეტრში, მის ჩრდილო-დასავლეთით, ასეთი არქიტექტურის მქონე ბაზი-ლიკა დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. ამ ტიპის ბაზილიკები ჩვენი ქვეყნის გარეთ არ გვხვდება.

ერედვის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მრგვალ სვეტზე მოთავსე-ბულია თარიღიანი სამშენებლო წარწერა:

„სახელითა ღმრთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა და, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა, წმიდისა გიორგისითა, ხელმწიფობასა ღმრთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მუნით მშვიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა; მწუხრი ბრეძას გადაჰხთა. მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალეწა. ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარებისკოსობასა სანატრელისა ყ სა, ჯვრითა მისითა, განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოსისა და ძალითა შეწევნითა მოყუასთა და მე თეოდორე თაფლა სძემან დავდე საძირკველი, ლენი იყ-ნეს ხფი ქრონიკ“.

– შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, გვ.60, თბ., 2002.
https://ka.wik.ipedia.org/wiki/ერედვის_ბაზილიკა

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ქართული სამყარო გახარებული იყო აფხაზთა მეფე კონსტანტინეს გმირობით, რომელმაც „ჰერთა მეფე გააქცია“ და გაათავისუფლა კახეთის ვეჯინის ციხე. მისი ენერგიულობითა და მორწმუნეობით აღტაცებულია ხალხი აფხაზთა მეფეს ქართლში უბრალოდ „ჩვენს მეფეს“, „წმიდა მეფეს“ უწოდებდნენ (აფხაზთა მეფე კონსტანტინე III (893–922), *რადგანაც* სამხრეთ კახეთი გაათავისუფლა სომხებად მიჩნეულ ჰერთა მეფეებისგან. წარწერაში აღნიშნულია, რომ მან დილაუთენია, ცისკარზე, ალავერდში ილოცა, საღამოს უკვე ბრეძაში (ქარელის ატოცთან) იყო, მეორე დღეს კი კვლავ კახეთისაკენ გაილაშქრა ვეჯინის გასათავისუფლებლად. ასეთ ენერგიულ მეფედ შემდგომში დავით აღმაშენებელი მიაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მემატიანეც იგივეს წერს და ამბობს აფხაზთა მეფეზე, რომ ქართველ ერს ვახტანგ გორგასლის შემდგომ ასეთი ძლიერი მეფე არ ჰყოლია. საერთოდ, დავით აღმაშენებლამდე ის ითვლებოდა ვახტანგ გორგასლისდარ, ანუ გმირ ქართველ მეფედ.

როგორც მასუდის ცნობიდან შეიძლება გავიგოთ, სამხრეთ კახეთი მის დროს გათავისუფლებულა შაქის ჰერეთის მეფეთა ბატონობისაგან, ანუ ეს უნდა მომხდარიყო სამხრეთ კახეთში აფხაზთა მეფის, კონსტანტინე მესამის ლაშქრობის შედეგად 915 წლისათვის.

აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მიერ ჰერთა მეფის გაძევების გამო, ჩანს, მასუდი, რომელიც დაახლოებით ამ დროს ჩამოსულა კავკასიაში, სამხრეთ კახეთს არ მიიჩნევს შაქის სამეფოს ძალაუფლების ქვეშ, რადგანაც ის შაქის მეზობლად სანარიას, ანუ კახეთს წარმოადგენს. როგორც ითქვა, ეს მოხდა 915 წლისათვის. სულ სხვა ვითარება იყო ასი წლით ადრე, როცა სამხრეთ კახეთს ჰერეთი უწოდეს შაქის ჰერეთის მეფის აქ ლაშქრობის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც შაქის, ანუ ჰერეთის მეფემ საჰლ სმბატიანმა სამხრეთ კახეთის მიწები მიიტაცა **837 წლიდან, სამხრეთ კახეთს ჰერეთი დაერქვა.** აქ მდებარეობდა პუნქტები და ციხეები – ორჭობი, გავაზი და არიში.

ცხადია, კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკესათვის მიუღებელი იყო ეს მიტაცება და, საერთოდ ქართული სამყაროსათვის, რადგანაც შაქის მეფეები სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წევრები იყვნენ, შესაბამისად, სამხრეთ კახეთის ხალხი ეწინააღმდეგებოდა მათი მიწების მიტაცებას შაქელი მეფეების მიერ, ამიტომაც 915 წლისათვის ერთობლივი ძალებით კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსმა და აფხაზთა მეფე კონსტანტინემ გაილაშქრეს სამხრეთ კახეთის ციხეების გასათავისუფლებლად ჰერეთის მეფისაგან. და ასეც მოხდა, ამიტომაც მასუდი სამხრეთ კახეთს, მთლიან კახეთთან ერთად, სანარიად ანუ შაქის მეზობელ კახეთის სამეფოდ მიიჩნევს.

მაგრამ შემდგომში ვითარება კვლავ შეიცვალა, როდესაც მანვე (ადარნასე პატრიკმა 915–944) ან მისმა შვილმა, იოანე სენექერიმმა კვლავ დაიპყრო სამხრეთ კახეთი.

მასუდის ცნობები

ნ. კარაულოვმა რუსულ ენაზე გამოსცა მე-10 საუკუნის არაბი მწერლის მასუდის (†966) ცნობები კავკასიის შესახებ თავისივე შენიშვნებით

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm

მასუდი წერს – „ალანების ქვეყნის გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, ისინი ქრისტიანულ რელიგიას აღიარებენ, მათ ჰყავთ მეფე, ალანთა მეფე უფრო ძლიერია. აფხაზების ახლოა ჯურიას სამეფო (არაბებს არა აქვთ ბგერა გ, ამიტომაც მას გამოთქვამენ, როგორც ჯ), დიდი ქრისტიანი ხალხია, მათ ჰქვიათ სახელი „ხაზრანი“ (ქართველები), მათ მეფეს უწოდებენ ტაბს (ალბათ თავადი)...

აფხაზები და ხაზრანები ხარაჯას უხდიან თბილისის მეზობელი მხარის მფლობელს, რაც ეს მხარე მუსლიმანებმა დაიპყრეს. განმტკიცდნენ ამ ქალაქში. ხალიფა მუტევაკილის (**ალ-მუთავაქილი,** 846–861) დროს თბილისში იყო კაცი სახელით ისხაკ იბნ ისმაილი, მუსლიმანების მხარდაჭერით მან დაიმორჩილა აქ ქალაქის გარშემო მცხოვრები ტომები და აიძულა, ეხადათ გადასახადი, იქამდე სანამ მუტევაკილმა *(ქართულად, ხალიფა ამირ-მუმლი)* არ გამოაგზავნა ბუღა, ის დაბანაკდა თბილისთან, ალყა შემოარტყა, და დაიპყრო ხმლით, მოკლა ისხაკი...

ამის შემდეგ, ვიდრე დღემდე, თბილისში მუსლიმანებმა დაკარგეს ყოველგვარი პატივისცემა, მეზობელი მხარეები მას უკვე აღარ ემორჩილებოდნენ, მის ირგვლივ სოფლები და მხარეები გადავიდნენ გიაურების *(кяфир, ქრისტიანი)* მხარეს, იყვნენ მხნე მებრძოლები და ენერგიულები. ხაზრანის (ქართველთა) სამეფოს გვერდით არის სამეფო, რომელსაც ეწოდება სამსახა (სამცხე), რომლის მოსახლეობა არის ქრისტიანი, არეულები წარმართებთან, მათ მეფე არა ჰყავთ. სამსახას მეზობლად, თბილისსა და ალანთა სიმაგრეს შორის მდებარეობს სამეფო, რომელსაც ეწოდება სანარია (წანარეთი), ხოლო მათ მეფეს უწოდებენ კურისკუსს (ქორიკოზი, ქორეპისკოპოსი). ეს ხალხი აღიარებს ქრისტიანობას, ყველა ქრისტიანია, ისინი თვლიან, რომ წარმოშობილი არიან არაბებისაგან (მუჰამედის წინაპრისაგან), უკაილიას მუხლისაგან და ამ ქვეყანაში დიდი ხანია რაც დამკვიდრდნენ. აქ აქვთ უდიდესი პატივისცემა... *(აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში თავის მოწონება აბრაამის შთამომავლობით და მუჰამედის წინაპრებისაგან წარმომავლობით დიდ პატივად ითვლებოდა. მასუდის მიხედვით, სხვა ტომებიც თავს იწონებდნენ არაბული წარმოშობით, თუმცა სინამდვილეში, არ იყვნენ ასეთები, მაგალითად, ამ ეპოქის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, წანარები ქართულენოვანი ხალხი იყო, შესაბამისად, ისინი ქართველები იყვნენ).*

სანარიის სამეფოსთან ახლოს ცხოვრობენ შექელები, ქრისტიანი ხალხი, მათ შორის მრავალი მუსულმანი ვაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს,

შაქელების მეფე, ამ წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე ჰამამის ძე (Адернерсэ-ибн-Хамам), მის შემდეგ არის კილხის სამეფო (კაბალა), მისი დედაქალაქი დასახლებულია მუსლიმანებით, მის ირგვლივ სოფლები ქრის-

ტიანებითაა დასახლებული, მათ მეფეს ეწოდება ანბასა *(Анбаса Кривой),* ეს სამეფო არის ყაჩაღების, ქურდებისა და მაწანწალების თავშესაფარი.

(ჩემი შენიშვნა – აბალას სამეფო, მის მეფეს ანბასა ალ-ავარს უწოდებდნენ ცალთვალას, В конце IX-начале X в. к северу от реки Куры, наряду с Шеки и Ширваном, возникает Кабалинское феодальное владение. ***Его правителем в эту пору был Анбаса ал-Авар по прозвищу Анбаса Кривой или Одноглазый Лев****. Как следует из источников X в., Кабала была городом, «полным жизни и благосостояния». Границы Кабалы были укреплены крепостями.https://guide.travel.ru/azerbaidjan/4512.html),*

ის ეხება მუკანიას (მოვაკანის) სამეფოს, რომელიც დაამარცხა შირვან-შაჰმა და შეუერთა თავის სამეფოს...

(ქართული წყაროებით, ბუღამ მოკლა თბილისის ამირა საჰაკი. გადაწვა ქალაქი, მას შეებრძოლა აფხაზთა მეფე თეოდოსი, მაგრამ ტაო-კლარჯეთის მეფე ბაგრატი (826–878) ბუღას მიემხრო. ეს მოხდა 851 (853) წელს. თეოდოსი დამარცხდა და გაიქცა. ბუღამ მთებში გააგზავნა თავისი ჯარი, მაგრამ მთიელებმა დაამარცხეს. ბუღამ გამოიზამთრა ბარდაში, გამოიყვანა ჩრდილო-კავკასიიდან 300 ხაზარული ოჯახი და შამქორში ჩაასახლა (854 წელს კახეთის ოლქი **გარდაბანი** ააოხრა. არაბი ისტორიკოსის **ალ-ტაბარის** ცნობით, მარტო თბილისში 853 წელს დაიღუპა 50 ათასი კაცი (საქართველოს ისტორია, ტ. I, , 2008 წ. გვ. 181–182). ამჟამად ფსევდოლიბერალები დასცინიან ეკლესიას, რომ შეუძლებელია თბილისში 100 ათასი ქრისტიანი მოეკლათ, რადგანაც იმ დროს მოსახლეობა მცირე იყოო, მაგრამ ალ-ტაბარის ცნობით, თბილისში მე-9 საუკუნეში ბუღამ 50 ათასი კაცი დახოცა, მით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო თბილისის მოსახლეობა მე-13 საუკუნეში, როცა თბილისი კავკასიის ზესახელმწიფოს დედაქალაქი იყო, ამიტომაც100 ათასი წმიდა მოწამის შესახებ ცნობა შეესაბამება ალ-ტაბარის ცნობას. ბუღა უკან გაიწვია ხალიფამ ხაზარებთან ურთიერთობის გამო).
http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm

Мас'уди – „Рядом со страною алланов живут абхазы, исповедующие христианскую религию, и в наше время у них есть царь. Царь алланов сильнее их и область их простирается до гор Кабх.

Около Абхаз находится царство Джурия, населенное большим племенем христианского вероисповедования; зовут их «хазран». Царь, управляющей ими в настоящее время, называется *Таб'и* и живет в месте называемом Месджид-дзиль-Карнайн.

Абхазы и хазраны платят харадж владетелю пограничной области Тифлис со времен завоевания этого города мусульманами и утверждения их в этом городе в царствование халифа Мутеваккиля. В Тифлисе был человек, по имени Исхак-ибн-Исмаиль; при содействии бывших с ним мусульман он сумел подчинить себе окружавшие его племена, и они подчинились ему и примирились с уплатой в его пользу поземельной подати; ему ;были подвластны все здешние племена, пока Мутеваккиль не прислал Буга; тот расположился лагерем около

Тифлиса и осаждал его, пока не завоевал его мечем. Он убил Исхака, властвовавшего над всей страной. Подробный рассказ о происшествиях этих был бы очень длинен, да и он известен в народе этой области и среди прочих лиц, знающих историю. Я полагаю, что этот Исхак был Курейшит из колена Омейядов или принятый в их среду вольноотпущенник.

С этого времени до нынешних дней мусульмане Тифлиса лишились всякого уважения, соседние государства более им не подчинялись, от них отделилось много деревень тифлисских и сношения между Тифлисом и землями ислама перешли от него к этим племенам кяфиров, окружавших Тифлис со всех сторон; а население его оставалось воинственным и энергичным, хотя и было окружено, как мы упомянули, опасными соседями.

Затем рядом с царством Хазран находится царство, называемое Самсаха население которого христиане, смешанные с язычниками; у них нет царя.

По соседству с Самсаха между Тифлисом и Алланским укреплением, о котором мы уже упоминали, находится царство по имени Санария, а царя их зовут Курискус. Этот народ исповедует христианство. Все христиане, сколько их есть, считают, что происходят от арабов, нисходя от Низар-ибн-Ма'ад-ибн-Мудара, а затем колено 'Укаиля основалось с давних времен здесь в этих странах, где они пользуются громадным уважением. Я видел в стране Мариб в зем-лях Емена 'Укаилитов, союзных с Масхиджитами, характер которых похож на характер однофамильцев их в Кабхе; они богаты лошадьми и обладают могуществом. Во всем Емене нет потомковНизар-ибн-Ма'ада, кроме этого колена 'Укаилитов. Мы раньше упомянули о потомках Анмар-ибн-Низар-ибн-Ма'ада и о том, как они вошли в Емен, согласно преданиям о том, что было с Джерир-ибн-Абдулла-ал-Баджили и пророком, да помилует его Господь и да спасет! и вообще, что было с племенем Баджили. Санарийцы считают, что они некогда отделились от этих Марибских 'Укаилитов, которых мы только что поименовали.

Не далеко от царства Санария находятся шекины, племя христианского вероисповедания, среди которых живет большое число мусульман, занимающихся торговлей и разными ремеслами. Царь шекинов во время составления этой нашей книги Адернерсэ-ибн-Хамам, как его называют. За ними следует царство Килах; столица его населена мусульманами, тогда как деревни и села вокруг нее населены христианами. Царь их в настоящее время называется Анбаса Кривой. Это царство – убежище разбойников, воров и бродяг.

Оно соприкасается с царством Мукания, о котором мы уже говорили, и которое покорил Шарван-шах и присоединил в своему царству. Не следует это царство, именуемое Муканией, смешивать со страной того же имени, лежащей на берегу Хазарского моря.

КАРАУЛОВ Н. А.Сведения арабских писателей X и XI веков по Р. Хр. о Кавказе, Армении и Адербейджане.VIII. **Мас'уди.** (умер в 966 году по Р.Х.)

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/frametext8.htm

ქართულენოვანი ხალხი – წანარები
და მათი მმართველი სასულიერო პირები

წანარების ქართულენოვნების შესახებ წერს
სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი (მე-13 ს.)

სომეხი ავტორი მე-13 საუკუნისა ვარდან არეველცი თავის „მსოფლიო ისტორიაში“ წერს – „ქალდეველი კაცების ნაწილი, თავიანთი მამულიდან გამოსვლის შემდეგ, მივიდნენ გარდმანში (გარდაბანი) და უთხრეს გარდმანის მთავარს – „დაგვითმე იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც მოგცა ჰერაკლე კეისარმა, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და გავხდებით შენი მსახურები“, რაც შესრულდა. „**они говорили на иверийском языке“ –„ისინი ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ**

http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm

«...некоторые мужи халдейские, вышедшие из своего отечества, пришли в Гардман (Гардабан) и сказали гардманскому князю – „Уступи нам часть Креста, данного тебе Ираклием, а мы примем христианскую веру и станем твоими слугами“, что и исполнилось.

http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm

ბაღდადის ემირმა შეიტყო ამის შესახებ და მათ დაემუქრა, ხოლო ისინი შეშინებულები, გაიხიზნენ და თავი შეაფარეს კავკასიის მთის ძირს. ქრისტეს შემწეობით, რომელთაც ის სწამდათ, დაეუფლნენ ყველა გარშემო ოლქს, ისე, რომ ერთი მათგანი, სახელად დავითი ტახტზეც კი ავიდა, ძოროგეტის მეფეს-თან მოყვრობით.

ამ ქალდეებმა თავიანთ ოლქს წანარეთი დაარქვეს იმ საფუძველზე, რომ მასში დაინახეს თავიანთი პირველი საცხოვრებელი და რადგანაც **ისინი ივერიულ ენაზე საუბრობდნენ**, გარდმანის მთავარმა მათთვის მოიწვია ქორეპისკოპოსი.

(Эти Халдеи назвали свою область Тцанарка (Цанарк) на том основании, что в ней они узнали первое свое местожительство.

И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них, хорепископа»).

http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm

ეს მიუთითებს, რომ წანარები იყვნენ არა ურარტუელი ქალდები, როგორც ახლა მიიჩნევენ, არამედ ჭანეთის მცხოვრებნი, ჭანეთს კი ამ ეპოქაში მოიცავდა ბიზანტიური ქალდეას თემი.

როგორ მოხვდა ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქიდან, ქალდეადან გამოსული მეომრების ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოში?

მაშასადამე, არაბთა შემოსევის გამო ქალდეას თემის ჭანების ნაწილმა მიატოვა თავისი საცხოვრებელი და დაიძრა ისტორიული საქართველოსაკენ, გარდმანში მათ განაცხადეს თავიანთი ქრისტიანული მიდრეკილების შესახებ და რადაგანაც ქართულ, ანუ ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინი ქართუ-

ლი ეკლესიის წევრებად მიიჩნიეს, ამიტომაც მათთვის მოიწვიეს ქორეპისკოპოსი, ანუ მცხეთის პატრიარქს (ქართულენოვან პატრიარქს) სთხოვეს მათთვის ქორეპისკოპოსის, სოფლური ოლქის ეპისკოპოსის დანიშვნა, ასე უნდა დარქმეოდა წანარების სულიერ და საერო მეთაურს სახელი ქორეპისკოპოსი.

იმ დროისათვის კი მსგავსი სოფლური ადგილების მღვდელმთავრებს ცოლებიც ჰყავდათ და შვილებიც, ამიტომაც ქორეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი გახდა წანარებში.

იმ ეპოქაში, როდესაც წანარები გამოჩნდნენ ისტორიის ასპარეზზე, VII–IX საუკუნეებში, ქალდეა ერქვა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს (ფემა, იგივე თემი) ტრაპეზუნტის რეგიონში.

ის (ქალდეა) თავდაპირველად არმენიაკონის ფემის (თემის) ნაწილი იყო.

იმპერატორ თეოფილეს დროს (840-იანი წლებისათვის) ჩამოყალიბდა ქალდეას ფემა (თემი), რომლის ცენტრი იყო ტრაპეზუნტი, ბასილი მე-2 ბულგართმმუსვრელის დროს ქალდეას მმართველები დუკას წოდებას ატარებდნენ, ქალდეას ფემას ძირითადი მოსახლეობა იყო ჭანები და ლაზები, რომელნიც შექმნილი პოლიტიკური და რელიგიური ვითარების გამო გაბერძნებული, ანდა არმენიზებული იყვნენ, თუმცა ჭანების მნიშვნელოვან ნაწილს თვითმყოფადობა არ დაუკარგავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წანარები იყვნენ ქალდეას ფემადან ლტოლვილი ჭანები. ქალდეას ფემა გეოგრაფიულად ზღვისპირის გარდა ძირითადად მოიცავს მაღალ და კლდოვან მთიანეთს, სწორედ ამის გამო წანარებს დარიალის ხეობისათვის მიუმსგავსებიათ ქალდეას გეოგრაფიული სახე და იქ სიამოვნებით დამკვიდრებულან.

მაშასადამე,წანარებს არავითარი კავშირი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ურარტუსთან, თუნდაც იმის გამო, რომ მათ დროს ურარტუ უკვე ორიათასი წლის წინ იყო განადგურებული და მისი არსებობა საისტორიო წრეებმა შეიტყვეს მხოლოდ მე-18 საუკუნის შემდეგ.

მაშასადამე, წანარები იყვნენ ტრაპეზუნტის რეგიონის ჭანები, შესაბამისად, ქართულენოვანი ხალხი, მიდრეკილი ქრისტიანობისაკენ, ქრისტეს ჯვრის მოყვარულები, ამიტომაც მათ რელიგიურ-სასულიერო ლიდერად დაუდგინეს მცხეთის კათალიკოსის ქორეპისკოპოსი.

როცა წანარები გარდმანში მივიდნენ იყვნენ მხურვალე მორწმუნე ქრისტიანები. მათ მოითხოვეს იქ დაცული წმიდა ჯვრის ნაწილი,ამ ქრისტიანებს ესაჭიროებოდათ სასულიერო ზედამხედველი, ანუ ეპისკოპოსი. როცა გარდმანის მთავარმა შეიტყო მათი ქართულენოვნება, მოითხოვა მცხეთის კათალიკოსისაგან ქორეპისკოპოსი და დანიშნა მათ ეპისკოპოსად.

მე-7 საუკუნეში გარდმანი ტაოსთან და სხვა ქართულ მხარეებთან ერთად არ მიემხრო სომხურ-მონოფიზიტურ ფრთას და იცავდა ქალკედონიტობას.

ამის გამო სრულიად უსაფუძვლოა ამჟამად გავრცელებული აზრი, რომელიც საინტერნეტო სივრცეშია, თითქოსდა, ვარდან არეველცი თავის

ტექსტში აფიქსირებს ფაქტს იმისა, რომ წანარები ურარტული ქალდებისაგან წარმოიშვნენ და ა. შ.

(„Этот текст весьма интересен не только тем, что фиксирует происхождение цанаров от **халдов-урартийцев**...https://vk.com/@isstukx-canary-zabytaya-voina-zabytogo-naroda).

როგორც აღინიშნა, ვარდან არეველცი წერს, რომ ქალდეადან გარდმანში მოსული წანარები ივერიულ, ანუ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ამიტომაც გარდმანის მთავარმა მათთვის მოიწვია ქორეპისკოპოსი (“И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них хорепископа“ Вардан Великий. Всеобщая история. часть 3 http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm

ჩვენი აზრით, გარდმანში მივიდნენ ტრაპეზუნტის ქალდეას თემიდან ლტოლვილი ჭანები, ბუნებრივია, რომ ისინი ქართულ, ანუ ივერიულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ამ მიზეზის გამოო, წერს მემატიანე, გარდმანის მთავარმა მათთვის მოიწვია ქორეპისკოპოსი.

მაშასადამე, ვარდან დიდის, ანუ ვარდან არეველცის ცნობაში, ქართული ენა და ქორეპისკოპოსი ერთმანეთთან კავშირშია, ანუ ქორეპისკოპოსის საეკლესიო-ლიტურგიკული და სალაპარაკო ენა იყო ქართული ენა, ამიტომაც მას უკვე თავის მრევლთან, წანარებთან, მჭიდრო ურთიერთობა ექნებოდა. ეს ნიშნავს, რომ იმჟამად მონოფიზიტურ გარდმანში მისული წანარები ჩააბარეს არა სომეხ მღვდელმთავრებს, არამედ ქალკედონიტ, ანუ ქართულენოვან ქორეპისკოპოსს. ამ იერარქს წანარები ჩააბარეს ქართული ენის ცოდნის გამო, თანახმად სომეხი მემატიანის ცნობისა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ქალკედონიტური ეკლესია, ბუნებრივია, ქართულენოვანი იყო, ხოლო მონოფიზიტური ეკლესია – სომხურენოვანი, ანუ მრევლის ქართულენოვნება უკვე ნიშნავდა ქალკედონიტური მიმართულების მატარებლობას, ხოლო სომხურენოვნება – მონოფიზიტურისა (მე-8 საუკუნის ბოლოდან).

ამიტომაც ქალდების, ანუ წანარების ქართულენოვნება უკვე ნიშნავდა, რომ ისინი ქართული ეკლესიის მრევლი იყო და, შესაბამისად, ქართველი ქორეპისკოპოსი ესაჭიროებოდათ.

რაც შეეხება გარდმანს, ის ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა – ქართულ- ქალკედონიტურად და სომხურ-მონოფიზიტურად.

საერთოდ, წყაროს ცნობით, თავდაპირველად გარდმანი, ანუ გარდაბანი, მთლიანად ქართული ოლქი, იყო დასახლებული მხოლოდ ქართველებით, რადგანაც მემატიანემ, გარდაბნის, ანუ გარდმანის ხალხის ეპონიმი „გარდაბოსი“ ქართველთა წინაპრის – „ქართლოსის“ ძედ დასახა. ეს ნიშნავს, რომ მისი მტკიცებით ეს ოლქი ქართველების თავდაპირველ მიწა-წყლად და ქართველებით დასახლებულად მიიჩნეოდა.

მემატიანე წერს – „გარდაბოსს მისცა **ხუნანი** და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით **მდინარე ბერდუჯისი,** დასავლით ქალაქი **გაჩიანი,** და სამჴრით მთა პირველჴსენებული, და ჩრდილოთ **მტკვარი**.“

ეს მომხდარა ქრისტეშობამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, ქართლოსისა და მისი ძის გარდაბოსის ეპოქაში.

მაშასადამე, თუ ვარდან დიდს ვენდობით, წანარები ქართულენოვანი ხალხი იყო, გამოსულნი ქალდეას, ანუ ჭანეთის ოლქიდან. ჩანს, რაღაც დევნის გამო მათ თავი შეაფარეს საქართველოს შედარებით დაცულ ოლქს – გარდაბანს. ქართულენოვნების გამო მათ მცხეთის პატრიარქის მიერ დაენიშნათ ქორეპისკოპოსი (საეკლესიო-სასულიერო მეთაური), რომელიც მალე მათ საერო მეთაურადაც იქცა.

წანარების ვინაობა

პონტოსპირეთის იბერიულობის შესახებ წერენ თვით სომეხი ისტორიკოსები, ხორენაცი, უხტანესი და სხვა. ისინი მიუთითებენ, რომ პონტოსპირეთში იბერები ჩაასახლა ნაბუქოდონოსორმა და, მათი აზრით, იბერების საცხოვრისი პონტოსპირეთიც არის.

სომეხი ისტორიკოსების ეს დაბეჯითებული მტკიცებანი მიუთითებს, რომ მათ დროს, V–X საუკუნეებში, ტრაპეზუნტისა და მისი ჩრდილოეთის მხარეები ისევ ქართული ქვეყნები იყო და ისინი ამის ახსნას ცდილობდნენ.

სტრაბონიც მიუთითებდა, რომ მთელი ეს მხარეები პარიადრედან ხორძენასა და გოგარენას ჩათვლით ძვ. წ. მე-2 საუკუნემდე იბერიას ეკუთვნოდა, რომელიც არმენიის მეფეებმა მიიტაცეს.

უშუალოდ ტრაპეზუნტის რეგიონში ხალიბების ,ანუ ქალდების, ლაზების, კოლხების, იბერებისა და სხვა ქართული ტომების შესახებ ცნობებს უამრავი ბერძენ-რომაელი ავტორი იძლევა ქსენოფონტედან არიანეს ჩათვლით.

შემდგომში, ბიზანტიამ აქ დააარსა თავისი ადმინისტრაციული ერთეული „ქალდეას თემი“. ქართველები ამ მიწა-წყალს ჭანეთს უწოდებდნენ. აქ ჭანები სახლობდნენ და მათ სახელს უნდა უკავშირდებოდეს წანარების სახელი.

სტრაბონი წერს, რომ ტრაპეზუნტთან ცხოვრობდნენ ტიბარენები, ქალდები, სანები, მაკრონები (XII,3.18). პლინიუსი კი აღნიშნავდა, რომ ტრაპეზუნტის ახლო მთებს იქით არის იბერია (ბუნების ისტორია, VI,1.3) და აქვე, ტრაპეზუნტთან ცხოვრობდნენ კოლხები და სანები (ჭანები ან სვანები).

მაშასადამე, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე სხვადასხვა ქართულ ტომთან ერთად აქ ცხოვრობდა ქალდების ტომი. აქ მცხოვრობი ქალდების მიწა-წყალზე ბიზანტიის იმპერიამ 820 წელს დააარსა თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „ქალდეას თემი“ (Χαλδία) .

ქალდები სახელოვანი მეტალურგები და მჭედლები იყვნენ, ამიტომაც, ჩანს, საბრძოლო იარაღს კარგად იცნობდნენ და ფლობდნენ. ისინი უმეტესად გუმეუშხანეს რეგიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ტრაპეზუნტის ირგვლივ მცხოვ-

რებ ქართულ ტომებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ და პირიქით, ურთიერთბრძოლით ერთმანეთს ძალზე ასუსტებდნენ.

ასეთი პოლიტიკური სისუსტის გამო ისინი ძლიერ იჩაგრებოდნენ ბიზანტიელების მიერ.

ქალდების მაგალითზე ეს იქიდან გამოჩნდა, რომ მათი მიწა-წყალი ბიზანტიელებმა იუსტინიანეს დროს ოლქ „1 არმენიაში“ შეიყვანეს, შემდეგ კი – „არმენიაკონის“ ოლქში.

შესაძლოა, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათი ერთი ნაწილი ქალდეას მიწა-წყლიდან აყრილა და წამოსულა იმ ქვეყანაში, რომელშიც მშობლიური ერი ეგულებოდა – **ივერიაში**, რადგანაც ისინიც ივერიულ ენაზე ლაპარაკობ-დნენ.

ქალდეადან წამოსულები თავდაპირველად თითქმის იმავე სახელის მქონე ქართულ ოლქში მოსულან, რომელიც დატოვეს – **გარდმანში** (გარდმანი-**ქართ**მანთი-**ქალდ**მანი). აქ მათ დაუდასტურებიათ თავიანთი ქრისტიანობა, ალბათ, ადგილობრივი ეკლესიის მრევლად იქცნენ და დიდი სურვილი გამოუთქვამთ, მათაც ჰქონოდათ იმ პატიოსანი ძელიჭეშმარიტის ნაწილი, რომელიც აქ დაუტოვებია ჰერაკლე კეისარს, – წერს ვარდან დიდი არეველცი თავის წიგნში „მსოფლიო ისტორია“.

«Точно таким же образом некоторые мужи халдейские, вышедшие из своего отечества, пришли в Гардман (Гардабан) и сказали гардманскому князю – „Уступи нам часть Креста, данного тебе Ираклием, а мы примем христианскую веру и станем твоими слугами;“ что и исполнилось. Эмир багдадский, узнав об этом, стал грозить им; и они, устрашенные, удалились к подошве Кавказских гор.

При помощи Христа, в которого они уверовали, завладели они всеми (окрестными) областями, так что один из них, по имени Давид, вступивший в свойство с царем дцоро-гетским, вступил даже на престол. Эти Халдеи назвали свою область Тцанарк’ (Цанарк) на том основании, что в ней они узнали первое свое местожительство. И так как они говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил для них, хорепископа». Вардан Аревелци, «Всеобщая история» http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan_2/obzor1.htm

ვარდანი წერს – „ქალდეველი ვაჟკაცები ტავიანთი მამულიდან გამოს-ვლის შემდეგ მივიდნენ გარდმანში (გარდაბანი) და უთხრეს გარდმანის თა-ვადს „დაგვითმე იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც ირაკლიმ მოგცა, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და თქვენი მსახური გავხდებით“, რაც შერულდა. ბაღდაის ემირმა როცა ეს შეიტყო, მათ დაემუქრა, და ისინი შეში-ნებულები განშორდნენ კავკასიის მთის პირისაკენ. ქრისტეს მეოხებით, რომე-ლიც სწამდაათ, ისინი დაეუფლნენ გარშემო ოლქებს...რომელსაც ეს ქალდეები „ჭანარს“ (ჭანეთს) წანარს უწოდებდნენ, იმ საფუძველზე, რომ ის ჰგავდა მათ თავდაპირველ ქვეყანას. იმის გამო რომ ისინი ლაპარაკობდნენ ივერიულ ენაზე, ამიტომაც გარდმანის თავადმა მოიწვია მათთვის ქორეპისკოპოსი“(ე.ი. წანარეთი ჭანეთ-ქალდეას წააგავდა).

(შესაძლოა, აღსანიშნავი იყოს ის, რომ გიუმუშხან-ქალდეადან სხვა დროსაც გადმოსახლდნენ ქალდეები საქართველოში. ეს მოხდა მე-19 საუკუნეში, როცა გიუმუშხანეს ოლქიდან რუსის გენერალ პასკევიჩის დროს ხალხი საქართველოში – თრიალეთში ჩამოსახლდა, მათ თან ჩამოიტანეს თავიანთი ეკლესიიდან ქართულენოვანი სახარება, მაგრამ ქართული ძალზე ცუდად იცოდნენ, თუმცა საოჯახო ქართულენოვნება გარკვეულწილად შენარჩუნებული ჰქონიათ. მაგალითად, ბავშვის აკვანში ჩასაკრავი მოწყობილობების ქართული სახელები (არტახი და სხვა), მაგრამ ისინი ოფიციალურად ჩამოასახლეს ვითარცა ბერძნები, რადგანაც იქამდე ოსმალეთის იმპერიის ბერძნულ მილეთში იყვნენ შეყვანილები მართლმადიდებლობის გამო. საქართველო ამ დროს თვითონ იყო დაპყრობილი, ამიტომ ქალდებს სკოლებში დაუნერგეს რუსულენოვნება და გაუძლიერეს ბერძნული თვითშემეცნება, თუმცა მათ ბერძნული ენა საერთოდ არ იცოდნენ და ნარევი თურქულ-ქართული დიალექტით საუბრობდნენ, ისინი შემდგომ საბერძნეთში გადასახლდნენ მე-20 ს. ბოლოს, ვითარცა ბერძნები, მათ შორის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა (მაგ., სოფ. სანთასი) აცხადებდა, რომ ისინი ლაზები იყვნენ).

როგორც ითქვა, ვარდან დიდის ცნობის შესაბამისად, ქალდები გარდაბნის პროვინციაში ჩამოსახლდნენ დაახლოებით მე-8 საუკუნეში. ამ დროს გარდმან-გარდაბანი მტკიცე ქალკედონური ქვეყანა იყო, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომაც გარდმანის ერისთავს ამ მოსული ქალდებისათვის დაუნიშნავს ქორეპისკოპოსი (ანუ ქართლის კათალიკოსის დამხმარე ეპისკოპოსი რეგიონების საჭიროებისათვის). ის ქალდებისათვის, პირველ რიგში, სასულიერო იერარქი იყო, თანდათან საერო საქმეებსაც ხელმძღვანელობდა.

მე-7 საუკუნეში გარდმანი ტაოსთან ერთად არ მიემხრო სომხურ-მონოფიზიტურ ფრთას და იცავდა ქალკედონიტობას.

ამჟამად ამ ქალდებს სომეხი და რუსი მეცნიერები ქალდ-ურარტუელებს უწოდებენ, ხოლო ინგუშებისა და ჩეჩნების ისტორიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ხალხები არიან წანარების შთამომავლები და ისინი ურარტუს ქალდებისაგან არიან წარმოშობილნი. სინამდვილეში, როგორც გავარკვიეთ, გარდმანში მისული წანარები იყვნენ ქალდეას თემიდან გამოსული ჭანები, ანუ ვარდან დიდის ცნობით, იყვნენ ბიზანტიურ თემ ქალდიას ქართულენოვანი სამყაროს წევრები.

ისინი გარდმანიდან არაბების მუქარის შემდგომ გადასახლებულან საქართველოს მთიან მხარეში, ასე რომ, წილკანი და დარიალის ხეობა მათ კონტროლქვეშ აღმოჩენილა. ეს მხარეები მათ, ვარდან დიდის ცნობით, თავიანთ უძველეს სამშობლოდ მიაჩნდათ.შემდეგ კი კახეთის არაბებისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდნენ დიდი ხნის მანძილზე. წანარების, ანუ კახეთის ქორეპისკოპოსი დონაურების საგვარეულოდან იყო, როგორც აღინიშნა, ილარიონ ქართველი.

მასუდისა და საერთოდ, არაბ ისტორიკოსებს, ისე მოსწონდათ წანარების თავდადებული და ვაჟკაცური ომები არაბებთან, რომ დაენანათ მათი

კავკასიურ ტომებად წარმოჩენა და ირწმუნეს ლეგენდა, რომ წანარები არიან არაბული სამყაროს წევრები, კერძოდ კი, იემენელები.

Знаменитый арабский ученый-энциклопедист **ал-Масуди**в книге «Мурудж аз-захаб» («Золотые истоки»), написанной в 20-30-е годы X века, приводит такие сведения о цанарах: «…между приграничной областью Тбилиси и уже упомянутой крепостью «Аланские ворота» лежит царство Санария (Цанар), царь которого называется корискус (греческое **хорэпископос**), что является обычным титулом здешних царей… Они христиане. В этой стране они господствуют над многими народами. **Санары утверждают, что они те, кого мы называли среди народов в стране Мааріб (в Йемене**)».

Отметим для себя, что арабы название цанаров всегда произносили со звуком «с» впереди – санары, санарийцы. Поэтому название древней причерноморской страны, откуда пришли на Кавказ предки цанаров, ал-Масуди мог воспринять как «Сана». Именно здесь, на наш взгляд, и кроется объяснение того, что ал-Масуди связал происхождение цанаров со страной Мааріб (Йемен).

Дело в том, что ал-Масуди древнюю **Сану в Колхиде перепутал с городом Сана – древней столицей Йемена.** Его не смутило и то, что современные ему санарийцы (цанары) были христианами. Ведь и жители **Йеменской Саны еще в V веке приняли христианство из Эфиопии**, что было известно арабскому ученому-энциклопедисту. Все эти факты вкупе с рассказами цанаров о своем южном происхождении и породили ошибочную «йеменскую» версию ал-Масуди, нашедшую отражение в книге «Золотые истоки».

გარდმანის ხევს, ანუ გარდმანის ოლქს ქართველები თავიანთი წინაპრების სამშობლოდ მიიჩნევდნენ (ქართლოსის ძის გარდაბოსისაგან), ხოლო ამჟამინდელი აზერბაიჯანელი მეცნიერები ალბანეთის ნაწილად თვლიან, სომხურ წყაროების მიხედვით, არმინიაში შედიოდა, არმენიელების მიერ იბერიის მიწების მიტაცებათა გამო. სტარბონის ცნობით, არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა ძვ. წ. 180 წლისათვის იბერიული ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა, ერთ-ერთი ასეთ მიტაცებული ოლქის ნაწილი უნდა ყოფილიყო გარდმანი.

Гирдыман – историческая область в Закавказье, в **античный период** один из восьми **гаваров ашхара Утик Великой Армении**, в раннем средневековье – феодальное владение в **Кавказской Албании**.

ამჟამად გარდაბან-გარდმანის ისტორიულ ოლქს ორ ნაწილად ყოფენ, ჩრდილოეთ ნაწილს ქართულ სამყაროსთან აკავშირებენ, ხოლო ქვემო ნაწილს – სომხურთან.

სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, იბერიისაგან არმენიის მიერ მიტაცებული ერთ-ერთი ოლქის (ხორძენას, ანდა გოგარენას) ნაწილი უნდა ყოფილიყო სივნიეთი, სევანის ტბის სამხრეთიდან მიმდებარე ოლქი, ისიც (გარდმან-გარდაბნის მსგავსად) ამ მიტაცებამდე ქართველებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, რომ იბერებისაგან მიტაცებულ ოლქებში არმენიელებმა შეძლეს მკვიდრი მოსახლეობის

არმენიზაცია იმდენად, რომ სტრაბონის დროს ისინი უკვე სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუთითებს არმენიზაციის დაჩქარებულ პროცესზე.



მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადმინისტრაციის ენას, ანუ სომხურ ენას, უფრო მეტად ზედაფენა სწავლობდა და ქვედა ფენა, ალბათ, კიდევ დიდხანს ინახავდა ქართულენოვნებას, ღრმა კავშირს მშობელ ქართველ ერთან და ასევე, მისკენ სწრაფვას. ამის გამოხატულ მაგალითად მიგვაჩნია ჩვენ პეროჟავრა სივნიელი, წმიდა ნინოს თანამოსაგრე ქართველთა მოქცევისას.

სივნიეთი, ისევე, როგორც გუგარქი, ეკლესიურად, წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, პეროჟავრა სივნიელი ამის პიროვნული გამოხატულება იყო.

გუგარქის ვრცელი ოლქი ქართველთა ქვეყანა იყო, რომელზეც არმენია მუდამ ცდილობდა გაბატონებას, თუმცა, როგორც ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, აქ მუდამ მიმდინარეობდა ბრძოლა ქართული ენისათვის, რათა მისი უფლებები აღდგენილიყო საეკლესიო და საერო ცხოვრებაში.

გუგარქი რომ ქართველთა ქვეყანა იყო ჩანდა ეკლესიურადაც,ამას ადასტურებს ის, რომ გუგარქის ეპარქია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მისი ეპისკოპოსი მოსე კირიონ კათალიკოსის დროს ეპისტოლეთა წიგ-ნში – „ქართველთა ეპისკოპოსად“ იწოდება.

ამავე ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, რომ გუგარქის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებში სომხურენოვანი საეკლესიო მსახურება დაინერგა მხოლოდ მე-6 საუკუნეში, თავდაპირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში, ანუ ცურტავის ეკლესიაში, შემდეგ კი სომხურენოვნება მთელს ეპარქიაში გავრ-ცელდა (იხ. ეპისტოლეთა წიგნის ანალიზი ჩემს ნაშრომში – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“)

ამის შესახებ მე ასევე ვწერ სტატიაში, რომელიც „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სტატიაში „კირიონ I“-ა გადმოცემული –

„В «Книге посланий», где также повествуется о церковном разделении в Закавказье, собрана переписка между К. и участниками межцерковного спора. Важное место в тексте отводится еп. Цуртавскому Моисею и истории Цуртавской епархии, расположенной в Квемо-Картли (арм. Гугарк). Убедившись в приверженности К. к решениям Халкидонского Собора, еп. Моисей, названный во 2-м письме «епископом грузин», покинул епархию и перешел в Армению (Книга посланий. 1968. с. 2, 12, 15).

После самовольного ухода еп. Моисея из епархии последовала переписка К. с представителями ААЦ (католикосом Мовсесом II Еливандеци (574–604), наместником арм. католикоса Вртанесом Кердолом, католикосом Авраамом I) и арм. светских властей (ставленником персид. шаха в вопросах упорядочения церковных дел в Армении Врканским марзпаном Смбатом Багратуни), где К. доказывал правомочность своей внутренней и внешней политики. Оппоненты обвиняли главу ГПЦ в притеснении еп. Моисея, в упразднении армяноязычного богослужения, установленного в Цуртави вмц. Шушаник, а также в приверженности К. к «ромеям (т. е. византийцам.- Авт.), которые приняли Халкидонский Собор» (Там же. с. 67). Особенно непримиримо выступал против позиции К. католикос Авраам I.

Однако К. убедил Смбата Багратуни в своей лояльности к Ирану, а также отверг обвинения в отмене арм. богослужения: «Мы богослужение (на арм. языке.- Авт.) не отменяли, но тот, кто поставлен (нами.- Авт.) епископом, знает и грузинскую, равным образом и армянскую грамоту, и богослужение совершается на обоих языках» (Книга посланий. 1968. С. 70, 78; Ухтанес. 1975. с. 125, 153). Груз. историки считают, что К. ввел груз. богослужение в Цуртавской епархии (Джавахишвили) или лишь в той ее части, к-рая была населена армянами (Алексидзе). Однако, по мнению груз. церковных историков, К. восстановил в регионе древнюю практику богослужения на груз. языке, что было ранее отменено под давлением персид. властей.
https://www.pravenc.ru/text/1840497.html

თავის დასკვნა

დავითგარეჯისა და მიმდებარე ოლქების მიწა-წყალი, ქართული წყაროების თანახმად, ქართველთა წინაპრების (ეპონიმების – ქართლოსის, კახოსისა, კუხოსისა და გარდაბოსის) წილ ქვეყნად მიიჩნეოდა და ჯერ კიდევ ფარნავაზის ეპოქიდან შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში.

აქ, და საერთოდ სამხრეთ კახეთში (კუხეთ-კხოეთში), მოღვაწეობდნენ წმიდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი, და მე-6 საუკუნიდან – ასურელი მამები.

არაბობის ეპოქაში თავდაპირველად აქაურ რეგიონებში გამოჩნდნენ წანარები, როგორც ამ ეპოქის ისტორიკოსი უწოდებს „ივერიულენოვანი“ ტომი, რომელთაც კახეთი გადააქციეს არაბთა წინააღმდეგ მიმართული განმანთავისუფლებელი ომების არეალად, ქორეპისკოპოსთა მეთაურობით. მათ ოჯახში დაიბადა იმჟამინდელ ქრისტიანულ მსოფლიოში სახელოვანი წმიდანი – ილარიონ ქართველი.

არა მხოლოდ დავით გარეჯის მიწაწყალი და სამხრეთ კახეთი, დიდი ოლქი გარდმანიც წმიდა ილარიონ ქართვლისა და უფრო ადრე, ასურელი მამების დროს, წყაროთა მიხედვით – ქართული ოლქები იყვნენ.

თავი IV

წმ. დინარა დედოფალი

წმიდა დინარას წინაპრები

ჰერეთის დედოფალი წმიდა დინარა სახელგანთქმული იყო იმით, რომ უსმენდა თავისი ხალხის გულისცემას, მის სარწმუნოებრივ მიდრეკილებას, იქამდე დათრგუნულს მონოფიზიტი მმართველების შიშით და აღასრულა კიდეც მათი გულისწადილი, ჰერეთი დააბრუნა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში. ამ უდიდესი ღვაწლისათვის ეკლესიამ ის შეამკო სიყვარულითა და წმიდანის შარავანდედით.

წმ. დინარა იყო შაქის ოლქის იმ თავდაპირველი მფლობელის შთამომავალი, რომელსაც წმ. მეფე არჩილმა „მკვიდრის“ სახელი მიანიჭა, ანუ კანონიერ მმართველად დაადგინა.

კერძოდ, წმიდა დინარა იყო შთამომავალი იმ ბაგრატიონი ძმებისა, რომელნიც მივიდნენ კახეთში მყოფ ქართლის მეფე წმიდა არჩილთან და ითხოვეს მისგან, რათა ისინი მიეღო ვითარცა ვასალები. მეფე არჩილს, ქართლის ცხოვრების თანახმად, შაკიხი და ჰერეთი ,ანუ შაქის ოლქი სამკვიდრებლად გადაუცია ამათგან ერთ-ერთისათვის. ამჟამად გარკვეულია, რომ ეს იყო ადარნასე კურაპალატი, მამა აშოტ დიდისა, ბაგრატიონთა ქართული დინასტიის მესაძირკვლისა.

წმიდა დინარას წინაპრი ადარნასე (წმ. არჩილ მეფის ვასალი), თავდაპირველად შაქი-ჰერეთის კანონიერი მფლობელი, შემდგომში, დაახლოებით 742–807 წლებში, მართავდა კამბეჩანსა და გარდაბანს, შემდეგ – კლარჯეთსა და ჯავახეთს.

წმ. დინარას პაპის (ბაბუის), აშოტის მამის, ადარნასე კურაპალატის დროს დაუბრუნდა ტაო საქართველოს ეკლესიის წიაღს, რადგანაც იქამდე ტაოელი ქართველები იძულებული იყვნენ თავიანთ ეკლესიებში სომხურენოვანი წირვა-ლოცვები ჰქონოდათ, ისევე, როგორც მეზობელ ალბანელების ეკლესიებში იყო დანერგილი სომხურენოვანი ღვთისმსახურება. მაგრამ, ტაოელებისაგან განსხვავებით, ალბანელებმა ვერ შეძლეს აღედგინათ თავიანთ ეკლესიებში ალბანურენოვანი ღვთისმსახურება და ისინი ბოლომდე სომხურენოვანები იყვნენ საეკლესიო თვალსაზრისით, ამ ფონზე, ძალზე დასაფასებელია დინარას ოჯახის დამსახურება.

რაც შეეხება წმიდა დინარას მამას, აშოტ დიდის ძეს, ისიც თავისი პაპის, ადარნასეს სახელს ატარებდა. ის იყო ზემო ტაოსა და კლარჯეთის ერისთავი, ხოლო წმ. დინარას ძმა, გურგენ დიდი კურაპალატი და ერისმთავარი, იყო წმიდა გრიგოლ ხანძთელის ნათლული. ნათლიასა და ნათლულის სულიერი კავშირი იმდენად მჭიდრო იყო, რომ სიკვდილის წინ გურგენ დიდმა დატოვა ანდერძი, რათა ის ხანძთის ტაძარში, წმ. გრიგოლის ფეხთით დაეკრძალათ და შემდგომში მის ნეშტზე სხვა ბერების ძველები დაესვენებინათ.

„გურგენ დიდის ანდერძი, გიორგი მერჩულის სიტყვით, ასეთია: ვითარმედ ნათლის მამის ჩემისა ძუალთა მახლობლად დამდევით ფერხთა თანა მისთა და სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩემზედა დაუსვენენით“.

ის ტაო-კლარჯეთის მიწების გარდა, ერთი ცნობით, შაქის ჰერეთის მახლობლად, რან-გარდაბნის მხარეს საპატრონო მიწა-წყალსაც ფლობდა.

ასეთი დიდებული საგვარეულოდან წმიდა დინარა გაათხოვეს შაქის ჰერეთში, მისი ქმრის საგვარეულოც სახელოვანი იყო, მაგრამ სათავეს იღებდა, გარკვეულწილად, უზურპატორ საჰლ სმბატიანისაგან, რომელსაც, ზოგიერთი ცნობით, რანის კანონიერი მმართველი დინასტია, არანშაჰები ამოუხოცავს და მათი სახელი მიუსაკუთრებია, შემდგომში კი სახალხო აჯანყების გმირი ბაბეკი, მასთან თავშეფარებული, ღალატით შეუპყრია და არაბთა ხალიფასთვის გადაუცია, რის სანაცვლოდაც მიიღო უდიდესი პატივისცემა არაბების მხრიდან და „არანის (ალბანეთის) ბარტაკის ანუ მეფის“ ტიტული. *ბატრიკ არ-Рани*». შესაბამისად, ის, ხალხის თვალში, უკანონო მმართველი იყო, მოძალადე და უზურპატორი. მისგან განსხვავებით შაქის ოლქის, კამბეჩანისა და გარდაბნის ოლქების კანონიერი, ანუ თავდაპირველი მმართველები წმ. არჩილის „დროიდან იყვნენ ადარნასე ბაგრატიონის ოჯახის წევრები. თვითონ ადარნასე ასევე გარდაბნის ერისთვიც იყო.

ხალხისათვის საჰლ სმბატიანი იყო პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და მიითვისა რანისა კანონიერი მმართველების უფლებები.

სავარაუდოდ, საჰლ სმბატიანმა ასევე უკანონოდ განდევნა შაქის ოლქიდან მისი კანონიერი მფლობელი, მეფე არჩილის ვასალი ადარნასეს მემკვიდრეები (წმ. დინარას წინაპრები). ჩანს, შაქის ოლქის ახალი მმართველები ადარნასეს ებრძოდნენ გარდაბნის ოლქისათვის და საბოლოოდ განუდევნიათ კიდეც გარდაბნიდან. საბოლოოდ, ადარნასეს შთამომავლები კლარჯეთში დამკვიდრდნენ, თუმცა თავიანთ ყოფილ მიწა-წყალზე, მათ შორის გარდაბანზე ოჯახი უფლებამოსილ პირად მიაჩნდათ. წყაროს მიხედვით , ადარნასეს ძე აშოტი გარდაბანში მოუკლავთ 826 წელს – „შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და **მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი.** (მატიანე ქართლისა,1955).

რაც შეეხება დინარას ქმრის საგვარეულოს, ის ხალხის თვალში, მათი მმართველობის დასაწყისში, კარგად არ გამოიყურებოდა მას შემდეგ, რაც

საჰლ სმბატიანს ამოუხოცავს რანის კანონიერი დინასტიის ყველა წარმომადგენელი და თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია რანსა და შაქის ჰერეთში. 822 წელს მოუკლავთ ვარაზ-თრდატი და მის ადგილას შაქის ჰერეთის მმართველს საჰლ სმბატიანს გაუვრცელებია თავისი ხელისუფლება.

როგორც ითქვა, შესაბამისად, ხალხის თვალშიც, დინარას ქმრის საგვარეულომ თავდაპირველად უკანონოდ ჩაიგდო ხელში რანისა და შაქის ოლქის მმართველობა, ხოლო დინარა მათთვის კანონიერი მმართველი იყო, ამდენად, პირადად მას დიდი სახალხო მხარდაჭერა და გავლენა გააჩნდა.

აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და **ჯუანშერ.** წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი. ხოლო **ჯუანშერ** და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა... უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან... ამან **ჯუანშერ** შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატონიანთა, **ასული ადარნასესი, სახელითა ლატავრი...** დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა.

ლატავრისა და მისი ქმრის ჯუანშერის სამეფო სახლის ღირსების მემკვიდრე გახდა აშოტ კურაპალატი – ლატავრის ძმა. ჯუანშერი ქართლის კანონიერი მეფის, არჩილის ძე იყო და ამავე დროს, კახეთის მთავარი. მისი ეს მემკვიდრეობა დარჩა აშოტს. ის მუდამ იბრძოდა თავისი კანონიერი მემკვიდრეობისათვის – თბილისის-ბარდასა, გარდაბანის კახეთისა და შაქის ჰერეთისათვის. წყარო წერს – „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.

აშოტ კურაპალატი ებრძოდა არაბებს, მის უმთავრეს მდევნელებს, მაგრამ კონკრეტულად კი, ჩანს, ებრძოდა საჰლ სმბატიანს, რომელიც ამავე პერიოდში იჭერს რანსა და შაქს.

სწორედ აშოტ კურაპალატი იბრძოდა გარდაბნის ვრცელი ოლქისათვის და“ მატიანე ქართლისაის“ ცნობით, აქ მოკლეს მტრებმა 826 წელს, ამის პარალელურად ცნობილია, რომ ამავე დროს, 822 წელს საჰლ სმბატიანმა ამოხოცა რანის კანონიერი მმართველები, და ის დაეუფლა რანსა და მიმდებარე მხარეებს.

ამავე დროს, აშოტ კურაპალატიც იბრძოდა რანში, მის მატიანეში ნათქვამია, რომ ის თავდაპირველად თბილისთან ერთად ბარდავსაც ფლობდა, მაგრამ დაკარგა, ცხადია, ბრძოლაში დამარცხების შედეგად, მაგრამ მან (აშოტ კურაპალატმა) შემდგომში კვლავ გააგრძელა ბრძოლა ბარდავისათვის და წარმატებასაც მიაღწია, ოღონდ ახლა უკვე თვით ქალაქი ბარდა ვერ დაიკავა, არამედ მხოლოდ ტერიტორია ბარდამდე. შემდეგი ისტორია აჩვენებს, რომ რანი, ბარდასთან ერთად, საჰლ სმბატიანმა დაიჭირა, შემდეგ კი გაგრძელდა ბრძოლა გარდაბნისათვის, სადაც აშოტი კვლავ დამარცხდა.

ამ დროს შეიცვალა აქაური მმართველი დინასტიები. შაქში ქართველი ბაგრატიონებისა და რანში არანშაჰების კანონიერი დინასტიები განდევნილ

იქნა და ამ ოლქებს ახალი მმართველი დინასტია მოევლიანა – საჰლ სმბატიანის შთამომავლები.

აშოტ კურაპალატი, წინაპათაგან მიღებული მემკვიდრეობით, „ყოველი ქართლის“, შესაბამისად, მასში შემავალი თბილისის, კახეთისა და ჰერეთის კანონიერი მმართველი იყო. ახლა უკვე კახეთს მოევლინა მთავარი გრიგოლი, ხოლო შაქის ჰერეთს – საჰლ სმბატიანი. აშოტი ებრძოდა კიდეც თბილისის ამირასა და გრიგოლს.

(როგორც შემდეგ ისტორია აჩვენებს, ხალხის თვალშიც შაქის ჰერეთის კანონიერი მმართველები არ იყვნენ საჰლ სმბატიანის შთამომავლები, ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ შემდგომში ქართველი ბაგარატიონების ოჯახიდან გამოსულ დინარას ჰერეთის ხალხმა მხურვალედ დაუჭირა მხარი რელიგიური და სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებისას).

თბილისისა და კახეთისათვის აშოტ კურაპალატის ბრძოლასთან დაკავშირებით მემატიანე წერს, – „განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს...მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“.

მაგრამ აშოტ კურაპალატი არაბებთან და, ჩანს, საჰლ სმბატიანთან ბრძოლებში დამარცხდა.

„შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და **მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს,** ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“.

ამის შემდეგ გარდაბანი საჰლ სმბატიანის ხელში უნდა გადასულიყო. ამას კი არ ეგუებოდა გარდაბნის ქართველობა, მათ გადაუწყვეტიათ ადგილობრივი მეთაურების წინამძღოლობით ებრძოლათ თავისუფლებისათვის, კერძოდ, თავიანთი სასულიერო პირისათვის, ანუ ქორეპისკოპოსისათვის მიუნდიათ გარდაბნის ქვეყნის საერო მმართველობა – „ხოლო კუალადცა ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა. და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე. მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური“.

უკვე მე-9 საუკუნის 40-იან წლებში არაბათა წინაშე ერთგულებისათვის, რაც გამოჩნდა ბაბეკის დატყვევებით, საჰლ სმბატიანმა ხალიფასაგან მიიღო მეფის გვირგვინი და ალბანეთის მეფის წოდება, მოვსეს კალანკატუაცის სიტყვით კი „არმენიის, ივერიისა და ალბანეთის მეფის“ წოდება.

ახლა არაბი სარდალი ხალილ იზიდის ძე არაბიელი უკვე საჰლ სმბატიანის ერთგული მოკავშირე იყო, მან ილაშქრა კახეთში და დაიპყრო სამხრეთ კახეთის ქვეყანა გიშისწყლიდან გავაზამდე.

მატიანე წერს, – „კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი **გავაზს;** და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი“.

ხალილ იზიდის ძე გავაზთან დამარცხდა, რამაც ხელი შეუშალა, რომ მას კახეთი სრულად დაეპყრო.

შესაბამისად, გავაზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კახეთი თავისუფალი იყო, ხოლო სამხრეთ კახეთი (გიშისწყლიდან გავაზამდე) უკვე არაბთა ხელში იყო და მას ესაჭიროებოდა არაბთა მიერ დანიშნული მმართველი, არაბთა მიმართ ერთგული. ამ რეგიონში ასეთი იყო საჰლ სმბატიანი, ანუ შაქის ოლქის მმართველი. ამ მიზეზის გამო დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მართვის უფლება გადაეცა შაქის ჰერეთის მმართველს, პოლიტიკურად ეს ნიშნავდა, რომ სამხრეთ კახეთი ჰერეთის ხელქვეშ აღმოჩნდა. მხოლოდ ამის შემდეგ, 840-იანი წლებიდან ეწოდა სამხრეთ კახეთს ჰერეთი.

როგორც ისტორია აჩვენებს, გავაზ-ილტომდე დაპყრობილი სამხრეთ კახეთი ხალილმა გადასცა ხალიფას ერთგულ შაქის ჰერეთის მმართველ საჰლ სმბატიანს. ის უკვე იყო შაქის, რანისა და არცახის მმათველი, ახლა უკვე სამხრეთ კახეთის მმართველიც გახდა. ამის შემდეგ სამხრეთ კახეთს, ანუ თანამედროვე თელავის ქვემოთ მიწა-წყალს საინგილოს ჩათვლით, ჰერეთი ეწოდა.

ამ მიზეზთა გამო, როგორც ითქვა, შაქის იმჟამინდელი მმართველების ოჯახი ჰერეთის მოსახლეობისათვის უკანონო ხელისუფალნი იყვნენ, ხოლო კანონიერი იყო დინარას წინაპრების ოჯახი. ჰერეთის ხალხმა მხარი დაუჭირა დინარას, როდესაც მან ხალხისათვის კარდინალური ცვლილება განახორციელა. ეს იყო იმ ეპოქაში ყველაზე სათუთი სარწმუნოებრივი რეფორმა, კერძოდ, ჰერეთმა უარყო სომხური, ანუ მონოფიზიტური სარწმუნოება და ერთბაშად აღიარა ქართული, ანუ ქალკედონური სარწმუნოება.

წმიდა დინარა დედოფალი – კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის ადარნასე II-ის (†896) ასული და ძლიერი ერისთავთერისთავის, გურგენ IV-ის (918–941) და იყო.

წმიდა დინარა დედოფალის შორეული წინაპარი იყო ადარნასე (†779), წმ.არჩილ მეფის ვასალი.

ადარნასემ დაუდო სათავე ქართველი ბაგარატიონების დინასტიას, ის იყო მამა აშოტ დიდი კურაპალატისა (†826), რომელიც პაპა ყოფილა წმ. დინარასი.

გათხოვების შემდეგ დინარა დედოფალი იყო ჰერეთის მეფე ადარნასე II ბაგრატუნის (დაახლ. 897/906-943) მეუღლე და ჰერეთის მეფე იშხანიკის (დაახ. 943–960) დედა.

ამ ეპოქაში მრავალ ისტორიულ პირს ერქვა ადარნასე.

სხვა იყო წმ. დინარას მეუღლე ადარნასე II და სხვა იყო ქართველი ბაგარატიონი ადარნასე II (923), რომლის შთამომავლები არიან საქართველოს მეფეები, მათ შორის ბაგრატ III, ხოლო, როგორც აღინიშნა, წმ. დინარას მამა

ადარნასე ქართველ ბაგრატიონთა სხვა შტოს ეკუთვნოდა, ის წმ. დინარასა და იბერიის ცნობილი ერისთავთერისთავის, გურგენ დიდის მამა იყო.



ქართული ისტორიული წყაროს თანახმად, როგორც ითქვა, ჰერეთის სამეფოში დედა-შვილის ერთობლივ მმართველობასთანაა დაკავშირებული ჰერთა „მოქცევა“, მოსახლეობის სომხური მონოფიზიტობიდან მართლმადიდებლობაზე.

„მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნულია, რომ **„ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან**“.

ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი: **„იშხანიკამდე იყო ჰერეთი მწვალებელი..., ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წუალებისაგან მართლმადიდებლობისდა აღმსაარებლად**“.

წმ. არჩილ მეფის ვასალი ადარნასე, წმ. დინარას დიდი პაპა, შაქის ოლქის გარდა იყო გარდაბნის ოლქის ერისთავი 742–779 წლებში, შემდგომში ტაო-კლარჯეთის ერისთავი 780–786 წლებში, ის ასევე ერისთავი ყოფილა

ჯავახეთისა 786–807 წლებში, ის იყო აშოტ I-ის მამა, ანუ ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი.

როგორც ითქვა, თავდაპირველად ის იყო წმ. არჩილის მიერ ბოძებული შაკიხის, ანუ შაქის ოლქის „მკვიდრი“, ანუ მეპატრონე დიდებული. გარკვეული დროის შემდეგ შაქის ოლქის მმართველობა ხელში ჩაუვარდა საჰლ სმბატიანს, უზურპატორს, რომელმაც არანშაჰები (მიჰრანიდები) ამოხოცა და მათი ტიტული მიისაკუთრა.

როგორც ითქვა, დინარა დედოფალი მიათხოვეს ამ საჰლ სმბატიანის შთამომავალს. ჩანს, ჰერეთში ეს მმართველი ოჯახი მაინც არ მიიჩნეოდა კანონიერად, ხოლო მათი რძალი-დინარა, ჰერეთის კანონიერი მეპატრონის ადარნასეს შთამომავალი იყო, ამიტომაც ჰერების, ანუ შაქის ოლქის მოსახლეობისათვის დინარა კანონიერი მმართველი იყო, მით უფრო, რომ მან ხალხის გულისწადილი აღასრულა – მართლმადიდებლობა ააღორძინა.

ქართველ ბაგრატიონთა წინაპარი ადარნასე იყო არა მხოლოდ ვასალი ქართლის მეფე წმ. არჩილისა, არამედ დანათესავების გზით მისი პოლიტიკური მემკვიდრეც, რადგანაც მისი ქალიშვილი (აშოტ I-ის დაი) ლატავრი ცოლად შეირთო არჩილის ვაჟმა ჯუანშერმა.

თავისი წარმომავლობით, ჯუანშერის მიხედვით, წმ. არჩილის ვასალი ადარნასე იყო სომხითის ერისმთავრის, ადარნასე ბრმის ძმისწული.

„მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმის-წული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთად-ვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერის-თავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკჯდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი.“

ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელს ერქვა კალმახი და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“. (ქ.ც. ტ. I, გვ. 243).

წმ. არჩილის ვასალი ადარნასე, სომხური წყაროებით, იყო სომხითის ერისმთავრის, აშოტ ბრმის შვილიშვილი, ვასაკის ძე.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რა გენეტიკური კავშირი ჰქონდა სომხითის ერისთავებს ქართულ სამყაროსთან?

საქმე ის იყო, რომ სომეხი ბაგრატიდები ერისთავობდნენ სომხეთის იმ მხარეში, რომელიც ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული, შესაბამისად, მათ მუდმივი სურვილი გააჩნდათ ქართულ სამყაროსთან თანამშრომლობისა.

ასეთები იყვნენ სომხეთის ამავე მხარის განთქმული ნახარარები, ანუ ერისთავები, მაგალითად, მამიკონიანები, რომელნიც ნ. ადონცის გამოკვლევით, ქართული წარმოშობისანი იყვნენ, ანუ ჭანეთიდან იყვნენ ჩასულები სომხეთში, ამით ხსნიდა ის იმ ფაქტაც, რომ მათ შორეულ შთამომავლებს ჯანბაკურ-ორბელიანებს, სიტყვა ჭანი ანუ ჯანი შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთ გვარში. Адонц и особенно Туманов считали, что их родословная должна быть связана с Джорджией (Адонц, 1970, стр. 312; Туманов, 1963, стр. 209-10). Википедия site:livepcwiki.ru

ძვ. წ. მე-5 ს-ში ქსენოფონტეს ანაბაზისში შემდგომი ტაო-ბასიან-არზრუმის, ყარსისა და შირაკის (ანისის) მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ ქართული ტომები – ხალიბები, ტაოხები და ფასიანები.



ქართული ტომებით დასახლებულ მხარეებს აზონის ეპოქაში მოიცავდა კლარჯეთი, (ამჟამად, საქართველოს მომიჯნავედ, თურქეთში მდებარე მიწა-წყალი).

ისტორიული კლარჯეთის საზღვრები შემდგომ შეიცვალა და ძალზე დაემცრო, აზონისა და ფარნავაზის დროს ის ძალზე ვრცელი მხარე იყო მოი-

ცავდა მთელ ჭოროხის ხეობასა და ასევე „ზღვისპირა კლარჯეთს“, ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე.

კიდევ უფრო სამხრეთით მდებარეობდა ასევე ქართული ტომებით დასახლებული პარიადრეს მთიანეთი, ხორძენა და გოგარენა. ქსენოფონტემ ყველა ამ ზემოთ აღნიშნულ მხარეში გაიარა თავისი ჯარით.

სტრაბონის ცნობით, თავდაპირველად ეს მხარეები, ასევე ქსერქსენა და კარენიტიდა (არზრუმის ოლქი) ქართველებს ეკუთვნოდა. ჩანს, ქართული ტომების ამ მიწა-წყალს მოიცავდა აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიები და ამ მიწა-წყალს ქართული წყაროები „არიან-ქართლს“ უწოდებდა.



ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა, რომ ქართველების ეს ვრცელი ოლქები არმენიის მეფეებმა, არტაქსიამ და ზარიადრემ დაიპყრეს, ამის შემდეგ ამ მიწა-წყალს არმენიის ნაწილი ეწოდა და აქ სომხური სახელმწიფოებრიობა განივრცო, დაიწყო უკვე არმენიაში მცხოვრები მკვიდრი ქართული ტომების არმენიზაცია.

ქართული მიწა-წყლის დაპყრობის ამ მცოცავ პროცესს, ჩანს, არ ურიგდებოდა ქართული მხარე, ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამ მხარეებში ჯერ მეფე ფარნავაზის, შემდგომ კი ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები. ფარნავაზმა ანძიანძორამდე ილაშქრა. ამ მხარეებში ქართული მოსახლეობა ჯერ კიდევ მჭიდროდ ცხოვრობდა, რასაც სტრაბონის ცნობაც მიუთითებს, რომ ამ მხარეების მომცველი ქსერქსენა და კარენიტიდაა.

ქართლის ცხოვრება წერს – „და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხჳ. ხოლო იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისაგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყეუე ქმნნეს. და **წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეციით** შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა.“

ანუ მათი ეს ლაშქრობები განმანთავისუფლებელი ბრძოლის ნაწილი იყო. აქ ილაშქრა მეფე ფარნავაზმა მის შესაყვანად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში და შემდგომში კი ამ იბერიულ მხარეებში ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა მის დასაბრუნებლად.



ქართულ წყაროებში ნახსენები ანძიანძორა არის არა ქალაქი ნაზიანზი, არამედ ანძიტი, ცოპკის ოლქში, სოფენაში, ანუ ე.წ. მე-4 არმენიაში. ესაა ქართული ტომებით დასახლებული მცირე არმანიის მხარეს. ანანია შირაკაცი წერდა, რომ მე-4 არმანია, არზრუმის სამხრეთით მდებარე, მოიცავდა 8 ოლქს, მათ შორის ხორძენას, ბალახოვიტს, ცოპკს, ხანძიტს და სხვა. აქედან შედარებით ახლოს იყო ტიგრანოკერტი. სტრაბონი წერდა, რომ იბერია მოქცეული იყო ზევგმასა და ტიგრანოკერტს შორის. სტრაბონი, რომელიც არმენიის მეფის, ტიგრანის თანამედროვე იყო,წერდა, რომ „ტიგტანმა იბერიასთან ახლოს, ზევგმასთან, ევფრატზე ააგო ქალაქი – „….Тигран близ Иберии, между этим местом и Зевгмой над Евфратом построил город“ (სტრ. 11.14–15).

შესაბამისად ამ უეჭველი წყაროსი, იბერია სტრაბონის დროს ჯერ კიდევ ახლოს მდებარეობდა ქალაქ ტიგრანოკერტთან, ევფრატზე. აქვე მდებარეობდა ქართულ წყაროში დასახელებული ანძიანძორა, ანუ ის ჯერ კიდევ იბერიული მოსახლეობისა ყოფილა სტრაბონის დროს, ამაზე მიუთითებს სტრაბონის მეორე ცნობა, რომლის მიხედვით, ტიგრან დიდის უახლოესმა წინაპარმა, არმენიის მეფე არტაქსიამ იბერებისაგან მიიტაცა ხორძენა. ამ სახელის ოლქს აქვე ასახელებს შემდგომი დროის ისტორიკოსი, ანონიმური სომხური გეოგრაფიის ავტორი მე-7 საუკუნისა და მას ამავე სახელს, ხორძენას უწოდებს. აქ ახლოს იყო ე.წ. მცირე არმენიის, ასევე თავდაპირველად უმეტესად ქართული ტომებით დასახლებული. ამ ტომებს ჩამოთვლის კიდეც სტრაბონი, როცა ის არტაქსიასა და ზარიადრეს მიერ იბერების, მოსინიკებისა და ქალდებისაგან ქართული მიწების მიტაცებაზე საუბრობს. მაშასადამე, ქართული წყაროების ანძიანძორა ჯერ კიდევ იბერებით დასახლებულ სოფენაში ან მიმდებარე ოლქში მდებარეობდა. ამ მხარეებს კიდევ დიდხანს ერქვა იბერია, რაზეც სტრაბონის აღნიშნული ცნობები მიუთითებს. სატარბონის ამ უეჭველი ცნობების ასეთი განმარტება ქართიზაციის თეორიის მოტრფე ისტორიკოსებისათვის ძნელი საკითხია.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრება ახსენებს იმავე ანძიანძორას, ანუ ანძორეთს, სადაც ილაშქრა მეფემ – „წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჯრნა გზასა ქალაქნი სამნი: **ანძორეთი, ეკლეცი და სტერი**“, მსგავსია სხვა ცნობაც – „ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო **ანძიანძორს**, სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა მოძღურისა გრიგოლისი, და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი.“

როგორც აღინიშნა, იბერიული მხარეებს, პარიადრეს მთიანეთს, ხორძენასა და გოგარენას, ჩანს, ეწოდებოდა „არიან-ქართლი“. სტრაბონის ცნობით, ეს იბერიული მხარეები არმენიამ მიიტაცა ძვ. წ. 190 წლისათვის. შემდეგი საუკუნეების მატიანეები აჩვენებს, რომ უკვე არმენიაში შემავალი ამ იბერიული მხარეების უკან დაბრუნება, მათ შორის ქრისტიანულ ეპოქაშიც, სურდათ ქართველ მეფეებს. ამაზე მეტყველებს ფარნავაზის შემდგომ, წმ. ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები ამ მხარეებში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა და ქართველებით (იბერებით) დასახლებული ეს მხარეები ძველებურად კვლავ არმენიის შემადგენლობაში დარჩა.

შესაბამისად, ჯერ კიდევ ადონცი წერდა, რომ „არმენიის იბერიული მხარეები“ ეწოდებოდა არმენიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს. ასეთი შემადგენლობით, არმენია, ანუ ქართული ტომებით დასახლებული არმენია მე-4 საუკუნეში გაქრისტიანდა და ამის გამო არმენიის მკვიდრი ქართველები (იბერები) სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა. მათ ეკლესიებში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა არა ქართულ, არამედ სომხურ ენაზე. ისინი „სომხურენოვანებად“ იწოდებიან „ეპისტოლეთა წიგნში“.

ქრისტიანულ ეპოქაში ამ მხარეების დასავლეთ ნაწილში გააქტიურდნენ ქართული (ჭანურ-ლაზური) წარმოშობის მამიკონიანი ერისთავები, ისინი ტაოს მე-4 საუკუნიდან ფლობდნენ, მაგრამ აქაური ქართველობა აღმოჩნდა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რამაც მამიკონიანების გასომხება

გამოიწვია საუკუნეთა მანძილზე. თუმცა აქაური ქართველობის არმენიზაცია არ იყო ისეთი ღრმა, როგორიც მეზობელი ალბანელებისა, რომელნიც სომხური ეკლესიის მიერ სრულებით გასომხდნენ და საეკლესიო დამოუკიდებლობაც დაკარგეს მე-7 ს-ის ბოლოდან. შაქის ჰერეთის ქართველობაც ამავე ეპოქისათვის უნდა გადასულიყო სომხური ეკლესიის გამგებლობაში, რომელსაც ჩვენი წყარო „მწვალებლობას“ უწოდებს. მხოლოდ წმ. დინარამ დაუბრუნა ჰერეთი ქართული ეკლესიის იურისდიქციას.

მე-6 ს-ის ბოლოდან ტაო და არმენიაში შემავალი სხვა მიმდებარე ქართული ოლქები ბიზანტიის გავლენის სფეროში აღმოჩნდა, დანარჩენი არმენია კი – სპარსეთის იმპერიაში. თუმცა არმენიის ორივე ეს ნაწილი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში დარჩა. იმჟამად ბიზანტიური ტაო იყო ქალკედონურ-სომხურ იურისდიქციაში. ეს გამოიხატებოდა იმით, რომ მე-7 საუკუნეში ტაოელებს, ანუ იბერებს წირვა-ლოცვა სომხურ და არა ქართულ ენაზე ჰქონდათ (მსგავსი ვითარება იყო ალბანეთში, აქ ეთნიკურ ალბანელებს სომხურ ენაზე ჰქონდათ ღვთისმსახურება). ტაოს უმაღლესი იერარქები, ისევე როგორც ზოგადად ტაოელები, ეთნიკური ქართველები იყვნენ, მაგრამ სომხურენოვანი ღვთისმსახურებით. შესაბამისად, სასულიერო სკოლები და განათლების სხვა კერები ასევე სომხურენოვანი იყო. ანუ ტაოში ცხოვრობდნენ ქალკედონიტი, ოღონდ საეკლესიო თვალსაზრისით, სომხურენოვანი ქართველები. ეს ტერმინი „სომხურენოვანი“ რამდენჯერმე გვხვდება ცნობილ წყაროში, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნი“ ეწოდება, ოღონდ გუგარქის ქართველთა მიმართ. ალბანეთის არმენიზაციის სურათის ფონზე უდიდეს გმირად ჩანს ქართლის კათალიკოსი კირიონ I, რომელმაც გაბედა და პოლიტიკური ვითარების გამოყენებით, გუგარქის „სომხურენოვან“ ქართველებს აღუდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა.

ამჟამად სრულიად არსწორად წარმოაჩენენ, თითქოსდა, კირიონმა გუგარქის სომხებს დაუნერგა ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ამ ხერხით „გააქართველა“ ისინი. რატომღაც ამ თეორიის მომხრეებს ავიწყდებათ შექმნილი პოლიტიკური ვითარება. ამ დროს როგორც სპარსეთი, ისე მალევე ხალიფატი სომხურ ეკლესიას და მონოფიზიტობას სრულ უპირატესობას ანიჭებდნენ ბიზანტიური ქალკედონიტური გავლენის აღმოსაფხვრელად. ასეთმა დამოკიდებულებამ მოსპო ალბანური ეკლესია, ხოლო ქართული ეკლესია უკიდურესად დაასუსტა მაშინ, როცა უჩვეულოდ განვითარდა და განმტკიცდა სომხური ეკლესია. დიდი გავლენის გამო ბიზანტიაც დიდ ანგარიშს უწევდა სომხურ ეკლესიას. მაგალითად, ამ პერიოდში ჰერაკლე კეისარმა უნია შეკრა სომხურ ეკლესიასთან, ხოლო ქართულ ეკლესიებში სისხლის მდინარეები დიოდა, მემატიანის სიტყვით.

შესაბამისად, ტაოს ცნობილი ეპისკოპოსი, წმიდა ნესრე იშხნელი, რომელმაც იშხნის ტაძარი ააგო, იყო ტაოელი ეთნიკური ქართველი, ოღონდ სომხურენოვანი, ანუ სომხური ეკლესიის იერარქი, შემდეგ ის ბიზანტიის შემწეობით სომეხთა კათალიკოსი გახდა. ასეთი ვითარება არაა გასაკვირი, რადგანაც, მაგალითად, მსგავსადვე, კირიონ კათალიკოსიც თავისი ეპისკოპო-

სობის დროს სომხური ეკლესიის იერარქი იყო, სირარატის ცენტრალური პროვინციის უმაღლესი იერარქი, სრულებით შესაძლებელია, ის სომეხთა პატრიარქიც გამხდარიყო, ქართლის კათალიკოსის ტახტზე რომ არ მოეწვიათ. ეს შესაძლებელი იყო, რადგანაც ამ პერიოდში სომხურ ეკლესიას ქართველი მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავდა. სწორედ აღნიშნული იბერიული ოლქები პარიადრედან და ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე, ამიტომაც მაგალითად, ბიზანტიის პატრიარქები სომეხთა პატრიარქს „სომხებისა და იბერების“ პირველ იერარქსაც უწოდებდნენ. ეს ფაქტი ასახულია ანტიოქიის პატრიარქის ტიტულატურაშიც. მის იურისდიქციაში შედიოდა ქალკედონური მოსახლეობა ვანის ტბიდან არზრუმამდე, ამიტომაც მას ასევე „იბერების“ პატრიარქის ტიტულიც ჰქონდა. აქ „იბერების“ ქვეშ იგულისხმება აღნიშნული რეგიონის (ვანის ტბიდან არზრუმამდე) იბერიული მოსახლეობა.

სომხეთის იბერიულმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით ტაოში, იბერიული, ანუ ქართული თვითშემეცნება აღიდგინა მხოლოდ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც ტაოს მმართველობა აშოტ კურაპალატის შვილების ხელში მოექცა. ამჟამად დაბეჯითებით წერენ, თითქოსდა, ტაოში ამ დროს ჩასახლდა ქართული მოსახლეობა საქართველოს სხვა მხარეებიდან და ამის წყაროდ მიუთითებენ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. სინამდვილეში კი ამ მოთხრობაში ერთი სიტყვა არაა ნათქვამი ტაოში ქართული მოსახლეობის ჩასახლების შესახებ. ასეთი ლეგენდა ნ. მარმა შეთხზა. სინამდვილეში, უბრალოდ, ტაოს ეთნიკურმა ქართულმა მოსახლეობამ, რომელიც იქამდე სომხური ეკლესიის წევრი იყო, ინება დაბრუნება ქართული ეკლესიის წიაღში, რისკენაც ისინი წააქეზა 726 წლის მანასკერტის სომხური ეკლესიის დადგენილებამ – ანათემებმა ქალკედონიტების მიმართ. ამ სომხურმა კრებამ მოთხოვა სომხეთის მთელ მრევლს უარეყოთ ქალკედონიტობა და დაწყევლა ქალკედონიტური მიდრეკილებები, ეს კი მიუღებელი იყო სომხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისათვის, რომელიც მტკიცე ქალკედონიტობას იცავდა საუკუნეთა მანძილზე, თუმცა სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის წევრი იყო. ამ საეკლესიო დადგენილებამ საბოლოოდ აიძულა ტაოს ქართველი „სომხურენოვანი“ ქართველები დაბრუნებოდნენ ქართული ეკლესიის წიაღს, ანუ გაეწყვიტათ კავშირი მათ მაწყევარ სომხურ ეკლესიასთან. ასეთმა წყევლამ არც კირიონ კათალიკოსის დროს იმუშავა, როცა აბრაამ კათალიკოსმა აკრძალა ქართველებთან კავშირი.

კ. თუმანოვის აზრით, ბაგრატიონები (ბაგრატიდები) შეიძლება იყვნენ ერვანდიდების შთამომავლები. ჩემი აზრით, ერვანდიდები მართავდნენ იმ ქვეყანას, რომელიც მოიცავდა სპარსულ მე-18 და მე-19 სატრაპიებს, რომელნიც ქართული ტომებით იყვნენ დასახლებულნი. თუმცა აქ უკვე შემოდიოდა დიდი ნაკადი სომხებისა მე-13 სატრაპიიდან, რომელსაც „არმენია“ ერქვა. ვფიქრობ, რომ სპარსულ მე-18 და მე-19 სატრაპიებს ერთად ერქვათ ქართული წყაროებიდან ცნობილი სახელი „არიან-ქართლი“. მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალს სომეხი მკვლევრები „ერვანდიდების სამეფოს“ უწოდებენ, ერვანდიდები ეთნიკურ სომხებად მიაჩნიათ, მაშინ, როდესაც ამ ქვეყნის მმართვე-

ლები აქემენიდების მიერ დანიშნული, შესაბამისად, სპარსი სატრაპები იყვნენ. ერვანდიდების დინასტიური სახელი უნდა იყოს ქართული წყაროების მიერ ნახსენები „იარედოსი“ და „იარედი“. ეს სახელები იმითაა საინტერესო, რომ სახელები „ერვანდიდები“ და „იარედი“ იდენტურებია და შესაძლოა მიუთითებდეს, რომ აზონი ერვანდიდების საგვარეულოდან იყო.

აზონის მამას ქართლის ცხოვრება იარედოსს უწოდებს, ხოლო ვახუშტი – იარედს.

იარედოს-იარედი მცხეთაში გადმოსახლებული მეფის ძის აზოს მამა ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებით დასახლებულ აღნიშნულ მე-18 და მე-19 სატრაპიებს ქართულად „არიანის ქართლი“, ანუ აქემენიდური სპარსეთის ქართლი ერქვა. აქემენიდური სპარსეთის ოფიციალური სახელი „არიანა“ იყო, მის აღნიშნულ ქართულ, ანუ მე-18 და მე-19 სატრაპიებს, ალბათ, „არიან-ქართლი“ ერქვა. შესაძლოა, მათი მმართველებიც სპარსული (ბაქტრიული) წარმოშობის ერვანდიდები, ანუ იარედიდები იყვნენ. შესაძლოა, მისი მმართველის, იარედის ძე აზონი ერთ-ერთი შემოსევის გამო გადასახლდა თავისი სამფლობელოს ჩრდილოეთ ნაწილში, მცხეთაში და აქ ჩამოაყალიბა ძვ.წ. მე-4 ს. მცხეთის ქართლის სამეფო. მე-18 ქართულ სატრაპიაში, სხვა ქართულ ტომებთან ერთად, სასპერები სახლობდნენ, ხოლო მე-19-ში – მოსინიკები. ახლა ამ სატრაპიებს არმენიულად თვლიან, ერვანდიდებთან ერთად, თუმცაკი ისინი აქემენიდების მიერ დანიშნული მმართველები იყვნენ.

როგორც აღინიშნა, ბაგრატიდებს კ. თუმანოვი ერვანდიდებთან აკავშირებს. მიჩნეულია, რომ ვარდან დიდი არეველცის სიტყვით, ტაოში დამკვიდრდნენ ფარნავაზიანების შთამომავალი ბაგრატიონები, ისინი ვინმე აშოტ ბრმის (732–748) ოჯახიდან ყოფილან, მათგან წარმოშობილან ქართველი ბაგრატიონები.

საზოგადოდ კი, მისი აზრით, სომხეთის ბაგრატიდები ფარნავაზიანთა შთამომავლები ყოფილან. აშოტ ბრმა → სმბატი → აშოტ მსაკერი (†826), ამან ტაოში ააშენა კალმახის ციხე (კამახი), რომელშიც მისი ოჯახი დამკვიდრდა.

ვარდან არეველცი წერდა – „მოგიყვებით ბაგრატუნების ჩამომავალ სომეხ და ქართველ მეფეთა შესახებ... სმბატ ბაგრატუნი (რომელსაც მოჰყვა აშოტი, ვასაკის ძე) მამიკონიანთა მიერ დაბრმავებული. მას ჰყავდა ორი ძე, სმბატი და ვასაკი – წინაპარები სომეხი და ივერიელი მეფეებისა...“

ის დაუბრმავებიათ მამიკონიანებს. ორი შვილი ჰყოლია, სბმატი და ვასაკი. მათგან წარმოშობილან სომეხი და ქართველი მეფეები

ვასაკს ჰყავდა ძე ატრნერსეხი (ადარნასე), მისგან აშოტი, მისგან ბაგრატი, მის შემდეგ მისი ძმა გორამი, შემდეგ დავითი – ქართველ ბაგრატიოთა წინაპრები.

ასეთნაირად, ვარდან დიდი აჩვენებს, რომ ბაგრატიონების ქართული შტოს დამაარსებელი იყო ვასაკ ბაგრატუნი, ძე არმენიის დიდი ბრმა მთავრისა.

ვარდანი წერს – ისმაიტელთა გამგებელმა აშოტს მისცა ივერათა მიწა ...გარდა ამისა „იმპერატორმა მას კურაპალატის ტიტული გამოუგზავნა“.

აქ იგულისხმება აშოტ I დიდი (809–826) და ასევე ბიზანტიის იმპერატორი ლეონ მე-5 (813–820), რომლისაგანაც აშოტს კურაპალატობა მიუღია.

აშოტი ყოფილა ადარნასეს ძე ← ვასაკის ძე ← სომეხი მთავრის აშოტის ძე.

ივერთა ბაგრატიონების შესახებ ასევე ცნობას იძლევა იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (913–959). მათ უწოდებს დავით წინასწარმეტყველისა და მისი მხევლის შთამომავლებს, ასევე უწოდებს დავითის თესლტომის – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნათესავებს.

ბაგრატიონებს უწოდებდნენ „დავითიან-სოლომონიანებს“, რადგანაც ქართველებს ისინი მიაჩნდათ დავით წინასწარმეტყველის ძის სოლომონ ბრძენის შთამომავლებად.

იმავეს წერს ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტი – „ივერთა კურაპალატები თავიანთ თავს განიდიდებენ და ამბობენ, რომ ისინი წარმოშობილები არიან ურიას ცოლისაგან, მეფე და წინასწარმეტყველ დავითის მხევლისაგან“.

ცნობილია, რომ მეფე დავით წინასწარმეტყველს მოეწონა სახელოვანი მეომრის ურია ხეთელის ცოლი ბერსაბე. ამიტომ მეფემ მოიშორა ურია ხეთელი და საომარ სასაკლაოზე გააგზავნა, მისი სიკვდილის შემდეგ კი, დავით მეფეს ბერსაბესაგან შეეძინა სოლომონი, ისრაელის შემდგომი მეფე.

უფალმა ღმერთმა დავითისა და სოლომონის შთამომავლობიდან ამოირჩია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს დედა. რადგანაც ამავე წარმოშობისა იყვნენ ქართველი ბაგრატიონები, ამიტომაც მათ ღვთისმშობელი თავის ნათესავად მიაჩნდათ.

სუმბატ დავითის ძე წერს – „სოლომონ შვა შჳდნი ძმანი, რომელნი-იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა. და ესენი შჳდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით პილისტიმით, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს. და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიან[ნ]ი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმა მისი, სახელით **საჰაკ, წარვიდა კახეთს** და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს **კამბეჩანს**, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს **კამბეჩანი**, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა. ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა ...ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწევნული ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზვარდს, რომელნი იგი ზემო ვაჴსენენით...ესენი წარმოვიდეს ეკლეცით, რომელნი მონათლნა რაქაელ დედოფალმან, ძმანი შჳდნი ჰურიანი, ტყუეობით მოსრულნი ქუეყანით ფილისტიმით, და ნათელ იღეს ეკლეცს ჴელითა რაქაელ დედოფლისათა. რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ ერთსა

სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატონიანთა, ერთსა აბგავარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და ორნი მათგანნი ამზახნა სომხითის მეფეთა. ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაჴსენეთ და გუარამ განაჩინეს ერისთავად და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას. ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი...და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი, რომელმან **გარდაბანელნი** მოაქცივნა. და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი. ხოლო აშოტ კურაპალატი **მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა.** და მაშინ გაძლიერდა ჴელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად ... და მოიწივნეს ჴევსა შავშეთისასა....მათ მკჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაემკჳდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჴელმწიფა იგი **შავშეთ-კლარჯეთსა** ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოჴერი აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჴელმწიფება მისი **ნებითა ბერძენთა მეფისათა**...და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე **კარადმდე ბარდავის ქალაქისა.** და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“.

სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“(1955).

მაშასადამე, ქართული და ბიზანტიური წყაროები არ მიიჩნევდნენ ქართველ ბაგარატიონებს სომეხი ბაგარატუნებისაგან წამოშობილად, არამედ, მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტი აღწერდა, რომ მისი დროის ქართველი ბაგარტიონები თავიანთ წარმოშობას დავით წინასწარმეტყველთან აკავშირებდნენ.

აშოტ დიდის შუათანა ვაჟი, ბაგრატ I კურაპალატი, იქცა ტაოს ქართული, ანუ იბერიული სამეფოს ფუძემდებლად, რადგანაც მხოლოდ მისი შთამომავლები ატარებდნენ ტაოს, ანუ ქართველთა მეფის სახელს. შესაძლოა ამის მიზეზი იყო მისი მეუღლის მზითვი-მემკვიდრეობა, რომელიც ამ ქალმა მიიღო თავისი მამისაგან, სმბატ მე-8 ბაგრატუნისაგან.

სმბატ მე-8 ბაგრატუნი იყო მფლობელი იმჟამად არმენიაში შემავალი ტაოს მიწა-წყლისა, იმ დროისთავის ტაოს ასევე ერქვა „ივერია“, ანუ „ქართველთა ქვეყანა“. ისტორიულად, ტაოს მკვიდრი იყო ის ქართული მოსახლეობა, რომელთა მიწა-წყალი ჯერ კიდევ სომხეთის მეფეების, არტაქსიასა და ზარიადრეს დროს მოექცა არმენიის საზღვრებში, ამ მიწა-წყალს სტრაბონი

კარენიტიდას უწოდებს, ქსენოფონტეს დროს ის ტაოხებით იყო დასახლებული, სტარბონის დროს მათ უკვე ქალდები ერქვათ.

მოსინიკების ქსერქსენა და ქალდების კარენოტიტა არმენიელ მეფეებს მიუტაცნიათ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 190 წლისათვის. ამის შემდეგ დაიწყო აქაური მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია, მაგრამ წყვეტილებით, რადგანაც მის ჩრდილოეთით მდებარე მცხეთის იბერიის სახელმწიფო საკმაოდ ხშირად უკანვე იბრუნებდა ამ მხარეებს, ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით.

არმენიის სხვა მრავალ, მით უმეტეს, ჩრდილოეთ მხარეებში უამრავი მკვიდრი იბერი ცხოვრობდა, ყოფილ ხორძენასა და გოგარენაში. თუ არა არმენიის მკვიდრი ივერიელების მხარდაჭერა, მცხეთის იბერია 1 და მე-2 საუკუნეებში ვერ შეძლებდა არმენიის სამეფო ტახტის თავის ხელში მოქცევას და მასზე იბერიელი უფლისწულების დასმას.არაბების შემოსევის დროისათვის არმენიის იბერია, კერძოდ ტაო, როგორც ითქვა, სომეხი მეფე-მთავრების ხელქვეშ იყო, ერთი ასეთი იყო აღნიშნული სმბატ მე-8 ბაგრატუნი.

ამ ეპოქაში, მე-8 საუკუნის დასაწყისში, ისევე, როგორც ზოგადად წინა საუკუნეებში, სომხეთის, ანუ ისტორიული არმენიის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, სადაც ერისმთავრობდნენ ბაგრატიონები, აღნიშნული ადარნასეს წინაპრები, დასახლებული იყო იმ იბერიელებით, ქალდებითა და სხვა ქართული ტომებით, რომელნიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობდნენ – პარიადრეს მთიანეთში, ხორძენასა და გოგარენაში. ამ ისტორიულმა ქართულმა მხარეებმა პირველ ათასწლეულში შეადგინა არმენიის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები. ესაა სტრაბონის ცნობის ანალიზი. სტრაბონის ცნობით, ძვ.წ მე-2 საუკუნემდე იბერებს ჯერ კიდევ ეკუთვნოდა პარიადრეს მთიანეთი აღნიშნულ ხორძენა-გოგარენასთან ერთად, მაგრამ ეს ქართული ოლქები კარენიტიდასთან ერთად ძვ. წ.190 წლისათვის მიუტაცნიათ არმენიის მეფეებს – არტაქსიასა და ზარიადრეს.

შემდეგ, რაც სტრაბონის ცნობით, ქართველთა ისტორიული მიწა-წყალი (კარენიტიდა, პარიადრე, ხორძენა და გოგარენა) მიიტაცა არმენიამ, დაიწყო უკვე არმენიის ნაწილად ქცეულ იქაური ქართველების არმენიზაცია. ეს არმენიზაცია ქართველებისა შეწყდა მე-8 საუკუნის შუა წლებიდან, ოღონდ არა არმენიის მიერ დაპყრობილი იბერების ყველა ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ ტაოსა და მიმდებარე ოლქებში მას შემდეგ, რაც ტაოს ბაგრატიონი მთავრები დაეუფლნენ.

აღსანიშნავია, რომ, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ადარნასე და მისი შთამომავლები დაეუფლნენ ტაოს, იმჟამად არმენიისაგან მიტაცებულს, დაიწყო იქაური მკვიდრი ქართველების ეროვნული გამოფხიზლების, ანუ არმენიის იბერთა შორის ქართული იდენტობის აღიარება-განმტკიცების დიდი პროცესი.

რასაც არმენიის იბერებმა მიაღწიეს მართლმადიდებელი სარწმუნოების მტკიცე აღიარებით იმ ფონზე, როცა მანასკერტის 726 წლის სომხეთის საეკლესიო კრების შემდეგ ეთნიკური სომხები დაავალდებულეს მტკიცედ დაეჭირათ მხარი მონოფიზიტობისათვის.

ჰერეთისა და ხაჩენის უმართებულო გაიგივება

ჰერეთსა და ხაჩენის სამთავროს ერთმანეთთან გაიგივება მცდარი შეხედულებაა, რომელიც ამჟამადაა ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიღებული, კერძოდ ხაჩენის სამთავროს – ჰერეთს უწოდებენ, რადგანაც ხაჩენის მთავრებს – ჰერეთის მეფეებს უწოდებენ.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ჰერები ქართულ (ქართველურ) ენოვანი ტომი იყო, რომელიც ისტორიული ალბანეთის მიწა-წყალზე ცხოვრობდა, ალბანეთის დასავლეთ ნაწილში და მისი საზღვარი იბერიასთან, ანუ ქართულ სახელმწიფოებრივ სამყაროსთან გადიოდა არა თელავთან, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ მდინარე ალიჯანჩაიზე, ანდა იქვე გამავალ მდინარე აგრიჩაიზე (გიშისწყალზე). როგორც აღინიშნა, ამ საკითხის კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ნაშრომისათვის.

მაშასადამე, ჰერები იყვენენ არა ალბანელები, არამედ ქართველები, ოღონდ ალბანეთში მცხოვრები, მათი ისტორიული სამშობლო იყო ამჟამინდელი შაქის რეგიონი, ვართაშენის (გაბალასა) და მიმდებარე მიწა-წყალთან ერთად, როგორც მრავალჯერ ითქვა. მხოლოდ მე-9 საუკუნიდან შეიცვალა ჰერეთის საზღვრები და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ კახეთის მიწა-წყალი აღნიშნული მდინარეებიდან (ალჯანჩაიდან და გიშისწყლიდან) ვიდრე გავაზამდე და ილტომდე.

ჩვენი კვლევით ასეთია ისტორიული ჰერეთის პოლიტიკური მდინარება და არა ის, რაც ამჟამადაა აღიარებული, როცა ჰერეთად გვისახავენ ხაჩენის სამთავროს, მის შემადგენლობაში კი შეჰყავთ თელავი და ბოდბეც კი დავითგარეჯთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ ჰერეთის სამეფოსთან დაკავშირებით სრული განსხვავებაა საერთაშორისოდ აღიარებულ კვლევებსა და ოფიციალურ ქართულ ნაშრომებს შორის. რაც კარგად ჩანს საინტერნეტო გვერდებიდან, მაგალითად, ქართულ ინტერნეტგვერდზე *„ჰერეთის სამეფო“,*
https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის_სამეფო

ნათქვამია, რომ ჰერეთის სამეფო იყო ქართული ფეოდალური სახელმწიფო, იქვე ჩამოთვლილია მისი მეფეები, პირველი მათ შორის საჰლ სმბატიანი და მისი შვილები მაშინ, როცა ისინი (ანუ საჰლ სმბატიანი და მისი შთამომავლები) უცხოური კვლევების თანახმად,იყვნენ არცახისა და რანის მეფეები, თუმცა ისინი მართავდნენ შაქსაც, მათ მიიჩნევიან ეთნიკური სომხებად.

საერთოდ კი, ისინი იყვნენ არა მხოლოდ შაქის, არამედ ვრცელი სომხური სამეფოს მეთაურები, ამიტომაც ამ სამეფოს ქართულს ვერ ვუწოდებთ და არც ერქვა ამ გაერთიანებულ სამეფოს სახელი „ჰერეთი“. მას ან არცახს, ანდა ხაჩენს უწოდებენ.

ამიტომ შეცდომაა ქართულ ინტერნეტგვერდზე ნათქვამი –

„ჰერეთის სამეფო – ქართული ფეოდალური სახელმწიფო (IX საუკუნის დასასრული – XI საუკუნის დასაწყისი). მისი დამაარსებელია გრიგოლ ჰამამი, რომელმაც, მოსე კალანკატუელის ცნობით, 893 წ. მეფის ტიტული მიიღო. IX-X

საუკუნეებში კახეთის სამთავროს მეზობლად არსებული ჰერეთის სახელმწიფოს ქართულ და უცხოურ წყაროებში ეწოდება „შაქი“, „კამბეჩანი“. ის აგრეთვე მოიხსენიება სახელწოდებით „რანი“, „ალბანეთი“. https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის სამეფო. 19.07.2021.

გრიგოლ ჰამამი, რომელსაც არასწორად უწოდებენ „ჰერეთის ქართული სამეფოს დამაარსებელს“, სინამდვილეში იყო სომეხი პოეტი და სომეხი სახელმწიფო მოღვაწე, რადგანაც მისი სამეფო, უფრო ზუსტად სამთავრო, ოფიციალურად იწოდება არა ჰერეთად, არამედ არცახ-ხაჩენად.

გრიგოლ ჰამამის სამთავრო ქართული ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის გარდა მოიცავდა რანსა და ყარაბაღს.

ამ სიმართლის აღიარება უჭირს ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსსაც საზიანოდ ჩვენი ისტორიული წარსულისა.

რაც გრიგოლ ჰამამმა თავის სახელმწიფო დაშალა და გადაუნაწილა თავის შვილებს, მხოლოდ ამის შემდეგ ქართულენოვანი ჰერებით დასახ-ლებული შაქის ოლქი გიშისწყლიდან აღსუმდე (დაპყრობილ სამხრეთ კახეთ-თან ერთად) სამართავად გადაეცა მის ერთ-ერთ შვილს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო შაქის ჰერეთის ქართველობამ ეფიქრა და ეზრუნა ქართული იდენტობის აღორძინებისათვის, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ დედაქარ-თულ ეკლესიაში დაბრუნების, ანუ მართლმადიდებლობის აღორძინების გზით. ამ მოძრაობის სათავეში იდგა წმიდა დედოფალი ჰერეთისა ,დინარა. ამ მიზეზის გამო უნდა დაიწყოს ჰერეთის ქართული სამეფოს, ანუ შაქის ჰერეთის ქართული სამეფოს ისტორია.

ხაჩენის მთავარი გრიგოლ ჰამამი მე-9 ს. მეორე ნახევარში იყო არა ჰერეთის მეფე, როგორც არასწორად მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ, როგორც აღინიშნა, ხაჩენის სამთავროს უზენაესი ხელისუფალი. ეს სამთავრო დიდი პოლიტიკური ერთეული იყო. მისი მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო ჰერეთი, ანუ შაქის ოლქი. ეს სამთავრო მოიცავდა არცახს, შაქის ჰერეთს, კამბეჩანს და რანს, ამიტომ მას „გაუქმებული ალბანეთის სამეფოს აღმდგე-ნელსაც“ უწოდებდნენ (ეს სამეფო მას მცირე ხნით აღუდგენია).

გრიგოლ ჰამამი გარდაიცვალა 890-იან წლებში. მას ჰყავდა 5 ვაჟი და შვილებს შორის ომი დაიწყო მემკვიდრეობისათვის, საბოლოოდ, მათ მამის ქვეყანა ერთმანეთს შორის დაინაწილეს.

უფროსი ვაჟი აბული მოკლა მისივე ძმამ სმბატმა და დაიკავა ხაჩენის ქვემო ნაწილი განძასარის ირგვლივ, ზემო ხაჩენს კი ვასაკი დაეუფლა.

ძმათაგან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მომდევნო ატრნერსეხი (ადარნასე II), რომელსაც ერგო ჩვენთვის საინტერესო ოლქი – შაქის ჰერეთი და კამბეჩანი.

მასზე წერს არაბი ავტორი მასუდი, რომელიც პირადად იმყოფებოდა ამ დროს შაქში, რომ „როდესაც ამ წიგნს ვადგენ, შაქელების მეფეა ადერნესე-იბნ-ხამიმი“.

ადარნასე – გრიგოლ ჰამამის ძე, როგორც ითქვა, 910 წელს გახდა შაქი-კამბეჩანის მეფე.

სწორედ აქედან, ანუ 910 წლიდან უნდა დავიწყოთ ჰერეთის სამეფოს ისტორია. მის მეფეს, როგორც აღინიშნა, „შაქი-კამბეჩანის მეფეს“ უწოდებ-დნენ, ტემინ „ჰერეთს“ თვით მასუდიც კი არ ახსენებს, რომელიც პირადად იმყოფებოდა ამ ოლქში, და მის მმართველს „შაქელების მეფეს“ უწოდებდა. სახელი ჰერეთი და ჰერები მხოლოდ ქართული სამყაროსათვის იყო ცნობილი, მაგრამ ეს სახელი მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც იცოდნენ, რომ ჰერები ქართული ტომი იყო შაქის ოლქის მხარეს მცხოვრები, ეს ოლქი კი ზოგჯერ ისტორიული ალბანეთის ნაწილს შეადგენდა, უფრო მეტად კი ქართ-ლის სამეფოში შედიოდა.

აღნიშნულის გამო ჩვენ ჰერეთის სამეფოს ისტორია უნდა დავიწყოთ არა საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანიდან, ადარნასე I-დან, ანდა გრიგოლ ჰამამიდან, რომელნიც სინამდვილეში რან-ხაჩენის მმართველები იყვნენ, არამედ ადარ-ნასე II-დან.

სწორედ ადარნასე II-მ, თავისი გამეფებით, რეალურად მოახერხა აღდ-გენა შაქის ჰერეთის სუვერენიტეტისა იმით, რომ ის გაათავისუფლა რან-ხაჩენის სამთავროს მმართველებისაგან.

საქმე ისაა, რომ შაქის ჰერეთის მოსახლეობა სულ სხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოდგენდა და მას თავისი ნაციონალური ინტერესები გააჩნდა.

ხაჩენი ძირითადად სომხებით, ანდა არმენიზებული ალბანელებით იყო დასახლებული. რანის მოსახლეობას, ჩანს, ჯერ კიდევ გააჩნდა ალბანური თვითშემეცნება, თუმცა არმენიზაციის მძაფრი პროცესის ქვეშ იმყოფებოდა, მათგან სრულებით განსხვავდებოდა შაქის ოლქის მოსახლეობა, ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები, რომელნიც დიდხანს შედიოდნენ ალბანეთის შემად-გენლობაში, წმ. დინარას ეპოქაში კი მათ სომეხი – გრიგორიანი მთავრები მართავდნენ.

ასეთი ეთნიკური ფონის გამო შეძლო წმ. დინარა დედოფალმა წარმა-ტების მიღწევა. ხალხმა, რომლის დედოფალიც ის იყო, ანუ შაქის ჰერეთის მოსახლეობამ, მის ეპოქაში მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შაქის ოლქი სამეფოდ ჩამოყალიბდა.

ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი მეორე არანაკლებ მნიშვნე-ლოვანი რეფორმის განსახორციელებლად. როგორც აღინიშნა, შაქის ჰერეთის მოსახლეობის, ანუ ადგილობრივი ქართველების, საუკუნოვანი ოცნება იყო დაბრუნებოდნენ მართლმადიდელობას, ანუ დედა ქართული ეკლესიის წიაღს, რადგანაც იქამდე სომხურ-მონოფიზიტური, ანუ „მწვალებელთა“, როგორც მემატიანე წერს,უღელქვეშ იმყოფებოდა. ეს რეფორმა, ანუ ხალხის ნატვრა განახორციელა შაქის მეფე ადარნასე II-ის მეუღლემ წმ. დინარა დედოფალმა, რომელმაც მწვალებლობისაგან იხსნა თავისი ხალხი.

შაქის ჰერეთი შედარებით ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. ამის მიზეზია ის, რომ არაბთაგან ძალზე ნაკლებად დაზარალდა მეზობელ კახეთ-თან შედარებით. იმ დროს, როდესაც, მაგალითად, კახეთის სამთავრო და საქორეპისკოპოსო საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა არაბებთან, შაქის მმართ-ველები მათთან თანამშრომლობდნენ .როგორც ითქვა, საჰლ სმბატიანს (რან-

ხაჩენ-შაქ-კამბეჩანის მმართველს) თვით ხალიფა დიდად აფასებდა, მიანიჭა ბატრაკის, ანუ მეფის ტიტული, ჯილდოდ გადასცა 1 მილიონი დირჰემი და სხვა. მის დროს ამ მისმა გაძლიერებულმა სამთავრომ არაბთა ჯარის (ხალილ ისიდის ძის) ხელშეწყობით შეძლო სამხრეთ კახეთის დაპყრობა გიშისწყალ-ალიჯანჩაიდან გავაზ-ილტოს ხაზამდე. ამიტომაც ადარნასე II-საც გაუჩნადა სურვილი, რომ სამხრეთ კახეთი შაქის ჰერეთის ხელქვეშ ყოფილიყო, რისთვისაც ის 915 წელს ებრძოდა სამხრეთ კახეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ კახეთის ქორეპისკოპოსს კვირიკე I-ს (892–918) და აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-ს.

მათ გაათავისუფლეს იქამდე ჰერეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის ნაწილი – არიში (მთისძირი), გავაზი (ახალსოფელი) და ორჭობი. თუმცა ადარნასემ დაიბრუნა ეს მიწა-წყალი. სამხრეთ კახეთი ერთხანს კვლავ შაქის ჰერეთის შემადგენლობაში დარჩა აღნიშნული ალიჯანჩაიდან ვიდრე გავაზამდე. მისი გათავისუფლება მალევე შეძლო ბაგრატ III-მ.

მტკიცება, რომ ჰერეთს ასევე ალბანეთი ეწოდებოდა ფართოდაა გავრცელებული.

ქვემოთ ნაჩვენებ ოფიციალურ რუკაზე ბოდბე და საინგილო ჰერეთში, ანუ „ალბანეთში“ შედის, რაც უზუსტობაა, ვინაიდან ალბანეთს ამჟამად სხვაგვარი დატვირთვა აქვს მინიჭებული.

ჩვენ ქვემოთ მოგვყავს ქართული და უცხოური ცხრილები ერთი და იგივე ქვეყნის, კერძოდ კი, ჰერეთის მმართველების შესახებ, რომლებიდანაც ნათლად ჩანს მათ შორის არსებითი განსხვავება.

მაგალითად, თუკი ზოგიერთ მმართველს ქართული ცხრილი უწოდებს „ჰერეთის მეფეს“, უცხოური ცხრილებით მათ ხაჩენის, ანდა არცახის მთავრები ეწოდებათ.

აქედან ჩანს, რომ ქართული ისტორიოგრაფია შეცდომით ხაჩენსა და არცახს, რანთან და შაქთან ერთად ჰერეთად მიიჩნევს, თუმცა, ამავე დროს, ის ჰერეთს უწოდებს კახეთის ისტორიულ მიწა-წყალს ვიდრე თელავამდე და თელავის, ბოდბისა და დავითგარეჯის ჩათვლითაც.

ჰერეთის მეფეები		
სახელი	**მეფობის წლები**	**ტიტული**
	მეფე	
სუმბატი	787?–815? წწ.	შაქი-ჰერეთის მთავარი
საჰლ იბნ -სუნბატ-ალ-არმანი	815–854; 822-დან.	შაქი-ჰერეთის მთავარი; „რანის ერისმთავარი“
ადარნერსე I	856–865 წწ.	ზემო **ხაჩენის** მთავარი
გრიგოლჰამამი	865–897; 893-დან	ზემო **ხაჩენის** მთავარი; „რანის მეფე“
ადარნასე II	897–943 წწ.	ჰერეთის მეფე
იშხანიკი	943–960-იანი წწ.	ჰერეთის მეფე
იოანე სენექერიმი	960-იანი–990-იანი; 958-დან.	ჰერეთის მეფე; „რანის მეფე“
დინარა	990-იანი–1010 წწ.	ჰერეთის მეფე
კვირიკე III	1014–1037 წწ.	კახეთ-ჰერეთის მეფე

https://ka.wikipedia.org/wiki/ კახეთ-ჰერეთის სამეფო

სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა საერთაშორისო კვლევები, რაც ასახულია რუსულ გვერდზე, კერძოდ, საჰლ სმბატიანი (საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი) **იყო არა ჰერეთის მეფე, როგორც ქართული საიტები მიიჩნევენ, არამედ ხაჩენის (მთიანი ყარაბაღის) მთავარი.**

https://ru.wikipedia.org/wiki/Хаченское княжество

Список князей Хачена

Сахл Смбатян (ум. после 855)

Ованнес

Атрнерсех (ум. после 870)

Григор-Амам

Смбат

Брат Смбата Саак Севада был князем Гардмана

Григор Великий

Брат Григора Ованес-Сенекерим на севере Арцаха основывает Парисоское княжество

Сенекерим

Григор (XI век)

https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское – царствою

Название владетеля	Период правления	Указывается как «царь Шеки», или «владетеля Шеки»	Указывается как «царь Албании»	Указывается как «царь или князь Эрети»	Указывается как «царь Кахетии»
Аноним	Во время правления халифы Османа (644–656)	Ал-Белазури			
Аноним	Во время правления католикоса Кавказской Албании Давида (824–852).	«История страны Алуанк»			
Сахл ибн Смбат	821–854	Товма Арцруни	«История страны Алуанк»; Ал-Белазури		
Григор-Амам	с 2-я пол. IX века		«История страны Алуанк»; Степанос Таронеци; Степано с Орбелян	надпись церкви в с. Ередви	
Артнерсе, сын Григора-Амама	910–до середины X в.	аль-Масуди	Ованес Драсханакертци	«Картлис цховреба»	
Ишханик — Абу аб дул-Малик, сын Артнерсе, внук Григора-Амама		Ибн-Хаукаль	Степанос Орбелян; Константин Порфирородный; Анания Мокаци		
Абулал	1010			«Картлис цховреба»	
Квирике Великий	1014–1039	Самуел Анеци	Вардан Аревелци		«Картлис цховреба»
Гагики (из династии Кюрикян)	1039–1058				«Картлис цховреба»

Агсартан I	1058–1084				«Картлис цховреба»
Квирике IV	1084–1102				«Картлис цховреба»
Агсартан II (Ахистан, также Ахсартан)	1102–1105	Садр ад-Дин Али ал-Хусайни; Мунеджим баши			«Картлис цховреба»
Григолисдзе Асат и Шот	? –1117	«Картлис цховреба»			

https://ru.wikipedia.org/wiki/Шекинское_царство

არასწორია ქართული კვლევა, რომ ჰერეთი იყო –

*„ქართული ფეოდალური სახელმწიფო, მისი დამაარსებელია **გრიგოლ ჰამამი**, რომელმაც, **მოსე კალანკატუელის** ცნობით, 893 მეფის ტიტული მიიღო“. https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთის_სამეფო*

ქართველ მეცნიერთა ასეთი მტკიცება, რომ თითქოსდა, გრიგოლ ჰამამი იყო „ქართული სახელმწიფოს – ჰერეთის დამაარსებელი“, არის გაუგებრობა, რადგანაც ქართველი ისტორიკოსებისათვის ჰერეთი ერქვა ქვეყანას თელვის ქვემოთ, მაგრამ გრიგოლ ჰამამი რეალურად მართავდა ხაჩენს, სომხურ სახელმწიფოებრივ ერთეულს შაქთან ერთად.

ამ გაუგებრობის ახსნა შეიძლება ჩემი იმ თეორიით, რომელიც უკვე გადმოვეცით – კერძოდ, შაქის ოლქში, სადაც ქართული ტომი ჰერები ცხოვრობდა (შაქიდან აღსუმდე) მე-9 ს-ში მეფობა თავის ხელში აიღო საჰლ-იბნ სუნბატ ალ არმანმა, იგივე საჰლ სმბატიანმა. მისი სახელი „ალ-არმანიც“ მიუთითებს, რომ მას არაბები სომხად მიიჩნევდნენ, ის ამავე დროს, იყო რანისა და არცახის მმართველი, ანუ მის ხელში იყო დიდი სახელმწიფო მტკვრის ორივე ნაპირზე. მისი სახელმწიფო არ იყო **„ქართული ფეოდალური სახელმწიფო“**, როგორც მას უწოდებენ ქართველი ისტორიკოსები, პირიქით, ჩვენი აზრით, მან დაარღვია კახეთის საზღვარი, შეიჭრა სამხრეთ კახეთში და დაიპყრო ის ვიდრე გავაზამდე არაბთა შემწეობით. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მისი შვილების და შვილიშვილების დროსაც. მისგან დაპყრობილი მიწების გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები, ვიდრე საბოლოოდ საქართველოს მეფე ბაგრატ III არ ჩაერია ამ საქმეში, ხოლო დავით აღმაშენებელმა გიშისწყლიდან აღსუმდე მცხოვრები ჰერებიც გაათავისუფლა და შემოიყვანა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

მხოლოდ გრიგორ ჰამამის შვილების დროს შეიცვალა კარდინალურად ვითარება, მას შემდეგ, რაც მან თავისი დიდი სამეფო შვილებს გაუყო.

არცახი და რანი სხვა შვილებს ერგო სამართავად, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ხოლო ჰერეთი სამართავად ერგო მესამე შვილს ადარნასე II-ს. მისი მეუღლის ღვაწლით ისტორიული ჰერეთის ხალხი, მცხოვრები შაქის ოლქსა და ტერიტორიაზე გიშისწყლიდან აღსუმდე, დაუბ-

რუნდა ქალკედონიტური, ანუ დედაქართული ეკლესის წიაღს. საქმე ისაა, რომ ადრეც ისინი ქალკედონიტები იყვნენ.

როგორც ითქვა, ჰერეთის ხალხი, აღნიშნულ ფარგლებში, ალბანეთში ცხოვრობდა, მაგრამ ის ქართულენოვანი ტომი იყო, ალბანეთში მცხოვრებ სხვადასხვაენოვანი 26 ტომიდან ერთ-ერთი.

როდესაც მე-7ს-დან ალბანური ტომები VIII-X საუკუნეებში თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან და დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, მხოლოდ ჰერებმა შეძლეს ქართული თვითშემეცნების შენარჩუნება, თუმცა უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ.

საქმე ის იყო, რომ მათზე გაბატონდა შაქის მმართველი, სომეხი დიდებული საჰლ იბნ სუმბატ ალ არმანი ანუ საჰლ სმბატიანი, ის გააძლიერეს არაბებმა, მიანიჭეს მეფის ტიტული და მის სამეფოში შედიოდა ასევე რანი, არცახთან ერთად.

ამ სამეფოში სახელმწიფო ეკლესია სომხურ-მონოფიზიტური იყო. იმჟამად აღნიშნული ოლქებიდან მხოლოდ ჰერეთში ცხოვრობდა ქართულენოვანი მოსახლეობა (როგორც ითქვა, შაქის ოლქში, გიშისწყლიდან აღსუმდე), ოღონდ ისინი იძულებულნი იყვნენ, სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის უღელქვეშ ყოფილიყვნენ, რადგანაც მათი ქვეყნის ხელმწიფეები სომხურ რელიგიას აღიარებდნენ.

ჰერების ქართულენოვნება გამოჩნდა მხოლოდ დინარა დედოფლის მმართველობის დროს.

დინარა დედოფლის ქალკედონურმა სარწმუნოებამ ჰერეთის ქართულენოვან მოსხალეობას მისცა სტიმული ვულკანის ამოფრქვევის მსგავსად სწრაფად აღედგინათ საეკლესიო ქართულენოვნება, ანუ ჰერები, ამჟამინდელი შაქის, კაბალას და მიმდებარე რაიონების მცხოვრებნი დაუბრუნდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს, რომელშიც იმყოფებოდნენ მეფე მირიანის ეპოქაში და დიდხანს მის შემდეგაც. ამ რაიონების მცხოვრებთ არაბი ისტორიკოსი ალ-მასუდიც ქრისტიანებს უწოდებს. ის წერს –

„სანარიის სამეფოსთან ახლოს ცხორობენ შექელები, ქრისტიანი ხალხი, მათ შორის მრავალი მუსულმანი ვაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს, შაქელების მეფე, მასუდის ამ წიგნის შედგენის დროს არის ადერნერსე ჰამამის ძე (Адернерсэ-ибн-Хамам), მის შემდეგ არის კილხის სამეფო (კაბალა), მისი დედაქალაქი დასახლებულია მუსულმანებით, მის ირგვლივ სოფლები ქრისტიანებითაა დასახლებული, მათ მეფეს ეწოდება ანბასა (Анбаса Кривой), ეს სამეფო არის ყაჩაღების, ქურდებისა და მაწანწალების თავშესაფარი. http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/Karaulov/text8.htm

(ჩემი შენიშვნა – მასუდი „კილხის სამეფოს“ უწოდებს კაბალას სამეფოს, მის მეფეს ანბასა ალ-ავარს, უწოდებდნენ „ცალთვალას“, В конце IX-начале X в. к северу от реки Куры, наряду с Шеки и Ширваном, возникает Кабалинское феодальное владение. **Его правителем в эту пору был Анбаса ал-Авар по прозвищу Анбаса Кривой или Одноглазый Лев**. Как следует из источников X в.,

Кабала была городом «полным жизни и благосостояния». Границы Кабалы были укреплены крепостями.
(https://www.baku.ru/blg-list.php?id=67262&cmm_id=939).

მაშასადამე, მასუდი კილხის სამეფოს ასახელებს შაქის სამეფოს მეზობლად, მის (ანუ კილხის მეფეს) მასუდი უწოდებდა „Анбаса Кривой“ -ის.

აღმოჩნდა, რომ ეს სახელი **Анбаса ал-Авар по прозвищу Анбаса Кривой ეწოდებოდა შაქის მეზობელი კაბალას სამეფოს მეფეს.**

მაშასადამე, დინარა დედოფლის დროს შაქისა და კაბალას ოლქების ძირითადი მოსახლეობა, ანუ ჰერები იყვნენ ქრისტიანები (шекины, племя христианского вероисповедания...деревни и села вокруг нее населены христианами. Царь их в настоящее время называется Анбаса Кривой),

აი, ეს ქრისტიანი ხალხი გამოიხსნა წმიდა დინარა დედოფალმა სომხური საეკლესიო უღლისაგან და დაუბრუნა ქართულენოვანი ეკლესიის წიაღს. ეს მოხდა დინარასა და მისი შვილის მმართველობის წლებში, პროცესი სწრაფი აღმოჩნდა, რადგანაც ეს იყო მოსახლეობის მისწრაფება, დაბრუნებოდა მშობლიურენოვან ქართულ ეკლესიას. სახალხო ნატვრა აღასრულა დინარა დედოფალმა.

აქაური მოსახლეობის ქართველობას ადასტურებს მათი დნმ-ის ჰაპლოჯგუფი, რომელიც ისეთივეა, როგორიც ქართველების უმრავლესობისა, ისინი (შაქელები, გაბალელები და სხვ.) არიან იქაური მკვიდრი გამუსლიმანებული ქართველები, ჰერები, რომელნიც ალბანეთის ყოფილი სამეფოს დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ.

ჩემი მტკიცებით, რომელიც მრავალჯერაა გამეორებული, ჰერები იყვნენ ეთნიკური ქართველები, რომელნიც ცხოვრობდნენ ალბანეთის დასავლეთ ნაწილში, თანამედროვე შექის, ოგუზისა და გაბალას რაიონებში.

რამდენიმე წლის წინ საეკლესიო თვენში გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც მოკლედაა აღწერილი წმ. დინარას ღვაწლი, და ამასთანავე, ამ სტატიაში პირველად დაუკავშირდა ერთმანეთს ჰერეთის დედოფალი დინარასა და რუსულ წყაროებში მოხსნიებული ივერიის დედოფალ დინარას სახელები: „წმიდა დინარა დედოფალი. რუსულ საეკლესიო მატიანეებს დაცული აქვთ ცნობები „ივერიის დედოფალ დინარას“ შესახებ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე. მეცნიერები დიდხანს დაობდნენ, თუ საქართველოს რომელ ისტორიულ პირს გულისხმობდა რუსული საეკლესიო გადმოცემა. ფიქრობდნენ, რომ წყაროები გულისხმობდნენ წმიდა მეფე თამარს, მაგრამ ცნობები თამარამდელ პერიოდს მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ დაცული აქვს ცნობა ჰერეთის დედოფალ დინარას შესახებ, რომელმაც თავის შვილ იშხანიკთან ერთად ჰერეთის, ანუ ალბანეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობას აღუდგინა მართლმადიდებლური სარწმუნოება და იხსნა ისინი მწვალებელ-მონოფიზიტთა საეკლესიო უღლისაგან X საუკუნეში.

ჰერეთის, ანუ ალბანეთის უდიდესი ნაწილი ძველთაგანვე დასახლებული იყო ქართველური ტომებით, ამიტომაც ძველი წყაროები მასაც ივერიას

უწოდებდნენ, შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე გადაშლილი ქვეყნის (ივერიის) ნაწილად მიიჩნევდნენ. სლავურ-რუსული მეომარი ტომები, რომლებიც მოსე კალანკატუელის თანახმად, ზოგჯერ ლაშქრავდნენ სამხრეთის მხარეებს და ამიერკავკასიაში შემოდიოდნენ კასპიის, ანუ დარუბანდის კარით, ხვდებოდნენ ივერიელ (ჰერ) მოსახლეობას, ამიტომაც, როგორც ჩანს, ჰერთა ანუ ივერიელთა დედოფალ დინარას შესახებ ცნობებიც მათ გაიტანეს რუსეთში. მართლაც, ქართული ეკლესია დიდ პატივს მიაგებდა წმიდა დედოფალ დინარას. თუ არა მისი თავგამოდებული ღვაწლი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა შეემატებოდა – მონოფიზიტთა რიგებს, რომელნიც აქ გაბატონებულნი იყვნენ სპარსელთა ხელშეწყობით“.

წმ. დინარა I ბაგრატიონი

წმინდა დინარა დედოფალი – კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის, ადარნასე II-ის (†896) ასული, მისი ძმა იყო ძლიერი ერისთავთ-ერისთავი გურგენ IV (918–941).

წმ. დინარას მეუღლის შესახებ ორი ცნობა არსებობს, პირველის მიხედვით, დინარა დედოფალი იყო მეუღლე ჰერეთის მეფე ადარნასე II (დაახლ. 897/906–943) -ისა, მეორე ცნობის მიხედვით, რომელიც მოცემულია ზემოთ, წმ. დინარა იყო არა მეფე ადარნასეს მეუღლე, არამედ ადარნასეს ძისა, დედა ჰერეთის მეფე იშხანიკისა (დაახ. 943–960).

ასე რომ, სახელი „ადარნასე“ ერქვა წმ. დინარას გარშემო მრავალ პირს, მის მამას, მეუღლეს ან მეუღლის მამას, დიდ პაპას, ბიძაშვილსა და სხვა.

ქართული ისტორიული წყაროს თანახმად, ჰერეთის სამეფოში დედაშვილის ერთობლივ მმართველობასთანაა დაკავშირებული ჰერთა „მოქცევა“, ანუ მოსახლეობის დაბრუნება სომხური მონოფიზიტობიდან მართლმადიდებლობაზე.

“მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნულია, რომ **„ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან“.**

ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი: **„იშხანიკამდე იყო ჰერეთი მწვალებელი... ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წუალებისაგან მართლმადიდებლობისდა აღმსაარებლად“.**

ჩვენი ზოგიერთი ისტორიკოსი შეცდომით მიიჩნევს, მათი სიტყვებით, რომ ვთქვათ – „ჰერეთის ქართული სამეფო ჩამოყალიბდა საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანის დროს“,

რადგანაც მისი სამეფო არ იყო „ქართული“. სინამდვილეში, ეს პიროვნება (საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანი) მართავდა ძალზე ვრცელ სამფლობელოს, რომელსაც უცხოეთში რანისა და ხაჩენის (არცახის) სამთავროს უწოდებენ, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო შაქის ოლქი.

საჰლ არმანის ანუ საჰლ სმბატიანის ვრცელი სამფლობელო, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, სომხურ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მისი შვილი კი, ცნობილი გრიგოლ ჰამამი, არა მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწე, სომხური კულტურის მოღვაწეც იყო, მოღწეულია მისი სომხური ლექსები.

მათი ვრცელი სამფლობელო (ხაჩენის დიდი სამთავრო) ნაწილებად დაიშალა გრიგოლ ჰამამის შვილების დროს.

ამ დროს მოხდა უდიდესი მოვლენა – პოლიტიკური თავისუფლება აღიდგინა შაქის ჰერეთმა იმით, რომ ის გამოეყო ზემოაღნიშნულ სომხურ სამფლობელოს, მისი მმართველი იყო ადარნასე II, წმიდა დინარას მეუღლე.

შაქის ჰერეთის მკვიდრი მოსახლეობისათვის თავისუფლების მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მათ საშუალება მიეცათ შედარებით თავისუფლად განეხორციელებინათ თავიანთი საერთო-სახალხო მისწრაფებები, ეს იყო თავდახსნა უცხო ერის ზეგავლენისაგან როგორც პოლიტიკურ, ისე საეკლესიო სფეროში.

კონკრეტულად ეს ნიშნავდა, რომ ვინაიდან შაქის ჰერეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ეთნიკური ქართველები იყვნენ, მათ სურდათ სომხური პოლიტიკური და საეკლესიო მმართველობისაგან გათავისუფლება და ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელება. ეს მხოლოდ სომხური სამთავროებისაგან გათავისუფლებით იქნებოდა შესაძლებელი. მართალია, ადარნასე II ძველი დინასტიიდან მოდიოდა, მაგრამ რადგანაც მის დროს შაქის ჰერეთი სუვერენული გახდა, ხალხმა შეძლო თავისი მისწრაფების განხორციელება, პოლიტიკური გათავისუფლება სომხური ხაჩენის სამთავროსაგან.

შესაბამისად, გრიგოლ ჰამამის შვილის, **ადარნასე II-ს დროს შაქის ჰერეთის სამეფომ გამოამჟღავნა ქართული სახე**. მისი მეუღლის, წმ. დინარა დედოფლის თავდადებულმა ღვაწლმა ეს პროცესი დააგვირგვინა, შაქის ჰერეთი გათავისუფლდა სომხური ეკლესიის ბატონობისაგან.

ხაჩენის სამთავროსაგან პოლიტიკური და სომხური ეკლესიისაგან სასულიერო გათავისუფლება უდიდესი მოვლენა იყო და ეს მაინც უკავშირდებოდა წმ. დინარასა და მისი შვილის, იშხანიკის სახელებს.

წმ. დინარამ მონოფიზიტურის ნაცვლად მართლმადიდებლური აღმსარებლობა აღიარა თავისი სამეფოს სახელმწიფო რელიგიად. ცხადია, ამას ის ვერ შეძლებდა, რომ თვითონ ჰერეთის (ანუ შაქის ოლქის) მოსახლეობა არ ყოფილიყო თავისი ეთნიკური წარმომავლობით ქართული.

ამ ეპოქაში, ცნობილი კანონისტის ა. კარტაშევის სიტყვით, ძალზე ხშირად, მერყევი პერიოდების დროს, ადამიანები ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისად ირჩევდნენ აღმსარებლობას. ქართველები, როგორც წესი, ქალკედონიტობასა და ქართულენოვან წირვა-ლოცვას ანიჭებდნენ სრულ უპირატესობას, ხოლო სხვა აქაური ქრისტიანები ძველებურადვე რჩებოდნენ მონოფიზიტურ ეკლესიაში, ანუ სომხურენოვან ღვთისმსახურებაში.

ე.წ. „დიდი არმენიის“ ჩრდილოეთ ნაწილში, პარიადრეს ქედის კალთებიდან ვიდრე თითქმის მტკვარ-არაქსის შესართავამდე, რომელსაც ნ. ადონცი „არმენიის იბერიულ ზოლად“ მოიხსენიებს, მკვიდრი მოსახლეობა თავის

თავს „იბერიელებს“ უწოდებდა. ისინი იმ იბერთა შთამომავლები იყვნენ, რომელნიც სტრაბონის ცნობით, პარიადრეს ქედის კალთებიდან, ხორძენასა და გოგარენას ჩათვლით, იბერიისაგან მიიტაცა არმენიამ. ჩვენს წინა წიგნებში მოცემულია გამოკვლევა, რომ სტრაბონის გოგარენა ესაა შაქის ჰერეთი, აღსანიშნავია, რომ აქაური მოსახლეობა თავის თავს გარგარებსაც უწოდებდა (ანდა მას გარაგრებს უწოდებდნენ), შაქის სამეფოსაც ზოგჯერ გარგართა სამეფო ერქვა – **Гаргарское царство.**

სტრაბონი თავის ნაშრომში რამდენჯერმე მიუთითებს, რომ გოგარენა „მტკვრის იქით“, შესაბამისად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, სადაც იყო შაქის ჰერეთის სამეფო.. გოგარენა არაა გუგარქი, რადგანაც გუ-გარქი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა.

თუმცა ორივე ამ სახელში „გოგარენა“ და „გუგარქი“, ეტიმოლოგიურად, არსებითია ქართველთა თვითსახელწოდების გამომხატველი ეთნო-ფუძე „გრგ“ (აქედანაა სახელები, ეგრისი, მარგვეთი, გურია, გურჯი, გურზი, გრუ-ზია, გეორგიენ და სხვა).

გოგარენა ძვ. წ. მე-2 ს-ში, სტრაბონის ცნობით, იბერებისა იყო და არმე-ნიამ მიიტაცა. საფიქრალია, რომ სახელში „გოგარ“ შეიძლება ჟღერდეს სახელი „ხოხარ“, აქედან აქაური ქალაქის სახელი „ხორანთა“ (ქალაქი ჰერებისა იორ-ალაზნის შესართავთან). სახელი ჰერი შეიძლება დაუკავშირდეს აღნიშნული ადგილისა და ქალაქის სახელს გოგარ-ხოხარ- ჰოჰარ- ჰერ -ჰერეთი. თუ ქარ-თული ჰერეთი სტრაბონის გოგარენაა, ის ძველთაგანვე იბერიული ყოფილა.

ზემოთ აღნიშნულ „არმენიის იბერიულ ზოლში“ იყო მოქცეული ტარონის ოლქიც. ტარონიდან აქ (შაკიხში) მოსული ტარონელი დიდებულები (ბრმის შთამომავლები) ქართლის მეფე წმ. არჩილმა ამ ქვეყნის (შაქის ჰერე-თის) მთავრად დაადგინა. ტარონული წარმოშობის ოჯახი, რომელიც შაქის ოლქს მართავდა, თავს შესაძლოა იბერიულად მიიჩნევდა, როგორც ე. წ. „არმე-ნიაში“ მცხოვრები იბერები.

არმენიის იბერთა შორის იბერიული თვითშემეცნება თავდაპირველად გუგარქსა და მის შემოგარენში აღიდგინეს კირიონ დიდი კათალიკოსის ღვაწლის შედეგად. კირიონმა გუგარქში აღადგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, ტაოც გუგარქის ნაწილი ანდა მისი უშუალო მეზობელი იყო.

კირიონის მიერ მე-7 საუკუნეში დანთებული ეროვნულ-ქართული თვითშემეცნების ნაპერწკალი ტაოში და არმენიის მთელ იბერიულ ზოლში გაღვივდა მე-8 საუკუნის ბოლოდან.

მე-8 საუკუნის შუა წლებიდან ტაოს დიდი ქვეყნის იბერებმა გადააგდეს სომხური ეკლესიის მონოფიზიტური უღელი და სომხურენოვანი წირვა-ლოცვა ჩაანაცვლეს ეროვნულ-ქართულით. ეს ნაპერწკალი, დანთებული კირიონ კათალიკოსის მიერ მე-7 ს. დასაწყისში, ღვიოდა საუკუნეთა მან-ძილზე, მე-8 საუკუნის ბოლოს მოიცვა ტაო და ტაოდან მე-10 ს. დასაწყისში გადავიდა ჰერეთში, ანუ შექი-გაბალას ოლქში.

ეროვნულ-ქართული თვითშემეცნების ეს ნაპერწკალი დიდ განმანთავისუფლებელ ალად გადააქცია დედოფალმა დინარამ შაქის ოლქში, ანუ ჰერეთში.

წმ. დინარას მეუღლე, **ადარნასე პატრიკი** ჰერეთის მეფე იყო დაახლოებით 915–944 წლებში. ჯერ კიდევ მისი წინაპრის, საჰლ სმბატიანის დროს, 840-იან წლებში არაბების მხარდაჭერით მისმა სამთავრომ მიიერთა სამხრეთ კახეთი, ანუ მიწა-წყალი გიშისწყლიდან ვიდრე გავაზამდე. ქართველი მეფე-მთავრები მუდამ ცდილობდნენ სამხრეთ კახეთის გათავისუფლებას. ამიტომაც ადარნასე პატრიკის მეფობის დროს კახთა მთავარმა კვირიკე პირველმა და აფხაზთა მეფე კონსტანტინემ 915 წელს მოაწყვეს ერთობლივი ლაშქრობა ჰერეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად. ადარნასემ უკან დაიხია, კონსტანტინეს დაუთმო გავაზნი და არიში, ხოლო კვირიკეს – ორჭობი.

ამის შემდეგ ადარნასე პატრიკი უშუალოდ შაქის ჰერეთის მეფედ გადაიქცა, მას უკვე აღარ ეკუთვნოდა სამხრეთ კახეთი, მაგრამ მის ხელქვეშ დარჩნენ მისი მეზობელი კამბეჩანისა (მტკვარ-ალაზნის შესართავის ქვემოთ) და კაბალას ოლქები (მიწები მდ. აღსუმდე).

ყველა ამ ოლქში (შაქი, კაბისენა, გაბალა) მოსახლეობის უმრავლესობას, მასუდის ცნობით, ქრისტიანები შეადგენდნენ.

აი, ამ ქრისტიანებს, ანუ შაქის, კამბეჩანისა და კაბალას ქრისტიანებმა ადარნასეს მეუღლის, წმ. დინარას დროს თავი გაითავისუფლეს სომხური საეკლესიო უღლისაგან.

ჰერეთის (ალბანეთის) ამ ოლქის ქართველებმა, ანუ მკვიდრმა მოსახლეობამ, დაიბრუნა მშობლიურ-ქართულენოვანი ღვთისმსახურება, ანუ ისინი დაუბრუნდნენ დედა ქართული ეკლესიის წიაღს.

მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო 915 წლის შემდეგ, როცა კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე **I-მა, აფხაზთა მეფე კონსტანტინე III -სთან ერთად უკან დაიბრუნა შაქის სახელმწიფოს მიერ მიტაცებული კახეთის მიწები და მისი ციხეები – არიში, გავაზი და ორჭობი.**

სამხრეთ კახეთის განმანთავისუფლებელი კვირიკე ქორეპისკოპოსის შესახებ შემდეგი ცნობებია დაცული. პირველ რიგში, ის იყო არა მარტო კახეთის საერო მთავარი, არამედ ასევე, სულიერი მეთაური ქორეპისკოპოსის ტიტულით.

თავისთავად, ეს იმას ნიშნავს, რომ ის იყო მცხეთის კათალიკოსის ქორეპისკოპოსი კახეთში. ქორეპისკოპოსი სოფლური ადგილების, ამ შემთხვევაში, რეგიონის, ოლქის ეპისკოპოსს ეწოდება, ეს ოლქი კახეთი იყო, მისი დანიშნულება კი – თავის მრევლს მტკიცედ დაეცვა წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, ანუ ის აღმსარებლობა, რომელსაც მისი საეკლესიო ცენტრი, ანუ მცხეთა აღიარებდა.

ჰერეთი, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მონოფიზიტურ-მწვალებლური მიმდინარეობისა იყო ვიდრე წმ.დინარა დედოფლამდე.

შესაბამისად, ჰერეთის მიერ 840-იან წლებში დაპყრობილ სამხრეთ კახეთში (გიშისწყლიდან გავაზამდე) მოსახლეობა, რომელიც მართლმადიდებელი იყო ადარნასემდე, დიდ სარწმუნოებრივ გასაჭირში იმყოფებოდა.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ჰერეთის, ანუ შაქის ხელისუფლების მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთი მოიცავდა ტერიტორიას გიშისწყლიდან ვიდრე თელავამდე კახეთის გაღმამხრის (საინგილოს) ჩათვლით.

აი, ამ მიწების, ანუ აქ მცხოვრები ხალხის გათავისუფლება მონოფიზიტური ზეწოლისაგან იყო კვირიკე ქორეპისკოპოსის მიზანი, რასაც მიაღწია აფხაზთა მეფის, კონსტანტინეს დახმარებით 915 წელს.

კვირიკე პირველი კახეთის მთავარი, ანუ ქორეპისკოპოსი იყო 892–918 წლებში. დაახლოებით 915 წელს მან გაათავისუფლა ჰერეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ კახეთი აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან ერთად. გაათავისუფლეს მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები – არიში (მთისძირი), გავაზი (ახალსოფელი) და ორჭობი. სამწუხაროდ, კახეთის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო გათავისუფლებული ტერიტორიების შენარჩუნება და ის შაქის (ჰერთის) მეფე ადარნასე პატრიკმა კვლავ დაიპყრო, მაგრამ მალევე მისმა მეუღლემ და მთავარმა იშხანიკმა შაქის, ანუ ჰერეთის ვრცელი ოლქი დაუბრუნეს წმიდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

იშხანიკის ძის, იოანე სენექერიმის დროს შაქის (ჰერეთის) სამეფო დიდად გაძლიერდა. 960 წლიდან ვიდრე მე-10 საუკუნის ბოლომდე მან შემოიერთა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ისტორიული ალბანეთის, ანუ რანის ნაწილი. მას ამიტომ „ალბანეთის სამეფოს აღმდგენელსაც“ უწოდებდნენ. ეს იყო იგივე „რანთა სამეფო“. კვლავ დაიპყრეს სამხრეთ კახეთი ანუ ტერიტორია გიშისწყლიდან თელავის მიმართულებით, ამიტომაც მას წანართა მეფეც ერქვა, რადგანაც არაბები კახეთს სანარიას, ანუ წანართა ქვეყანას უწოდებდნენ.

ვარდან დიდის ცნობით, წანარები ქალდეადან ანუ ჭანეთიდან იყვნენ, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ წანარია იგივე ჭანარია – ჭანარეთია, ანუ ჭანეთის ქვეყნიდან გამოსული და კახეთში დამკვიდრებული მეომრების ქვეყანაა ამ შემთხვევაში სამხრეთ კახეთი, ამიტომაც მისი დაპყრობის შემდეგ იოანე სენექერიმს წანართა მეფესაც უწოდებდნენ.

იოანე-სენექერიმი (დაბ. დაახლ. 1003წ.) იყო ფარისოსის მეფეც. ფარისოსი ერქვა ჩრდილეთ არცახს, მთიან უტიკს. მას ებრძოდა ანისის სამეფო და განჯის ამირა ფადლონი. სამეფო ძალზე დასუსტდა მე-11ს-ის დასაწყისშივე, იყო საშიშროება, რომ ის დაკარგავდა დამოუკიდებლობას და რან-ჰერეთის ქართველობა, სამხრეთ კახეთის მოსახლეობასთან ერთად, მუსლიმანურ, ანდა მონოფიზტური სამეფოს შემადგნლობაში აღმოჩნდებოდა. ამიტომაც აქაური, უკვე მართალმადიდებელი, ანუ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი ხალხის დაცვის საქმე თავის თავზე აიღო საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ. 1008 წელს მან უცხოელთა შემოსევებისაგან დაიცვა ჰერეთი და ის დაიკავა. სამხრეთ კახეთი კვლავ გათავისუფლდა. და საკუთრივ ჰერეთი (ტერიტორია გიშისწყლიდან აღსუმდე), რომელსაც იმ დროს „რანთა სამეფო ერქვა“ თვითონვე შევიდა გაერთიანებულ სამეფოში. რანთა ბატრაკი, ანუ

პატრიკი, ჯერ კიდევ საჰლ სმბატიანს ერქვა, ის შაქის ჰერეთთან ხშირად ერთიანდებოდა. იოანე სენექერიმსაც „რანთა მეფეს“ უწოდებდნენ, მაშასადმე, ის თავის ტიტულის მიხედვით, თითქოსდა, მტკვრის ორივე სანაპიროს ქვეყ-ნებს აერთიანებდა.

მართალია, შაქის ჰერეთის მეფეებს „რანთა მეფის“ ტიტულატურა გააჩდათ, მაგრამ რეალურად, იმ დროისათვის რანის მთავარი ქალაქები და ციხეები, მათ შორის განძა (განჯა) ამირა ფადლონის ხელში იყო.

მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-მ გაათავისუფლა სამხრეთ კახეთი და შაქის ჰერეთი, ამირა ფადლონმა დაიწყო საბრძოლო ქმედებები ამ ქვეყნების წინააღმდეგ.

საერთოდ, რანი ერქვა ქვეყანას მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს ვიდრე არაქსამდე. ბარდა, განჯა და ბაილაკანი რანის დიდი ქალაქები იყო, სამწუხაროდ, ქალაქ ბაილაკანს, მილის ველზე, ზოგიერთი ქართველი ისტო-რიკოსი საინგილოს ქალაქ ბელაქნად მიიჩნევს. ბელაქანი კახეთის ქალაქი იყო, ხოლო ბაილაკანი – რანისა.

რადგანაც ბაგრატ მესამემ შაქის ჰერეთის შეერთების შემდეგ მიიღო რანთა მეფის ტიტული, ჩანს, საჭიროდ ჩათვალა მისი რეალიზება, ანუ ომის გადატანა განჯის მხარეს ამირა ფადლონის წინააღმდეგ. მით უფრო, რომ თავად ფადლონი იბრძოდა სამხრეთ კახეთისა და შაქის ჰერეთის დასაუფ-ლებლად. ბაგრატ მესამის რანში ომის შემდეგ, დამარცხებულმა ფადლონმა ითხოვა ზავი და ის ქართველთა მეფის ვასალად გადაიქცა.

ბიზანტია – საქართველოს გააფთრებული ომების დროს, ჩანს, ბიზან-ტიის იმპერატორთა წაქეზებით, 1020 წელს შაქის ჰერეთი გამოეყო ერთიანი საქართველოს სამეფოს და მან კახეთთან ერთად შექმნა „რანთა და კახთა სამეფო“, მაგრამ იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის შემოჭრის შემდეგ დარწმუნდა მტრის ბოროტ განზრახვაში და გვერდით დაუდგა საქართველო მეფე გიორგი პირველს 1021 წელს ჯარითა და სრული აღჭურვილობით.

აქედანაც ჩანს, რომ ჰერეთი სულისკვეთებით ჭეშმარიტად ქართული ქვეყანა იყო. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ის მოიცავდა ტერიტორიას გიშის-წყლიდან აღსუმდე. ამიტომაც აღსუ, ანუ თეთრწყალი გადაიქცა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად, ანუ ქართველთა მასობრივი განსახლების უკიდურეს ტერიტორიად. ამიტომაც მონღოლებმა აქ დაადგინეს საქართველოს საზღვარი, ე. წ. სიბა და საქართვე-ლოს მეფეებს მისი დაცვა დაავალეს. საერთოდ, „სიბა“ სიმაგრეების მონღო-ლური სახელწოდება იყო. საქართველოში ის მდინარე აღსუზე, ანუ თეთრ-წყალზე, საქართველოს იმჟამინდელ საზღვარზე, ღობით შეკრულ წლის პირას გამართული სახელმწიფოს სასაზღვრო-საფორტიფიკაციო ნაგებობას წარ-მოადგენდა.

ილხანთა ყაენებმა დაავალდებულეს საქართველის მეფეები, აეგოთ სახელწიფოს საზღვარზე თავდაცვითი ძლიერი სიმაგრე-სიბა, რათა ქვეყანა დაეცვათ ოქროს ურდოს თავდასხმებისაგან. მათ აქ დააწესეს სამხედრო სამსახური თვით საქართველოს მეფეების მონაწილეობით.

ჰერეთის („რანთა“) მეფეები (893 წლამდე მთავრები)

საჰლი

საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანი (IX საუკუნის I ნახ. – დაახ. 853) იყო არა „ჰერეთის მთავარი“, როგორც ამჟამად მას უწოდებს ქართული მხარე, არამედ ხაჩენ-რან-კამბეჩან-შაქის მთავარი.

მისი მმართველობის დროს დიდად გაძლიერდა არა ჰერეთი, როგორც წერენ, არამედ აღიშნული ხაჩენ-რან-შაქის სამთავრო.

„822 წელს საჰლი თავის ვაჟთან, ადარნერსესთან (ატერნერსეჰ) ერთად შეიჭრა მარჯვენა ნაპირის ალბანეთში, დაამარცხა ამ უკანასკნელის მმართველი, მიჰრანიდი ვარაზ-თრდატი, ამოჟლიტა მიჰრანიდთა საგვარეულო და მიითვისა მათი ტიტული „რანთა მეფე“.საჰლი ფორმალურად არაბთა ვასალად ცნობდა თავს და მხარს უჭერდა სახალიფოს პოლიტიკას ამიერკავკასიაში. 837 წელს გორისის ციხეში (თანამედროვე ყარაბახის ტერიტორიაზე) მან შეიპყრო და არაბებს გადასცა ალბანეთში ხურამიტული აჯანყების ხელმძღვანელი ბაბექი“.

ხალილ ისიდის ძის არაბული ჯარი ჰერეთ-რან-არცახის მეფე საჰლ იბნ სუნბატ ალ-არმანის დასახმარებლად შემოიჭრა კახეთში 839–841 წლებში. საქმე ის იყო, რომ საჰლ სმბატიანს 839 წელს არაბთა ხალიფამ მიანიჭა „არმენიის, ივერიისა და არანის მეფის“ წოდება მოვსეს კალანკატუაცის ცნობით. ამ დროისათვის ის უკვე ფლობდა არცახსა და არანს, მაგრამ არ ფლობდა ივერიას. მისთვის ივერიას წარმოადგენდა მეზობელი კახეთის სამთავრო. კახეთის დაპყრობის შემთხვევაში მისი იურიდიული ტიტული „ივერიის მეფე“ რეალობად გადაიქცეოდა. მის დასხმარებლად ხალილ იზიდის ძის ლაშქარი შეიჭრა კახეთში, მაგრამ არაბთა ამ დიდმა ლაშქარმა ვერ შეძლო კახეთის სრული დაპყრობა, მან მხოლოდ გავაზამდე მიაღწია და დაიპყრო კახეთის მიწები გიშისწყლიდან გავაზის ხაზამდე. გავაზთან არაბული ლაშქრის წინსვლა ქართულმა ჯარმა შეაჩერა – „შეებნეს გარდაბანელნი, გავაზს; და გააქციეს ხალილ,“ – წერს „მატიანე ქართლისა“
http://www.amsi.ge/istoria/qc/matiane1.html.

ადარნერსე (ადარნასე)

საჰლის ძე ადარნასე I (დაახ. 853-დან – დაახ. IX ს. III მეოთხედი) იყო არა „ჰერეთის მთავარი“, როგორც წერენ, არამედ თავისი მამის მემკვიდე. მისი მამის დიდ სამთავროში შაქის ჰერეთი მხოლოდ ერთი მცირე ოლქი იყო.

გრიგოლ ჰამამი

მით უფრო „ჰერეთის მთავარი“ არ იყო გრიგოლ ჰამამი (დაახ. IX ს. IV მეოთხედი – 897, მეფე 893 წლიდან). ის ფლობდა ძალზე დიდ სამთავროს – ხაჩენს, რანს, კამბეჩანს და შაქის ჰერეთს.

მის დროს იწყება არა „ჰერეთის **ახალი გაძლიერება“, როგორც წერენ, არამედ აღნიშნული ხაჩენის სამთავროსი.** სამთავროს შემადგენლობაში ამ დროისათვის შედის **მარჯვენა ნაპირის ალბანეთის ნაწილი.**

„გრიგოლ ჰამამმა დაიპყრო კახეთის ტერიტორიის ნაწილიც და 893 წელს მეფედ ეკურთხა“.

ადარნასე პატრიკი

მხოლოდ ადარნასე II-ს, პატრიკს შეიძლება ეწოდოს „ჰერეთის მეფე“ (დაახ. IX ს. I მეოთხედში), რადგანაც მის დროს შაქის ჰერეთმა აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და გათავისუფლდა ხაჩენის სამთავროს ბატონობისაგან.

ამის მიზეზი იყო ის, რომ გრიგოლ ჰამამის გარდაცვალების შემდეგ მისმა ხუთმა ვაჟმა ერთმანეთთან ომი დაიწყო მამის მემკვიდრეობისათვის, საბოლოოდ მათ ხაჩენის დიდი სამთავრო ერთმანეთს შორის გადაინაწილეს.

საბოლოოდ, ზემო ხაჩენი და ქვემო ხაჩენი სხვადასხვა ძმას ერგო, ხოლო შაქის ჰერეთი კამბეჩანთან ერთად – ადარნასე II-ს.

ეს უკანასკნელი ძლიერი მმართველი გამოდგა, მან გააგრძელა მამის გზა და ცდილობდა დაპყრობილი სამხრეთ კახეთი კვლავ შაქის ჰერეთში დარ-ჩენილიყო.

სამხრეთ კახეთის გათავისუფლებისათვის მას ებრძოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე კონსტანტინე, მაგრამ სამხრეთ კახეთი (ტერიტორია გიშისწყლიდან (ალჯანჩაიდან) ვიდრე გავაზ-ილტოს ხაზამდე) კვლავ დარჩა შაქის ჰერეთის შემადგენლობაში.

ადარნასე II სახელგანთქმულია იმით, რომ მისმა, ანდა მისი ძის მეუღლემ (ქვრივმა) წმ. დინარამ და მათმა შვილმა იშხანიკმა შაქის ჰერეთის მოსახლეობას აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება და დაუბრუნა დედაქართული ეკლესიის წიაღს.

ამიტომაც ქვემოთ აღნიშნული ქართველი ისტორიკოსების განცხადება არასწორია, რომ თითქოსდა, „მის დროს სამეფო განიცდის აგრესიას კახეთისა და აფხაზეთის მხრიდან. **915–918 წლებში, კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე I-სა და აფხაზთა მეფე კონსტანტი III-ის გაერთიანებული შემოსევის შედეგად ჰერეთმა დაკარგა არიშის, გავაზნისა და ორჭობის ციხეები“.**

სინამდვილეში კი, კახეთის ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე კი არ შეესივნენ ჰერეთს, არამედ ისინი იბრძოდნენ სამხრეთ კახეთის გასათა-ვისუფლებლად, რადგანაც ჯერ კიდევ რან-ხაჩენის მთავარმა საჰლ სმბატიანმა არაბ სარდალ ხალილ ისიდის ძესთან ერთად დაიპყრო სამხრეთ კახეთი გიშისწყალ-ალიჯანჩაიდან ვიდრე გავაზ-ილტოს ხაზამდე. აი, ამ დაპყრობილი მიწის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ ისინი.

ლიტ.: მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტო-რიისათვის, 1954, N 31.

თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.

იშხანიკი

იშხანიკი, ადარნასე II-ის, ანდა მისი ძის ძე (შვილიშვილი), როგორც სახელმწიფო მოღვაწე აგრძელებდა წინაპრების პოლიტიკას დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მიმართ. როგორც აღინიშნა, მისმა წინაპრებმა დაიპყრეს სამხრეთ კახეთი გიშისწყალ-ალიჯანჩაიდან ვიდრე გავაზის ხაზამდე. ამ დაპყრობილი კახური მიწების გასათავისუფლებლად იბრძოდენენ ქართველი მეფე-მთავრები, მათ პირველ ეტაპზე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ იშხანიკმა „დაიბრუნა კახეთის ქორეპოსკოპოს კვირიკე I-სა და აფხაზთა მეფე კონსტანტი III-ის მიერ ადარნასე პატრიკისათვის წართმეული ციხესიმაგრეები“.

იშხანიკი სახელოვანია იმით, რომ არ ჩაახშო თავისი ხალხის ხმა, რომელიც ილტვოდა წმიდა მართლმდიდებელი სარწმუნოების აღდგენისაკენ.

ხალხის სწრაფვის აღსრულების უძნელესი საქმე თავის ხელში აიღო იშხანიკის დედამ, წმიდა დინარა დედოფალმა, საბოლოოდ, შაქის ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და დაუბრუნდა დედაქართული ეკლესიის წიაღს. იშხანიკის შთამომავალი ყოფილა გაგიკი, რომელიც იშვილა კახეთის დიდმა ქორეპისკოპოსმა კვირიკემ და ამით სათავე დაედო კახეთ-ჰერეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს.

იოანე სენექერიმი

იოანე სენექერიმი(დაახ. X ს. II მეოთხედი) არ იყო იშხანიკის ძე, არამედ ის იყო ფარისოსის მეფე, ამიტომაც არ შეიძლება, რომ მას „ჰერეთის მეფე“ ეწოდოს.

ფარისოსს უწოდებენ ჩრდილოეთ არცახსა და მთიან უტიკს, მისი მეფე იყო იოანე სენექერიმი დაახლოებით 958 წლიდან. ის იყო სააკ სევადის ძე, გრიგოლ ჰამამის შვილიშვილი.

მან ფაქტობრივად აღადგინა ბაბუის, რან-ხაჩენ-ფარისოსის დიდი სამთავრო, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო შაქის ჰერეთი. შესაბამისად, იოანე სენექერიმის დროს შაქის ჰერეთმა კვლავ დაკარგა სუვერენიტეტი და ისევ მონოფიზიტი მმართველების ხელში აღმოჩნდა.

მის აღდგენილ დიდ სამთავროს („ალბანეთის სამეფოს“) საერთაშორისო აღიარებაც მოუპოვებია „სპარსთა მეფისა“ და ბიზანტიის მიერ და მას კვლავ დაუპყრია სამხრეთ კახეთი (გიშისწყლიდან გავაზამდე).

იმ მიზეზის გამო, რომ მეზობლები კახეთს წანარეთს უწოდებდნენ, იოანე სენექერიმს სამხრეთ კახეთის ფლობის გამო „წანართა მეფეც“ ერქვა.

სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად დიდად იღწვოდნენ ქართველი მეფეები, თვით შაქის ჰერეთსაც გათავისუფლება ესაჭიროებოდა, რადგანაც იოანე სენექერიმის დროს ის კვლავ სომხური სამთავროს (ფარისოსის) შემადგენლობაში აღმოჩნდა, ამ მიზნით შევიდა 1008 წელს შაქის ჰერეთში მეფე ბაგრატ III (975–1014).

ეს იყო დიდი ხსნა და შვება შაქის ჰერეთისა, მით უფრო, სამხრეთ კახეთის მოსახლეობისათვის. მათ კვლავ მოიპოვეს სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლება, რამაც საფუძველი დაუდო მათ პოლიტიკურ გაერთიანებას კახეთის ასევე მართლმადიდებელ მოსახლეობასთან. წარმოიქმნა კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სახელმწიფო, რომელსაც „რანთა და კახთა სამეფო“ დაერქვა.

„რანთა მეფის“ ტიტულის გამოყენება შაქის ჰერეთის მმართველთა მიმართ გამოიწვია იმან, რომ ეს ტიტული (რანთა მეფე) ჯერ კიდევ საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანმა მოიპოვა ხალფას მიერ, მის შემდეგ კი ის შაქის მმართველების კანონიერი მემკვიდრეობითი ტიტული გახდა, ამიტომაც შაქის ჰერეთისა და კახეთის გაერთიანების შემდეგ მისმა მმართველებმა გაითავისეს და დაიმკვიდრეს „რანთა და კახთა მეფის“ ტიტული.

ლფინები და ჭილბები

ლფინებისა და ჭილბების განსახლების საკითხის დადგენა უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს.

საქმე ისაა, რომ ეკლესიურად ლფინები და ჭილბები შედიოდნენ ალბანეთის კათალიკოსის იურისდიქციაში.

ალბანეთის კათალიკოსის ოფიციალური ტიტულატურა ასეთი იყო – „კათალიკოსი ალუანქისა, ლფინებისა და ჩოლისა“ („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, მ. 2000, ტ. 1, გვ.455).

უფრო ადრე მისი ტიტული იყო – „კათალიკოსი ალბანეთისა და ბალასაკანისა“.

ბალასაკანი პუნქტი იყო არაქსის ნაპირას, მტკვარ-არაქსის შესართავის მახლობლად, ხოლო ჩოლი დერბენდის ძველი სახელი იყო.

ალბანეთის კათალიკოსის ტიტულატურიდან ჩანს, რომ ალბანეთის საკათალიკოსო თავდაპირველად მოიცავდა გაცილებით მცირე ტერიტორიას – კასპიის ზღვისპირეთიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე და მხოლოდ ქართლის მეფის, ვარაზ-ბაკურის შემდეგ (მე-4 ს-ის 80-იანი წლებიდან) გაიზარდა როგორც ალბანეთის, ისე ალბანეთის საკათალიკოსოს საზღვრები.

ქართული წყაროს ცნობით, ვარაზ-ბაკურს სპარსელებმა ე. წ. „არმენიისა და იბერიის გაყოფის“ დროს ჩამოართვეს რანის პროვინცია, რომელიც, ქართული წყაროს მითითებით, ქართლის სამეფოში შედიოდა.

სპარსელებმა იქამდე ქართულ სამეფოში შემავალი რანი გადასცეს ალბანეთს (სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით კი, რანი სომხური ქვეყანა იყო და ამ დროს, 380-იან წლებში, ჩამოართვეს სომხებს და გადასცეს ალბანელებს).

მაშასადამე, როგორც ქართული, ისე სომხური ცნობებით რანი ალბანეთს გადაეცა 380-იან წლებში.

ამის შემდეგ რანი გადაიქცა ალბანელთა პოლიტიკურ, კულტურულ და საეკლესიო ცენტრად, იქამდე კი, მე-6 ს. შუა წლებამდე ალბანეთის საკათალი-

კოსო ცენტრი ქალაქი „ჩორი“ ყოფილა, დერბენდთან ახლოს. აქვე, მახლობელ ოლქებში ცხოვრობდნენ ლფინები და ჭილბები, თუმცა კი, ამჟამად დაინტერესებული ქართველი ისტორიკოსები სხვაგვარად მიიჩნევენ.

კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ თითქოსდა, ლფინები (ლბინები) ცხოვრობდნენ ალაზნის ზემოწელის მიდამოებში. თავიანთი ამ მტკიცების საფუძვლად მიუთითებენ „ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებს“.

მსგავსი არაფერია ქართულ წყაროებში, ხოლო სომხური წყაროებიდან ქვემოთ განხილულია მოვსეს კალანკატუაცის ნაშრომი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ლფინები და ჭილბები ალაზნის კი არა სამურის ხეობაში ცხოვრობდნენ, კასპიის ზღვის მახლობლად.

ერთი სიტყვით, რომ გავიმეოროთ, ლფინებისა და ჭილბების განსახლების არეალთან დაკავშირებით მწარედ ცდებიან ქართველი ისტორიკოსები, როცა ამტკიცებენ, რომ ისინი სახლობდნენ კახეთის მთიან ნაწილში, ამჟამინდელ თიანეთისა და ალაზნის სათავეების რეგიონში. თუ ასე იყო, მაშინ კახეთის მთიანეთი და მთელი კახეთი თავდაპირველად ალაბანელი კათალიკოსის იურისდიქციაში ყოფილა, რაც დიდი შეცდომაა.

ლფინები და ჭილბები ალბანური ტომები იყვნენ, ისინი ცხოვრობდნენ ქალაქ ჩორთან ახლოს, კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდზე, კასპიისპირეთში, ასეთია არა მხოლოდ ჩემი გამოკვლევის შედეგი, რომელიც მოხერხდა სომხური წყაროების ანალიზის შედეგად (რაც ქვემოთაა მოცემული), არამედ უცხოეთშიც ასევე მიიჩნევა, მაგრამ სულ სხვაგვარია ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ თითქოსდა, ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ ამჟამინდელი კახეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ალაზნის სათავეებთან. აქედან გამომდინარეობს, რომ ალბანეთში ისტორიულად შედიოდა კახეთის ჩრდილოეთი ნაწილიც და ალაზნის სათავეებიც.

ალბანეთის კათალიკოსს ტიტული – „კათალიკოსი ალბანეთისა, ლფინისა და ჩორისა“ ჰქონდა 551 წლამდეც და ამის შემდეგაც.

ალბანეთის საკათალიკოსო ცენტრი ჩორიდან 552 წლისათვის გადმოუტანიათ კასპიისპირეთიდან, ქალაქ ჩორიდან ქართლის მახლობლად, ბარდავში. ამის შესახებ წერს ალბანელი ისტორიკოსი – კერძოდ, მოვსეს კალანკატუაცი თავისი წიგნში „ალვანთა ქვეყნის ისტორია» – „когда было положено начало армянскому летосчислению, в том самом году **патриарший престол Алуанка был перенесен из города Чола в столицу Партав** из-за разбойничьих набегов врагов креста Христова“ – „სომხური წელთაღრიცხვის დაწყებისას ალბანეთის საპატრიარქო ტახტი გადატანილ იქნა დედაქალაქ ბარდავში ქალაქ ჩოლიდან ქრისტეს ჯვრის მტრების თავდასხმების გამო“.

მოვსეს კალანკატუაცის წიგნში აღწერილი ეპისკოპოს ისრაელის მიერ გავლილი გზის მარშრუტი აჩვენებს, რომ ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ მდ. სამურის ხეობაში, კასპიის ზღვისპირეთის მხარეს, კავკასიის მთის ფერდზე –

ეპისკოპოს ისრაელის გზა ბარდადან ჩოლოსა და ლფინებისაკენ ასეთი ყოფილა –

„Глава xxxix – совещание князя Вараз-трдата со своими нахарарами об отправке епископа исраэла в страну гуннов для заключения перемирияи когда все князья и нахарары согласились с ним, тут же выбрали мудрого и скромного епископа гавара Мец Колманк по имени Исраэл и настоятельными просьбами [уговорили] **отправиться [к гуннам]**... снабдили продуктами его и тех, кто должен был **сопровождать его в дальную дорогу**, и восемнадцатого числа месяца меЗекана отправили в путь. Выступив с миром из города **Пероз-Кавата**, они **перешли великую реку Куру**, пересекли границу Алуанка и на двенадцатые сутки [достигли] города **лпинов**, откуда навстречу ему вышли все жители ...Прибыв в **город,** они остановились на отдых и совершили там вечером праздник. Оттуда они перешли в **страну чилбов**, что **у склона великой горы**. Там, **на склонах Кавказских гор**, дующие с севера холодные зимние ветры подняли страшную вьюгу. ..Так, утомленные и обессиленные они **шли еще много дней**, пока не прибыли в древнюю царскую резиденцию, в ту самую, **где был удостоен венца мученика католикос Алуанка святой Григорис, внук великого Григора**. Выйдя оттуда, через несколько дней **они достигли ворот Чора, вблизи Дарбанда**.Там горожане с большими почестями приняли их, а затем и проводили дальше. [Наконец] накануне сорокадневного поста они прибыли в великолепный **город Варачан**. Узнав о его прибытии, великий **князь гуннов** вышел ему навстречу с приветствием, принял с великой радостью, оказав его святейшеству должные почести и уважение...“ Мовсес Каланкатуаци, история страны Алуанк. 0001/shaki.info/wiki/history/

მაშასადამე, ჰუნებისაკან მიმავალ ეპისკოპოს ისრაელს ქალაქ ბარდავიდან გამოსვლის შემდეგ გადაულახავს მდ. მტკვარი, ე.ი. შესულა შაქის ჰერეთში, აქედან კი ის ასულა კავკასიის მთებში, გაუვლია **ლფინებისა და ჭილბების** ქვეყნები და მისულა წმ. გრიგორისის საფლავთან, დაღესტანში, აქედან კი მალევე მისულა „ჩორის კართან“ – დერბენდთან ახლოს.

აქედან ჩანს, რომ ის შაქის ჰერეთიდან ამჟამადაც არსებული მთის გზით შესულა მდ. სამურის ხეობაში, ამ ხეობის ბოლოს მისულა წმ. გრიგორისის საფლავთან. აქ მისვლამდე მას გაუვლია გზაზე მდებარე **ლფინებისა და ჭილბების** ქვეყნებში, კავკასიის მთის ფერდზე.

წმ. გრიგორისის საფლავთან დაკავშირებით, ძირითადად მიიჩნევა, რომ ის დერბენდთან (მის სამხრეთით) მდებარეობდა, თუმცა მოვსეს კალანკატუაცი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეპისკოპოსი ისრაელი ბარდავიდან დერბენდში მივიდა ამ წმიდანის საფლავის მონახულების შემდეგ.

უცხოელი ისტორიკოსები მე-7 ს. ანონიმური ქრონიკის, იოანე დრასხანაკერტცის (მე-10 ს.), ასოღიკის (მე 11 ს.), ვარდან მცირე-კილიკელის (მე-13 ს.) ცნობების გაანალიზების შემდეგ მიდიან დასკვნამდე, რომ ალბანელი ეპისკოპოს ისრაელის ელჩობა ბარდავიდან გავიდა 684 წლის 22 დეკემბერს და 685 წლის 3 იანვარს შევიდა ლფინების ქალაქში, აქედან კი გაემგზავრნენ დერბენტის მიმართულებით და 11 თებერვალს მივიდნენ ხაზარების ხაკანის ქალაქ ვარაჩანში. ესაა დაღესტანში კასპიისპირა ქალაქი **ბუინაკსკი ან სხვა რომელიმე.**

Автор: СафроновАВ.wikimedia.org/w/index.php?curid=25436926



Автор: СафроновАВ.wikimedia.org/w/index.php?curid=25436926

მოცემული რუკებიდან და მოვსეს კალანკატუაცის ცნობებიდან გამომდინარე, ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ ქ. ჩორის, ანუ დერბენდის ოლქში, კერძოდ კი სამურის ხეობაში, კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე.

ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ ბარდავიდან მტკვრის გადალახვის შემდეგ, ალბანეთის ქალაქ ჩორთან გზა მიემართებოდა კავკასიის უღელტეხილების გავლით. კერძოდ, მარშრუტი ასეთი იყო: ბარდავი-შაქი – შინის და სალავატის უღელტეხილი – სამურის ხეობა – კასპიის ზღვისპირეთი – ჩორი (დერბენდი).

ეს იყო ძველი დროის ცნობილი, ასე ვთქვათ, საქარავნო გზა, რომელიც განახლდა და ახალი სიცოცხლე მიეცა მე-19 საუკუნეში, რუსული მმართველობის წლებში და მას ეწოდა „ახტის სამხედრო გზა“ (Военно-Ахтинская дорога).

კავკასიის მთავარ ქედზე გამავალი Военно-Ахтинская дорога – ახტის სამხედრო გზა აერთებდა ქალაქ ნუხას (ამჟამინდელ შაქს) მდ. სამურის ხეობაში მდებარე სოფელ ახტთან. ეს გზა ძველთაგანვე არსებობდა და მას ქართველები „ლეკეთის გზას“ უწოდებდნენ. მოვსეს კალანკატუაცის ეპოქაში აქ, მდ. სამურის ხეობაში ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ (კასპიის ზღვის მხარეს), ხოლო შემდგომში აქ (ოდნავ დასავლეთის) იხსენებიან დაღესტნური ტომები „რუტულები“ და „ლეზგინები“ ,ანუ ლეკები. სწორედ ისინი ესხმოდნენ თავს თავდაპირველად კახეთს ამ გზის გამოყენებით. ამ გზას მრავალი ჩრდილოკავკასიური და დაღესტნური ტომი იყენებდა, მათ შორის ხაზარები და მასქუთებიც, და თავს ესხმოდნენ ალაბანეთს და ქალაქ ბარდას, ნუხპატს და სხვა, რის შესახებაც მრავალი ცნობა არსებობს.

კასპიის ზღვისპირეთში, დაღესტნის მთებში მცხოვრები ლფინები და ჭილბები იყვნენ ჩორის, ანუ ალბანეთის კათალიკოსის იურისდიქციაში და არა კახეთი, მით უმეტეს, ალაზნის სათავეები, როგორ აღნიშნული ისტორიკოსები მიიჩნევენ. ფავსტოს ბუზანდი მასქუთების ჯარში ახსენებს ჭილბებსა და ლფინებს.მასქუთების მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეესია სომხეთს, თავდაპირველად ჯარს გადაულახავს მტკვარი. ეს ნიშნავს, რომ ეს ჯარი ჩრდილოკავკასიიდან, კერძოდ კი დაღესტნიდან ე.წ. ახტის გზით გადასულა მტკვრის ხეობაში, ამ გზას ქართულად ერქვა „გზა ლეკეთისა“. ფავსტოს ბუზანდი წერს – „В то время маскутский царь Санесан ...собрал он все войска, – **гуннов, похов, таваспаров, хечматаков, ижмахов, гатов и глуаров, гугаров, шичбов и чилбов, и баласичев и егерсванов,** и несметное множество других разношерстных кочевых племен, все множество войск, которым он повелевал. **Он перешел свою границу, большую реку Куру и наводнил армянскую страну...** до маленького города Сатал, до Гандзака, находящегося в пределах Атрпатакана“. ФАВСТОС БУЗАНД, ИСТОРИЯ АРМЕНИИ,3.7.

მასქუთებს მოუკრებიათ არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიის მრავალი ტომი, არამედ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მეომრები „გუგარების“ ტომიდან შეუერთებიათ. შემდეგ ერთიანი ძალით გადაულახავთ მდ. მტკვარი.

ჩრდილოკავკასიიდან მათ წამოუყვანიათ ქართული ტომები „ეგერ-სვანები“. იმჟამად ისინი ჩრდილოკავკასიაშიც ცხოვრობდნენ (ყუბანამდე, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ეგროსის წილი ქვეყანა იყო), დაღესტანში შეერთებიან ლფინები და ჭილბები, ხოლო ახტის გზის უღელტეხილების გადმოლახვის შემდეგ მიუერთებიათ შაქის ჰერეთის მოსახლეობა „გუგარები“ და ერთიანი ძალით, როგორც ითქვა, გადაულახავთ მტკვარი, განძასარისაკენ, ანუ რანში ულაშქრიათ.

ამავე გზით წავიდა ჰუნების ქვეყნისაკენ ეპისკოპოსი ისრაელი, ის შაქის ოლქიდან დაღესტანში უნდა შესულიყო უკვე არსებული გზით, რომელიც გადაივლიდა შაქის ოლქშივე მდებარე კავკასიის მაღალი მთის უღელტეხილებს; აქედან გადავიდოდა მდ. სამურის ხეობაში, იმ რეგიონში, რომელიც ამჟამად დასახლებულია ხალხით, რომელსაც ეწოდება „Рутульцы“ (რუტულელები). ეს უნდა იყოს ლფინების ქვეყანა, აქედან კი შესულა ჭილბების ქვეყანაში (ამჟამად ლეზგების (Лезгины) ოლქი დაღესტანში). ეს ოლქი კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდზეა, როგორც წერს მოვსეს კალანკა-ტუაცი, ცივი და ქარიშხლიანი ზამთრით. აქ ისინი მიადგნენ წმ. გრიგორისის, წმ. გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილის წამების ადგილს. ის უწამებიათ დერბენდიდან 30 კმ დაშორებით, კასპიის ზღვის პირას. აქედან გზა მიდიოდა დერბენდისაკენ და შემდგომ დერბენდიდან ჰუნებისაკენ.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ლფინები და ჭილბები ცხოვრობდ-ნენ არა ყაზბეგის რაიონში ანდა ალაზნის ხეობაში, როგორც ამტკიცებენ ქართ-ველი ისტორიკოსები, არამედ დაღესტანში, მდ. სამურის ხეობაში, კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდსა და დერბენდის მხარეს.

უსაფუძვლო თეორია საინგილოსა და სამხრეთ კახეთის ალბანურობის შესახებ

საინგილოს ისტორიული ეკლესია-მონასტრები საერთაშორისო საინტერნეტო სივრცეშიც უკვე ალბანურ ძეგლებად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაგებნი არიან წმიდა ნინოს, მისი ეპოქის ქართველ მეფეთა და წმიდა არჩილ მეფის მიერ, რასაც აჩვენებს, სხვადასხვა წყარო, მაგალითად, 1310 წლის მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი. დოკუმენტურ წყაროში ამ ეკლესიათაგან ზოგიერთი წმიდა ნინოსა და წმიდა არჩილ მეფის სახელობისაა, რაც ამ წმიდანების მიერ მათ აგებაზე მიუთითებს (იმ ეპოქაში ასეთი მიდგომა იყო ეკლესიების სახელების მიმართ).

ამ ეკლესიათა აგების შემდეგ, ათასი და მეტი წლის მანძილზე, ამ ეკლესიებში ქართულ ენაზე იყო წირვა-ლოცვა. ისინი ათასწლეულის მანძილზე, ვიდრე ლეკიანობამდე მუდმივად ქართულ სამეფო-სამთავროებში მდებარეობდნენ და მიუხედავად ამ აშკარა ფაქტებისა, მეზობელი დაინტერესებული მხარე აქვეყნებს უამრავი ნაშრომსა და მტკიცებას იმის შესახებ, რომ სამხრეთ კახეთი, თელავის ჩათვლით, თავისი ალაზნისა და ივრის ხეობებით, თითქოსდა, არის ნაწილი ისტორიული ალბანეთისა და არა ქართული სამყაროსი. ასეთია მტკიცება მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ალბანეთი თავისი ეკლესიით მე-7 ს. ბოლოსა და მე-8 ს. დასაწყისში გაქრა.

მაგალითად, ბაქო-აზერბაიჯანის რუსული ეპარქიის ოფიციალური ვებგვერდი ამტკიცებს, რომ თვით მე-12 საუკუნეშიც კი (როდესაც საქართველოს სახელმწიფო თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა), თითქოსდა, კახი-ზაქათალას ეკლესია-მონასტრები ალბანეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

როგორც აღინიშნა, ალბანურენოვანი ნაციონალური ეკლესია მე-7 ს. ბოლოს გაქრა, ამის შემდეგ ის სომხურენოვან ეპარქიად გადაიქცა და იყო ერთერთი ნაწილი სომხური საპატრიარქოსი.

ამიტომ, თუკი კახი-ზაქათალას ეკლესიები მე-12 საუკუნეში ალბანურ იურისდიქციაში შედიოდა, ისინი სომხურენოვანი სასულიერო კერები ყოფილა, ხოლო ინგილოები გასომხებული ალბანელები.

არათუ უცხოელებს, ქართულ შესაბამის უმაღლეს წრეებშიც მიიჩნევა, რომ ჰერეთი იგივე ალბანეთია, ხოლო ალბანელები უცხოტომელებია, აზერბაიჯანლების წინაპრები, ჰერეთი კი, მათივე მტკიცებით, სამხრეთ კახეთს, იორ-ალაზნის ქვემოწელს მოიცავდა თელავის ჩათვლით.

მაგალითად, ზ. ალექსიძე მიიჩნევს, რომ ალბანეთი ანუ ჰერეთი თავდაპირველადვე ერქვა სამხრეთ კახეთს – ტერიტორიას „იორ-ალაზნის შუაწელიდან“ და მოხდა აქაური მკვიდრი ალბანელების გაქართველება, რომ ალბანური ენა იგივე ჰერული ენაა, რომ ზოგადად, ალბანელები აზერბაიჯანელების წინაპრებია და ა. შ. კერძოდ, ის წერს –

„ალბანეთი ამ ქვეყანას ბერძნული წყაროების მიხედვით ეწოდება. სომხურ წყაროებში იგი ალუან-ქ (აღუან-ქ)-ად მოიხსენიება, ხოლო ქართულში

გვხვდება რანი, ალუანი და ჰერეთი. ამიტომ იყო, რომ ა.შანიძე ძველ ალბანელთა ენას ჰერულს უწოდებდა...ალბანეთის ტერიტორიები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – არცახი (მთიანი ყარაბაღი) და უტიქი (ველის ყარაბაღი) ძვ. წ. II ს-დან დიდი სომხეთის შემადგენლობაშია. ამიტომ ამ დროიდან მოკიდებული ახ.წ. 387 წლამდე ალბანეთის სამეფოს უკავია მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპირო იორ-ალაზნის შუაწელიდან თანამედროვე აღ-სუმდე. ამ ხნის მანძილზე არცახის მოსახლეობა (IV–V სს-ისათვის) მთლიანად, ხოლო უტიქისა (VI ს-ისათვის) დიდ ნაწილად – გასომხდა. ამავე პერიოდში გაქართველდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს დასავლეთი ნაწილის **ალბანური მოსახლეობა იორ-ალაზნის აუზში** ... ქართველი (შესაძლოა გაქართველებული ალბანელისთვისაც კი, რომელმაც ხელნაწერი როგორც რელიკვია ჩაიტანა სინას მთაზე)...აბორიგენი მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც გადაურჩა გასომხებისა და გაქართველების პროცესს, არაბობის ხანაში მიიღო ისლამი, ხოლო შემდეგ შეერწყა მოსულ თურქული მოდგმის ტომებს, რის შედეგადაც მივიღეთ თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხი“ (ზაზა ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, https://armazi.uni-frankfurt.de/sinai/alban1.htm).

აქედან, ჩანს, რომ ზ.ალექსიძეს და მისი სახით, შესაბამისად, ქართველ ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ სამხრეთ კახეთი (აღნიშნულ „იორ-ალზნის შუაწელიდან თანამედროვე აღსუმდე“) თითქოსდა, ალბანელების ტერიტორიაა, აქაურ ალბანელებს კი ჰერები ერქვა, რომელნიც გაქართველდნენ. მაშასადამე მიიჩნევა, რომ საინგილოსა და დავითგარეჯის რეგიონები, მათ შუა მდებარე ამჟამინდელი საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონები იმ ალბანელების მიწა-წყალია, რომელნიც გაქართველდნენ. თითქოსდა, ალბანელები ძველი ჰერებია და ალბანური ენა იგივე ჰერული ენაა.

იგივეა ზოგიერთი აზერბაიჯანელი და დაღესტნელი ისტორიკოსის აზრიც, მათ ამ რაიონების, მით უფრო საინგილოს ქართველები იმ ალბანელებად მიაჩნიათ, რომელნიც გაქართველდნენ, ხოლო აქაურ ეკლესია-მონასტრებს არა ქართულ, არამედ ალბანურ კულტურის ძეგლებად თვლიან და, მათ შორის, დავითგარეჯსაც.

ჩვენში ამ ფაქტის შესახებ ოდნავი ჩქამიც არ ისმის და არც ის ვიცი, დაინტერესებს თუ არა ვინმეს მისი გამაბათილებელი კვლევა, რადგანაც, ამჟამად არა საკუთარი წარსულის დაცვა, არამედ მისი დამდაბლება და ყველაფერი ეროვნულის გასხვისების სულისკვეთებაა კარგ ტონად მიჩნეული, უიმედობისა და ნიჰილიზმის ფონზე.

პირიქით, ქართული მხარე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ისტორიული ჰერეთი (ალბანეთი) ერქვა კახეთს თელავის ჩათვლით, ეს მტკიცება კი ძირითადი საფუძველია მეორე მხრის ასეთივე მტკიცებისა, რომ ალბანეთი ერქვა კახეთის უმეტეს ნაწილს, შესაბამისად, მათ აქვთ კახეთისა და საინგილოს მიმართ მესაკუთრული განცდა, რადგანაც ჰერეთი ალბანეთის ერთ-

ერთ სახელად მიაჩნიათ. როგორც აღინიშნა, ამასვე წერს კიდეც ქართული ოფიციალური მხარეც. მაგალითად, წერენ –

„ზოგიერთი წყაროს მიხედვით სახელწოდება „ჰერეთი“ აგრეთვე კავკასიის ალბანეთის ტერიტორიასაც აღნიშნავს“
(https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერეთი 9. 08. 2021).

საოცარია, რომ თვით თელავიც კი ალბანური ტომის, ჰერების თავდა-პირველ საცხოვრისად მიიჩნევა. ისტორიკოსი, სამწუხაროდ, არასწორად წერს კიდეც – „თელავში ცენტრის გადატანა, ალბათ, იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ ის კახეთ-ჰერეთის სამეფოს **ორი ძირითადი ეთნოსის – კახთა და ჰერთა განსახლების გზაგასაყარზე მდებარეობდა“.**
ttps://ka.wikipedia.org/wiki/კახეთის სამთავრო#კახეთის სამთავროს ტერიტორია.

„ჰერები – ძველი ქართველური ტომების (ჰერები, სუჯები, ჭილბები, ლბინები) საერთო სახელი. უძველესი დროიდან სახლობდნენ **იორ-ალაზნის** აუზის ტერიტორიაზე. მათი სახელის მიხედვით ძველი ქართული საისტო-რიო წყაროები მთელ მათ ქვეყანას **ჰერეთად** მოიხსენიებენ. ჰერებმა მნიშვნე-ლოვანი როლი შეასრულეს ერთიანი **ქართველი ერის** ჩამოყალიბებაში. ზო-გიერთი მეცნიერის (**გიორგი მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი**) მოსაზრებით, ჰერები თავდაპირველად (**ანტიკურ ხანაში) ალბანურ** ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ“. https://ka.wikipedia.org/wiki/ჰერები

აღნიშნულის გამო ამჟამად უნდა შევეცადოთ შევცვალოთ არასამეც-ნიერო დამოკიდებულება ჭეშმარიტებისა და სიმართლის ძიების გზით, რათა არ განივრცოს და არ განმეორდეს გაცილებით დიდი მასშტაბით ის, რაც, მაგალითად, მოხდა დავთგარეჯის უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრების მიმართ.

ხელახლაა საკვლევი საინგილოსა და სამხრეთ კახეთის ეკლესიების ჭეშმარიტი ისტორია.

კახეთის საეკლესიო მმართველობა

კახეთი ისტორიულ საქართველოში, როგორც აღნიშნული იყო, გამოირ-ჩეოდა იმით, რომ მისი სამმართველო სისტემები, როგორც საერო, ისე საეკლე-სიო, მოქცეული იყო სასულიერო პირების ხელში. მაგალითად, მე-5 საუკუნში – ქართლის მთავარეპისკოპოს გლონოქორის ხელში, მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-11 საუკუნემდე – ქორეპისკოპოსებს ხელში, მე-16 საუკუნიდან, ვიდრე მე-19 საუკუნემდე მისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები – სადროშოები, სასულიერო პირების, კახელი ეპისკოპოსების ხელში იყო.

„მოქცევაი ქართლისაი“ წერს – „და მერმე მეფობდა მირდატ. და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ. და **ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადცა იყო** ბარაზბოდ პიტიახშისაგან **ქართლს და ჰერეთს.** და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გოლგასარი“.
(http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf).

აქ ქართლის ქვეშ იგულისხმება მისი ნაწილი, ისტორიული კახეთი ვიდრე მდ. გიშისწყლამდე, ხოლო ჰერეთი ეწოდება მიწა-წყალს გიშისწყ-ლიდან აღსუმდე. ანუ მთავარეპისკოპოსი გლონოქორი მე-5ს-ში ერისთავობდა ვიდრე თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე.

მე-8 საუკუნიდან კახეთს ასევე სასულიერო პირები, ქორეპისკოპოსები მართავდნენ. ვარდან დიდის ცნობით, წანარები ქართულენოვანი ხალხი იყო და ამის გამო ქორეპისკოპოსი დაუნიშნეს. კახეთის ქორეპისკოპოსები იყვნენ როგორც საერო, ისე სასულიერო მმართველები.

ძველი, საუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელება იყო ისიც, რომ მე-16 საუკუნიდან კახეთის სამეფოში სადროშოების, ანუ ვრცელი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების მეთაურები იყვნენ ეპისკოპოსები

ეპისკოპოსი ბოდბელი სარდლობდა კახეთის სამეფოს მეწინავე სადრო-შოს. ექვემდებარებოდა ქიზიყი კისისხევამდე, იქაური თავადები, აზნაურობა და გლეხობა.

ეპისკოპოსი რუსთველი სარდლობდა კახეთის სამეფოს მემარჯვენე სადროშოს. მას ექვემდებარებოდა გარე კახეთის დიდი ნაწილი კისისხევიდან არაგვამდე, მარტყოფ-საგურამოს ჩათვლით, იქაური თავადები, აზნაურობა და გლეხობა.

ეპისკოპოსი ნეკრესელი სარდლობდა მემარცხენე სადროშოს, ექვემდებ-არებოდა გაღმა კახეთი, ამჟამინდელი საინგილო, კაკ-ენისელიდან გრემამდე, იქაური თავადები, აზნაურობა და გლეხობა.

ეპისკოპოსი ალავერდელი მეფის სადროშოს სათავეში იდგა (მეფის მიერ დანიშნულ პირთან ერთად). სადროშო მოიცავდა შიდა კახეთის დიდ ნაწილს და ტერიტორიას გრემიდან დასავლეთით პანკისის ხეობის ჩათვლით, იქაური თავადები, აზნაურობა და გლეხობა.

მატიანეთა მიხედვით, თავდაპირველად (ძვ. წ. მე-3 ს-დან) კახეთი ქართლის სამეფოში შედიოდა და მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ქართლის სამეფოს (შესაბამისად, კახეთს) ესაზღვრებოდა ჰერეთი.

„მოქცევაი ქართლისაისა“ წერს, რომ ქართლის სამეფოს თავდაპირველი საზღვარი დასავლეთის მხრიდან გადიოდა მდ. ეგრისწყალზე, აღმოსავლე-თით მას, ანუ შესაბამისად კახეთს, ესაზღვრებოდა ჰერეთი – „საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა“. http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf

ასეთივე იყო ფარნავაზის სამეფოს საზღვარიც.

ამ რეგიონის (და შესაბამისად, ქართლის სამეფოს) მოსაზღვრედ ჰერეთი მდებარეობდა – ჰერეთი „ქართლის“ მოსაზღვრე იყო.

აქედან გამომდინარე, კახეთი მდებარეობდა ჰერეთსა და შიდა ქართლს შორის, არაგვიდან ჰერეთამდე მდებარეობდა კახეთის ქვეყანა.

მაგრამ სად მდებარეობდა ჰერეთი?

ისტორიული ჰერეთის საზღვარი გადიოდა მდ. გიშისწყალზე, კერძოდ კი ხაზზე იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეტბა-გულგულამდე, მატიანეთა მიხედვით.

მაგრამ სად მდებარეობდა ტყეტბა-გულგულა?

საერთოდ, საუკუნეთა სიღრმეებში, თანდათან ნელდებოდა ჰერეთის მოხსენიება უკვე მე-11 საუკუნიდან, ხოლო მე-14 საუკუნიდან საბოლოოდ გაქრა მისი სახსენებელი და შესაბამისად, მე-18 საუკუნეში, როდესაც შეიქმნა ვახტანგ მეექვსის სწავლულ კაცთა კომისია, დაინტერესდა წარსული ისტორიით, უკვე აღარავინ იცოდა,სად მდებარეობდა ისტორიული ჰერეთი, მით უმეტეს, აღარ იცოდნენ ტყეტბა-გულგულას ადგილმდებარეობა.

ამ ფაქტის გამო ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც სწავლულ კაცთა კომისიის შრომა დახვეწა, ტყეტბა-გულგულას ადგილმდებარეობის შესახებ გამოთქვა თავისი ვარაუდი. მან შეცდომით ივარაუდა, რომ წყაროებში ნახსენები ტყეტბა-გულგულა თელავთან მის დროს მდებარე სოფელი გულგულა იყო თურდოს ხევზე. აღსანიშნავია, რომ მან თავის წიგნში ასევე მიუთითა, რომ ჰერეთის საზღვარი იყო მდ. გიშისწყალი (შაქის რეგიონში).

ვახუშტის შემდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა ეპოქაში, ისტორიკოსებმა დაივიწყეს მის მიერ ნახსენები ჰერეთის საზღვარი გიშისწყალზე და ჰერეთის ისტორიულ საზღვრად დაასახელეს აღნიშნული თურდოს ხევი თელავის გულგულასთან ერთად.

შესაბამისად, მტკიცების სახე მისცეს მოსაზრებას, რომ ისტორიული კახეთი მოქცეული იყო არაგვსა და თურდოს ხევს შორის, ანუ არაგვსა და თელავს შორის. მათ თელავი და მის სამხრეთით მდებარე ცნობილი პუნქტები და ოლქები, მაგალითად, ბოდბე, გურჯაანი, დავითგარეჯის რეგიონი და საინგილო წარმოსახეს ჰერეთის ისტორიულ ნაწილებად, ანუ ალბანეთის მიწა-წყლად.

ჰერეთის ჩრდილოეთი საზღვარი, როგორც ითქვა, ეწოდებოდა ხაზს გავლებულს იორ-ალაზნის შესართავიდან გოლგოლმდე, ანუ ხილხალმდე (ფილფილამდე).

კახეთში შედიოდა ნეკრესი – „კახეთს ქალაქსა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრეს“ (ქ.ც. I, გვ. 24).

კახეთში იყო „ავჭალა“ და „ლოჭინი“, კახეთის ქალაქი იყო რუსთავი – „რუსთავის ქალაქი“ (საეპისკოპოსო), უჯარმა – ნინოწმიდის საეპისკოპოსო.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით – „ლეონტის წიგნში კახეთის საზღვრები არეულია“(ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 38).

მაგრამ თუ ზემოაღნიშნულ საზღვრებს გავითვალისწინებთ, რომ საზღვარი ჰერეთსა და კახეთს შორის გადიოდა შაქი-ყაბალას ხილხალა-ფილფილასთან, რომელიც იყო რეალურ-ისტორიული ტყეტბა-გოლგოლა, ამ შემთხვევაში ლეონტის ცნობა გამართლდება –

„კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავამდე მთისა კახეთისასა და მტკვარს შუა,

ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ტყეტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“ (ქ.ც. I, გვ. 24).

ჩვენ ვთქვით, რომ საზღვარი ჰერეთისა გადიოდა შაქი-ყაბალას ხილხალა-ფილფილასთან, ეს იყო გოლგოლა, ამ პუნქტიდან იორ-ალაზნის შესართავამდე იდო საზღვარი ჰერეთსა და კახეთის შუა.

შაქი-ყაბალას ხილხალა-გოლგოლადან არაგვამდე მიწა იყო „კახოსისა“ ანუ ისტორიული კახეთი.

კახოსსა და კუხოსს შორის ანუ კახეთსა და კუხეთს შორის საზღვრები ასე გადანაწილდა – მათ შუა იდო გომბორის ქედი, რომელსაც ლეონტი „კახეთის მთას“ უწოდებს. ანუ კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან საზღვრავდა გომბორის ქედი. ამ მთის, ანუ გომბორის ქედის სამხრეთ მწვერვალს ლეონტისთან ჰქვია თავი კახეთის მთისა, „თავი კახეთისა“. ანუ კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ყოფდა გომბორის ქედი. ორივეს სამხრეთით იდო ჰერეთი.

კახეთის საზღვარი გადიოდა კავკასიის ქედზე.

კახეთიცა და კუხეთიც არაგვიდან იწყებოდა. მდ. იორი კუხეთის მდინარე იყო, ალაზანი – კახეთისა.

სამხრეთი საზღვარი, როგორც ითქვა, იდო გოლგოლა-ტყეტბასა და იორ-ალაზნის შესართავიდან გავლებულ ხაზზე. ტყეტბა-გოლგოლას, ჩვენი კვლევით, ამჟამად უწოდებენ „ხილხალას“ ანდა „ფილფილის“, პუნქტებს შაქთან ახლოს, აგრიჩაი-გიშისწყლის სათავეში (აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი), კავკასიის ქედზე. ანუ, კახეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა შაქის ხილხალადან – იორ-ალაზნის შესართავამდე.

გომბორის ქედს ძველად „კახეთის მთას“ უწოდებდნენ, ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ყოფდა.

ამ საზღვრებში კახეთსა და კუხეთს აღიარებდა ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია ვიდრე XX საუკუნემდე, ვიდრე პატკანოვ-მარის ქართიზაციის თეორიის მომხრეებმა არ შეიტანეს ეჭვი ამ საზღვრებში და ჰერეთის საზღვარი თელავამდე მოიტანეს.

ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია აღნიშნულ საზღვრებს რომ აღიარებდა XX ს-მდე, ეს ჩანს მისი საუკეთესო გამომხატველის იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან, რომელშიც ყმაწვილებს უხსნიდა – „**ცივ-გომბორის მთა კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა, აღმოსავლეთის ნაწილს, „შიგნით კახეთი“ ჰქვია, აქეთას – დასავლეთისას – „გარეთ კახეთი“, უწინდელს დროში პირველს „საკუთრივ კახეთს“ უწოდებდნენ, მეორეს „კუხეთს“ ეძახდნენ. შიგნით კახეთს ალაზანი რწყავს, გარეთ კახეთს იორი**“, – წერდა გოგებაშვილი, რომელიც იმეორებდა ძველი ქართული საისტორიო ისტორიოგრაფიის ათასწლოვან თვალსაზრისს.

როგორც ითქვა, XX ს. საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ არ ცნო ეს საზღვარები, მან კახეთის მიწა-წყალი თელავამდე ჰერეთში შეიყვანა, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით – „კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრები ზოგჯერ ერთმანეთში ირევა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

კახეთ-ჰერეთის საზღვრები ისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუთხე ჰეგემონობდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში და თავის საზღვრებს აფართოებდა, მაგალითად, ერთ პერიოდში (IX-X სს.) ჰერეთი – კახეთსაც მოიცავდა, და პირიქით, კახეთში ჰერეთის ნაწილიც შედიოდა“ (იქვე, გვ. 41).

ასეთი მიზეზების გამო „ვახუშტის ჰერეთისა და კახეთის საზღვრების შესახებ მასალები არ ჰქონია“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 41).

წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე, რომელსაც ძველად ბოდი (ბოდინი) ერქვა საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის მიხედვით, ალბანეთში ანუ ჰერეთში შედიოდა, რადგანაც გულგულას თელავთან ათავსებდნენ.

ამ თვალსაზრისითაა მიღებული ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრების რუკა მოსკოვში დასტამბულ – „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“. აქ ალბანეთის საზღვრებში შედის ბოდბე და ალბანეთის საზღვარი მცხეთის სიახლოვესაა გავლებული. მაშინ, როცა წმიდა ნინოს ცხოვრებისა და „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით ბოდბე იყო „ქვეყანა კახეთისა“, ხოლო მეორე ხელნაწერით „ქვეყანა კუხეთისა“ (კოხეთისა, კხოეთისა) და არა ჰერეთისა. ნეკრესი არაა ჰერეთის ქალაქი, არამედ კახეთისა, ამიტომაც გულგულა, რომელიც მის ჩრდილოეთითაა, ცხადია, კახეთს ეკუთვნოდა.

როგორც ითქვა, ჰერეთის სამეფოს X საუკუნისათვის თავისი საზღვრების გაფართოების დროს კახეთის ზოგიერთი მოსაზღვრე სოფელ-ქალაქი მიუერთებია – ლაგოეთი, კატეხის ეკლესია, კაკი და ზიარი (მელქისედეკის სიგელით), პირიქითაც ხდებოდა როდესაც კახეთი ფართოვდებოდა, მისი საზღვრებიც იზრდებოდა –„კახეთი თავის საზღვრებში ზოგჯერ ქსანსაც კი აქცევდა – მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი ამ დროს კახეთად ითვლებოდა (ლეონ აფხაზთა მეფის ეპოქაში). ასევე კახეთში იყო ლოპოტი, ხოლო დიდოეთი – კახეთის მთიულეთში შედიოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 44).

საერთოდ, რადგანაც ჯუანშერის ცნობით, კახეთი „კლდეებით მოზღუდული ქვეყანა იყო“ – ის, მართლაც კავკასიასა და გომბორის ქედთა შორის იდო.

კავკასიის „კლდეებით“ მოზღუდული თანამედროვე საინგილოც კახეთში შედიოდა და არა ჰერეთში, რადგანაც წმ. არჩილის ცხოვრების მიხედვით, საინგილო კახეთს ეკუთვნოდა VIII ს-ში:

არჩილ მეფე VIII ს-ში არაბობის გამო საცხოვრებლად გადავიდა კახეთში – „მოვიდა არჩილ კახეთად... აღაშენა ეკლესია სამძორს... დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს – ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი... იძულებით მონათლნა არჩილ“, – წერს ჯუანშერი (ქ.ც., ტ. I, გვ. 244).

ე.ი. ქართლის მეფის არჩილის საბრძანებელში შედიოდა კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე თუშეთიდან ნუხპატამდე. ამასთან ერთად, წუქეთი ხუნძეთით მისი გავლენის სფეროში შედიოდა ჯუანშერის თხრობით (იქვე, ქ.ც., ტ. I, გვ. 244). ნუხპატი, შაქის რეგიონის აღმოსავლეთით, ციხე-ქალაქად უქცევია ქართლის მეფეს. ამის გადმოცემისას ნახსენებია პუნქტი –

„ორთა წყალთა შუა“ – ე.ი. იორ-ალაზნის ურთიერთშერთვის ადგილი და ასევე გულგულა, ანუ შემდგომი შაქისა და კაბალას რეგიონში მდებარე პუნქტი ხილხალა. აქამდე აღწევდა ქართლის სამეფოს საზღვარი.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საინგილო შედიოდა არა ჰერეთში (ალბანეთში), არამედ კახეთში, ე.წ. „შიგნით კახეთში“. ასე მიიჩნევდა ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფია საბჭოურ პერიოდამდე.

კამბეჩანი, ხორნაბუჯი და შაკიხი (შაქი)

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ასევე არასწორად განსაზღვრა კამბეჩანის ადგილმდებარეობა, მას უწოდებენ „კამბეჩოვანს“ და ათავსებენ ქიზიყის რაიონში, რაც არასწორია, რადგანაც გვაქვს წყარო მე-7 საუკუნისა, ანუ იმ ეპოქისა, რომელშიც გვაინტერესებს კამბისინეს, ანუ კამბეჩანის ადგილმდებარეობა, რომლის მიხედვით, კამბეჩანი მტკვრის ხეობაში მდებარეობდა.

მე-7 ს. წყაროს „სომხური გეოგრაფია“ ცნობით კამბეჩანი მდებარეობდა მტკვრის ხეობაში და არა ქიზიყში.

საერთოდ, სიღნაღის რაიონის მიწა-წყალი მიიჩნევა ქიზიყად, აქედან კი მინგეჩაურის წყალსაცავი ძალზეა დაშორებული, თანაც ეს რაიონი იორ-ალაზნის შუამდინარეთის ჩრდილოეთითაა და არა მტკვრის ხეობაში, შესაბამისად, კამისენა-კამბეჩანი არაა სიღნაღის რაიონის ტერიტორია.

– Согласно **«Армянской географии»** VII века, Камбечан область Кавказской Албании, расположенная на реке Кура. Она была меньше античной Камбисены – статья из **Encyclopædia Iranica.** Marie Louise Chaumont. https://ru.wikipedia.org/wiki/Камбисена

კამბეჩანი მდებარეობდა არა იორის ვაკეზე, არამედ იქ, სადაც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავია, რადგანაც ქართლის ცხოვრების მიხედვით, კამბეჩანის **„შიგნით მინდორნი ყოფილა გორებით შემოზღუდული**“ (ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 43). გორებით შემოზღუდული იყო ის ადგილი, სადაც ამჟამად დგას მინგეჩაურის წყალსაცავის წყალი, ეს გორები ზღუდავს მას და ქმნის წყალსაცავის ნაპირს. ამასთანავე, კამბეჩანი **„კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი იყო“** (იქვე, გვ. 43).

რადგანაც ჩვენი გამოკვლევით კახეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა იორ-ალაზნის შესართავიდან შაქის ხილხალა-გულგულამდე, ამიტომაც მის „სამხრეთ-აღმოსავლეთით“ სწორედ გორებით შემოზღუდული ვრცელი ვაკე-მინდვრიანი ადგილი იყო, რომელიც ამ გორებით შემოზღუდულობის გამო კარგი საშუალება აღმოჩნდა დიდი წყალსაცავის („ზღვის“) შესაქმნელად. ათეულ (70) კილომეტრზე გადაჭიმული მინგეჩაურის ამჟამინდელი წყალ-საცავი გორათა შუა დაგუბებული წყალია, ხოლო იორის ვაკე არ არის გორებით მოზღუდული. მინგეჩაურის წყალსაცავის სიგრძე 70 კილომეტრია, ხოლო სიგანე 18 კმ. მის მიერ დაკავებულ ფართობში შესაძლებელია მიმდებარე ორი რაიონის მოთავსება, რადგანაც ერთი რაიონის სიგრძე დაახლოებით

30–35 კილომეტრია. მაშასადამე, მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილზე მდებარე კამბეჩანი დიდი რეგიონი ყოფილა თავისი ქალაქებითა და სოფლებით.

ჯუანშერის ცნობით, „ქალაქი კამბეჩანისა არის ხორნაბუჯი“ იორ-ალაზნის შესართავთან. არსებულა „ქალაქნი კამბეჩანისანი“ და ის სომხური გეოგრაფიით, „მტკვრის სანახებთან“ ყოფილა (იქვე, გვ. 44). ასეთი ადგილია აღნიშნული მინგეჩაურის წყალსაცავი, რომელიც ბუნებრივი შესაკრებელია იორ-ალაზნისა და მტკვრის წყლებისა. როგორც ითქვა, იორ-ალაზნის შესართავთან მდებარე „ქალაქი კამბეჩანისა არის ხორნაბუჯი“.

ლეონტის ცნობითაც, ხორნაბუჯი ყოფილა „შესაკრებელთა ორთავე ალაზანისა“, ხოლო ვახუშტის, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, არ ჰქონია ზუსტი ცნობები ჰერეთის საზღვრების შესახებ, წერს – „ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასტყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 48).

ლეონტის „კახეთის მთა“ – ვახუშტის „ჰერეთის მთაა“ – ესაა ცივ-გომბორის ქედი. ასე რომ, კამბეჩანი და მისი ქალაქები, ჩანს, მინგეჩაურის წყალსაცავის მიერაა დაფარული და მისი შემოგარენია.

შაკიხში, ანუ შაქში ბაგრატიონების ჩასახლების შესახებ მოგვითხრობს ჯუანშერი, რომ ეს ტერიტორია (შაქი) არჩილ მეფის გავლენის სფეროში შედიოდა და მან იქ მამულები მისცა ტარონიდან შემოსულ სამ ბაგრატიონ ძმას, ადარნასე ბრმის ნათესავებს.

შაქში დამკვიდრებული ბაგრატიონების ტერიტორიის საზღვარი გადიოდა – შაქის გულგულა-ხილხალა-ფილფილასთან, რომელზეც უკვე ქართლის სამეფოში შემავალი კახეთი იდო.

შემდგომ ტარონიდან ჩამოსულმა ამ ბაგრატიონებმა შაქისა და კაბალას რეგიონში თავიანთი გავლენის გავრცელება შეძლეს, რადგანაც კავკასიის მთისწინეთი ვიდრე რანამდე გაუკაცრიელებული იყო. არჩილთან მისული ტარონელი ძმები შემდგომ, ჩანს, იწოდნენ ჰერეთის ბაგრატიონებად, რომელთაც თავიანთი გავლენა განავრცეს ვიდრე შემახიის მთებამდე. ჰერეთი, შესაბამისად, დინარა დედოფლამდე მონოფიზიტური ყოფილა, ანუ VIII ს-დან X ს-მდე.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, მემატიანის მიერ ნახსენები გულგულა მდებარეობდა შაქ-კაბალას რეგიონში, ხოლო ჰერეთი გულგულა-ფილფილას მარჯვნივ მდებარეობდა, მტკვარ-არაქსის შესართავის მიმართულებით, უფრო მდ. გიშისწყლიდან ვიდრე აღსუმდე, რომელიც მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდება, დაახლოებით იქ, სადაც მტკვარს მარჯვენა მხრიდან უერთდება არაქსი.

კავკასიის მთისწინეთის მიწა-წყალი ჰერეთის ბაგრატიონებს ეკუთვნოდათ უკვე VIII ს-დან. როგორც ითქვა, ჰერეთის ფილფილა-გულგულას მარცხნივ იდო კახეთი, შაქის რეგიონი ტარონელი ბაგრატიონების თავდაპირველი მამული იყო არჩილის დროიდან.

ბაგრატიონების მეთაურობით ჰერეთი გაძლიერდა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეფოდ და შეძლო კახეთის სხვა ზოგიერთი პუნქტის თავისი

გავლენის ქვეშ მოქცევა, მათ შორის, როგორც ითქვა, შედიოდა ლაგოდეხი (ლაგოეთი) და სხვა პუნქტები.

ჰერეთის სამეფოს მიერ მიტაცებულ კახურ მიწებს დროებით ჰერეთი ეწოდათ ამ მპყრობელობის გამო. ვითარება კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ შეიცვალა და ეს ადგილები კვლავ კახეთს დაუბრუნდა. ისინი მალევე კვლავ კახეთად იქცნენ.

უნდა ითქვას, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვები კახეთი, შაკიხი, კუხეთი თუ კხოეთი ერთი წარმოშობისაა.

მაგალითად, „შაკიხი“ შეიძლება ასე დაიყოს „შა-კიხი“. შა – შეიძლება იყოს სადაურობის აღმნიშვნელი პრეფიქსი სა, მაშინ „შაკიხი იქნება „სა-კიხი“, ანუ „სა-კახო“, ან“სა-კუხო“. ასეთი ეტიმოლოგიური თანხვედრობა აჩვენებს, რომ შაკიხის (შაქის) და კახეთის მოსახლეობა ერთი ეთნიკური სფეროს ნაწილები იყვნენ.

შაკიხში (შაქში) ბაგრატიონების ერთი შტოს დამკვიდრების შესახებ მემატიანე წერს – „ხოლო ძმისწული ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემ-კვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვიდრო ქმნილ იყო... დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“ (ქ.ც., I, გვ.244).

აქედანაც ჩანს, რომ გულგულა არ შეიძლება იყოს პუნქტი თელავთან, რადგანაც შაკიხელი ბაგრატიონები არჩილ მეფემ გადასვლის შემდეგ დაასახლა კახეთის ერთ-ერთ კუთხეში და თუკი ისინი დაეპატრონენ კახეთის ტერი-ტორიას ვიდრე თელავამდე, მაშინ გამოდის, რომ მათთვის არჩილს თავისი სამეფოს ძირითადი და უმეტესი ტერიტორია მიუცია, მაგრამ ეს ასე რომ არ იყო იქიდანაც ჩანს, რომ არჩილ მეფე ნუხპატის ციხე-ქალაქში დამკვიდრდა. ანუ ნუხპატი კვლავ ქართლში დარჩა და არჩილის დროს სატახტო ქალაქად იქცა, ხოლო შაკიხი ტარონელებს მიეცა. ნუხპატი და შაკიხი არ იყო ერთი და იგივე პუნქტი, მაგრამ ახლოს მდებარეობდნენ ერთმანეთთან.

აქედან გამომდინარე, რადგანაც ტარონელებს მხოლოდ შაკიხი მიეცათ ვიდრე გულგულამდე, ანუ ჩვენი კვლევით ფილფილა-ხალხალამდე (ამჟამინდელ ოგუზის რაიონში), მიცემული ტერიტორიის ფართობი დიდი არ უნდა ყოფილიყო, ის მოქცეული იქნებოდა მდ. გიშისწყალსა და შაქი-ხალ-ხალის შემაერთებელ ხაზს შორის, მაგრამ შაკიხელი ბაგრატიონები, ვინაიდან მალე გაძლიერდნენ, ამიტომ მართალი უნდა იყოს წყარო, რომელიც წერს, რომ თავდაპირველად ტარონელმა ძმებმა დაიპყრეს ჰერეთი, ანუ ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე თეთრწყალ-აღსუმდე, მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა მათ არჩილ მეფემ შაკიხი აღნიშნულ ფარგლებში (ანუ შაკიხიდან-ხალხა-ლამდე (იგივე ტყეტბა-გულგულამდე). ჰერეთთან ერთად ის უკვე დიდი ქვეყანა იქნებოდა განვრცობილი შაკიხიდან ვიდრე აღსუმდე (თეთრწყლამდე).

როგორც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, მშვენიერი ტყეტბა ამჟამადაცაა ხალხალა-ფილფილასთან ახლოს.

სილამაზის გამო მას ადგილობრივები უწოდებენ სახელს „გეიგელ“ (ამ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული სიტყვა „გულგულ“). სახელი გეიგელ ადგილობრივ ენაზე ნიშავს ლამაზ ტბას, მისი ფოტოც არსებობს.

(აქ ალბათ შენიშვნის სახით შეიძლება გავიმეოროთ, რომ სახელი „გულგულა“ შეიძლება იყოს თურქულ-თათრული წარმოშობისა. „გეიგელ“ (გოგოლ) ნიშნავდეს ლურჯ (ლამაზ) ტბას. ყოველ შემთხვევაში, ეს სახელი რამდენიმე ლამაზ ტბას ეწოდება აზერბაიჯანის ჩვენთვის საინტერესო რეგიონში. **Гёйгёль** (голубое озеро) – озеро в западной части **Азербайджана**, расположенное на территории **Гёйгёльского района**, თუ ასე იყო, მაშინ შესაძლოა, თელავთან ახლოს ლამაზ ტბას შემოსულმა თურქ- სელჯუკებმა ეს სახელი გეიგელ უწოდეს, რაც ქართულად გულგულად გაჟღერდა. აქვე, თურქული მოგვიანო წარმოშობისაა, მაგალითად, სახელი „ბახტრიონი“. ამის თქმა იმისთვისაა საჭირო, რომ სახელი გულგულა მრავალ ადგილს უნდა რქმეოდა სხვადასხვა რეგიონში მე-11 საუკუნიდან, რაც თურქულენოვანი ხალხი გამოჩნდა ამ რეგიონებში, სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა სახით. ერთ-ერთი გულგულა შაქთანაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც აქ მართლაცაა შესანიშნავი ტყე-ტბა ამჟამინდელ სოფლებთან – ხალხალა და ფილფილი, ეს ფოტოზეც ჩანს).

შაკიხი (შაქი) იქცა ნაწილად ჰერეთისა, რომელიც იქამდე ხილხალა-გულგულადან აღმოსავლეთით, ვიდრე შამახიის მთებამდე ვრცელდებოდა.

შაკიხიც და კახეთიც იმ დროს (VIII ს-ში) ჭალა-ტყეებით ყოფილა დაფარული.

კახეთის ქორეპისკოპოსი წანარეთიდან ყოფილა წარმომავლობით და ალბათ ამიტომ, ჩანს, კახეთის მმართველი ხელისუფლება წანარების ხელში იყო, შესაბამისად, კახეთის ჯარებსაც წანარებს უწოდებდნენ ხოლმე.

ამჟამად მიიჩნევა, რომ წანარები ყაზბეგის რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, სანარია შესაძლოა იყოს სამურის ხეობა. წანარები ხშირად იხსენიება გარდაბნელებთან კავშირში, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე გაცილებით უფრო ახლოს იყო სამურის ხეობასთან, რომელიც კახეთის მთიულეთში მდებარეობდა.

შაქელებისა და ამ წანარების ლაშქარი საქართველოს მეფის გვერდით იდგნენ განსაკუთრებული კრიზისების დროს, მაგალითად, ბასილი II-ის შემოჭრისას – გიორგი I-ს ამ დროს „მოუვიდნენ მეშველნი წანარნი და შაქნი“. რაც ერთიან ეროვნულ თვითშემეცნებაზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, ჰერეთისა და კახეთის საზღვარი გადიოდა იორ-ალაზნის შესართავთან შაქის გულგულა-ხილხალამდე. ჰერეთი ამ ხაზიდან ვიდრე შემახიის მთებამდე (მდ. თეთრწყლამდე) ვრცელდებოდა. მისი დასავლეთი ნაწილები იყო კამბეჩანი (მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას) და შაკიხი (მის ჩრდილოეთით).

ჩანს, VIII საუკუნიდან იქ დამკვიდრებული ტარონელი ბაგრატიონების ხელშეწყობით სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ დათრგუნა ჰერეთის ქალკედონიტური ქრისტიანობა და სპარს და არაბ დამპყრობელთა ნებით,

რომელნიც სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას უჭერდნენ მხარს – ჰერეთი ალბანეთთან ერთად სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში შეიყვანა, ვიდრე დინარა დედოფლამდე (X ს.).

ამ ეპოქაში ჰერეთს ალბანეთის ნაწილადაც მიიჩნევდნენ და ამ ეპოქის აღმწერი ზოგიერთი ქართული წყარო ალბანეთს – ჰერეთს უწოდებს. მაგალითად, არსენ საფარელი თავის თხზულებაში – „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“.

ჩვენს მიერ ჰერეთად სახელდებულ ქვეყანას, სხვა ტერიტორიებთან ერთად, ჩანს, სომხური გეოგრაფია; ალბანიას უწოდებს – ივ. ჯავახიშვილი წერს – „სომხური უსახელო გეოგრაფია ალბანიას მდ. მტკვარსა და კავკასიის მთებს შუა ათავსებს და კამბეჩანისათვის მტკვრის სანახები აქვს მიკუთვნებული“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ.44).

კამბეჩანი, სომხური გეოგრაფიით, მტკვრის სანაპიროზე ყოფილა, რასაც ჩვენი გამოკვლევაც ადასტურებს. ამიტომაც არ არიან მართალნი XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც კამბეჩანს უფრო ჩრდილოეთით, იორის ხეობაში ათავსებენ.

დასკვნა: ალბანეთი, ანუ ქართულად, ჰერეთი, მტკვარსა და შაქ-გაბალას მიმდებარე კავკასიის მთებს შუა იყო მოქცეული, როგორც ამას სომხური გეოგერაფიაც აღნიშნავს, ხოლო კამბეჩანი – შაქის დასავლეთით მიმდებარე მტკვრის ხეობაში.

შენიშვნა ჰერეთსა და კამბისენასთან დაკავშირებით

სომხური გეოგრაფია მე-7 საუკუნისა კამბეჩანს მტკვრის ხეობაში ათავსებს, რადგანაც ის იყო არა ამჟამინდელი ქიზიყი, არამედ, მიწა-წყალი ქიზიყის მომიჯნავედ, მისი სამხრეთი მეზობელი, რომელიც, ძირითადად, ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით.

კამბეჩანის (კამბისენა) ადგილას დაგუბებული მინგეჩაურის წყალსაცავი 70 კილომეტრის სიგრძისა და შესაბამისი სიგანისაა, ფარავს მნიშვნელოვან რეგიონს.



კამბისენა – გორებით შემოსაზღვრული ოღროჩოღრო ტერიტორია, სტრაბონის ცნობით
ხორანთა #/media/ფაილი:Kura-Alazani-Iori_(1941)_5_verse_map.jpg
Caucasus_map_-1869-_%2810_verst%29_D-4.jpg

მინგეჩაურის წყლის დაგუბებამდე, ამ წყალსაცავის ადგილას მდებარე კამბისენაზე (ანუ მტკვრისა და ალაზნის შესართავის ჭაობებსა და ასევე, აქაურ კლდეთა შორისში) გადიოდა ალბანეთიდან იბერიაში შემავალი გზა, სადაც ერთმანეთს, სტრაბონის შესაბამისად, ემეზობლებოდა იბერია, არმენია და ალბანია. ის იყო გორებით შემოსაზღვრული, ჭალებით, საძოვრებითა და ნაყოფიერი სავარგულებით დაფარული რეგიონი, სადაც მრავალი ალბანური ქალაქი მდებარეობდა. ხოლო, რაც შეეხება საკითხს, თუ სად მდებარეობდა ბოდბე, გურჯაანი, საინგილო, დავითარეჯი და სხვანი, ისინი განლაგებული იყო არა კამბეჩანში, არამედ კახეთ-კუხეთ- კხოეთსა და მის მომიჯნავე ოლქებში.

კახეთსა და ჰერეთს (ანუ იბერიასა ალბანეთს) შორის საზღვარი მტკვარ-ალაზან-იორის შესართავთან გადიოდა და შემდგომ მიუყვებოდა ალაზანსა და მის შენაკადს – გიშისწყალს, ანდა იქვე გამდინარე ალიჯანჩაის, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და დაბლობზე მტკვარს უერთდება, ისევე, როგორც პლინიუსის მიერ ნახსენები მდ. ოკაზანი. გიშისაწყალი და მისი შემავსებელი ღელეები სათავეს იღებს შაქის მახლობელ კავკასიის მთებში, როგორც სასაზღვრო მდინარის ნიშნების შესახებ მიუთითებდა პლინიუსი და როგორც ეს აღნიშნულია თანდართულ რუკაზე.

https://ru.wikipedia.org/wiki/Дагестан#/media/Файл:Caucasus_1380_map_de_alt.svg

თავის დასკვნა

ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და დავითგარეჯი არასოდეს შედიოდა ისტორიულ ალბანეთში, რომელიც მე-7 საუკუნის ბოლოსათვის გაქრა. რაც შეეხება ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ, თუმცა მონოფიზიტური ხელისუფლების ქვეშ მყოფ სახელმწიფო ჰერეთს, ის მე-8 საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა და მდებარეობდა გიშისწყლიდან (ან ალჯანჩაიდან) ვიდრე მდ. აღსუმდე,ანუ მდ. თეთრწყლამდე, მისი საზღვრები შემდგომში, მეზობლების ხარჯზე გაიზარდა (მე-9 საუკუნიდან), მათ შორის კახეთის ხარჯზე, არაბთა დახმარების შედეგად.

მას შაქის ჰერეთი, ანდა შაქის სამეფო ეწოდებოდა ადარნასე II-ის დროიდან. მისი (ანდა მისი ძის) მეუღლე ყოფილა წმიდა დინარა დედოფალი.

არცახ-ხაჩენ-არან-კამბეჩან-შაქის დიდი მთავრის გრიგოლ ჰამამის გარდაცვალების შემდეგ მისი სამთავრო დაიშალა, ის ერთმანეთს შორის გადაინაწილეს მისმა შვილებმა, ადარნასე დაეუფლა აღნიშნულ – შაქის ჰერეთის მიწა-წყალს.

ეს პოლიტიკური პროცესი შაქის ჰერეთის მოსახლეობისათვის განმანთავისუფლებელი პოლიტიკური მოვლენა იყო, რომელმაც მათი ქვეყანა გაათავისუფლა არან-არცახის სომხური სამთავროს ბატონობისაგან.

პოლიტიკური წარმატების შემდეგ შაქის ჰერეთის ხალხი ნატრობდა, რომ მონოფიზიტური ეკლესიის უღლისაგანაც გათავისუფლებულიყო, მათი ეს სწრაფვა გამოჩნდა შემდგომში განვითარებული მოვლენებიდან, როდესაც მათმა დედოფალმა დინარამ თავისი დიდი ღვაწლის შედეგად, ჩვენი წყაროს სიტყვით, ჰერეთში მწვალებლობა აღმოფხვრა და ის დედა ქართულ ეკლესიას დაუბრუნა.

თავი V

არმენიისა და ალბანეთის „იბერიული ზოლი“

შესავალი

ნ. ადონცი ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ არმენიაში მცხოვრები მკვიდრი ქართველების განსახლების არეალს „არმენიის იბერიულ ზოლს“ უწოდებს.

ის გულისხმობს პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში არმენიაში შემავალ მიწა-წყალს შავი ზღვის სანაპიროდან და არმენიაკონის თემიდან ვიდრე მტკვრამდე და კამბისენამდე. იბერები აქ ქრისტეშობამდეც ცხოვრობდნენ, რასაც აპოლოდორესა და სტრაბონის ცნობებიც ეთანადება.

„არმენიის იბერიული ზოლის“ მიწა-წყლის დიდ ნაწილზე, შემდგომში ბიზანტიამ ჩამოაყალიბა თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემი“, რომელშიც თეოდოსიოპოლისი (არზრუმი) და ანისი შედიოდა.

არმენიის იბერიული ზოლის მკვიდრი ქართველობა საბოლოოდ გასომხებული იქნა სომხური ეკლესიის მიერ, ისევე, როგორც მახლობლად მცხოვრები ალაბანელები. მხოლოდ მათმა ერთა ნაწილმა შეძლო ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება ქალკედონიტობის საფარქვეშ ტაოსა და მის მახლობელ ოლქებში ეროვნული სახელმწიფოს, „ქართველთა სამეფოს“ დაარსებით.

შემდგომ საუკუნეებში მისი ხალხი ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლისას აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგოს დიდ სამთავროში. ქართველთა ამ სამთავროს სამხრეთი საზღვარი ოსმალთა ეპოქის დასაწყის საუკუნეებში არზრუმამდე აღწევდა. დაპყრობის შემდეგ არსებული წესების შესაბამისად, აქაური ხალხი თავიანთი აღმსარებლობის მიხედვით გადანაწილდნენ ოსმალეთში არსებულ რელიგიურ მილეთებში, სამცხე-საათაბაგოს ქართველობა ძირითადად ბერძნულმა და სომხურმა მილეთებმა გადაინაწილეს ერთმანეთს შორის, რადგანაც ოსმალეთ- ქართული რელიგიური მილეთი არ არსებობდა. ამ პროცესმა საბოლოოდ დაასრულა აქაური ქართველების დენაციონალიზაციის პროცესი, ისინი ძირითადად გასომხებული ანდა გაბერძნებულნი იქნენ.

შედარებით სხვაგვარი იყო კავკასიის ალბანეთის მკვიდრი ქართველების ისტორიის მსვლელობა.

ჩვენი კვლევით, ალბანეთის 26 სხვადასხვაენოვან ტომს შორის ზოგიერთი იყო ქართულენოვანი, მათ შორის ჰერები.

საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის, პლინიუსის ცნობით, გადიოდა კავკასიის მთებიდან გამომავალ იმ მდინარეზე,რომელიც აქვე, ბარში მტკვარს უერთდებოდა. მართალაც, საუკუნეთა მანძილზე კახეთის სამეფოს სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ალიჯანჩაიზე, რომელიც კავკასიის მთებში იღებს სათავეს და მტკვარს უერთდება ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავთან.

სხვა ცნობით, კახეთის საზღვარი გადიოდა აქაურ მდინარე გიშისწყალზე. ამავე დროს, ის იყო დასავლეთი საზღვარი კავკასიის ალაბანეთისა იბერიასთან, ანუ ამ შემთხვევაში კახეთთან. აქ მთვარი ქალაქია შაქი და ქვეყანას შაქის ჰერეთიც ეწოდება, რადგანაც ალბანეთის ამ დასავლეთ ნაწილში (შაქის ოლქში) ცხოვრობდა ქართულენოვანი ხალხი ალბანეთისა – ჰერები, რომელნიც წმ. დინარა დედოფლამდე მწვალებელნი, ანუ სომხურ-მონოფიზიტური აღმსარებლობისანი ყოფილან.

გარკვეულია, რომ მხოლოდ მე-9 ს-ში შეიცვალა ეს საზღვრები, როცა სამხრეთ კახეთი ჰერეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

შესაბამისად, შაქის ოლქიც იყო გაგრძელება იმ იბერიული ზოლისა, რომელსაც სტრაბონი მოიხსენიებს, როგორც – იბერიული პარიადრეს მთიანეთის კალთებს, ხორძენასა და გოგარენას, მტკვრის იქითა, ანუ მარცხენა სანაპიროს მხარეს უწოდებს, შაქის ოლქსაც ასეთი სახელი, ანუ გარგარების სამეფო ერქვა, რაც ეთანადება სტრაბონის მიერ ნახსენებ გოგარენას სახელს. აქაური ხალხის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ ისლამის მიმდევრი გახდა და გაუცხოვდა.

ერვანდიდები (იარედოსი) – ნაბუქოდონოსორის ეპოქაში იბერების ხელისუფალნი?

ჩვენ გვაქვს უძველეს წყაროთა ცნობები, რომ სპარსეთის აქემენიდური იმპერიების მე-18 და მე-19 სატრაპიები დასახლებული იყო სხვადასხვა ქართული ტომით, როგორც ეს ქვემოთაა აღნიშნული, ამასთანავე გვაქვს სტრაბონის ცნობა, რომ ძვ. წ. 190 წლისათვის არმენიის მეფეებმა, არტაქსიამ და ზარიადრემ ქართულ ტომებს – იბერებს, მოსინიკებსა და ქალდებს წაართვეს ვრცელი მიწა-წყალი პარიადრეს კალთებიდან ვიდრე მტკვრამდე და მტკვრის იქით მდებარე გოგარენა, ხორძენასთან ერთად. ეს ეთანადება მიწა-წყალს ტრაპეზუნტის ოლქიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ამ მიწა-წყლის ნაწილს მიცავდა ქართული ტომებით დასახლებული აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიები.

ეს სატრაპიები შემდგომში ე.წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთ ნაწილში მოექცა.

როგორც ითქვა, თითქმის ამ სატრაპიებს მოიცავდა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა.

მაშასადამე, ეს მიწა-წყალი ქართველებმა დაკარგეს ძვ. წ. მე-2 საუკუნისათვის და მათ შეადგინეს ე. წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთი ნაწილი და ასევე, ე.წ. მცირე არმენია.

ამ მიტაცების შემდგომ გამძაფრდა იქ მცხოვრები იბერების, ხალიბებისა და მოსინიკების არმენიზაცია, არმნოხალიბები ეწოდა კიდეც ქართველთა ერთ ნაწილს.

ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის სტრაბონი და სხვა წყაროები ეთანადება „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობას, რომ მცხეთის ქართლის სამეფოს სამხრეთით მდებარეობდა ქართველთა ქვეყანა „არიან-ქართლი“, რომელიც ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული, როგორც ამას მიუთითებდა არსენ ბერი მე-12 საუკუნეში „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და მათი ენაი ვუწყით“, ანუ არიან-ქართლის ხალხის ენა ქართული იყო.

ზემოთ მოყვანილი ცნობების შესაბამისად, „არიან-ქართლი“ ერქვა ერთად აღებულ პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას, ანუ აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებს.

აღსანიშავია, რომ ამჟამინდელი გამოკვლევებით აქ მდებარეობდა სპარსეთის იმპერიას დაქვემდებარებული ე.წ. ერვანდიდების სახელმწიფო.

ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამ სახელმწიფოს ერქვა არიან- ქართლი.

ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობა, რომ აქაურ მეფეს, აზონის მამას, ერქვა იგივე სახელი იარედოსი. სახელები „ერვანდი“ და „იარედი“ შესაძლოა იდენტური იყოს და ასახავდეს არიან ქართლის მეფეების დინასტიურ სახელს.

ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში არიან-ქართლის მეფის, იარედოსის ძე აზონი თავის დიდებულებთან და ხალხის ნაწილთან ერთად გადასულა ჩრდილოეთში, სადაც მცხეთის ქართლის სამეფო დაუარსებიათ.

ამის შემდგომ კიდევ ერთხანს არსებობდა არიან- ქართლის სამეფო.

ე.ი. ქრისტეშობამდე არსებობდა ორი ქართლის სამეფო, ესენი იყო „არიან-ქართლი“ და მცხეთის ქართლი.

თუკი „არიან-ქართლი“ არის სტარაბონის მიერ ნახსენები პარიადრე-ხორძენა-გოგარენა, მაშინ მას არსებობა შეუწყვეტია ძვ. წ. მე-2 საუკუნეში (არტაქსია-ზარიადრეს დროს) და მისი ქართული მოსახლეობა თანდათან გასომხებულა.

უფრო ადრე, სპარსული აქემენიდური იმპერიის დროს კი მას, როგორც ითქვა, ერვანდიდები მართავდნენ. ერვანდიდებს ამჟამად საყოველთაოდ აკავშირებენ სომხურ სამყაროსთან, მაგრამ წარმოშობით ისინი იყვნენ სპარსელები.

ერვანდი, ბერძნულად ორონტი, ქართულად იარედოსი, საფიქრებელია, რომ ამ დინასტიურ სახელს ატარებდნენ ჩვენი ხალხით დასახლებული მე-18 და მე-19 სატრაპიების, იგივე პარიადრე-ხორძენა-გოგარენას მმართველები, ესაა შემდგომი აიარარატის სამეფო, ჩვენი ფიქრით, იგივე არიან-ქართლი.

აქ მკვიდრები იყვნენ ქართველთა წინაპრები, ხოლო სომხები გადმოსახლდნენ მე-13 სატრაპიიდან, რადგანაც მხოლოდ მე-13 სატრაპიას ერქვა

არმენია, ხოლო მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალზე სომხები არა აბორიგენი, არამედ მოსული ხალხი იყო.

ერვანდიდებს შორის გამორჩეულია ერვანდ I (დახლ. 401–344). ის ცნობილია ქსენოფონტეს ანაბაზისიდან, შესაძლოა ის იყოს აზონის მამა იარედოსი. რადგანაც სახელების მსგავსების გარდა ქრონოლოგიაც თანმხვედრია.

თუმცა, რადგანაც მიმდინარეობდა ხალიბებისა და სხვა ქართული ტომების არმენიზაციის გამალებული პროცესი, უკვე ძვ. წ. მე-5 საუკუნიდან, ქსენოფონტეს დროიდანვე, ამ დინასტიის სახელი სომხებს დაუმკვიდრდა, ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია.

საერთოდ, როგორც ითქვა, ერვანდიდები წარმოშობილნი იყვნენ ცნობილი სპარსული საგვარეულოდან, რომელიც დარიოსის ეპოქიდანვე სახელგანთქმული იყო.

ერვანდიდების დედაქალაქის სახელი „არმავირი“ ეტიმოლოგიურად (არმა-**ვირ**) მიუთითებს, რომ ის ქართველთა ქვეყანაში, „**ვირ**ქში“ მდებარეობდა, რადგანაც ძველ იბერიას სომხურად „**ვირ**ქი“ ერქვა, საიდანაც ამ სიტყვის ფუძე“**ვირ**“ იბერს, ანუ ქართველს ნიშნავს და , ჩანს, სიტყვაში „არმავირი“. მისი ადგილმდებარეობა ცნობილია, ამჟამინდელ დასავლეთ სომხეთის ჩრდილოეთ მხარეს. მის ოლქს, ჩვენი აზრით, მოიცავდა იბერების ქვეყანა „ხორძენა“ (რადგანაც ის პარიადრედან გოგარენამდე იყო გადაშლილი). შემდგომში ხორძენას ოლქი, სტრაბონის ცნობით, არმენიამ მიიტაცა. აქედანაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ერვანდიდების ქვეყანა არ იყო ერთეთნოსიანი არმენია, ის ქართული ტომების, მათ შორის იბერების ოლქებისაგანაც შედგებოდა.

ხორძენას წიაღში უნდა იყოს ჩამოყალიბებული ქართული ოლქები – გუგარქი, ტაო და გარდმანი.

შემდგომი დროის გუგარქი, ტაო და გარდმანი წარმოადგენდა სტრაბონის მიერ აღწერილი ხორძენასა და გოგარენას ნაწილებს, რადგანაც გოგარენა, სტრაბონის ცნობით, მტკვართან მდებარეობდა, პარიადრესა და გოგარენას (ე.ი. პარიადრესა და მტკვარს) შორის კი ხორძენა იყო გადაშლილი.

მართლაც, ამავე არეალზე მდებარეობდა გუგარქი, ტაო და გარდმანი.

ყველა ეს ოლქი კი იბერებს ეკუთვნოდა როგორც ქრისტეშობამდე, ისევე შემდგომ.

არასწორი უნდა იყოს ქართველი მეცნიერების აზრი, რომ ხორძენა მხოლოდ შემდგომი კლარჯეთის ერთი ნაწილი იყო. ჩვენი ფიქრით, ხორძენა პარიადრეს კალთებიდან მტკვრამდე იყო განფენილი, როგორც ეს ჩვენს რუკებზეა ნაჩვენები, რომლებიც სტაბონის ცნობის მიხედვითაა შედგენილი.





Файл:Maps of the Armenian Empire of Tigranes.gif

როგორც ითქვა, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 190 წლისათვის არმენიის სატრაპმა არტაქსიამ იბერებს ომებით წაგლიჯა ეს მიწა-წყალი, რის შემდეგაც იბერიულმა ხორძენამ და გოგარენამ შეადგინა დიდი არმენიის ჩრდილოეთ ოლქები, ხოლო პარიადრეს კალთებმა – მცირე არმენიისა.

ასე რომ, დიდი არმენიის ჩრდილოეთ ტერიტორიები პარიადრედან დაწყებული ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე იბერიული ოლქებისაგან შედგებოდა, ხოლო მცირე არმენია მთლიანად ქართული ტომებით იყო დასახლებული, არმენიული ზედა ფენით, არმენიზაციის მძაფრი პროცესით მოცული.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ და ვთქვათ, რომ ე.წ. დიდი სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი – პარიადეს კალთებიდან, ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე იბერების ისტორიული მიწა-წყალი იყო, რომელიც იბერებს ძალადობრივად წაგლიჯა სელევკიდების სატრაპმა არტაქსიამ, რომელსაც სომხები არტაშს I-ს უწოდებენ.

ის დაინიშნა სპარსეთის ყოფილი იმპერიის მე-19 ანდა მე-18 სატრაპიაში და მან სელევკიდების რომაელებთან დამარცხების შემდეგ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თავის თავს უწოდა მეფე, დაეყრდნო ადგილობრივ შედარებით ორგანიზებულ სომხურ ძალებს და მათი მეოხებით გააფართოვა იქამდე პატარა ქვეყანა არმენია, როგორც გვამცნობს სტრაბონი.

სტრაბონი აღნიშნავს, რომ არტაქსიამდე არმენია იყო მცირე ქვეყანა და ის თავისი ომებით გააფართოვა მეფე არტაქსიამ, ძირითადად ქართული ტომების – იბერების, ხალიბებისა და მოსინიკების ხარჯზე. საბოლოოდ, მან ჩამოაყალიბა სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა დიდი არმენია.

სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიები ქართული ტომებით იყო დასახლებული.

კერძოდ, ჰეროდოტეს ცნობით, მე-18 სატრაპიაში ბინადრობდნენ მატიენები, სასპერები, ალაროდები და შესაძლოა სომხებიც, თუმცა ისინი (სომხები) მის დროს გაცილებით სამხრეთით ცხოვრობდნენ, ხოლო მე-19 სატრაპიაში ბინადრობდნენ მუშკები, ტიბარენები და მაკრონები (პონტოს მხარეს). ორონტი ანუ ერვანდი, იარედოსი – მატიენების, სასპერებისა და ალაროდების სატრაპი იყო. მის სატრაპიაში არმენები ახალი შესულები იყვნენ.

ცნობილია, რომ სასპერები იბერიული ტომები იყვნენ.

ქართული ტომები იყვნენ მუშკები ანუ მესხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები.

მოვსეს ხორენაცი, შეიძლება ითქვას, მიუთითებს კიდეც, რომ მე-18 და მე-19 სატრაპიები იბერებით იყო დასახლებული, კერძოდ, ის ასე ხსნის ამ ყოფილი სატრაპიების მომცველ ოლქებში იბერების ცხოვრებას – იმეორებს ძველი მწერლების ცნობას, რომ ნაბუქოდონოსორმა გაილაშქრა სამხრეთში მდებარე ლიბიასა და „ვერიის“, ანუ ივერიის ძველ ქვეყნებში, აქედან მან იბერების ერთი ნაწილი გადაასახლა ჩრდილოეთით, პონტოს ზღვის პირზე და კავკასიაში (ე.ი. იქ, რომელიც შემდეგში მოიცვა აღნიშნულმა სატრაპიებმა და მახლობელმა ოლქებმა.). ერთერთ ასეთ ქვეყანას სომხები გუგარქს, ანუ ქართველთა ქვეყანას უწოდებდნენ. ამ ქვეყანას, ხორენაცის ცნობით, ძვ.წ. მე-2 ს-ში ხელისუფალი დაენიშნა მითიური სომეხ-მიდიელი მეფის ვალარშაკის მიერ. იბერების ხელისუფალს უწოდეს „გუგარქის ბდეხში“

Валаршак утвердил за отпрысками Гушара Хайкида также княжество Ашоцк и владение Таширк. Наместничество северного края, расположенного против горы Кавказа, он поручает великому и могучему роду и присваивает его родовладычеству титул бдеашха Гугаркского.
https://www.vostlit.info/Texts/rus5/Horen/frametext21.htm

ხორენაცი წერს, რომ ის, ანუ გუგარქის ბდეხში იყო დიდი და ცნობილი გვარის წევრი, ეს გვარი წარმოშობილია დარიოსის ნახარარ, ანუ სატრაპ მიჰრდატისაგან. ის ჯერ დარიოსმა და შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ხელისუფლად დაუდგინა აქ მცხოვრებ იბერებს (ივერებს).

ხორენაცი, როგორც აღინიშნა, წყაროებზე დაყრდნობით უხსნის მკითხველს, რომ ივერები ამ ქვეყანაში (პონტოსპირეთში) ჩამოასახლა ნაბუქოდონოსორმა ლიბიის მეზობელი ძველი „ვერიის“ ქვეყნიდან.

აქ ნახსენებ „ლიბიაში“ უნდა ვიგულისხმოთ „ლუვიის ქვეყანა“, მდებარე მცირე აზიის სამხრეთით, შემდგომდროინდელ კილიკიასთან, აქ ლუვიის მეზობელი „ვერიის“ ქვეყნიდან ივერიელები, როგორც ითქვა , ჩრდილოეთში გადაუსახლებიათ ძვ. წ. მე-6 ს-ში. კერძოდ კი, სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებში.



იბერების გვერდით მცხოვრები ლუვიელების ტერიტორია ძვ. წ. მე-6 ს-ში.
https://www.google.com/search?q=%D0%BB%D1%83%D0%B2%D0%B8%D0%B9%D1%86%

Этот род происходит от Михрдата, нахарара Дария; ე.ი მიჰრდატი იყო დარიოსის სატრაპი ამ მხარეში, ანუ მე-19 სატრაპიაში, მე-19 სატრაპია შედგებოდა ქართული ტომებისაგან, ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ სპარსეთის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ნდობა გამოუცხადა ამ სატრაპს, ანუ მიჰრდატს და ის დანიშნა იქ, ანუ მე-19 და ასევე მე-18 სატრაპიაში მცხოვრები ქართული ტომების ხელისუფლად.

„Алексаидр, приведя его, назначил начальником над пленными из верийских племен, переселенных Навуходоносрром, о чем повествует Абиден в следующих словах: «Великомощный Навуходоносор, который был сильнее Геракла, собрав войска, достиг страны ливийцев и верийцев и, победив и ниспровергнув их, подчинил своей власти. Часть «х он переселил на правобережье Понтийского моря». Верия же является западной окраиной земли“. http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/02.html

როგორც აღინიშნა ზემოთ – Наместничество северного края, расположенного против горы Кавказа, он поручает великому и могучему роду и присваивает его родовладычеству титул бдеашха Гугаркского.

Этот род происходит от Михрдата, нахарара Дария; ე.ი მიჰრდატი იყო დარიოსის სატრაპიას მხარეში, ანუ მე-19 სატრაპიაში, მე-19 სატრაპია შედგებოდა ქართული ტომებისაგან (მოსხები, ტიბარანები, მაკრონები,მარები).

აღსანიშნავია, რომ სპარსეთთან გამარჯვებულმა ალექსანდრე მაკედონელმა ნდობა გამოუცხადა ამ სატრაპს ანუ მიჰრდატს, დანიშნა იქვე, ანუ მე-18 და ასევე მე-19 სატრაპიაში მცხოვრები ქართველების ხელისუფლად. ამათ მოვსეს ხორენაცი „ვერიელებ“, ანუ ივერებს უწოდებს – Алексаидр, приведя его, назначил начальником над пленными из верийских племен, переселенных Навуходоносором, ამ ცნობის მოცემისას ხორენაცი თავის წყაროდ აბიდენოსს, მე-2 საუკუნის ავტორს მიუთითებს, თავის მხრივ, აბიდენოსის წყარო ყოფილა ლუციუს კორნელიუს ალექსანდრე- პოლიჰისტორი (ძვ. წ. 1 ს.), რომელიც ძველ ებრაულ წყაროებს იცნობდა. აბიდენოსი წერდა – „უძლეველმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე ძლიერი იყო, შეკრიბა ჯარი, მიაღწია ლიბიელებისა და ვერიელების ქვეყნამდე, გაიმარჯვა და დაიმორჩილა, მათი ნაწილი გადაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროს მხარეს“ (მოვსეს ხორენაცი, წიგნი მე-2,8).
http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/02.html

იბერების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ ნაბუქოდონოსორის მიერ წერს ევსევი კესარიელიც, რომელსაც წყაროდ ალბათ აღნიშნული ალექსანდრე- პოლიჰისტორის ნაშრომი ჰქონდა.

როგორც აღინიშნა, „ლიბიის“ ქვეშ, რომელიც ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო, უნდა იგულისხმებოდეს მცირე აზიის ქვეყანა „ლუვია“, ვარაუდობენ, რომ ლუვიელი ხალხი, რომელსაც მნიშვნელოვანი წერილობითი კულტურა გააჩნდა, სახლობდა მდინარე გალისიდან (ყიზილ-ირმაკიდან), რომლის ახლოს პარიადრეს ქედია, ვიდრე შემდგომდროინდელ კილიკიამდე, მკვლევარი წერს, რომ ლუვია, ჩანს, მოიცავდა ანატოლიის ცენტრალურ ზეგანს, მდინარე ყიზილ-ირმაკის დასავლეთი მხრიდან. აქედან ის სამხრეთით ვრცელდებოდა – „древнехеттский период Лувия должна была включать как минимум часть Центрально-анатолийского плоскогорья, расположенную к западу от реки Кызылырмак. Во-первых, данный регион находился достаточно близко от Хаттусы и продолжал ей принадлежать даже во времена относительной слабости цоарства Хаттусы,совпадающей с правлением Телипину...

Поэтому его упоминание в древнехетт-ских законах выглядит вполне логичным. Кроме того, у нас нет информации о рас-пространении в данном регионе в позднем бронзовом веке других языков, кроме хеттского, отражавшего политическое господство Хаттусы, и лувийского, по-видимому, принадлежавшего местному населению.
https://www.academia.edu/35135117/К_локализации_Лувии_древнейшего_ареала_обитания_лувийцев

აბიდენოსი, როგორც ითქვა, წერს, რომ ნაბუქოდონოსორმა ვერიელები და ლივიელები (ლუვიელები) პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა.

«...Навуходоносор, ... достиг страны ливийцев и верийцев... их он переселил на правобережье Понтийского моря».

ნახსენებ „ლიბიას“, მაგრამ სინამდვილეში „ლუვიის ქვეყანას“, წყაროს ცნობით, ემეზობლებოდა „ვერია“, ანუ სამხრეთის ივერია, როგორც ზემოთ აღინიშნა, პარიადრეს ქედის მხარეს, მდინარე გალისთან (ყიზილ-ირმაკთან) ახლოს.

ჩანს, იბერები ანუ „ვერიელები“ უფრო მეტად სახლობდნენ მდინარე ყიზილ-ირმაკის ანუ გალისის სათავეებთან, ანატოლიის ცენტრალურ ზეგანზე, საიდანაც ისინი გადაუსახლებით არც თუ მოშორებით – პარიადრეს ქედის მხარეს შავი ზღვისპირეთში.

პარიადრეს ქედს ამჟამად ლაზისტანის ქედიც ეწოდება, მაშასადამე, იბერების ნაწილი ასევე ჩაასახლეს ქვეყანაში, რომელსაც შემდეგ ლაზისტანი დაერქვა.

ლაზებს იბერიულ ტომადაც მოიხსენიებენ, მაგალითად, შემდგომი ეპოქის ტრაპეზუნტის იმპერატორს „იბერთა იმპერატორი“ ერქვა. მისი ოფიციალური ტიტული იყო – „იმპერატორი და თვითმპყრობელი აღმოსავლეთისა და **იბერებისა**“ (Πιστος βασιλευς και Αυτοκρατωρ — πασης Ανατολης, **Ιβιρων** και Περατειας).

თუმცაკი შინაურ წრეებში მას „ლაზების მეფეს“ უწოდებდნენ. აქედანაც ჩანს, რომ **ოფიციალურად ლაზებს იბერები ეწოდებოდათ და ერთ ხალხად მიიჩნეოდა.**

პარიადრეს ქედი, რომელიც სტრაბონის ცნობით, ძვ. წ. მე-2 საუკუნეშიც იბერებს ეკუთვნოდა, იქვე მდებარე „მოსხების ქედთან“ ერთად პონტოს საზღვრავდა ტრაპეზუნტის მახლობლად. ეს სახელიც კი „მოსხების ქედი“, მიუთითებს აქ ქართულენოვან სამყაროს.

სტრაბონი, როგორც მრავალჯერ მივუთითეთ, აღნიშნავს, რომ პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა არმენიის მეფეებმა წაართვს იბერებს –

Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. Они были первоначально полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, стали царями (первый – царем Софены, Акисены, Одомантиды и некоторых других областей, а последний – царем страны вокруг Артаксаты); они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народ-

ностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду; у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью; у катаонов – Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев – Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке. (11.14.5.).
http://ancientrome.ru/antlitr/t.htm?a=1260110000#14-5

პარიადეს ქედსა და მოსხების ქედს ერთი მთიანეთის განშტოებებად მიიჩნევს სტრაბონი – ისინი ევფრატის მხარეს, ე.წ. მცირე არმენიასთან ყოფილან. თუ ასე იყო, ნაბუქოდონოსორს იბერების ნაწილი გადაუსახლებია მდინარე გალისის სათავეებიდან მისი შესართავის მხარეს, შემდგომდროინდელ ლაზისტანში.

Страбон. География

Один из этих отрогов называется Париадром, другой – Мосхскими горами, третий носит различные названия. Горы эти охватывают всю Армению вплоть до Иберии иАлбании. с. 522» https://vstrokax.net/istoriya/armyanskoe-nagore-glazami-kvinta/

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ აქედან, ანუ მცირე აზიის ცენტრალური რეგიონიდან, ოდნავ უფრო ჩრდილოეთით, შავი ზღვისპირეთში გადაუსახლებია ნაბუქოდონოსორს ძველი ივერიელები.

ასეთი ვარაუდის შემთხვევაში ხორენაცისა და სხვათა ცნობები ნაბუქოდონოსორის მიერ ივერიელების შავი ზღვისპირზე გადასახლების შესახებ უფრო ბუნებრივი გამოჩნდება.

ამავე მხარეებს მოიცავდა ასევე ქართული ტომებით დასახლებული აქემენიდური სპარსეთის მე-19 სატრაპია. დასახლებული მოსხებით, ტიბარენებით, მაკრონებით, მოსინიკებითა და მარებით. მოსხების აქ ცხოვრების გამო ქედსაც „მოსხების ქედი“ ეწოდებოდა. აქვე იხსენიება კოლხები, ხოლო მე-18 სატრაპიაში, ჰეროდოტეს აღწერით, ცხოვრობდნენ მატიენები, სასპერები, ალაროდები და სომხები. მე-18 სატარპია უნდა იყოს „ვერია“, ანუ ივერია ლუდიის ქვეყნის გვერდით, რომელიც ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო. ივერიელები ასევე გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სტრაბონის ცნობით, ისინი ხორძენასა და მტკვრის იქით გოგარენასაც ფლობდნენ, რომელთაც არმენიის მეფეების დაპყრობის შემდეგ შეადგინეს ე. წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო მცირე არმენიამ მოიცვა მოსინიკებისა და ქალდების მიწა-წყალი, კერძოდ, ხალიბებისა და მოსინიკებისაგან მიტაცებული კარენიტიდა და ქსერქსენნა – „у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену“

აქემენიდური იმპერიის მე-13 სატრაპიას ეწოდებოდა „არმენია“, აქედან სომხები ფალანგების სახით თანდათანობით შედიოდნენ და სახლდებოდნენ ქალდებისა და იბერების (სასპერების) მიწა-წყალზე მე-18 და მე-19 სატრაპიებში. ეს პროცესი უფრო ადრე დაწყებულა, მაგრამ, მაგალითად, კიროპედიის მიხედვით უფრო გაღრმავებულა აქემენიდი მმართველების დახმარე-

ბით. ისინი, ერთმნიშვნელვნად, სომხებს უჭერდნენ მხარს. მათ სასარგებლოდ მუდმივად მოჯანყე ქალდებს საუკეთესო სახნავ-სათეს მიწებს ართმევდნენ, რომელნიც საბოლოოდ სომხური სოფლებით ივსებოდა. სომხობა (არმენიელები) მუდამ სპარსულ ხელისუფლებას ემორჩილებოდა ქალდებისაგან განსხვავებით, ამიტომაც მხარდაჭერილები იყვნენ სახელმწიფოს მიერ.

აზონის მამის **იარედოსის** სამეფო „არიან-ქართლი“ უნდა იყოს სპარსეთის აქემენიდური იმპერის (ანუ არიანას) მე-18 და მე-19 სატრაპიები, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ ქართული ტომებით – ქალდებით, სასპერებითა და სხვ. არიან-ქართლში ასევე შედიოდა ტაო, კლარჯეთთან ერთად. მეფის სახელი იარედი-იარედოსი, შესაძლოა, მიგვანიშნებდეს, რომ ის იყო აქაური სპარსი სატრაპების – **ერვანდიდების** ოჯახის წევრი. არსენ ბერის ცნობიდან ჩანს, არიან-ქართლის მოსახლეობის ენა ქართული იყო და არიან-ქართლის მეფეები ქართველები იყვნენ, რასაც არსენ ბერიც მიუთითებდა მე-12 საუკუნეში.

მუჰამედისა და ხალიფა ომარის დაცვის სიგელები სომხური ეკლესიის მიმართ და „ქართიზაციის“ საეჭვო თეორია

Грамоты (ферманы) Армянской Церкви Иерусалима от Мухаммеда до Салах-ад-Дина

(Мухамhttp://www.armenianjerusalem.com/ru/грамоты-ферманы-армянской-церкви-иер/меда до Салах-ад-Дина)

მტკიცება საბჭოთა ისტორიკოსებისა, რომ არაბობის ეპოქაში ტაოსა და მიმდებრე მხარეებში, თითქოსდა, „სომხები გაქართველდნენ“ ეკლესიის მეოხებით, აიტაცეს ფილოლოგებმაც (რაც ასახულია, მაგალითად, კორნელი კეკელიძისა და ი. აბულაძის შრომებშიც).

სომხების გაქართველებისათვის, საერთოდ, ერთი ეთნოჯგუფის მიერ მეორის ასიმილაციისათვის საჭიროა საგანგებო პირობები, კერძოდ, ასიმილატორი გარკვეულ პოლიტიკურ ანდა სხვა სახის უპირატესობას უნდა ფლობდეს ასიმილირებულთან შედარებით, ანუ ამ შემთხვევაში, ქართულ ეკლესიას ანდა საერთოდ ქართველობას რაიმე უპირატესობა უნდა ჰქონოდა სომხურთან შედარებით. რადგანაც მიიჩნევა, რომ ეს მოხდა არაბობის ეპოქაში, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ, მაგალითად, მე-10 საუკუნის არმენიაში იბერები ერქვათ არა მხოლოდ ტაოელებს, მათ შორის ბიზანტიელთა მიერ, არამედ კარინის, ვანანდის, შირაკის (ანისის) და სხვა ოლქების მოსახლეობის ერთ ნაწილსაც, ასევე მოსახლეობის არამცირე ოდენობას ვანის ტბის მიმართულებით, იმდენად დიდი იყო იბერების რიცხვი, რომ როდესაც რეგიონში შეიქმნა ამ ოლქების მომცველი სამხედრო-ადმინისტრაციეული ერთეული, მას ბიზანტიელებმა „იბერიის თემი“ დაარქვეს.

სინამდვილეში კი, არაბობის ეპოქაში, ქართველ და ალბანელ მორწმუნეებთან შედარებით სომხებს უდიდესი უპირატესობა გააჩნდათ. სომხური

ეკლესია თითქმის მუდამ მხარდაჭერილი იყო არაბ ხელისუფალთა მიერ, ცხადია, თუნდაც იმის გამო, რომ თვით მუჰამედმა და ხალიფა ომარმა დაუდო სომხურ ეკლესიას სომხური აღმსარებლობის დაცვის სიგელები, ასეთი გამორჩეული პრივილეგიები სომხური ეკლესიის მიმართ საეჭვოს ხდის არაბობის ეპოქაში „სომეხთა გაქართველების“ თეორიას, მით უმეტეს, რომ არაბები სასტიკად დევნიდნენ ქართულ ქალკედონიტურ ეკლესიას პრობიზანტიური ორიენტაციის გამო.

დაცვის სიგელებს სომხები იერუსალიმსა და მთელ არაბულ სამყაროში იყენებდნენ სომხური რჯულის მქონე ქრისტიანების დაცვის მიზნით. წყაროებიდან ჩანს, რომ ყველგან სომხური ეკლესია თანამშრომლობდა არაბ დამპყრობლებთან და დიდ უპირატესობას ფლობდა სხვა ქრისტიანებთან შედარებით, ამის შესახებ ერთი კარგი მაგალითი მოჰყავს მოვსეს კალანკატუაცს, თუ როგორ გააუქმა სომხურმა საკათალიკოსომ ალბანური ეროვნული ეკლესია და არაბული ჯარის დახმარებით ალბანეთის ბოლო კათალიკოსი, ნერსესი, სიკვდილით დაასჯევინა.

626 წელს იერუსალიმის სომეხი პატრიარქი აბრაამი პირადად გამგზავრებულა არაბეთში ისლამის ახალი რელიგიის დამაარსებელ მუჰამედთან და მისგან მიუღია ხელშეუხებლობის სიგელი იერუსალიმის სომხური ეკლესიის მიმართ.

მუჰამედის დაცვის სიგელი სომხური ეკლესიის მიმართ

შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ფაქტი იმისა, რომ მუჰამედს სომხური ეკლესიისათვის არ მიუცია დაცვის სიგელი და ეს საკითხი საკამათო იყოს, მაგრამ რეალობაა ის, რომ ამ სიგელმა ნამდვილად იმუშავა და ის ხელმეორედ დაამტკიცა „მეორე მართლმორწმუნე“ ხალიფა ომარ I-მა.

ხალიფა ომარმა (უმარ1) 634–644 წლებში დაიპყრო ვრცელი ტერიტორიები აზიასა და აფრიკაში, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ მან ცნო მუჰამედის სიგელი ვითრცა სამართლებრივი დოკუმენტი სომხური ეკლესიის მიმართ და თავის მხრივაც ახალი დაცვის სიგელი უბოძა სომხურ ეკლესიას.

ხალიფა ომარის დაცვის სიგელი (638 წ.) სომხური ეკლესიის მიმართ

მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბანისა (656—61) და ეგვიპტის სულტან სალადინის (სალახ ად დინის) დაცვის სიგელები სომხური ეკლესიის მიმართ

სომხური ეკლესიის დაცვის სიგელები გაცემული მუჰამედის, ხალიფა ომარის, ხალიფა ალისა და სულთან სალადინისა ინახება იერუსალიმის

სომხურ საპატრიარქოში. http://www.armenianjerusalem.com/ru/грамоты-ферманы-армянской-церкви-иер

არაბობის ეპოქაში დაცვის ასეთი სიგელებითა და სხვა ხერხებით განმტკიცებული სომეხი იერარქები და საერთოდ სომხური ეკლესია ძალადობრივადაც ცდილობდა თავის იურისდიქციაში მოექცია კავკასიის ქრისტიანები ალბანეთსა თუ იბერიაში (გუგარქსა და ტაოში).

ამის შესანიშნავი მაგალითია მოვსეს კალანკატუაცის ცნობა სომხური ეკლესიის მიერ ალბანეთის ეროვნული ეკლესიის გაუქმების შესახებ. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კავკასიის ალბანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხურ ეკლესიას არაბობამდელ ეპოქაშიც ჰყავდა დამცველი სახელმწიფოები.

არაბებამდე სომხური ეკლესია სრულად პატივდებული იყო სპარს ხელისუფალთა მიერ, რასაც არსენ საფარელიც მიუთითებს თავის ნაშრომში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“.

ამავე მე-7 საუკუნეში, სომხური ეკლესია პატივდებული იყო ბიზანტიის იმპერიის მიერაც, მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ, რომელმაც ქართულ ეკლესიებში „სისხლის მდინარენი“ დააყენა, სომხურ ეკლესიასთან უნია (კავშირი) შეკრა და მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

როგორც ითქვა, შემდეგ თვით ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა და პირველმა ხალიფებმა მიანიჭეს სომხურ ეკლესიას დაცვის სიგელები იმ დროს, როცა მათ მიერ ქართული ეკლესია პრობიზანტიური ორიენტაციის გამო სასტიკად იდევნებოდა. ასეთ პირობებში „სომხების გაქართველება“ ძალზე საეჭვოა, ხოლო ალბანელებისა და ქართველების გასომხება, პირიქით. ამიტომაც არაბობის დროს მოისპო კიდეც ალბანურენოვანი ეკლესია სომხური ეკლესიის მიერ.

არაბობის ეპოქაში სომხები, ზოგადად, მხარდაჭერილნი იყვნენ არა მხოლოდ არაბ ხელისუფალთა მიერ, არამედ ბიზანტიის იმპერიაშიც იკავებდნენ თვალსაჩინო ადგილს ბიზანტიის სახელმწიფოს მაღალ იერარქიაში, მაგალითად, მიიჩნევა, რომ სომხური წარმოშობისანი იყვნენ თვით იმპერატორები – ჰერაკლე (610–641), ფილიპიკე (711–713). არტავაზდი (742–743), ლეონ სომეხი (813–820), ბასილი I მაკედონელი (867–886), მის მიერ დაფუძნებული დინასტია, რომანოზ I (920–944) და იოანე (969–976). ა.კაჟდანის გამოთვლით მე-11, მე-12 საუკუნეებში სომხები შეადგენდნენ 10–15 %-ს მმართველი არისტოკრატიისა. https://ru.wikipedia.org/wiki/Армяне_в_Византии

არაბობის დროს ასეულ ათასობით სომეხი ცხოვრობდა ბიზანტიაში, მხოლოდ 781 წლისათვის ბიზანტიაში გადასახლებულა 50 000 სომეხი. იმპერატრიცა წმ. ირინა და მისი შვილი კონსტანტინე მე-6 (741–775) ოფიციალურად მიესალმნენ მათ კონსტანტინოპოლში. წმ. ირინა იყო მართლმადიდებლობის დამცველი. შესაბამისად, ბიზანტიაში გადასახლებული ის სომხები მაინც, რომელთაც მიესალმა წმიდა იმპერატრიცა ირინა, ქალკედონიტები უნდა ყოფილიყვნენ.

ბიზანტიაში სომხების უმეტესი ნაწილი ქალკედონიტი იყო, აღიარებული აღმსარებლობის შესაბამისად,

726 წლის სომხური ეკლესიის მანასკერტის კრების შემდეგ ქალკედონიტები სომხეთში იდევნებოდნენ, ამ კრებამ მათ ანათემა დაადო, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არმენიიდან ბიზანტიაში უფრო სარწმუნოებრივი თავშესაფრის საძიებლად გარბოდნენ.

ერთი სიტყვით, ბიზანტიაში ქალკედონიტი სომხების რაოდენობა შთამბეჭდავი იყო, საიმპერატორო კარს სამხედრო დანაყოფი – დედაქალაქის ე.წ. „სომხური ლეგიონი“ აკონტროლებდა, რაც იმპერატრიცა წმ. ირინას ცხოვრებიდანაც ჩანს, მისმა შვილმაც კი სომეხი ქალი შეირთო ცოლად.

ამ ფაქტების მითითება საჭიროდ ჩავთვალეთ, რადგანაც საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო ქალკედონიტი სომხები, თითქოსდა, ქართველებად (ივერებად) იწოდებოდნენ, რაც სრული სურათის დანახვის შემთხვევაში აბსურდულადაც კი ჩანს, რადგანაც, როგორც ითქვა, ბიზანტიაში ამ ეპოქაში ასეულათასობით სომეხი ქალკედონიტი ცხოვრობდა და მათ „ივერებს“ არ უწოდებდნენ.

პირიქით, ტაო-კარინის მხარეებიდან გამოსულ ეთნიკურ ქართველებსაც კი სომხებს უწოდებდნენ.

ამ ეპოქის ბიზანტიაში მოღვაწე ქართველები, მაგალითად, გრიგოლ ბაკურიანისძე, ათონელი მამები და სხვები პირადად საჯაროდ და წერილობითაც მიუთითებდნენ, რომ ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ და ამის შესახებ წყაროებიც არსებობს. მიუხედავად ამისა, მაინც მათ (ქალკედონიტ იბერებს) ეთნიკურ სომხებად მიიჩნევენ ყველაზე ცნობილი საიტებიც კი.

ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმჟამად არმენიაში შემავალ ტაო-ბასიან-არზრუმიდან და მახლობელი რეგიონებიდან ბიზანტიას თავს აფარებდნენ ქალკედონიტი ქართველები. მათ ბიზანტიაში სომხებად მიიჩნევდნენ. არმენიიდან ბიზანტიაში ლტოლვილ ქართველებს „სომხებს“ უწოდებდნენ.

არმენიის ქართველთა ბიზანტიაში ლტოლვა გამოწვეული იყო სარწმუნოებრივი დევნით, არმენიაში მცხოვრები ქართველები ანუ იბერები, როგორც წესი, ქალკედონიტები იყვნენ, ქალკედონიტები კი 726 წლიდან არმენიაში სასტიკად იდევნებოდნენ.

726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ ქალკედონიტობა სომხეთში სასტიკად იდევნებოდა. სომხური ეკლესიის მესვეურები ეყრდნობოდნენ არაბული ჯარის დახმარებას, რომელნიც სჯიდნენ პრობიზანტიურ ძალებს, ანუ ქალკედონიტებს. ისევე, როგორც, ამავე მე-8 საუკუნის დასაწყისში არაბებმა სომხური ეკლესიის წაქეზებით ალბანეთიდან განდევნეს ქალკედონიტები, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, დახოცეს ალბანეთის ქალკედონიტი კათალიკოსი და დედოფალი. მსგავსი დევნა ქალკედონიტებისა ამ საუკუნეშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

როგორც აღინიშნა, ტაო-ბასიან-კარინის რეგიონიდან ბიზანტიაში თავშეფარებულ ქართველ ლტოლვილებს „სომხებს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ „არმენიის ივერიული ზოლი“ სომხეთის ნაწილებად მიიჩნეოდა (ტაოს ქართველთა სამეფოს დაარსებამდე).

„არმენიის ივერიული ზოლი“ შეიქმნა არმენიის მიერ მიტაცებულ იბერების ოლქებში – ხორძენე, პარიადრე და გოგარენა, ასევე ქალდებისა და მოსინიკებისაგან მიტაცებულ კარენიტიდასა და ქსერქსენეში.

იქ მცხოვრები იბერების გამალებული არმენიზაციის მიუხედავად, მათ, ნაწილობრივად მაინც, შეძლეს ქართული იდენტობის შენარჩუნება, ეს ყველაზე უკეთ შეძლო ტაოს მკვიდრმა მოსახლეობამ. ტაოს გარდა იბერების არამცირედი მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა თეოდოსიოპოლისში (შემდგომ არზრუმის ოლქში), ბასიანსა და მიმდებარე მხარეებში, იმდენად დიდი იყო მათი რიცხვი ამ რეგიონში, რომ აქ ბიზანტიამ თავისი სამხედრო - ადმინისტრაციული ერთული – „იბერიის თემი“ დააარსა.

შესაბამისად, როგორც ითქვა, ამ რეგიონიდან („არმენიის იბერიული ზონიდან“) ბიზანტიაში ლტოლვილ ქართველებს „სომხებს“ უწოდებდნენ. მათი რიცხვი დიდი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ, არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების თანახმად, ბიზანტიის იმპერატორი ბასილი I მაკედონელი (867–886), რომელიც სომხური წარმოშობისად მიიჩნეოდა, თავის ვაჟებს, ლეონსა და ალექსანდრეს სიყმაწვილისას ქართულ ენას ასწავლიდა, ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ, მართალია, იმპერატორს სომეხს უწოდებდნენ, მაგრამ მან იცოდა, რომ ის არმენიის იმ იბერების წრიდან იყო, რომელმაც თავი შეაფარა ბიზანტიას, ამიტომაც გააჩნდა ინტერესი და სიყვარული ქართული ენის მიმართ.

ისევე, როგორც არაბთა ეპოქაში მიმდინარეობდა ალბანელების არმენიზაცია, ასევე ხდებოდა არმენიის იბერიული ზოლის ქართველობის არმენიზაცია არაბების მიერ დაპყრობილ გუგარქში, ტაოსა, გარდმანსა და სხვა არმენიულ ოლქებში.

არმენიაში მცხოვრები მკვიდრი იბერების გასომხების პროცესის მიუხედავად, საერთაშორისოდ გავრცელებულია არასწორი თვალსაზრისი არაბობის ეპოქაში სომხების გაქართველების შესახებ, ოღონდ დამამტკიცებელ წყაროს ვერ პოულობენ. დაინტერესებული მეცნიერები წყაროს გამრუდებასაც არ ერიდებიან.

თავიანთი თეორია სომხების გაქართველებისა რომ დაასაბუთონ კადრულობენ წყაროს გაყალბებას, მაგალითად, აყალბებენ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, თითქოსდა, ამ ცხოვრების მიხედვით სომხურ ტაოში ქართული მოსახლეობა ჩასახლდა მხოლოდ მურვან ყრუს შემდეგ.

ეს გვერდი სიცრუეს წერს – „Григорий Хандзтели в «Житии» свидетельствует о запустении Тайка ко времени его заселения грузинами“
https://ru.wikipedia.org/wiki/ Тайк

სინამდვილეში, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ არ არსებობს ასეთი ცნობა. იქ აღნიშნულია, რომ ქართულ ქვეყანა კლარჯეთში ჩავიდა წმიდა გრიგოლი თავისი ორიოდე ბერით, კლარჯეთი აშოტ ბაგრატიონის ოჯახს ძველთაგანვე, არაბობამდე ეკუთვნოდა, ის მათი მამული იყო, ამიტომაც მათ თავი აქ შეაფარეს თბილისიდან ლტოლვილობის დროს. ხოლო, რაც შეეხება ტაოს, მართალია, ტაო არმენიის შემადგენლობაში შედიოდა მე-7 საუკუნესა

და მე-8 ს. დასაწყისში, მაგრამ მისი მკვიდრი მოსახლეობა უძველესი დროიდანვე ქართველობა რომ იყო, ჩანს მრავალი წყაროდან, მაგალითად, აქ ახსენებს ქსენოფონტე ტაოხებს, ქალდებსა და მოსინიკებს, ჰეროდოტე აქემენიდური მე-18 და მე-19 სატრაპიების ქართულ ტომებს, სასპერების ჩათვლით, სტრაბონი იბერების ოლქებს – პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას, ქალდებისა და მოსინიკების კარენიტიდასა და ქსერქსენეს. ამ ოლქების მიწა-წყალი მოიცვა ტაომ. ტაოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-იბერიული თვითშეგნება მე-8 საუკუნის შუა წლებიდან გამძაფრდა და დაუკავშირდა ქალკედონიტობის დაუფარავად აღიარებას და საერთო-საყოველთაო სურვილს, განშორებოდნენ სომხურ-მონოფიზიტურ სარწმუნოებას. სომხური ეკლესიისაგან განშორების ნიშანი ტაოში იყო ქართულენოვანი ღვთისმსხურების აღდგენა, სომხური ენის უარყოფა საეკლესიო მსახურებისას. ეკლესიური განშორების შემდეგ ტაოს ქართველობამ მალევე აღიდგინა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობა მე-9 საუკუნეში, ქართველთა სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მე-10 საუკუნეში, მე-11 საუკუნეში მისი ძლიერება ინტერვენციითა და საიმპერატორო არმიის შეჭრით შეაფერხა ბიზანტიის იმპერიამ. წინა საუკუნეებშიც ტაოს მკვიდრი მოსახლეობა ვრცლად იყო განფენილი ტაოდან ვიდრე ვანის ტბამდე, რასაც მიუთითებს ტაოს სამთავროს საზღვრები მამიკონიანების მთავრობისას მე-6 საუკუნეში, ისინი ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ჭანები, როგორც გაარკვია ნ. ადონციმ. მაშასადამე, მე-10 საუკუნემდეც ტაოს საზღვრები აღწევდა ვანის ტბამდე, მამიკონიანების მმართველობისას, აქამდე მიაღწია მამიკონიანების ტაომ, როგორც ითქვა. თვითონ მამიკონიანები ნ. ადონცის ჭანებად, ანუ ეთნიკური წარმოშობით ქართველებად მიაჩნია.



Тайк в эпоху Мамиконянов.File:Armenian regions-expansion of the House of Mamikonian.gif

ამ რუკიდანაც ჩანს, რომ ტაოელები, ანუ იბერები მე-6 საუკუნეშიც კი ცხოვრობდნენ პარიადრეს კალთებზე, მოსხის მთებსა და ევფრატის ხეობაში, რომ ტაო არა მხოლოდ მე-10 საუკუნეში აღწევდა ვანის ტბამდე, არამედ მე-6 საუკუნეშიც, რაც ნიშნავს, რომ ჭოროხის ხეობიდან ვანის ტბამდე და პარიადრეს კალთებამდე.

სტრაბონი კარგად აღწერს, თუ როგორ გაფართოვდა ძვ.წ. მე-2 საუკუნეში პატარა არმენია იბერებისაგან და სხვა ქართული ტომებისაგან მიტაცებული ტერიტორიებით. ამ ტერიტორიებზე არმენიის სახელმწიფოების შექმნის შემდეგაც საცხოვრებლად დარჩნენ ქართველები, არმენიზაციის გამალებული პროცესის ქვეშ.

ტაოს მოსახლეობა ქართული იყო ქსენოფონტეს ეპოქიდან (ტაოხები, ქალდები, მოსინიკები, აქემენიდების დროს სასპერები, ალაროდები, მუშკები, ტიბარენები, მაკრონები და სხვა ქართული ტომები). იბერები არაქსზე უძველეს დროსა და კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაშიც.

Согласно свидетельству **Аполлодора** (140 год до н. э.) граница между **Иберией** и Арменией проходила по **Араксу**.

Аполлодора, передаваемое Страбоном, что **иберов** от армян отделяет р. **Аракс** (Страбон, I, 3, 21).

აპოლოდორის (ძვ. წ. 140) ცნობით, საზღვარი იბერიასა და არმენიას შორის გადიოდა მდინარე არაქსზე. მაშასადამე, იბერები ტაოში ჩასახლდნენ არა მე-9 საუკუნისათვის ანდა აშოტ კურაპალატის დროს, როგორც ამჟამად წერენ, არამედ უზარმაზარი ოლქები მდინარე არაქსის მარცხენა სანაპიროზე, რომელზეც შემდეგ ბიზანტიამ დააარსა იბერიის თემი, მუდმივად, მათ შორის ქრისტეშობამდეც იბერების საცხოვრისი იყო და იქ ისინი უწყვეტად ცხოვრობდნენ, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გასომხდა ანდა, დიდწილად, არმენიზებული იყო. ამის მიუხედავად ბევრმა იცოდა თავისი იბერიული წარმომავლობა, ბევრი სიტყვით სომეხი იყო, მაგრამ თავის გულში იცოდა, რომ ის წარმოშობით ქართველი (იბერი) იყო. ასეთი მოსახლეობის მხოლოდ ერთმა ნაწილმა აღადგინა კიდეც აქ, ტაოში, სახელმწიფო, რომელსაც ქართველთა სამეფო ერქვა.

ამიტომაც არასწორია ამჟამინდელი მტკიცება, რომ აქ ქართველობა, თითქოსდა, ბაგარტიონების დროს ჩასახლდა, მაგალითად, ასე წერს ოფიციალური ქართული საიტი (https://ka.wikipedia.org/wiki/ქართველთა სამეფო), თითქოსდა, ტაო-კლარჯეთის რეგიონში ქართველები ჩასახლდნენ აშოტ I-ისა და გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში.

არმენიის მიერ იბერების, მოსინიკებისა და ქალდებისაგან მიტაცებულ ტერიტორიებზე მე-4 საუკუნიდან არმენიის მკვიდრი ქართული მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა სომხურმა ეკლესიამ, რომლის მრევლსაც, მათ შორის, ტაოელი ქართველობაც შეადგენდა.

ტაოს არმენიზაციის ძლიერი პროცესის მიუხედავად, იქაურ ქართველებს, ანუ იბერებს არ დაუკარგავთ ეთნიკური, ანუ იბერიული თვითშეგნება, მუდამ ცდილობდნენ სომხური გავლენისაგან თავის დაღწევას, რაც შეძლეს ქალკედონიტობისადმი მხურვალე მხარდაჭერით იმ დროს, როდესაც სომხური მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის ქალკედონიტობა მიუღებელი იყო.

სომხეთის ძირითადი ნაწილისათვის ქალკედონიტობა მიუღებელი გახდა მას შემდეგ, რაც 726 წლის მანასკერტის სომხურმა კრებამ ანათემას გადასცა სომხეთის ქალკედონიტები, ეს კი ნიშნავდა არმენიის ივერების, განსაკუთრებით კი ტაოელების, ანათემაზე გადაცემას, რადგანაც ზოგადად ივერები მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ და არ აპირებდნენ მანასკერტის 726 წლის დადგენილების მხარდაჭერას.

შესაბამისად, ივერების 780 წლისათვის მოწვეულმა ტაოს საეკლესიო კრებამ სრულად უარყო სომხური საეკლესიო იურისდიქცია, განშორდა მას, აღიარა ქალკედონიტობა არმენიის იბერების სარწმუნოებად და აღადგინა თავის ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

ამ პროცესმა ტაოსა და არზრუმის რეგიონის ივერებს უდიდესი სტიმული მისცა, ისინი აღფრთოვანებით იღვწოდნენ ყოველივე ქართულის აღსადგენად, სურდათ თავიდან მოეშორებინათ არმენიზაციის ნაკვალევი, იმდენად, რომ იქამდე მონოფიზიტურად მონათლული ზოგიერთი ქართველი ხელახლა ინათლებოდა ქართულ-ქალკედონიტური წესით.

არმენიის ქართველებს სურდათ ქართული განათლების აღდგენა, რადგანაც იქამდე ვინც კი სწავლობდა ამ რეგიონში, სომხურ წერა-კითხვას სწავლობდა და სომხურ ენაზე იღებდა განათლებას.

ახლა უკვე ყველა ცდილობდა, სომხურენოვნება დაეჩრდილა ქართული ადათ-წესებით ანდა საეკლესიო წესების აღდგენით. საერთოდ კი, 780 წლის შემდეგ აქაურ, ანუ არმენიის ქართველთა ეროვნული ცხოვრება ახალ საფეხურზე ამაღლდა, ამიტომაც ეს წელი დაედო კიდეც საფუძვლად „ქართულ წელთაღრიცხვას“, რომელიც თანდათან მთელ საქართველოში გავრცელდა.

780 წლის დიადი საეკლესიო კრებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ტაოს ოლქი გადავიდა კლარჯელი ბაგრატიონის, ბაგრატ კურაპალატის ხელში, ის აქაურთა, ანუ ტაოელ ქართველთა მეფედ იწოდა, მან აღადგინა ქართველ ქალკედონიტთა, კერძოდ, ეთნიკურად ტაოელი, ანუ იბერი წმ. ნერსე იშხნელის მიერ ნაგები იშხნის კათედრა, რომელიც უკვე დანგრეული იყო.

იშხანი, როგორც ითქვა, თავდაპირველად ააგო ტაოელმა ქართველმა არმენიზებულმა კათალიკოსმა, წმიდა ნერსე იშხნელმა,რომელიც სომხური ეკლესიის იერარქი იყო ისევე, როგორც კირიონ კათალიკოსი ქართლის ტახტზე ასვლამდე იყო სომხეთის აირარატის ოლქის ქორეპისკოპოსი და დვინის სომხური საკათალიკოსო ტაძრის წინამძღოლი. იქამდეც, ასევე მრავალი ქართველი მოღვაწეობდა სომხეთში, ქართველი იყო კორიუნ ეპისკოპოსი და სხვანი.

მიიჩნევა, რომ კორიუნი აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში ივერეზისათვის, აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მცხეთის ქართლის იბერები, არამედ ტაოს ოლქის იბერები, თავისი წარმოშობითაც კორიუნი ეთნიკური ივერი ყოფილა.

По сей день, утверждают, что Корюн был возведён в сан епископа для иверов (грузин) и происходил из иверов (грузин) или иверских армян. https://ru.wikipedia.org/wiki/Корюн

ტომით იბერი წმ. ნერსეს ნაგები ტაძრის დანგრევის შემდეგ ბაგრატ ქართველთა მეფემ იშხანი აღადგინა უკვე ქართული წირვა-ლოცვით, რაც დიდი სტიმული იყო ვინაობააღდგენილ ქართველი ტაოელი ქრისტიანებისათვის. რელიგიურმა თავისუფლების ნაკადის ძალამ აღადგინა ბანას დიდებული ტაძარიც.

ხატავენ სურათს, თითქოსდა, ტაოში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომეხი ქალკედონიტები – „Грузинская церковь также нашла здесь своих последователей, так как в Тайке проживало большое количество армян-халкидонитов“ – https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк

სინამდვილეში, კი „ტაოში ცხოვრობდა არა დიდი რაოდენობით სომეხი ქალკედონიტი“, როგორც წერენ ამჟამად, არამედ არმენიზაციის გზაზე მყოფი ქართველები, რომელთაც სწორედ ის სურდათ, რომ გადაეგდოთ არმენიზაციის უღელი, რადგანაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ჰქონდათ ეთნიკურ-იბერიული თვითშემეცნება, ამისათვის ისინი გულმხურვალედ მიემხრნენ ქალკედონიტურ ფრთას, გრძნობდნენ რა, რომ სომხური უღლისაგან გათავისუფლება ძირითადად ამ გზით იყო შესაძლებელი, ამით მათ სურდათ თავიანთი თავის გამიჯვნა სომხური მონოფიზიტური უმრავლესობისაგან. ამას აჩვენებს სწორედ ამ წრიდან გამოსული ტაოელი ბერებისა თუ მხედართმთავრების თითქმის ყველა ჩანაწერი. თორნიკე, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელების ქართველობისათვის თავდადება და ტაოდან გამოსულ ქართველთა მიერ სომხური მოძალადეობის ზიზღით უარყოფა, მსგავსი იმისა, რაც დვინის საკათალიკოსომ გამოიჩინა ალბანური ეკლესიისა და ალბანელთა თვითშემეცნების მიმართ.

ტაოელი, და საერთოდ კარინელი (არზრუმის ოლქის) ქართველები სომხურ ეკლესიაში ხედავდნენ ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, ამით იყო გამოწვეული გრიგოლ ბაკურიანისძისა და სხვათა მტკიცებანი თავიანთი ქართველობის შესახებ. მათ იცოდნენ არა მხოლოდ ალბანელთა ეროვნული ტრაგედიის შესახებ, რომელიც სომხურ საეკლესიო კულტურაში ჩაიძირა, არამედ თავიანთი თვალითაც ხედავდნენ არმენიზებული იბერების ეთნიკურ გადაგვარებას, რომელნიც იბერიული წარსულის მიუხედავად სრულად გასომხდნენ და დაკარგეს ეთნიკური იდენტობა, ეროვნულად სომხებად იქცნენ.

იბერიის თემი. Автор: Kirill Borisenko – Byzantine Empire Themes 1025-en.svg., CC BY-SA 4.0, https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=39343354

კარენ-კარენიტიდასთან (შემდგომ არზრუმის ოლქთან) დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის, სტრაბონის ცნობით, ეკუთვნოდა ქართულ ტომებს – ქალდებსა და მოსინიკებს. ძვ. წ. მე-2 საუკუნეში ის მიიტაცეს არმენიის მეფეებმა, მაგრამ ამ ოლქს თავისი ქართული სახე არ დაუკარგავს, ეს იქიდან ჩანს, რომ დავით მე-3 კურაპალატის „ქართველთა სამეფო“, ანუ ტაოს სამეფო მე-10 საუკუნეში მოიცავდა კარინის, ანუ თეოდოსიოპოლისის ოლქს, შემდგომდროინდელ ერზრუმს (არზრუმს), ეს ოლქი შემდეგ, მე-11 ს. დასაწყისში შევიდა „იბერიის თემის“ შემადგენლობაში.

ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი „ივირია“ 1074 წლამდე არსებობდა, ის მოიცავდა ივერებით დასახლებულ მხარეებს, თეოდოსიოპოლის გარდა ანისსაც.

დავით კურაპალატის სამეფოს დაფუძნებამდე არმენიაში მცხოვრები იბერები ოფიციალურად სომხებად მიიჩნეოდნენ, მათი კულტურისა და განათლების, ეკლესიისა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ენა იყო სომხური, რაც სტარბონის ცნობიდანაც ჩანს.

სტრაბონი წერს არმენიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ენობრივად გასომხების შესახებ. რომ ის ხალხები, რომელთა მიწა-წყალიც მიიტაცეს არმენიის მეფეებმა, სომხურენოვან მოსახლეობად გადაიქცა რამდენიმე საუკუნეში. სტარბონი წერს – **„ამიტომ ყველა ეს ხლხი ამჟამად ლაპარაკობენ ერთი ენით“** (Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке. (Страбон. География. Книга XI (14.5).

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არმენიიის მიერ დაპყრობილმა ამ ხალხებმა, მათ შორის ქართულმა ტომებმა იბერებმა, ქალდებმა და მოსინიკებმა – მათმა ყველა ფენამ საბოლოოდ დაივიწყა მშობლიური ენა, ოჯახებში მაინც მათ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს ვერ მოუშლიდნენ. მართალაც, ტაოსა და მიმდებარე ოლქების ხალხის მიერ „ქართველთა სამეფოს“ დაარსებამ, ანუ არმენიისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ცხადყო, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები არმენიისაგან მიტაცებულ პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენაში, ასევე კარენიტში კვლავ კარგად იცოდნენ მშობლიური ქართული ენა, მათი საერთო სახელი იყო „იბერები“. სომხებისაგან გამიჯვნის მიზნითაც მათ მიერ შეყვარებული და მტკიცედ აღიარებული აღმსარებლობა იყო ქალკედონიტობა, განსაკუთრებით მათი ერთგულება, როგორც აღინიშნა, უფრო მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული 726 წლის შემდეგ. ამ წლის სომხური ეკლესიის კრებამ სომეხთა საერთო ეროვნულ სარწმუნოებად გამოაცხადა აღმსარებლობა, რომელსაც ქართველები მონოფიზიტობას ვუწოდებთ, ხოლო სომხეთის ქალკედონიტები ანათემას გადასცა. ეს ნიშნავდა ძირითადად იბერების დაწყევლას. ამის საპასუხოდაც არმენიის იბერებმა კიდევ უფრო უერთგულეს ქალკედონიტობას, 780-იანი წლებისათვის კი თავიანთ ეკლესიებში სრულად აღიდგინეს ქართულენოვნება, ეს არ იყო ტექნიკურადაც კი ადვილი საქმე, რადგანაც ისინი იქამდე სომხურენოვან სასწავლებლებში იყვნენ აღზრდილები. შესაბამისად, მათ ქართული წერა-კითხვა უნდა შეესწავლათ, ეთარგმნათ, გაეკეთებინათ ქართულ წიგნებში სომხურენოვანი გზამკვლევები ამ წიგნების გამოყენების წესის შესახებ. ეს მსგავსი იყო იმისა, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მოხდა 1917 წლის შემდეგ, როცა ქართველი მღვდლების ერთმა ნაწილმა ძალზე კარგად იცოდა რუსული წერა-კითხვა, ხოლო ქართული უკვე უნდა შეესწავლა, რადგანაც დაავალდებულეს, რომ ლიტურგია აღესრულებინა არა რუსულ, არამედ ქართულ ენაზე. მსგავსადვე მოხდა ტაოსა და მიმდებარე ოლქებში. იქამდე, მე-7 საუკუნეში სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შემავალმა ტაომ თავი გაითავისუფლა სომხური ეკლესიისაგან მე-8 საუკუნეში და აღიდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

ის, რაც შეძლო ტაომ, კარენიტი, ანუ არზრუმის ოლქი უთუოდ განახორციელებდა, რომ არა იმპერატორ ბასილი მე-2-ის აგრესია, შემდეგი იმპერატორების დაუნდობელი ბრძოლა ქართველთა სამეფოს მიწა-წყალზე მკვიდრი იბერი მოსახლეობის წინააღმდეგ, მათი მიზანმიმართული ამოხოცვა და დასჯა, რასაც კარგად აღწერს არისტაკეს ლასტივერტეცი.

ამის მიუხედავად, მე-12 და მე-13 საუკუნეებში ერზრუმის ოლქი ცნობდა მის ჩრდილოეთით აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს სიუზერენიტეტს. მე-14 საუკუნიდან კი ზედ არზრუმის საზღვართან იწყებოდა სამცხე-საათაბაგოს ქართული სამთავრო.

Между XII и XIII веками правители Эрзурума признавали грузинский сюзеренитет.

Карин, у греко-римских авторов «Каренитида») – ашхар Великой Армении. Располагалась на западе, в районе города Эрзерум.

Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. Они были первоначально полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, стали царями (первый – царем Софены, Акисены, Одомантиды и некоторых других областей, а последний – царем страны вокруг Артаксаты); они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду; **у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью**; у катаонов –Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев –Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке. (Страбон. География. Книга XI (14.5).

სომეხი (და არა მარტო სომეხი) მეცნიერები არ ახსენებენ, რომ კარინი (ბერძენ-რომაელ ავტორებთან – „კარენიტიდა“), ქალაქ ერზრუმის დასავლეთით მდებარე ოლქი, ქართველურ ტომებს – ხალიბებსა და მოსინიკებს წაართვეს სომეხთა მეფეებმა და არმენიის შემადგენლობაში შეიყვანეს ძვ.წ. მე-2 საუკუნეში სტრაბონის ცნობით (Страбон. География. Книга XI (14.5). (...они отняли ...**у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью).**

თუმცა ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კარინის ეს რეგიონი ძვ.წ მე-2 ათასწლეულში შედიოდა „ჰაიასა-ასას“ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რადგანაც „ჰაიას-ასას“ სომხურ სახელმწიფოდ მიიჩნევენ სახელების მსგავსების გამო (ჰაიასა და ჰაი-სომეხთა თვითსახელწოდება), მაგრამ ჩვენ ასევე სახელების მსგავსების გამო მივიჩნევთ, რომ „ჰაიასა“ არის იგივე „აია“, რაც, კოლხიდის ძველი სახელია. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ შემდგომდრიონდელი კარინი კოლხიდის შემადგენლობაში შედიოდა და შემდეგ კი ეკუთვნოდათ ქალდ-ხალიბებსა და მოსინიკებს.

აღსანიშნავია, რომ არაქსის (ფასისის) ხეობას არგონავტებთან აკავშირებენ.

როგორც ითქვა, არმენებმა ხალიბებისა და მოსინიკებისაგან (ქართველური ტომებისაგან) მიიტაცეს კარინის, ანუ კარენიტიდის მიწა-წყალი. ამის მიუხედავად, კარინსა და შემდგომ არზრუმის ოლქში მუდამ იგრძნობოდა იბერების გავლენა, თეოდოპოლისში იბერების გავლენის შესახებ წერდა კონსტანტინე პორფიროგენეტი და სხვები, მათ შორის სომეხი ავტორები. როდესაც ბიზანტიელებმა ურჩი ქალაქი თეოდოპოლისი ხანგრძლივ ალყაში მოაქცისეს და იქაური მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტა გადაწყვიტეს, მათთვის საქართველოს მხრიდან დაფარვით შეჰქონდათ პროდუქტი, რითაც ბიზანტიელებს არისხებდნენ. ასე რომ, ქართველები მუდამ ზრუნავდნენ აქაურებზე (თეოდოპოლისის მოსახლეობაზე), თავის მხრივ ეს მოსახლეობა ქართველების მიმართ ნდობითა და იმედით იყო განწყობილი, ხოლო ბიზანტიელები სძულდათ და ებრძოდნენ, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით.

სომეხმა ავტორებმა და მათ შორის ვ. არუთინოვა-ფიდანიანმა მსოფლიოში გაავრცელეს და დანერგეს არასწორი თვალსაზრისი, თითქოსდა, არმენიის მხარეებში, მათ შორის არზრუმის ოლქსა (კარენსა) და ტაოშიც კი, ქართველები ჩასახლდნენ მოგვიანებით, მე-9 საუკუნის შემდეგ და მათ მოახერხეს მკვიდრი სომხური მოსახლეობის „გაქართველება“, მაშინ როცა, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ჯერ კიდევ სტრაბონის ცნობით, კარენიტიდა, ანუ თეოდოსიოპოლის ოლქი საერთოდ მოსინიკებისა იყო, ხოლო მისი მეზობელი მხარეები, პარიადრედან ვიდრე გოგარენას ჩათვლით – იბერებისა და აქ თვითონ სომხები იყვნენ მისულები სამხრეთით მდებარე მეზობელი მხარეებიდან.

როგორც აღინიშნა, ბიზანტიელები აქაურ მკვიდრ მოსახლეობას იბერებს უწოდებდნენ და ქვეყანას კი იბერიას, იგულისხმება ტერიტორია არზრუმიდან ანისის მიმართულებით, ამ მხარეებს იბერიას უწოდებენ ბასილი ბულგართმმუსვრელისა და მისი შემდგომი იმპერატორების ბრძოლათა აღმწერები, ამიტომაც ამ მხარეებს მოიცავდა კიდეც ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი „იბერიის თემი“, რომლის დედაქალაქები იყო თეოდოსიოპოლი და ანისი (1045 წლისათვის). იბერიის თემში შედიოდა დიდი ნაწილი დავით კურაპალატის სამფლობელოსი, სამხრეთ ტაო, ბასიანი, კარინი, ხალტოი-არიჭი თავისი კლისურით, მარდალი, ხარკი და აპაჰუნიკი მანასკერტით და ასევე შირაქის ბაგრატიდების მიწები.

სამწუხაროდ, ამჟამად აქაურ (იბერიის თემის) იბერებს მიიჩნევენ არა ეთნიკურ იბერებად, არამედ ე.წ. სომეხ-ქალკედონიტებად, ანუ აქაურ იბერებს მიიჩნევენ ეთნიკურ სომხებად, რომელნიც ქალკედონიტობას აღიარებდნენ.

მსოფლიო დაარწმუნეს სომეხმა ავტორებმა თავიანთი მუდმივი და დაუღალავი მოღვაწეობით იმის სამტკიცებლად, რომ იბერიის თემის მიწა-წყალი, მათ შორის ტაოც კი, იყო არა ქართველთა ქვეყანა, არამედ ეთნიკური სომხებისა, რომელთაც იბერებს უწოდებდნენ, რადგანაც ისინი ქალკედონიტები იყვნენ. შესაბამისად, აქაური „იბერების“ კულტურული მემკვიდრეობა სომხური კულტურის მიღწევად მიიჩნევა.

Согласно С. Рапп, фема «Иверия» относилась не к собственно Картли, а к регионам на западе, где жили в основном армяне-халкидониты. Ϩ. Рапп, таким образом, разделяет мнение **В. Арутюновой-Фиданян о преобладании армянского этнического элемента в данном регионе**. В отличие от других народностей фемы, армян-халкидонитов, т.е приверженцев христианства византийского толкования, для отличия от армян, исповедующих традиционное христианство ААЦ, так же как и грузин, называли «ивирами» (иверами, иберами). https://ru.wikipedia.org/wiki/Фема

საცარია, რომ არუთინოვა-ფიდანიანის მოსაზრებას, რომ აქაური ქართველები თურმე ეთნიკური სომხები იყვნენ, უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე აქაური გრიგოლ ბაკურიანისძის, ფერის ჯოჯიკისძის, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელების, წმიდა თორნიკე ერისთავის, ზაქარია ვალაშკერტელი ეპის-კოპოსისა და სხვა ქართველთა ღაღადისს, რომ ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ და საქართველოსათვის იღვწოდნენ. ამის მიუხედავად მათ მაინც სომხებად მიიჩნევენ, ხოლო აქაურ ქართულ კულტურას სომხებს მიაწერენ. მართალია, ს. ჯანაშიამ თავისი შესანიშავი კვლევით პასუხი გასცა მტკიცებას, რომ ოშკი, ბანა თუ ხახული ქართული საეკლესიო კულტურის ძეგლებია და არა სომხურისა, მაგრამ ჯერაც ავტორიტეტულია კ. კეკელიძისა თუ ი. აბულა-ძის და სხვა ნ. მარის მოწაფეთა მტკიცებანი, რომ აქაური (ტაოსა და იბერიის თემის) მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, ოღონდაც ქართიზაციის პროცესის შედეგად „ქართველებად“ იწოდებოდნენ.

Сражение царя Грузии Георгия I императором Византии Василием II. ბასილი მე-2 ებრძვის საქართველოს მეფეს, ბიზანტიელი ცხენოსნები ქელავენ ქართველთა მოჭრილ თავებს. გიორგი I-ის უკან დახევა.
Автор: Skylitzes. https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=10283988

ჩვენ კი სინამდვილე პირიქით გვესახება, რომ აქაური მოსახლეობა არმენიზაციის მძიმე უღლისაგან თავდახსნილი ეთნიკური ქართველობა იყო და მათი მხსნელი ეროვნული გაქრობის ჭაობიდან იყო წმიდა ქალკედონური სარწმუნოება.

ქალკედონიტობა არმენიაში მცხოვრები იბერების ეთნიკური ვინაობის გადარჩენის უმთავრესი ღუზა იყო. და მართლაც, წმიდა მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ გადაარჩინა მათი ვინაობა, ისინი დაუბრუნდნენ არა მხოლოდ დედა ქართული ეკლესიის წიაღს, არამედ თავიანთსავე სამშობლოში, ტაოში, ქართული სახელმწიფოებრიობაც კი ააღორძინეს – „ქართველთა სამეფო“ დააარსეს.

ეს იყო სიცოცხლის სიოს ბერვა მათ იქამდე მინავლებულ სამოქალაქო ყოფაში, ამის შედეგად მიეცათ ძალა, რათა გასაოცრად აეღორძინებინათ ეროვნულ ქართული კულტურა, არქიტექტურა, მხატვრობა, მუსიკა, საეკლესიო და საერო ხელოვნება. ამასთანავე, გაეძლიერებინათ საკუთარი „ქართველთა სამეფო“ სახელმწიფოებრივად, თავისი საკუთარი არმიით, სამოქალაქო და სამხედრო მმართველობით. მისი მსახურება სიხარულს ანიჭებდა მკვიდრ მოსახლეობას, ამიტომაც ქართველთა სამეფო იმდროინდელ აზიაში ერთ-ერთ წარმატებულ სამეფოდ გადაიქცა. უფრო მეტიც, ტაოს ქართველთა სამეფოს აღორძინებამ გამოაფხიზლა და გამოაღვიძა ტაოს სამხრეთით უვრცელესი რეგიონის მკვიდრ მოსახლეობაში მინავლებული იბერიული თვითშემეცნება, რადგანაც ისინი ის იბერები იყვნენ, რომელთა მიწა-წყალი არმენიამ მიიტაცა სტრაბონის ცნობით, ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნეში, ანუ ძველი პარიადრეს, ხორძენას, გოგარენას, კარენიტის მკვიდრი მოსახლეობა, არმენიზაციის პროცესის ქვეშ მყოფნი, ახლა კი, მე-8 საუკუნის შემდეგ მათი იბერიული თვითშემეცნება კვლავ გამოცოცხლდა, განსაკუთრებით ტაოს ქართველთა სამეფოს აღორძინების შემდეგ იმდენად დიდი იყო მათი მინავლებული თვითშემეცნების გამოცოცხლებით წამომდგარი სიხარული, რომ ისინი ტაოს მეფის, დავით კურაპალატის დასახმარებლად განემზადნენ, როცა იგი თავის ლაშქრით ვანის ტბისაკენ გამოემართა, მისი ტრიუმფი და იქაური ციხე-ქალაქებისა და ოლქების დაუფლების წყარო იყო მკვიდრი ქართული, ანუ იბერიული მოსახლეობის მხარდაჭერა. სწორედ ადგილობრივი ქართველებით შეავსო მის მიერ მაჰმადიანებისაგან გათავისუფლებული ქალაქი მანასკერტი 993 წელს. 997–98 წლებში ხლათთან და არჭეშისთან წარმატებულ ბრძოლებს დავითი ადგილობრივი იბერიული მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებდა.

ქართველთა სამეფოს იმდენად დიდი მხარდაჭერა აღმოაჩნდა სომხეთში მცხოვრები მკვიდრი იბერების სახით, რომ მისმა საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. ამის მიზეზი, როგორც ითქვა, იყო ის, რომ ამ მიმართულებით ტერიტორია უპირატესად დასახლებული იყო ქართველებით (იბერებით), რომელთაც მიუხედავად მათი არმენიზაციის გარკვეული ხარისხისა, ახსოვდათ თავიანთი იბერიული წარმომავლობა, თავის ქვეყნადაც იბერიას მიიჩნევდნენ და ამიტომ მისი სომხებისა და მუსლიმანებისაგან გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ, ახლა კი ამ მიწებზე გამოჩნდა დავით ქართველთა მეფე,

ტაოს მპყრობელი. ამის გამო ტაოდან ვანის ტბამდე მცხოვრები თითქმის არმენიზებული იბერები თავიანთ ეთნიკურ და უკვე ეროვნულ ლიდერს – დავით კურაპალატს გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს (აღსანიშნავია, რომ იქამდე აქ მებრძოლ ბიზანტიელი იმპერატორების ლაშქარს ისინი მხარს არ უჭერდნენ, ამიტომაც მათ (ბიზანტიელებმა) ვერ შეძლეს ამ მიწების გათავისუფლება მაჰმადიანებისაგან, ეს კი მალევე შეძლო დავით კურაპალატმა არმენიის იბერების მხარდაჭერით, ჩაასახლა კიდეც ისინი მანასკერტში და ალბათ, სხვა მუსლიმთაგან გათავისუფლებულ ქალაქებში).

ყოველივე აღნიშნულის გამო ამბობდნენ ვანის ტბასთან გამარჯვებული იბერული ჯარის მოლაშქრეები, რომ მათთვის მუსლიმანებისა და სომხების სალოცავები ერთნაირად მიუღებელი იყო. ეს სიტყვები უფრო იქაური მკვიდრი არმენიზაციის უღლისაგან თავდახსნილი იბერების სიტყვებია.

როცა „ქართველთა მეფემ“ დავით კურაპალატმა მანასკერტში ჩაასახლა ქართველობა, ისინი არ გადმოუსახლებია არც თბილისის ოლქიდან და არც ქუთაისიდან, არამედ მანასკერტის მომიჯნავე იბერებით დასახლებული სოფლებიდან ჩამოიყვანა და შეავსო თავისი მხარდამჭერებით.

ამიტომაც ამ მხარეებში ჩამოყალიბდა ქართული საეპისკოპოსოები, ვალაშკერტისა და სხვა, არა სომეხი ქალკედონიტებისათვის, არამედ ჩვეულებრივი ქართველებისათვის – არმენიის მკვიდრი იბერებისათვის, რომელნიც აქ თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ, ქალდების, მოსინიკების, ტაოხების, სასპერებისა და სხვა ქართული ტომების ისტორიულ მიწა-წყალზე ჯერ კიდევ სომხების შემოსავლამდე.

არმენიის იბერებს ტაოს „ქართველთა სამეფოს“ დაარსების შემდეგ მიეცათ იმედი სამშობლოს აღორძინებისა თავიანთ მხარეებში ტაოდან ვანის ტბამდე, ეს მხარეები ყოფილი ქართული ოლქები იყო, სტრაბონის მიერ ნახსენები პარიადრეს კალთებიდან კარენიტის, ხორძენასა და გოგარენას ჩათვლით, რომელნიც არმენიამ დაიპყრო (სტრაბონი, 11,14,5), მაგრამ აქაურ ქართველ ხალხში ბოლომდე ვერ ამოძირკვა ეროვნულობა.

ამჟამად საერთაშორისო საიტები ამტკიცებენ, რომ თითქოსდა, მე-9 საუკუნის ბოლოს ივერიელი (არტანუჯელი) ბაგრატიონები ტაოში „ჩასახლდნენ“ და ასიმილირდნენ ქართულ კულტურაში, რომ თითქოსდა, მოხდა ტაოს ქართული კოლონიზაცია, ანუ ტაოელები თითქოსდა, ეთნიკური სომხები იყვნენ, ხოლო შემდეგ ტაოში ქართველები ჩასახლდნენ. „...переселились в западное „армяно-грузинское приграничье“ с другой территории своей армянской родины и со временем ассимилировались в грузинской культуре.

მაგრამ ეს საქმე იყო პირიქით, ტაოს მკვიდრი ტაოხები, იგივე იბერები აქ ქსეოფონტამდეც ცხოვრობდნენ, მე-4 საუკუნის შემდეგ, ჩანს, სპარსელთა ნებით, ტაო აღმოჩნდა სომხეთისა და სომხური ეკლესიის შემადგენლობაში.

დაიწყო ტაოს მკვიდრი იბერების არმენიზაცია, ამ პროცესის თავის არიდების მიზნით ტაოელები სომხებისაგან განსხვავებულად უმეტესად ერთგულებდნენ ქალკედონიტობას, მე-6 და განსაკუთრებით მე-7 საუკუნეებში. ასე რომ, ტაოში ტაოელები, ანუ იბერები მკვიდრი მოსახლეობა იყო, რომლის

ეკლესიურ და კულტურულ ასიმილირებას ეწეოდა სომხური ეკლესია, მაგრამ ვერ შეძლო, რადგანაც მე-8 საუკუნეში ტაოელმა იბერებმა დაიბრუნეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ეროვნული იდენტობის სრული აღორძინებით თავიდან აირიდეს სრული არმენიზაციის საფრთხე.

ასე რომ, არ მომხდარა არავითარი «Грузинская колонизация Тайка“ https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк (ქართველთა მიერ კოლონიზაცია ტაიქისა (ტაოსი), ანუ ქართველების ჩასახლება მე-9 საუკუნის ტაოში), როგორც ამის შესახებ წერენ საერთაშორისო ასპარეზზე სომეხი მეცნიერები ქართველი მეცნიერების სრული დუმილისა და თანხმობის ფონზე.

შესაბამისად, არ მომხდარა სომხების ასიმილაცია ქართველთა მიერ, როგორც წერენ უმართებულოდ – переход области во владение грузинских Багратидов были следствием начавшегося процесса частичной ассимиляции грузинами армянского населения“. https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк

ტაოში არ მომხდარა ქართველების მიერ სომეხთა ასიმილაცია, რადგანაც ტაოში იბერები, ანუ ქართველები, იქაური მკვიდრი მოსახლეობა ჯერ კიდევ დიაოხის სამეფოს ეპოქიდან, ძვ. წ.მე-8 საუკუნიდან იხსენიება, როდესაც ამ მხარეში სომეხთა ხსენებაც კი არ იყო. პირიქით, სტრაბონის ცნობით, იბერებს ეს ოლქები წაგლიჯა არმენიამ და დაიწყო იქაური იბერების არმენიზაცია, რაც სტრაბონს არ დარჩა შეუმჩნეველი, როცა ის წერს სომხური ენის განვრცობის შესახებ (დაპყრობის შემდეგ). ტაო მე-4 სუკუნიდან არმენიის ნაწილად გადაიქცა მკვიდრი იბერიული მოსახლეობით, არმენიზაციის ხარისხის მიუხედავად მკვეთრად შემორჩენილი იბერიული მისწრაფებებით, რაც მათ აღმსარებლობაშიც აისახა, როცა სომხების ძირითადი ნაწილისაგან განსასხვავებლად ქალკედონური სარწმუნოება აირჩიეს და ამის გამო დაიწყევლნენ კიდეც სომეხთა მანასკერტის საეკლესიო კრებაზე. 726 წელს, როცა სომხურმა ეკლესიამ მანასკერტის კრებაზე ანათემას გადასცა არმენიის, ანუ ტაოს ქალკედონიტები ანუ იბერები, ამან კი საპირისპირო შედეგი გამოიღო, დაიწყო აქაური მოსახლეობის ეროვნული გამოღვიძების პროცესი, რაც სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტითა და დედა ეკლესიასთან დაკავშირებით გამოიხატა.

https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის 591 წელს დადებული ზავის თანახმად, მცხეთა აღმოჩნდა ბიზანტიურ გამგებლობაში, თბილისი და ქვემო ქართლი კი მიაკუთვნეს სპარსეთს, ხოლო გუგარქი (ანუ ამ რუკის მიხედვით „გოგარენა“ – ტერიტორია ლორეს ჩათვლით ვიდრე ართვინამდე) შეიყვანეს ბიზანტიურ სფეროში. ასეთი ვითარების გამო ბიზანტიისაგან ზურგმიცემულმა ქართლის კათალიკოსმა კირიონ I-მა გაბედა და გუგარქის ქართველობას ქართულენოვანი წირვა-ლოცვა აღუდგინა ეკლესიებში.

ეპისტოლეთა წიგნის მიხედვით გუგარქი ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, რაც უეჭველი ფაქტი იყო სომხური ეკლესიის მეთაურებისა და სპარსი მოხელეებისათვის, ამიტომაც ისმის კითხვა, აქაური მრევლი ქართული ეკლესიისა თავდაპირველადვე სომხურენოვანი იყო

(საეკლესიო წესების შესრულებისას), თუ შემდგომში დაინერგა აქ სომხურენოვნება?

ამ კითხვის დასმის უფლებას იძლევა თითქმის იგივე ვითარება გუგარქის უშუალო მეზობელ ალბანეთის საკათალიკოსოში, აქ (ალბანეთის საკათალიკოსოში) თავდაპირველად ღვთისმსახურება აღევლინებოდა ალბანურ ენაზე, ხოლო შემდეგ ის შეიცვალა სომხურენოვნებით. ალბანელებს ეკლესიებში იძულებით დაუნერგეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ხოლო ალბანური აიკრძალა, რაც ცნობილი ფაქტია. ასეთი ენობრივი ცვლილების მიზეზი იყო სომხური ეკლესიის მუდმივი თანამშრომლობა დამპყრობლებთან და ამ ფაქტის გამოყენება დევნილი მეზობელი ეკლესიების მრევლში სომხურენოვნების დასანერგად. სომხური ეკლესიის თანამშრომლობის შესახებ დამპყრობლებთან წერს არსენ საფარელი თავის წიგნში „განყოფისათვის...“, მოვსეს კალანკატუაცი, სხვა ავტორები, ამასვე მიუთითებს მუჰამედისა და ხალიფა ომარის სიგელები, სხვა არაბული დოკუმენტი, რომელნიც განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებენ სომხურ ეკლესიას. არაბობის შემდეგ სხვა ხელისუფალთა და ბოლოს, სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებში სომხური ეკლესიის გამორჩეული უფლებების სახელმწიფოებრივი აღიარება, მაგალითად, სომხური მილეთის სახელმწიფოებრივი მოწყობა ოსმალეთის იმპერიაში.

ამ ფონზე დასმული კითხვა ბუნებრივი ჩანს და გვაფიქრებინებს, რომ გუგარქში თავდაპირველი ქართულენოვნება შეიცვალა შემდგომში, კერძოდ კი მე-6 საუკუნეში, რადგანაც თვით ეპისტოლეთა წიგნშია მითითება, რომ გუგარქში სომხურენოვნება თავდაპირველად დაინერგა ცურტავის წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში და ამის შემდგომ განივრცო მთელს გუგარქში.

შესაბამისად, კირიონმა ქართულენოვნება აღადგინა გუგარქში იმ ეპოქაში, როდესაც გუგარქი აღმოჩნდა ბიზანტიური გავლენის სფეროში და ამიტომ სომხურ ეკლესიას მოაკლდა მხარდაჭერა სპარსეთის ხელისუფლების მხრიდან.

მე-6 საუკუნეში სპარსეთის მიერ მხარდაჭერილმა სომხურმა ეკლესიამ გუგარქის ქართველობას ეკლესიებში დაუნერგა სომხურენოვნება ისევე, როგორც მეზობელ ალბანელებს.

მე-7 ს. დასაწყისში გუგარქში ქართული ენის აღდგენამ წირვა-ლოცვისას, რაც კირიონ კათალიკოსის გმირული ღვაწლის შედეგი იყო, გამოაფხიზლა არმენიის ქართველობა, მათაც, ტაოსა და მიმდებარე რეგიონებში სომხურენოვნება ჰქონდათ დანერგილი ეკლესიებში და ისინიც მიხვდნენ, რომ თურმე შეიძლება წირვა-ლოცვისას მშობლიური ქართული ენის გამოყენება, გუგარქის მაგალითმა მათ გულებს დაუბრუნა ეროვნულ-ქართული ძგერა, დაუსახა მიზანი, რომ მათაც უნდა მიეღწიათ ასეთი დიადი შედეგისათვის.

ქართულენოვნების აღდგენის მაგალითი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გაიმეორა ტაოს მკვიდრმა მოსახლეობამ, 780 წლის შემდეგ მათ არა მხოლოდ აღიდგინეს ქართულენოვნება ეკლესია-მონასტრებში, არამედ საერთოდ გაწყვიტეს კავშირი სომხურ ეკლესიასთან.

ეროვნულ-ქართული სულისკვეთების აღორძინებამ ტაოსა და მიმდებარე ოლქებში, საფუძველი ჩაუყარა თვით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ტაოში.

ტაოს ამ სამეფოს „ქართველთა სამეფო“ ეწოდა და მასში გაერთიანებას ცდილობდა არმენიის ქართველობა ტაოდან ვიდრე ვანის ტბამდე, ამიტომაც მალევე, დავით კურაპალატის დროს, მიაღწია ტაოს სამეფოს საზღვარმა ვანის ტბამდე, რაც უპეცენდენტო ფაქტი იყო მას შემდეგ, რაც არმენიამ ეს მხარეები (პარიადრე, ხორძენა და გოგარენა) ძვ. წ. მე-2 საუკუნისათვის, ძვ. წ. 189 წელს მიიტაცა ქალდებისა და მოსინიკებს ტერიტორია კარენიტიდა (შემდგომი თეოდოსიოპოლის-არზრუმის ოლქი) და სხვა მიწა-წყალი.

ამ ფაქტის მიუხედავად, არმენიის ქართველობა ძირითადად ინარჩუნებდა ეროვნულ თვითშემეცნებას, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ იბერია ზოგჯერ უკან იბრუნებდა არმენიის მიერ მიტაცებულ ზოგიერთ მხარეს, მაგალითად, აქაური, ანუ არმენიის იბერების სიმრავლის შედეგი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მცხეთის იბერიის სამეფო ოჯახმა ერთხანს, I საუკუნეში თავის ხელში აიღო არმენიის სამეფო ტახტი.

ახალი ერის I-ელ საუკუნეში, დაახლოებით 40–60-იან წლებში იბერიაში მეფობდა ფარსმან I დიდი, რომელიც წარმატებით ებრძოდა პართელებს სომხეთში, გამარჯვებათა შემდეგ კი ჯერ თავისი ძმა და შემდეგ შვილი გაამეფა სომხეთში. ცნობები ამის შესახებ შემოგვინახა ტაციტუსისა და დიონ კასიუსის შრომებმა.

ფარსმან დიდი ყოფილა იბერიის მეფის, მითრიდატე I-ის მეორე ვაჟი და ის გამეფებამდე იყო იბერიის ჯარის მთავარსარდალი.

I საუკუნის 35 წელს პართიის მეფე არტაბან მესამემ თავისი შვილი არშაკი დასვა არმენიის ტახტზე, რამაც გაანაწყენა რომი. იმპერატორმა ტიბერიუსმა მიმართა იბერიის მეფე მითრიდატეს და შესთავაზა თავისი შვილი (ამავე სახელით) მითრიდატე გაემეფებინა სომხეთში. წინადადება მიღებულ იქნა და იბერიის მეფე მითრიდატემ არმენიაში გააგზავნა დიდი ჯარი თავისი მეორე შვილის, ფარსმანის მთავარსარდლობით. მან აიღო არმენიის (სომხეთის) დედაქალაქი არტაშატი და განდევნა სომხეთიდან პართიის მეფის ვაჟი არშაკი. იბერიის მეფემ არმენიის მეფის ტახტზე აიყვანა თავისი ძმა – მითრიდატე.

იბერთა ამ ქმედების საპასუხოდ არტაბანმა არმენიაში გააგზავნა ჯარი მეფისწულის, ოროდის მეთაურობით.

ფარსმანმა თავის მხრივ დაიქირავა სარმატი და ალბანი მეომრები და შეუტია პართიელებს.

პართიელთა ჯარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა, ხოლო იბერიელ ფარსმანს ჰყავდა ძლიერი ფეხოსნების ჯარი ცხენოსნებთან ერთად.

ბრძოლის დროს იბერიელი მხედრები ცხენებიდან აგდებდნენ ძალზე მძიმედ აღჭურვილ პართიელ მხედრებს, ხოლო ფეხოსნები მათ ბოლოს უღებდნენ.

იბერთა სარდალმა, პირადად, თავი არ აარიდა შებრძოლებას, რამაც ომის საერთო ბედი გადაწყვიტა. ფარსმანმა იცნო პართიელთა უფლისწული ოროდი და მათ ერთმანეთს შეძახილებით შეუტიეს, ქართველთა ლიდერმა შეძლო და ხმლით მუზარადი გაუპო პართიელთა უფლისწულს და დაჭრა, პართიელებმა ის მოკლულად ჩათვალეს და გამარჯვება იბერებს დარჩათ.

პართელთა მეფემ არტაბანმა როცა იხილა მისი ორივე შვილის არმენიაში დამარცხება იბერების მიერ, გადაწყვიტა თვითონ ეძია შური ფარასმანზე. შეკრიბა დიდი ჯარი და 36 წელს შეიჭრა არმენიაში იბერთა წინააღმდეგ საომრად.

ფარსმანმა სიბრძნთ უხელმძღვანელა არმენიის თავდაცვის საქმეს – იბერებმა არმენიაში ხანგრძლი ბრძოლა წამოიწყეს პართელთა წინააღმდეგ, მათ ხშირი, პარტიზანული შეტაკებებით გამოფიტეს მტრის ჯარი, საბოლოოდ კი, იბერები დაწინაურდნენ. ამის გამო არტაბანი დამარცხებული დაბრუნდა პართიაში და მის ძლიერებასაც ბოლო მოეღო. არმენიაში სახელგანთქმული ფარასმანი იბერებმა თავის მეფედ დასვეს დაახლოებით 40 წელს მამის (მითრიდატეს) გარდაცვალების შემდეგ.

42–47 წლებში არმენია კვლავ პართელებმა დაიპყრეს, რადგანაც არმენიის მეფე **მითრიდატ იბერიელი** რაღაც მიზეზის გამო რომაელებმა ტყვედ გამოაცხადეს, გათვისუფლების შემდეგ იმპერატორმა კლავიდიუსმა არმენიის ტახტი დაუბრუნა მითრიდატე იბერიელს, მეფე ფარსმანის ძმას.

ფარასმანი თავისი ჯარით დაეხმარა მითრიდატეს და მათ ერთობლივად დაამარცხეს პართელთა ჯარი.

მითრიდატე იბერიელმა კვლავ დაიდგა არმენიის მეფის გვირგვინი, მას ასევე დაემორჩილა მცირე არმენიის მეფე კოტისი, ამ მეფის სახელი (კოტისი) ქართველური ფუძე-ძირის მატარებელი უნდა იყოს.

როგორც ითქვა, არმენიის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილები, მათ შორის მცირე არმენია, დასახლებული იყო ადგილობრივი, მკვიდრი ქართველური ტომებით. რომელნიც საუკუნეთა მანძილზე არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდნენ.

მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მათ არმენიზაციის პროცესს გარკვეულწილად ამუხრუჭებდა ჩვენს მიერ აღწერილი მომენტები, როდესაც არმენიის ტახტს ზოგჯერ იბერიელები იჭერდნენ და იბერიელების ჯარები არმენიაში იმარჯვებდნენ.

თავისუფალ იბერიის (ანუ მცხეთის სამეფოსთან) მეზობლობა აღვიძებდა არმენიაში მცხოვრებ ადგილობრივ ქართველ აბორიგენებს, უნარჩუნებდა მათ მივიწყების გზაზე მდგომ იბერიულ თვითშემეცნებას.

არმენიის იბერებში მრავალი საუკუნის მანძილზე ღვივოდა ქართულ-ეროვნული, თუმცა მინავლებული თვითშემეცნება.

იბერიის მეფე ფარასმანი ტაციტუსის მიხედვით

რომაელთა ძლიერების ხანაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან, მე-2 საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა და აკონტროლებდა მთელ კავკასიას.

ამ ეპოქაში იბერიას შეეძლო ჩრდილოკავკასიის სტეპებში მომთაბარე სარმატებისა და სკვითური ტომების მართვა, მათი საომრად გადმოყვანა სამხრეთ კავკასიასა, ასევე, პართიასა და რომის პროვინციებში.

ამის შესახებ მოგვითხრობს რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (56–117). ის თითქმის თანამედროვე იყო იბერიის მეფე ფარსმან I-ისა (40–60-იან წლები); აღწერს, თუ როგორ ებრძოდნენ იბერები პართიის ჯარებს სომხეთის გასათავისუფლებლად; ასევ აღწერს, თუ როგორ ავიდნენ სომხეთის მეფეთა ტახტზე იბერიელთა სამეფო ოჯახის წევრები. ამასთანავე, ტაციტუსი მხატვრულად გადმოგვცემს, თუ როგორ მართავდნენ სომხეთის სამეფოს იბერიელი მეფეები და უფლისწულები.

ტაციტუსი წერს –

„იმპერატორმა ტიბერიუსმა გადაწყვიტა, რომ მეფე ფარასმანის ძმას „მითრიდატე იბერს“ ბრძოლით გაეთავისუფლებინა არმენია და შებრძოლებოდა იქ გაბატონებულ პართებს.

... დავალების მიღების შემდეგ „მითრიდატე იბერმა“ არმენიის გათავისუფლების საქმეში დახმარება თხოვა თავის ძმას, იბერიის მეფე ფარსმანს (ტაციტუსის მიხედვით, მისი სახელი იყო ფარასმანი), ფარსმანი დაეთანხმა ძმას და მათ თავიანთ მხარეზე გადაიყვანეს არაქსზე მცხოვრები ხალხი.

ამავე დროს, იბერები დიდი ჯარით შეიჭრნენ არმენიაში და აიღეს დედაქალაქი არტაქსატა.

ამის შეტყობის შემდეგ პართიის მეფემ არტაბანმა თავის შვილ ოროდს დაავალა არმენიაში შებრძოლებოდა იბერებს, მისცა მას პართიის ჯარი და დაიწყო დაქირვებულთა მოკრება.

იბერიის მეფე ფარსმანმა თავის მხრივ მიიღო ალბანელების დახმარება და მოიწვია სარმატები.

სარმატების ტომების ბელადებმა საჩუქრები მიიღეს – როგორც იბერებიდან და ასევე პართებიდან და დამხმარე ჯარი გაუგზავნეს ორივე მხარეს. „იბერები ამ ქვეყნის მეპატრონეები არიან“ иберы хозяева этой страны – წერს ტაციტუსი და გულისხმობს მთელ კავკასიას, მათ შორის კასპიისპირეთს დერბენდათან, სადაც გადიოდა „კაპიის გზა“, რომელიც ჩრდილკავკასიას აერთებდა სამხრეთ კავკასიასთან, არმენიასთან და პართიასთან, ამ გზას იბერები აკონტროლებდნენ (გულისხმობს კასპიის ზღვის ვიწროებს დერბენდთან), ამიტომო, წერს ის, დერბენდის ამ გზით სწრაფად გაატარეს იბერების დასახმარებლად არმენიაში მიმავალი სარმატების ჯარი, მაგრამ გზა ჩაუკეტეს პართიისაკენ მიმავალ სარმატებს ბუნებრივი ხერხების გამოყენებით.

ამავე დროს, მოკავშირეებით გაძლიერებულმა ფარასმანმა საომრად გამოიწვია დამხმარე ჯარის გარეშე დარჩენილი ოროდი.

პართელებმაც ბრძოლა მოითხოვეს იბერების წინააღმდეგ. მათ არმენიაში ჰყავდათ ძლიერი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ ფარასმანს ჰყავდა როგორც ცხენოსანი, ისე ფეხოსანი ჯარი. ამასთანავე, იბერები უფრო გამძლენი იყვნენ პართებთან შედარებით, რადგანაც რთულ პირობებში იყვნენ ცხოვრებას მიჩვეულნი.

შემდეგ ტაციტუსი ეხება ქართველთა წარმოშობის თეორიას, რომ ქართველები წარმოშობილნი არიან თესალიელებისაგან, როცა იასონი კოლხებში, აიეტის ქვეყანაში დაბრუნდა.

ტაციტუსი წერს, – „იბერები ამტკიცებენ, რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილები და მათ აჰყავთ თავიანთი წარმოშობა იმ უძველეს დრომდე, როცა იასონი (მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ) დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში და ხელისუფლების გარეშე დარჩენილ კოლხებში. ეს თეორია იმით მტკიცდებაო, განაგრძობს ტაციტუსი, რომ იბერები პატივს მიაგებენ იასონის ხსოვნას, ფრიქსეს სალოცავს და იქ არავინ წირავს მსხვერპლად ცხვარს, რადგანაც მიიჩნევენ, რომ ფრიქსე მათთან მიიყვანა ცხვარმა, მიუხედავად იმისა, ის ცოცხალი არსება იყო თუ ხომალდის ნიშანი.

(მაშასადამე, ამ თეორიით, იბერები კოლხებში ჩამოყალიბდნენ თესალიური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ანუ იბერები, იგივე კოლხებია იასონის შემდგომ პერიოდში ანუ დაახლოები ძვ. წ. XII საუკუნის შემდეგ (არგონვტების მოგზაურობა დაახლოებით ძვ. წ. 1250 წლისათვის ივარაუდება). ყოველ შემთხვევაში ტაციტუსისათვის კოლხები და იბერები ერთი ხალხია არგონავტთა ლაშქობის შემდეგ ეპოქებში).

ტაციტუსი შემდეგ წერს –

როდესაც არმენიაში შესული იბერებისა და პართელების ჯარები მოემზადნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად, პართელთა სარდალმა თავის წინ საომრად დაწყობილ ჯარისკაცებს მიმართა მხურვალე სიტყვით.

თავის სიტყვაში მან მეომრებს შეახსენა აღმოსავლეთში პართიის ბატონობისა და არშაკიდების სახელოვანი დიდების შესახებ, და თავის სიტყვას დაამატა, რომ მათი მტერი – ერთი ვინმე უსახელო იბერი კაცია თავისი დაქირავებული ჯარით.

მეორე მხარეს იდგა ასევე წყებებად განლაგებული იბერთა ჯარი. მათ ასევე სიტყვით მიმართა მეფემ.

იბერთა მეფე ფარასმანმა შეახსენა იბერთა ჯარს, რომ იბერიის სახელმწიფო მუდამ გამარჯვებული იყო ყველა საგარეო ომში და, ამიტომ, ამბობდა ის, იბერია არასოდეს ყოფილა პართიის უღელქვეშ თავისი მეომრების ვაჟკაცობით, და ახლაც, იბერი მებრძოლები რაც უფრო მეტად მოინდომებენ გამარჯვებას, მით უფრო მეტ დიდებას მოიპოვებენ, ხოლო თუ ზურგს აჩვენებენ მტერს, ნაცვლად მიიღებენ სირცხვილსა და ხიფათს.

ბოლოს კი იბერთა მეფემ განაცხადა ცნობილი ფრაზა – „აქ ვაჟკაცებია, იქ კი საშოვარი“ და ყველას დაანახა თავისი ჯარის შთამბეჭდავი სამხედრო განლაგება, შემდეგ, მიდიელთა ოქროში ჩასმული რაზმები. ამან, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი სიტყვები – **„აქ ვაჟკაცებია, იქ კი საშოვარი“.**

ბაგრატიონების ლეგიტიმაცია ქართლის სამეფო ტახტზე

ძვ. წ. მე-4 საუკუნის მიწურულიდან ვიდრე მე-19 ს. დასაწყისამდე, თითქმის უწყვეტად, საქართველოს ძირითადი სამეფო დინასტიები იყვნენ ფარნავაზიანები და ბაგრატიონები.

მე-3 ს-ის ბოლოდან ფარნავაზიანები ხოსროიანებადაც იწოდებოდნენ, ჩანს, სასანიდური ირანის გავლენის გაზრდის კვალდაკვალ, მათ მიერ მაზდეანური სარწმუნოების აღიარების გამო.

ამ დინასტიას განეკუთვნებოდნენ წმიდა მოციქულთასწორი მეფე მირიანი და წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი, ამიტომაც, მის შემდგომდროინდელ ქართველ ხოსროიან მეფეებს „ვახტანგის შვილებსაც“ უწოდებდნენ.

ამჟამად მიიჩნევა, რომ ფარნავაზიან-ხოსროიანები მხოლოდ მე-6 საუკუნემდე მართავდნენ საქართველოს, მაგრამ ქართული წყაროების თანახმად, ბოლო ხოსროიანი მეფეები იყვნენ მე-8 საუკუნეში მოღვაწე მეფე მირი და მისი ძმა არჩილი.

მართალია, მე-6 საუკუნეში, სპარსეთის ნებით, ვახტანგ გორგასლის პირდაპირმა შთამომავლებმა სამეფო ტახტი დაკარგეს და თავი კახეთს შეაფარეს, მაგრამ ისინი ტახტზე დაუბრუნებია საქართველოში თავისი ლაშქრობის დროს ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს (610–-641), მალევე საქართველოში შემოჭრილ არაბებს საჭიროდ მიუჩნევიათ ქართლის სამეფო დინასტიის, ანუ ხოსროიანების დევნა. არაბები სიკვდილით დაემუქრნენ ხოსროიან მეფე სტეფანოზს, მის ძეებს, მირსა და არჩილს, ამიტომაც მათ თავი შეაფარეს იმჟამად ბიზანტიისა და ხაზარების მმართველობაში მყოფ ანაკოფიის ციხეს. შემდეგ კი კახეთში გადასული არჩილ მეფე არაბებმა მაინც დასაჯეს სიკვდილით. ამიტომაც წერს კიდეც მემატიანე –

„ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოჴრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინ-მე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელი-მცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფლად თჳსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქჳან ხარაჯა. რამეთუ განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა“. http://www.amsi.ge/istoria/qc/matiane1.html

მტრის მიერ ხოსროიანი მეფეების დევნის მიუხედავად იმჟამინდელი საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ლეგიტიმურ დინასტიად ვახტანგ გორგასლის შთამომავლებს, ანუ ხოსროიან მეფეებს მიიჩნევდა, ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი, ბაგრატიონთა დინასტიის მიერ ძველი დინასტიისაგან მემკვიდრეობის გადაცემას, რაც მოხდა კიდეც ქალის გზით, როდესაც არჩილ ხოსროიანის ვაჟმა ჯუანშერმა ცოლად შეირთო ადარნასე

ბაგრატიონის ქალიშვილი ლატავრი, ამით ლატავრიმ და მისი მამის ოჯახმა მოიპოვა ლეგიტიმაცია და სამეფო უფლების მატარებელი გახდა.

ხოსროიან დინასტთან ქორწინების გზით ლეგიტიმაცია მოიპოვა ლატავრისთან ერთად მისი მამის, ადარნასეს ოჯახის წევრებმა, ადარნასეს შვილებმა, მათ შორის აშოტმა.

მემატიანე წერს – **„ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არა-თუ-რე კეთილად მეცნიერი იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ჴორციელად მამად ღმრთისად იწოდა. და ვითარ იხილა ძის ცოლი თჳსი, შეუყუარდა, აკურთხა და დალოცა“.**

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ გზით, ანუ ქალის მიერ, გადავიდა ხოსროიანებისაგან ბაგრატიონებზე ლეგიტიმური უფლებები.

იქამდე აშოტ კურაპალატის მამა ადარნასე ბაგრატიონი, ვასაკ ბაგრატუნის ძე თავდაპირველად 742–779 წლებში გარდაბნის ერისთავი იყო, რადგანაც, არჩილ მეფის ნების შესაბამისად, ადარნასეს წინაპრებს „ადარნასე ბრმის ძმისწულებს“ აქვე, შაქის ოლქში, მიწები გადასცა.

ადარნასეს ქალიშვილმა ლატავრი ბაგრატიონმა ალბათ, აქ, შაქ-გარდაბნის ოლქში, გაიცნო არჩილის ძე ჯუანშერ ხოსროიანი, რომელსაც ცოლად გაჰყვა.

სწორედ ამ ლატავრიმ შეიტანა ადარნასეს ოჯახში ლეგიტიმაცია ხოსროიანთა მემკვიდრეობისა.

საქართველოში, ისტორიულად, ქალს სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის უფლებაც გააჩნდა და ამ უფლების გამოყენებით რამდენჯერმე მოხდა სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურად გადაცემა.

ამასთან დაკავშირებით გიორგი ნარიმანიშვილი წერს, – „ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, სამეფო ხელისუფლების გადაცემისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მემკვიდრეობის საკითხს. სამეფო ძალაუფლება, როგორც წესი, მამიდან ვაჟიშვილზე გადადიოდა. იმ შემთხვევაში, თუ ტახტის პირდაპირი ხაზით გადაცემა ვერ ხერხდებოდა, წინა პლანზე გამოდიოდა ქალიშვილის უფლებები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სამეფო ოჯახის წევრი ქალის უფლებრივი მდგომარეობა. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ქალს არა მხოლოდ მემკვიდრეობითი ქონებრივი უფლებები ჰქონდა, არამედ სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის უფლებაც გააჩნდა. სწორედ ამ უფლების გამოყენებით, საქართველოში რამდენჯერმე მოხდა სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურად გადაცემა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ქართლში მირიანის გამეფება. ქართლის მეფე ასფაგურის ასულზე, აბეშურაზე, ქორწინების შემდეგ ის ქართლის მეფე გახდა. რის შედეგადაც სამეფო ხელისუფლება ცოლიდან ქმარზე გადავიდა. ასე დაედო სათავე ქართლში ფარნავაზიან-ხოსროიანთა დინასტიის მმართველობას. ამდენად, მირიანი და მისი მემკვიდრეები ფარნავაზიანთა პოლიტიკური

მემკვიდრეები გახდნენ. VI საუკუნეში ქართულ პოლიტიკურ არენაზე ჩნდება ბაგრატიონთა საგვარეულო, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტისთვის ბრძოლაში აქტიურად ერთვება. ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ III გახდა გაერთიანებული საქართველოს მეფე. ის იყო ორივე დინასტიის პოლიტიკური მემკვიდრე. ქართველთა მეფობა მან მამისგან მიიღო, ხოლო ხოსროიანთა მემკვიდრეობა კვლავ ქალის ხაზით გადავიდა და გურანდუხტის მხრიდან ერგო ბაგრატს. საისტორიო წყაროებში კარგადაა ნაჩვენები, რომ პოლიტიკური მემკვიდრეობის ლეგიტიმურობის საკითხს მკაცრად იცავდნენ ჯერ ხოსროიანები და შემდეგ ბაგრატიონები“.

ქართლის ხოსროიან მეფე არჩილთან მე-8 ს. დასაწყისში მისულან სომხეთის ტარონიდან ლტოლვილი ბაგარატიონი ძმები, მას ისინი მიუღია ვითარცა ვასალები და სამკვიდრებლად უბოძებია შაქის ოლქი. ამავე ოჯახიდან ყოფილა გამოსული ასევე ადარნასე ბაგრატიონი, რომელიც, არაბთა მიერ ლტოლვილი, თავს აფარებდა გურამ კურაპალატის შვილებს კლარჯეთში. ისიც ვასალის სახით მისულა არჩილ მეფესთან და უთხოვია სამკვიდრებელი მიწა-წყალი. არჩილს მისთვის (ადარნასე ბაგრატიონისათვის) უბოძებია შულავერი და არტაანი. შულავერი გარდმანის ნაწილი იყო. გარ-დაბნის ერისთავი გახდა მისი ძე აშოტ დიდი 742–77 წლებისათვის, შემდეგ კი არტაანის მხარეში ტაო-კლარჯეთის ერისთავი ყოფილა 780–786 წლებში, არტაანი ჯავახეთს ემეზობლება, რომლის ერისთავიც ის ყოფილა 786–807 წლებში. აშოტის მამა ადარნასე ყოფილა ვასაკ ბაგრატუნის ძე. ადარნასე ბაგ-რატიონის შვილები იყო აღნიშნული აშოტი, გურგენი და ლატავრი, შემ-დგომში არჩილის ძის, ჯუანშერ ხოსროიანის ცოლი. ხოსროიან მეფეთა დედო-ფალ ლატავრის საშუალებით მისმა ძმამ აშოტმა სამეფო ტახტის გათა-ვისუფლების შემდეგ მოიპოვა ტახტზე ასვლის ლეგიტიმური უფლება.

ხოსროიანი მეფეები ქართლის ტახტს მართავდნენ მე-4 საუკუნიდან, მე-7 საუკუნის ბოლოდან ხოსროიან მეფეებს მიზანმიმართულად დევნიდა არაბული ხელისუფლება (როგორც ბაგრატიონებს მე-19 საუკუნეში დევნიდა რუსული ხელისუფლება) და არ აძლევდა ტახტის დაკავების უფლებას. ასეთ დროს ხოსროიანთა ტახტი დაიჭირა აშოტ ბაგრატიონმა, რომელსაც ლეგიტი-მურობას ანიჭებდა მისი მამის და ლატავრი, ამ ტახტის დედოფალი.

ხოლო ამიერით განიწყო შემცირება მეფობამან დიდთა მეფეთა ხუას-როანთა. პირველად უფლობა სარკინოზთაგან ... და უკეთუ ვინმე გამოჩნდეს შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცი-რებულ სარკინოზთაგან: რამეთუ დაიპყრეს ტფილისი ქალაქი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფლად თუისად, ... განდიდნა ნათესავი სარკინოზთა. ხოლო ამან ჯო[ნბერ] შეირთო ცოლი ბაგრატონიანთ, ასული ბაგრატონიანისა ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად. არათურე კეთილად მეცნიერ იყო, რამეთუ 8 არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტ- ყუელისანი რომელი იგი მამად ღმრთისად იწოდა. და ვითარ იხილა ძის ცოლი თუისი, შეუყუარდა, აკურთხა და დალოცა.

http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/4924/8/kartlis%20cxovreba%20anaseuli.pdf

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, მე-4 საუკუნის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იყო ქართლის მეფე ლევის ძე. ის ითვლება პირველ ხოსროიან მეფედ, ანუ ხოსროიანების დინასტიის ფუძემდებლად, მაგრამ ის ყოფილა, „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ფარნავაზიანი მეფის, ლევის ძე, ამიტომაც ამ დინასტიას ჩვენ შეიძლება ფარნავაზიან-ხოსროიანები ვუწოდოთ.

„ქართლის ცხოვრება“ კი მას მიიჩნევს პირველი **სასანიანი შაჰის** შვილად, მაგრამ ასეთი სახელის მქონე სასანიდი მმართველი ირანში მის დროს არ არსებობდა, ამიტომ, სწორი უნდა იყოს“ მოქცევაი ქართლისაი“, რომ მისი მამის სახელი იყო „ლევი“, რადგანაც მეფე მირიანმაც თავის ვაჟს ეს სახელი „რევი“ დაარქვა, შვილიშვილს ბაბუის სახელი დაერქვა.

სამეფო დინასტიის სახელი „ხოსროიანები“ დამკვიდრდა მეფე მირიანის შემდგომ. ხოსროიანები იყვნენ დიდი ქართველი მეფეები , წმიდა მოციქულ-თასწორ მირიანის გარდა, წმიდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი, ამ გვარისა იყო ბოლო ქართველი ხოსროიანი მეფეები, მირი და არჩილი. ქართ-ლის ცხოვრება გამოკვეთილად მიუთითებს, რომ მეფე მირი და მეფე არჩილი ხოსროიანები იყვნენ. „მატიანე ქართლისაი“ წერს – „მეორმოცდახუთე მთა-ვარნი ქართლისა, იოვანე და ძმა მისი ჯუანშერ, ძენი წმიდისა მოწამისა არჩილ მეფისანი, ხოსროიანნი“. (http://www.amsi.ge/istoria/qc/matiane1.html)

არსებობს სხვადასხვა შეხედულება, რომლის მიხედვით ჯერ კიდევ ხოსროიან მეფეებამდე არსებობდა ურთიერთმიმართება ბაგრატიონთა და ფარნავაზიანთა შორის.

ბაგრატიონებისა და ფარნავაზიანების ურთიერთმიმართების შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება. ზოგჯერ მიიჩნევა, რომ ბაგრატიონები ფარნავაზიანების ერთ-ერთი განშტოებაა.

საკითხის კვლევისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რომ არსებობს სხვადასხვა წყარო ბაგრატიონების წარმოშობისა და სამეფო ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ. მაგალითად, მოვსეს ხორენაცის თანახმად, სომხეთის მე-ფეები ფარნავაზის სახელით სამეფო ტახტს ფლობდნენ ძვ. წ. მე-9 და მე-7 საუკუნეებში.

ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობისა და მათი იერუსალიმიდან გამოსვლის შესახებ წერდა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი, მაგრამ არსებობს ასევე სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სომხეთში ბაგრატიონები შემოჰყვნენ იმ იბერებს, რომელნიც ნაბუქოდონოსორმა ურარტუს მეზობელი ლუვიის (და არა ლიბიის ქვეყნიდან) მეზობელი ქვეყნიდან გადმოასახლა პონ-ტოს ზღვისპირეთში.

თვით სომეხ ისტორიკოსთა, მაგალითად, ხორენაცისა და უხტანესის შრომებშია ცნობები იმის შესახებ, რომ თავდაპირველად (ურარტუს ეპოქაში) იბერები ცხოვრობდნენ ლიბიის, ანუ ლუბიის ქვეყნის მეზობლად, ანუ მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში.

აქედან კი მათი ნაწილი ჩრდილოეთით, კერძოდ, პონტოს ზღვის-პირეთში გადაუსახლებია ნაბუქოდონოსორს. ამ სომეხ ავტორს უკავშირდება ფარნავაზ მეფის ხსენება ურარტუს ეპოქის სომეხ მეფეთა სიაში.



ლუვიელები. იბერები ლიბიის, ანუ ლუვიის მახლობლად File:Anatolian Languages in 2nd millennium BC.jpg

კერძოდ, ხორენაცის ე.წ. ჰაიკიდ მეფეთა სიაში ფარნავაზ 1 მეფობდა ძვ. წ. 856–803 წლებში, ხოლო ფარნავაზ II – 679–666 წლებში.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ისინი იყვნენ არა სომხეთის (არმენიის) მეფეები, არამედ ყოფილი ურარტუს სხვადასხვა ნაწილის მმართველები (მიდიის მეფეების ეპოქაში), მათ შორის ლუბიის მეზობელი იბერებისა. ისინი ერთ დროს მართავდნენ სხვადასხვა პროვინციას, ხორენაციმ ისინი თავის სიაში არმენიის მეფეებად წარმოადგინა, როცა ხელოვნურად გააერთიანა ჰაიკიდი მეფეების დინასტიის სახით. ასე აღმოჩენილა სომეხ მეფეთა სიაში ურარტუელი ფარნავაზები.

შესაბამისად, ისინი (ფარნავაზი მეფეები) მართავდნენ იმ იბერებს, რომელნიც ყოფილი ურარტუს პერიფერიაში, ლუვიის მეზობლად ცხოვრობდნენ.

ურარტუს მეზობელი ყოფილი ლუვიიდან, ისინი, იბერებთან ერთად გადმოუსახლებია ნაბუქოდონოსორ მე-2-ს ძვ .წ. 634-სა და 562 წლებს შორის პონტოს ზღვისპირეთში, ანუ ისტორიულ საქართველოში.

ახალი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მე-2 (ძვ. წ. 634-ძვ.წ. 562), რომელმაც იუდეა და იერუსალიმი დაიპყრო, ასევე, ცნობილია იმით, რომ მას ლუვიის მეზობლად მცხოვრები იბერები გადმოუსახლებია კავკასიაში, ჩანს, ძვ. წ. 605–552 წლებში, ტახტზე ასვლის შემდეგ, რის შემდეგაც კავკასიაში ჩამოყალიბებულა ისტორიული იბერია ფარნავაზიანთა დინასტიით.

ხორენაცი ერთმანეთან აკავშირებს ბაგრატიონებსა და ფარნავაზს, ის წერს –

„Говорят, что в его время жил Навуходоносор, царь Вавилона, уведший в плен иудеев. И он, говорят, выпросил у Навуходоносора одного из пленных иудейских вождей, по имени Шамбат, привел его и поселил в нашей стране, с большими почестями. Летописец утверждает, что именно от него происходит род Багратуни, и это правда... Ибо некоторые не заслуживающие доверия люди произвольно, не считаясь с истиной, утверждают, что твой венцевозлагающий род Багратуни происходит от Хайка. По этому поводу скажу: не верь подобным глупостям, ... имя Смбат, которым **Багратуни** часто нарекают своих сыновей, это, по-настоящему, на их прежнем, то есть иудейском, языке – Шамбат. **Парнаваз** ... Ерванд Кратковечный Тигран“.

http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/01.html

სტრაბონის ცნობით, ე. წ. დიდ არმენიაში მდებარეობდა ვრცელი იბერიული ოლქები – პარიადრეს ქედის კალთებიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე „გოგარენა მტკვრის იქით“ მდებარეობდა, ანუ თვითონ პარიადრეს კალთები და მტკვრის იქით გოგარენა დ ამათ შუა მდებარეობდა ხორძენა, აქედან ჩანს, რომ ხორძენა ერქვა არა მცირე ტერიტორიას, არამედ ვრცელ მიწაწყალს, როგორც ითქვა, პარიადრედან ვიდრე მტკვრამდე, საკასენამდე.

ეს ფაქტი, ანუ დიდი არმენიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეების იბერიულობა ასახულია მოვსეს ხორენაცთანაც, ასევე უნდა ითქვას, ისევ სტრაბონის ცნობით, რომ არმენიამ ქართველებისაგან მიიტაცა არა მხოლოდ პარიადრე, ხორძენა და გოგარენა, არამედ კარენიტი (არზრუმის ოლქი) ხალიბებისაგან, ანუ ქალდებისაგან, ხოლო მოსინიკებისაგან მიიტაცა ოლქი ქსერქსენე.

ამის გამო მცირე არმენიის დიდი ნაწილი ქართული ტომებით იყო დასახლებული ისევე, როგორც დიდი არმენიის ჩრდილოეთი ნაწილი. მიმდინარეობდა მათი გამალებული არმენიზაცია. როგორც ითქვა, არმენიის ჩრდილოეთ ნაწილის ქართულობას ფაქტობრივად აღიარებს მოვსეს ხორენაცი, როცა წერს, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ აქ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას ხელმძღვანელობდნენ გუგარელთა პიტიახშები, მათი წინაპრები ალექსანდრე მაკედონელმა მთავრებად დაუსვა შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ივერებს.

„...ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ.

ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას, ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“.

აქედან ჩანს, რომ მოვსეს ხორენაცის ივერიელთა საცხოვრისად მიაჩნია ე. წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთი ნაწლი პონტოს ზღვიდან გუგარქის ჩათვლით, პონტოს ზღვის აღმოსავლეთი, კავკასიის შავი ზღვისპირეთი ქართველთა ქვეყნად რომ მიაჩნია მოვსეს ხორენაცის ეს მისი ისტორიის სხვა ქვეთავიდანაც ჩანს: – „არტაშესმა თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიჰრდატს, ქართველთა დიდ პიტიახშს, რომელიც როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრემ ივერიელთა ქვეყნიდან მოყვანილ ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. სომეხთა მეფემ მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა“.

ალექსანდრე მაკედონელს შავი ზღვისპირეთში უნახავს აქ ნაბუქოდონოსორის მიერ ჩასახლებული იბერები და მათთვის ხელისუფლად დაუდგენია **„ქართველთა დიდი პიტიახში მიჰრდატი“.**

დაახლოებით საუკუნის შემდეგ, ძვ. წ. მე-2 საუკუნეში, ხორენაცის სიტყვით, არმენიის ეს ივერიული მხარეები (შავი ზღვიდან გუგარქის ჩათვლით) სპარსეთის მეფემ ჩააბარა თავის ძმას ვალარშაკს. მან თავის სამართავ ტერიტორიაზე დიდი უფლებები მიანიჭა ბაგრატიონების წინაპარს ბაგარტს, ის იუდეველი შამბატის შთამომავალი ყოფილა (მიიჩნევა, რომ შამბატი იუდეველი დიდებული ყოფილა ბაბილონში ტყვედ გადასახლებული, შემდეგ ის ნაბუქოდონოსორს გაუგზავნია ჩრდილოეთის მხარეებში). მაშასადამე, ბაგრატი ნაბუქოდონოსორის მიერ გადმოსახლებულ იბერებს ჩაუდგა სათავეში, მათ, რომელნიც დიდი არმენიის ჩრდილოეთ მხარეებში ცხოვრობდნენ, გუგარქის გარდა ესაა ბასიანი, ტაო, არზრუმის ოლქი და მიმდებარე მხარები. ამ მხარეებს ნ. ადონცი თავის წიგნში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“ უწოდებს არმენიის ივერიულ ზოლს. სწორედ ესაა სტრაბონის მიერ დასახელებული იბერიის მიწა-წყალი – პარიადრე, ხორძენა და გოგარენა, მათ გარდა, ასევე, ხალიბებისა და მოსინკების კარენიტი და ქსერქსენე, რომელნიც მიიტაცეს არმენიის მეფეებმა ძვ.წ. 190–180 წლებში. იბერიამ დაკარგა ეს მიწა-წყალი, თუმცა იქ თავის ადგილას კვლავინდებურად საცხოვრებელად დარჩენილი მკვიდრი ქართული მოსახლეობა არმენიზაციის წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. არმენიის დასავლეთ მხარეებში, შავი ზღვისპირეთში სომხური ენა ნაკლებად გავრცელებულა, რასაც ხორენაციც აღნიშნავს.

ისტორიულ ივერიაში, ანუ დიდი არმენიის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ქართველების წინამძღოლი კვლავ იქაური ბაგრატიონები (ბაგრატიდები) იყვნენ.

Кроме того, (он назначается) наместником западного края до тех пределов, где кончается армянская речь, предводителем десятков тысяч (воинов), წერს ხორენაცი. დასავლეთის მხარეებში, სადაც უკვე აღარ ისმის სომხური ენა http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/02.html

ვალარშაკს ზედამხედველი დაუდგენია აბოცისა და ტაშირისათვის, რომელნიც სომხური გეოგრაფიის ცნობით, იყო „იბერიელებისა“, ანუ იბერიე-ლებით იყო დასახლებული, ეს ოლქები გამალებით სომხდებოდნენ ასეთი პოლიტიკით.

რაც შეეხება ქართულ ვრცელ ოლქს გუგარქს, მან თავისი იდენტობა თითქმის შეინარჩუნა. ეს იყო ვრცელი ტერიტორია თბილისის სამხრეთიდან ვიდრე ტაომდე და კლარჯეთამდე, მისი მთავრებიც ეთნიკური ქართველები ყოფილან გუგარქის ბდეხშის ტიტულით.

Валаршак утвердил за отпрысками Гушара Хайкида также княжество Ашоцк и владение Таширк.

Наместничество северного края, расположенного против горы Кавказа, он поручает великому и могучему роду и присваивает его родовладычеству титул бдеашха Гугаркского.

Этот род происходит от Михрдата, нахарара Дария;

ე.ი მიჰრდატი იყო დარიოსის სატრაპი ამ მხარეში, ანუ მე-19 სატრა-პიაში.

მე-19 სატრაპია შედგებოდა ქართული ტომებისაგან, ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ სპარსეთის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ნდობა გამოუცხადა ამ სატრაპს, ანუ მიჰრდატს და ის დანიშნა იქ, ანუ მე-18 და ასევე მე-19 სატრაპიებში მცხოვრები ივერების ხელისუფლად.

Алексаидр, приведя его, назначил начальником над пленными из верийских племен, переселенных Навуходоносрром,о чем повествует Абиден в следующих словах: «Великомощный Навуходоносор, который был сильнее Геракла, собрав войска, достиг страны ливийцев и верийцев и, победив и ниспровергнув их, подчинил своей власти. Часть «х он переселил на правобережье Понтийского моря». **Верия** же является западной окраиной земли. http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/02.html

ხორენაცის აქვს მინიშნება, რომ კაპადოკიის მესხებით დასახლებული დედაქალაქი მაჟაკი სპარსეთის ხელისუფლებას აღნიშნული იბერიელების მთავრისათვის მიუნდვია. ეს ნიშნავს, რომ მიწა-წყალი მაჟაკადან, პარხალის, ტაოსა და გუგარქის ჩათვლით კვლავ იბერიული იყო მე-5 საუკუნეში, ხორენაცის ეპოქაში.

О том, как Валаршак упорядочил запад и север нашей страны.

После этого он упорядочивает земли Мажака и страны понтитев и **егеров** и обращается на север, к подножию **Пархара**, во внутреннюю область **Тайка**, влажную, покрытую мглистыми замшелыми лесами местность. Он прекрасно устраивает страну, выравнивает горный и пышащий жарой климат в благостную и одинаково приятную усладу своего царства.

Создает здесь прохладную обитель на летнюю пору, когда он будет отправляться на север. Устраивает два загона на ровной лесистой местности и место для охоты, жару же области **Кол** (умеряет) разбивкой виноградников и цветников. Однако я воздержался здесь от того, чтобы во всех деталях и полноте описать любимого мужа, ибо ограничился лишь точным указанием мест, избегая подробностей, дабы сохранить неразрывной связь любви к дивному (мужу).

Здесь он призывает к себе дикие пришлые племена, проживавшие в северной равнине и у подножия великой горы Кавказа, а также в долинах или длинных глубоких ущельях, тянувшихся от южной горы к обширному устью равнины, и побуждает их оставить разбой и покушения на людей, подчиниться царским указам и платить дань, с тем чтобы при следующем своем посещении он мог назначить им предводителей и начальников и установить подобающий порядок. Он отпускает нх, придав им от себя мудрых мужей и надзирателей. Затем, отправив и западных жителей, он спускается к зеленым лугам близ удела Шара, которые древние именовали Безлесным или Верхним **Баоеаном**, а впоследстчии из-за колонистов булгара Влндура Бунда, поселившихся там, были названы по его имени **Ванандом**. И поныне села там носят названия, полученные от имен его братьев и потомков.

Когда же на севере похолодало и подули леденящие ветры, Он спустился на обширную равнину и там разбил лагерь на берегу Великого болота, в том месте, где большая река, берущая начало в северном озерце, стевая, сливается с Мецамором. И устроив там воинство страны и оставив своих управителей, сам в сопровождении всех начальников отправляется в Мцбин.

http://www.vehi.net/istoriya/armenia/khorenaci/02.html



https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/cb/Yervanduni Armenia%2C IV-II BC.gif

ისტორიული იბერია ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე მე-3, მე-2 საუკუ-ნეებში მოიცავდა უვრცელეს მხარეებს პარიადრის ქედიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ამაზე მიუთითებს სტრაბონიც, როცა წერს, რომ პატარა არმენიამ მეფეების, არტაქსიასა და ზარიადრეს დროს გააფართოვა მცირე არმენია იმით, რომ იბერიას ჩამოაჭრა ტერიტორიები, პარიადრე, ხორძენა, გოგარენა, ეს ვრცელი მიწა-წყალი შემდგომში იწოდა დიდ არმანიად, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ცნობილი დიდი არმენიის ჩრდილოეთი ნაწილი წარმოადგენდა ყოფილ იბერიულ ოლქებს, ხოლო მცირე არმენია მთლიანად ქართული ტომებით იყო დასახლებული, რადგანაც მცირე არმენია ხალიბების ქართული ტომის მიწა-წყალზე დაარსდა, როცა იგივე მეფეებმა შემდგომი არზრუმის ოლქის მიწა-წყალი მიიერთეს და მასზე სომხური სამეფო დაარსეს. ამ დაპყრობის გამო იბერები, ანუ სხვადასხვა ქართული ტომი, რომელნიც აქ ნაბუქოდონორის ეპოქიდან უკვე სახლობდნენ, განიცდიდა გამძაფრებულ არმენიზაცია, რასაც სტრაბონიც მიუთითებს, როცა წერს, რომ მის დროს უკვე ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე სომხური ენა იყო გავრცელებული. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა აბსოლუტური მოვლენა ყოფილიყო. საქართველოს ანუ იბერიის სამეფოს საზღვრებთან ახლოს არმენიაში მცხოვრები იბერები კვლავ ინარჩუნებდნენ ქართულენოვნებას. ეს გამოჩნდა მოგვიანებით, მე-8 საუკუნის შემდეგ, როდესაც ტაოსა და ბასიანის, ასევე ნაწილობრივ არზრუმის ოლქების მკვიდრმა მოსახლეობამ აღიდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა ეკლე-სიებში, ხოლო მალევე მათ აღიდგინეს ეროვნული სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით.

აი, აქ, არმენიის მკვიდრ იბერთა შორის ცხოვრობდნენ ბაგრატიონების წინაპრები. მათ სომხეთში მიაღწიეს დიდ თანამდებობებს, შემდეგ კი სამეფო ტახტზეც ავიდნენ. მე-7 საუკუნის სომეხი მწერალი სებეოსი მიუთითებდა, რომ ბაგრატიონები ფარნავაზიანები იყვნენ თავიანთი წარმომავლობით. ის, რომ ბაგრატიონები ფარნავაზიანებიდან წარმოიშვნენ, სებეოსი წერდა იქამდე, სანამ ბაგრატიონები დაიჭერდნენ არმენიისა და იბერიის სამეფო ტახტებს.

შავი ზღვისპირეთში ნაბუქოდონოსორის მიერ იბერების ჩასახლების შესახებ როცა წერს ხორენაცი, წყაროდ ასახელებს აბიდენოსს – „ძლევამო-სილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია **ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს,** შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. **მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს**“.

ეს ცნობა მომდინარეობს ევსევი კესარიელიდან. მისი წყარო კი აბი-დენოსი ყოფილა, მე-2 საუკუნის ბერძენი მწერალი.

ასევე, არის სხვა ცნობაც, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ ჩრდილოეთში გადმოსახლებულ იბერებს ალექსანდრე მაკედონელმა მთავრად დაუნიშნა დარიოსის ნახარარი მიჰრდატი, დიდი და ძლევამოსილი გვარიდან. მათ დაერქვათ გუგარელთა პიტიახშები. სომეხ ავტორთა გუგარელთა პიტიახშები შეიძლება ფარნავაზიანები იყვნენ.

„…ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებ-ლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუ-ქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ვერიელთა მოდგმას, ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლე-ზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყ-ნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“. http://meufea nania.info/somxeti/

არა მხოლოდ მოვსეს ხორენაცი, უხტანესი და ზოგადად, ძველი სომ-ხური ისტორიოგრაფია დარწმუნებული იყო, რომ იბერების საცხოვრისია შავი ზღვისპირეთის სივრცე, სადაც ისინი ჩაუსახლებია ნაბუქოდონოსორს.

უხტანესის მიხედვით, ვრაცები, ანუ ქართველები თავდაპირველად დაუსახლებიათ შავი ზღვისპირეთში, შემდგომ ქართველი ხალხი გამრავლე-ბულა „მოდებია მთელ იმ მხარეს, აღორძინებულა, გავრცელებულა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე“, როგორც ის წერს:

„ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამ-რავლდა ზღვისპირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება.…“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთი, უპირველეს ყოვლისა, და-სავლეთ საქართველოს ეწოდება, ე.ი. უხტანესი ქართველებს დასავლეთ საქარ-თველოს თავდაპირველ მცხოვრებად მიიჩნევს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსი „აფხაზეთს“ უწოდებს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიან საქართველოს, ისტორიულ „ქართლს“, იბერიას – პონტოს ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე. თბილისსაც აფხაზეთის ქალაქად მიიჩნევს და ჩამოთვლის კიდეც თბილისის გარშემო მდებარე პროვინციებს – „წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი“. ეს პროვინციებიც „აფხაზეთში“ შედიან. აფხაზეთის მოსახლეობას კი უხტანესი უწოდებს არა „აფხაზებს“ ანდა „მეგრ-ელებს“, არამედ ვრაცებს – ქართველებს – „ითესლეს და გამრავლდნენ და გახ-და ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ“.

მე-10 საუკუნის უცხოელი ისტორიკოსის, უხტანესის სიტყვით, აფხა-ზეთის მკვიდრ მოსახლეობას ქართველები ერქვა, ანუ ძველი აფხაზები ქარ-თველები იყვნენ, განსხვავებით მე-17 საუკუნის შემდეგ წარმოშობილი აფხა-ზებისაგან, რომელნიც ადიღე-ჩერქეზული ტომია.

უხტანესის მიხედვით, მთლიანი საქართველოს მოსახლეობა შავი ზღვი-დან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე ქართველები იყვნენ. იგი მეგრელებსაც ქარ-თველებად მიიჩნევს. მისთვის მეგრელები ქართველებია. უხტანესი წერს, რომ არა მარტო მის დროს ცხოვრობს ქართველი ხალხი შავი ზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდე, არამედ ძველ დროსაც, ჯერ კიდევ ქრისტე-

მდე ასევე ყოფილა.

როგორც ითქვა, უხტანესის სიტყვით, ვრაცები ქრისტემდე VI საუკუნეში დაუსახლებიათ შავი ზღვისპირეთში, შემდეგ გამრავლებულან და სომხეთ-ალბანეთამდე მიუღწევიათ. მისი სიტყვით, ქართველების ქვეყანას შავი ზღვიდან ალბანეთამდე აფხაზეთი ჰქვია.

მოვსეს ხორენაცი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ასევე მიიჩნევს:

„კავკასიის მთის წინ მდებარე ჩრდილოეთის მხარეთ მპყრობელად აწესებს დიდსა და ძლიერ ტომს“,… წერს ხორენაცი ქართველთა შესახებ.

მოვსეს ხორენაცი გულისხმობს ქართველ ხალხს, რომელთა მთავარს აქვს წოდება „გუგარელთა პიტიახშისა“, ხოლო ეს ქართველები, ანუ ივერიელები ჯერ შავი ზღვისპირეთში დასახლებულან, ხოლო შემდგომ გამრავლებულან „პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირიდან“ აღმოსავლეთის მიმართულებით ალბანეთის საზღვრამდე. http://meufeanania.info/somxeti/

არსებობს თვალსაზრისი, რომ ევსევი კესარიელს მეგასთენესაგან აუღია ცნობა იბერების გადასახლების შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთში.

ანტიკურ სამყაროში ასევე გავრცელებული ყოფილა აზრი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები (ქართველური ტომები) დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ და პონტოსპირეთში (შავი ზღვისპირთში) დასახლდნენ. ჩანს, კიმერიელების მიერ განადგურებულ კოლხეთში, ანუ ტრაპეზუნტის ოლქსა და საქართველოში.

დასავლეთ საქართველო მე-5 საუკუნისა და შემდგომი ეპოქის სომეხ ისტორიკოსებს მიაჩნიათ ქართველთა უმთავრეს საცხოვრისად, ბუდედ, ცენტრად, სადაც ისინი გამრავლდნენ და გავრცელდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით. დასავლეთ საქართველო მუდმივი საყრდენი და თავშესაფარი იყო ქართლის მეფეებისა.

არაბთა დევნილობის დროს, წმინდა მოწამე არჩილ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი **იოანე** გადავიდა ეგრისში და თან გადაიყვანა დედამისი და თავისი ორი დაი, ხოლო ჯუანშერი და სხვა ორი დაი დარჩნენ ქართლსა და კახეთში.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, **ჯუანშერმა, არჩილ მეფის ძემ, შეირთო ადარნასე ბაგრატიონის ასული ლატავრი** (ქ.ც., ტ. I, გვ. 252).

როგორც ითქვა, ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადარნასე ბაგრატიონის ძის, აშოტ კურაპალატის ოჯახის წარმოჩენისათვის ვითარცა სამეფო ოჯახისა. ამ ოჯახის ლეგიტიმაციისათვის.

ჯუანშერი იყო ქართლის ათასწლოვანი ფარნავაზიან-ხოსროიანი მეფეების შთამომავალი, ხოლო ადარნასე ბაგრატიონი მხოლოდ ერთ-ერთი მმართველი უმნიშვნელო რეგიონისა. ამ მიზეზის გამო მისი დის, ლატავრის ჯუანშერთან შეუღლების შემდეგ ბაგრატიონების ეს ოჯახი სამეფო ლეგიტიმაციის მატარებელი გახდა, კერძოდ, მათ უფლება გაუჩნდათ ასულიყვნენ ქართლის სამეფო ტახტზე.

ლეგიტიმაციის ეს გზა არსებობდა ბიზანტიაშიც, მაგალითად, იმპერატორი მიხეილ 1 რანგავე (811–813) ტახტზე ავიდა იმ ლეგიტიმაციით, რომ ის იყო სიძე იმპერატორ ნიკიფორე I-ისა, ასევე, რომანოზ III არგირი იყო სიძე, ანუ ოჯახის წევრი იმპერატორ კონსტანტინე მე-8-ის, ამით მოიპოვა ლეგიტიმაცია, რომ ტახტზე ასულიყო.

ასეთივე გზით მოიპოვა ლეგიტიმაცია, როგორც ითქვა, ბაგრატიონების სხვა შტომ, მემატიანე აღწერს –

მე-6 საუკუნეში, სპარსელების გამო უმეფობის დროს, საქართველოს ერისთავებმა გაიხსენეს, რომ ბიზანტიელთა ხელში მოქცეულ კლარჯეთში მთავრობდა ვახტანგ გორგასლის კანონიერი მემკვიდრე, კერძოდ, მისი შვილიშვილი ასულის მხრიდან, გუარამ ბაგრატიონი. ამ ასულის სახელი უცნობია, მას მემატიანე ასეთი სახელით იცნობს – „დაი მირდატისი“.

„მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი...და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართლისათა...კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ **დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა,** ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (ქ.ც.1. გვ.217).

სპარსელთა მძლავრობის გამო ბაკურ მეფე დასუსტდა. სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები ვეღარ მეფობდნენ, ამავე დროს, ერისთავები განუდგნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფო მმართველობას და სათითაოდ, ცენტრალური ხელისუფების გვერდის ავლით ხარკს უხდიდნენ სპარს მმართველს, რომელიც რანსა და მოვაკანში გაბატონდა.

ვახტანგ გორგასლის შვილები პირველი ცოლისაგან კახეთის მთიულეთში გაიხიზნენ, ხოლო შვილები ბერძენი ცოლისაგან – „ნათესავნი მირდატისნი“ ჯავახეთსა და კლარჯეთში მთავრობდნენ.

„**მირდატის დის წულ**“ – გუარმ ბაგრატიონის სამთავრო კლარჯეთი განფენილი იყო – „ვიდრე ზღვამდე სპერისა“ (ქ.ც.1. გვ 205). ეს იყო ბიზანტიის გავლენის სფერო, ამავე დროს ვიცით, რომ სპერის, ანუ შავი ზღვისპირზე მდებარეობდა იმავე სტატუსის მქონე ლაზიკა, მის მთავრებსაც კურაპალატის ტიტულს ანიჭებდნენ, ამიტომ, შესაძლებელია, გუარამ ბაგრატიონი იყო ლაზიკის ბასილევსი, ე.წ. მეფე.

ის ბიზანტიის ვასალი იყო, ამიტომაც უმეფობის დროს კეისარს ქართველებმა სთხოვეს გუარამის ქართლში გამეფება. მაშასადამე, ამ დროს ბაგრატიონები ქართლის ტახტზე ავიდნენ ქალისაგან მიღებული ლეგიტიმაციის გზით, ვითარცა „ნათესავნი მეფეთა ქართლისათა“.

ეს მოხდა მე-6 საუკუნეში, ხოლო მე-8 საუკუნეში აშოტ ბაგრატიონი და მისი ვაჟები უკვე სხვა შტო იყო ბაგრატიონებისა და მას ასევე ლეგიტიმაცია, ანუ ერისთავებისა და ხალხის თანხმობა ესაჭიროებოდა, მით უმეტეს, რომ ეს შტო ქართლში ახალი მისული იყო არჩილ მეფის დროს. ეს ლეგიტიმაცია მოხდა იმით, რომ არჩილ მეფის ძემ ჯუანშერმა შეირთო ადარნასე ბაგრატიონის ასული ლატავრი.

მე-8 ს-ში ბაგრატიონები, ლატავრის გზით, ერისთავებისა და ხალხისათვის უკვე „ქართლის მეფეთა ნათესავნი“ გახდნენ და ამით მოიპოვეს ქართლის მეფედ წოდების უფლება. ამით მათი სამეფო ძალაუფლება და კანონიერება ხალხისათვის მისაღები გახდა. ამის გამო მათ საზოგადოების ყველა ფენის დამორჩილების უფლება მიიღეს.

მით უმეტეს, რომ ბაგრატიონები იყვნენ „ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი“.

„შემდგომად სიკვდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა, ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა... განდიდნა აშოტ კურაპალატი... და გრიგოლი მთავრობდა კახეთს... და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე (შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტმა და გრიგოლ“ (გვ. 251-253).

სახალიფოსთან წინააღმდეგობის უდიდესი კერა საქართველოში იყო კახეთის საქორეპისკოპოსო – კახეთის სამთავრო. წარმოქმნილი ქართლის მეფე არჩილისა მისი ძეების გარდაცვალების შემდეგ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში.

მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა... **„ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქვეყანასა მას შინა, და სახლად მისსა იყო ბარდავი და ტფილისი და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემო მისსა... ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“** (სუმბატის ქრონიკიდან) (ქ.ც. I. გვ. 253).

ქართველები სომხურ მილეთში

კონსტანტინოპოლის დაცემის 1453 წელს, სამცხე-საათაბაგოს ქართული სამთავრო თავის ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა, იმდენად გაძლიერბული, რომ გაბედა და თვით ერთიანი საქართველოს მეფეს გიორგი მე-8-ს შეებრძოლა და ის 1465 წელს დაამარცხა. მაგრამ ეს არ იყო გამარჯვება, არამედ მის სამთავროში მცხოვრები ხალხის დაღუპვის გრძელი გზის დასაწყისი, რადგანაც მათ თანდათან დაკარგეს ეროვნულ-ნაციონალური ცნობიერება და ასიმილირდნენ ოსმალეთში არსებულ სხვადასხვა მილეთში. ისინი, როგორც იმ დროს იტყოდნენ, გათათრდნენ, გასომხდნენ ან გაბერძნდნენ (ლაზისტანში), თავისი ქართველობის შენარჩუნება ძალზე მცირე, მაგრამ გმირული სულისკვეთების ნაწილმა შეძლო.

სამცხე-საათაბაგოს ვრცელი საზღვრები არზრუმსა და ტრაპეზუნტამდე აღწევდა. მისი მრავალრიცხოვანი ხალხი, იმჟამინდელი ქართველი ერის არანაკლებ მესამედს მაინც შეადგენდა. ამ მიზეზის გამო ტაო-არზრუმის მხარეში და მის სამხრეთით ქართული მოსახლეობა მუდამ ცხოვრობდა.

ქართველთა შინაომების დროს, რაც იყო მათი დამცრობა-დაკნინების უმთავრესი მიზეზი, ოსმალეთმა შეიმუშავა დაპყრობილი ხალხების მართვის თავისებური მეთოდი, რომელსაც მილეთების სისტემა უნდა ეწოდოს.

ამასთან დაკავშირებით მოგვყავს ს. ბაკურაძის წიგნიდან ვრცელი ამონარიდი –

„ოსმალეთის იმპერია, როგორც ყველა იმპერია, მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფო გახლდათ, რომელიც ერთპიროვნულად სამართავად მეტად რთული გახლდათ, შესაბამისად, სულთნის ხელისუფლება, რელიგიურ და კულტურულ საკითხებში, არადომინანტ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა, რომელიც არ გახლდათ ტერიტორიული შინაარსის, შესაბამისად, აბრკოლებდა რაიმე სახის ფეოდალური ოპოზიციის წარმოქმნას. იმპერიის მოსახლეობა რელიგიის მიხედვით იქნა დაყოფილი და რელიგიური ჯგუფების ლიდერები ფაქტობრივ ეთნარქებად იქცნენ, რომლებიც თავიანთ სამწყსოებს სულთნის კარზე წარმოადგენდნენ. ხოლო დომინანტი რელიგიური ჯგუფის – მუსლიმების ლიდერი თავად სულთანი გახლდათ, რომელმაც, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, 1517 წელს, ხალიფის ტიტული მიიღო და მსოფლიო მუსლიმების ლიდერობაზეც განაცხადა პრეტენზია. თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიაში სამი ძირითადი არამუსლიმი მილეთი არსებობდა – ესენი იყვნენ **მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი** მეთაურობდა და იმპერიის ყველა მართლმადიდებელ ქვეშევრდომს აერთიანებდა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, 3 დაპყრობილი ქვეყნების ავტოკეფალური ეკლესიები როგორც წესი უქმდებოდა და მათი ეპარქიები და ქონება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელში გადადიოდა. იხ: Bruce Masters, Gabor Agoston – Encyclopedia of the Ottoman Empire, Facts on File, New York, 2008, გვ. 104,239, ISBN-13: 978-0-8160-6259-13 ებრაელები, რომელთაც ხახამბაში მეთაურობდა და **სომხები, რომელთაც კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქი ედგათ სათავეში.** მილეთის სისტემა საშინაო საქმეებში რელიგიურ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა; ისეთი საკითხები როგორიც იყო ქორწინება, მემკვიდრეობის გადანაწილება და სხვა, როგორც წესი თემის შიგნითვე წყდებოდა და ცენტრალური სასამართლო სისტემა, რომელსაც სულთნის მიერ დანიშნული მუსლიმი მოხელეები განაგებდნენ, მხოლოდ ერთგვარი სააპელაციო ინსტანციის როლს ასრულებდა, რომელსაც მაშინ მიმართავდნენ, როცა სათემო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჰყოფნიდა პრობლემის გადაწყვეტას. მილეთის წევრობა და რელიგია, უმნიშვნელოვანესი იყო პიროვნების ეროვნული კუთვნილების განსაზღვრებაში და რელიგიის შეცვლა, როგორც წესი ეროვნების შეცვლასაც გულისხმობდა. გამუსლიმებული კი, განსაკუთრებით ბალკანეთში „გათურქებულად“ მოიაზრებოდა“.

სანდრო ბაკურაძე, ოსმალური მილეთის სისტემიდან თანამედროვე თურქულ იდენტობამდე.

http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2020/04/მილეთიდან-ერამდე-ისლამი და თურქული-იდენტობა.pdf

ოსმალეთის იმპერიის დაარსების შემდეგ იქაურ ეთნიკურ ქართველთა უმეტესი ნაწილი ოსმალეთის იმპერიის სომხურ მილეთში შეიყვანეს, ამიტომაც მათ „სომხებს“ უწოდებდნენ.

ასე იყო ძირითადად სამცხე-ჯავახეთის, ანუ მესხეთის ყოფილი დიდი სამთავროს მოსახლეობა, მრავალრიცხოვანი ქართველობა, რომელსაც ქართული ეკლესია ვეღარ პატრონობდა.

ოსმალეთის ქართველობა, ვახუშტის სიტყვით, ერთხანს უმწყემსოდ ყოფილა დარჩენილი, შემდეგ კი მათი ის ნაწილი, რომელიც არ გამუსლიმანდა კონსტანტინოპოლის სომხური და ბერძნული საპატრიარქოების და, კიდევ უფრო მცირე ნაწილი, ანტიოქიის იურისდიქციაში მოქცეულა, რაც კარგად აქვს გამოკვლეული შოთა ლომსაძეს თავის შესანიშნავ წიგნში „სამცხე-ჯავა-ხეთი“. კიდევ უფრო გულმხურვალედ აღწერეს ეს პროცესი მიხეილ თამა-რაშვილმა და მესხეთის ქართველმა ავტორებმა, მათ შორის გამორჩეულია „პასუხი სომხის მწერლებს“.

იმ ეთნიკურ ქართველებს, რომელნიც შეიყვანეს ოსმალეთის იმპერიის ბერძნულ მილეთში, აღმსარებლობის შესაბამისად, „ბერძნებს“ უწოდებდნენ, ამავე ბერძნულ მილეთში შეიყვანეს ქრისტიანი ლაზები და მათაც „ბერძ-ნებს“ეძახდნენ.

ისტორიკოსი წათე ბაწაში შესანიშნავად აღწერს, რომ ბერძნულ მილეთ-ში სასტიკად იკრძალებოდა ქართულ-ქართველური ენები, მათი ოჯახები კი კონტროლდებოდა და მათ მშობლიურ ენას „სატანისტურს“ უწოდებდნენ. ამის გამო მათთვის საგანგებოდ დანიშნული ბერძენი სამღვდელოება მიზან-მიმართულად მუშაობდა, რის უფლებასაც მათ ოსმალეთის მთავრობა ანიჭებ-და. ლაზიკის ანუ ლაზისტანის მკვიდრმა მოსახლეობამ, ქალდებმა და ჭანებმა საერთოდ დაკარგეს საკუთარი ეთნიკური ცნობიერება და „ბერძნებად“ იქცნენ. აქ საკუთარი იდენტობის შენარჩუნაება რაღაც დოზით მხოლოდ გამუსლიმა-ნებულმა ლაზებმა შეძლეს. ამ საკითხს ჩვენ ნაწილობრივ ვეხებით წიგნში „ქართველების გაბერძნება“.

საერთოდ, ოსმალეთში მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ქართველობა ცხოვრობდა, მათთვის არ იქნა დაარსებული რაიმე მილეთი, აქ მილეთები მხოლოდ რელიგიური ნიშნით იქმნებოდა, რელიგიურად კი ქართველები, როგორც ითქვა, ერთმანეთს შორის გადაინაწილეს ბერძნულმა და სომხურმა საპატრიარქოებმა. ადგილობრივი ქართველებისათვის სომხური მილეთი უფ-რო ადვილად მისაღები იღყო, რადგანაც აქ მიზანმიმართულად არ ხდებოდა დევნა ეთნიკური ნიშნის გამომჟღავნებისას. იქმნებოდა სურათი, თითქოსდა, ქართული ენა სომეხ სასულიერო პირებს სომხური ენის დიალექტად მიაჩნ-დათ, თუმცა საბოლოოდ ოსმალური განივრცო. ქართველების ანტიბერძნული განწყობა საგრძნობი იყო. შესაძლოა, ამ მიზეზის გამო, მესხეთის ყოფილი სამთავროს მოსახლეობის, ანუ ქართველობის მიმართ გაცილებით დიდ დაინ-ტერესებას გამოხატავდა სომხური ეკლესია, ვიდრე ბერძნული საპატრიარქო.

ზემოაღნიშნული და სხვა ლიტერატურიდან ჩანს, რომ სომეხი ეპისკო-პოსები, სამღვდელოება და დაინტერესებული პირები უამრავ მეთოდსა და ხერხს მიმართავდნენ ფაშების, საერთოდ, ხელისუფალთა წინაშე, რათა მათი მოსყიდვითა და სხვა გზით ქართველები სომხური ეკლესიის იურისდიქ-ციაში, ანუ სომხურ მილეთში შეეყვანათ.

მილეთი საბოლოოდ ეროვნულობის გამომხატველ სიტყვად იქცა და ტერმინი „რა მილეთის კაცი ხარ“, ნაშნავდა „რა ეროვნების კაცი ხარ“. საბოლოოდ მაინც სომხურ მილეთში მოქცეული ქართველები სომხებად აღირიცხებოდა ოსმალეთის მთავრობის მიერ. იმდენად დიდი იყო ამ გზით არმენიზებული ქართველების რიცხვი, რომ თვით სომხური ენის ბუნებაც კი შეიცვალა ამ რეგიონში. იქამდე ინდოევროპული ბუნების ენა ჩამოყალიბდა როგორც „ახალი სომხური ენა“, რომელიც უფრო კავკასიურ, ანუ ქართველურ ენათა ოჯახს დაემსგავსა, რაზეც წერდა ნ. მარი და სხვანი. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ შემდეგი –

„ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ამ ეპოქისათვის (ათასწლეულების წინ) იაფეტური (ქართველური) ენები მოიცავდა მსოფლიოს ვრცელ რეგიონს. ამ დროისათვის, მისი აზრით, ქართველური ენები გავლენას ახდენდნენ ფუძე ინდოევროპულზე, ურთიერთობა ჰქონდათ სემიტურთან, სომხურ ენას კი ნიკო მარი მიიჩნევდა „ნარევი ტიპის“ ენად. „ნ. მარი ინტენსიურად მუშაობდა სომხურ ფილოლოგიაშიც. მას, როგორც ქართულის კარგ მცოდნეს, უთუოდ უნდა შეენიშნა, რომ სომხურ ენაში ბევრი რამ, რაც ინდოევროპულ ენებთან შედარებით ვერ აიხსნება, შეიძლება აიხსნას ქართულთან შედარებით“ (ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა“, 1975 წ., გვ. 27). „ნ. მარის მიხედვით, როგორც ცნობილია, ამ მინარევმა სომხური ენა აქცია რაღაც საშუალოდ კავკასიურსა (შემდეგ იაფეტურსა) და ინდოევროპულ (შემდეგ პრომეთეიდულ) ენებს შორის მდგომ ენად“ (იქვე, გვ. 30). ი. შილაკაძე წერს – „სომხეთის ტერიტორიაზე ინდოევროპული მოდგმის ხალხს მერმინდელ მოსულებად ვივარაუდებთ თუ ადგილობრივ მკვიდრად (როგორც ზოგიერთი ფიქრობს), ერთი ცხადია: ამ ტერიტორიაზე წინათ არსებობდა სახელმწიფოები და ცხოვრობდნენ ხალხები (თუ ტომები), რომელთაც ქართველ ხალხთან (და საერთოდ კავკასიელ ხალხებთან) გარკვეული კავშირი ჰქონდათ, თუ ასეა, ცხადია, სომეხი ხალხი, როგორც ეთნიკური ერთეული, უთუოდ შეიცავს ამ ხალხების და ტომების მინარევს. ამ მინარევს კი თავისი წვლილი უნდა შეეტანა ახალ ოჯახში. ეს ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, სომხურში ინდოევროპულ ენებთან შედარებით აუხსნელთაგან ბევრი რამ შეიძლება აიხსნას ქართველურსა და კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან შედარებით (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საშუალო და ახალი სომხური ენები დიალექტითურთ, რომელთაც რამდენადაც უფრო ღრმად ვსწავლობთ, იმდენად მეტად ვრწმუნდებით, რომ სომხურ ენას ბევრი ისეთი თვისება შეუძენია, რაც ქართულ-ქართველური ენების თვისებას გვაგონებს და რასაც ძველ სომხურში ადგილი არ ჰქონდა. ამან ათქმევინა ი. კარსტეს – სომხური ენის დიალექტები ინდოევროპული წარმოშობისა არ არიანო“ (იქვე, გვ. 29)“.http://meufeanania.info/alali/

საშუალო და ახალი სომხური ენა, განსაკუთრებით მისი დიალექტები, უფრო ქართულ-ქართველური თვისებისაა და ძველი სომხურისაგან არსებითად განსხვავდება ამ ნიშნით.

ი.კარსტე, გაოცებული ამ ფაქტით, წერდა – „სომხური ენის დიალექტები ინდო-ევროპული წარმოშობისანი არ არიანო, რადგანაც ისინი, იგულისხმება სომხურ მილეთში შემავალი და მიმდებარე ყოფილი იმ ქართული მოსახლეობის ენა, რომელიც სომხურ მილეთში მოექცა. მათ, ამ ყოფილ ქართველებს, დედა ქართულ ეკლესიასთან და დედა სამშობლოსთან მოწყვეტის შემდეგ, უკვე უჭირდათ შეენარჩუნებინათ ქართული ენის სიწმინდე, ამ მიზეზის გამო სომხურ მილეთში მოხვედრის შემდეგ, შეუმუშავდათ საკუთარი დიალექტი, რომელსაც სომხურ დიალექტად მიიჩნევდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, ქართველური ბუნების იყო.ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიმეოროთ ი. შილაკაძის ნათქვამი; ამან ათქმევინა ი. კარსტეს – სომხური ენის დიალექტები ინდო-ევროპული წარმოშობისა არ არიანო“.

სომხური მილეთის ქართველობა, ანუ სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ყოფილი ქართველები სრულად იზიარებდნენ იმ დევნას (და ხელშეწყობას), რასაც სომხური მილეთის მოსახლეობა საზოგადოდ განიცდიდა. თუმცა კი, ისინი ქართულ ეთნიკურ ნიშნებს კარგავდნენ განსაკუთრებით გადასახლებებისა და დევნის დროს.

როგორც ითქვა, ოსმალეთში ქართული იდენტობის შენარჩუნება შეძლო მხოლოდ გამუსლიმანებული ქართველების მცირე ნაწილმა, რომელნიც ახლაც ცხოვრობენ ხახულისა და ართვინის მიდამოებში.

By Ercwlff – პირადი ნამუშევარიBased on the map between pages 570-571 in (2008) Kartlis Tskhovreba, თბილისი: Meridiani, Artanuji ISBN: 978-9941-10-086-4., CC BY-SA 4.0, https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=77115945

თუ რა დიდ ქვეყანას ფლობდნენ მესხეთის მთავრები, ეს ჩანს რუკებიდან, ამასთანავე, ეს რუკები აჩვენებს ქართველთა მჭიდროდ განსახლების საზღვრებს ოსმალეთის იმპერიაში. რელიგიურად, ეს დიდი ქართული ოლქი თითქმის მთლიანად მოიცვა ოსმალეთის სომხურმა მილეთმა, ეს ნიშნავს აქაური ქართველების გასომხებას.

უკვე მე-16 საუკუნიდან, სამშობლოდან და დედაეკლესიიდან მოწყვეტის შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა აქაური ქართველების ახალ ქართულ დიალექტებს, რომელსაც შემდგომ „სომხური ენის ახალი დიალექტები“ უწოდეს, თუმცა კი ევროპელ ენათმეცნიერთა (კასტრე) მტკიცებით, ეს დიალექტები არ ამჟღავნებდნენ კავშირს ძველ სომხურ, ანუ ინდოევროპული ბუნების ენასთან და ძალზე უახლოვდებოდნენ თავიანთი ბუნებით ქართულსა და ქართველურ ენებს, რაც ბუნებრივია და იყო ქართველთა არმენიზაციის შედეგი.

საქართველოს დაშლისა და მე-16 საუკუნიდან სპარსეთ-ოსმალეთს შორის გადანაწილების გამო, როდესაც ეს იმპერიები რუსეთის იმპერიის შიშით სასტიკად დევნიდნენ რუსეთისადმი ლოიალურ ქართულ ეკლესიას, გაუქმდა მრავალი საეპისკოპოსო სპარსეთ-საქართველოს ბუფერულ ზოლში (იგულისხმება სომხეთის სსრ-ის ტერიტორია და მიმდებარე მხარეები, მათ შორის, ქვემო ქართლი), რომელიც იქამდე მჭიდროდ იყო ქართველობით დასახლებული. აქაც სომხური ეკლესია აქტიურობდა ისე ინტენსიურად, რომ მასობრივი ხასიათი მიიღო აქაური ქართველების გასომხების პროცესმა. იმდენად დიდი იყო ეს პროცესი, რომ მის შესაჩერებლად კათალიკოსმა ანტონ დიდმა დაწერა საგანგებო წიგნი „მზამეტყველება“, რათა არისტოტელეს ლოგიკაში გაწვრთნილი სომეხი მონოფიზიტი მქადაგებლებისათვის სათანადო პასუხი გაეცათ, საბოლოოდ ეს პროცესი იმდენად ინტენსიური გახდა და იმდენად დიდი რაოდენობის ქართველები სომხდებოდნენ, რომ ამან სომხური ეკლესიის იერარქიაზეც პოვა ასახვა. მაგალითად, თვით ეჩმიაძინის რამდენიმე პატრიარქი მე-17 და მე-18 საუკუნეებისა, ქართული წარმოშობისა იყო და ქართული გვარებიც კი ჰქონდათ, ხოლო სომეხი სოვდაგრები აქაური წარმოშობისა ერთმანეთს წერილებს ქართულ ენაზე წერდნენ. მთელი სოფლები თავიანთი ეკლესიებითა და მღვდლებით ეჩმიაძინის იურისდიქციაში გადადიოდა, ამიტომაც ამ ყოფილ ქართველ, ახლა კი უკვე ეჩმიაძინის მღვდლებს დაევალათ თავიანთ ეკლესიებში არა ქართულ, არამედ სომხურ ენაზე ჩაეტარებინათ წირვა-ლოცავა. რადგანაც მათ არ იცოდნენ სომხური ანბანი და არ იცოდნენ სომხური ენა, ამიტომ თავიანთი ქართული დამწერლობის ასოებით წერდნენ სომხურ ლოცვანებსა და კონდაკებს. ანუ ქართული ასოებით დაწერილი მრავალი ლოცვანი და კონდაკი დევს მუზეუმებსა და წიგნსაცავებში, რაც მნახველების გაოცებას იწვევს. როგორც ითქვა, ეს წიგნები ესჭიროებოდათ ახალგასომხებულ ქართველებს, რომელთაც იცოდნენ ქართული ენა და ჯერ კიდევ არ იცოდნენ სომხური.

რაც შეეხება ოსმალეთის სომხურ მილეთს, მისი ქართული მოსახლეობა ერზრუმამდეც იყო განფენილი, მათ სომხებს უწოდებდნენ.

ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ დროს ისინი, მრავალათასობით ქართველი, იქცა მსხვერპლად, მათ სომხებად მოიხსენიებენ, მაგრამ იყვნენ ეთნიკური ქართველები. თუნდაც ამის გამო ამ პროცესს მონოფიზიტთა დევნა უნდა ეწოდოს, რადგანაც ოსმალეთის მონოფიზიტური მილეთი მრავალი ქართველის საყუდარი იყო.

1628 წელს ოსმალეთმა საბოლოოდ შეიერთა სამცხე-საათაბაგო და იმპერიის რიგით საფაშოდ აქცია. 1795 წლამდე მას გამაჰმადიანებული ჯაყელი ფაშები განაგებდნენ.

1628-1635	საფარ ფაშა (ბექა III)
1635-1647	იუსუფ ფაშა I
1647-1659	როსტომ ფაშა
1659-1680	ასლან I ფაშა
1680-1690	იუსუფ ფაშა II
1690-1701	სალიმ ფაშა
1701-1741	ისაყ ფაშა
1741-1747	იუსუფ ფაშა III
1747-1758	აჰმედ ფაშა
1758-1759 და 1761-1767	ჰასან ფაშა
1759-1761	იბრაჰიმ ფაშა
1767-1795	სულეიმან ფაშა

By Schalwa – საკუთარი ნამუშევარი
https://ka.wikipedia.org/w/index.php?curid=133136



index.php?curid=133136

შესაბამისად, აქაურ ეთნიკური წარმომავლობით ქართველებს, რომელნიც იქამდე საუკუნეთა მანძილზე სომხურ მილეთში იყვნენ გაერთიანებულნი, მე-19 და მე-20 საუკუნის აღწერებისას წერდნენ სომხებად.

ამიტომ აქ გენოციდის წინ აღწერებისას, ჩანს, ზოგიერთი ტაოელი (ოლთისისა და ყარსის ოლქებში) და არზრუმელი (იუსუფელი, თორთუმი, ნარმანი და სხვა) ქრისტიანები აღიწერებოდნენ სომხებად, მაგრამ ისინი, როგორც ითქვა, წარმოშობით ეთნიკური ქართველები იყვნენ, რომელნიც აღმსარებლობის გამო ოსმალეთის იმპერიის კანონების შესაბამისად, სომხებად ჩაწერეს, რადგან სომხური მილეთის წევრები იყვნენ. ჩვენში ოსმალეთის რელიგიური მილეთების შესახებ ძალზე ნაკლები ინფორმაცია და ინტერესი აქვთ, ამიტომაც მოგვყავს შესაბამისი მწირი მასალა რუსულად. ამ მილეთებს კი საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწორი გააზრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

«в 1453 г. после завоевания Константинополя Мехмед II одобрил существование миллетной системы, считая ее целесообразной. В период правления султана Мехмеда II (1444–1446 гг., 1451–1481 гг.) официально были разрешены греко-православный (1453), армяно-апостольский (1461), иудейский немусульманские религиозные миллеты. Патриархи и высшее духовенство были освобождены от налогов, а остальные, платя подушный налог (джизие и поземельный налог (харадж) , взамен получали неприкосновенность личности и имущества, а также право исповедовать свою религию. Патриарх также был обязан собирать налог мүкаттаа (100–140 тысяч акче). Основанное в 1461 г. Армянское Константинопольское Патриаршество (во главе с Овакимом)

приравнялось в правах с Греческим Патриаршеством. Согласно традиционной точке зрения, султан Мехмед II после завоевания Константинополя поселил армян в городе, противопоставив их грекам.

Христиане азиатских и африканских провинций Османской империи – копты, якобиты, марониты и несториане, которые не были ни православными, ни армянами, официально находились если не под духовным, то под политическим руководством армянского патриарха. Под духовным руководством армянского патриарха находились также **грузины**, цыгане, ассирийцы и албанцы (кавказской Албании) [2929. Eryılmaz B. Osmanlı Devletinde Gayrimüslim Tebaanın Yönetimi. Ist.: Risale, 1996, c. 35].

А. З. Карташян НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ФОРМИРОВАНИЯ СИСТЕМЫ МИЛЛЕТОВ В ОСМАНСКОЙ ИМПЕРИИ. с. 90.

ოსმალეთის იმპერიაში მუსლიმთა თემის გარდა ოფიციალური აღიარება და ავტონომია მოიპოვა ბერძნულ-მართლმადიდებელმა, სომხურმა ოფიციალურმა მონოფიზიტურმა და სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიებმა და, ასევე, იუდაურმა რელიგიურმა თემმა.

მილეთების შექმნისას თურქები ითვალისწინებდნენ მხოლოდ მისი წევრების რელიგიას, უგულებელყოფდნენ მათ ეროვნებასა და ენას.

მილეთებში წყდებოდა მისი წევრების ნებისმიერი რელიგიურ-პოლიტიკური საკითხი, შინაგანი სამართლებრივი თუ სამოქალაქო საკითხები და თვით გადასახადების მოკრების საქმეც კი.

ოსმალეთის იმპერიის მთელი ისტორიის მანძილზე იმპერიის ყველა მართლმადიდებელი, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ვითარცა წევრები ბერძნულ-მართლმადიდებელი მილეთისა, ვალდებულები იყვნენ ყოფილიყვნენ კონსტანტინოპოლის ბერძენი პატრიარქის ძალაუფლების ქვეშ. მსგავსადვე, იმპერიაში მცხოვრები ყველა მონოფიზიტი, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, უნდა დამორჩილებოდა კონსტანტინოპოლის სომეხ პატრიარქს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთის სლავები სხვა ეთნოსს წარმოადგენდნენ, ყველანი- სერბები, ბულგარელები, ვლახელები და სხვები ვალდებული იყვნენ ბერძენი პატრიარქის მმართველობაში ყოფილიყვნენ, მათი კულტურა, განათლება და ადმინისტრაციის ენა ბერძნული გახდა ოსმალეთის იმპერიაში ყოფნისას, რომელიც ოსმალურ ენასთან ერთად გამოიყენებოდა. ასეთივე იყო სხვადასხვა მონოფიზიტური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობის მდგომარეობა, რომელნიც ახლა უკვე სომხურ ენაზე იღებდნენ განათლებას თუ ადმინისტრაციულ მომსახურებას.

ჩამოყალიბდა თვით მართლმადიდებლური, ანუ ბერძნული და სომხური სასამართლოები შესაბამის მილეთებში, ისინი ეთნიკური ბერძნებისა და სომხების ხელში იყო. ამ სასამართლოებში სამართალს იღებდნენ ბერძნული და სომხური სამართლის შესაბამისად, ბერძნული და სომხური კანონებით, მაგალითად, სერბები ბერძნული კანონებით, ხოლო Сирийская православная община в Османской империи долгое время считалась не своим собственным просом, а частью армянского проса (при Армянском Патриархе). Затем, во время

реформ Танзимат (1839-78), сирийские православные получили независимый статус с признанием их собственного проса в 1873 году.Википедия site:tftwiki.ru

До 19 века существовало одно армянское просо, которое служило всем этническим армянам, независимо от того, принадлежали ли они к Армянской Апостольской церкви или Армянская католическая церковь или Армянская протестантская церковь (образовалась в 19 веке). Лишь позже возникли отдельные католические миллеты. Неармянцы из церквей, которые были богословски связаны с Армянской церковью (в силу того, что были нехалкидонцами), находились под властью Армянского Патриархата, хотя и сохраняли отдельную иерархию со своими собственными Патриархами. В эти группы входили сирийские православные и копты .Википедия site:tftwiki.ru

В православных судах власть также находилась в греческих руках (каждый миллет предлагал суду своих религиозных лидеров, чтобы судить людей своей веры по предписанным ею же законам). В такой ситуации славяне оказывались зачастую полностью бесправными, в то время как греки, конечно, при условии, что они признавали абсолютное главенство мусульман в империи, имели максимальное количество прав, в том числе свободно торговали, занимались судебной, образовательно-религиозной, литературной и иной невонной деятельностью по всей Османской империи. Греки-фанариоты фактически контролировали местную административную власть в придунайских княжествах – Молдавии и Валахии. Подобная ситуация заставила многих историков говорить не о турецком, а скорее о греко-турецком владычестве над славянскими народами Балкан. В конце концов, такая ситуация создала огромный конфликтный потенциал на Балканах и привела к усилению борьбы за национальное самосознание среди славянских и романских народов Балкан.

საბოლოოდ რომ ვთქვათ, ოსმალეთის სომხურ მილეთში გაერთიანებული იყო ყოფილი მესხეთის სამთავროს მკვიდრი ასეულათასობით ქართველი, რომელიც გასომხდა, ხოლო ოსმალეთის ბერძნულ მილეთში შედიოდა ასევე ასეულათასი ლაზი (ქალდი და ჭანი), რომლის ძირითადი ნაწილი გაბერძნდა და ამჟამად „პონტოელ ბერძნად“ იწოდება. ამათი ერთი ჯგუფი პასკევიჩმა ჩამოასახლა თრიალეთსა და ჯავახეთში, სადაც ისინი, განსაკუთრებით საბჭოთა მმართველობის წლებში, საბოლოოდ გასომხდნენ და გაბერძნდნენ. თვით ოსმალეთის არტაანის სოფელ ველიდან ჯავახეთში ჩამოსახლებული ქართველები, რომელნიც ჩამოსახლებისას ქართველებად და მართლმადიდებლებად აღირიცხებოდნენ, საბოლოოდ, სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წევრები გახდნენ, ანუ „გაფრანგდნენ“ და საბჭოთა წლებში გასომხდნენ, რაზეც გასაბჭოებამდე წერდნენ ჯერ თამარაშვილი და სხვა მკვლევრები, შემდგ კი შ. ლომსაძე.

ქართიზაციის თეორიის დამნერგავი მხარის მუშაობის შედეგი

(გრიგოლ ბაკურიანისძის სომხად გამოცხადების კვალდაკვალ მხითარ გოშის ეთნიკურ ალბანელად გამოცხადება)

მე-20 ს. დასაწყისში ჩამოყალიბებული სახე მიიღო ე.წ. ქართიზაციის თეორიამ, რომლის მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მკვიდრი მოსახლეობა ეთნიკურ სომხებად შერაცხეს, რომელიც თითქოსდა, გაქართველდა ქალკედონიტური აღმსარებლობის მიღების შედეგად. შესაბამისად, იქაური ანუ ტაო-კლარჯეთის დიდი ქრისტიანული კულტურა სომხურ კულტურად ცხადდება დიდი საერთაშორისო ცენტრების მიერაც კი.

რაც უფრო საოცარია, ტაოელი და მახლობელი იბერიული ოლქების ძალზე ცნობილი მოღვაწეებიც კი, მაგალითად, დავით კურაპალატი, გრიგოლ ბაკურიანისძე, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები, თორნიკე ერისთავი და სხვა უამრავი სომხებად ცხადდებიან, მათ შორის უცხოურ საიტებშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ანდერძები თუ ცხოვრების დაწვრილებითი აღწერები მოღწეულია, რომლებშიც ისინი თავიანთ თავს ეთნიკურ, დაბადებით ქართველებს უწოდებენ.

ასეთი სიცრუის მახვილი აღიმართა ქართული მიწა-წყლის და კულტურის მითვისების მიზნით, მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ, იგივე მახვილი უკანვე მიუბრუნდა მის დამფუძნებლებს,"რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ" (მათე, 26).

კერძოდ, ამჟამად არის ტენდენცია, რომ აზერბაიჯანელთა წინაპრებად გამოაცხადონ ის ცნობილი სომეხი მოღვაწეები და პირები, რომელთაც იღვაწეს სომხური კულტურის წარმატებისათვის, იმ საფუძველზე, რომ თითქოსდა, ისინი არა ეთნიკური სომხები, არამედ ეთნიკური ალბანელები იყვნენ.

ამით განწყენებული ერთ-ერთი სომეხი ავტორი (Седрак САЯС), აზერბაიჯანელ ისტორიკოსებს, რომელნიც სომეხ მოღვაწეებს ეთნიკურ ალბანელებად მიიჩნევენ, მწუხარებით წერს, – „მათ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე ალბანელებად, ხოლო სომხური ეკლესიები და ხაჩკარები ალაბანური კულტურის ნიმუშებად გამოაცხადეს, ხოლო თვიანთი თავი ალბანელების შთამომავლებად წარმოადგინეს, ანუ, მათი ლოგიკის თანახმად, ყელაფერი ალბანური – ეს არის „აზერბაიჯანული".

а закавказские турки («азербайджанцы») «специалисты» объявили некоторых армянских ученых и деятелей культуры албанскими. армянские церкви и хачкары – образцами албанской культуры, а сами себя провозгласили потомками албанцев. То есть, согласно их логике, всё албанское – это «азербайджанское». https://times.am/?p=211066&l=ru

მაგალითად, მათ თვით ცნობილი სომეხი მეცნიერი მხითარ გოშიც კი ალბანურ-აზერბაიჯანული წარმოშობის მოღვაწედ გამოაცხადეს, შესაბამისად, ითარგმნება მისი თხზულებები, ვითარცა აზერბაიჯანული კულტურის შემადგენელი ნაწილი.

იგივე სომეხი ავტორი წერს, – „მეცნიერებისა და კულტურის სომეხ მოღვაწეთაგან „ალბანელ მოაზროვნეთა“ სიაში აღმოჩნდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი სომხური კულტურისა, როგორებიც არიან ისტორიოგრაფი მოვსეს კალანკატუაცი (მე-7 ს.), ისტორიოგრაფი და საეკლესიო მოღვაწე კირაკოს განძაკეცი (1200/1202–1271), სამართალმცოდნე და საეკლესიო მოღვაწე მხითარ გოში (1120-იანი წლები-1213) და სხვები“.

Из армянских деятелей науки и культуры в список «кавказскоалбанских мыслителей» попали такие выдающиеся представители армянской культуры, как историограф Мовсес Каганкатваци (VII в.), поэт Давтак Кертох (VII в.), историограф и церковный деятель Киракос Гандзакеци (1200/1202-1271), правовед, баснописец, педагог, общественный и церковный деятель Мхитар Гош (1120-ые годы – 1213) и др. https://times.am/?p=211066&l=ru

თავის მხრივ, აღნიშნული აზერბაიჯანელი მკვლევარი მხითარ გოშზე წერს, რომ ის იყო „დიდი ალბანელი (აზერბაიჯანელი) მოზროვნე, რომელსაც სომეხი ფალსიფიკატორები წარმოადგენენ, როგორც სომეხ მეცნიერს“.

Статья закавтурка начинается так: «Сведения о жизни и творчестве **великого албанского (азербайджанского) мыслителя Xll в. Мхитара Гоша**, которого армянские фальсификаторы преподносят как армянского ученого, содержатся в «Краткой истории страны албан» Киракоса Гянджинского, который являлся его сородичем и земляком. В Xll главе (О вардапете Мхитаре; о том, откуда он и каким был) Киракос пишет: «Этот прославленный, мудрый и ученый [муж] был уроженцем города Гянджа, сыном родителей-христиан…».https://times.am/?p=211066&l=ru

еще одним «албанцем» объявляется армянский историограф Киракос Гандзакеци, https://times.am/?p=211066&l=ru

Таким образом, Киракос Гандзакеци сам представляется армянином, и при наличии свидетельств его национальной принадлежности пытаться «превратить» его в албанца могут только аморальные, низкие и подлые существа. https://times.am/?p=211066&l=ru

„კიდევ ერთ „ალბანელად“ ცხადდება სომეხი ისტორიოგრაფი კირაკოს განძაკეცი,“ – წერს ის, და ამით განაწყენებული აცხადებს – „ეს შეუძლიათ მხოლოდ მდაბალ და გაიძვერა არსებებს“. https://times.am/?p=211066&l=ru,

დიახ, ასეა, მაგრამ მაშინ, ამასთან დაკავშირებით დაისმის კითხვა – **ვინ არიან ისინი, ვინც, მაგალითად, გრიგოლ ბაკურიანისძეს, რომელიც თავის საკუთარ თავს ეთნიკურ ქართველად („ნათესავით ქართველად“) აცხადებდა, ეთნიკურ სომხად წარმოადგენს?**

გრიგოლ ბაკურიანისძე ხაზგასმით რამდენჯერმე მიუთითებს თავის ქართველობას, მაგალითად, თავის ტიპიკონში წერს – **„ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისათა ... ქართველისაითა...ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი“** და სხვა.

ამის მიუხედავად, მას მაინც ყველაზე გავლენიანი სომეხი ისტორიკოსები ეთნიკურ სომეხს უწოდებენ, მათი მაგალითის შესაბამისად, თავის

მხრივ, ზოგიერთმა აზერბაიჯანელმა მეცნიერმა სომეხი მოღვაწეების ერთი ნაწილი ეთნიკურ ალბანელებად, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრებად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძეს ჰყოლია „ასევე „სომხური სარწმუნეობის“ მქონე მსახურები და მახლობლები, ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც, როგორც ჩვენ გამოვიკვლიეთ ამ თავში, სომხური სარწმუნოების, ანუ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი ეთნიკური ქართველების მთელი ოლქები შედიოდა ე. წ. დიდი არმენიის შემადგენლობაში და შესაბამისად, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, ანუ იქაური მკვიდრი მოსახლეობა **„სომხური სარწმუნოების ქართველები (იბერები)“** იყვნენ.

 არმენიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი მხარეები, შემდგომდრიონდელი ბიზანტიური „იბერიის თემისა“ და ლაზიკის (ტრაპეზუნტის ოლქის) მკვიდრი მოსახლეობა ეთნიკური ქართველები იყვნენ, რომელნიც სომხური ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდნენ IV-VIII საუკუნეებში. მათმა ერთმა ნაწილმა, გასაკუთრებით ტაოს ოლქში, სომხური საეკლესიო უღლისაგან თავი დაიხსნა მხოლოდ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან და ეს პროცესი გრიგოლ ბაკურიანისძის დროსაც გრძელდებოდა, როგორც ეთნიკურად ქართველი მეგანძურთუხუცეს გვირპელის მაგალითი გვიჩვენებს, რომელიც „სარწმუნოებით სომეხი“ იყო და არსებული წესის შესაბამისად, ის ხელახლა მონათვლის გზით მართლმადიდებელი გახდა.

ამიტომაც წერდა გრიგოლი – „...ხელმწიფებაი მაქუნდეს... ვინაიცა მენეზოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა...მონაზონნი მონასტრისა ჩემისა **გუარად ქართველნი** არიან“. მაშასადამე, გვრად ქართველი, ანუ ეთნიკური ქართველი აღმსარებლობით შესაძლებელია, რომ „სარწმუნოებით სომეხი“ ყოფილიყო.

გრიგოლ ბაკურიანისძის წინაპართაგან ყოფილა ბიზანტიელი მწერლის კედრენეს მიერ მოხსენიებული „იბერიის დიდგვაროვნები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ **ბაკურიანი**, ფევდატე და ფერსი...

თვით „ქართველთა დიდი მეფე“ დავით კურაპალატიც კი ვერ აცდა ტენდენციურ სომეხ მკვლევართა კალამს, ისიც, რუსულ საიტებზე „დავით სომეხად“ ცხადდება.

Давид III – В составленной сирийский клириком анонимной хронике 1234 года, в разделе о Закавказье приведены сведения о деятельности **Давида-армянина**, под которым, очевидно, понимается Давид Куропалат. ვიღაც მე-13 საუკუნის სირიელს იმოწმებენ მე-10 საუკუნის „ქართველთა მეფის“ სომხობის სამტკიცებლად და, ამავე დროს, უკვირთ მათი მაგალითის შესაბამისად, სომეხი მოღვაწეების ეთნიკურ ალბანელებად, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრებად გამოცხადება, მაგალითად ასე – «Великий албанский (азербайджанский) мыслитель XII в. Мхитар Гош и его «Книга судебных правил», дошедшая до наших дней на албанском языке» https://times.am/?p=211066&l=ru

ასე რომ, ის ხერხი, რომლის მიხედვითაც ქართველი მოღვაწეები სომხებად გამოცხადდა, გამოიყენა სხვა მეზობელმა ხალხმა.

ამ ფაქტის მიუხედავად, ქართიზაციის თეორიის დამნერგავი მხარე კვლავ წერს, თითქოსდა, ტაოს მოსახლეობა თავდაპირველადვე სომხური იყო.

ამ სიცრუეს საქართველოში არ აპროტესტებენ, რადგანაც ის სიმართლედ მიაჩნიათ ქართიზაციის თეორიის მომხრეებს. მათ სჯერათ, რომ ტაოს სომხური მოსახლეობა „გაქართველდა“ მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ.

მაშასადამე, ქართველი ოფიციალური ისტორიკოსების გავლენიანი ნაწილიც კი ნ. მარის შემდეგ მიიჩნევს, რომ ტაოს მოსახლეობა თავდაპირველადვე სომხური იყო და ტაოს „ძეგლები“, ანუ ეკლესია-მონასტრები – ოშკი, ბანა თუ ხახული – „გაქართველებული“ სომხების აგებულია.

იშხნის პირველი ტაძარი, მართალია, წმიდა ნერსე იშხნელმა, ტაოს ეპისკოპოსმა (შემდეგ კი სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის პატრიარქმა) ააგო, მაგრამ ის იყო ტაოელი, ანუ ეთნიკური ქართველი, სომხური ეკლესიის იერარქი, რადგანაც მისი ხალხი, ანუ ტაოსა და მიმდებარე ე.წ. „არმენიის იბერიული ზოლის“ ქართველობა, ძირითადად, უკვე მე-4 საუკუნიდან იყო სომხური ეკლესიის წევრი. მათ ეკლესიებში დანერგილი იყო სომხურენოვანი ღვთისმსახურება და მათ თავიანთი ეთნიკურ-ქართული ნიშან-თვისებების გამომჟღავნება გაბედეს მხოლოდ ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა ურთიერთბრძოლის ეპოქაში, როცა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ქალკედონიტობას, იმ სარწმუნოებას, რომელიც ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად მიიჩნეოდა. ეს მოხდა კირიონ I კათალიკოსის შემდეგ.

კირიონ კათალიკოსიც, აღნიშნული მიზეზის გამო, თავადაპირველად, სომხური ეკლესიის მაღალი იერარქი იყო და მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის (მისი ქართლის კათალიკოსად დადგენის) გამო შევიტყვეთ მისი ეთნიკური ქართველობის შესახებ.

მის ეპოქაში, თვით ეპისტოლეთა წიგნის თანახმად, სომხურ ეკლესიაში სხვა ქართველი ეპისკოპოსებიც მოღვაწეობდნენ, მაგალითად, პეტრე და მოსე გუგარქის ეპისკოპოსები.

არმენიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილები, ქართველებით დასახლებული რეგიონები, სასანიდური ირანისა და არაბთა ხალიფატის მძლავრობის ეპოქაში, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აღსანიშნავია სომხური ეკლესიის მიმართ სასანიდური ირანის შაჰებისა და არაბთა ხალიფების განსაკუთრებული მფარველობა.

მოღწულია კიდეც მუჰამედის, ხალიფა ომარისა და სალადინის დაცვის სიგელები სომხური ეკლესიის მიმართ. ამავე პერიოდში, ამ მიზეზით გასომხდა ალბანური ეროვნული ეკლესია, ხოლო ქართული ეკლესია სასტიკად იდევნებოდა პრობიზანტიური ორიენტაციის გამო.

პოლიტიკური მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, მე-8 საუკუნის შუა წლებიდან, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, არმენიის იბერიული ზოლის, მათ რიცხვში, ტაოს მკვიდრი ეთნიკური ქართველობა, დაუბრუნდა ეროვნულ-ქართული ეკლესიის წიაღს.

ეს საკითხი პირიქით ესმით საბჭოთა და მომდევნო პერიოდში, რაც გადმოცემულია ე. წ. ქართიზაციის თეორიაში. ამის მაგალითი მოყვანილია ქვემოთ.

2016 წელს ერევნში ტაოსადმი მიძღვნილ საგანგებო საერთაშორისო კონფერნციაზე განაცხადეს ასეთი არასწორი რამ – „**население Тайка, которое изначально было полностью армянским,** в течение определенного времени приняло халкидонство, то есть отдалилось от армянской церкви. На протяжении определенного времени они продолжали оставаться армянами, то есть говорили на армянском языке, но не считали себя последователями Армянской Церкви. Они были последователями халкидонской церкви, то есть направления, распространенного в Византии и Грузии.

Спустя некоторое время армянское население отдалилось от национальных корней… Построенные на этой территории памятники, церкви, монастыри приобрели двойственный характер. То есть, с одной стороны, **создатели этих памятников и молящиеся там были армянами по национальности,** но они были уже последователями грузинской церкви. И это привело к многочисленными спорным вопросам, важнейший из которых – **армянские ли эти памятники или грузинские».**

https://yerkramas.org/article/106723/armyanskaya-storona-reshitelna-v-voprose-izucheniya-tajka-—-odnoj-iz-provincij-istoricheskoj-armenii

ქართიზაციის თეორიის გამეორებაა აქ ნათქვამი – „სომხური მოსახლეობის ნაწილობრივი ასიმილაცია ქართველთა მიერ“.

ამ თეორიით, თითქოდა, ტაოში ქართველობა არ ცხოვრობდა მე-9 საუკუნემდე და მხოლოდ მოხდა მათი აქ ჩასახლება, თანაც წყაროს მოყვანილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, რომლის ცნობებიც შესაბამისადაა გაყალბებული.

Грузинская колонизация Тайка и переход области во владение грузинских Багратидов были следствием начавшегося процесса частичной ассимиляции грузинами армянского населения. Так *Тайк* постепенно стал превращаться в *Тао*. Но население региона продолжало оставаться преимущественно армянским и вплоть до Геноцида армян 1915 года, о чём также свидетельствуют переписи Российской и Османской империй, деливших регион между собой: так, в российской части Тайка (Ольтинский округ Карсской области) преобладали мусульмане (более поздние насельники турки и курды) и армяне, а в османской части Тайка (северо-восточные районы Эрзерумского вилайета: Бердаграк\Юсуфели, Тортум, Намерван\Нарман и др.) проживали армяне и турки, а также незначительное грузинское меньшинство. Следы армянского наследия Тайка сохранила топонимика и остатки архитектурных памятников, таких как, например, Банакский храм (Бана), церковь **Ишхан**, церковь **Сурб-Хач\Субхечи**, церковь **Ошкванк** (Ошки), крепость Ольтик (Олту) и ряд других архитектурных памятников.
https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ მესხეთის დიდი სამთავროს საზღვრები არზრუმამდე აღწევდა, ცხადია, მისი ძირითადი მოსახლეობა იყო ქართველობა. შეასაბამისად, აღნიშნულ ტაძრებში – იშხანში, ოშკსა თუ ხახულში, თითქმის 1000 (ათასი) წელი ქართულ ენაზე იდიდებოდა უფალი ქართულენოვანი ლიტურგიის დროს, ოსმალეთმა ეს დიდი ქართული რეგიონი, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთი უწოდა (აქ ქართველების სიმრავლის გამო), ძირითადად, მხოლოდ მე-17 საუკუნეში დაიპყრო. მართალია, აქაური ქართველები ამის შემდეგ სომხურ და ბერძნულ რელიგიურ მილეთებში შეიყვანეს, ანდა გამუსლიმდნენ, მაგრამ მათი სრული ასიმილაციის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მე-19ს-ში.

ამიტომაც აქური ხალხი როდესაც აღწერებისას მიუთითებდა თავის ეთნიკურ ვინაობას, ცხადია, იქამდე არსებული წესის თანახმად, მიუთითებდა იმ მილეთს, რომლის წევრიც ის იყო. ანუ თავისი მილეთის შესაბამისად მიუთითებდა თავის ეროვნებას, მაგალითად, სომხური მილეთის წევრი ეთნიკური ქართველი ოფიციალურ გრაფაში მიუთითებდა, რომ ის სომეხი იყო.

ანუ სომხური მილეთის წევრი ეთნიკური ქართველი შესაბამის გრაფაში თავის თავს „სომხად“ მიუთითებდა, რაც მისთვის, როგორც ითქვა, ნიშნავდა რელიგიური აღმსარებლობის ნიშანს და არა ევროპული სახის „ეროვნებას“.

სომხურ ასიმილაციასთან დაკავშირებით რუსი ისტორიკოსი წერს –

советский историк востоковед Л.Н.Гумилев: *«Современные армяне – армяне только по культуре, а по этническому содержанию, наполнению они – смешанный народ. Там были арабы, сельджуки, османы, персы, римляне, греки, русские. Были войны, солдаты насиловали женщин. Это было массовое явление. Почему-то считается неприличным об этом говорить. А в результате произошла полная смена этнического наполнения армянского и других древних народов»* lev_gumilev_buryaty_eto_drevnie_mongoly_a_khunnu_byli_tyurkami/

სომხური ეკლესიის მიერ ასიმილებულ ხალხთა შორის გუმილიოვი ქართველებს არ ახსენებს, რადგანაც ქართველმა ისტორიკოსებმა განავრცეს საპირისპირო თეორია „სომხების ქართიზაციისა“, მაგრამ თუ ისინი უფრო დაინტერესდებიან, იხილავენ, რომ სასანიდებისა და არაბობის ეპოქაში სომეხთა გაქართველება პოლიტიკურად შეუძლებელი იყო, ხოლო ოსმალთა სულთნები და ირანის შაჰები ძალზე მფარველობდნენ სომხურ ეკლესიას, ქართულს კი დევნიდნენ, რაც, პირიქით,საფუძველი იყო ქართველების გასომხებისა.

ამ საკითხს შესწავლა ესაჭიროება და ვცდილობ, ამ ურთულესი საკითხების ირგვლივ შემორტყმული მძლავრი ციხე-გალავნის ერთი მცირე ჭიშკარი მაინც შევაღო.

საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ქართველების, ანუ იბერების არმენიზაცია, რომელიც დაწყებულა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, რაზეც თვით სტრაბონი მიუთითებდა.

იქამდე მცირე ოლქი არმენია, სატრაპების, არტაქსიასა და ზარიადრეს მიერ გადაიქცა დიდ სამეფოდ, რადგანაც მათ (არმენიის მეფეებმა) იბერებსა

და მეზობელ ხალხებს ომებით ჩამოაჭრეს მიწა-წყალი ძვ. წ. 190 წელს. როგორც ითქვა, არმენიამ, სტრაბონის სიტყვით, დაიპყრო იბერი ხალხის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა.

ამის შედეგად ჩამოყალიბდა დიდი არმენია, რომლის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი საუკუნეთა მანძილზე დასახლებული იყო ადგილობრივი იბერებით, ხალიბებით, მოსინიკებითა და სხვა ქართული ტომებით.

ე.წ. დიდი არმენიის მკვიდრი ქართული ტომები არმენიზაციის პროცესის ქვეშ იყვნენ (ამის შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. არმენოხალიბები).

სომხურენოვანი იბერები წარმოადგენდნენ არმენიზებული იბერების ერთ ნაწილს. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა არმენიის გაქრისტიანების შემდეგ, რადგანაც სომხურენოვანი იბერები სომხეთის მრევლის ნაწილად გადაიქცა, თუმცა მათ თავიანთი იბერიული იდენტობის ხსოვნა შეინარჩუნეს, ხოლო მოსინიკები და სხვა ქართული ტომები დასავლეთ არმენიაში, ძირითადად, უკვალოდ გასომხდნენ).

როგორც აღინიშნა, თვით სტრაბონი მიუთითებდა, რომ ეს ხალხები უკვე მის დროს სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ.

არმენიის გაქრისტიანების შემდეგ, ძირითადად, მე-6 ს-დან დიდი დამპყრობელი სახელმწიფოები სომხურ ეკლესიას გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებდნენ და იყენებდნენ არმენიის მეზობელი მცირე ხალხების დასამორჩილებლად.

სომხურ ეკლესიას კოლაბორაციონისტური დამოკიდებულება ჰქონდა და თანამშრომლობდა სპარსელებთან (ცნობილია მე-6 ს. სპარსი შაჰების კეთილი დამოკიდებულება სომხურ ეკლესიასთან), არაბებთან (მუჰამედის, ხალიფა ომარისა და სხვათა სიგელების მიხედვით) და ზოგჯერ ბიზანტიელებთან (ჰერაკლე კეისრის „უნია“ სომხურ ეკლესიასთან). ამ დროს კი უწყვეტად იდევნებოდა ამ დიდი სახელმწიფოების მიერ ქრთული ეკლესია და, შესაბამისად, მიმდინარეობდა ქართველებისა და ალაბანელების არმენიზაცია დაპყრობილ მხარეებში. თბილისი 400 წელი საამირო იყო, არაბები კი სომხურ ეკლესიასთან თანამშრომლობდნენ, შესაბამისად, თბილისის საამიროში, გუგარქსა თუ ტაოში ქართული ეკლესია, მისი ბიზანტიური ორიენტაციის გამო, სასტიკად იდევნებოდა, ისევე, როგორც ალბანური ქალკედონური ეკლესია იდევნებოდა არაბების მიერ.

ამ ფონზე სომხური ეკლესია ნებადართული და ზოგჯერ პრივილეგირებული იყო, რასაც მიუთითებს მოვსეს კალანკატუაცი. ის აღწერს, თუ როგორ გააუქმეს არაბებმა ალბანური ქალკედონური ეკლესიის ავტოკეფალია და ის დაუქვემდებარეს სომხურს, აიკრძალა ალბანურ ენაზე საეკლესიო მსახურებაც და ის სომხურენოვნებით შეიცვალა.

ალბანური ეკლესია სომხურ ეკლესიად გადაიქცა, ხოლო ალბანელების დიდი ნაწილი გასომხდა.

სომხური გეოგრაფის მიხედვით, გარდმანი, გუგაქი და ტაო წარმოადგენდა ძალზე ვრცელ ქვეყანებს, რომელნიც მრავალი ოლქის ანუ ხევისაგან (სომხურად „ძორ“-ისაგან) შედგებოდა.

სომხური გეოგრაფიის დაწერის დროს, მე-7 ს-ში, გუგარქი ჯერ კიდევ ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა და მმართველობაც ჯერ კიდევ ქართული ჰქონდა, რასაც სომხური გეოგრაფიაც კი მიუთითებს, ხოლო ტაო უკვე ჩაღრმავებული იყო არმენიზაციის ჭაობში, მაგრამ აქ, ჩანს, მხოლოდ ზედა ფენა იყო უკეთ არმენიზებული, ხოლო ქვედა ფენა ჯერ კიდევ ქართული იყო, ეს გამოჩნდა განსაკუთრებით მე-8 საუკუნის შემდეგ, როდესაც ტაოს, ერთი შეხედვით უკვე არმენიზებული, ქართველობა გამოაფხიზლა ქალკედონიზმის ნათელმა და მასზე დაყრდნობით დაიბრუნა ეროვნული თვითშემეცნება, ანუ აშკარად განაცხადა თავისი ქართველობა და დაუბრუნდა ქართული ეკლესიის წიაღს, რაც ურთულესი პროცესი იყო. ეს ვერ შეძლეს მეზობლად მცხოვრებმა ალბანელებმა.

თავის დასკვნა

ქართული ტომები, რომლებიც საბოლოოდ ერთიან ეთნოსად ჩამოყალიბდნენ, ვრცლად იყვნენ დასახლებულნი ვანის ტბიდან და ლუვიის ისტორიული სახელმწიფოდან ვიდრე შავ ზღვამდე და კავკასიის ქედამდე.

მათი ნაწილი მოექცა აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებში.

შემდგომში ამ ქართულ რეგიონში, ჯერ კიდევ აქემენიდების დროიდან, მასობრივად შედიოდნენ და სახლდებოდნენ სომხური ტომები ძირითადად მე-13 სატრაპიიდან.

სტრაბონის ცნობით, სპარსეთის დამარცხების შემდეგ აქ არსებულ „მცირე ქვეყანა არმენიას“ დაეუფლნენ მაკედონელი სარდლები – არტაქსია და ზარიადრე, რომელნიც სტრაბონის ცნობით, არმენიის მეფეებად იწოდდნენ, მათ იბერებსა და სხვა ქართულ ტომებს მიწა-წყალი ჩამოაჭრეს. კერძოდ, აღნიშნულ რეგიონში დაიპყრეს იბერიული პარიადრეს მთიანეთი, ხორძენა და გოგარენა, მტკვრის იქით, ანუ მარცხენა სანაპიროზე, ასევე მოსინიკებისა და ქალდებისაგან მიიტაცეს კარენიტიდა (არზრუმის ოლქი) და ქსერქსენე.

ეს დაპყრობილი ქართული ოლქები (ხორძენა, გოგარენა, პარიადრე, ქსერქსენა, კარენიტიდა) შეიყვანეს ე.წ. დიდი არმენიაში, რის შემდეგაც დაიწყო აქაური, ანუ არმენიის მკვიდრი იბერების არმენიზაციის პროცესი, აღნიშნულმა მხარეებმა შეადგინა ე.წ. დიდი არმენიის ივერიული ზოლი.

არმენიის გაქრისტიანების შემდეგ იქაური ივერიული ზოლის ქართველები აღმოჩნდნენ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, მათ ერთ ნაწილს საბოლოოდ არ დაუკარგავს ქართული თვითშემეცნება. განსაკუთრებით საქართველოს საზღვრებთან, ამის შედეგად, ტაოსა და მიმდებარე ოლქებში ქალკედონიტობის საფარქვეშ მათ გაბედეს და თავდაპირველად გამოეყვნენ სომხურ ეკლესიას, ხოლო 780-იან წლებში დაუბრუნდნენ ქართულენოვან ღვთისმსახურებას, შემდეგ კი შეძლეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაც, რომელსაც „ქართველთა სამეფო“ ერქვა. მას ბიზანტიელები ივერიას უწოდებდნენ.

ბიზანტიამ დაიწყო ხანგრძლივი ომები ივერიასთან ბასილი ბულგართმმუსვრელის მეთაურობით, საბოლოოდ, ამ არეალზე ბიზანტიამ ჩამოაყალიბა თავისი სამხედრო- ადმინისტრაციული ოლქი – იბერიის თემი.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ, თამარ მეფის დროს, ეს მხარეები კვლავ მონოფიზიტი ზაქარია მხარგრძელის ხელში აღმოჩნდა, რამაც ხელი არ შეუწყო აქაური ქართველების თვითშემეცნების განმტკიცებას, თუმცა მათმა უდიდესმა ნაწილმა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ სამცხე- საათაბაგოს დიდი ქვეყანა – სამთავრო ჩამოაყალიბა, მისი საზღვრები არზრუმამდე აღწევდა.

გაოსმალების შემდეგ აქაური ქართველობა აღმოჩნდა სომხურ და ბერძნულ მილეთებში, რამაც საბოლოოდ ჩაკლა მათი ეროვნული სულისკვეთება. ქართველობის შენაჩუნება მხოლოდ მუსლიმანმა ქართველებმა შეძლეს, ხოლო ზღვისპირას, ლაზობის შენარჩუნება შეძლეს ასევე გამუსლიმანებულებმა.

ლაზებისა და ქალდების უდიდესი ნაწილი ბერძნულ მილეთში გაბერძენდა, მათ „პონტოელ ბერძნებს“ უწოდებენ. ხოლო სომხურ მილეთში შემავალი ქართველები გასომხდნენ.

წიგნის ზოგადი დასკვნა

სტრაბონის ცნობით, ალბანეთში 26 სხვადასხვაენოვანი ტომი ცხოვრობდა, მათგან, როგორც ამჟამად ცნობილია, ზოგიერთი ირანულენოვანი, ზოგი თურქულენოვანი, ზოგი კი კავკასიურენოვანი იყო. წიგნის კვლევით ალბანეთის ამ ტომთა შორის ქართულენოვანი (ქართველურენოვანი) ჰერების ტომიც ცხოვრობდა იბერიის საზღვართან.

პლინიუსის ცნობით, იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი გადიოდა მდინარეზე, რომელიც კავკასიის მთებში იღებდა სათავეს და ბარში მტკვარს უერთებოდა, იგულისხმება ალაზნის შესართავის რეგიონი. აქ, მახლობელ კავკასიონის ქედის ფერდზე სათავეს იღებს პლინიუსის ცნობის შესაბამისი რამდენიმე მდინარე, ერთერთი მათგანია, მაგალითად ალიჯანჩაი, რომელიც კახეთის სამეფოს (შესაბამისად, იბერიის) საზღვარს წარმოადგენდა მრავალი საუკუნის მანძილზე, მდ. ალიჯანჩაი კახეთის საზღვარი იყო თვით XVII–XVIII საუკუნეებშიც კი. აქვე გამავალი მდინარე გიშისწყალი, რომელიც ალაზნის უმთავრესი შენაკადია, ვახუშტის ცნობით ჰერეთის საზღვარი იყო. ეს მდინარეები ჰერეთსა და კახეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა საუკუნეთა მანძილზე.

თავდაპირველი, ანუ ისტორიული ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შაქგიშისწყლიდან ვიდრე მდინარე აღსუმდე, მდებარეობდა ალბანეთის დასავლეთ ნაწილში. კახეთსა და ჰერეთს შორის სასაზღვრო ხაზი იყო აღნიშნული მდ. გიშისწყალი, ანდა იქვე გამავალი მდინარე ალჯანჩაი, რომელიც, როგორც აღინიშნა, კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ბარში მდ. მტკვარს უერთდება.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარს ეს მდინარე წარმოადგენდა მე-9 საუკუნემდე, რადგანაც იმ დროისთვის ჰერეთი (მიწა-წყალი მდ. ალიჯანჩაიდან (გიშისწყლიდან) ვიდრე მდ. აღსუმდე, მონოფიზიტური მიმართულებისა ყოფილა მისი მმართველების აღმსარებლობის შესაბამისად.

აღნიშნული მდინარეების (გიშისწყლისა და ალიჯანჩაის) სათავეებში მდებარეობდა ცნობილი სასაზღვრო პუნქტი ჰერეთსა და კახეთს შორის – „ტყეტბა-გულგულა“ (და არა თელავთან), ამჟამინდელ სოფლებ ფილფილთან და ხალხალთან ახლოს.

აღსანიშნავია, რომ ხალხალს სხვა წყაროებიც მიიჩნევდნენ სასაზღვრო პუნქტად იბერიასა და ალბანეთს შორის. არსებობდა მეორე პუნქტიც ამავე სახელწოდებით (ხალხალი), ისიც ამავე რეგიონში მდებარეობდა აღნიშნული მდინარეებისა და ტურიანჩაის (Турианчай) მტკვართან შესართავის მახლობლად.

ისტორიული ჰერეთის საზღვარი გაფართოვდა კახეთის ხარჯზე და შეიცვალა მხოლოდ მე-9 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც მისი მმართველი გახდა მონოფიზიტი სახელმწიფო მოღვაწე საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანი.

მან 820-იან წლებში დაიპყრო რანი, ხოლო 840-იან წლებში დაიპყრო სამხრეთ კახეთი არაბი სარდლის, ხალილ ისიდის ძე არაბიელის (Халид ибн Язид аль-Шайбани) მხარდაჭერით, ვიდრე გავაზამდე.

ამასთანავე, ის (საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანი) ფლობდა არცახის დიდ სამთავროსა და კამბეჩანს, რადგანაც თანამშრომლობდა დამპყრობლებთან, რის სანაცვლოდაც არაბთა ხალიფამ, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, „სომეხთა, ალბანთა და ივერთა“ ბატრაკის, ანუ მეფის წოდება მიანიჭა.

მონოფიზიტური ჰერეთის მიერ სამხრეთ კახეთის დაპყრობის შემდეგ არ შეცვლილა კახეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი, რადგანაც დაპყრობილი სამხრეთ კახეთის მოსახლეობა კვლავ მართლმადიდებლობას აღიარებდა, ამასთანავე, მალევე, მე-10 საუკუნეში, წმ. დედოფალ დინარას დროს, ისტორიული ჰერეთი თვითონვე გათავისუფლდა მწვალებელთა უღლისაგან და დედაქართული ეკლესიის იურისდიქციას დაუბრუნდა.

რაც შეეხება საკუთრივ ალბანეთს, თავდაპირველი ალბანეთი მოიცავდა მიწა-წყალს უმეტესად კასპიის ზღვის პირას, დერბენდ-ჩორის მიმართულებით. იქვე, ქ. ჩორთან ახლოს, კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდზე, ცხოვრობდნენ ლფინებისა და ჭილბების ტომები, შესაბამისად, ალბანეთის კათალიკოსს ეწოდებოდა „კათალიკოსი ალბანეთისა, ლფინებისა და ჭილბებისა“ («католикос Алуанка, Лпника и Чола»). ალბანეთი გაფართოვდა IV საუკუნეში, ე.წ. „არმენიისა და იბერიის გაყოფის“ დროს. ალბანეთს, მათ შორის, იბერიული ოლქებიც გადაეცა.

მასქუთების გაძლიერების შემდეგ ალბანეთის საეკლესიო ცენტრმა 551/552 წ. ქალაქ ჩორიდან (დერბენდიდან) გადმოინაცვლა უტისა და ბარდას ოლქში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

მე-8 ს. დასაწყისში, მეფე (ერისმთავარ) წმიდა არჩილის დროს ნუხპატი, ანუ შემდგომდროინდელი შაქი (შაკიხი), ქართლის მეფის იურისდიქციაში შედიოდა.

იქამდე არაბთა შემოსევებმა გააუკაცრიელა ეს მხარეები. არჩილ მეფემ მე-8 ს. დასაწყისში შაკიხ-შაქის ოლქი სამკვიდროდ გადასცა ტარონიდან ჩამოსულ დიდებულებს.

შემდეგ, მე-9 საუკუნეში შაქისა და არანის მმართველობა, როგორც აღინიშნა, თავის ხელში აიღო მონოფიზიტმა მმართველმა საჰლ იბნ სუნბატ ალ არმანმა.

არანის (რანის) დაპყრობის შემდეგ მან თვალი მიაპყრო მეზობელ კახეთს და 840-იან წლებში მხოლოდ მისი ერთი ნაწილის დაპყრობა შეძლო. ეს იყო სამხრეთ კახეთი (ანუ ტერიტორია გიშისწყლიდან ვიდრე ე.წ. გავაზიანლოს ხაზამდე).

840-იან წლებში გავაზთან ომში ქართველებმა დაამარცხეს ხალილ არაბიელი, რამაც მას არ მისცა საშუალება კახეთის სრული დაპყრობისა, მაგარმ მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა სამხრეთ კახეთი აღნიშნულ ხაზამდე, ამიტომ მან ეს მიწა-წყალი გადასცა არაბებთან მოთანამშრომლე არცახ-რან-შაქის მონოფიზიტ მმართველს, აღნიშნულ საჰლ იბნ არმანს (საჰლ სმბატიანს).

ამ პერიოდში (მე-9 საუკუნის შემდეგ) სამხრეთ კახეთსაც ეწოდა სახელი „ჰერეთი“ შაქის ჰერეთთან მისი მიერთების გამო.

ეს იყო დროებითი მოვლენა, რადგანაც, ისტორიულად, თავდაპირველად, როგორც აღინიშნა, საზღვარი კახეთისა (ჰერეთთან) გადიოდა მდ. გიშისწყალზე (ანდა ალიჯანჩაიზე), მტკვარ-ალაზნის შესართავის რეგიონში. ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავთან.

მონოფიზიტი მმართველების მიერ სამხრეთ კახეთის ამ დაპყრობას არ ეგუებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. შემდგომში, მათზე დაყრდნობით, აფხაზთა მეფეები და კახეთის ქორეპისკოპოსები იბრძოდნენ სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად.

915 წლისათვის კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ და აფხაზთა მეფე კონსტანტინემ გაათავისუფლეს ჰერეთის დაპყრობილი კახეთის ციხეები – გავაზი და არიში, მაგრამ სამხრეთ კახეთი სრულად მაინც ვერ გათავისუფლდა.

ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთლიანი ჰერეთი შემოუერთდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს თავდაპირველად მე-11 ს. დასაწყისში, საბოლოოდ კი წმ. მეფე დავით აღმაშენებლის დროს.

ამისკენ ჯერ კიდევ მე-9 ს-დან მიისწრაფოდა ჰერეთის მოსახლეობა, რომელსაც სურდა მონოფიზიტური მმართველობისაგან გათავისუფლება, რასაც წმ. დინარას და მისი შვილის რელიგიური რეფორმის წარმატებით განხორციელება აჩვენებს, რომელთაც ჰერეთი დაუბრუნეს წმ. მართლმადიდებელ სარწმუნოებას მე-10 საუკუნეში.

კიდევ უფრო ადრე გაქრა ალბანეთის სახელმწიფოებრიობა და მე-8 ს. დასაწყისისათვის – ალბანეთის ავტოკეფალური ეკლესია.

ამის შემდეგ სახელ „ალბანეთს“ არა ეთნიკური, არამედ, ძირითადად, გეოგრაფიული მნიშვნელობით იყენებდნენ და მას უტისა და ბარდავის ოლქებს უწოდებდნენ, ზოგჯერ კი შაქის ოლქსაც.

სწორედ შაქის ოლქის მმართველი იყო წმ. დინარა დედოფლის მეუღლე, ადარნასე II ანდა მისი ძე.

ადარნასე იყო გრიგოლ ჰამამის, არცახ-რან-კამბეჩან-შაქის ოლქის მთავრის შვილი.

გრიგოლ ჰამამის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული დიდი სამთავრო მისმა შვილებმა გადაინაწილეს, მათ შორის ადარნასე II-ს სამართავად ერგო შაქის ოლქი, ანუ შაქის ჰერეთი.

ამ პროცესის შედეგად შაქის ჰერეთის მკვიდრი მოსახლეობა, ანუ ეთნიკურად ქართულენოვანი მოსახლეობა გათავისუფლდა აღნიშნულ არცახ-რან-ფარისოსის სომხური სამთავროს ბატონობისაგან.

ამ პოლიტიკური მიღწევის შემდეგ შაქის ჰერეთის მოსახლეობამ, როგორც აღინიშნა, გადაწყვიტა ეკლესიურად გათავისუფლებაც, ანუ მონოფიზიტური მწვალებლობისაგან თავის დაღწევა და, ჩვენი მატიანეების ცნობით, თავის ხალხს ამ საქმეში შეეწია იქაური დედოფალი წმ. დინარა, ტაოელ მეფეთა ასული, როგორც აღინიშნა, ჰერეთის მხსნელი „მწვალებლობისაგან“.

დამატება

ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია

(ალბანეთის საკათალიკოსო და ხუნძეთის საკათალიკოსო)

ალბანეთის საკათალიკოსო

(ვრცელი ვრიანტი)

კავკასიის ალბანეთს სპარსელები, არაბები და სირიელები უწოდებდნენ არანს, ქართველები კი რანს.

ქრისტეშობამდე II საუკუნეში ალბანეთის 26 ტომის (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7) გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

სტრაბონმა ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგინა მიწა-წყალი მოქცეული კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე (სტრაბონი, გეოგრაფია, XI), შემდგომ საუკუნეთა წყაროები არ იძლევიან საშუალებას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც ალბანელების განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I–II ს.).

I–II საუკუნეებში ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მასქუთების დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. აქამდე (აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან აღწევდა ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან რანის ოლქის საზღვარი.

(პლინიუს მცირეს მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი კაპალაკი ახლოს მდებარეობდა კასპიის ზღვასთან (შესაბამისად, ის არ იყო ქალაქი ყაბალა, რომელიც ჰერეთის ოლქში მდებარეობდა). ძვ.წ. I საუკუნეში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი).

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით, გადმოინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდეგდროინდელი რანი იქცა.

ამის შემდგომ ალბანეთად, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიწა-წყალი იწოდა, რომელსაც, როგორც ითქვა, ქართველები რანს უწოდებდნენ.

სავარაუდოდ, კასპიისზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული.

ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ქართველთა შორის „ვიდრე მასქუთებამდე“.

მასქუთებამდე ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდნენ. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმიდა ნინოს ქადაგების დროს როგორც აღინიშნა, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას მტკვარ-არაქსის შესართავამდე ჰერეთი ერქვა, ის რანს უშუალოდ ესაზღვრებოდა, მათ ერთმანეთისაგან მტკვარი ჰყოფდა (ჰერეთი იგივე ყაბალას ოლქია).

მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართველთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციას იძლევა მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, ის წერს – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მაშასადამე, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობით წმ. ნინომ იქადაგა მასქუთების საზღვრამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე (თითქმის შემდეგდროინდელ შამახამდე), რომლის იქითაც მასქუთების ქვეყანა მდებარეობდა.

აღნიშნული წყაროებით, მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართულენოვანი ხალხი ცხოვრობდა, V საუკუნეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რადგანაც რეგიონში ალბანეთის დედაქალაქები ბაილაქანი და პარტავი-ბარდავი აიგო. ამ რეგიონის ყოფილ ქართულენოვნებას ტოპონიმიკაც მიუთითებს (მაგალითად, სახელი „ბარდავი“ სახელ „გარდმანიდანაა“ ნაწარმოები, სიტყვა „გარდ“ კი ქართველთა ეთნოფუძეა _ „ქართ, გარდ“. ასევე ამ რეგიონთან მცხოვრები ტომის სახელი იყო „გარგარ“, რომლის სახელიც იმავე ფუძე-ძირიდან ნაწარმოები, შესაძლოა ეს ტომი ალბანიზაციამდე ქართულენოვანი იყო).

ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში ანუ კასპიისპირეთში მასქუთების ჩასახლებამ, ალბანური მოსახლეობა ორად გაყო, ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი ჩოლის რეგიონში კავკასიის მთებისაკენ, მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ სატომო ნიშნის მიხედვით.

სომხური წყაროებით ალბანეთად, მაინც, უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. მაგრამ, ეს პოლიეთნიკურობა იქცა მთავარ მიზეზად იმისა, რომ მცდელობათა მიუხედავად ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ტრადიციული გადმოცემით კავკასიაში ერთერთ უძველეს ალბანეთის ეკლესიაში უქადაგნია მოციქულთა მოწაფე ელისეს (ელიშეს). მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა.

პირველი გადმოცემის მიხედვით ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან სომხეთის გვერდის ავლით განმანათლებელ ელიშეს მიერ, რადგანაც (ელიშე) ელისე იყო უფლის ძმის იაკობის მოწაფე. ეს გადმოცემა მიუღებელი გახდა VII ს-ის შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ახალი ვერსიით „ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმიდა მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს“ – კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა ეპისკოპოს იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის ციხე-სიმაგრესთან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყია.

ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის ალბანთა ქვეყნის ისტორია (I, IV; I 6; III 16; III 23).

„მასქუთების მხარეში“ მოციქული ელისე წამებით აღსრულებულა, ის იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ.

III საუკუნეში ალბანეთის ქვეყანა სასანიდების ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა.

იმჟამად, როგორც აღინიშნა, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდეგდროინდელ შამახადან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში, IV საუკუნეში სომხური წყაროებით, გრიგორ განმანათლებლის შვილიშვილს გრიგორისს უქადაგნია და მასქუთთა ხელით მოწამეობრივად აღსრულებულა.

გრიგორისს უწოდებდნენ ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსს.

ამ წოდებასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარას რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებდნენ.

ამ მოსაზრების საფუძველი, არის მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, რომ მასქუთებამდე (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) იქადაგა წმიდა ნინომ. ის, როგორც აღინიშნა, წერდა, რომ წმიდა ნინომ ქართველთა ქვეყნის კუთხეები დამოძღვრა მასქუთთა საზღვრამდე (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172), ამიტომაც ამ რეგიონის (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთის) შემდეგდროინდელი მმართველი დინარა ივერიის

დედოფლად იწოდა, მსგავსად ჰერეთის ახლო მასქუთთა შორის მქადაგებელი გრიგორისისა, რომელსაც ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსი ერქვა.

ალბანეთის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი თავისი შრომის დიდ ნაწილს უთმობს იმის აღწერას, რომ მის დროს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რანის ოლქში მდებარე უტიკი და არცახი ალბანური პროვინციები იყვნენ.

მაშტოცის ეპოქაში, V ს-ის 10-იან წლებში ალბანეთის დედაქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 10)

შემდეგში ალბანეთის მეფეებმა V ს. შუა წლებში ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე ალბანეთის ახალი დედაქალაქი კვლავ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააფუძნეს. კერძოდ, ალბანეთის მეფემ ვაჩე II-მ (444–463) ალბანეთის დედაქალაქი, კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო-სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 11).

საზოგადოდ, ალბანეთი თავისი დედაქალაქებით, საეკლესიო და კულტურის ცენტრებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ალბანეთის კათალიკოსები ქალაქ პარტავში ისხდნენ.

ალბანური კულტურა ასევე ვრცელდებოდა ქ. ჩოლის (დერბენდთან) ახლოს მთიანეთში მცხოვრებ ლფინთა და ჭილბთა ალბანურ ტომთა შორისაც.

სასანიდების სპარსეთი ყოველმხრივ ცდილობდა რეგიონში ყველაზე მსხვილი, ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ერთეულის – არმენიის მიმართ ლოიალური ყოფილიყო, ამ გზით ის ცდილობდა როგორმე გაევრცელებინა ზოროასტრიზმი, შესაბამისად ისინი აღიარებდნენ არმენიის ხელისუფლების მიერ სამხრეთ კავკასიის სხვა პატარა ხალხების დამორჩილების ფაქტს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოროასტრიზმი იმჟამად მიუღებელი იყო კავკასიის ყველა ხალხისათვის.

სპარსელთა წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ხალხების 450–451 წლების დიდი აჯანყების პირველი ეტაპის შემდეგ, აჯანყება ალბანეთში გაგრძელდა. 457 წელს აჯანყებულებმა დაიჭირეს დერბენდის ანუ ჩოლის (ჩორის) გადასასვლელი კასპიისპირზე, ორწლიანი სამხედრო მოქმედებანი სპარსთა ჯარებთან დამთავრა იმით, რომ სპარსელებმა დიდი თანხის საფასურად ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანეს ჰუნი-ონოგურები, რომლებიც შეიჭრნენ ალბანეთში და 462 წელს დაიწყეს ხანგრძლივი ომი ალბანეთთან, 463 წელს აჯანყება დამარცხდა და ალბანეთში სამეფო ხელისუფლება გაუქმდა.

შემდგომ ალბანეთს მართავდა სპარსი მარზაპანი (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია I, 10).

სასანიდების მიერ ალბანეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ (462 ან 463 წ.) რაც ალბანეთში დაარსებული იქნა სამარზაპანო, მასში შევიდა კასპიისპირა პროვინციები, ასევე უტიკი, არცახი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყალის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით, ჰერეთთან (ყაბალას რეგიონთან) ერთად.

ალბანთა სამეფოს გაუქმების შემდეგ, ალბანეთის აღნიშნული სპარსი მარზაპანებიც (მეფისნაცვლები) 30 წლის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ.

არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას, ეს ხაზგასასმელია იმის გამო რომ ამჟამინდელი სომხური, და შესაბამისად ქართული, ისტორიოგრაფია უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ თითქოსდა ალბანეთი მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ერქვა და მას ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ს ნათესავმა ვაჩაგან III (487–510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო.

ვაჩაგან III-ის სიკვდილის შემდეგ კვლავ გაუქმებული იქმნა ალბანთა სამეფო, აქ ირანმა აღადგინა ალბანეთის სამარზაპანო, ამ სამარზაპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთს უწოდებდნენ.

ალბანეთი ქართლთან და სომხეთთან ერთად VI საუკუნეში სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი არაბებისა.

ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640–680) მართლმადიდებლური აღმსარებლობის იყო. მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატიც ასევე მართლმადიდებელი იყო, ამის გამო 705 წელს ის მართლმადიდებლობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) ხალიფატის შემადგენლობაში უშუალოდ შეიყვანეს, კერძოდ სახალიფოს იმ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმენია ერქვა, მისი ცენტრი იყო ქალაქი დვინი.

დვინის სომხური საკათალიკოსო გაძლიერდა, ის ახლა ალბანეთსაც აკონტროლებდა, ვითარცა არმენიაში შემავალ ერთერთ ოლქს.

არმენიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) დარჩა თითქმის IX საუკუნის ბოლომდე.

შესაბამისად, არაბებმა აიძულეს ალბანეთის ეკლესია, რომ მას სომხური ეკლესიის აღმსარებლობა გაეზიარებინა, მიზეზი ამისა იყო არაბთა ხელისუფლების მფარველობა სომხური ეკლესიის მიმართ, მისი ანტიბიზანტიური მიმართულების გამო.

იქამდე, VII საუკუნის ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური ანუ ქალკედონიკური მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა, ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია და ისლამიზაცია.

მოვსეს კალანკატუაცი ასე აღწერს ალბანეთის ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებას VII საუკუნის ამბების აღწერისას – „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზთრდატის მეუღლე. სომხეთის კათალიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსმა მიწერა – „სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება“ (მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“, ძველი სომხურიდან თარგმნილი ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის მიერ, 1985 წ. 139).

სომეხთა კათალიკოსმა მოუწოდა ამირას, რომ ალბანელი ქალკედონიტები დაესაჯა. ამირამ სასწრაფოდ აღასრულა სომეხთა კათალიკოსისნება.

არაბთა ამირამ სომეხთა კათალიკოსს შეატყობინა, რომ მან ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონიტი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია – მათ „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“ (იქვე, გვ. 139). რადგანაც, არაბებს ქალკედონიტები მიაჩნიათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური სარწმუნოების“ მქონენი თავიანთ ერთგულ ღვთის კაცებად.

შემდეგ ატყობინებს, რომ „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა“ (იქვე, გვ. 139).

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული ალბანელთა კათალიკოსი დაიმალა, შემდეგ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“ (იქვე, გვ. 140). სომეხმა მღვდლებმა ალბანური ქალკედონიტური ლიტერატურა გაანადგურეს.

კერძოდ, არაბებმა და ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომხებმა ალბანთა კათალიკოს ნერსესის ქალკედონიტური ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს.

მოვსეს კალანკატუაცი წერს – „...ნერსესის „წვალებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში ჩაყარეს...“ (იქვე, გვ. 140).

დევნის ამ ეპოქაში, გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც ლტოლვილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების „ქართიზაცია-გაქართველებას“, როგორც წარმოადგინა ბატონმა ზ. ალექსიძემ, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონიტი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, ვითარცა მართლმადიდებლურ კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათალიკოს ნერსესის მსგავსად სიკვდილით დასჯიდნენ.

ამის შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათალიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის მიერ – „ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში „წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში – ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“ (იქვე, გვ. 143).

შეთანხმება დაიდო სომხური წელთაღრიცხვით 148, ანუ 699 წელს. კრებას სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა.

აქედან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს როგორ შეძლო სომხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „სომხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში (იქვე, გვ. 144).

მონოფიზიტი მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის მამამთავრებს. უძველესი ხანიდან თავისთავადობის გაუქმებამდე. ის წერს – „...უწინდელ პატრიარქთა საქმენი, დრო და სახელები დაკარგულან...“ (გვ. 168). ალბანთა განათლების წყარო ყოფილა წმიდა ელიშა, „შემდეგ იყო ყრმა გრიგორისი, სომეხთა განმანათლებლის გრიგორის შვილიშვილი“...; „...შექმნა ნეტარმა მესროპმა ალვანური დამწერლობა. მანვე დიდი შრომის შედეგად ანბანი მისცა სომხებსა და ქართველებს. შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა... მისი დროიდან ჩვეულებად იქცა დაეწერათ ასეთი პატივი: „ალვანთა, ლფინთა და ჩორის კათალიკოსი“. დვინის კრებიდან მას მიუთითეს, რათა ეღიარებინა მხოლოდ ერთბუნებიანობა ქრისტესი...“ (გვ. 168). „უფალი ვირო... მან ხაზარი შათის ტყვეობიდან გაათავისუფლა სომხები, ქართველები და ალვანელები... უფალი ზაქარია... (მან) სიუნქის ეპისკოპოსად აკურთხა ვინმე ვრთანესი, რაც მოხდა სომეხთა ნების გარეშე“ (გვ. 168). „უფალი ნერსესი... მას გონება აერია, მოინდომა ალვანელთა კეთილშობილი სახლი სომეხთაგან ჩამოეშორებინა და ქალკედონიტური რწმენისათვის დაე-

მორჩილებინა“. „უფალმა მიქაელმა დასწყევლა აგრეთვე ქართველთა მწყემსი თალალე, რადგანაც მან ნება დართო უკანონო ქორწინებას“. „უფალი სამუელი... მან თვითონ, ხელდასხმის გარეშე მიიღო სამამამთავრო პატივი, რის გამოც განთავისუფლებულ იქნა. ხელმეორედ ხელდასხმა მიიღო სომეხთა კათალიკოს გეორგისაგან დვინში. უფალი იუნანი... კათალიკოს გეორგის დაუკითხავად მივიდა ალვანეთში და ხელდასხმაც მის გარეშე მიიღო, შემდეგ თვითონ გეორგმა ხელმეორედ აკურთხა ის“ (იქვე, გვ. 170). აქ „ქართველებად“ ჰერები იწოდებიან, რომელნიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ, ხოლო ალვანელები (ალბანები) ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ (მათ მოპირდაპირე მხარეს), უტიკსა, არცახსა და სხვა ოლქებში (რანში). ალბანთა არმენიზაცია სწრაფი ტემპით წარიმართა არაბთა დროს, მას თან დაერთო მოსახლეობის ისლამიზაცია. უტიკელთა ანუ უდიელთა მცირერიცხოვანი ნაშთები, მცირერიცხოვანი მოსახლეობა, ამჟამად უდინებად (რუსული ფორმით „უდ-ინ“) იწოდებიან, ისინი კავკასიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ, მათ შორის საქართველოშიც.

ალბანეთის ქალაქებში ბარდავში, დერბენდში და შემახაში არაბთა გარნიზონები ჩადგა, ამით ალბანეთის ისლამიზაცია უფრო გაძლიერდა, შესაბამისად IX–X საუკუნეებისათვის განჯასა და ბარდაში არაბული მუსლიმანური საამიროები წარმოიქმნა. IX საუკუნეში ჩამოყალიბდა შირვან-შაჰების სახელმწიფო, ხოლო მტკვრის სამხრეთით არსებობას განაგრძობდნენ ალბანეთის უკვე არმენიზებული ოლქების სამთავროები – ფარისოსში, ხარჩენსა და სხვაგან.

ასეთ რთულ დროს ჰერეთი ქრისტიანობას ინარჩუნებდა, თუმცა არამართლმადიდებლურს, ვითარცა არაბთა ალბანურ ოლქში შემავალი ერთერთი ქვეყანა.

როგორც აღინიშნა, ჰერეთი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ვართაშენიდან (მასთან მდებარე პუნქტ გულგულა-ფილფილადან) ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე (მას ასევე ყაბალას ოლქი ეწოდება) რანის მოპირდაპირე მხარეს. ამ ორ ოლქს (ე.ი. რანსა და ჰერეთს) ერთმანეთისაგან მდ. მტკვარი აშორებდა და მათ ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ.

კავკასიაში ხურამიტების (816–837) აჯანყების დამარცხების შემდგომ, აჯანყების მეთაური ბაბეგი ჰერეთის მმართველმა შეიპყრო და გადასცა არაბულ ხელისუფლებას, მადლიერების ნიშნად ხალიფამ ჰერეთის მმართველი რანის მმართველადაც დანიშნა, რანი და ჰერეთი ამის შემდგომ გაერთიანდნენ.

მოვსეს კალანკატუაცი წერს – მთავარ საჰლ სმბატიანს 837 წელს „...სამეფოდან დიდი ჯილდო ერგო. მას უწყალობეს სომხეთის, იბერიისა და ალვანეთის მთლიანი გამგებლობა მთავრის უფლებით“ (იქვე, გვ. 161). როგორც ითქვა, აქ „იბერიის“ ქვეშ ჰერეთი იგულისხმება.

ჰერეთის მმართველის მემკვიდრემ ჰამამმა 893 წელს მიიღო რანის ანუ ალბანთა მეფის ტიტული, მას ქართული წყაროები „ჰერეთის მეფეს“ უწო-

დებენ, ის მართავდა მტკვრის ორივე სანაპიროს ქვეყნებს, ჰერეთსა და რანს, მაგრამ ალბანთა მეფის ტიტულზე თავის პრეტენზიას ასევე აცხადებდა ხაჩენის სამთავროს მეთაური, რომელიც ანისელ ბაგრატიონებს ექვემდებარებოდა. ალბანთა მეფის ტიტულზე პრეტენზიებს ასევე აცხადებდნენ ლორე-ტაშირის მმართველი კვირიკიანებიც.

ჰერეთ-რანის დედოფალმა დინარამ X საუკუნეში თავისი ქრისტიანული მოსახლეობა გაათავისუფლა სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან და დაუბრუნა ქართული ეკლესიის წიაღს – მართლმადიდებლობას.

X საუკუნეში, როგორც ითქვა, ვოლგისა და კასპიის ზღვის გავლით მოლაშქრე რუსულმა დრუჟინამ რამდენჯერმე მოაღწია ჰერეთამდე და რანის დედაქალაქ ბარდამდე. ამ რუსულ დრუჟინასა და მის მოლაშქრეებს ჰერეთში შეხვდა მართლმადიდებელი მოსახლეობა, ამიტომაც რუსული წყაროები აღნიშნულ რან-ჰერეთის დედოფალ დინარას მოიხსენიებენ ვითარცა ივერიის მართლმადიდებელ მმართველს, რომელმაც თავის ქვეყანაში სარწმუნოება ააღორძინა, რუსულ წყაროებში დინარას ივერიის დედოფლად მოხსენიება მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჰერეთი ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ქართულენოვანი იყო და ამიტომაც ის შესაბამისად ივერიად განიხილებოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II. 2012, გვ. 178).

[(მტკვრის მარცხენა ანუ „მტკვრის იქითა“ სანაპიროს ქვეყნის ქართულენოვნებას მიუთითებს ასევე სტრაბონის ცნობა. სტრაბონი „მტკვრის იქითა“, ანუ მარცხენა სანაპიროს ქვეყანას გოგარენეს, იბერების ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევს, რომელიც პარიადრეს კალთებთან და ხორძენესთან ერთად ქრისტეშობამდე II საუკუნეში არმენიამ ჩამოართვა იბერებს. სტრაბონი წერს – „მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ, ...იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5). სტრაბონის გოგარენე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ანუ „კირის მეორე მხარეს“ მდებარეობდა, მისგან განსხვავებით, სომხურ წყაროებში ხშირად ნახსენები გუგარქი ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს მოიცავდა. გოგარენე და გუგარქი სხვადასხვა ოლქები იყვნენ, თუმცა ისინი ერთი, ქართველი, ხალხით იყვნენ დასახლებულნი. სტრაბონის ცნობიდან გამომდინარეG ქართული წყაროების ყაბალას ოლქი გოგარენეს შეესაბამება, როგორც ითქვა, ჰერეთი მდებარეობდა ვიდრე მდ. თეთრწყლამდე (აღსუმდე) მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ის, სხვა ქართულ მიწებთან ერთად უცხოელთა მიერ ივერიად იწოდებოდა თუმცა, განსახილველ დროს ხშირად ალბანეთში შედიოდა)].

IX საუკუნის შემდგომ, სახალიფოს მხარდაჭერის გამო, ჰერეთ-რანის სამეფო გაძლიერდა, შეძლო მეზობელი ოლქების დამორჩილება.

IX საუკუნეში გაძლიერებულმა ჰერეთის სამეფომ შეძლო მიეერთებინა კახეთის მნიშვნელოვანი პუნქტები ალაზნის მარცხენა სანაპიროს მხარეს (თანამედროვე საინგილო და მისი მომიჯნავე სოფლები) და ასევე ზოგიერთი პუნქტი ალაზნის მარჯვენა მხარეს.

X საუკუნეში კახეთის სამთავრომ უკან დაიბრუნა ის ციხე-სიმაგრეები და სოფლები, რომელნიც მისგან ჰერეთის სამეფომ მიიტაცა.

XI საუკუნის დასაწყისში 1010 წლისათვის წარმოიქმნა კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებული სამეფო, რომელიც 1104 წელს შემოუერთა დავით აღმაშენებელმა გაერთიანებულ საქართველოს.

საქართველოს სამეფოს 1118 წელს შემოუერთა ტაშირ-ძორაგეტიც და საქართველოს მეფემ მიიღო ტიტული აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, ის ასევე იყო შაჰანშა და შირვანშა (შირვანშაჰი). ამ ტიტულატურაში რანს შეესაბამება გაფართოების შემდეგდროინდელი ჰერეთი.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნები კვლავ დარჩა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რამაც გამოიწვია იქაური მოსახლეობის სრული არმენიზაცია. ხაჩენის, არცახისა და უტიკის ალბანური ოლქები საბოლოოდ გასომხდნენ.

მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობა ასევე განიცდიდა ისლამიზაციას კასპიისპირეთის მოსახლეობასთან ერთად, ამის გამო ალბანეთი ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნად გადაიქცა, მისი ქრისტიანული მოსახლეობა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა.

ე.წ. ალბანეთის „ივერიის“ ანუ ჰერეთის მცხოვრებნი ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდნენ. საქართველოსთან „ალბანეთის ივერიის“ საზღვარი გადიოდა, ქალაქ ყაბალასა და ვარდაშენს შუა ქედზე, რომელსაც ამჟამადაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დაღი) ეწოდება. შემდეგ დროინდელი შაქი ამ მთა-ქედის მარცხენა მხარეს მდებარეობდა (შაქის ოლქი, იმჟამად იყო კახეთში შემავალი მიწა-წყალი). ეს მთა („გურჯი დაღი“) ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთსა და ჰერეთს.

აღნიშნული „ქართველთა მთის“ მარჯვნივ მდებარე ყაბალას ოლქს, როგორც ითქვა, ჰერეთი ერქვა.

ჰერეთი იწყებოდა ამ მთის ახლო სოფელ ფილფილასთან (ძველი გულგულა, ლეონტი მროველის მიერ ნახსენები პუნქტი მდებარეობდა აქ, და არა თელავთან) და გრძელდებოდა მდინარე თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე.

ჰერეთი ალბანეთის შემადგენლობაში მუდმივად არ შედიოდა, ის, უფრო ხშირად, ქართლის სამეფოს ერთერთ საერისთავოს წარმოადგენდა, მიზეზი ამისა იყო ის, რომ ალბანეთის მოსახლეობა იყო მრავალეთნიკური. ალბანეთში აგრეთვე ცხოვრობდნენ მასქუთები, სუჯები, გელები, უტიელები, ლფინები, ჭილბები და სხვა ტომები, ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ.

როგორც აღინიშნა, IV–V საუკუნეებში ალბანური სალიტერატურო ენა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტომების მეტყველების შესაბამისად აიგო.

კერძოდ, ალბანური სალიტერატურო ენა ჯერ გარგარელთა დიალექტს დაეფუძნა, შემდეგ კი ბარდის (უტიკის) რეგიონისას, აქედანაც ჩანს, რომ ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ძირითადი ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეგიონი იყო (და არა მარცხენა სანაპიროსი, როგორც თანამედროვე სომხურ საისტორიო მეცნიერებაში მიიჩნევენ, მართლაც რანი და არანი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს ერქვა).

(საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხური XIX–XX სს. ისტორიოგრაფიის გავლენით, დასაბუთების გარეშე, ალბანეთად განიხილავდნენ კახეთის მიწა-წყალს სოფელ ალვანიდან მტკვარ-ალაზნის შესართავამდე. ამასთანავე, იმჟამად გავრცელდა მტკიცება, თითქოსდა სახელი სოფელ ალვანისა ალვანეთის (ალბანეთის) ქვეყნის სახელიდან მომდინარეობს. სინამდვილეში კი, სახელი ალვანი მცენარე ალვის სახელიდანაა ნაწარმოები და მას არაფერი აკავშირებს რან-არან-ალბანეთთან).

V საუკუნეში ჩამოყალიბებული ალბანეთის საკათალიკოსომ თავისთავადობა დაკარგა VII საუკუნეში და ის სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ალბანეთის მოსახლეობამაც არმენიზაციის შედეგად ეროვნული იდენტობა დაკარგა, ამასთანავე ხდებოდა მისი ისლამიზაცია.

საქართველოს კათალიკოსი ჩეჩნეთ-დაღესტანსა და შაქ-შირვანში

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს, მათ შორის ჩრდილო კავკასიას. ამის შესახებ გვაქვს, როგორც წერილობითი, ისე მატერიალური წყაროები.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ე.წ. მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვთიმეს მოუხილავს თავისი სამწყსო კახეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში.

მაღალაშვილის სახარების 1310 (სხვა კვლევით 1318) წლის მინაწერი:

„ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერითგან გადმოვიდა წახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღმრთისმშობლისა, ლექართის წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოისი, ზარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა აბოისი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს – ღმრთისმშობლისაი, ვართაშენს ელიასი, თა(ბა)სარანს ყოვლადწმიდისა მოციქულისა პეტრესი, კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლის ვაკისა, ესე იგი არს ძველი მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზნისა და ამან სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვრისა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარე-

ბისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავს-მდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსობა, მამათა ცხოვრება „ქართლის ცხოვრება, და ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა(...) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941, გვ. 314–315).

აღნიშნულ მინაწერში ჩამოთვლილია საქართველოს პატრიარქმა კახეთში რომელი სამრევლოები მოინახულა.

ესენი ყოფილან:

1. ანწუხის საეპისკოპოსო;

2. წახურის რეგიონი (იგივე წუქეთი, წახეთი);

3. კაკელისენი, სადაც მან მოილოცა (ქალაქ ან სოფელ) კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია, ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართის მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ეკლესია, სოფელ ზარის მთავარმოწამე წმიდა გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანის წმინდა აბოს ეკლესია, სოფელ განუხში წმინდა მოწამე არჩილის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ვართაშენში წმინდა ელიას ეკლესია;

4. ტაბასარანი (მისი სახელი მინაწერში ასოებნაკლულია). პატრიარქს ამ რეგიონში მოციქულ პეტრეს ეკლესია მოულოცავს (ესაა ეკლესია დაღესტნის ტაბასარანისა).

ტაბასარანის გარდა, პატრიარქს მოუხილავს ასევე სხვა ქართული ეკლესიები, რომლებითაც მოფენილი იყო ვრცელი რეგიონები:

5. ხუნძეთი;

6. ნახჩეთი;

7. თუშეთი;

მათ შემდეგ მოუხილავს ეკლესიები კვლავ კახეთში:

8. ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახმამრეთი; მათ შემდეგ კვლავ გაუგრძელებია გზა და მოუხილავს ვრცელი რეგიონები:

9. მოვაკანი ანუ ვაკე;

10. ელისენი (ტერიტორია ვერხვიანის ზეგანიდან მდინარე იორალაზნის შესართავამდე).

ჩანს ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ერთეულების მეტი ნაწილი კახეთში შედიოდა და ეკუთვნოდა ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიას.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ასევე ეწოდებოდა **„ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარი“.**

მის საგამგებლოში შედიოდა „ყოველი მთიულეთის“ ეკლესიები, როგორც ჩამოვთვალეთ ესენი ყოფილან **წახური, კაკელისენი, ტაბასარანი დაღეს-**

ტანში, იქვე ხუნძეთი, ნახჩეთი, ასევე თუშეთი და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კახეთის სოფლები, მათ შორის ასევე მოხსენებულია ანწუხის საეპისკოპოსო, ასევე ნეკრესი სადაც შესაძლოა ეპისკოპოსი იჯდა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს **კირილე დონაურს** დაუვალებია (ქალაქ) კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდლისათვის **იასე ქიტიაშვილისათვის** ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიაში გაეგზავნა წმინდა სახარების წიგნი.

კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს თავის სამწერლობოში შეუკრებია თავისი თორმეტი მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ ამ ეკლესიებისათვის წმინდა სახარების წიგნები.

შემდგომ ეს წიგნები გაუგზავნიათ აღნიშნული რეგიონის ეკლესიებსა, მონასტრებსა და სასწავლებლებში.

კერძოდ, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ამ მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასწავლებელი. მათ რექტორებს ეწოდებოდა – „თავსმდგომნი“.

ამ უკანასკნელთ (თავსმდგომებს) მთავარეპისკოპოსმა უბრძანა მოსწავლეებისათვის ესწავლებინათ:

1. „შჯული ჭეშმარიტი“ ანუ წმინდა წერილი და კატეხიზმო;
2. ფილოსოფია;
3. მამათა ცხოვრება ანუ პატროლოგია;
4. ქართლის ცხოვრება ანუ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორია;
5. საისტორიო წიგნთაგან ალვანის ანუ ალბანეთის ისტორია, ალბანეთს აქ ეწოდება „ალვანია ესე იგი არსს სავანია“.

ალვანიის ისტორია დაუწერია ვინმე პეტრე ლაგაძეს და შემდეგ მისი ეს თხზულება რომელიღაც სომეხ პლაგიატორს მიუსაკუთრებია და გაურყვნია (დაუმახინჯებია) თავისი შეხედულების მიხედვით – „საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (იქვე, გვ. 17).

განვიხილოთ თუ სად მდებარეობდნენ ჩამოთვლილი პუნქტები:

1. ანწუხი

ანწუხი მდებარეობდა დაღესტანში, მდინარეების ანდისა და ავარიის კოისუს ხეობებში, თანამედროვე ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებში. ამჟამად ანწუხთა თემი შედის **ავარიელების** ტომში.

ავარიელებად ითვლებიან – ანწუხები, ინხოელები, კუკინები, სიუხები და ტინდელები, წყაროს მიხედვით 1310 წლისათვის ანწუხი კახეთში შედიოდა. ანწუხში ყოფილა საეპისკოპოსო, მაშასადამე იმ დროისათვის ანწუხელები იყვნენ კარგი ქრისტიანები და იმდენად მრავალი სამრევლო და ეკლესია ჰქონიათ რომ ისინი ერთ ეპარქიად გაუერთიანებიათ ანწუხის საეპისკოპოსოში, რომელიც თავის მხრივ საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა.

მკვლევარ ფატიმათ ტახნაევას სიტყვით **„ავარიულ სოფლებში შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც აულების ახლო მდებარე მრავალრიცხოვანი ნასოფლარები და ნაქალაქარები ძველად დასახლებული იყო ქრისტიანებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ქრისტიანებს „ქართველებად“ მოიხსენიებენ“** (ფ. ტახნაევა, ქრისტიანული კულტურა შუასაუკუნეთა ავარიაში

(VII–XVI სს.) პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში, რუს. ენაზე, http:||www.Krotov.info|histori გვ.1).

ადგილობრივი ავარიული სახალხო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ავარია თავდაპირველად ქრისტიანებითა და ქართველებით იყო დასახლებული განამტკიცა არცთუ დიდი ხნის აღმოჩენილმა არაბულენოვანმა წყარომ, რომელსაც „ირხანის ისტორია“ ეწოდება. ის მოღწეულია ოთხი ხელნაწერით, მათგან ზოგიერთი ხელნაწერი ჩართულია მეორე წყაროში, რომელსაც „დერ-ბენდ-ნამე“ ეწოდება.

ეს ხელნაწერები ასახავენ დაღესტნის ისტორიის თემურ-ლენგის შემდგომ პერიოდს.

ირხანის ისტორიაში ასახულია დაღესტნის სხვადასხვა სოფლებისა და ოლქების ისტორია.

ქართველების დაღესტანში ცხოვრებას შეეხება მისი რამდენიმე მუხლი, მაგალითად, ხელნაწერშია: – „მცხოვრებნი ოლქ ხიდალისა [ოლქი ხიდი] – იყვნენ ქართველები“ (ირხანის ისტორია,
www.volistil.info|texsts|Dokumenty|Kavkaz|VI|Dag-sron|ist გვ.1|6).

ამ ხელნაწერის კომენტარებში განმარტებულია, რომ ნაგულისხმებია გიდატელის თემი, რომელსაც ამჟამად უჭირავს ერთი ნაწილი რაიონი „სოვეტსკოესი“.

ამავე ირხანის ისტორიაში ნახსენებია ქრისტიანული თავდადება იმ „თავადებისა და აზნაურებისა“, რომელთაც ქრისტესთვის სისხლი დაღვარეს და თავი დადეს მუსულმანების შეტევისას სოფელ ხირკასის ციტადელის, (ციხე-სიმაგრის) დაცვისას.

ხელნაწერშია – **„შემდეგ გაიმართა შებრძოლება ხირკასში, რომელიც მთელი კვირა გაგრძელდა. სოფელი აღებულ იქნა, მაგრამ დარჩა აუღებელი ერთი კვარტალი, სოფლის ზემო ნაწილში, სადაც მათი რაისები და ემირები _ თავატიილები და აზნაურალები იყვნენ გამაგრებულები. მუსულმანებმა ორი თვის მანძილზე ვერ შეძლეს ამ გამაგრებული კვარტალის აღება. საბოლოოდ ის აღებული იქნა უზენაესი ალაჰის, მსოფლიოს ხელმწიფის შემწეობით. მუსულმანებმა ყველა დახოცეს ვინც იქ შეხვდათ, მათი გამოკლებით ვინც ისლამი მიიღო“** (იქვე, გვ. 4|6).

ხირკასის ანუ სოფ. არკასის ზემო ნაწილში შემორჩენილია შთამბეჭდავი ზომების ციტადელი, რომელიც XIV საუკუნემდე არსებობდა, ამ ნაშთებს ნაქალაქარს უწოდებენ (იხ. ატაევი, არკასის ნაქალაქარი).

მსგავსი „ემირები და რაისები“ (ანუ „თავატიილები და აზნაურალები“ _ თავადები და აზნაურები) ხირკასის მომდევნო სოფელ ირხანშიც ყოფილან და ისინი იქაც მედგრად იბრძოდნენ ქრისტესთვის მუსულმანების წინააღმდეგ, ამიტომაც ამ სოფლელებმა როცა შეიტყვეს თუ როგორი სისასტიკით ამოხოცეს მებრძოლი ქრისტიანები სხვა სოფლებში, დახოცეს თავიანთი ემირები და რაისები, და მიიღეს ისლამი. ხოლო ირხანის სულთანი გაიქცა კილბახის ოლქში, სადაც ქრისტიანები ეგულებოდა, მაგრამ გზაზე ერთ ადგილას,

რომელსაც **„ახალი“** ერქვა მოუხდა მუსულმანებთან შებრძოლება, სადაც მოკლეს (იქვე, გვ. 4\6).

ფ. ტახნაევას კვლევით XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატლის თემის „ხიდის“ ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად.

მათ შესახებ ამჟამადაც არსებობს გადმოცემები – მაგალითად, სოფლების **ბაცადლას, უნტის, შულანის და კულაბისა** და მიმდებარე ხუტორების ტერიტორიაზე ძველად მცხოვრებნი, ადგილობრივი გადმოცემით, ავარიულ ენაზე – **„გურჟიხლიებად“ (ქართველობად)** იწოდებოდა, ამ სოფლების ძველ სასაფლაოებზე ცნობილია ქრისტიანული დაკრძალვის ფორმები და ჯვრების მრავალრიცხოვანი გამოსახულება.

ამ რეგიონში შემორჩენილია ერთერთი ადრეული ქართული ქრისტიანული ძეგლი – **ქვის ფრაგმენტი ძველქართული წარწერით, რომელიც აღმოჩნდა სოფელში, რომელსაც ეწოდება „ვაჩი“.** ეს სოფელი მდებარეობს ჰერეთ-კუმუხ-ანდაალ-გიდატელ-ხუნძახის შემაერთებელ გზაზე (ფ. ტახნაევა, დასახ. ნაშრ., გვ.3).

დაღესტანის შემსწავლელ მეცნიერებაში სახალხო გადმოცემებზე დაყრდნობით საკითხიც კი დგას ავარიელი ხალხის ქართული ეთნოგენეზის შესახებ (იქვე, გვ. 3).

ავარიის ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია – ავარიის ვრცელი ტერიტორიის მომცველი ქრისტიანული სამაროვნები, ისინია ხუნძახში, გიდატლში, ანდალალაში, სოფლებში, ურადაში, ტიდიბში (შამილის რაიონში), საკუთრივ სოფელ ხუნძახში, გალაში (ბატლაიჩში), ხარახში, ტინდში, კვანადაში (ჩუმადინის რაიონი), რუგუჯაში, კუდალში (გუნიბის რაიონი), მიატლში (ყიზილიურტის რ-ნი), ბოტლიხში (ბოტლიხის რ-ნი).

ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია ასევე დიდოეთში, დიდო – კაპუჩინსკის რაიონში, აქ ატაევმა შეისწავლა ბეჟთას ქრისტიანული სასაფლაო.

მსგავსი ქრისტიანული ნაშთი მრავალია მთელ დაღესტანში. მაგალითად, ს. ურადას ქრისტიანულ სამაროვანზე აღმოჩენილი X–XIV სს. ქვის ჯვრები. ატაევი ამ სამაროვანს VIII–X სს-ით ათარიღებს.

ამ სამაროვნებიდან ჩანს, რომ ავარიის მოსახლეობის როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენები ქრისტიანული იყო, ამ ძეგლებით არ დასტურდება არაბი ავტორების ცნობები, რომელთა მიხედვითაც სარირში (ავარიაში) თითქოსდა მხოლოდ მეფე და მისი ლაშქარი აღიარებდნენ ქრისტიანობას.

ხუნძახშიც მრავალი ქრისტიანული სამაროვანია, მაგალითად სოფელ გალლაში VII–XI საუკუნეებისა, ადგილ ტადრაალში XIV–XV სს-სა. თვით სოფელ ხუნძახის დიდი ქრისტიანული სასაფლაო (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, დასახ. ნაშრ., გვ. 6). ქრისტიანული წარსულის მრავალი ძეგლია ჩამოთვლილი ფ. ტახნაევას ნაშრომში, ისინი მთელი დაღესტნის მრავალ პუნქტს მოიცავენ, განსაკუთრებით ხუნძახის პლატოზე, გიდატლის და ანდალალას თემებში.

დაღესტნის ქრისტიანობის უმთავრესი მოწმობაა იქ არსებული ეკლესიების ნაშთები. ისინი ძირითადად X–XI სს. თარიღდებიან. მიუხედავად, რომ მათ სისტემატურად და მიზანმიმართულად ანადგურებდნენ XIX–XX სს-ში ახალი რელიგიის _ ისლამის მიმდევრები და შემდეგ ათეისტები, მათი ნაშთები მაინც საკმაოდ შემორჩა.

მთიან დაღესტანში, რომელსაც ძველ საქართველოში კახეთის მთიულეთი ერქვა, საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები აღმოჩენილია სოფლებში რუგაჯაში, ნაკაზუხში, ზაიბში და სხვაგან. ისლამის შესაბამისად გადაუკეთებიათ ეკლესიები სოფლებში – თადრაალში, ამიტლიში, არკასში და სხვაგან.

არქეოლოგებმა ავარიაში აღმოაჩინეს VII–XIV სს-ის რვა ეკლესიის ნაშთი. ფ. ტახნაევამ შეძლო ავარიაში 18 ეკლესიის არსებობის გამოკვლევა (იქვე, გვ. 8).

მათგან მთლიანი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი – დათუნას ეკლესია. (X–XI სს). ავარიის სოფ. ზემოჩირიურტში აღმოჩნდა 4 ეკლესიის ნაშთი (VI–VII საუკუნეებისა, მდ. სულაკის ხეობაში).

დაღესტნის ერთი ყველაზე მსხვილი ქალაქი VIII-XV სს-ში ყოფილა არკასი, მისი ნაქალაქარი 26 ჰექტარზეა განვრცობილი. მისმა ქრისტიანმა დამცველებმა თავდადებით იბრძოლეს მომხვდურ მუსულმანებთან თემურლენგის ეპოქაში. როგორც აღინიშნა, ქალაქის მეთაურებს ქართული ტიტულები – „თავადები და აზნაურები“ ჰქონდათ.

ფ. ტახნაევა აღნიშნავს, რომ „ქართული ფეოდალური ტიტულატურა ავარიაში ცნობილია XI საუკუნიდან – „ნუცალი“, „თავადო“, „აზნაურალ“ („არნახურალ“) საქართველოს პოლიტიკური გავლენისა და ქრისტიანობის XI–XIV სს-ში გაძლიერებისას“ (იქვე, გვ. 12).

ჩვენი ფიქრით, VIII-X სს-ში დაღესტნის მთიანეთში არანაკლებ იყო გავრცელებული ქრისტიანობა, კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთის სამეფოს სიძლიერის პერიოდში და უფრო ადრეც, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არაბებს ძალზე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მთიელი წანარები.

წანარების ერთერთი ბუდე სამურის ხეობაშიც უნდა ყოფილიყო, რაც კახეთის ქრისტიანობას აძლიერებდა. ტერმინი „ნუცალი“ ამ კავშირს ადასტურებს. კერძოდ, „ნუცალი“ უნდა იყოს სახეცვლილი ფორმა ტერმინ „ნაცვალისა“, ის ალბათ იყო კახეთის ქორეპისკოპოსის ან მეფის ნაცვლის სახელი კახეთის მთიულეთში, ანუ მთიან დაღესტანში, თუმცა მიიჩნევა, რომ ის მაჭის ერისთავის ნაცვალი იყო.

ქართული ქრისტიანობის განვრცობა დაღესტანში უნდა ვივარაუდოთ IV–VI საუკუნეებიდანვე, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისთანავე, რაც ქართველთა და დაღესტნელთა იმჟამინდელი ეთნოპოლიტიკური ერთიანობით იყო განპირობებული.

აღნიშნულ ნაქალაქარ არკასში სამზე მეტი ნაეკლესიარია აღმოჩენილი, რომელნიც მეჩეთებათ გადაუკეთებიათ, ისევე, როგორც დერბენდის ბაზილიკური ეკლესია.

ფ. ტახნაევას ვარაუდით არკასის ეკლესიები არსებობდნენ 1396 წლის თემურის ჯარის დარტყმებამდე.

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი ისტორიული წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით ხირკასის (არკასის) აღება გაუჭირდა თემურის ჯარებს. სოფლის ასაღებად მათ ერთი კვირა დასჭირდათ, მაგრამ ამ სოფლის ერთი კვარტლის ასაღებად, სადაც „ტავატიილები და არნახურალები“ (თავადები და აზნაურები) იყვნენ გამაგრებულები, ორი თვე დასჭირდათ.

მთელ დაღესტანში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ჯვრები, სხვადასვა ზომისა და ფორმისა, მართლაც VI–VII საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებდნენ ჯვრებს და მათ ყველგან მრავლად დგამდნენ.

2. წახური

წახური მდებარეობდა დაღესტანში, მოიცავდა მდინარე სამურის ზედა წელის ხეობას. ეს არის თანამედროვე რუტულის რაიონი, რომელიც ესაზ-ღვრება ზაქათალას, კახისა და ბელაქნის რაიონებს. ამჟამად წახურთა რიცხვი 25.000 კაცია, ხოლო წახური სოფელია დაღესტანში.

ძველად წახურის ოლქის ცენტრი ყოფილა წუქეთი.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ჩამოართვა კაკის რეგიონი ქურმუხთან ერთად და გადასცა წახურელ ლეკებს.

წახურელები კახეთის ამ ნაწილში გაბატონდნენ XVII საუკუნის მერე. წუქეთი და წახური სინონიმები ჩანან. ალ-ყაზვინის ცნობით „XIII ს-ის შემდეგ წახურში ყველანი მუსლიმები არიან“, ეს ასე, რომ არ ყოფილა აჩვენებს მაღალაშვილის ოთხთავის მინაწერი.

3. კაკელისენი

კაკელისენი ერქვა ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებს, მდინარე გიშის წყლამდე, როგორც ითქვა ეს რაიონები XVII საუკუნეში დაიპყრეს სპარსელებმა და იქ გააბატონეს წახურელი და ავარიელი ლეკები. ავარიელთა ლეკების ე.წ. „თავისუფალი თემები“ საინგილოში არის: ჭარ-ბელაქანი, კატეხი, მუხახი და ქინიხი. წახურელი ლეკების თავისუფალი თემები საინგილოში არის – წახური, ელისუ და ყარადუკულაკი. კახეთის ამ დაპყრობილ ნაწილს ერთ პერიოდში „წახური“ ანუ წუქეთი ეწოდა.

ძველი წუქეთი, როგორც ითქვა, XVII საუკუნემდე მოიცავდა დაღესტნის ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე საამურის სათავემდე.

XVII საუკუნის შემდეგ ყოფილი კახეთის ცენტრს ზაქათალას, ბელა-ქანისა და კახის რაიონებს ეწოდა **ახალი წუქეთი.** ის ფაქტიურად მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს. მაჭი ცნობილი არის VIII საუკუნიდან. XI საუკუნის შემდეგ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მაჭის წყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნზახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, შაკიხი, კასრი, ლაკუასტი.

მაჭის საერისთავო 1471 წელს გააუქმა კახეთის მეფე ლევანმა. როგორც ითქვა XVII საუკუნის შემდგომ იქ გაბატონდნენ წუქეთელი ლეკები და ამ

ტერიტორიასაც შესაბამისად მათი სატომო სახელი ეწოდა. საერთოდ კაკი _ ქალაქ კახს ერქვა.

I. კასრი

კასრი ყოფილა ქალაქი წუქეთისა. როგორც ჩანს, ის აუგია VIII საუკუნეში არჩილ მეფეს. „მაღალაშვილის ოთხთავის“ მინაწერში ჩამოთვლილ ეკლესიათა შორის იხსენიება კასრის წმ. სამების საყდარი – პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია მეფე არჩილთან (VIII ს.). **„მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა _ სახელით აბუხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“** (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243). შემდგომში მეფე არჩილმა წუქეთი და ქალაქი კასრი გადასცა სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონ პიტიახშებს, რომელნიც ვასალური სახით ეყმნენ არჩილს.

გ. მარჯანიშვილის კვლევით ქალაქი კასრი მდებარეობდა ქალაქ კახთან ახლოს, დასავლეთით, მდინარე კობალას მახლობლად (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 32). ჩვენ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც ჩანს ქალაქი კასრი მდებარეობდა მდინარე სამურის სათავესთან ახლოს. მაგრამ სხვა პუნქტი კასრი ქალაქ კახთანაც მდებარეობდა. ჩანს სწორედ ეს უკანასკნელი მოუხილავს პატრიარქ ექვთიმეს, რადგანაც ოთხთავის მინაწერში ნახსენები კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია კაკელისენში მდებარეობდა. გ. მარჯანიშვილის აზრით, როგორც ითქვა ის მდებარეობდა ქალაქ კასრის დასავლეთ მხარეს. ეკლესიასთან ახლოს ყოფილა ქვით ნაგები და შიგნიდან გალესილი ძველისძველი დიდი ცისტერნა, საზედაშე ქვევრი, მისი სიგრძე და სიმაღლე ყოფილა 2 მეტრი. შესაძლოა ამ ცისტერნას უწოდებდნენ კასრს და მისი სახელი დაერქვა ეკლესიასაც.

კასრის ეკლესია იყო ყოვლადწმინდა სამებისა.

II. ყუმი

ყუმის ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს კახის რაიონში. ითვლება რომ ყუმის ეკლესია VI საუკუნისაა, ყუმი მდებარეობს კახის რაიონის სოფელ ლეკითთან, იგივე ლექართთან ახლოს, მის გვერდით. აქ დღესაც დგას ეკლესიის ნანგრევი, შვერილაფსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა. გ. მარჯანიშვილის კვლევით ეს ის VIII საუკუნის ეკლესიაა (და არა VI საუკუნისა).

III. ლექართი

ლექართის წმიდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. სოფელ ლექართს ახლა ლეკითი ეწოდება. სოფელთან ჩრდილოეთ მხარეს მდება-

რეობს მონასტრის ნანგრევები, ხოლო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ეკლესიის, აბანოსა და ქარვასლისაგან შედგენილი კომპლექსი. ლეკითის ტეტრაკონქის სტილით ნაგები ეკლესია ბანას ტიპის მრგვალი ტაძარი ყოფილა VIII–IX საუკუნეებისა, ე.ი. არჩილ მეფის დროინდელი. აღნიშნული ლეკითის მონასტერსაც ასევე ჰქონია მრგვალი ეკლესია, მათ შორის ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზი (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 28). ყველა ჩამოთვლილი ეკლესია – „ქართული ძეგლების ფართო წრეს განეკუთვნება“ (იქვე, გვ. 29). წმინდა ნინოს სახელზე ნაგები ეკლესიის დასახელება მიუთითებს, რომ ამ მხარეებში უქადაგნია ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს.

IV. ზარი

ზარის წმ. გიორგის ეკლესია – მდებარეობს ზაქათალას რაიონში ს. ზარნას (ძვ. ზარი) მთის წვერზე, მრგვალი ნაგებობაა, ასეთივე სახელი აქვს შექის რაიონის სოფელ ორთაზეიზითის, ძველი ზედგზითის ეკლესიას, რომელიც მოხატული ყოფილა ქართულ წარწერებიანი ფრესკებით. „გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ გაირჩეოდა მთავრული (ასომთავრული) ასოები „ვხ“ და „მხტოლ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 36).

ამ სოფელს ს. კარაპეტიანი ზაიზიტს უწოდებს, მდებარეობდა ქ. შაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8–9 კმ დაშორებით (ამჟამინდელი ორთა ზაიზიტი აზერბაიჯანის შექის რაიონში). ამჟამადაც ამ ეკლესიას წმ. გიორგის უწოდებენ. მის მოსახლეობას ს. კარაპეტიანი და მისი წინამორბედები „გამუსულმანებულ სომხებს“ უწოდებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ მთელი ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც გამუსულმანდნენ (ს. კარაპეტიანი, საკუთრივ ალბანეთის რეგიონები შაქსა და კაპალაკში“ „Кавказ и Византия“, ტ. 6, გვ. 231). ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც აქ სომხები ძირითადად პასკევიჩმა გადმოასახლა XIX ს-ში ყარაბაღიდან, რის შემდეგაც მათ ადგილობრივი ქართული ეკლესიები აითვისეს, რადგანაც გამუსულმანებულ მკვიდრ მოსახლეობას (ყოფილ ქართველებს) ეს ეკლესიები უპატრონოდ ჰქონდათ დატოვებული. ნ. კარაპეტიანის ზაიზიტის ეკლესიისა და გ. მარჯანიშვილის ზედგზითის ეკლესიების გეგმები იდენტურია. ზარის წმ. გიორგის ეკლესია კი, როგორც ითქვა, ზაქათალას რაიონში მდებარეობდა.

V. ვარდიანი

სოფელ ვარდიანში მდგარა წმ. აბოს ეკლესია. „ვარდ“ ფუძე-ძირით ძველი, ისტორიული კახეთის ამ რეგიონში მრავალი პუნქტი მოიხსენიება, მათ შორის ვარდაშენი (ვართაშენი) და მის სამხრეთით ამჟამინდელი „ვარდანლი“. მის მახლობლად გადიოდა გზები, რომელნიც ერთმანეთში აკავშირებდა შემახას განჯასთან, ასევე კაპალაკსა და შექს დერბენდ-ჩოლთან, საბოლოოდ ყველა ეს გზა თბილის-მცხეთას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაღალაშვილის სახარების მინაწერში არ იხსენიება სიტყვა „ჰერეთი“, თუმცა კი ამჟამად კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს მინაწერი ჰერეთის ეკლესიებს შეეხება. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჰერეთი მდებარეობდა არა აქ, არამედ ჩამოთვლილი ეკლესიების აღმოსავლეთით

კაპალაკსა (ყაბალასა) და მტკვარ-არაქსის შესართავს შორის. ეს იყო ალბანეთის ნაწილი. ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შექიდან გურჯაან-ბოდბის ჩათვლით. ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში კახეთი ეწოდება, ხაზგასმითაა აღსანიშნავი რომ ამ წყაროში (მაღალაშვილის სახარების მინაწერში) ის კახეთად მოიხსენიება და არა ჰერეთად. ჩამოთვლილი ეკლესიების სახელებიც მიუთითებს, რომ მათ არაფერი აკავშირებდათ ალბანეთის ეკლესიასთან. მათი სახელები – **წმიდა ნინო, წმიდა არჩილი, წმიდა აბო, წმიდა გიორგი** მიუთითებს, რომ ისინი ქართული სამყაროს ეკლესიებია, ქართველ განმანათლებელთა, წმინდანთა და მეფეთა სახელობისა და არა ალბანელებისა. თუმცა ს. კარაპეტიანი აყალბებს რა მაღალაშვილის მინაწერს, არწმუნებს მკითხველს, თითქოსდა ეს ეკლესიები ალბანელთა განმანათლებელ ელიშესთან იყო დაკავშირებული. მაღალაშვილის მინაწერში კი, როგორც ითქვა, არ იხსენება არც სიტყვა „ჰერეთი“ და არც სიტყვა „ელიშე“.

ს. კარაპეტიანი იმასაც კი წერს, თითქოსდა ამ მინაწერში „წმიდა ელიშეს 12 მოწაფე იხსენიება“, მაშინ როცა მინაწერში იხსენიება არა I საუკუნის წმინდანის, არამედ XIV საუკუნის მღვდლის იასე ქიტიაშვილის სახელი, რომელსაც ქალაქ კაკში ჰყოლია 12 მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ სახარების წიგნები ჩამოთვლილ ეკლესიებში დასარიგებლად.

ს. კარაპეტიანი უხეშად, განუკითხავად აყალბებს წყაროებს.

ასეთი გაყალბება კი, ამ მინაწერის სიტყვებით, ძველადაც ერთ-ერთი ჩვეულება ყოფილა ს. კარაპეტიანის წინამორბედებისა. მასში ნათქვამია – **„ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან, ვინმე სომეხმან გა(რყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“.**

ალვანია – აღნიშნული ეკლესიების რეგიონის უშუალო მეზობლად, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლაც საჭიროდ იყო ცნობილი.

ვარდიანში ყოფილა წმიდა აბოს ეკლესია.

წმიდა აბო – ქართული ეკლესიის წმინდანი იყო, რომელსაც იცნობდა მთელი ქართული სამყარო VIII ს-სა ანუ წმ. არჩილის ეპოქისა, ეს ეკლესიაც არჩილს უნდა დაუკავშირდეს.

VI. განუხი

განუხის წმ. არჩილის ეკლესია უნდა მდებარეობდეს შაქსა და ვართაშენს შორის. პუნქტი ღანუხი ქურმუხთან ახლოსაა შაქის მხარეს.

მისი ეკლესიის სახელიდან (წმ. არჩილი) ჩანს, რომ ის კახეთში წმ. არჩილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და არა ალბანეთის ეკლესიასთან.

ცნობილია, რომ წმ. არჩილი თავის საბრძანებელში გადავიდა კახეთში არაბთა მპყრობელობისას და იქ მრავალი ქალაქი და ეკლესია ააშენა. მათ შორის ჩანს განუხის ეკლესიაც.

VII. ქიშ-ნუხი

ქიშნუხშია ღვთისმშობლის ეკლესია. კიში – იგივე ქიში, ნაჩვენებია შაქთან ახლოს მდინარე ქიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. იქ მდებარე ეკლესიას მიიჩნევენ „გიშის საეპისკოპოსოდ“.

გიშის ეკლესია, შაქის მახლობლად – მცირე ნაგებობაა, XI ს-ში განუახლებიათ. გ. ჩუბინიშვილი **წერდა: „შეუძლებელია მისი მიჩნევა უკვე VI ს-ში არსებულ საეპისკოპოსო კათედრად. საფიქრებელია, რომ გიშის კათედრა X–XII სს-ში გადატანილი იქნა იქვე 5 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ნუხაში. ეკლესია ხელმეორედ გამოყენებული იქნა პასკევიჩის ბრძანებით XIX ს. 50–60-იან წლებში გადმოსახლებული სომხების მიერ“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 26).

საერთოდ, სხვაა ქართული წყაროების გიშის საეპისკოპოსო და სხვაა სომხურ-ალბანური გისის საეპისკოპოსო. გისის ცნობილი საეპისკოპოსოს მდებარეობა ივარაუდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გარდმან, შაკაშენ, უტის რეგიონში, კერძოდ კი პარტავთან ახლოს, მის ჩრდილოეთით (იხ. ბ. არუთინიანის სომხეთის რუკა), ხოლო ქართული გიშის საეპისკოპოსო სულ სხვა რეგიონში – შექთან მდებარეობდა.

შაკიხი ერქვა შექსა და მის რაიონს. სომხური წყაროების „გარდმანი“ (გარდაბანი) და ქართული შაკიხი – ერთმანეთის მეზობლები იყვნენ. ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. **ეს საინტერესოა ჩელეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.**

კახეთის ქალაქი ჩელეთი უნდა ვეძიოთ შექის რაიონში, რადგანაც მის მშენებლობაში გარდაბნელები მონაწილეობდნენ.

მართლაც, სოფელი „ჩალეთი“ ს. კარაპეტიანის რუკაზე მდებარეობს ვართაშენ-ვარდაშენთან ახლოს, მის დასავლეთით. ამ ჩალეთის გასწვრივ _ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული გარდმანის პროვინცია მდებარეობს.

ქართლის ცხოვრება წერს – **„კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა ციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოსს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველშენებელსა კახეთისასა“** (ქ.ც., ტ. I, გვ. 9).

ჩელეთის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალის დროს იხსენიება ხორნაბუჯსა და აგარაკს შორის, **ეს აგარაკი მდებარეობდა „ხუნანის გამართებით** (იქვე, გვ. 199).

ამ განლაგებიდან ჩანს, რომ **ჩელეთის საეპისკოპოსო მდებარეობდა ხორნაბუჯ-ხუნანის რეგიონში,** ანუ იქ სადაც ჩვენ ვვარაუდობთ ქალაქ ჩელეთის მდებარეობას, შაქსა და ვართაშენს შორის, როგორც აღვნიშნეთ აქ მართლაც მდებარეობს პუნქტი ჩალეთი თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (ს. კარაპეტიანი, 2005, რუკა, გვ. 252).

ამ რეგიონში უნდა ყოფილიყო ტყეტბა – საზღვარი ჰერეთთან, კერძოდ კაბალა-ყაბალსა და ვართაშენს შორის, აქ გამავალ მთას „გურჯი დაღის“ იქაურები საქართველოს საზღვრად მიიჩნევ-დნენ.

ამ მთის დასავლეთით ზაქათალა, კახისა და ბელაქანის რაიონებში ისტორიულად მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს დედაქალაქები ბაზარქალაქ-ზაგემი და სხვა სამეფო რეზიდენციები, აქ იყო კახეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყლი, სხვა ტერიტორიები კახეთისა – ძირითადად ნაკლებდასახლებული იყო.

ჩვენი კვლევით „კახეთის მთას“ უწოდებდნენ გომბორის ქედს. ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

მიწები არაგვიდან გულგულა-ტყეტბამდე ანუ კაბალა-ხილხალამდე – კახეთს ეკუთვნოდა. მართლაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ხილხალა – საქართველო-ალბანეთის საზღვრად მიიჩნეოდა.

ყაბალაზე გადიოდა ჩორსა და განძა-ალბანეთს დაკავშირებული გზა. ამ გზით შემოდიოდნენ ჩორ-დერბენდიდან ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად ჩრდილოკავკასიელები.

როგორც ითქვა, ეს რეგიონი, ანუ ზაქათალა-კახი-ბელაქანის მომცველი მიწა-წყალი სპარსეთმა მიიტაცა – სადაც მისი ქართველი მოსახლეობა ძირითადად ასიმილირდა ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებულ ლეკებში, რომელთაც სამართავად გადაეცათ კიდევაც ეს ტერიტორიები.

ბელაქნის რაიონში განსაკუთრებულად, და საერთოდ საინგილოში, ბევრი ლეკი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობას, მაგალითად, გალაჯოევების წინაპრები ვაჩნაძეები ყოფილან, ნასტაგალოვებისა – ერისთავები. ბევრ ლეკს სცოდნია, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, და ცოდნიათ კიდეც თავიანთი ქართული გვარები.

ქიშ-ნუხამდე ანუ გიშისწყლამდე მიწა-წყალი კახეთად ითვლებოდა. გიშის ტაძარი, როგორც აღინიშნა ქ. ნუსხალის (შექის) ჩრდილოეთით 6 კმ მოშორებით მდებარეობდა. გიშის საეპისკოპოსო _ ვახტანგ გორგასლის დაარსებულად ითვლება. **ისტორიულად გიში ასამ და ასათ გრიგოლისძეებს ეკუთვნოდათ.**

ასათ გრიგოლისძეს საღირ კოლონკელისძისგან მძლავრობით მიუტაცნია ჰერეთის ერისთავობა და ასევე მას მიუტაცნია არიშიანისაგან ადგილი საქართველოს სახელმწიფო დარბაზში (პარლამენტში), კერძოდ ის „დაჯდა სასთაულით“ არიშიანის ადგილზე დარბაზობის დროს.

ასათ გრიგოლისძემ ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს.

ოქროს ხანის პერიოდში ასათ გრიგოლის ძის მოწოდებით ანუ „წვევით“ საქართველოს ჯარმა დალაშქრა ქვეყანა **„განძას ქვემოთ ბელაყნამდის, რახსის პირი მასისამდე“** (ქ.ც., II, გვ. 40).

`განძის პირის“ ქვეყანა – ჰერეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე, მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჰერეთში შედიოდა არეში ანუ არიში. ყვარყვარე ათაბაგმა 500 კაცით ილაშქრა არეშში. იქაური ვაჭრის დასასჯელად, მან გაიარა ფარავნის ტბა, დმანისი, **ხუნანი, „განვიდა მტკვარს და მივიდა არეშს“.**

ხუნანიდან გზა მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და თანამედროვე მინგეჩაურის ტბის ოდნავ ქვემოთ კვეთდა მტკვარს. ამ მხარეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყოფილა არეში.

მაშასადამე, ქართველთა წინაპრების ქართლოსისა და კახოსის დროიდან ეს მიწა-წყალი ქართულ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა, ხოლო შემდგომ, ვახტანგ გორგასლის, წმ. არჩილ მეფის თუ ათაბაგების ეპოქაში ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში, ამას მიუთითებს გიშის ქართული საეპისკოპოსოს, ქიშნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ვარდიანის წმიდა აბოს და განუხის წმიდა არჩილ მეფის ქართული ეკლესიების არსებობა.

ამ მხარეში, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა კახეთის ძველი ქალაქი ჩელეთი (და არა ერწო-თიანეთში, ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა).

ქართლის ცხოვრებით ჩელეთი – მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა, მართლაც ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდეა შემორჩენილი შაქის რაიონის სოფელ ჩელეთში, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ჯალეთს“ უწოდებს. კერძოდ, აქ შემორჩენილია დიდი სასახლის ნანგრევები, მისი სიგრძე 16–17 მეტრია. აქვეა ჩელეთის ანუ ჩალეთის, ჯალეთის ეკლესია.

VIII. ვართაშენი

ვართაშენის ეკლესია – წმ. ელიას სახელობისა.

სოფელი ვართაშენი მდებარეობს შაქის აღმოსავლეთით, ყაბალა, კაპალაკის მარცხნივ. XVIII ს-ში ვართაშენში მცხოვრები უდები თავიანთ თავს უწოდებდნენ ასე – **„ვართ ალბანელები და ეროვნებით უტიელები“** (გ. მარჯანიშვილი, გვ. 51).

არცახი და უტი ერქვა არმენიზებულ ალბანურ პროვინციებს ვართაშენის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. არცახელებმა და უტიელებმა შეძლეს გმირულად შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა ალბანეთის ისლამიზაციის საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ უტიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ უტის რეგიონი და თავი, მახლობლად, ჯერ კიდევ ძლიერ საქართველოში ვართაშენისათვის შეეფარებინათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის დროს უტიელები თავდაცვის მიზნით გადასახლდნენ ისტორიული ალბანეთიდან ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქვეყნიდან, იქვე მახლობლად – მარცხენა სანაპიროზე – ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უტი ერქვა ალბანურ პროვინციას სწორედ ვართაშენის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამ პროვინციას ასევე ერქვა მეორე სახლი „არანძაკი“ (არანის ქვეყანა) – მის ხალხს უტიელები ერქვა პროვინციის სახელის მიხედვით.

სოფელ ვართაშენში, რომელიც ახლა ქალაქი და რაიონული ცენტრია რამდენიმე ეკლესია არის.

ვართაშენი იხსენიება 1310 წლის განსახილველ დოკუმენტში.

XIX საუკუნეში სოფელში ყოფილა სამასი კომლი მოსახლე. მათ შორის ასი კომლი ყოფილა ქართველი მართლმადიდებლების ოჯახი და მათ გარდა უტიელებიც (უდინები).

ეს აღწერა იმით არის საინტერესო, რომ ს. კარაპეტიანის სიტყვით, ის ჩაუტარებია თვით სომეხ სამღვდელოებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სომეხი სამღვდელოება კი ტენდენციურად იყო განწყობილი, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ყოველი ხერხით ცდილობდნენ დოკუმენტებში გაეზარდათ მოსახლეობაში სომეხთა ანუ მონოფიზიტთა რიცხობრივი რაოდენობა.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, **მათი აღწერით სოფელ ვართაშენის მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველი მართლმადიდებელი ყოფილა.** არა ზოგადად მართლმადიდებლების რიცხვი ყოფილა ასეთი, არამედ ეთნიკური ქართველებისა.

ამ სოფელში ასევე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული უდინები (უტიელები), სომხები, ებრაელები და სუნიტი მუსულმანები.

1890 წლისათვის მოსახლეობის წილობრივ რაოდენობაში ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი შემცირებულა. კერძოდ, ამ წელს ვართაშენში მოსახლეობდა 680 ოჯახი (კომლი). მათგან 450 ყოფილა მონოფიზიტური აღმსარებლობისა (მონოფიზიტთა შორის ჩამოთვლილები არიან ეთნიკური სომხები და ეთნიკური უდინები), **150 ყოფილა მართლმადიდებლური ქართული ოჯახი,** 200 ებრაული და 30 მუსულმანური. სომეხთა და მონოფიზიტ უდინთა საერთო რაოდენობა ყოფილა 1463 კაცი. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახი შედგებოდა 3–4 კაცისაგან, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ **ვართაშენის 150 ქართული ოჯახი შედგებოდა 450-600 კაცისაგან.**

კიდევ ერთი აღწერა ჩაუტარებიათ 1913 წელს და ამ დროს ვართაშენში ცხოვრობდა 2914 კაცი (ს. კარაპეტიანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, წიგნში „Кавказ и Византия“, #6, 1988, გვ. 246).

ამ აღწერათა შემდგომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტი საინგილოსათვის, გასაბჭოება, საინგილოს დაუფლება აზერბაიჯანის მიერ. ქართველთა მიზანმიმართული დევნა ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვართაშენის ქართველობა იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო საქართველოში კერძოდ, კახეთში. საქართველოში დასახლების შემდგომ ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და აღწერებშიც ქართველებად ეწერებოდნენ. მაგრამ მათ ეთნიკურ ვინაობაში ეჭვი შეიტანეს თბილისის სამეცნიერო წრეებმა. ქართიზაციის თეორიის გავლენით ისინი აცხადებდნენ რომ კახეთში ჩასახლებული ვართაშენელები იყვნენ არა ეთნიკური ქართველები, არამედ უდინები, რადგანაც ვერ წარმოედგინათ აზერბაიჯანის შორეულ სოფელში ქართული მოსახლეობის ცხოვრება. თბილისელი მეცნიერები მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობდნენ კახელ ვართაშენელებთან, უმტკიცებდნენ მათ, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ ეთნიკური ალბანელების ბოლო, გადარჩენილი მცირე რაოდენობა, უდინები. მოუწო-

დებდნენ შეესწავლათ და აღედგინათ თავიანთ მეტყველებაში უდინური ენა. ეს მაშინ როცა XIX საუკუნის სომხური აღწერებითაც კი აზერბაიჯანის ვართაშენში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ქართულ და უდინურ ოჯახებში და მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობა.

ვართაშენში ქართველებს თავიანთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ და ასევე იქვე ყოფილა მონოფიზიტური ეკლესიაც, ხოლო ვართაშენის გარეუბნებსა და სასაფლაოებზე სხვა ეკლესიებიც მდგარან. ქართული 1310 წლის საბუთის მიხედვით ვართაშენში მდგარა წმინდა ილია წინასწარმეტყველის („ელიას“) სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პასკევიჩის შემდგომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ ყარაბახელ სომხებს თავისებურად, მონოფიზიტურად გადაუკეთებიათ და მისთვის უწოდებიათ ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშეს სახელი. შეუთხზიათ ლეგენდაც, რომ თითქოს იქ არის დაკრძალული ამ მოციქულის ორი მოწაფე, რომელზეც აღმართული არის სამლოცველო. ამ ლეგენდას ს. კარაპეტიანი ამატებს კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც შეიძლება ითქვას არის სრული უზუსტობა და არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა მოციქულ ელიშეს მოწაფეთა საფლავებზე აღმართული სამლოცველოები მოხსენიებულია 1310 წლის ჩვენს მიერ განსა-ხილველ ქართულ დოკუმენტში. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ნახსენებია ვართაშენის წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია და მასში საერთოდ არ იხსენიება არც მოციქული ელიშე და არც მისი მოწაფეები. ჩვენი თვალსაზრისით ვართაშენში შესაძლოა არც იყო ძველი სომხური ეკლესიები, რადგანაც ს. კარაპეტიანის მიერ გამოქვეყნებული სომხური წარწერები XIX საუკუნეს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ვართაშენის რაიონშია სოფელი **ჩალეთი (ჭალეთი)** ანუ ჩელეთი, ჩანს უძველესი კახური ქალაქი. მას ჯალეთსაც უწოდებენ.

ამ მიდამოებში, გ. მარჯანიშვილის სიტყვით, „ძველი შაქისა და ხაჩმაზის გამყოფ ქედზე, საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი – **„გიურჯი დაღი“ (ქართველთა მთა) არის დაფიქსირებული. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

როგორც აღინიშნა სოფელ ჩელეთ-ჭალეთში არსებობს სასახლის ნაშთი, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ტიპიური კახური სასახლეების მსგავსს“ უწო-დებს.

ასევე აღინიშნა, რომ სოფელ ნიჯისა და ვართაშენის მცხოვრებ უდებს პეტრე I-ისათვის, XVIII ს-ში გაუგზავნიათ წერილი. უდების თქმით ისინი **„ალბანელები და ეროვნებით უტიელები“** არიან. ამ განსაზღვრებაში, ალბანელებისა და უდების ცნება არ ფარავს ერთმანეთს“ (იქვე, გვ, 51).

მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რეგიონს სომხურად „უტი“ და ასევე „არანძაკი“ ერქვა (იხ. არუტუნიანის რუკა).

ძველი „უტიკის“ ანუ უტის პროვინციაში მდებარეობდა ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდა)– „უტიდან ვართაშენში გადასახლებულ უტიელებს XVIII ს-ში ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკური ვინაობა,

ისინი იყვნენ ძველი ალბანეთიდან, ამავე დროს კი იყვნენ უტიელები, ანუ ძველი უტიკის მცხოვრები, ტომობრივად უტები ანუ უდები.

XV–XVI საუკუნეებში, ძველ რეგიონში, როცა ქრისტიანთათვის იქ ცხოვრება გაძნელდა, როგორც ითქვა, მათ თავი შეაფარეს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოში შემავალ შაქი-ვართაშენის რეგიონს, რომელიც მართალია უკვე იწყებდა გამაჰმადიანებასა და სეპარატიზმის გზას ადგა, მაგრამ ვართაშენსა და მის შემოგარენში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქრისტიანთათვის.

ვართაშენში, უტიელებს ცხადია დახვდათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და ეკლესია. აქვე, ჩანს ეთნიკური სომხური მოსახლეობაც გაჩნდა. ამის შედეგად ვართაშენში აღმოჩნდა ქართული, უტიური, სომხური, ებრაული და მაჰმადიანური მოსახლეობა.

XVIII ს-ში, როგორც პეტრე I-სადმი მიმართვიდან ჩანს, ამ უდინებს (უდებს) კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი ალბანელები და ამავე დროს უტები იყვნენ.

შემდეგში, ვართაშენის ქართულ მოსახლეობას უფრო და უფრო გაუჭირდა ამ რეგიონში ცხოვრება, რადგანაც შაქში მაჰმადიანური ხელისუფლება გაძლიერდა, კახეთის დიდი ნაწილი კი შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა, ამავე დროს სპარსელთა ნებით შეიქმნა კაკელისენის განდგომილი რეგიონი, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა ლეკური მმართველობის ქვეშ. ამ რეგიონის ქართველები შესაბამისად ლეკდებოდნენ და მაჰმადიანდებოდნენ.

ამგვარ პირობებში მით უმეტეს გაუჭირდებოდა ვართაშენის ქართველებს, ისინი ჩანს ასიმილირდნენ უტიელებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში. თუმცა, მაინც, XIX ს-ში მათი რაოდენობა 600 ყოფილა, ისინი XX ს-ში ზინობიანში გადასახლდნენ და უკვე ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ თვითშემეცნება, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ და ამიტომაც მისკენ ისწრაფოდნენ საბოლოოდ დასაფუძნებლად.

ქართიზაციის თეორია საინგილოს შესახებ

როგორც აღინიშნა, განუხში ანუ ღანუხში მდებარეობდა წმიდა არჩილის ეკლესია და ნახსენებია 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში, დასახელებულია ვარდიანის წმ. აბოსა და ქიშნუხის ღვთისმშობლის ეკლესიათა შორის. მაშასადამე ის ახლოს ყოფილა ქიშნუხთან და ვართაშენთან. მისი ადგილმდებარეობა ამჟამად ერთმნიშვნელოვნად ცნობილი არ არის. ს. ერემიანი მას ალბანური ოლქის ხენის სახელს უდარებს და ათავსებს ზაქათალას რაიონში.

ქართველი მკვლევარები, როგორც გ. მარჯანიშვილის წიგნიდან ჩანს, მიიჩნევენ რომ ჩვენს განსახილველ რეგიონში (ანუ მდინარე ალაზნის ქვემო

წელზე და საინგილოში) ქართველობა არ იყო მკვიდრი მოსახლეობა და იქ ქართველები მოხვდნენ მიგრაციის პროცესის შედეგად. გ. მარჯანიშვილი ამის შესახებ წერს – **„პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50).

გ. მარჯანიშვილი ისე, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეპოქის მკვლევარი, ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს არაქართულ ქვეყანად მიიჩნევს, რომლის ქართიზაცია ანუ როგორც გ. მარჯანიშვილი უწოდებს – **„გაქართლება“** – VIII საუკუნისათვის დასრულდა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან ძველ ქართულ წყაროებს რომელთათვისაც ქართველობა იყო ერთიანი ეთნოსი, ერთიანი ხალხი, რომლითაც დასახლებული იყო ჩვენი რეგიონი.

ამავე თვალსაზრისს ავითარებს V საუკუნეში მოვსეს ხორენაცი. კერძოდ, ის თავის ცნობილ სომხეთის ისტორიაში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე და ამ რეგიონის მოსახლეობა ანუ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი თავისი ტკბილი და ადვილად გასაგები ენით მოაქცია.

ხორენაცი წერს – **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთ-ხეებიც დაემოძღვრა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

მოვსეს ხორენაცი, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს იყენებდა ქართულ წყაროებს და ცხოვრობდა თითქმის წმ. ნინოს ეპოქაში არსად აღნიშნავს, რომ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი იყო მრავალეთნიკური, პირიქით ხორენაცი წმ. ნინოს ერთმნიშვნელოვნად უწოდებს ქართველთა განმანათლებელს. მისი სიტყვით კლარჯეთიდან მასქუთებამდე ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო, სადაც წმ. ნინომ იქადაგა.

როგორც ცნობილია, IV საუკუნისათვის მასქუთები ან მასაგატები ცხოვრობდნენ მტკვარ-არაქსის შესართავიდან ჩორ-დერბენტამდე. აქედან მოვსეს ხორენაცის მიერ წმ. ნინოს მიერ მოქცეული მასქუთებამდე მცხოვრები ქართველობის საცხოვრებელი არეალი მოიაზრებოდა მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ამ არეალში თავსდება ისტორიული ჰერეთი. შესაბამისად, ჰერეთი ქართველებით ყოფილა დასახლებული, რომელთაც ესმოდათ ქართველთა განმანათლებლის ენა. აქედან გამომდინარე არასწორია ქართიზაციის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ჰერეთის მხარე VIII საუკუნისათვის „გაქართველდა“ (**„VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50). ქართიზციის ეს თეორია გამეორება და გაღრმავებაა XIX ს. სომხური საისტორიო შეხედულებებისა, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბრუნვაში შეიყვანეს პროფესორმა ქ. პატკანოვმა და აკადემიკოსმა ნ. მარმა.

მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით აქვე, სოფელ ლექარ-თში, მდებარეობდა წმ. ნინოს ეკლესია. ამ ეკლესიის სახელი უნდა წარ-მოადგენდეს მის არეალში წმ. ნინოს მოღვაწეობის ანარეკლს, ანუ ამ ეკლესიის სახელი – წმ. ნინოს – არაა შემთხვევითი და ეთანადება მოვსეს ხორენაცის ცნობას. აქ წმ. ნინოს ქადაგების შესახებ. შესაბამისად, იქ მდებარე სოფლის – **ღანუხის სახელწოდებაში** ჩვენ არ უნდა ვეძიოთ ალბანური კვალი. მისი სახელი ისევეა ნაწარმოები როგორც სხვა მრავალი პუნქტის სახელი საქარ-თველოში, გ. მარჯანიშვილი სოფელ ღანუხის სახელს უკავშირებს ალბანეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ტომის ხენუკების სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული. ეს მიუთითებს, რომ ამ რეგიონში უღვაწია წმ. არჩილ მეფეს VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დროს, მართლაც, ეს დასტურდება ქართული წყა-როებით, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კახეთის ამ რეგიონში მრავალი ციხე-სიმაგრე ქალაქი და ეკლესია ააგო წმ. არჩილ მეფემ. საზოგადოდ კი, როგორც აღინიშნა, 1310 წლისათვის ამ რეგიონის მრავალი ეკლესია ატარებდა ქართულ სახელს – **წმ. ნინო, წმ. არჩილი, წმ. აბო, მათ ემატება წმ. გიორგის, ყოვ-ლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.**

როგორც ითქვა, გვიან პერიოდში უფრო მეტად XVIII საუკუნეში პასკევიჩის შემდეგ ყარაბაღიდან ჩამოსახლებულ სომხებს ხელში ჩაუგდიათ უკვე გაუკაცრიელებული ძველქართული ეკლესიები და დაურქმევიათ მათთ-ვის ახალი სახელები – წმ. რიფსიმე, წმ. ელიშე და სხვა მსგავსი, თუმცა შეუცვ-ლელად დაუტოვებიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიათა სახელები. როგორც ცნობილია სომხურ ეკლესიებს ნაკლებად არქმევდნენ ასეთ სახელებს. ისინი უფრო მეტად არქმევდნენ წმ. გრიგოლს, წმ. გაიანეს, წმ. რიფსიმეს, ასტვაცაცინ, სტეფანოსი და სხვა მსგავსი.

ქართველი მკვლევარები, როცა ისინი ისტორიულ კახეთს ჰერეთად მიიჩნევენ, ვფიქრობ შეცდომას უშვებენ იმის გამო, რომ უმართებულოდ საზღვრავენ პუნქტ ტყე-ტბა-გულგულას ადგილმდებარეობას.

ქართლის ცხოვრების თანახმად პუნქტი გულგულა მდებარეობდა კახეთისა და ჰერეთის საზღვარზე.

ივანე ჯავახიშვილის კვლევებით უკვე ლეონტი მროველს აღარ სცოდ-ნია მისი (გულგულას) ზუსტი ადგილმდებარეობა, მითუმეტეს ის არ უნდა სცოდნოდა ვახუშტის. ამიტომაც ის მხოლოდ ვარაუდობდა, რომ გულგულა ეწოდებოდა თელავის ჩრდილოეთით მდებარე სოფელს. გულგულას მეორე სახელიც ერქვა „ტყეტბა“. ეს სახელი (ტყეტბა) ჩანს ქართულ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული იყო. მაგალითად ამჟამადაც კი ტყეტბა ეწოდება მდინარე ძუსას ხეობაში საზანო – ზესტაფონის, მეორე, შემოვლით, არამთავარ გზაზე მდებარე ერთ-ერთ ადგილს. ასეთი ტყეტბიანი ადგილი მრავალი უნდა ყოფილიყო მცენარეულობითა და მწვანე საფარით სახელგანთქმულ კახის, ზაქათალასა და ბელექნის რაიონებში.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით საზღვარი ალბანეთსა და საქართველოს შორის გადიოდა სოფელ ხილხალაზე, ჩორისა და ალბანეთის დამაკავში-

რებელ გზაზე. ეს გზა გადიოდა ქ. ყაბალასთან. ვართაშენ ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელ ამ გზაზე მდებარეობს ამავე ეტიმოლოგიის პუნქტი **ფილფილა.**

სახელები ფილფილა, ხილხილა და გულგულა, როგორც აღინიშნა მსგავსი ეტიმოლოგიისაა და რადგანაც, ამჟამადაც კი აქ, ფილფილასთან მდებარე ქედს **„გურჯი-დაღს“** მიიჩნევენ ძველი საქართველოს საზღვრად, და ხალხური მეხსიერება ხაზგასმით მიუთითებს აქ ძველი საქართველოს საზღვრის არსებობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტყე-ტბა-გულგულა ერქვა თანამედროვე სოფელ **ფილფილას**. ეს სოფელი მართლაც ტყეებსა და მდინარეთა ჩანჩქერებშია ჩაფლული და მისი მომცველი რაიონი მთელ აზერბაიჯანში საუკეთესო საკურორტო ზონად ითვლება.

როგორც აღინიშნა, ეტიმოლოგიურად ფილფილა და გულგულა ერთმანეთის მსგავსია, ამიტომაც ძველი ქართული წყაროების ანალიზიდანაც ჩანს, რომ სასაზღვრო პუნქტი გულგულა უნდა იყოს იგივე ფილფალა, ანუ ვართაშენის რეგიონში უნდა ყოფილიყო ისტორიული პუნქტი გულგულა _ საზღვარი კახეთსა და ჰერეთ-ალბანეთს შორის.

ჰერეთი ჩვენი კვლევით ერქვა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ალაზან-იორის შესართავიდან და ფილფილა-გულგულადან მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ხოლო საკუთრივ ალბანეთი ერქვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას, განძა-უტიკ-არცახის რეგიონს მტკვარ-არაქსის შესართავამდე და იმის იქით კასპიის ზღვამდე ბასკანის ჩათვლით.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე ხილხალა, ვართაშენ-შაქის რეგიონში მდებარეობს, თუმცა ცნობილი არის მეორე საქართველოს ალბანეთის საზღვარზე მდებარე პუნქტი, თითქმის ამავე სახელისა: „ხილხილა“. მაგრამ ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, ხოლო ჩვენი ხილხალა იგივე თანამედროვე **ფილფილაა**, ესაა ძველი გულგულა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, იქამდე აღწევდა უძველესი ისტორიული კახეთი.

აქვე, ვართაშენ-ფილფილა-გულგულასთან ახლოს, მათ დასავლეთით, უნდა ყოფილიყო კახეთის უძველესი ქალაქი ჩელეთი. ამის დასტურია ისიც, რომ მისი სახელი დღესაც ცოცხალი არის აღნიშნულ რეგიონში შაქსა და ვართაშენს შუა. მას, როგორც ითქვა, ამჟამად ჩალეთს უწოდებენ.

მართალია სახელი ჩელეთი ემსგავსება ძველქართულ ქალაქ ჟალეთის სახელს, მაგრამ ჩელეთი ჟალეთი არ არის, ერთი შემგომდროინდელ სიონის წყალსაცავთან მდებარეობდა, ხოლო მეორე შაქ-ვართაშენის რეგიონში. ამ რეგიონის ეკლესიების ქართული სახელები უეჭველად მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ქართველებით მჭიდროდ იყო დასახლებული და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ამ რეგიონის ქართველობა, როგორც აღინიშნა უკიდურესად დააზარალა შაჰ-აბასმა, როცა მან ეს მიწა-წყალი კახეთს ჩამოაცილა და სამართავად დაღესტნელ ლეკებს გადასცა. ამ პროცესმა ქართველების ასიმილაცია, რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ქართველების რაოდენობა აქ კიდევ უფრო შემცირდა XX საუკუნის დასაწ-

ყისში სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს, ამ დროს მათ მიატოვეს სოფელი ვართაშენი, ასევე სოფელი ნიჯი და თავი შეაფარეს თავიანთ ისტორიულ მშობელ ქართველ ერს, საქართველოს მიწა-წყალს.

1918–1922 წლებში მღვდელ ზინობი სილიკაშვილის მეთაურობით ისინი ვართაშენიდან გადასახლდნენ ყვარლის რაიონში. სულ, როგორც ჩანს, ჩამოსახლებულა 600 კაცამდე. მართლაც, როგორც აღინიშნა 1890 წელს ვართაშენში 150 ქართულ-მართლმადიდებლური ოჯახი ყოფილა. რაც ალბათ გულისხმობს 600 კაცამდე სულადობას, რომელთაც ყვარლის რაიონში სოფელი ზინობიანი დაუარსებიათ. მათაც ამჟამად უდინებს უწოდებენ.

წმ. არჩილ მეფის
აღმოსავლეთ კახეთში (შემდეგ საინგილოში) მოღვაწეობა

მაღალაშვილის სახარების მინაწერში დაცული ცნობის მიხედვით კახეთის სოფელ განუხში მდებარე ეკლესია იყო წმიდა არჩილ მეფის სახელობისა, რაც საფუძველს გვაძლევს მოსაზრებისა, რომ ეს ეკლესია არჩილ მეფის მიერ იყო აგებული. მართლაც, ქართლის ცხოვრების ცნობით კახეთში არჩილს მრავალი ეკლესია აუგია.

ქართლის ცხოვრება წერს:

„ამის შემდგომად მოვიდა არჩილ **კახეთად** და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა **კახეთი** და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა **წუქეთს** და აღაშენა **კასრი** და ხევსა **ლაკუასტისასა** აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა **წუქეთი**, და იყო მაშინ რომელი ერის-თავობდა **თუშთა** და **ხუნზთა** ზედა და ყოველთა **წარმართთა მის მთისათა,** სახელით აბუხუასრო და არ ინება მისგან წაღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო **ნუხპატელნი** უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმ-რავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა **რანისასა;** დაეპყრათ **გაზირი** და **სომხეთი** და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა, ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს **ტარონით შაკიხად,** სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილი-სათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, **რანით კერძი უმკვიდრო** ქმნილ იყო, ხოლო **ჰერეთი** და **კახეთი** ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე **გულგულამდის.**

მასვე ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს **კლარჯეთს**, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი **ტაოს**, რომელს ერქვა **კალმახი** და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს **კახეთს არჩილის** თანა. ერთსა

მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა **წუქეთი** ციხით და **კასრითურთ**. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყურესა წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243).

ამ დოკუმენტში ნახსენებია: **კახეთი, სამმორი, წუქეთი, კასრი, ლაკუასტი, თუშები, ხუნძები, მთის წარმართები, აბუხოსრო, ნუხპატი, რანი, გაზირი, სომხეთი, ტარონი, შაკიხი, ჰერეთი, კლარჯეთი, ტაო, კალმახი** და სხვა. ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ადგილსამყოფელი ცნობილია.

აღნიშნულ პუნქტთაგან ზოგიერთი ცნობილი არის „ქართლის ცხოვრების“ იმ ჩანართიდან, რომელიც შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ იქ ნათქვამია:

„იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (საწმყსოსა) სამწყსოსა თვისსა ქართლსა: გამოღმა გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართლის ქვეყანაში შემდეგი პუნქტები: **გამოღმა კახეთი, გაღმა კახეთი, შაქი, შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები ანუ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მათთან ერთად სვანეთი, ჩერქეზეთი, ოვსეთი და ზემო ქართლში სამცხე საათაბაგო.**

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე პუნქტები არის დასახელებული 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში. როგორც აღინიშნა მასში ჩამოთვლილია შემდეგი სახელები – **კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო, წახური, კაკელისენი, კასრი, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვარდთაშენი, თაბასარანი, ხუნძები, ნახჩები, თოშეთი, ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეხი, ყოველი ვაკე ანუ მოვაკანი, ელისენი, ვერხვიანთ ზეგანი, ივრისა და ალაზნის შესართავი, ქურმუხი, ყოველი მთიულეთი, კაკი, ალვანი ანუ სავანია** და სხვა.

1. შირვანი

ყველაზე შორეული პუნქტი, სადაც ამ დოკუმენტების მიხედვით თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესია, იყო **შირვანის პროვინცია**. ის ამჟამად შედის აზერბაიჯანში და მოიცავს შამახის რაიონს, აქ განვითარებული არის მევენახეობა და ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად ითვლება. მიიჩნევა, რომ შირვან-შაჰების სახელმწიფო ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში, აბასიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ, შირვან-შაჰების სახელმწიფო შეუერთდა საქართველოს დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ტიტული იყო შირვანშაჰი.

2. ჰერეთი

შირვანს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. მართალია, არცერთ აღნიშნულ დოკუმენტში სახელი ჰერეთი ნახსენები არ

არის, რადგან არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო I ათასწლეულშივე (მისი ძლიერების პერიოდში), ამიტომ II ათასწლეულში მისი ხსენებაც კი გაქრა და დოკუმენტებშიც არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჰერეთის სახელი XX საუკუნეში გააცოცხლეს სამეცნიერო წრეებმა და მას მისთვის იქამდე უჩვეულო ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭეს. კერძოდ, XX ს. მეცნიერებმა ეთნიკურ ჰერებად გამოაცხადეს კახეთის ძირძველი ისტორიული რაიონების კახის, ბელაქნისა და ზაქათალას მოსახლეობა, მაშინ როცა თვით ძველი, თავდაპირველი, I ათასწლეულის ჰერეთი ეთნოსის სახით არც კი ჩამოყალიბებულა. ჰერეთი იყო ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი სადავო ალბანეთსა და ქართლს შორის, თანაც ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა ამ (კახის, ბელაქანისა და ზაქათალას) რაიონებს.

ისტორიული ჰერეთი იწყებოდა არა თელავის სოფელ გულგულადან, არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილადან. სწორედ ამ თანამედროვე პუნქტ ფილფილას ეწოდებოდა ქართულ წყაროში ნახსენები სახელი „ტყეტბა-გოლგოლა“, იგივე გულგულა. ე.ი. იყო ორი გულგულა, ერთი თელავთან, მეორე კი ვართაშენთან, როგორც ითქვა, **ისტორიული ჰერეთი** იწყებოდა ვართაშენის ფილფილა-გულგულასთან და გრძელდებოდა შამახამდე. უფრო ზუსტად იქვე მდებარე მდინარე **აღსუ**მდე, ასე ერქვა მდინარეს რომელიც მტკვარს უერთდებოდა მარცხენა სანაპიროს მხრიდან. იქ სადაც მტკვარს მარჯვენა სანაპიროს მხრიდან უერთდება არაქსი.

აღსუს ქართველები თეთრ წყალს უწოდებდნენ. აქ საუკუნეთა მანძილზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც შეეხება უშუალოდ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარს, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი გადიოდა აღნიშნულ ფილფილა-გულგულასთან, და საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი უკვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს წარმოადგენდა აღნიშნულ აღსუ-თეთრწყალზე.

დიდხანს, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგაც, აქამდე აღწევდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია **შირვანის ქვეყანაში.** როგორც აღვნიშნეთ, აქვე შირვანთან მთავრდებოდა ჰერეთის საზღვარი.

ჰერეთი, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა ფილფილასთან, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა (მას ძველ წყაროებში ეწოდებოდა ტყე-ტბა – გოლგოლა). 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ რუკაზე ამ ადგილას პუნქტი **ხილხალა**ა ნაჩვენები, როგორც აღინიშნა ის მდებარეობს ვართაშენის რაიონში. ქალაქ ვართაშენს XX საუკუნის ბოლოს შეუცვალეს სახელი და ოგუზი უწოდეს.

აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი გამოირჩევა თავისი ლამაზი და ხშირი ტყეებით, რადგანაც ამ რაიონის ნახევარი ტყით არის დაფარული. აქ არის ბევრი ჩანჩქერი, წყაროები, თერმული წყლები, ფაუნა ძალზე მდიდარია, მათ შორის ხოხბით და კალმახით, ხარობს ყოველგვარი ხილი, სოფ. **ფილფილა** სახელგანთქმული არის ხალიჩების მქსოველი ოსტატებით, ამავე სოფელში ცნობილი არის ასევე რიყის ქვით ნაგები კოშკი XVIII საუკუნისა, რომელსაც

სულხაიხანის კოშკს უწოდებენ, ეს კოშკი არის მდინარე გალაჩაის ნაპირზე ფილფილასთან ახლოს.

ფილფილასთან გადის გზა, რომელიც უღელტეხილით გადადის ჩრდილო კავკასიაში, სამურის ხეობაში, იქიდან ეს გზა მიემართებოდა დერბენდისაკენ, ეს მომენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის ცნობას და ბადებს თვალსაზრისს, რომ **ფილფილა** და მოვსეს მიერ დასახელებული **ხილხილა** ერთიდაიგივე პუნქტია.

მოსეს კალანკატუაცის ცნობით დერბენდის ჩორის ქვეყნიდან ამ გზით, ხილხილას გავლით მტრები ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად მოემართებოდნენ, ე.ი. ჩრდილოკავკასიიდან, სამურის ხეობიდან ფილფილა-ხილხილას გავლით მიემართებოდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ, ანუ ალბანეთისაკენ. ფილფილას მხარე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ეს მიდამოები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, როგორც აღინიშნა, აქ ერთერთ ქედს **„გურჯი დაღი“** ქართველთა მთა ეწოდება. გ. მარჯანიშვილი წერს: **„გამოთქმული იყო მოსაზრება რომ სწორედ აღნიშნული ქედის არეში ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

ჭალეთი ამჟამად იწოდება ჩელეთად და არის ვართაშენის ანუ ოგუზის რაიონის ერთერთი სოფელი დასავლეთის მხარეს ანუ საქართველოს მიმართულებით.

1გურჯი დაღის“ ქედამდე ანუ სოფელ ფილფილა იგივე გულგულამდე აღწევდა ქართლის სამეფოს ერთერთი რეგიონის – კახეთის საზღვარი პირველ ათასწლეულში.

ქართლის სამეფოში შემავალ კახეთს და ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ჰერეთს ერთმანეთისაგან გულგულა ჰყოფდა, ანუ აქ გადიოდა არა საქართველოს საზღვარი, არამედ ქართლის სამეფოს საზღვარი ფარნავაზის ეპოქიდანვე, ანუ გულგულამდე იგივე ფილფილამდე აღწევდა კახეთის საზღვარი, ხოლო გულგულადან „თეთრ წყლამდე“, ანუ აღსუმდე მდებარეობდა ჰერეთი.

მარტივად რომ ვთქვათ გულგულამდე (ფილფილამდე)– იყო კახეთი, ხოლო თეთრწყალ-აღსუმდე ჰერეთი. ე.ი. ჰერეთში შედიოდა ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონი, გაბალა, იგივე კუტკაშენის რაიონი და ისმაილის რაიონი, მასში შედიოდა შემახას რაიონის ერთი ნაწილი, აქედან გამომდინარე კახეთში შედიოდნენ თანამედროვე შექის რაიონი, თანამედროვე გახის რაიონი ანუ კახის რაიონი, თანამედროვე ზაქათალას რაიონი და თანამედროვე ბელაქანის რაიონი.

შექის რაიონის მთავარ ქალაქს ძველად ერქვა ნუხა, აქაურ სოფლებში ისევე როგორც კახეთის ზემოჩამოთვლილ სხვა რაიონებში ეკლესიები აღუმართავს წმ. მოწამე არჩილ მეფეს.

კახეთის ეს ეკლესიები და ასევე ჰერეთის ზოგიერთი ეკლესია 1310 წელს მოუხილავს საქართველოს პატრიარქს, ჰერეთს ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებდნენ და მისი საზღვრები, როგორც აღინიშნა, აღწევდა გულგულამდე ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე, მის დასავლეთით მდებარე შექის ანუ

ნუქას რაიონი ისტორიული კახეთის ნაწილი იყო. ამიტომაც ნუხის, შექის, კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონებში მდებარე ეკლესიები არ იყვნენ ალბანური ეკლესიები. ისინი იმთავითვე მცხეთის იურისდიქციაში შედიოდნენ და მათ აშენებდნენ კიდეც ქართლის მეფეები.

ამჟამად, ალბანურ ეკლესიებადაა მიჩნეული შექის ანუ ნუხის რაიონის სოფლების ბიდეიზის, ბაშკიუნგიუცის, ორთაზეიზიცის და კიშის (გიშის) ეკლესიები. მიჩნეულია, რომ კიშის ეკლესია წმ. ელისემ (მოციქულმა ელიშამ) ააგო, ეს ეკლესიები თავის მხრივ ს. კარაპეტიანს სომხურ ეკლესიებად მიაჩნია, მაშინ როცა ამ ეკლესიათა წარსული ისტორიის ნამდვილ და უეჭველ წყაროში, 1310 წლის ქართულ დოკუმენტში ისინი ქართულ იურისდიქციაში მოიხსენიებიან და მეორე ასეთივე წყაროში წმ. არჩილ მეფის ნაღვაწად მიიჩნევა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისს, მათ არ გააჩნიათ არავითარი პირდაპირი წყარო და ისინი მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. მაგალითად, ვარდთაშენის ეკლესია 1310 წლის წყაროში იწოდება ელიას სახელობის ეკლესიად, ელია – ყოველთვის ეწოდებოდა წმ. წინასწარმეტყველ ილიას, ხოლო ს. კარაპეტიანს მიაჩნია, რომ თითქოსდა წყარო უთითებს არა ელიას, არამედ – ელიშეს – ალბანეთის განმანათლებელს, შესაბამისად მან ეს ვითომდა ელიშეს ეკლესია ალბანურ იურისდიქციაში მოაქცია. ეს წყაროს ცნობის განგებ დამახინჯებაა.

ოგუზის რაიონის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული და აქ არის ბევრი ჩანჩქერი. აქაა ტყეში ჩაფლული სოფელი ფილფილა, იგივე „ტყე-ტბა გულგულა“... დავით აღმაშენებელმა თავის სახელმწიფოს შეუერთა ამჟამინდელ გაბალასა და შამახას შუამდებარე თანამედროვე ისმაილის რაიონი აზერბაიჯანში, რომელიც ისტორიულ ჰერეთში შედიოდა.

3. „შექი – მდებარეობს დიდი აბრეშუმის გზის ტრასაზე“.

შაქი არის სიტყვა შაკიხისაგან მიღებული, თავის მხრივ **„შაკიხი“** არის იგივე **„საკიხი“**, ანუ **საკახო**, ნაწარმოებია ფუძიდან **„კახ“** („კუხ“, „კიხ“) (აქედან სა-**კახ**-ო, შა-**კიხ**-ი, **კუხ**-ეთი).

ქიშ-ნუხი – სავარაუდოდ მდებარეობდა პუნქტ „გიშთან“ (კიში).

ნუხი – შექის რაიონი (ძველი ნუხა).

ამ ოლქში ხშირია სახელები „ნუხ“ ფუძე-ძირით, მაგ. განუხი და ნუხ-პატო. „ნოხო“ – გამოქვაბულია ადრეული რკინის სადგამის არტეფაქტებით ბელაქნის რაიონში.

როგორც აღვნიშნეთ 1310 წლის ცნობის მიხედვით საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო იქიდან გადავიდა წახურში შემდეგ მოიხილა კაკელისენი და ამ პროვინციის ეკლესიები, კერძოდ ქალაქ კასრში ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, სოფელ ყუმში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართში წმ. მოციქულთა სწორ ნინოს სახელობის ეკლესია, სოფელ ზარში წმ. მთავარმოწამე გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანში წმ. აბოს სახელობის ეკლესია, სოფელ განუხში წმ. არჩილის სახელობის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ბარდაშენში წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობის ეკლესია და მათ

შემდეგ მიმოიხილა სხვა პროვინციები: კერძოდ მოუვლია ხუნძეთი, ნახჩთა ქვეყანა, თუშეთი, იქიდან კვლავ გადმოსულა კახეთის მხარეს, მოულოცავს ნეკრესის, ლაგუთის, ბელაქანის, მაχ-ფიფინეთის, ფერიχან-მუხახ-მამრეთის და ძველი მოვაკანის, ანუ ვაკის და ელისენის ეკლესიები, რომლებიც მდებარეობდნენ ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე. ამ დროს პატრიარქ ექვთიმეს მიუცია ბრძანება, ყოველი მთიულეთის წინამძღვარი ქურმუხელი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისათვის თვითოეულ ამ ეკლესიაში გაეგზავნა სატრაპეზო-სახარების წიგნი. მართლაც, სოფელ კაკის წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს იასე ქიტიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს დავალება შეუსრულებია თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად.

ქიშ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ამ ჩამონათვალში მოთავსებულია ვარდიანსა, განუხსა და ვართაშენს შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქიშ-ნუხი ამ რეგიონში მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ვარდაშენს _ ბარდაშენი ერქვა და მისი სახელი შესაძლოა დაკავშირებული იყოს არა ვინმე პიროვნება…ვარდანთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა იქაური გიდების მიერ, არამედ ქალაქ ბარდას სახელთან, რომელსაც ძველქართულად ბარდავი ერქვა. საფიქრებელია, რომ ქალაქ ბარდას მართლმადიდებელი მოსახლეობა გადასახლდა ახალ რეგიონში, სადაც ამჟამად ვარდაშენი, იგივე ოგუზი მდებარეობს და დააფუძვნა ბარდაშენი. ამ გადასახლებას თითქოსდა ვარდაშენის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნოსახელი „**უდი**ელებიც“ (უდინი) მიუთითებს. ისინი ბარდის რეგიონის **უტის** ცნობილი პროვინციის მცხოვრებთა სახელი უნდა იყოს.

მაშასადამე, **უტიელები გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით და მათ თან გადაიტანეს ძველი პროვინციის – „უტისა“ და მისი მთავარი ქალაქის – „ბარდას“ სახელი – „უტი-უდინები“, „ბარდა-ვართაშენი“.**

წყაროებში ასევე ნახსენებია პუნქტი, რომლის სახელიც ხელნაწერებში წაშლილია, თუმცა იკითხება: – „თა...სარანი“, ს. კარაპეტიანი მას დაღესტნის ტაბასარანს უკავშირებს. ის, ჩანს ვარდაშენის რეგიონიდან ჩრდილოკავკასიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. „თა...სარანის“ ეკლესია წმ. პეტრეს სახელობისა ყოფილა.

ვადაშენიდან ფილფილას გავლით ჩრდილო კავკასიაში გადასულ პატრიარქს მოუხილავს χერ ტაბასარანის, შემდეგ კი ხუნძთა ეკლესიები.

4. ხუნძთა ეკლესიები ნახსენებია ტაბასარანის შემდეგ.

წყაროში ხუნძეთის ადგილსამყოფელი ცნობილია, მას ამჟამად ავარიელების ქვეყანა ეწოდება დაღესტანში, ავარიელები, როგორც ითქვა, ცხოვრობდნენ მდინარე სულაკის ხეობაში, ასევე შუა და დასავლეთ დაღესტანში, მდინარე ანდისა და ავარის კოისუს ხეობებში, რომლებიც ამჟამად შეადგენდნენ ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებს.

5. ნახჩთა ეკლესიები

ნახჩებს ამჟამად უწოდებენ ჩეჩნებს, ასევე ვაინახებს, პატრიარქ ექვთიმეს დროს ნახჩების ქვეყანაში, ანუ თანამედროვე ჩეჩნეთში, მრავალი ქართული ეკლესია ყოფილა, რომლებიც საქართველოს პატრიარქმა მოინახულა.

იგულისხმება რომ ისინი საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ (ნახჩების ქვეყანა იმ დროისთვის უფრო მეტად მდებარეობდა მთის ზონაში, რადგანაც ჩრდილოკავკასიის ვაკე 1310 წლის დოკუმენტში არ იგულისხმება).

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილეს ებარა „ყოველი მთიულეთი“ ანუ კავკასიის მთიანეთის ეკლესიები – ხუნძების, ნახჩებისა და სხვათა.

ჩანს ხუნძთა ეკლესიებში იგულისხმება მდინარე ასას ხეობისა და ტყობაიერდის ეკლესიებიც. ჩანს ისინი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურის წინამძღვრობით იმართებოდა.

6. წყაროში **თუშეთი** თოშეთად მოიხსენება. ჩანს თუშეთშიც ყოფილა ეკლესიები და მონასტრებიც.

7. თუშეთიდან პატრიარქი ექვთიმე გადასულა და მოუხილავს **ნეკრესის, ლაგოეთის** (ლაგოდეხის) და ბელაქანის ეკლესიები.

8. შემდეგ წყაროში ნახსენებია **მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი.**

მუხახი მდებარეობს ზაქათალას რაიონში, ქ. ზაქათალას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი **ალიაბადი**. წყაროდან ჩანს, რომ მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი მდებარეობდა თანამედროვე ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში.

ამის შემდეგ წყაროში დასახელებულია **„ყოველი ვაკე“** მას ამავე წყაროში ასევე ეწოდება ძველი მოვაკანი და ელისენი, ჩანს ეს უკანასკნელი ანუ **ელისენი ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე მდებარეობდა, ხოლო მოვაკანი ერქვა ვრცელ ტერიტორიას აღნიშნული შესართავიდან მტკვრის ხეობას ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე.**

როგორც ითქვა, ზაქათალას მომდევნო კახის რაიონის სოფელ კაკში წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი სამწიგნობრო ცენტრი აღნიშნული ვრცელი რეგიონისა, საიდანაც ქართული საღვთისმსახურო წიგნებით მარაგდებოდა ყველა აღნიშნული ეკლესია-მონასტერი, ე.ი. თანამედროვე კაბალას (გაბალას) რაიონიდან ვიდრე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით (შეიძლება შევადაროთ, ტოპონიმი **კაბალა-გაბალა**, **„გაბური“** – სახელი კახეთის მთავარისა და ასევე სახელი **„გაბულოცი“**).

შენიშვნა:

1) ლექართი – დღევანდელი „ლეკითი“.

2) ზარი – ზარნა.

3) ზაგემი, ბაზარქალაქი – აკსიბაზარი (ზაქათალასთან)– კახეთის მეფეთა რეზიდენცია – ალიაბადთან.

4) მაჭი (VIII ს.) – ლაგოდეხ-ბელაქანის გზაზე, მაჭისწყლთან (ლაგოდეხთან ახლოს) – კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია.

5) ბოეთანი – კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია – მდ. ბელაქანის და ალაზნის შესართავთან. აქ იღებდნენ ელჩებს.

6) **„კავკასიის დიდი კედელი“ (საინგილოს დიდი გალავანი – იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე) –**

ის აუგიათ მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით XVI–XVII სს-ში, აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები („Тифлисские ведомости“, т. 82, 1830).

7) ქედი „გიურჯი დაღი“ (ქართველთა მთა) – ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს – იქაურ ხალხში დაცული გადმოცემით _ **„გიურჯი დაღის ქედის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი“** – (მარჯანიშვილი, გვ. 40).

8) „შარომატი“ (სარმატი) – „ქართველთა ნათესავი ტომი ჩნდება კავკასიაში“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 55).

9) „იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა“ – აპოლოდორი (ძვ. წ. II ს.) [გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 138].

10) „ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი – ურარტული... ყველაზე ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას“ (იქვე, გვ. 143).

11) **ისტორიული კახეთის ცენტრი – ზაქათალადან კახის რაიონის ჩათვლით ვიდრე ვარდაშენამდე (შექამდე) შაჰ-აბასმა ჩამოართვა კახეთის მეფეებს და იქ გააბატონა მის მახლობლად მცხოვრები დაღესტნის ტომი წუქებისა, ამიტომაც ამ ტერიტორიას ეწოდა – წუქეთი XVII ს-ის შემდეგ.**

12) XVII ს-მდე **წუქეთი ერქვა დაღესტნის თემს მდ. სამურის სათავეში.**

13) ქართული წყაროების ცნობით ძველი **წუქეთი მოიცავდა ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე დაღესტანში.**

14) XVII ს-ის შემდეგ გაჩნდა ე.წ. ახალ წუქეთი (ყოფილ კახეთის ცენტრში ზაქათალას, ბელაქანის, კახის რაიონები), მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს მიწა-წყალს.

15) მაჭი (VII ს.) **„მაჭის საერისთავო (XI ს.) მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნძახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, კახი, ლაკუასტი და სხვა, შაკიხამდე. საერისთავო გააუქმა 1471 წელს მეფე ლევანმა, ძველად, არაბთა შემოსევებისას, მის ალაზნისპირა ნაწილს – „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანიც“ ერქვა, (მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე), მისი მოსახლეობა იყო ე.წ. კახნი-გარდაბნელნი, ამ სახელწოდების ქართველობა მიმდებარე ტერიტორიებზეც ცხოვრობდა). არაბთა ნებით ჰერეთმა დაიპყრო, XI ს-სათვის განთავისუფლდა.**

16) ბელაქანის, ზაქათალის, კახის, შექისა და ნაწილობრივ ვართაშენის რეგიონები, როგორც აღინიშნა, კახეთს ჩამოაჭრა შაჰ-აბასმა, აქ შექმნა ელისუს სასულთნო და შეიქმნა „ახალი წუქეთი“ იგივე „ალის-სულთანი“ იგივე მაჭის საერისთავო, სამწყსო გიშელი ეპისკოპოსისა (ისტორიულ კახეთში, მას არასწორედ ამჟამად ჰერეთს უწოდებენ).

17) ძველი წუქეთი იგივე წახეთი-წახური (დაღესტანში).

18) ელისენი – მოიცავდა ტერიტორიას ქურმუხიდან ვიდრე გიშისწყლამდე.

19) შაკიხი – შექია.

20) გიში – შექის მახლობლად (აქ შემდეგ გადაიტანეს კათედრა).

ხუნძახის ეპარქია
(გაგრძელება)

დაღესტნის გიდატლის ოლქი სახელგანთქმულია იმით, რომ იქ არის X-XI საუკუნეების ცნობილი სიძველის – დათუნას ეკლესია. ეს ერთადერთი დაუნგრევლად გადარჩენილი ქრისტიანული ნაგებობაა მთელ დაღესტანში. დანარჩენი უამრავი ეკლესია მხოლოდ ნაკვალევისა და ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

გიდატლის თემში შედიან სოფლები ურადა, ტიდიბი, ხოდოტა, მაჩადა, გენტაბი, კახიბი და სხვები. XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატელები – „ხიდის ოლქის მცხოვრებნი“ იწოდებიან „ქართველებად“. ამ წყაროს ცნობით გიდატელები – ეთნიკური ქართველები იყვნენ.

მთელი მთიანი დაღესტანი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. დაღესტნის ეს ცენტრალური მხარე ქრისტიანობის თავდადებული და მხურვალე მხარდამჭერი იყო, ამით უნდა ავხსნათ დათუნას ეკლესიის გადარჩენა. აქ ბოლო ქრისტიანი თავადის სახელიც ახსოვთ – „კავსარი“, ის სოფელ მაჩადაში ცხოვრობდა, ხოლო სოფლის ეკლესია ისლამის მიღების შემდეგ სოფლელებს დაუწვავთ. ყველა აღნიშნულ სოფელში ნაეკლესიარებს აჩვენებენ, გადარჩენილა ეკლესიების ზოგიერთი ქვაც, რომლებიც საცხოვრებელი სახლების კედლებშია ჩაყოლილი.

ხალხური გადმოცემა დათუნას ეკლესიასთან დაკავშირებით ასეთია – აქ ცხოვრობდა ვინმე ქართველი, რომელსაც ერქვა „თავადო“, მან თხოვა ხუნძახის ნუცალს დაეტოვებინა ის ამ ადგილას (როგორც ქრისტიანი), სამაგიეროდ დაეხმარებოდა ნუცალს კახეთში ლაშქრობისას. გიდატლის თემი მდებარეობს საქართველო – ავარიის დამაკავშირებელ გზაზე (იქვე, გვ. 13).

ხუნძახშიც მრავალი ქართული ნაეკლესიარია შემორჩენილი.

ავარიის ისტორიულ ცენტრში ხუნძახის პლატოზე აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაშთები.

ყურადღება მიიპყრო ქართველ არქეოლოგთა მიერ სოფელ ხუნძახის ახლო აქაროს დასახლებაში აღმოჩენილმა საეკლესიო ნაშთმა X–XIV საუკუნეებისა, რომლის სიგრძეა 17 მეტრი და სიგანე 8 მეტრამდე. სახურავის ნაწილი მოჭიქურებულ კრამიტისაგან იყო. აქაროს მთაზე აღმოჩნდა ასევე უამრავი ნამსხვრევი ჯვრებისა ასომთავრული და ნუსხახუცური წარწერებით. ეს ჯვრები დაუმსხვრევიათ, ხოლო ეკლესია გადაუწვიათ XIII–XIV საუკუნეებში ხუნძახზე გაზიელთა შეტევის დროს. მუჰამედ რაფი XIII–XIV სს-ში აღწერს ამ შეტევას თავის „დაღესტნის ტარიხში“.

ამავე პლატოზეა მეორე ქართული ეკლესია სოფელ ამიტლთან. ამ პლატოზე მდებარე უამრავი საეკლესიო ნაშთი ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, მაგრამ ამ ეკლესიებიდან ამოღებული ზოგიერთი არტეფაქტი ცნობილია. მაგალითად, ქართული წარწერა სოფელ ხუნძახის ტადრაალიდან – **„აღაშენეთ ეს ეკლესია წმიდა კოსმა და დამიანესი ჩვენ უჩადადანელებმა“** (ინახება თბილისში, ისტორიის მუზეუმში).

გადმოცემით მეორე ეკლესია მდებარეობდა სოფელ ხინთან, რაც დადასტურდა გათხრებით. აქ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აქ აღმოჩნდა სეფისკვერის ბეჭედი ხუცური წარწერით – **„იესო ქრისტე, ძლევა“** (ნეგატიური დაქარაგმებით) – თარიღდება XIII ს-ით.

იქვე ახლოს ს. ბაიბის ეკლესიის ქვები სახლების მშენებლობაში გამოუყენებიათ, ახსოვდათ, რომ ეკლესია იყო დათუნას ეკლესიის მსგავსი.

გადმოცემით ს. ობიდაშიც ყოფილა ეკლესია, ნაეკლესიარ ადგილზე აღმოჩნდა ქვის ჯვარი. ასე, რომ ხუნძახის პლატოს ქრისტიან მოსახლეობას მრავალი ეკლესია ემსახურებოდა მდ. ავარიის კოისუს ახლოს.

მდ. კაზიკუმუხის კოისუს ხეობაში მდებარე ანდალალის ოლქშიც მრავალი ქართული ეკლესია იდგა. ისლამიზაციამდე ამ ქრისტიანულ ოლქს ერქვა – ვიცხუ, მასში ერთიანდებოდნენ სოფლები – ჩოხი, სოგრატლი, ობოხი, მეგები, გამსუტლი, რუგუჯა, კუდალი, კეგორი, სალტა, კოროდა, გუნიბი, ხოტოჩი, გონოდა, ხინდახი. გამოთქმულია აზრი, რომ მათ ქრისტიანობა XIV–XV საუკუნეებამდე შეინარჩუნეს (იქვე, გვ. 18). ამ ტერიტორიას ირხანის ისტორიაში „ჩახაალის ოლქი“ ეწოდება. მის ერთერთ დასახლებას – „წმიდა გიორგის გორა“ ერქვა. აქ აღმოჩნდა ჯვარი „ქრისტიანული წარწერით“ (ე.ი. ქართული წარწერით). აქ მდებარე სოფელ გუნიბთან შამილის გამო რუსებმა დიდი ომები გამართეს, რამაც ფ. ტახნაევას სიტყვით, მრავალი ქრისტიანული ნაშთი მოსპო. ზოგიერთი საეკლესიო ქვა სახლის კედლებშიც ჩაუტანებიათ. ერთერთ მათგანზე აღმოჩნდა ქართული წარწერა (სოფელ რუგუჯასთან) – **„ქრისტეს ჯვარო, წმიდა გიორგი, შეეწიე დარხვას და მის შვილებს“** თარიღდება XIV-XV სს-ში.

ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლები ბაცალა, უნტი, შულანი და კულაბი მათ ახლო მდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა ასე – **„გურჯიხლი“**, როგორც აღინიშნა ითარგმნება, როგორც „ქართველობა“. ამ სოფლების სამაროვნებზე ცნობილია ქრისტიანული საფლავები და მრავალრიცხოვანი ჯვრები. ფ. ტახნაევა ამ სოფლებთან დაკავშირებით წერს – „ყველაზე ნათელ და ქრისტიანული კულტურის მთლიანად შეუსწავლელ ძეგლს წარმოადგენს ამ ოლქში არსებული ზიარათი – „თამარის საფლავი“, ამ სოფლებთან ახლოს, 5–10 კილომეტრში მთაზე, ადგილზე, რომელსაც „სესდა-გაბური“ ეწოდება, ესაა სოფელ რუგუჯასთან ასევე 5–10 კილომეტრში (იქვე, გვ. 18). ამ ზიარათის ნაგებობის ქვაზე გამოსახულია წმიდა ნინოს ჯვარი – ეს ნაგებობა შემდეგში გადაუკეთებიათ მუსულმანთა სამლოცველოდ და აქ მრავალი მლოცველი დადის. ამ ოლქში მცხოვრები „ქართველობისათვის“ ბუნებრივია „თამარი“ უნდა ყოფილიყო თამარ მეფე, რომლის საფლავსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხე იჩემებდა.

სოფელ ნაკაზუხში 1940 წლამდე მდგარა სამრეკლო, რომელიც ხრამში გადაუგდიათ ათეიზმის მძლავრობისას, ხოლო სოფლის ეკლესიის ნანგრევების მიმართ ხალხი პატივისცემას გამოხატავდა, ითვლებოდა სიწმიდედ და გვალვის დროს აქ იკრიბებოდნენ ქალები და აღასრულებდნენ წესებს წვიმის მოსვლისა (ეს ჩვეულება გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართ-

ველოში). 1990 წლამდე აქ ეკლესიის კედლებიც იდგა. ფ. ტახნაევა – „ანდალალში მუსულმანობის პერიოდამდე ეკლესიების არსებობა ქრისტიანულ ვიცხუსა და კარახის („ქართველობის“) თემში, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა აქ მტკიცედ იყო დამკვიდრებული“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, გვ. 19).

ანწუხის ეკლესიები

ანწუხის თემი 21 სოფლისაგან შედგებოდა. ის მაღალაშვილის სახარების ცნობით მოიხილა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ 1310 წელს, შესაბამისად აქ მრავალი ეკლესია მდგარა, მაგრამ ისინი გამოუკვლეველია, რადგანაც ეს თემი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ანწუხი და ხუნძახი დაღესტნის მსხვილი საეკლესიო ოლქები იყვნენ. აქ ქართული წყაროების ცნობით არა მხოლოდ საეპისკოპოსოები, არამედ საკათალიკოსოც კი არსებობდა. როგორც აღინიშნა ანწუხის საეპისკოპოსო მოხსენიებული არის მაღალაშვილის სახარების მინაწერში, ხოლო ხუნძახი სინას მთის ქართული წყაროს ცნობით საკათალიკოსო ოლქიც კი ყოფილა, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში.

დაღესტნის ქრისტიანობის ბედი შეიცვალა თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომ.

საერთოდ, დაღესტანში მუსულმანობა როგორც ჩანს XIII საუკუნიდან ვრცელდებოდა, ის იჭერდა ქრისტიანობის ადგილს, მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ქრისტიანულ აღმსარებლობას დაღესტანში, სწორედ ამ შუა პერიოდში თემურ-ლენგის შემოსევამდე დაღესტანში საგანგებოდ იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ. მაშასადამე, ის დაღესტანში მივიდა იმ დროს, როდესაც კასპიის ზღვისპირეთიდან თანდათანობით შეღწევა დაიწყო მუსულმანობამ. ქრისტიანობის განსამტკიცებლად პატრიარქმა დიდად იღვაწა, მისი სამისიონერო მოღვაწეობა დაღესტნის მთიანეთის ურთულესი გზებით ჩეჩნეთში, იქიდან თუშეთში, შემდგომ კახეთსა და მიმდებარე რეგიონებში არაქსამდე, უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უიშვიათეს მოვლენად, არამედ გმირულ თავდადებადაც, თითქოსდა ის გრძნობდა წინასწარი ხედვით თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგებს და ყველაფერს აკეთებდა მის შესამცირებლად.

თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში
(საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 2009, გვ. 862, 865, 866.)

1386–1403 წლებს შორის თემურ-ლენგი 8-ჯერ შემოესია საქართველოს – 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402, 1403 წლებში.

სამხრეთელი მონღოლები სასტიკად სჯიდნენ საქართველოს ჩრდილოეთთან, ოქროს ურდოსთან, კავშირისათვის. ეს კავშირი განუახლებია დავით VI-ს, მეფემ ისევ ჩრდილოეთისკენ იბრუნა თავისი პოლიტიკური გეზი და კვლავ **„წარავლინა ძმა მისი ბაადური დიდსა ყაანისა თოხთას წინაშე“.** ეს ხდება XIV საუკუნის დასაწყისში, ანუ თემურ-ლენგის შემოსევებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე.

ირანის მონღოლებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთის გზების ხელში ჩაგდება, საქართველო მათ მოკავშირედ არ იქცა და ის გზას უთმობდა სამხრეთისაკენ მოლაშქრე ოქროს ურდოს ჯარებს.

XIV საუკუნის დასაწყისში ირანის პოლიტიკურ წრეებში წარმოშობილა იდეა, რომ ირანს უშუალოდ პოლიტიკური კავშირი ჰქონოდა არა საქართველოსთან, არამედ მის კავკასიელ მეზობლებთან, რომელთა საცხოვრისის მახლობლადაც აღნიშნული გზები გადიოდა.

ამის გამო, 1301 წელს ყაზან ყაენმა შირვანისა და ლეკეთის მთიანეთში გასწია – **„აქ მას მორჩილების გამოსაცხადებლად დიდი ხნის წინათ აჯანყებული ლეკების ტომთა მეთაურები წარუდგნენ“.**

საქართველოს ოქროს ურდოსთან დაკავშირებით არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია თავისი პოლიტიკა, ამიტომაც თემურიც, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა უშუალოდ დაემორჩილებინა კავკასიელი ტომები. გააერთგულებინა ისინი მათში მაჰმადიანობის გავრცელებით.

როგორც თემურს, ისე ილხანებს, არ შეეძლოთ თავიანთი ლაშქრით დიდი ხნით დაეჭირა აღნიშნული გადმოსასვლელები, ამიტომაც მოიმხრეს ამ გადმოსასვლელების მახლობლად მცხოვრები ტომები. ჩაასახლეს ისინი უშუალოდ ამ გადმოსასვლელების ტერიტორიებზე, და უფრო მეტიც, შეეცადნენ აემხედრებინათ ისინი ქართველ მეფეთა წინააღმდეგ, ამ საშუალებით ფიქრობდნენ გადმოსასვლელებზე ქართველთა სახელმწიფოს კონტროლის გაუქმებას.

1391 წელს თემური თოხთამიშის გასანადგურებლად დაიძრა და დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ოქროს ურდომ მალევე შეძლო გაძლიერება, თოხთამიში 1393 წლისათვის დარუბანდის გზით შირვანშიც კი შეიჭრა. **„ცხადია, რომ თოხთამიშ-ხანს საქართველოსა და დაღესტნის მეთაურებთან წინასწარ, შეუთანხმებლივ ასეთი საქმის დაწყება არ შეეძლო,..... გადაწყვიტა, დაესწრო და დარიალანის გადმოსასვლელის ყველაზე უმოკლესი და საშიში გზის ხელში ჩაგდებით თოხთამიშის ლაშქრისათვის გზა შეეკრა“.** თემური შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ კი, არაგვის ხეობაში. ეს იყო მესამე შემოსევა.

1395 წელს თერგის პირას თემურმა თოხთამიში სასტიკად დაამარცხა. ოქროს ურდოს დედაქალაქშიც შეაღწია და გადაწვა.

„უკან დაბრუნების დროს თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურ-ლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“.

მიუხედავად 1395 წელს ჩრდილო კავკასიის დალაშქვრისა, 1398 წელს საქართველოს მეფემ გიორგიმ დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები და დასძრა ნახიჩევანისაკენ.

ეს იმას მიუთითებდა, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეეცდებოდა თემურ-ლენგი გაევრცელებინა მთიელთა შორის მაჰმადიანობა და ჩამოეშორებინა ისინი საქართველოსაგან. თემურმა კვლავ ილაშქრა არაგვისა და ქსნის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში „ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“.

თემურს გაუნადგურებია ჩრდილო კავკასიაში ოსების სამთავრო. აყრილი ოსების ნაწილი დვალეთში, ანუ დარიალისა და მამისონის უღელტეხილების შორის დასახლებულა.

კავკასიის მთებში ოსები ჩინგის ყაენის შემდეგვე შემოვიდნენ, მაგრამ თემურის დროს ეს პროცესი გაძლიერებულა.

„კვლავ შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღების კონსტანტინეპოლისა ემძლავრნენ ოსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქ-თემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავი, რომელ არიან დვალნი“.

ამ დროისათვის ოსებმა დაიპყრეს დვალეთი და დაიმორჩილეს დვალების ქართული ტომი, იმდენად, რომ ოსები დვალეთში ზედა ფენად, დვალები კი ქვედა, დამონებულ ფენად იქცნენ. ასეთივე პროცესები განვითარდა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, აქაც თემურმა სხვადასხვა ტომები შემოიყვანა და ისინი გააბატონა ადგილობრივ ქართული წარმოშობის ქრისტიანულ მოსახლეობაზე, რომელთა ასიმილაციაც სწრაფი ტემპით წარიმართა.

1400 წლისათვის დვალების აჯანყება ქართველთა მეფის წინააღმდეგ უთუოდ თემურის პოლიტიკის შედეგი იყო.

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“

თემურ-ლენგის შემოსევებამდე დაღესტანსა და ჩეჩნეთში ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა, ალბათ მან წინასწარ თუ განჭვრიტა თემურის ლაშქრობათა გამანადგურებელი შედეგები და სურდა მათი წინასწარი ნიველირება.

იმჟამინდელ მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, როცა თანდათანობით იშრიტებოდა ძალები ბიზანტიისა და საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოებისა და მძლავრობდა მაჰმადიანობა, XIV საუკუნეში 1310 წლიდან ვიდრე 1380-იან წლებამდე თემურის შემოსევამდე, ანწუხის და ხუნძახის საეპისკოპოსოების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხუნძეთის საკათალიკოსო.

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ ნახსენები არის XIV საუკუნის სინას მთის სინოდიკში.

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ საქართველოს საპატრიარქო XIV საუკუნისათვის შედგებოდა რამდენიმე საკათალიკოსოსაგან, ესენი იყვნენ აფხაზეთის, ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები. ამ საკათალიკოსოებს ჰქონდათ იგივე ფუნქცია, რაც გააჩნდათ ბერძნულ საპატრიარქოებში მიტროპოლიებს ანუ ხუნძეთის საკათალიკოსო იყო, ერთერთი მიტროპოლია საქართველოს ეკლესიისა.

იგივე მოსაზრება, ჩვენგან დამოუკიდებლად გამოთქვა ფ. ტახნაევამაც. კერძოდ, ის წერს – „**XIV საუკუნის დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებას განაგრძობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლია, რომელიც წარმოიქმნა ხუნძახის პლატოზე XIII საუკუნის შუა წლებში**“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, გვ. 39).

ჩვენი ფიქრით ხუნძეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს მიერ ხუნძეთის მოხილვის შემდგომ XIV საუკუნის დასაწყისში. უფრო მეტად საქართველოს მეფის გიორგი ბრწყინვალის დროს (1318–1346).

თემურის შემდგომ, XIV საუკუნის ბოლოსათვის, ხუნძახში და დაღესტანში ვითარება აბსოლუტურად შეცვლილი იყო. იქ როგორც ჩანს ხუნძელ კათალიკოსს აღარ დაედგომებოდა და ჩანს ის გამგზავრებულა და თავი შეუფარებია სინას მთის მონასტრისათვის. მსგავსად იმ ეპისკოპოსებისა, რომლებიც მესხეთის ისლამიზაციის გამო ტოვებდნენ თავიანთ კათედრებს და თავს აფარებდნენ სხვა რეგიონებს.

როგორც აღინიშნა, ხუნძეთის საკათალიკოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო სოფელ ხუნძახის ცნობილ პლატოზე, სადაც აქაროსთან აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები, როგორც ჩანს ხუნძეთის საკათალიკოსო მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი არსებობდა. ფ. ტახნაევას ძალზე საინტერესო დაკვირვებით ტერმინი საკათალიკოსო აღნიშნავდა როგორც მთლიანი ავტოკეფალური ეკლესიას, ისე მის დიდ სამიტროპოლიტო ოლქს, სწორედ ასეთი სამიტროპოლიტო სტატუსი ჰქონდა ხუნძეთის საკათა-

ლიკოსოს, რომელიც ერთერთი საეკლესიო ერთეული იყო საქართველოს ეკლესიისა, როგორც ჩანს ის მოიცავდა ხუნძეთთან ერთად მთელ მთიან დაღესტანს.

ფ. ტახნაევას დაკვირვებით ამჟამად ერთმანეთს არ ემთხვევა ავარიელთა ტომის ძველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და ავარიელების გასახლების ამჟამინდელი საზღვრები.

ქართველები დაღესტანში

ფ. ტახნაევა ცნობილი წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობებს, დაღესტნის ზოგიერთ ოლქში ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ ხსნის ისე, თითქოსდა წყაროს ტერმინი „ქართველი, ქართველები“ ნიშნავს არა ეთნიკურ ქართველს, არამედ კონფენსიალურ ქართველს ანუ ნიშნავს იმ დაღესტნელს, რომელიც აღიარებდა ქართულ სარწმუნოებას (მართლმადიდებელ ქრისტიანობას), ჩვენ არ ვეთანხმებით ამ საკითხში ტახნაევას და ვსვამთ კითხვას, თუ ეს ასე იყო, მაშინ როგორღა უნდა ავხსნათ ამავე წყაროს ცნობა ავარიელთა რუსობის შესახებ? ამ წყაროში ავარიელები რუსებად იწოდებიან.

წყაროს ამ ცნობის ანალიზისათვის ჩვენ ალბათ გამოგვადგება თანამედროვე დაღესტნის თითქმის ყველა ტომში დაცული გადმოცემები მათი წარმოშობის შესახებ. ზოგიერთ სოფელში მიუთითებენ ძველი სამშობლოს ადგილსამყოფელის შესახებ.

ამ ტომთა გადმოცემები მიუთითებს რუსეთის ტერიტორიებიდან დაღესტნის მთებში მათი დასახლების შესახებ. ავარიელთა ცნობილი ტომის ნაშთები რუსეთის ტერიტორიის სამხრეთით ცხოვრობდნენ. ეს ის ავარიელებია, რომელნიც V–VII საუკუნეებში ევროპაშიც ლაშქრობდნენ და მას შიშის ზარს ცემდნენ. მათი გადარჩენილი მცირე ნაშთები თემურ-ლენგს დაღესტანში ჩაუსახლებია შემდგომში რუსეთში შემავალი ტერიტორიებიდან.

XIV საუკუნის ავთენტური წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით, ავარიელები „სუფთა წყლის რუსებად“ იწოდებიან.

როგორ უნდა გავაანალიზოთ წყაროს ეს ცნობა – ავარიელების რუსებად მიჩნევა, მაშინ როცა ეს წყარო დაღესტანშივეა შედგენილი, ჩანს თვითმხილველის მიერ.

ირხანის ისტორიაში ავარიელთა რუსობა უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ ავარიელები იყვნენ რუსეთის ტერიტორიებიდან კავკასიაში ჩასახლებული ხალხი, უფრო სწორად იმ ტერიტორიებიდან, რომელნიც შემდგომ რუსეთმა დაიპყრო და წყაროს შედგენის მომენტში რუსეთის ტერიტორიად მოიაზრებოდა. წყარო უნდა აღნიშნავდეს იმ მომენტს, როცა თემურ-ლენგმა რუსეთის სამხრეთის სტეპებიდან მოსახლეობა შეიყვანა დაღესტნის მთიანეთში და მათი დახმარებით თითქმის მთლიანად შეცვალა მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოსახე. ხალხთა ამ გადასახლების შედეგად მთლიანად

შეიცვალა დემოგრაფიული სურათი, ასეთი ვითარება შუა საუკუნეებში იყო ჩვეულებრივი მოვლენა.

XX საუკუნეშიც კი და XXI საუკუნის დასაწყისში ისე შეიცვალა სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი დიდი ოლქის დემოგრაფიული სურათი, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც ცნობილი და გახმაურებულიც არ ყოფილა. მაგალითად, XX ს-ში შეიცვალა ჩრდილო სომხეთის ეთნოგრაფიული სახე და იქ მცხოვრები თითქმის ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი სხვაგან გადასახლდა. იგივე მოხდა აფხაზეთსა და ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთში, ამ ოლქებიდანაც თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი სხვაგან გადასახლდა. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო როგორც ვახუშტის ისტორიიდანაც ჩანს XIV-XV საუკუნეების კავკასიის მთებში.

თემურ-ლენგის მიზანმიმართული ქმედება ის იყო, რომ აუცილებლად შეეცვალა საქართველოს მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ეთნოგრაფიული ვითარება და იქ მცხოვრები ქართველობა დაემცრო ან გაეძევებინა სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის რელიგიის გამოყენებით.

თემურ-ლენგი იძულებული გახდა 8-ჯერ შემოსეოდა საქართველოს, რადგანაც ვერ შეძლო მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმება და საბოლოო დამორჩილება.

საქართველოს გაუტეხლობის მიზეზების ძიებისას შეწუხებულ თემურ-ლენგს აუხსნეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ძალებს იღებდა ჩრდილო კავკასიიდან, რომელთანაც საქართველო ერთ მთლიან ეთნო-რელიგიურ ერთეულს შეადგენდა.

თემური მიხვდა რომ საქართველოს დასამარცხებლად საჭირო იყო საგანგებო ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში, რათა შეეცვალა მისი დემოგრაფიული და რელიგიური სახე.

იმჟამად ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო, ქართველობასთან ბრძოლა იყო ქრისტიანობასთან ბრძოლა და პირიქით. ჩრდილო კავკასიაში ქართველობის მატერიალური განსახიერება იყო ქრისტიანული ეკლესიები, ქრისტიანული სალოცავები და თვითონ მოსახლეობის ქრისტიანული სარწმუნოება.

ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვა არ იყო ადვილი თემურისათვის, ამიტომაც მან ხერხი იხმარა და რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთში შეიყვანა უკვე მუსულმანურად მიჩნეული სხვადასხვა ტომები.

ახალი ჩეჩნური ტომები ხაზარეთის ყოფილი სახაკანოსაგან დარჩენილი ეთნიკური ნამსხვრევებისგან შედგებოდა, რომლებიც ჯერ კიდევ იყვნენ იუდაიზმის გავლენის ქვეშ, ახალი დაღესტნური ტომებიც ხაზარების იუდაიზმის გავლენას განიცდიდნენ. თემურის დროს ჩანს ისინი რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ასე თუ ავხსნით ირხანის ისტორიაში დართულ ცნობებს დაღესტნის ზოგიერთი თემის ებრაელობის და ზოგიერთი თემის რუსობის შესახებ.

მაშასადამე, წყაროს ცნობაში ტერმინით „ქართველი“ აღინიშნება დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა თემურის ლაშქრობათა ეპოქაში, ტერმინით „ებრაელი“ აღინიშნება თემურის ეპოქაში დაღესტანში დასახლებული ყოფილი ხაზართა სამეფოსაგან დარჩენილი იუდაური აღმსარებლობის მქონე ეთნიკური ჯგუფები, ტერმინით „რუსი“ აღინიშნება სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში ჩასახლებული სხვადასხვა ტომები.

დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა ქართველებად იწოდებოდა, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ სახელი, რომლითაც საქართველოს სხვა კუთხეებში იცნობდნენ, ეს იყო „ლეკი, ლეკეთი“. ლეკოსი ქართლოსის „თვისად“, ე.ი. ქართველთა თანამეტომედ მიიჩნეოდა სწორედ თემურ ლენგამდე. შემოსულმა ე.წ. „სინო-კავკასიურმა“ ტომებმა იქამდე ქართული წარმოშობის ლეკების ასიმილირება შეძლეს, რის შედეგადაც ახალი შერეული წარმოშობის ხალხი ჩამოყალიბდა, თუმცა დაღესტნის ზოგიერთ კუთხეში თავიანთი ქართული წარმომავლობა ახსოვდათ, რაც წყაროებით და დოკუმენტებით დასტურდება.

ბუნებრივია, დაღესტანში ქრისტიანობის დამარცხებისა, მუსულმანობის გამარჯვებისა და ახალი სალხის მკვიდრებზე გაბატონების ეპოქაში და შემდგომ, დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა იღებდა ისლამს და ისინი წარმოადგენდნენ დაღესტნის მოსახლეობის უმეტესობას, მაგრამ ისინი სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე მდგარი, დამარცხებულ-დამონებული ხალხი იყო, ხოლო გამარჯვებული მოსახლეობა, ანუ ახლად შემოსული ხალხი იყო დაღესტნის ახალი საზოგადოების ზედა ფენა, მმართველობა, რომელთა კულტურა ანუ ისლამის სარწმუნოება სავალდებულო იყო ყოველი თემისათვის. ალბათ, შესაძლებელი არის ასეთი სახით წარმოვიდგინოთ კავკასიის მთებში ახალი ენებისა და ახალი ეთნოსების ჩამოყალიბება XIV–XX საუკუნეებში.

ვახუშტი ბატონიშვილი ასევე აღწერს თანამედროვე ოსი ხალხის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ისტორიულ ოლქ დვალეთში ცხოვრობდნენ მკვიდრი დვალი ქრისტიანები, მათი ქვეყანა დაიპყრო შემოსული ოსების მცირერიცხოვანმა, მაგრამ ორგანიზებულმა ხალხმა, ისინი გაბატონდნენ და შეიქმნენ დვალეთის ახალი საზოგადოების ზედა ფენად, დაბალი ფენა – „გლეხები“ იყვნენ უუფლებო და დამორჩილებული მკვიდრი დვალები. XVIII საუკუნეში ისინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ თავიანთ დვალურ კილოზე, რომელიც მათ საბოლოოდ დაივიწყეს და მიიღეს ზედა ფენის ოსური ენა, დაივიწყეს თავიანთი ძველი იდენტობა, ჩამოუყალიბდათ ახალი ოსური თვითშემეცნება, ანუ ჩამოყალიბდა ახალი ერი ძველი ეთნოსუფსტრატის საფუძველზე.

მსგავსადვე, ასეთივე გზით ჩამოყალიბდნენ ახალი ერები. მაგალითად ლათინურ ამერიკაში ვთქვათ მექსიკელებისა, რომლის ეთნო საფუძველია დაბალი ინდიური წარმოშობის ტომები, რომელთა კონსოლიდაცია ახალ ერში მოხდა შემოსული ზედა ფენის რელიგიისა და კულტურის გათავისების საფუძველზე.

არ არის გამორიცხული, რომ მსგავსადვე ჩამოყალიბდა კავკასიის ეთნოსები XIV–XX საუკუნეებში.

კავკასიის მრავალრიცხოვანი ეთნოსები თუ ტომები მკვიდრი ადგილობრივი დამარცხებული უმრავლესობისა და შემოსული გამარჯვებული უმცირესობის ურთიერთშერწყმით უნდა ჩამოყალიბებულიყო უმცირესობისაგან შედგენილი ზედა ფენის ჰეგემონობით, ეს ზედა ფენა იქცა დვრიტად, რომელმაც სრულებით შეძლო ასიმილირება მკვიდრი მოსახლეობისა თავისი ადათისა და რელიგიის წიაღში.

თავდაპირველად, დაახლოებით XV–XVI საუკუნეებში, დაღესტნის მოსახლეობის დაბალი ფენის ენა ქართული ან მისი დიალექტი უნდა ყოფილიყო, რომელიც დაფარულად გამოიყენებოდა ოჯახებში, ალბათ უფრო მოხუცი ქალების მეტყველებაში, ოფიციალურად კი ზედა ფენის ენა იქნებოდა სავალდებულო.

ამავე დროს ალბათ ხდებოდა ახალი საზოგადო ენის წარმოქმნა ადგილობრივი და შემოსული ზედა ფენის ენის ურთიერთშერწყმით. რადგანაც დაღესტანში მრავალი სხვადასხვა წარმოშობის ტომი შემოიყვანა თემურის ისლამიზაციის პროცესმა, შესაბამისად მრავალი ახალი ენა, დიალექტი და ენაკავები ჩამოყალიბდა (რომელთაც ალბათ რაიმე საერთო ექნებათ).

ფ. ტახნაევა აზოგადებს ერთერთ სოფელში არსებულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც სოფელი ოდესღაც დაუარსებია სამ სომეხ ძმას. ამ განზოგადების შედეგად ნ. მარის თეორიის საფუძველზე მკვლევარი მიიჩნევს, რომ VI–VII საუკუნეებში დაღესტანში „სომეხს“ უწოდებდნენ არა ეთნიკურ სომეხს, არამედ აღმსარებლობით მონოფიზიტს, რომლის ცენტრიც სომხეთი იყო. ასევე მიიჩნევს, რომ დაღესტანში ალბანურ ეკლესიასაც ჰქონდა გავლენა, მაგრამ, რადგანაც მისივე სიტყვით VII საუკუნეში არაბებმა ალბანური ეკლესია დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, ამიტომ ალბანურმა ეკლესიამ დაკარგა თავის ძალა თვით ალბანეთშივე, ხოლო დაღესტანში მით უმეტეს. მისი სიტყვით, ყველა მონოფიზიტს „სომეხს“, ხოლო დიოფიზიტს „ქართველს“ უწოდებდნენ.

ნ. მარის ამ თეორიით თითქოსდა შესაძლებელია განვმარტოთ „ირხანის ისტორიაში“ ნახსენები ინფორმაცია, რომ დაღესტნის გავლენიანი თემები „ქართველებით“ იყო დასახლებული ისე, თითქოსდა წყარო ამ „ქართველების“ ქვეშ გულისხმობს არა ეთნიკურ ქართველებს, არამედ სარწმუნოებით მართლმადიდებლებს, მაგრამ მაშინ როგორც ითქვა აუხსნელი დარჩება „ირხანის ისტორიის“ ცნობა ხუნძახელების „რუსობის“ და სხვა თემების „ებრაელობის“ შესახებ, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემეული თვალსაზრისი უფრო მეტად ხსნის ირხანის ისტორიის ცნობებს.

არასწორი უნდა იყოს ფ. ტახნაევას მტკიცებანი, რომ VI–VII საუკუნეებში დაღესტანი მონოფიზიტური აღმსარებლობის ქვეყანა იყო, საფიქრებელია, რომ ასომთავრული წარწერების სიმრავლე აღმოჩენილნი დაღესტანში სხვას მიუთითებს.

ასომთავრული წარწერები დამახასიათებელი იყო I ათასწლეულში, უფრო მეტად IX–X საუკუნეებამდე. II ათასწლეულში ნაკლებად გამოიყენებოდა ასომთავრული, რადგანაც ნუსხახუცურმა ის თითქმის ჩაანაცვლა,

თუმცა ალბათ გამონაკლისებიც იყო, რაც დამატებითაა შესასწავლი. ასომთავრული ჯვრებზე, საქართველოსთვის დამახასიათებელი ქრისტიანული სიმბოლო იყო სწორედ VI–VII საუკუნეებში, დაღესტანში კი ისინი მრავლად აღმოჩნდა, ეს მიუთითებს, რომ იმთავითვე, უკვე VI საუკუნიდანვე (როცა საქართველოს მთიანეთში ზოგადად განივრცო ქრისტიანობა), დაღესტანიც ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფეროში შედიოდა.

ავარიის ცენტრები – ანდალალი და გიდატლი, არქეოლოგიური და სხვა ძეგლების მიხედვით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ფ. ტახნაევას დასკვნით. მით უფრო რომ „ირხანის ისტორიით“ გიდატლის მოსახლეობა – **„ხიდის ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად, ხოლო ადგილობრივი გადმოცემით სოფლების – ბაცადა, უნტი, შულანი და გულაბი მიმდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა „გურჯიხლებად“, რაც ავარიული ენით ითარგმნება როგორც „ქართველობა“.**

„ირხანის ისტორიაში“ დაღესტნის მნიშვნელოვანი თემის ზედა ფენასაც ქართული ტერმინებით **„თავადობად და აზნაურებად“** იწოდებოდნენ. ავარიაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურსაც ქართული სახელი „ნაცვალი“, ჰქონდა ფ. ტახნაევას აზრით ის იყო ერისთავის ნაცვალი, ალბათ მაჭის ერისთავისა.

სახელი ნაცვალი შემდგომ ტრანსფორმირდა როგორც ნუცალი (აღსანიშნავია, რომ ერთ დროს კახეთსაც ეპისკოპოსის ნაცვალი ქორეპისკოპოსი მართავდა).

დაღესტანში აღმოჩენილი ქართული ეკლესიების უმრავლესობაც ავარიის ტერიტორიაზეა, ეს ეკლესიები როგორც აღინიშნა მდებარეობდნენ სოფლებში: რუგაჯა, ნაკაზუხი, ზაიდი, იხოდა, ტადრაალი, ხუნძახი, ამიტლი, არკასი, დათუნა და სხვა.

შესაბამისად, ამ საფუძველზე ავარიაში აღმოცენდა კიდეც ქართული საეკლესიო ოლქი **ხუნძეთის საკათალიკოსო,** რომლის მეთაურიც კათალიკოსი ოქროპირი მოიხსენება XIV საუკუნის სინოდიკში.

სულ მცირე ხუნძახის საკათალიკოსოში ორი ეპარქია – ანწუხისა და ხუნძახისა მაინც შედიოდა. ეს საკათალიკოსო ალბათ განსაკუთრებით გაძლიერდა გიორგი ბრწყინვალის (1314–1346) დროს. საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ ჩანს, 1310–1318 წლებში მოინახულა ხუნძეთი და მისი ეკლესიები.

თემური ჩრდილო კავკასიაში 1395–1396 წლების თავის სამხედრო კამპანიას 10 წელი ამზადებდა, საქართველოში 1386 წლის შემოჭრის შემდეგ.

მიუხედავად მისი შეჭრისა ავარიის ცენტრმა – გიდატლმა მხოლოდ 1475 წელს მიიღო საბოლოოდ ისლამი, ე.ი. თემურის შეჭრიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ერთი საუკუნე იგერიებდა ისლამის მიმდევრების შეტაკებებს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ავარიის პატარა ეროვნებებმა ფ. ტახნაევას სიტყვით კიდევ უფრო გვიან მიიღეს ისლამი. იქამდე ისინი ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ. სახალხო თქმულებები მიუთითებენ მათ სოფლებში ქრისტიანული ეკლესიების არსებობას, არქეოლოგების მიერ სოფლებში აღმოჩენილია ქრისტიანული სამა-

როვნები. მათ ისლამი ზოგიერთი მკვლევარის აზრით XVII–XVIII საუკუ-ნეებში მიიღეს. ფ. ტახნაევას კვლევით XIV ს-ში, ცნობილია, რომ ამ რეგიონში ისლამი შესულა გიდატლის ცენტრიდან – სოფელ ურატადან.

კიდევ უფრო გვიან მიიღო ისლამი მაღალმთიანი დაღესტნის სხვა რეგიონებმა, მათ შორისაა კახეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი მაღალ მთაში – დიდო.

დიდოეთი იყო კახეთის ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული და იმართებოდა „მოურავის“ მიერ, ამასთანავე დიდოეთი იყო ერთერთი სამ-ხედრო ოლქი კახეთის სამეფოსი და დიდოს სამხედრო ოლქი იმართებოდა სასულიერო პირის – ეპისკოპოსის მიერ.

XV ს-ში იწყება გიდატელების ე.წ. „გაზის ლაშქრობები“ დასავლეთ და-ღესტანში, კერძოდ კი დიდოში, მათ მხარს უჭერდნენ ავარიელი და კუ-მუხელი ხანები, დიდოელებმა ამის გამო შეიცვალეს თავიანთი პროქართული ორიენტაცია.

ანწუხელებმა და კაპუჩინელებმა გიდატლის და ხუნძახის წნეხის შედეგად ისლამი მიიღეს XVI–XVII სს-ში. ამის შემდეგ ანწუხი და კაპუჩა თვითონ გადაიქცა ისლამის ფორპოსტად (ფ. ტახნაევა).

ავარიის ქრისტიანობამ, რომელიც წარმატებული იყო VIII–XIV სს-ში, თემურის შემდეგ დაკარგა პოზიციები. ამის მიზეზი იყო ასევე საქართველოს დაშლა 1466 წელს. თემურის შემოსევამდეც ქრისტიანობამ დაკარგა თვისი სახელმწიფოებრივი რელიგიის პოზიცია ავარიაში, თემურის შემოსევამ 1395–1396 წლებში ეს პროცესი დაასრულა. მხოლოდ ჩრდილო კავკასიის დამორ-ჩილების შემდეგ შეძლო თემურმა საქართველოს ასე თუ ისე დაქვემდებარება, მისი ბოლო ლაშქრობა საქართველოში 1403 წლით თარიღდება.

„კახნი გარდაბნელნი“ და ორი გარდაბანი

„მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ხაზართა მეფის ხაკანის სპასალარს გამოუვლია გზა **ლეკეთისა** და შესულა კახეთში.

შესაძლოა „გზა ლეკეთისა“ ერქვა თანამედროვე ვართაშენიდან ანუ ოგუზიდან სოფელ ფილფილას გავლით ჩრდილოკავკასიაში, დაღესტანში, მდინარე სამურის ხეობაში შესასვლელს, საიდანაც გზა მიემართება კასპიის ზღვისა და დერბედისაკენ, აქედან გზა შედიოდა ხაზარეთში, ამიტომაც შესაძლებელი არის არჩილის მიერ აგებული ციხე-ქალაქი **ნუხპატი** ამ გზას აკონტროლებდა და სამურის ხეობიდან ვართაშენისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. აქ ყოფილა კახეთის ის ციხე, რომელსაც შემოადგნენ ხაკანის სპასალარის ჯარები, მათ ტყვედ ჩაუგდიათ არჩილის შვილი ჯუანშერი და მისი და შუშანი. შუშანის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევა 764 წელი.

ხოსროიან მეფეთა (არჩილისა და მირის) შემდეგ **„განადიდნა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა, ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“** (ქ.ც., ტ. I, 1955, გვ. 252).

ამის გამო აშოტის მემკვიდრე ბაგრატიონ მეფეებს არჩილ მეფის ყოფილი სამეფოს საზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი, მათ შორის კახეთი, თავისად მიაჩნდათ და ვერ ეგუებოდნენ კახეთის დამოუკიდებელ მმართველებს.

კერძოდ, აშოტ კურაპალატის სამფლობელოს საზღვარი ჩრდილოეთით ყოფილა მდ. ქსანი, ხოლო აღმოსავლეთით ქალაქი ბარდავი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა), მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა კახეთის მთავარ გრიგოლის ხელში ყოფილა. აშოტი გრიგოლის დამოუკიდებლობას არ ცნობდა. აშოტის მხარეზე ყოფილა აფხაზთა მეფე თევდოსი, ხოლო გრიგოლს კახეთის მთიელები, წანარები და თბილისის ამირა შველოდა.

„შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა, რომელ ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 253).

ამის შემდეგ არაბებს კვლავ დაუპყრიათ ქართლი და ჰერეთი – „და მოკლეს აშოტ კურაპალატი **გარდაბანს**, ეკლესიასა შინა და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“ (იქვე, გვ. 253).

აშოტ კურაპალატის მკვლელობის ადგილის შესახებ ორი ცნობა არსებობს. ერთის მიხედვით ის **გარდაბნის** ეკლესიაში მოკლეს, მეორე ცნობით კლარჯეთში.

გარდაბანიც თავის მხრივ საქართველოში ორ მხარეს ერქვა ერთი იყო ქვემო ქართლისკენ, მეორე კი ალაზნის მიმდებარედ.

მემატიანეს კომენტატორის ცნობით **„გარდაბანი – ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“** იყო (ქ.ც., ტ. I, გვ. 254).

უნდა ვივარაუდოთ, რომ **„ალაზნის გაღმართი ჩაყოლების“ გარდაბანი ერქვა ალაზნის ხეობაში მდებარე ამჟამინდელ ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს, შესაძლოა შაქთან ერთად.** ამას მემატიანის სხვა მინიშნებებიც ეთანადებიან.

საერთოდ, ამ რეგიონში „გარდ“, „გარ“ ფუძე-ძირის მქონე სახელები სხვაცაა, მაგალითად, **გარგარ**ელთა ტომი ბარდავის მიმართულებით ცხოვრობდა, სტრაბონი **გოგარ**ენს უწოდებს „მტკვრის იქით მხარეს“ ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას – სავარაუდოდ, შაქ-კაბალას რეგიონებს, მსგავსადვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას თბილისის სამხრეთით სომხურ წყაროებში **გუგარ**ქი ანუ **გუგარ**თა ქვეყანა ერქვა. სიტყვები **გარდაბანი, გოგარენა, გუგარქი, გარდმანი და გარგარი** – ერთი ეტიმოლოგიური წარმოშობის უნდა იყოს და დაკავშირებული უნდა იყოს ფუძე ძირ

„გარდ“-თან.

„გარდ“ ანუ „ქართ“ – ქართველთა ეთნოთვითსახელწოდებაა.

ქართველი, ანუ **გარდ**უელი საერთო ფუძისეული სიტყვაა, რომელზეც აგებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული სახელები.

გარგარელებიც შესაძლოა ქართულ ეთნოსთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა. მათი ენა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ის მკვდარ ენათა ჯგუფს განეკუთვნება.

ყოველ შემთხვევაში კახეთი და კახელები გარდაბანთან არიან დაკავ-შირებული მატიანე ქართლისას მიერ. მაგალითად, მემატიანე წერს: „გამო-ვიდა საჰაკ ამირა ტფილელი ლაშქრით... და მოვიდეს **კახნი გარდაბნელნი** შველად საჰაკისა“ (ქ.ც. I, გვ. 255).

„კახნი გარდაბნელნის“ სახელის ხსენება საფუძველს იძლევა ვიგულისხმოთ, რომ გარდაბანი ანუ „ალაზნის იქითა ჩაყოლება“ ეთნიკურად კახელებით იყო დასახლებული, ამიტომაც წერს მემატიანე – „მოვიდეს **კახნი გარდაბნელნი“.** კახელები გარდაბნის გარდა კიდევ სხვა მრავალ რეგიონებშიც ცხოვრობდნენ, ამიტომაც განმარტავს მემატიანე, რომ ის კახელები, რომელნიც საჰაკის მხარეს იბრძოდნენ – გარდაბნის ქვეყნელები, **ალაზნის გაღმართი ჩაყოლების მცხოვრებნი იყვნენ, ამ ქვეყანას მაჭის საერისთავოც დაერქვა შემდგომ.**

როგორც ითქვა, აშოტ კურაპალატის აღზევებას ხელი შეუშალა ქართ-ლში კვლავ შემოჭრილმა არაბების ლაშქარმა, რომელსაც ხალილი მეთაუ-რობდა. აშოტის მკვლელობის შემდეგ ისინი კვლავ დაეუფლნენ ქართლს. ხალილმა თბილისის ამირად დატოვა ალი შუაბის ძე, თვითონ კი უკან დაბრუნდა.

„მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბნელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოანე ქუაბულის ძისა, და შემდგომად მისსა დასვეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური და კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი, შეიბნეს გარდაბნელნი გავაზს და გააქციეს ხალილ და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი და კუალად დაჯდა ტფილისს ამირად საჰაკ ისმაილის ძე. ხოლო ხალილ მივიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს“ (იქვე, გვ. 255).

თბილისის ამირა საჰაკი არ ემორჩილებოდა არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას, ამიტომაც ის ტახტიდან გადააყენა ხალილმა და მის მაგიერ ამირობა უბოძა ალი შუაბისძეს, ამის შემდეგ **გარდაბნის** კახელები შეებრ-ძოლნენ გავაზთან საქართველოში მეორედ შემოჭრილ ხალილს და დაამარ-ცხეს, თბილისის ამირობა ამის შედეგად უკან დაიბრუნა საჰაკმა. მაშასადამე, საჰაკი და **კახნი გარდაბნელნი** ერთიანი ძალებით ებრძოდნენ ბარდავში დამკვიდრებულ ხალილსა და მის მომხრეებს.

ხალილის სიკვდილის შემდეგ მის ძეს მოჰამედს მიემხრო ბაგრატ კურაპალატი – აშოტ კურაპალატის ძე „და მისცა მას ქართლი“ (იქვე, გვ. 255). ამას არ შეეგუენ **„კახნი გარდაბნელნი“** და თბილისის ამირა საჰაკი და შეებრძოლნენ რეხთან მოჰამედსა და ბაგრატ კურაპალატს. ამის შემდეგ მოჰამედი გაიქცა ბარდავში.

გარდაბნელების ქვეყანაში მდებარეობდა პუნქტი ძველი გავაზი, რასაც მემატიანე აღნიშნავს კიდეც.

ძველი გავაზი ლაგოდეხის რაიონში მდებარეობდა. მაშასადამე, **„გარდაბანი ალაზანს გაღმართი ჩაყოლება“, ის, როგორც ითქვა ლაგოდეხ, ზაქათალა, ბელაქან, კახის რეგიონს მოიცავდა.** მას დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ არაბთაგან და ძლიერ ძალად წარმოჩნდა, კახ-გარდაბნელებს მათ მიერვე ამორჩეული ქორეპისკოპოსი მმართველობდა.

გარდაბნელებს საერთო კრება მოუწყვიათ, სადაც ქორეპისკოპოსად ჯერ დაჩი დაუდგენიათ, მის შემდეგ კი სამოელ დონაური. დაჩი იაონე ქვაბულის შვილი იყო, გამოჩენილი საგვარეულოდან (ქვაბულისძენი). ისინი ქორეპის-კოპოსები ყოფილან **გარდაბნელებისა**, კახეთის საქორეპისკოპოსოს სახელით ცნობილი პოლიტიკური ერთეულისა. ქორეპისკოპოსი – საეკლესიო ტერმინია და ნიშნავს ეპისკოპოსის ნაცვალს, იმ დამხმარე სასულიერო პირს, რომელსაც სოფლების, შორეული კუთხეების სასულიერო მმართველობა ევალება.

მაშასადამე, კახეთის, ანუ გარდაბნის ქორეპისკოპოსები ყოფილან სასულიერო პირები – ეპისკოპოსის დამხმარენი.

რომელი ეპისკოპოსი იგულისხმება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი იყვნენ ქართლის კათალიკოსის ქორეპისკოპოსები. მაგრამ, იმჟამად, ქართლის კათალიკოსები არაბობის გამო სამცხე-ჯავახეთში იყვნენ გადასულნი, რად-განაც **„გარყვნილ იყო საყოფელად მცხეთა“** ანუ მცხეთა იმჟამად (არაბთაგან დანგრევის გამო) კათალიკოსის საცხოვრებლად უვარგისი გამხდარა. კათალიკოსის სამცხეში გადასვლის გამო ცნობილი საეკლესიო კრებებიც სამცხე-ჯავახეთში ჩატარდა გრიგოლ ხანძთელისა და სხვათა მონაწილეობით.

თვითონ კახეთ-გარდაბნის მხარეშიც იყო საეპისკოპოსო, ზემოთ ხსენე-ბული საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს 1310 წლის მოგზაურობიდან ჩანს, რომ მცხეთა ამ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ასევე უნდა ყოფილიყო 840–860-იან წლებში, როდესაც საქორეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, აღმსარებლობით ეს მხარეები არა მონოფიზიტური, არამედ ქალკედონიტური ყოფილა, რადგანაც ქორეპისკოპოსი ქალკედონი-ტური მცხეთის ერთერთი სასულიერო ხელმძღვანელი იყო, რომელსაც ჩანს საერო ფუნქციებიც მიენიჭა და ის თავის ქვეყანას საერო მხრივაც მართავდა, რადგანაც ლეგიტიმური საერო ხელისუფლება მკვეთრად იყო შეზღუდული და განადგურებული არაბთა მიერ. მათ ჯერ არჩილი ხოსროიანი მეფე აწამეს, შემდეგ კი აშოტ ბაგრატიონი.

კახეთის ქორეპისკოპოსების ქალკედონიტობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ჰერეთი მონოფიზიტური იყო ვიდრე დინარა დედოფლამდე ანუ X საუკუნემდე.

ესაა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც, სამწუხაროდ ყურადღება არ ექცევა, რომ ჰერეთი ერქვა კახ-გარდაბნის იქით, შაქის პროვინციის მარჯვნივ მდებარე კაბალასა და მის მიმდებარე სანახებს, ვიდრე შამახამდე და არა კახ-ზაქათალა-ბელაქან-ბოდბე-დავით-გარეჯას რეგიონს, როგორც ეს მიჩნეულია ამჟამად.

თბილისის განდგომილი ამირას დასასჯელად ქართლში შემოიჭრა ბუღა თურქი, მან მოკლა თბილისის ამირა საჰაკი, მას მიემხრო ბაგრატ კურაპალატი.

აფხაზთა მეფეები და გარდაბნელები ეომებოდნენ ბუღას ჯარებს – **„დაუდგეს წინ გარდაბნელნი და ავნებდეს დიდად ლაშქარსა“** (იქვე, გვ. 256).

თოვლის მოსვლის შემდეგ ბუღა **„შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს და შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო და შემუსრა**

გარდაბანი. განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი და დასხნა იგინი შანქორს“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 256). აქედან ჩანს, რომ გარდაბანში _ „ალაზნის იქითა ჩაყოლების“ გარდა ჩანს შამქორიც ანუ რანის ერთი ნაწილიც მოიაზრებოდა, სადაც მტერს ხაზართა 300 ოჯახი დაუსახლებია.

ამ დროისათვის ქორეპისკოპოსად გაბრიელ დონაური, სამოელ ქორეპისკოპოსის ძმა და სხვანი ყოფილან (იქვე, გვ. 257). მემატიანე მათ შემდეგ ასახელებს კახთა ქორეპისკოპოსებს გაბრიელ დონაურს და ფადლა არევმანელს, ამ უკანასკნელს ბრძენ კაცსა და საქმის მცოდნეს უწოდებს (იქვე, გვ. 259). ისინი ყოფილან ბაგრატ კურაპალატის ძის დავით მეფე კურაპალატის დროს, ხოლო მეფე ადარნასე კურაპალატის დროს იხსენიებიან ქორეპისკოპოსები ფადლა და კვირიკე – **„ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბნელნი და შემდგომად მისა დაჯდა კვირიკე ქორეპისკოპოსად“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 262).

კახ-გარდაბნის ქვეყანა და ჰერეთი ერთმანეთს ებრძოდნენ.

ჰერეთი ამ დროისათვის გაძლიერებული იყო არაბთა მიერ.

იმ დრომდე კახეთში შემავალი შაკიხის მეპატრონე ბაგრატიონები გაძლიერდნენ და მათ შეძლეს ჰერეთის ანუ კაბალის ქვეყნის დამორჩილება ვიდრე შამახამდე.

ამის გამო ჰერეთის მპყრობელებად შაკიხელი ბაგრატიონები გადაიქცნენ, მათ ჰერეთის მეფის ტიტული მიანიჭეს არაბებმა და დაიწყეს თავიანთი სამეფოს საზღვრების გაფართოვება.

ჰერეთის სამეფო გაძლიერდა და შეძლო კახ-გარდაბნის, მისი მეზობელი ტერიტორიის დაპყრობა, მათ შორის ყოფილა ვეჟინის ციხეც.

გარდაბანის პოლიტიკური ერთეული ბუღა-თურქის ლაშქრობის შემდეგ კიდევ უფრო, მკვეთრად დაემცრო. მან დაკარგა ძირითადი ტერიტორიები – „ალაზნის გაღმა მხარის“ სამხრეთი ნაწილი და საზღვარი გავაზთან იქნა გავლებული, სხვა ტერიტორიები ჰერეთში აღმოჩნდა.

გარდაბნის პოლიტიკური ერთეული ამ დამცრობის შემდეგ კვლავ აგრძელებდა არსებობას – ახლა უკვე მისი ძირითადი ნაწილი გახდა კახეთის ჩრდილო მხარე. ყოფილი კახ-გარდაბანის ერთი ნაწილი ჰერეთში მოექცა, მაგრამ მისი უკან დაბრუნებისათვის კახელები დიდად იღწოდნენ.

ქვეყანა არაბების გამო აოხრებული იყო, ხალხის რაოდენობა შემცირებული, ამიტომაც წერს მემატიანე – **„შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქვეყანა, მაშინ უხმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო და კვირიკე ქვემოთ და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის ჯვარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭობი“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 264).

მაშასადამე, კახეთის საქორეპისკოპოსო და აფხაზთა სამეფო ერთიანი ძალით იბრძოდნენ კახეთის ძველი ციხეების გასათავისუფლებლად ჰერებისაგან. თავის მხრივ ჰერელებს ეხმარებოდა ქართველთა (ტაო-კლარჯეთის)

მეფე. საბოლოოდ მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდა კახეთს. ამ შველის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ძველი ქართლის სამეფოს არჩილ მეფის დროინდელი მემკვიდრეობა თავიანთად მიაჩნდათ კლარჯეთის „ქართველთა მეფეებს“, მოითხოვდნენ არჩილ მეფის კახურ ტერიტორიებს და კახეთის ბრძოლა თავისუფლებისათვის მათ სეპარატიზმად მიაჩნდათ, მათ წინააღმდეგ არაბულ ძალებს ემხრობოდნენ.

აფხაზთა მეფე გიორგის დროს გარდაიცვალა კვირიკე ქორეპისკოპოსი და მის ნაცვლად დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა, ძე კვირიკესი. ამან ააგო ციხე ლოწობანთა (იქვე, გვ. 265). ამ ეპოქაშივე ცხოვრობდა ჰერეთის დედოფალი წმ. დინარა – **„ჰერეთსავე მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცევინა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან და სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადრაბაგანი“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 266).

გარდაბანი – ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ბუღა თურქის შემდეგ უკვე არა კახეთის, არამედ ჰერეთის ქვეშ მოიაზრება, ასეთი ცვლილება მოახდინა ბუღა თურქის ლაშქრობის შედეგად „გარდაბნის შემუსვრამ“ (გარდაბანი შემუსრა ბუღამ) და ჰერეთის გაძლიერებამ.

როგორც აღინიშნა ბუღა თურქის შემდეგ კიდევ უფრო განივრცო ჰერეთი, მიზეზი ამისა ის იყო, რომ გარდაბან-კახე-თის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ თბილისის იმ ამირებს, რომელნიც ბარდავრანში დამკვიდრებულ არაბთა სხვა სარდლებს მტრობდნენ. ამის გამო ჰერეთის მეფე მთავრები რან-ბარდავის მფლობელებს ემხრობოდნენ. საბოლოოდ ბუღა-თურქმა დაამარცხა თბილისის ამირები, რომლებსაც გარდაბანის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ. **ეს იყო კახ-გარდაბნელთა დიდი პოლიტიკური მარცხი. ისინი ბრძოლის ველზეც დაამარცხა ბუღამ და კახ-გარდაბანიც შემუსრა.** ამ მიზეზის გამო, გარდაბანი ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ჰერეთში აღმოჩნდა IX საუკუნის შემდეგ.

X საუკუნესა და შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მთავრები აფხაზთა მეფეების შემწეოთ ცდილობდნენ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლების“ უკან დაბრუნებას, ეს მათ იმჟამად ვერ მოახერხეს. „ქართველთა მეფეები“ ანუ ტაო-კლარჯეთის მეფეები ჰერეთის მფლობელებს უჭერდნენ მხარს.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჰერეთიც და კახეთიც ერთიან სამეფოში მოექცა. ასე, რომ **კახელებით დასახლებული გარდაბანი ანუ ალაზნის გაღმა მხარე – ბელაქნის, ზაქათალას და კახის რაიონები, შაქის ჩათვლით ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ჰერეთში იყო მოქცეული.** ის ყოველთვის ქალკედონიტური ანუ მართლმადიდებლური მხარე იყო იმ დროსაც როცა ჰერეთის ძირითადი ნაწილი მონოფიზიტური იყო.

ჰერეთის ძირითადი ნაწილი იწყებოდა ბარდაშენ-ვართაშენთან და ვიდრე შამახამდე იყო განვრცობილი ისიც X საუკუნეში ქალკედონიტური გახდა და მცხეთელი პატრიარქის იურისდიქციაში შევიდა. „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ საქართველოს პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, ამით უნდა ავხსნათ 1310 წელს მცხეთელი პატრიარქის აქ

მოგზაურობა, მის მიერ ამ მხარეში მდებარე წმ. ნინოს, წმ. არჩილის, წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიების მონახულება, მათ შორის ძველი მოვაკანისა და ელისენისა.

„ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანი“

ზაქათალა, ბელაქან, კახისა და შაქის რაიონები მუდამ კახეთში შედიოდნენ. მათი მომცველი რეგიონი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და კახეთის სამეფოს დაარსების შემდეგაც მუდამ კახეთის განუყოფელი ნაწილი იყო, უფრო მეტიც აქ მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს ცენტრები, სამეფო სატახტო ქალაქები – **ზაგემი, ბაზარქალაქი,** კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია **მაჭი** (VIII ს.) და **ბოეთანი** – კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია.

კახეთის ამ გულში იღებდნენ კახეთის მეფეები ელჩებს. ასე იყო შაჰ-აბასამდე, რომელმაც კახეთს ჩამოაჭრა ეს ნაწილები ისევე, როგორც ადრე ბუღა-თურქმა. შეიქმნა სასულთანო, შემდეგ კი საბუდარი დაღესტნელი ლეკებისა – ჭარ-ბელაქანი.

შაქი კიდევ უფრო ადრე დააშორეს კახეთს. მისი მოსახლეობა გამაჰმადიანდა.

ამ დროს კვლავ მიეცა ასპარეზი სომხურ ეკლესიას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიაში მოექცა. პასკევიჩის დროს და მის შემდეგ 1820–30-იანი წლებიდან აქ ჩამოასახლეს ყარაბაღელი სომხები. მათ აქ ძირითადად გამაჰმადიანებული ყოფილი კახელები დახვდათ, მათი სოფლები მოფენილი იყო იმ ძველი ტაძრებით, რომელნიც ერთ დროს საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა.

მონოფიზიტთა ერთი ჩვეულება ექვთიმეს დოკუმენტშიც არის აღწერილი – ესაა სხვისი სასულიერო საკუთრების მითვისება – კერძოდ ექვთიმეს დროს მათ პეტრე ლაგაძის მიერ დაწერილი წიგნი „ალვანიის ისტორია“ მიუთვისებიათ, პასკევიჩის დროს კი ქართული ტაძრები – ამ რეგიონისა – მიისაკუთრეს.

1310 წლის დოკუმენტში ნაბრძანებია – **„ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან – ვინმე სომეხმა გარყვნა იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“** (1310 წლის მაღალაშვილისეული სახარება, კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, 1941, გვ. 314-315).

ტექსტში სიტყვა „გარყვნა“ წაშლილია და მისგან მხოლოდ ორი ასო დარჩენილა „გა“, კეკელიძის აზრით აქ ეწერა „გადაიღო“. ტექსტის გამრყვნელს საბოლოოდ მთელი წიგნი მიუთვისებია და ავტორად თავის თავი გამოუცხადებია – ეს კი მათ „ადვილად დაიჯერეს ჩვეულებისამებრო“ ნათქვამია დოკუმენტში.

პასკევიჩის დროს ყარაბაღელ სომხის სასულიერო პირებს უპატრონოდ მიტოვებულ ზაქათალა-ბელაქან-კახის რეგიონში ქართული ეკლესიებისათვის სახელები შეუცვლიათ.

კერძოდ – ვარდაშენის წმ. წინასწარმეტყველ ელიას ტაძრისთვის უწოდებიათ წმ. ელიშეს სახელი – ელიშე ალბანეთის განმანათლებლად მიიჩნევა და ალბათ ამ მიზეზით.

შაქის ეკლესიისთვის წმ. რიფსიმეს სახელი უწოდებიათ, მაშინ, როცა 1310 წლის დოკუმენტში ასეთი სახელის მქონე ეკლესია არ ჩანს, აქ იხსენიება ლექართის წმ. ნინოს ეკლესია.

ქიშ-ნუხის, ანუ გიშის ეკლესიისათვის სახელი არ შეუცვლიათ – ის დარჩა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა.

ასევე წმ. გიორგის სახელი არ შეუცვლიათ ზარის ანუ ზაიზიტის ეკლესიისათვის. სამაგიეროდ ქართული წარწერები სომხურით შეუნაცვლებიათ. მრავალი სომხური წარწერა XIX საუკუნით თარიღდება. ეს შეეხება ძირითადად შაქი-ვარდაშენის (ოგუზის) რეგიონს, ასევე მოხდებოდა კაბალას (კუტკაშენის) რეგიონშიც.

როგორც აღინიშნა, გარდაბანი ერქვა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებს. კერძოდ უძველესი ხანიდან **„ბერდრუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე“** – გარდაბანი იყო. მაგრამ VIII–IX საუკუნეებში გარდაბანი ასევე ერქვა **„ალაზანს გაღმართ ჩაყოლებას“.** ეს მიწა – კახელებით იყო დასახლებული ქართლის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობებით, შემდეგ – ბუღა-თურქის დროს – ეს გარდაბანი ჰერეთს გადაეცა, საქართველოს გაერთიანების შემდეგ კვლავ კახეთის პროვინციაში მოექცა, საქართველოს დაშლის შემდეგ კი კახეთის სამეფოში XVII ს-მდე როცა შაჰ-აბასმა ის ჩამოაჭრა კახეთის სამეფოს, რამაც იქამდე მცხეთის პატრიარქის სამრევლო ამ მხარეებისა გაამაჰმადიანა, ნაწილი მართლმადიდებლებისა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, თუმცა მცირე ნაწილმა შეძლო თავისი ვინაობის შენარჩუნება.

კახ-გარდაბნის დასუსტება და ჰერეთის გაძლიერება

VIII ს-ში აშოტ კურაპალატის ძემ ბაგრატმა შეძლო თავის ხელში აეღო თავისი მამის, აშოტის მიერ მოპოვებული მიწა-წყალის მმართველობა, თავის ძმებთან ერთად. ის ემორჩილებოდა არაბთა ხელისუფლებას და ამიტომ მიემხრო ხალიფას მიერ გამოგზავნილ მხედართმთავარ მუჰამედს, ამ მუჰამედს ევალებოდა განდგომილი თბილისის ამირას საჰაკის დასჯა. საქმე ის იყო, რომ აფხაზთა მეფეები და თბილელი ამირები შეკავშირდნენ არაბთა სახალიფოსთან ბრძოლისას, ხოლო კლარჯი ხელმწიფეები პირიქით – სახალიფოს ემხრობოდნენ.

თბილელ ამირა საჰაკს შეებრძოლნენ მუჰამედი და ბაგრატ აშოტის ძე, მათ აიღეს უფლისციხე.

„კახნი გარდაბნელნი“ მივიდნენ უფლისციხესთან საჰაკის საშველად. დიდი ბრძოლის შემდეგ მუჰამედმა დატოვა საქართველო და ბარდავში გადავიდა.

საჰაკისა და მუჰამედის ურთიერთბრძოლა კვლავ გაგრძელდა, ამ ეტაპზე სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლისას აფხაზები, კახელები და თბილელები ერთად იდგნენ, შემდეგ ბუღა თურქის შემოსვლისას აფხაზთა და კახთა ძალები კვლავ ერთ მხარეს იბრძოდნენ. ბუღა თურქმა დასაჯა თბილელი ამირა საჰაკი, რომელიც არ ემორჩილებოდა სახალიფოს.

შემდეგ ბაგრატ კურაპალატის და ბუღა თურქის ჯარი შეებრძოლა და დაამარცხა აფხაზთა ჯარი, აფხაზთა მეფე იძულებული გახდა ემებნა უკან დასახევი გზა დასავლეთ საქართველოსკენ, ეს გზები ჩაკეტილი იყო, ამიტომაც ის იძულებული გახდა წასულიყო დვალეთის გზით. **„კახნი გარდაბნელნი“** წინ დაუდგა სახალიფოს ლაშქარს. ბუღა თურქმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა ჩრდილოეთის გზით გაქცეულ აფხაზთა მეფეს და სურდა კავკასიაში შესვლა, მართლაც მიაღწია ცხავატამდე, მაგრამ კახეთის გავლენის ქვეშ მყოფმა მთიულებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და არ შეუშვეს კავკასიის მთებში. ფაქტიურად „**კახ-გარდაბანელთა**“ წინააღმდეგობის გამო სახალიფოს გეგმა ჩაიშალა.

ბუღა თურქი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და დაეზამთრა ბარდავში, მან ისარგებლა იმ მომენტით, რომ გარდაბანი ახლოს მდებარეობდა ბარდავთან და მემატიანეს სიტყვით მან შეიპყრო **კახ-გარდაბანის** მთავარი, ვინმე ხუცისძე და შემუსრა გარდაბანი. ამ გარდაბნის ქვეშ იგულისხმება ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიაც. **გარდაბანს მემატიანე უწოდებს „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“.**

როგორც ჩანს, გარდაბნის ამ რეგიონში იმჟამად შედიოდა ასევე შამქორიც, ამიტომაც ბუღა თურქმა დარუბანდის გზით კასპიის ზღვის მხრიდან შემოიყვანა სამასი სახლი ხაზარები და „დასხნა იგინი შამქორს“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 256).

უძველეს დროს, როგორც მიიჩნევა, ერთ ოჯახში, ერთ სახლში დაახლოებით 80–100 კაცი ცხოვრობდა, ასეთ შემთხვევაში 300 სახლი შეადგენს 24000–30000 სულს, რაც დიდი რაოდენობაა იმ ოლქისათვის. ამ ჩამოსახლებით ბუღა-თურქმა შეასუსტა **კახ-გარდაბნელთა** ძალა.

ამასთანავე მან უნდა ითქვას ისიც, რომ IX საუკუნისათვის გარდაბანი დიდი ოლქი იყო და მასში არა მხოლოდ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“, ანუ ალაზნის მარცხენა სანაპირო, არამედ ალაზნის მარჯვენა სანაპიროცა და მტკვრის სანაპიროებიც შედიოდა, მასთან ახლოს იყო დმანისის ძლიერი ოლქი, ამიტომაც ბუღა თურქმა დმანისის რეგიონის დასუსტების მიზნით ჩრდილო კავკასიიდან შემოიყვანა „100 სახლი“ ოსური ოჯახი და **„დასხნა იგინი დმანისს“** (იქვე, გვ. 257), ამით **კახ-გარდაბნის** სამხედრო ძლიერება დასუსტდა.

ამ ეპოქაში კახთა ქორეპისკოპოსი ყოფილა გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა.

გაბრიელ დონაურის შემდგომ, კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა არევმანელი. ფადლას შემდგომ კი კახთა ქორეპისკოპოსი იყო კვირიკე. უჯარ-

მა იყო თბილისის ამირას ხელში, არაბებმა აიღეს ბოჭორმის ციხე და მიწა-წყალი უფლისციხემდე.

კახ-გარდაბნელთა დასუსტებამ საერთოდ შეცვალა პოლიტიკური სურათი, მნიშვნელოვნად შეიცვალა საზღვრები და კახეთი შემცირდა.

კახეთის გარდაბნის დასუსტებით ისარგებლა ჰერეთის მეფემ, მან შეძლო დაეპყრო კახეთის მიწები ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხარეს აიღო ვეჯინის ციხე.

დაუძლურების გამო, როცა კახეთის მიწაწყლის დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში აღმოჩნდა, კახეთის მთავრები იძულებულნი გახდნენ შეკავშირებოდნენ თავიანთ წინანდელ მტრებს აფხაზთა მეფეებს. კერძოდ კვირიკე ქორეპისკოპოსმა კახეთში მოიწვია აფხაზთა მეფე კოსტანტი და ისინი ერთიანი ძალით შეებრძოლენ ვეჯინის ციხეში გამაგრებულ ჰერეთელ მეციხოვნეებს, არიში და გავაზი აფხაზ მეფეთა ხელში გადავიდა, ხოლო კვირიკეს ხელში გადავიდა ორჭობი. მის შემდეგ მხარეები დაზავდნენ.

კვირიკე ქორეპისკოპოსის შემდგომ ახალ ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა კვირიკეს ძე, რომელმაც ლოწობნის ციხე ააშენა **„და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავ ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან. და სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგი“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 266).

კახეთი უფრო და უფრო მცირდებოდა, ერთ მხრივ მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში გადავიდა, ხოლო დასავლეთის მხარეს მის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა აფხაზთა სამეფო.

ფადლა ქორეპისკოპოსის შემდგომ კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა კვირიკე, მაგრამ კახელი გარდაბნელი აზნაურები მას გადაუდგნენ და მიემხრნენ აფხაზთა მეფე გიორგის, რომელიც თავისი ლაშქრით კიდევაც ჩავიდა კახეთში და მემატიანეს ცნობით გადაწვა ის, უკან დაბრუნების შემდეგ ჩადგა ატენის ციხეში, ხოლო ქართლის ერისთავად დანიშნა თავისი ძე ლეონი.

აფხაზთა ლაშქარი შეიკრიბა რათა კვლავ შესულიყო კახეთში. კახეთის ყველა ციხე გადავიდა აფხაზთა ხელში გარდა სამი ციხისა – ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა, რომელნიც შემდეგ აიღო აფხაზთა მეფემ, მალევე ყველა ციხე კვლავ დაიჭირა კვირიკე ქორეპისკოპოსმა. ამის მიუხედავად, კახეთის სამეფო თანდათან თავისთავადობას კარგავდა.

შემდგომ კვირიკე ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე გიორგის ძე ლეონი დაზავდნენ და ამ უკანასკნელმა თავისი ასული ცოლად მისცა კვირიკე ქორეპისკოპოსს, მალე ეს ქალი გარდაიცვალა. კვლავ დაიწყო ომი კახეთსა და აფხაზეთს შორის. კახეთის საზღვარი მუხრანამდე აღწევდა. კახეთის თავისთავადობა განამტკიცა აფხაზთა სამეფო სახლში დაწყებულმა არეულობამ.

კვირიკე ეპისკოპოსი დადგა შუამდგომლად დემეტრე აფხაზთა მეფისა და მის ძმას თეოდოსს შორის. მიუხედავად ამისა დემეტრემ თეოდოსს თვალები დაწვა, დემეტრეს სიკვდილის შემდგომ ბრმა თეოდოსი გამეფდა. ამ დროს კახეთის ლაშქარი მოადგა უფლისციხეს, ამიტომაც ქართლის

ერისთავმა იოანე მარუშის ძემ მოციქული გაუგზავნა დავით კურაპალატს და მოიწვია ის რათა ქართლში ელაშქრა, შესთავაზა ან თვით დაეჭირა ქართლი ანდა გადაეცა ჩრდილო ტაო-კლარჯეთ-სამცხის მმართველ ბაგრატ გურგენის ძისათვის რომელიც იყო აფხაზთა მეფის გიორგის შვილიშვილი, კერძოდ გიორგის ასულის წული **„რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 272).

დავით კაურაპალატი თავისი ლაშქრით მიადგა უფლისციხეს და ის უბოძა ბაგრატს და მის მამას გურგენს – **„ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად“** – წერს მემატიანე დავით კურაპალატის შესახებ.

სამხრეთ ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა თავის გარშემო შემოიკრიბა აზნაურები და მათ განუცხადა: **„ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“** (იქვე, გვ. 274).

აქედან ჩანს, რომ იმჟამინდელი საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ნაწილად იყოფოდა, ესენი იყვნენ ტაო, ქართლი, აფხაზეთი და კახეთ-ჰერეთი თბილისის საამიროსა და ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს გარდა.

იმჟამად მიწა-წყალი ქსანის ხეობამდე (ხანდახან მუხრანამდე ან უფლისციხემდე) კლარჯეთის ჩათვლით ქართლად იწოდებოდა, მას აშოტ I-ის მემკვიდრე – კლარჯი ხელმწიფეები მართავდნენ. კლარჯეთიდან – ბასიანამდე ტაოს ვრცელი მიწა-წყალი აშოტის ძის ბაგრატ ქართველთა მეფის მემკვიდრეების მიერ იმართებოდა. ამ შტოს ეკუთვნოდა დავით კურაპალატი – ქართველთა მეფე.

ქართლის მემკვიდრე ხელმწიფე იყო გურგენი, რომლის ვაჟი ბაგრატი დავით კურაპალატმა იშვილა.

ბაგრატის დედა გურანდუხტი იყო აფხაზთა სამეფოს მემკვიდრე, ამიტომაც ლეგიტიმურად მისი ძის ხელში აღმოჩნდა ტაო, ქართლი და აფხაზეთი, ის ქართველთა და აფხაზთა მეფედ იწოდა.

კახეთი, როგორც ითქვა, ქსანთან (მუხრანთან) იწყებოდა და ვრცლად ვრცელდებოდა სევანის ტბამდე ნახიჭევანის ჩათვლით. როგორც ითქვა, მისი ტერიტორია ძალზე შეამცირა არაბთა სახალიფომ და გადასცა ჰერეთსა და ტაშირ-ძორაკერტს. ამასთანავე კახეთის დასაუფლებლად აქტიურად იღწოდნენ აფხაზთა მეფეებიც. თავის მხრივ კახეთი ცდილობდა თავისი საზღვრები გადაეწია უფრო დასავლეთით, ამის გამო დავით კურაპალატის მიერ უფლისციხეში დატოვებული გურგენი, ძე მისი ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტი კახელებმა შეიპყრეს უფლისციხეში გამოლაშქრებისას. ამის გამო დავით კურაპალატი დიდი ლაშქრით ხელმეორედ მიადგა კახეთს. მას სასწრაფოდ გადასცეს გურგენი, ბაგრატი და გურანდუხტი, ასევე დაუბრუნეს უფლისციხე და ქართლი ვიდრე წირქვალამდე.

როგორც ითქვა, აფხაზთა მეფე გიორგის ძე ბრმა თეოდოსის დროს აიშალა სამეფოს საქმეები, ამიტომაც ივანე მარუშისძემ ინება, რათა აფხაზთა მეფეების ტახტზე აეყვანა თეოდოსის დის შვილი ბაგრატ გურგენის ძე დავით კურაპალატის შვილობილი. მას მხარი დაუჭირეს ქართლისა და აფხაზეთის

ერისთავებმა, დიდებულებმა და აზნაურებმა. მართლაც, ბაგრატი აფხაზეთში გაამეფეს. ქართლში მას თვით მისი დედის გურანდუხტის ზოგიერთმა დიდებულმა და აზნაურმა გაუწია წინააღმდეგობა, ბაგრატი მიადგა უფლისციხეს. თავისი დედისაგან აიღო უფლისციხე და დედამისი გადაიყვანა აფხაზეთში, ხოლო ბრმა ყოფილი მეფე თეოდოსი გაგზავნა ტაოში (დავით კურაპალატის კარზე) საცხოვრებლად.

ამავე დროს გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა კლდეკარის ბაღვაშთა საერისთავოს სახით, რომლის ხელში იყო ატენის ციხე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარე, თრიალეთი, მანგლისხევი და სკვირეთი. ის თითქმის არ ემორჩილებოდა ბაგრატ მეფეს. მალე ის დაიმორჩილა აფხაზთა მეფემ და ბაღვაშები კვლავ არგვეთს დაუბრუნდნენ.

ბაგრატ III-ის პაპას (ასევე ბაგრატს) „ქართველთა მეფე“ ეწოდებოდა. მისი ძე იყო გურგენი. მას ეშინოდა, რომ მისი შვილი ტახტს წაართმევდა, ამიტომაც თავისი ლაშქრით შეუერთდა დავით კურაპალატს, რომელიც ბაგრატ III-ის წინააღმდეგ წარემართა ქართლისაკენ. დავით კურაპალატსაც ეშინოდა, რომ ბაგრატ III ტახტს წაართმევდა, ამიტომაც დაეჭვდა, როცა ბაგრატ III თავისი ლაშქრით შიდა ქართლში შევიდა რატი ბაღვაშ ერისთავის დასასჯელად. საქმე მალე გაირკვა და მშვიდობა დამყარდა.

ქართულ წყაროებში ამ საუკუნის ამბების თხრობისას „ქართველები“ ეწოდება ჩრდილო ტაო-კლარჯეთში და ქართლის მხარეთა მფლობლებს. შესაბამისად აფხაზები ერქვათ – დასავლელ ქართველებს, კახელები – კახეთის მცხოვრებთ, ეს იმითაა საინტერესო, რომ სამხრეთ ტაოს მეფეებსაც – „ქართველთა მეფეები“ ერქვათ. მაშასადამე, იყო ორი „ქართველთა სამეფო“, ერთი სამხრეთ ტაოში და მეორე – ჩრდილო ტაო-კლარჯეთ-შიდა ქართლში. ტაოს მეფეებს უფრო უცხოურ წყაროებში ერქვათ ივერთა მეფეები. ქართულ წყაროებში – უბრალოდ ტაოს მეფეები ერქვათ.

ბაგრატ III გაძლიერდა და მოითხოვა კახეთის მმართველებისაგან მათ ხელში მყოფი ქართლის ციხეები. ამ დროს ქორეპისკოპოსი იყო დავითი. მან არ დათმო, რადგანაც მიწა-წყალი ქსნამდე თავის ტერიტორიად მიაჩნდა.

ბაგრატ III-მ „ზემო ლაშქარით“ გაიარა თრიალეთი, განვლო მცხეთის ხიდი, შემოუერთდა სხვა ლაშქარი და დადგა თიანეთში. დაამარცხა ქორეპისკოპოსი დავითი და ამასთანავე შევიდა და **„აღიღო ქვეყანა ჰერეთისა, განაჩინა მთავრად აბულალ და წარვიდა შინა“** (ქ.ც. I, გვ. 279).

შემდეგ კვლავ გაერთიანდა ჰერეთისა და კახეთის ლაშქარი დავით ქორეპისკოპოსის მეთაურობით, დავითმა ჰერეთიც დაიჭირა. ბაგრატ III-მ კვლავ ილაშქრა და ჰერეთი მეორეჯერ აიღო და **„დინარ დედოფალი თავისად დაიჭირა“** (იქვე, გვ. 279).

ამის შემდეგ იგი შეუდგა კახეთის ციხეების აღებას. ამ დროს ქორეპისკოპოსი იყო კვირიკე. ბაგრატ III-მ ორ წელიწადში მთლიანად აიღო კახეთი და ჰერეთი, ხოლო კვირიკე გადაიყვანა აფხაზეთში თავის კარზე.

ჰერეთი და რანი წინა საუკუნეებში ხშირად ერთიანდებოდნენ, ერთ პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდნენ. რანი – მტკვრის მარჯვენა, ხოლო ჰერეთი მარცხენა სანაპიროს ქვეყანა იყო.

აფხაზთა მეფე ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთის დაჭერამ რანში უკმაყოფილება გამოიწვია. რანის ამირა ფადლონი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ბაგრატისათვის ომი გამოეცხადებინა, სამაგიეროდ ის მალვით და ხშირ-ხშირად თავს ესხმოდა კახეთისა და ჰერეთის მიწა-წყალს, არბევდა და მოსახლეობას ატყვევებდა. ამის აღსაკვეთად ბაგრატ III ძორაკერტის მხრიდან თავისი ლაშქრით შევიდა რანში და ქალაქ შამქორის ზღუდეები დაარღვია. ქალაქის აღების წინ ფადლონმა ითხოვა მშვიდობა და დაზავება, სამაგიეროდ დაპირდა ხარკის გადახდას და ასევე პირობა დადო ომისას თავისი ლაშქრით ბაგრატს მიშველებოდა.

მემატიანე დიდად აქებს ბაგრატ III-ს – **„ამან ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთიდან ვიდრე გურგანამდე და ადარბაგანი და შირვანი ...ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“** (ქ.ც., I, გვ. 281).

ბაგრატ III-მ ააშენა ბედიის ტაძარი **„და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მან გუდაყვისა საეპისკოპოსო“** (იქვე, გვ. 281). იქამდე გუდაყვაში იყო კათედრა ქართველი ეპისკოპოსისა, და არა ბერძნისა, რასაც მოწმობს გუდაყვის არქეოლოგიური არტეფაქტები და ქართული წარწერები, მაგრამ ბედიის უფრო დიდებული ტაძრის აგების შემდეგ გუდაყვის ქართული საეპისკოპოსო ტახტი ბედიაში იქნა გადატანილი.

„შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხვა მსგავსი მისი დიდებით და ძალითა“ (იქვე, გვ. 282).

მემატიანეს სიტყვით მელქისედეკ კათალიკოსმა „მოიგო“ ანუ შეიძინა **„ჰერეთის მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდეხი და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარი ათორმეტი და ზიარი – სოფელი დიდი“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 295).

კახეთ-რანის მეფეთა შორის უფრო ცნობილია **„დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე“**, თუმცა რანს ასევე თავისი ცნიბილი ამირა ფადლონი ჰყავდა.

როგორც აღინიშნა, IX საუკუნეში კახელები თბილელ ამირა საჰაკს ეხმარებოდნენ ბაგრატ კურაპალატის წინააღმდეგ, კერძოდ საჰაკს შველოდნენ „კახნი გარდაბანელნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტომი I, გვ. 255).

აფხაზთა სამეფო, თბილისის საამირო და კახეთის საქორეპისკოპოსო ერთიან ფრონტს ქმნიდნენ, მეორე მხარეს იყვნენ სახალიფო და კლარჯეთი.

X საუკუნეში აფხაზთა სამეფოს ჰქონდა მისწრაფება კახეთის დამორჩილებისა, კახეთში ილაშქრა აფხაზთა მეფე გიორგი მეორემ ორჯერ, ასევე აფხაზთა მეფემ ლეონ მესამემ, ბაგრატ მესამემ, ბაგრატ მეოთხემ, საბოლოოდ, ის საქართველოს გაერთიანებულ სამეფოს შემოუერთა დავით აღმაშენებელმა. მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ერთიანდებოდნენ ქვეყნის საერთო მტრის – სახალიფოს წინააღმდეგ. ასევე ეხმარებოდნენ თბილელ ამირას, განდგომილს სახალიფოდან. როგორც ითქვა, ტაო-კლარჯელი მეფეები პირიქით სახალიფოს ეხმარებოდნენ.

საბოლოო დასკვნა

მე-7 საუკუნის დასაწყისში კათალიკოსმა კირიონ I-მა გუგარქში ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღდგენით აანთო სულიერი კოცონი, რომლის ალმა მე-8 საუკუნეში განანათლა იქამდე სომხური ეკლესიის უღელქვეშ მყოფი ტაოელი ქართველების სული და მისცა მათ ძალა დედაქართულ ეკლესიასთან კავშირის აღდგენისა.

შემდეგ, უკვე მე-10 საუკუნეში, ამ სინათლემ, წმ. დედოფალ დინარას ღვაწლით, მიაღწია ჰერეთამდე, ქართველთა დიდ ქვეყნამდე, რომელიც გადაშლილი იყო კახეთის მდინარე გიშისწყლიდან (და მდ. ალიჯანჩაიდან), ვიდრე მდ. თეთრწყლამდე (აღსუმდე).

სპარსელთა მიერ VI საუკუნეში და არაბთა მიერ VII–X საუკუნეებში დაზარალებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია, კირიონ I კათალიკოსის, წმ. დინარა დედოფლის, ტაოელ და ათასობით სხვა ქართველ წმ. მამათა ღვაწლით, XI ს. დასაწყიდან, სრულებით გამობრწყინდა და აღორძინდა.

დამატება

ათტომეულის განმარტება

მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ რამდენჯერმე გამოიცა.

პირველად მისი პირველი ტომი, მომზადებული ახალციხეში, დაიბეჭდა 1988 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, არაოფიციალურად, იატაკ-ქვეშა სტამბაში.

მეორეჯერ ის დაბეჭდა ოთხტომეულის სახით გამომცემლობა „მერანმა“ 1996–1998 წლებში.

მესამედ, 2009 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ალილომ“ ერთ დიდ ტომად, ხოლო შემდეგში ასევე ოთხტომეულის სახით დაბეჭდა გამომცემლობა „გუმბათმა“ 2012 წელს.

ამჟამად იბეჭდება სრულიად სხვა, შევსებული, უკვე 10 ტომეულის სახით.

1–4 ტომი უშუალოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

ამ წიგნის, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“, დაწერა დაკავშირებულია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ღვაწლთან.

ვმადლობთ უფალს, რომ 1990 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ მას გააჩნდა თავისი დაძაბული წინაისტორია.

ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ 1981 წელს უწმიდესმა პატრიარქმა მეუფე ანანია დანიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ. ამიტომ მას ევალებოდა გაცნობოდა უცხოეთიდან მოსულ შესაბამის წერილებსს. ამ დროისათვის პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო საპატრიარქოსთან და ბერძნულ სხვა საპატრიარქოებთან ურთიერთობას. იგზავნებოდა და იქედანაც მოდიოდა წერილები. როგორც მეუფე ბრძანებს მას, იმჟამად ახალგაზრდა ეპისკოპოსს, აოცებდა ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან მოსულ წერილებში ჩვენი პატრიარქი არასოდეს მოიხსენებოდა პატრიარქად, მას ამ წერილებში ეწოდებოდა „უნეტარესი კათალიკოსი“.

მიზეზი ამისა, როგორც უწმიდესმა ბრძანა, იყო ის, რომ იმჟამად კონსტანტინოპოლი არ აღიარებდა ჩვენი ეკლესიის საპატრიარქო ღირსებას, მაშასადამე მათთვის ჩვენი პატრიარქი იყო არა პატრიარქი არამედ მხოლოდ კათალიკოსი ანუ მიტროპოლიტის რანგის პირველიერარქი. უფრო მეტიც კონსტანტინოპოლი იმჟამად არ აღიარებდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას და აყენებდა ავტონომიურ ეკლესიათა რიგში.

მეუფეს ახსოვს, რომ იქედან მიღებული ზოგიერთი წერილი უწმიდესს ცუდ ხასიათზე აყენებდა. მაგრამ უწმიდესი უკან მრავალ წერილ აგზავნიდა.

კონსტანტინოპოლიდან საპასუხოდ მოსულ წერილებში თანდათან იცვლებოდა მათი განწყობილება ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ, ბოლოს ისინი დაჟინებით მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ მათთან გაგზავნილიყო საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის შესახებ სამეცნიერო გამოკვლევა წყაროებით გაჯერებული.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ასეთი გამოკვლევა თანამედროვე სახისა, ახალი მასალებით და მიდგომებით სათანადოდ გაჯერებული, არ არსებობდა, ალბათ, მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის კვლევა უკვე აღარ იყო საჭირო.

მეუფე ბრძანებს, რომ მას ერთი საინტერესო მაგალითი შეემთხვა – ქუჩაში შეხვდა ძველ ნაცნობი, ამჟამად ცნობილი, იმჟამად კი ახალგაზრდა ისტორიკოსი. მან იცოდა მეუფის სიყვარული ისტორიის მიმართ და შეეკითხა თუ რა თემაზე მუშაობდა. მეუფემ უპასუხა, რომ ვმუშაობ საკითხებზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. მან ირონიულად შემოხედა და უთხრა „ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია მე-11 საუკუნეში უკვე მოიპოვა გიორგი მთაწმინდელმა“, უთხრა და მაშინვე გაშორდა, პასუხსაც არ დალოდებია.

ეს ნიშნავს, რომ მან, ახალგაზრდა ისტორიკოსმა, რომელსაც აინტერესებდა ეკლესია და დაახლოვებული იყო სამეცნიერო წრეებთან, ოდნავადაც კი არ იცოდა თუ რა საკითხები აშფოთებდა საპატრიარქოს იმჟამად 1980-იანი წლების დასაწყისში.

ეს ფაქტი ასახავს სურათს იმისა, რომ კომუნისტ-ათეისტურ ეპოქაში მეცნიერები და საერთოდ ინტელიგენცია არა თუ იცნობდა ეკლესიას, პირიქით ერიდებოდა მასთან კონტაქტს, შესაბამისად მათთვის უცნობი იყო არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან არსებული ჩვენი პრობლემები, არამედ, ზოგადი საეკლესიო საკითხები.

მათ მისაზიდად უწმიდესს დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

საერთოდ, იმჟამად, პატრიარქი მათი მხრიდან გარკვეულ ვაკუუმში იყო, ამასთანავე ის ერთეული ისტორიკოსებიც (მაგალითად საგანგებოდ მიწვეული ძვირფასი ქალბატონი ბაბილინა ლომინაძე) ბოლომდე ვერ ერკვეოდა საეკლესიო საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში და თუ რა სახის ნაშრომებს მოითხოვდნენ უცხოელები, საეკლესიო სპეციფიკა მათთვის გამოცანა იყო.

ამ მხრივ, როგორც ჩანს უფრო სასურველი იქნებოდა თუკი თვით რომელიმე სასულიერო პირი თავის თავზე მიიღებდა ამ საკითხების კვლევას. როგორც ჩანს უწმიდესიის თვალში ერთერთი მათგანი მეუფე ანანია იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში უწმიდესმა მეუფე ანანიას თავდაპირველად დაავალა დაეწერა თემა: „საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში“, ეს იყო სრულიად გამოუკვლეველი საკითხი.

დიპტიხის საკითხი იყო სადავო მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შეყვანილი იყო იმ ათ თემას შორის, რომელიც უნდა განეხილა სამომავლოდ „მსოფლიო საეკლესიო კრებას“, რომლის მოსაწვევადაც იმჟამად აქტიურობდა კონსტანტინოპოლი.

ამ „მსოფლიო საეკლესიო კრების“ მოსამზადებლად იმჟამად ტარდებოდა მრავალი საერთაშორისო შეხვედრა, ერთერთ მათგანს მეუფე ანანიაც ესწრებოდა შამბეზში 1980-იანი წლების დასაწყისში.

ამ დროისათვის ყველა ეკლესიისაგან დაბეჯითებით მოითხოვეს, რათა მათ მოემზადებინათ ათივე აღნიშნული საკითხის შესახებ თავიანთი კვლევები და შეხედულებები.

დიპტიხის საკითხის შესახებ სხვადასხვა საპატრიარქომ მოამზადა საკუთარი თემა.

მეუფე ანანიამ მაშინ მოიძია კონსტანტინოპოლის, მოსკოვისა და სხვა საპატრიარქოების, ასევე ელადის ეკლესიის მიერ მომზადებული თემები დიპტიხის შესახებ.

ყველა მათგანში ცენტრალური ადგილი ეკავა მსჯელობას იმის შესახებ თუ რა ადგილი ეკუთვნოდა დიპტიხში საქართველოს ეკლესიას. ამავე დროს კი ჩვენს ეკლესიას არ ჰქონდა რაიმე გამოკვლევა დიპტიხის შესახებ. საჭირო იყო ჩვენს ქართულ წყაროებში მოძებნილიყო დიპტიხის შესახებ არსებული მასალა.

უნდა ითქვას, რომ მეუფე ანანიას 1980-იანი წლების შემდეგ მრავალი წელი, თავდადებული შრომა დასჭირდა დიპტიხის თემის მოსამზადებლად, და ბოლოს მან ეს ნამუშევარი ჩართო წიგნში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

სამწუხაროდ, დიპტიხის საკითხი ამჟამადაც გადაუწყვეტელია, რადგანაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 2016 წელს მოწვეულმა ე. წ. მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეს სადავო საკითხი აღარ ჩართო დღის წესრიგში და თანაც ის კრება ფაქტიურად ჩაიშალა.

საბედნიეროდ, 25 წლით უფრო ადრე, 1990 წელს, წარმატებით გადაიჭრა საქართველოს ავტოკეფალიის აღიარებისა და მისი საპატრიარქო ღირსების დადასტურების საკითხი ჩვენი უწმიდესის ღვაწლის შედეგად.

იქამდე, 1980-იანი წლების დასწყისში, როდესაც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული, დიპტიხის საკითხთან ერთად მეუფე ანანიას უწმიდესმა ილია მეორემ დაავალა მომემზადებინა თემა „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“.

უწმიდესი, ცხადია, ამ საკითხის კვლევას სხვა პირებსაც ავალებდა, მაგრამ მეუფე ანანიას, ვფიქრობ, საგანგებო ყურადღება მიაპყრო, რაც იქედან გამოჩნდა, რომ უწმიდესმა მას პირადად გადასცა სპეციალური ლიტერატურა, რომელიც, ზოგადად, საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხს შეეხებოდა. კერძოდ, თავის მეგობრებს მოსკოვში რუსულად ათარგმნინა ბერძენი კანონისტი მიტროპოლიტის მაქსიმე სარდელის ნაშრომი „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ეს წიგნი მიტროპოლიტ მაქსიმეს დაუბეჭდავს ათენის ჟურნალ თეოლოგიაში 1966 წელს ბერძნულ ენაზე, ის თარგმნეს, და ფაქტიურად ერთადერთი ხელის საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი რუსული თარგმანის სახით გადმოუგზავნეს უწმიდესს. და, ეს, როგორც ითქვა, ხელისსაბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლიარი უწმიდესმა მეუფე ანანიას გადასცა,

რათა მას ავტოკეფალიის თემაზე ემუშავა, ასევე ამავე საჭიროებისათვის უწმიდესმა მეუფე ანანიას პირადად გადასცა ათეისტურ სსრკ-ში იშვიათი, ცნობილი რუსი კანონისტის ა. კარტაშევის 1964 წელს პარიზში რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი „მსოფლიო საეკლესიო კრებები“. მათ გარდა უწმიდესმა საგანგებოდ მოაგროვებინა რუსეთის საპატრიარქოს ჟურნალების („ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი“) ის ეგზემპლიარები, რომლებშიც ავტოკეფალიის საკითხები იყო გაშუქებული, მეუფეს ახსოვს, რომ ასეთი იყო რამდენიმე 1949, 1950 და მის შემდეგ წლებში დაბეჭდილი ჟურნალები, მათ გარდა მეუფემ მოითხოვა და უწმიდესის კურთხევით მას გადასცეს ქართული „გეორგიკების“ ყველა ტომი („ტანჯვით შეგროვილი“), და ასევე სხვა მასალები, სადაც ქართული წყაროები ანდა უცხოელ ავტორთა მითითებები იყო გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

რატომაა საჭირო ამ ამბის გახსენება? იმიტომ რომ მეუფე ანანიამ უწმიდესის დავალებით მის მიერ მომზადებული აღნიშნული თემები „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ და „დიპტიხში ადგილის შესახებ“ საფუძვლად დაუდო ამ წიგნს – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

მეუფე ბრძანებს – „მახსოვს თავდაპირველად, ხელნაწერ ეგზემპლიარში ჩვენი ეკლესიის ისტორიას ვიწყებდი მე-6 საუკუნით, რადგან იმჟამად ძალზე მაწუხებდა და მაინტერესებდა სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობის საკითხები და მათი არასწორი გამოკვლევები ქართველი ავტორებისა. მაგალითად, ყველაზე ცნობილი მეცნიერი ამ საკითხებისა ზ. ალექსიძე ამტკიცებდა, რომ კირიონ 1-მა, მე-6 ს. ბოლოსა და მე-7 ს. დასწყისში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა დაუწესა გუგარქის სომხებს და ამით ისინი „გააქართველა“.

VI–X სს. თითქმის ყველა სომეხი მემატიანის ნაშრომების გაცნობის შემდეგო – ბრძანებს მეუფე – მე მივხვდი, რომ საქმე პირიქით იყო. მე-6 საუკუნეში არმენიისა და ქართლის მპყრობელი სპარსეთის იმპერია ქალკედონურ ბიზანტიის იმპერიასთან მუდმივი ომის გამო სასტიკად დევნიდა ქალკედონურ ქართულ ეკლესიას და აძლიერებდა სომხურ მონოფიზიტურს. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა მე-7 საუკუნეშიც არაბთა მპყრობელობის დროს.

ასეთ დროს სპარსელთა მხარდაჭერით სომხური ეკლესია გაბატონდა ალბანურ ეკლესიაზე, მალე ალბანურ ეკლესიაში სომხურმა ეკლესიამ აკრძალა ღვთისმსახურება ალბანურ ენაზე და ალბანეთში შემოღებული იქნა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ამას მიუთითებს კიდეც მოვსეს კალანკატუაცი მე-7 საუკუნის ამბების აღწერისას.

მაშასადამე, სომხური ეკლესია VI–VII საუკუნეებში ქართულ ეკლესიაზე უფრო ძლიერი იყო, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, ამიტომაც მან, თვით „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით, შეძლო გუგარქში აეკრძალა ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ამის ნაცვლად შემოიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ეს კი მოუთმენელი იყო ქართლის კათალიკოს კირიონისათვის, რომლის ერთერთი ეპარქიაც იყო გუგარქი.

კირონმა ისარგებლა პოლიტიკური მომენტით, როდესაც ბიზანტიამ სპარსეთთან ომის ფრონტზე წარმატებას მიაღწია, ამით გულმოცემულმა

კირიონმა აღუდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა გუგარქის ქართველობას, მაშასადამე სომხები კი არ გაქართველდნენ, როგორც ამტკიცებს ამჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფია, არამედ, გუგარქის მკვიდრმა ქართველებმა აღიდგინეს ქართულენოვნი ღვთისმსახურება.

ასევე მოხდა ერთი საუკუნის შემდეგ, დაახლოებით 780 წლისათვის, ტაოშიც.

მალევეო, ბრძანებს მეუფე, მივხვდი, რომ არ იყო სასურველი ისტორიის დაწყება მე-6 საუკუნედან, მაგრამ, იმჟამად, ეკლესიის ისტორიის დაწყება 1-ლი საუკუნედან, მოციქულების ეპოქიდან, მკრეხელობადაც კი მიიჩნეოდა საბჭოურ საზოგადოებაში. მაგალითად, იმჟამად „ეკლესიის კალენდრის“ რედაქტორმა მეუფეს განუცხადა: „დიდი ხანია ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგება არის ლეგენდა და არამეცნიერული თვალსაზრისი“, ანუ ჩვენი ეკლესიის ისტორიის დაწყება მოციქულთა ეპოქიდან არამეცნიერულად მიიჩნეოდა.

იმჟამად ხელმისაწვდომი არ იყო რაიმე ლიტერატურა მოციქულთა შესახებ, ამიტომ ძალზე დიდი ძიება დასჭირდა მეუფეს და საბოლოოდ ეკლესიის ისტორია დაიწყო საქართველოში მოციქულების ქადაგებიდან, იმჟამად, პირველად მის წიგნში ჩაიწერა, რომ არა ერთმა, არმედ ექვსმა მოციქულმა იქადაგა ისტორიულ საქართველოში. ამ თემის წინ წამოწევა მას ესაჭიროებოდა იმისათვის, რათა ემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო უკვე მოციქულების ეპოქიდან. მოციქულების მიერ დაფუძნებული ეკლესიები იმთავითვე ავტოკეფალურები იყვნენ. ეს ძველი თეორია, ჩამოყალიბებული მე-11 საუკუნეში წმიდა გიორგი მთაწმიდელის მიერ, ამჟამადაც უყურადღებოდაა მიტოვებული. მისმა ჩართვამ წიგნში შექმნა პრეცენდენტი იმისა, რომ თურმე შესაძლებელია ჩვენი ეკლესიის ისტორიის დაწყება წმიდა მოციქულებიდან.

ეს მომენტი შეაფასა ბატონმა ვ. გოილაძემ. ის მეუფის წიგნის წინასიტყვაობაში წერდა „ნაშრომის ერთ-ერთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ვრცელი და დეტალური ისტორიის გადმოცემა, რასაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა“.

ეს და მრავალი სხვა საკითხია გამოკვლეული წიგნში, შემდეგში მეუფემ ამ წიგნის შესავლის სახით დაწერა შრომა „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“, მისი ნაწილი შემდეგ წინ დაურთო „ალილოს“ მიერ გამოცემულ ერთტომეულს.

მეუფე ბრძანებს – „1988 წლიდან, ვიდრე 2019 წლამდე როდესაც იწერებოდა ეს ტომეულები, თითქმის 40 წლის მანძილზე, შეიცვალა თვით ჩემი დამოკიდებულება ზოგიერთი საკითხის მიმართ, რადგანაც თვით ეკლესიის ინტერესები შეიცვალა.

მაგალითად, 1990 წლამდე საქართველოს საპატრიარქოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ავტოკეფალიის საკითხების რკვევა, იმის შემდეგ რაც ეს პრობლემა გადაიჭრა, მალევე ეკლესიის წინაშე დადგა არანაკლებ მნიშვნელოვანი საეკლესიო იურისდიქციის საკითხი.

ეს, ანუ საეკლესიო იურისდიქციის საკითხი სადავოდ იქცა მას შემდეგ, რაც მტერმა მოახდინა საქართველოს ისტორიული ოლქების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოჩნდნენ საეკლესიო საპარტისტების ძალები, რომელნიც იბრძვიან რათა საქართველოს ახლა უკვე ეკლესიურად ჩამოაშორონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ჩამოაყალიბეს სეპარატისტული, თვითმარქვია, განყენებული ე.წ. „აფხაზეთის ავტოკეფალური სამიტროპოლიტო“ და ცხინვალში ე.წ. „ალანიის თავისთავადი სამიტროპოლიტო“. ამისათვის საეკლესიო სეპარატისტები საგულდაგულოდ იკვლევენ ისტორიას და ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ოლქებისათვის საქართველოს ეკლესიიდან დამოუკიდებლობის დამადასტურებული საბუთები. ამ სულისკვეთებით დაწერეს წიგნები, მათ შორის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობითაც. მათ, მაგალითად, კარგად გამოიყენეს ჩვენს მეცნიერებაში მტკიცედ დანერგილი თვალსაზრისი რომ მეათე საუკუნემდე თითქოსდა დასავლეთ საქართველო, (შესაბამისად აფხაზეთი) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს მტკიცებანი მათ მიიჩნიეს თავიანთვის ძალზე სასარგებლოდ და წარადგინეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. საქართველოს ეკლესიის შესახებ იგივე თვალსაზრისი გამოაქვეყნა კიდეც მოსკოვში დაბეჭდილმა „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“, „თუმცა მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც თბილისიდან მასალები გაიგზავნა მოსკოვში დასაბეჭდად“ – ბრძანა მეუფემ და განაგრძო – „საქმე ისაა, რომ ჩემი წიგნის პირველი ტომების წერის დროს მეც ვიზიარებდი იმჟამად აბსოლუტურად დამკვიდრებულ თვალსაზრისს რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა მე-10 საუკუნემდე, ამიტომ, ამ თვალსაზრისითაა დაწერილი პირველი ოთხი ტომი, ასევე, საეკლესიო კანონების კრებული და დენაციონალიზაციის ტომები. დაახლოებით 2000 წლისათვისო კი, ამბობს ის, მე მივხვდი და ეს იყო ურთულესი საქმე, რომ სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ე. წ. სამხრეთ ლაზიკას, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად „ლაზისტანი“ ეწოდება. დაახლოებით ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე, რომელსაც ასევე სამხრეთ ეგრისს ვუწოდებ. ეს ძიება გრძელდებოდა წლები, ჩემთვისო, ამბობს ის, ეს იყო ურთულესი ძიება, მისი შედეგები ასახულია წიგნებში: **„ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში“, „არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ევრიაში“, „იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, ასევე „საეკლესიო რუკების ატლასში“.**

აღსანიშნავია, რომ მეუფის კვლევები ძალზე აღიზიანებდა ზოგიერთ გამოჩენილ პიროვნებას, ასევე ზოგიერთ ისტორიკოსს, ფილოლოგს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს მიმართ (1 ათასწლეულის შესახებ) მათი კვლევებიც ბათილდებოდა და საეჭვო ხდებოდა, მეორე მხრივ კი მეუფის კვლევები სრულიად ეთანადებოთ ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებს, საეკლესიო კრებების (მაგალითად, რუის-ურბნისის) სულისკვეთებას, რაც მთავარია მისი კვლევები ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას ამყარებდა.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო მისი უწმიდესობის ყურადღება და მფარველობა, რადგანაც აღნიშნული პირები ჯგუფური დელეგაციების სახით ჩიოდნენ პატრიარქთან, რათა მეუფეს შეეწყვიტა კვლევები.

მისმა უწმიდესობამ კი თავისი მაღალი ხედვით, არწივის მზერით შეაფასა ვითარება და გამოსცა მეუფის მხარდასაჭერი დადგენილებები, ასევე ისინი მიაღებინა წმიდა სინოდს.

ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხების რკვევას მისმა უწმიდესობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 2006 წლიდან.

1. 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სამწუხაროდ ვერ აცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საისტორიო მეცნიერებაში დანერგილ თეორიას, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის მთლიანობა და მისი უფლებები საქართველოს მიწა-წყალზე საეჭვოდ ჩანდა. ამასთან დაკავშირებით ილია II წერს: „წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა. ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა“ – წერს უწმიდესი პატრიარქი 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში.

2. შექმნილი პრობლემების აღმოაფხვრელად, უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ თავისი **2009** წლის 10 ივლისის N 76 ბრძანებით დაარსა **„საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია“ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მეთაურობით.**

2009 წლის 76-ე ბრძანებაში უწმიდესი პატრიარქი ბრძანებს – „მე-19, მე-20 საუკუნეებში საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები, ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით.

3. 2011 წ. ილია მეორის თავმჯდომარეობით შემუშავდა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილება მიტროპოლიტ ანანიას ხელმძღვანელობით ისტორიკოსთა სამეცნიერო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ.

2011 წლის 20 დეკემბრის წმიდა სინოდის დადგენილება თავის 2.დ. მუხლში აღნიშნავს –

„საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება, შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის ***მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე)*** *ხელმძღვანელობით“.*

ეს ფაქტი მან რამდენიმე თვის შემდეგ საგანგებოდ მოიხსენია თავის საშობაო 2011 წლის ეპისტოლეშია

4. 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმიდესი პატრიარქი აღნიშნავს:

„ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება).

ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა“.

5. საკითხის სიმძაფრის გამო უწმიდესმა პატრიარქმა საჭიროდ მიიჩნია, რათა ეს საკითხი განეხილა მომდევნო წლის სინოდის სხდომას, კერძოდ, 2012 წლის 5 ივლისს წმ. სინოდის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის მე-6 მუხლი აღნიშნავს –

„წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის ***მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე)*** *მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, – კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ*

საქართველო IV–X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა," ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა". (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545–546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო „ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ." (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.)"

ასე, რომ მეუფის სამეცნიერო მიმართულების მხარდასაჭერად უწმიდესმა მრავალი დადგენილება გამოსცა.

უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ მუეფის 40 წლიანი შრომა დადებითად შეაფასა უწმიდესმა პატრიარქმა და 2019 წელს განაცხადა – „მიტროპოლიტმა ანანიამ ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა, რომ **მის მიერ გაწეულია უზარმაზარი შრომა და ჩაყრილია ღრმა ფუნდამენტი".**

უწმიდესის გზავნილი –

6. <u>**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი**</u>

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) გულითადად ვულოცავთ დაბადების 70 წლითავს

მან ეკლესიური ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც მორწმუნეთა რიცხვი მეტად მცირე იყო და ინტელიგენციაც ათეისტური აზროვნების ტყვეობაში იმყოფებოდა.

*ყველამ იცის, რომ სულიერი მოღვაწეობის გარდა, **მეუფე ანანია თავიდანვე გამოირჩეოდა საქართველოს ისტორიის, ჩვენი წარსულის ძიების დაუცხრომელი სურვილით** და ამ მიმართულებით არაერთი წიგნი დაბეჭდა.*

*შეიძლება ითქვა, **იგი იმ პირველთაგანია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ დაკნინებულ მიმართულებას პროტესტი გამოუცხადა და ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა.***

*რა თქმა უნდა, ზოგიერთი პოზიცია შეიძლება აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, მაგრამ მთავარია, რომ **მის მიერ გაწეულია უზარმაზარი შრომა და ჩაყრილია ღრმა ფუნდამენტი** მომავალ მკვლევართათვის, ამასთან მისი*

ნაშრომები განმსჭვალულია ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის რეალური სურათის აღდგენის დიდი სურვილით.

ღმერთმა დალოცოს მეუფე ანანია და მრავალჟამიერ დაუღალავად მოღვაწეობისათვის ღვთისა და ქვეყნის სამსახურად

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

ესაა ერთგვარი შეფასება ხანგრძლივი შრომისა.
აღნიშნული სულისკვეთებითაა დაწერილი სხვა ტომები.
მათ შესახებ მეუფე წერს –

მე-5 ტომის სახელია – „არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“

ის შეეხება იმ ქართული საეპისკოპოსოების ისტორიას, რომელთა სამრევლოები მდებარეობდნენ ამჟამინდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისტორიული ივერიის სამხრეთ ნაწილში მდინარე არაქსიდან ვიდრე კლარ-ჯეთამდე. აქ მე-10 საუკუნისათვის არსებობდა ქართული ე.წ. „აღმოსავლეთის საკათალიკოსო“, ტაო მის ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა მის იურისდიქციაში შედიოდა ანისის, ვალაშკერტის, ყარსის (კარის), დადაშენის, არზრუმისა და სხვა ქართული საეპისკოპოსოები.

ჯერ კიდევ 1906 წელს რუსეთის სინოდში წარდგენილ მოხსენებაში კირიონ მეორე მიუთითებდა, რომ ეფრემ მცირესა და სხვათა ცნობები ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ეხება არა მცხეთის ივერიის ეკლესიას, რომელიც მუდამ ავტოკეფალური იყო, არამედ, „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავალის“ („აღმოსავლეთის“) საკათალიკოსოს. მან მე-8 საუკუნის შემდეგ ანტიოქიისაგან მოიპოვა ავტოკეფალია, ხოლო იერუსალიმის საპატრიარქოსაგან მირონის ადგილზე (ქართლში) კურთხევის უფლება, რადგანაც „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. მირონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მირონის კურთხევის უფლება ამ დროს მოიპოვა არა მცხეთის საკათალიკოსომ, არამედ „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავალის“ საკათალიკოსომ. მცხეთას ეს დასტური არ ესაჭიროებოდა, რადგანაც მე-4 საუკუნის დასაწყისიდან მირონი გადაჭრილი სვეტიცხოვლიდან გადმოედინებოდა, ხოლო მე-5 ს. ქართლის მეფე არჩილის დროს, წყაროს ცნობით, მცხეთის ქართლში ადგილზევე აკურთხებდნენ მირონს (არჩილ I – **ქართლის** მეფე V საუკუნის 20–30-იან წლებში).

ტაოს სამეფოს „ქართველთა სამეფო“ ერქვა, ის „ყოველი ქართლის“ ერთი ნაწილი იყო, და აქ, მე-8 საუკუნედან, ქართული ენით აღესრულებოდა წირვა-ლოცვა ქართველი მრევლისათვის. ის იბერების ისტორიული ქვეყნის

ნაწილი იყო, ამიტომაც ტაოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ბიზანტიამ აქ დააარსა „იბერიის თემი“ ანუ „ფემა ივერია“, ცენტრებით ანისსა და არზრუმში.

მეუფე ანანიას კვლევით, **არიან-ქართლი“ ეწოდება ტერიტორიას - არაქსის ხეობიდან და ვანის ტბიდან ვიდრე კლარჯეთის ჩათვლით.**

„არიან ქართლსა“ და იქაურ ქართველობას მძიმე ბედი ჰქონდა, მისი შემადგენელი ნაწილები იყო სტრაბონის მიერ ნახსენები ხორძენე, გოგარენე და პარიადრე, კარენიტთან ერთად, რომელიც არმენიამ იბერებისაგან და ხალიბებისაგან მიიტაცა ქრისტეშობამდე მეორე საუკუნეში (სტრაბონი, გეოგრაფია, XI,14,15). ჩვენ მას ვუწოდებთ სამხრეთის ივერიას, მის შემადგენლობაში შედიოდა აღნიშნული ტერიტორია, (არაქსიდან კლარჯეთის ჩათვლით, არზრუმის ოლქი ყოფილი კარენიტია). მართალია ეს მიწა-წყალი არმენიამ მიიტაცა, მაგრამ აქ ივერები ძველებურადვე აგრძელებდნენ ცხოვრებას, და, იქ, უკვე არმენიად სახელდებულ ისტორიულ იბერიაში, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა მკვიდრი ივერების ანუ ქართველების არმენიზაციის გამალებული პროცესი, მიტაცების შემდეგ, იქ ქართული ენა აკრძალული იყო, დაფარულად მოსახმარი, რადგანაც აქ ადმინისტრაციისა და ეკლესიის ენა იყო სომხური. ამიტომაც წერს ამ (ტაო-ბასიან-კარინის) რეგიონიდან გამოსული, ჩანს VI–VII საუკუნეების თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ – „დამარხულ არს ენა ქართული... და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე..და ესე ენაი...მდაბალი და დაწუნებული“.

ამ ეპოქაში მცხეთის იბერიაში ქართული ენა საეკლესიო ენა იყო, ამიტომ ამ თხზულებაში, აღიწერება არა მცხეთის ქართლში, არამედ სამხრეთის ქართლში ანუ სამხრეთის ივერიაში ქართული ენის „დაწუნება, დამდაბლება“, დაფარულად მისი მოხმარება ანუ „დამარხვა“.

არმენიის მიერ დაპყრობის შემდეგ, ამ რეგიონში, ქართული ენის ადგილი საზოგადოებრივ ასპარეზზე სომხურმა დაიჭირა. აქაური ივერები მე-8 საუკუნემდე სომხური ეკლესიის წევრები იყვნენ, სომხური საეკლესიო ენით, მხოლოდ შინაობაში ანუ „ფარულად“ თუ მოიხმარდნენ ქართულ ენას.

საბედნიეროდ, ვითარება შეიცვალა მე-8 საუკუნეში. 726 წლის მანასკერტის კრებაზე სომხური ეკლესია საბოლოოდ და მტკიცედ მიემხრო მონოფიზიტობას, კრებამ დაავალდებულა სომხური მოსახლეობა არაქალკედონური აღმსარებლობისა ყოფილიყო, კრების ამ დადგენილებას მხარი არ დაუჭირა არმენიის აღნიშნულმა ქართულმა მოსახლეობამ, არმენიის ივერებმა, რომლის ძირითადი ბირთვი ტაოში ცხოვრობდა.

780 წლის შემდეგ არმენიის ქართველობამ უკვე დაუფარავად მხარი დაუჭირა ქალკედონურ აღმსარებლობას, ეკლესიებში აღიდგინა ქართულენოვანი წირვა ლოცვა.

იმდენად აღმაფრთოვანებელი იყო ეს ფაქტი, რომ აქაურმა ქართველობამ საკუთარი, ტაოს სამეფო დააარსა, რომელსაც, როგორც ითქვა „ქართველთა სამეფო“ ერქვა, მალე აქაურმა ქართველებმა მისი საზღვარი გააფართოვეს კლარჯეთიდან ვანის ტბამდე.

იქამდე დაფარული, დამდაბლებული და დაწუნებული ქართული ენა IX–X საუკუნეებში ტაოსა და სამხრეთის ივერიაში გადაიქცა ადმინისტრაციის, ეკლესიის, კულტურისა და განათლების ენად, შეწყდა ქართველთა არმენიზაცია, აქაური ქართველობა მასიურად დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას.

ტაოს სამეფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ადგილობრივი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული „აღმოსავალის საკათალიკოსო“, რომელმაც ანტიოქიისაგან ავტოკეფალია, ხოლო იერუსალიმისაგან, როგორც ითქვა, მირონის ადგილზე კურთხევის უფლება მოიპოვა, ეს და სხვა მრავალი საკითხია განხილული მე-5 ტომში.

წინა ტომებში მივიჩნევდი, რომ „აღმოსავალის საკათალიკოსო“ ერქვა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ეს აზრი უარვყავი დაახლოებით 2012 წლის შემდეგ, და ამჟამად მივიჩნევ, რომ „აღმოსავალის საკათალიკოსო“ ერქვა სამხრეთ ივერიაში IX–X საუკუნეებში არსებულ ქართულ საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულს, ის გაქრა ტაოს სამეფოსთან ერთად ბასილი ბულგართმმუსვრელის ივერიაში (ტაო-ბასიანში) ლაშქრობის შემდეგ.

ყოფილი ქართველთა სამეფოს ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიამ თავისი ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ დააარსა. იბერიის თემში ზაქარია ვალაშკერტელისა და სხვა დიდი მამების ბრძოლის მიუხედავად, ბიზანტია დევნიდა ქართულენოვან ეკლესიას. ამის შემდეგ იქაური ქართველობის ერთი ნაწილი ბერძნული ეკლესიის მრევლად იქცა (მათ შეადგინეს ე.წ. „სომეხ ქალკედონიტთა“ მნიშვნელოვანი ნაწილი), ხოლო მეორე დიდი ნაწილი ივერებისა, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის დაარსების შემდეგ, კვლავ სომხური ეკლესიის მრევლად იქცა, ისინი გააწევრიანეს ოსმალეთის „სომხურ მილეთში“, დაუქვემდებარეს კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს. საბოლოოდ „სომხური მილეთის“ ყოფილი ქართველობა, უფრო არზრუმ-არტაან-ყარსის მკვიდრი მოსახლეობა, საბოლოოდ გასომხდა, შემდეგში ის ძირითადად შეეწირა 1915 წლის ე.წ. გენოციდს, იქამდე, მე-19 ს. დასაწყისში, ერთი უკვე არმენიზებული ნაწილი ყოფილი ქართველებისა პასკევიჩმა საქართველოს სამხრეთ რეგიონებში ჩაასახლა.

მე-6 ტომის სახელია – „ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში“. საბჭოთა ეპოქაში გავრცელდა უსაფუძვლო თეორია, თითქოსდა ლაზები VII საუკუნის შემდეგ დასავლეთ საქართველოდან გადასახლდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. სინამდვილეში, როგორც წყაროების ანალიზი აჩვენებს ლაზები ამ (ტრაპეზუნტის) რეგიონის მკვიდრი იგივე ქალდეები არიან.

სტრაბონის ცნობით ქალდებს (ხალიბებს) ასევე უწოდებდნენ „ალაზონებს“, საიდანაც წარმოდგა პონტოსპირეთისა და მისი მოსახლეობის სახელი „ლაზონია“, „ლაზი“.

უწმიდესი პატრიარქი ილია II, აღნიშნავს, რომ „ქალდი“ საერთო ქართულ სამყაროს, კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა. ივ. ჯავახიშვილის კვლევით ქალდეა არა მხოლოდ ლაზების, არამედ ყველა ქართული ტომის

სამშობლო იყო. ქართული ტომების ეს მიწა-წყალი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ეკლესიურად აქ, ქალდეა-ლაზიკაში, ჩამოყალიბდა ფასიდის ეპარქიის პეტრას, როდოპოლისის, ზიგანასა და საისინის საეპისკოპოსოები, ხოლო რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ის გაქრისტიანების შემდეგ, IV საუკუნიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ფასიდის ეპარქიის ძირითადი ნაწილი არა დასავლეთ საქართველოში, არამედ აღნიშნულ ქალდეა-ლაზიკაში (ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლის შემაერთებელ გზაზე) მდებარეობდა.

ნაშრომი დაიწერა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სადიდებელად და ეხება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს. აქ, მრავალ წყაროზე დაყრდნობით, მიმოხილულია, დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-ქალდეასა და საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ყოფითი და გეოგრაფიული ვითარება პირველ ათასწლეულში.

მე-7 ტომის სახელია – **„ქართველთა დენაციონალიზაცია XVII–XX საუკუნეებში (საინგილო, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, თრიალეთი, შიდა ქართლი)“.**

მის ანოტაციაში ნათქვამია**:**

„საკუთარ სახელმწიფოში ყოველი ერი მთლიანდება და ნაციად ყალიბდება, მაგრამ უსახელმწიფოებრიობის დროს პირიქით – იშლება და ნაწევრდება. მით უმეტეს, თუ ქვეყანა საუკუნეთა მანძილზეა მტრისაგან დაპყრობილი. ასეთივე ბუნებისაა, ცხადია ქართველობაც.

ჩვენი ხალხის ისტორიული მეხსიერებიდან ერთგვარად ამოვარდნილია XV–XVIII სს და ისტორიის შემეცნება ხდება ისე, თითქოსდა აყვავებული პერიოდიდან (დავით აღმაშენებლიდან და თამარიდან) – ჩვენ უცებ აღმოვჩნდით XIX ს-ში, მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ XVII–XVIII სს-ში განვითარებულმა პროცესებმა შვა ჩვენი დღევანდელი პრობლემები. XV ს-ის შემდეგ, საქართველო დაიშალა, შემდეგ მისი ყოველი ნაწილი მტერმა დაიპყრო, დაიწყო დენაციონალიზაცია ქართველი ხალხისა. ეს პროცესი საკმაოდ ღრმა იყო. ეროვნული თვითშემეცნება მხოლოდ იმ ქართველმა მართლმადიდებლებმა შეინარჩუნეს, რომელნიც საქართველოს ეკლესიის წევრები იყვნენ...

XX ს-ის 80-იანი წლების ხანმოკლე ეროვნულ კონსოლიდაციას, თან მოჰყვა ხანგრძლივი ათწლეულები ეროვნული დეზინტეგრაციისა, კუთხურობის აღორძინებისა... იმ ადამიანებს, რომელთაც იქამდე თავიანთი თავი ქართველებად ჰქონდათ იდენტიფიცირებული გაუხსენეს წინაპართა ოდინდელი „უცხო წარმომავლობა“. განსაკუთრებით კი მათ უცხოელობას, ოსობას თუ სომხობას იხსენებდნენ მათი მეზობლები, მხედრიონელთა რაზმები, მომენტით მოსარგებლე ყაჩაღები, რომელთაც დიდი ასპარეზი გადაეშალათ XX ს-ის მიწურულს. ასეთ დროს, ამ ადამიანთა დაცვა და შეხსენება მათი მეზობლებისათვის, რომ ისინი ქართველები არიან, მოწმე ვართ იმისა რომ დადებით შედეგებს იძლეოდა.

ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია-კონსოლიდაცია-გამთლიანების საქმეს. ჩვენმა ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ზოგიერთი თანაკლასელი თუ თანაჯგუფელი, რომელთაც ოსს, ან სომეხს უწოდებენ სინამდვილეში არიან იმ ქართველთა შთამომავლები, რომელნიც XVII–XIX სს-ში დენაციონალიზაციის პროცესის მსხვერპლნი იყვნენ. ეს ცოდნა მათ ალბათ მეტ ტოლერანტობას შესძენს.

ნაშრომი დაბეჭდილი იყო სხვადასხვა წლებში, ამჟამად ერთწიგნად შეკრებილს, უცვლელი სახით ვაწოდებთ მკითხველს.

მე-8 ტომი – „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული (სამართალი, კანონები, დადგენილებები)

მის ანოტაციაში ნათქვამია:

„საქართველოს ეკლესიაში მოძღვრების, მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს (საეკლესიო კრებას), მისი ზრუნვის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს „საეკლესიო კანონების კრებულის, სასულიერო და საერო სასწავლებლების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის“ გამოცემა (1995 წლის საეკლესიო კრების დებულება, თავი II, $20).

ამ მუხლის აღსასრულებლად გაწეულ ნაშრომს წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები).

ნაშრომში ერთადაა თავმოყრილი და განხილული IV–XX საუკუნეთა საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი.

განხილულ 15 საკანონმდებლო და 50-ზე მეტ მიმდინარე კრების ანალიზს თან ერთვის კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები, ამიტომაც ნაშრომი, ამასთანავე, წარმოადგენს საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულს, რომელიც ესაჭიროება როგორც სასულიერო პირებსა და მართლმადიდებელ მრევლს, ასევე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარებს. ეს წიგნი, სახელწოდებით „საქართველოს საეკლესიო კრებები“, 2003 წლიდან წარმოადგენს სახელმძღვანელოს სასულიერო აკადემიაში“.

მე-9 ტომი: „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში“ (დაღესტანი, ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, დურძუკეთი, ჩრდილოკავკასიის სვანეთი, ოსეთი, ქისტეთი, ალბანეთი)“

მის ანოტაციაში ნათქვამია:

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში“ სიახლეა იმ მხრივ, რომ პირველად ხდება ჩვენს საეკლესიო ისტორიოგრაფიაში განზოგადებული გამოკვლევა ამ მნიშვნელოვანი თემისა, მაშინ როცა, როგორც მრავალი რუსი მეცნიერი, ასევე განსაკუთრებით დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ოსი, ყარაჩაელი, ბალყარელი, აფხაზი, აზერბაიჯანელი და სხვა მკვლევარები ინტენსიურად იკვლევენ ამ სა-

კითხს, სამწუხაროდ – ძირითადად, შეიძლება ითქვას, ძალზე მიკერძოებით და ტენდენციურად.

მეუფე ანანიას ნაშრომი ეფუძნება ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, საინტერნეტო მასალას, ჩრდილო კავკასიაში შემორჩენილ ფაქტებს ქართული კულტურისა და სხვა.

მისი საბოლოო დასკვნით, მართლდებიან ქართული წყაროები, რომელთა მიხედვითაც, ჩრდილო კავკასიაში თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესიაში შემავალი აფხაზეთის, ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა თემურ ლენგის შემოსევამდე, და ნაწილობრივ, მის შემდეგაც, წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მრევლს, რომელიც აგებდა მრავალ ეკლესიასა და ჯვარ-ხატთა ნიშებს, სადაც აღესრულებოდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვები, საჭიროების დროს კი, ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები თავიანთ საუკეთესო შვილებს ომებში აგზავნდნენ სამშობლოს – საქართველოს დასაცავად“.

ამ ნაშრომის მტკიცებით თემურლენგის შემოსევამდე ჩრდილო კავკასია დასახლებული იყო ქართველებითა და ქართველთა მონათესავე ხალხებით, იქამდე ქრისტიანები, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, აქ საქართველოს ეკლესიას გააჩნდა საკუთარი ქართულენოვანი „ხუნძეთის საკათალიკოსო“, ანწუხის საეპისკოპოსო, ქურმუხის სამთავარეპისკოპოსო, სასულიერო სასწავლებლები, ტაძრები და სამრევლოები, სადაც ქართულ ენაზე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა.

მე-10 ტომის სახელია: **„ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში)“**.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი – იკვლევს საერთაშორისო წრეებში ერთ-ერთ სადავო საკითხს ჩვენი საეკლესიო იურისდიქციის შესახებ. ამჟამად აღიარებული, თუმცა არასწორი მტკიცებით – კახეთის სამხრეთი ნაწილი – გურჯაანი, საინგილო, დავით გარეჯა და თვით ბოდბეც კი, თითქოსდა, ისტორიულად, ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ გადავიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. შესაბამისად, უცხო მხარეს გაუჩნდა პრეტენზია აქაური უძველესი ქართული ეკლესია მონასტრებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ნაშრომში გარკვეულია, რომ სინამდვილეში, ისტორიული ჰერეთი, რომელსაც ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებენ, თავდაპირველად კახეთს ესაზღვრებოდა მდ. გიშისწყალთან (ზოჯერ კი იქვე გამდინარე მდ. ალიჯანჩაისთან). ჰერეთი დიდი ქვეყანა იყო, გადაშლილი აღნიშნული მდინარეებიდან ვიდრე მდ. აღსუმდე და ძირითადად დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით (ჰერებით). მას ასევე შაქის სამეფოსაც უწოდებენ. მისი (ანუ „შაქის ჰერეთის“) საზღვრები გაიზარდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როცა მისმა მონოფიზიტმა მმართველმა საჰლ სმბატიანმა არანის (რანის) დაპყრობის შემდეგ არაბთა ხელშეწყობით ასევე შეძლო სამხრეთ კახეთის დაპყრობა გავაზის ხაზამდე. ამის შემდეგ ეწოდა ისტორიული კახეთის ამ ნაწილს სახელი –

„ჰერეთი“. სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორ-ეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები. მხოლოდ წმ. დედოფალ დინარას დროს (მე-10 ს.) დაუბრუნდა შაქის ჰერეთი მართლმადიდებელ სარწმუნოებას. იმის გამო, რომ ჰერეთი გიშისწყლიდან მდ. აღსუმდე (თეთრწყლამდე) დასახლე-ბული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, მას უცხოელები ივერიის ნაწი-ლად მოიაზრებდნენ, ამიტომაც მის დედოფალს წმ. დინარას რუსული წყა-როები „ივერიის დედოფალს“ უწოდებდნენ.

მარიამ ოკრიბელაშვილი

17.01.2020

სარჩევი

შესავალი 3

თავი I
წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა იბერიისა და ალბანეთის საზღვრებთან დაკავშირებით

პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ცნობები იბერიასა და ალბანეთს, კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრების შესახებ 14
წყაროები იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 15
I. პლინიუს უფროსი (23–79 წწ.) იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 15
II. ეღიშეს ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვარო პუნქტ ხალხალას შესახებ..... 19
III. მოვსეს კალანკატუაცის ცნობა იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტ „ხალხალას“ შესახებ 19
IV. ლეონტი მროველის ცნობა ჰერეთ-კახეთის სასაზღვრო პუნქტ ტყეტბა-გოლგოლას შესახებ 21
ოთხი წყაროს შეჯერება 22
ვახუშტი ბატონიშვილის ორი ცნობა ჰერეთის გეოგრაფიის შესახებ 23
ვახუშტის I ცნობა 23
ვახუშტის II ცნობა 25
გიშისწყალი და ალიჯანჩაი – საზღვარი ისტორიულ კახეთსა და სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს შორის 31
ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეხედულება ჰერეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით 38
ზოგიერთი რუსი მკვლევრის შეხედულება კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით..... 42
მოსაზრებანი კახეთ-კუხეთის საზღვრებთან დაკავშირებით..... 46
ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევრის თვალსაზრისი კახეთთან დაკავშირებით 51
ზოგიერთი დაღესტნელი მეცნიერის არგუმენტი კახეთთან და ალბანეთთან დაკავშირებით..... 56
საკითხი იბერიისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ 57
სიახლე ისტორიული კახეთისა და ჰერეთის საზღვრებთან დაკავშირებით 63
ნაშრომში გამოყენებული ტერმინოლოგია 65

თავი II
ჰერეთი

ჰერეთ-ალბანეთთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება 83
ზოგიერთი ცნობა ჰერეთის ისტორიიდან 97
ისტორიული ჰერეთის შესახებ 100
შუა საუკუნეთა ანუ შაქის ჰერეთის შესახებ 102
ჰერეთის საერისთავოები შაქის ოლქში 104
კიდევ ერთი წყაროს – „მატიანე ქართლისას“
გაყალბება ჰერეთთან დაკავშირებით 107
ბრძოლა კახეთსა და ჰერეთს შორის 109
კახეთი, ჰერეთი და ალბანეთი
თვალსაზრისი, რომ „ადრეანტიკურ პერიოდში კახეთი შედიოდა
ალბანეთის შემადგენლობაში“ 115
თავდაპირველი საზღვრები მემატიანის ცნობებით 116
საეკლესიო იურისდიქცია შაქის ჰერეთში 117
რამდენიმე ცნობა საჰლ სმბატიანის ანუ საჰლ იბნ სუნბატ
ალ-არმანის შესახებ 122
საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია
VII ს-ში კახეთ-ჰერეთის მიმართულებით 127
არჩილ მეფე კახეთში 136
ჰერეთის საზღვრის შეცვლა საჰლ სმბატიანის შემდეგ 140
ჩრდილოკავკასიიდან შაქში (ნუხში) მიმავალი გზა 143
კიდევ ერთხელ კახეთში შემავალი
ე.წ. „ლეკეთის გზის“ შესახებ 154
კავკასიის ალბანეთი ვარდან არეველცის მიხედვით
და ქართველების არმენიზაცია გოგარენასა და გუგარქში 165
კავკასიის ალბანეთი 170
გუგარქის ქართულობის შესახებ 176
„ქართლის ცხოვრებისა“ და „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები
კახეთის, კუხეთის, ჰერეთისა და კამბეჩანის შესახებ 182
ჰერეთის მოხსენიება ქართულ წყაროებში 185
ჰერეთის სამეფო საჰლ სმბატიანის დროს და კახეთის საქორეპისკოპოსო 191
ჰერეთის გათავისუფლება „მწვალებელთა უღლისაგან“,
რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნა 195
თავის დასკვნა 207

თავი III
დავით-გარეჯის მიწა-წყალი

წყაროები ასურელ მამათა
კახეთში მოღვაწეობის შესახებ 208
წმ. ილარიონ ქართველი – დავითგარეჯის მცველი 214
კახეთის ქორეპისკოპოსები დონაურთა საგვარეულოდან 216

ხალხალი და ტყეტბა-გულგულა (გოლგოლა) – სასაზღვრო პუნქტები 225
გარდაბნელი დონაურები და წანარები 227
არაბი ისტორიკოსის ცნობა და ერედვის ეკლესიის წარწერა 232
მასუდის ცნობები 237
ქართულენოვანი ხალხი – წანარები და მათი მმართველი
სასულიერო პირები..... 240
წანარების ვინაობა 243
თავის დასკვნა 249

თავი IV

წმ. დინარა დედოფალი

წმიდა დინარას წინაპრები 250
ჰერეთისა და ხაჩენის უმართებულო გაიგივება 267
წმ. დინარა I ბაგრატიონი 276
ჰერეთის („რანთა“) მეფეები (893 წლამდე მთავრები) 282
ლფინები და ჭილბები..... 285
უსაფუძვლო თეორია საინგილოსა და
სამხრეთ კახეთის ალბანურობის შესახებ 291
კახეთის საეკლესიო მმართველობა..... 293
კამბეჩანი, ხორნაბუჯი და შაკიხი (შაქი)..... 298
შენიშვნა ჰერეთსა და კამბისენასთან დაკავშირებით..... 303
თავის დასკვნა 305

თავი V

არმენიისა და ალბანეთის „იბერიული ზოლი“

შესავალი..... 306
ერვანდიდები (იარედოსი) – ნაბუქოდონოსორის ეპოქაში
იბერების ხელისუფალნი?..... 307
მუჰამედისა და ხალიფა ომარის დაცვის სიგელები
სომხური ეკლესიის მიმართ და „ქართიზაციის“ საეჭვო თეორია 317
იბერიის მეფე ფარასმანი ტაციტუსის მიხედვით 338
ბაგრატიონების ლეგიტიმაცია ქართლის სამეფო ტახტზე 340
ქართველები სომხურ მილეთში..... 353
ქართიზაციის თეორიის დამწერგავი მხარის
მუშაობის შედეგი 363
თავის დასკვნა 371
წიგნის ზოგადი დასკვნა..... 372

დამატება

ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია

ალბანეთის საკათალიკოსო..... 375
საქართველოს კათალიკოსი ჩეჩნეთ-დაღესტანსა და შაქ-შირვანში..... 385

ქართიზაციის თეორია საინგილოს შესახებ 400
წმ. არჩილ მეფის აღმოსავლეთ კახეთში
(შემდეგ საინგილოში) მოღვაწეობა..... 404
ხუნძახის ეპარქია..... 412
ანწუხის ეკლესიები 414
თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში..... 415
„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ 417
ქართველები დაღესტანში 418
„კახნი გარდაბნელნი“ და ორი გარდაბანი 423
„ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანი“ 429
კახ-გარდაბნის დასუსტება და ჰერეთის გაძლიერება..... 430
საბოლოო დასკვნა 436
დამატება ათტომეულის განმარტება 437
სარჩევი 453